



IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ. АРН. ЧИКОБАВА

IBERO-CAUCASIAN LINGUISTICS

XLIV

Иберийско-кавказское языкознание

XLIV

Tbilisi 2016 Тбилиси

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XLIV

თბილისი
2016

მთავარი რედაქტორი

ვაჟა შენგელია

Editor-in-chief

Vazha Shengelia

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული
მარინე ბერიძე
გიორგი გოგოლაშვილი
თამარ ვაშაკიძე
გუჩა კვარაცხელია
ნანა მაჭავარიანი
მურმან სუხიშვილი
ლია კაროსანიძე
მედეა ლლონტი
მერაბ ჩუხუა

Editorial Board

Avtandil Arabuli
Marine Beridze
Giorgi Gogolashvili
Tamar Vashakidze
Gucha Kvaratskhelia
Nana Machavariani
Murman Sukhishvili
Lia Karosanidze
Medea Glonti
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი:

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8
არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s:

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8
Arn. Chikobava Institute
of Linguistics

E-mail: kontakt@ice.ge

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISBN

შინაარსი – Contents

I

ლ. ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ზოგი მორფემის გენდერული თავისებურებები ხუნძური ენის დიალექტებში	11
L. A z m a i p a r a s h v i l i, The Gender Peculiarities of Some Morphemes in the Avar Dialects	19
ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, აორისტის წარმოებისა და რეკონსტრუქციისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში	21
N. A r d o t e l i, On the Derivation and Reconstruction of the Aorist in the Avar-Andi-Dido Languages	25
მ. ბ უ კ ი ა, ენობრივი ინტერფერენცია სამურზაკანოს ტოპონიმიაში	26
M. B u k i a, Linguistic Interference in Samurzakano Toponyms	30
თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ზოგი სახის სინტაგმათა გამოყოფის საკითხები	31
T. B u r c h u l a d z e, Issues of Distinguishing Some Types of Syntagms	37
თ. გ უ ჩ უ ა, რიტუალი, როგორც ენობრივი თამაში (არქანჯელო ლამბერტის წიგნის – „სამეგრელოს აღწერა“ – მიხედვით)	38
T. G u c h u a, A Ritual as a Lingual Game (Based on the book <i>Description of Samegrelo</i> by Archangelo Lamberti)	43
თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, მუხრან მაჭავარიანი – „გამასავათა მამულზე ფიქრმა“	44
T. V a s h a k i d z e, Mukhran Machavariani – I Am Tired of Thinking about the Homeland	51
დ. კ ა კ ა შ ვ ი ლ ი, კომპოზიტთა წარმოებისათვის წოვათუმურში	52
D. K a k a s h v i l i, Composition in Tsova-Tush	56

მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, „მზეი ცხრათვალა“ ანა კალანდაძის შემოქმედებაში	57
M. Labartkava, The Sun in Ana Kalandadze's Works	63
ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი, „ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის“ შედგენის თეორიული საფუძვლები და თარგმანთა სპეციფიკა	64
K. M a r g i a n i - s u b a r i, Translation Specifics and Theoretical Foundations of Compiling <i>Upper Svan Morphemic Dictionary</i>	75
ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, „სინტაქსური ბლოკი“ – აფხაზური ენის ფუძეთა ერთ-ერთი მახასიათებელი (აფხაზური ენის ფლორისა და ფაუნის ლექსიკის მაგალითზე)	77
N. M a c h a v a r i a n i, A Syntactic Block – One of the Features of the Abkhazian Bases (Based on the Abkhazian Vocabulary of Flora and Fauna)	89
თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე, ქართველური ზმნისწინების შესახებ	91
T. M a k h a r o b l i d z e, On the Kartvelian Preverbs	99
ს. ო მ ი ა ძ ე, სტრატეგიულ-ენობრივი შეცდომები დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში.....	100
S. O m i a d z e, Strategic-linguistic Mistakes in the Textbooks for the Primary School	105
ნ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, არნოლდ ჩიკობავას მთიულეთში მოგზაურობის გამო	106
N. P a p u a s h v i l i, On Arnold Chikobava's Journey in Mtiuleti	115
მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ზმნისწინთა შესაძლო კომბინაციები სვანურში	116
M. S a g h l i a n i, Possible Combinations of Preverbs in Svan	126
მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, არაიდენტურ (ა+ჰ და ჰ+ა) ხმოვანთ- კომპლექსთა ელიზიისათვის სვანურში	127
M. S a g h l i a n i, L. G i g l e m i a n i, On the Elision of the Non-identical Compound Vowels a+ä and ä+a in Svan	135

ბ. ს უ რ მ ა ვ ა, და კავშირის სემანტიკურ-ფუნქციური დახასიათებისათვის (დიალექტურ მონაცემთა მიხედვით).....	136
N. S u r m a v a, On the Semantic-functional Characterization of the Conjunction da „And“ (Based on the Dialectal data)	147
თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, მრავლობითი რიცხვის მარკირება ქართულ ზმნებში	148
T. U t u r g a i d z e, Marking the Plural in Georgian Verbs	156
რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, ნაზმნარი სახელები: -მ ფორმანტიანი ნაზმნარი სახელები ნახურ ენებში	158
R. P a r e u l i d z e, Verbal Nouns with the Formant -m in the Nakh Languages	161
ბ. ფ ო ნ ი ა ვ ა, არწმენა-წარმოდგენების ამსახველი ლექსიკისათვის ლაზურ იდიომებში	162
N. P o n i a v a, On the Vocabulary Expressing Beliefs in Laz Idioms	168
ბ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, R-დ-უ-{უ}(ნ) სტრუქტურის ერთპირიან ზმნათათვის მეგრულში	170
N. P u t k a r a d z e, On the Megrelian Mono-personal Verbs of R-d-u{u}(n) Structure	180
ბ. ქ ე ც ბ ა ი ა, სამეურნეო ნაგებობათა აღმნიშვნელი ლექსიკისათვის მეგრულში	182
N. K e t s b a i a, On the Vocabulary for the Agricultural Buildings in Megrelian	188
მ. ღ ლ ო ნ ტ ი, ქართ. დიდ-ის და მდიდარ-ის ისტორიული პოლისემიისა- თვის	189
M. G l o n t i, On the Historic Polisemy of Georgian did-i „big“ and mdidar-i „Rich“	207
ბ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ერთი ტიპის კაუზატივის ფორმათა წარმოებისათვის ქართული ენის კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში	208
K. K a n d a s h v i l i, Formation of the Causative Forms of a Certain Type in the Kizik Subdialect of the Kakhetian Dialect of the Georgian Language	210

ბ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, უსრული წინადადებისათვის ჩოლურულ მეტყველებაში	211
N. S h a v r e s h i a n i, On the Imperfect Sentences in the Cholur Speech	218
ქ. შ ა რ ი ქ ა ძ ე, ფრაზეოლოგიზმები ოტია იოსელიანის ნოველებში	219
K. S h a r i k a d z e, Phrasemes in the Novels by Otia Ioseliani	223
ე. შენგელია, სამოსელთან დაკავშირებული ლექსემების შემცველი იდიომებისათვის მეგრულ-ლაზურში (მეგრ. კაბა, ლაზ. ფორკა; მეგრ. კართე „კალთა“, ლაზ. პოდია)	224
E. S h e n g e l i a, On the Idioms Containing Apparel-related Lexemes in Megrelian-Laz (Megr. ḱaba “a dress” Laz. porḱa ; Megr. ḱarte „a lap“, Laz. podia)	230
ვ. შენგელია, ც. ჯ ა ნ ჯ დ ა ვ ა, მეგრულ-ლაზურ ფრაზეოლოგიზმთა ტიპოლოგიისათვის	231
V. S h e n g e l i a, T. J a n j g a v a, On the Typology of the Megrelian-Laz Phrasemes	237
ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, წრფელობით და სახელობით ბრუნვათა ურთიერთ-მიმართების პრობლემისათვის სვანურ ენაში	238
I. C h a n t l a d z e, On the Problem of the Interrelation between the Nominative and Absolutive Cases in Svan	247
ი. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ისტორიულ – ეთნოგრაფიული მონაცემები სამარყანდში ქართული ხელნაწერების არსებობის შესახებ	249
I. C h a c h a n i d z e, Historical-ethnographic Data about the Existence of the Georgian Manuscripts in Samarkand	254
მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, დოკუმენტირება, როგორც ლექსიკოგრაფიული პარამეტრი და აკაკის ფრაზა ქეგლში	256
M. C h a c h a n i d z e, Documenting as a Lexicographic Parameter and a Phrase by Akaki in GED	262
ჰ. ჩ ი მ ქ ე, ნატურა-სურვილისა და პირობითობის გადმოცემა ქართულსა და თურქულში	263
H. C h i m k e, Expressing Optative and Conditional Moods in Georgian and Turkish Languages	270

ნ. ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი, გარდაუვალ ზმნათა წყვეტილის მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის აღნიშვნა საშუალო ქართულში.....	272
N. T s i k h i s h v i l i, Marking the Plural Form of the Third Person in the Subjunctive Case in the Past Forms of the Intransitive Verbs in Middle Georgian	284
ს. ჭ ა ა ვ ა, 1918-20 წლების ენობრივი კანონმდებლობა აფხაზეთის ავტონომიაში.....	285
S. C h a a v a, Abkhazian Linguistic Legislation in 1918-1920	292
მ. ჭ ი კ ა ძ ე, როლის ცნების სავარაუდო მისია და გავრცელების არეალი.....	293
M. C h i k a d z e, The Possible Mission and the Distribution Area of the Concept of <i>a Role</i>	306
რ. ჭ კ ა დ უ ა, ენობრივ მოვლენათა დინამიკა სვანურ სახელურ-ზმნურ ფუძეთა ცვლილებების მიხედვით	308
R. C h k a d u a, The Dynamics of the Lingual Phenomena According to the Changes of the Svan Nominal-verbal Stems	317
ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, <i>ყურს-</i> ფუძის სემანტიკისათვის	318
N. K h a k h i a s h v i l i, On the Semantics of the Stem <i>qurs-</i>	324
ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, რამდენიმე მოსაზრება მცენარეთა სახელების ეტიმოლოგიური კვლევისათვის (<i>წენგა და ჭანგა</i>)	325
N. K h o c h o l a v a - M a c h a v a r i a n i, Several Opinions on Etymological Research of Plant Names <i>čngā</i> and <i>čangā</i>	332
ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ი. გ ა გ უ ა, ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და თანამედროვე მდგომარეობა	334
N. J o r b e n a d z e, I. G a g u a, Norms of the Georgian Literary Language and the Current Situation (Several Occasions of Expressing Foreign Words in Georgian)	342

II

მ. ბ უ კ ი ა, ირინე ასათიანი, წინდებულები ზანურ (მეგრულ-ლაზურ) ენაში (რეცენზია)	343
M. B u k i a, Irine Asatiani, Prepositions in Zan (Megrelian-Laz), (Review)	345
თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, გიორგი გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა (რეცენზია)	346
T. V a s h a k i d z e, Giorgi Gogolashvili, The Georgian Literary Language (Review)	353
მ. ო ს ა ძ ე, ნ. დ ა თ ე შ ი ძ ე, ლალი იორდანიშვილი, რაფიელ ერისთავის ენა (რეცენზია)	354
N. D a t e s h i d z e, M. O s a d z e, Lali Iordanashvili, Raphael Eristavi's Language (Review)	364

III

მზია მრევლიშვილი	365
ვიოლა კალანდაძე	367

ლევან აზმაიფარაშვილი

**ზოგი მორფემის გენდერული თავისებურებები
ხუნძური ენის დიალექტებში**

ჩრდილოურ ხუნძურს (resp. სალიტერატურო ხუნძურს) მოეპოვება მოდალური ნაწილაკი **-მა**, რომელიც დაერთვის ხოლმე ბრძანებითი კილოს ფორმებს და რამდენადმე შერბილებულ ელფერს სძენს ბრძანებას (უსლარი 1889: 33; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 262-263; ალექსევი, ათაევი, მაჰომედოვი მ. ა., მაჰომედოვი მ. ი., მადიევა, საიდოვა, სამედოვი 2012: 235):

ჰაბე „გააკეთე!“ – მაგრამ ჰაბე-**მა** „გააკეთე, აბა!“ („сделай-ка!“)

ბალაჰე „შეხედე!“ – ბალაჰე-**მა** „შეხედე, აბა!“

ტე „მომეცი!“ – ტე-**მა** „მომეცი, აბა!“

ჰეჟერე „გაიქეცი!“ – ჰეჟერე-**მა** „გაიქეცი, აბა!“

ბიცე „მოყევი!“ – ბიცე-**მა** „მოყევი, აბა!“

წალე „წაიკითხე!“ – წალე-**მა** „წაიკითხე, აბა!“ და სხვ.

საინტერესო ვითარებას წარმოგვიდგენს ამ მხრივ ანწუხური დიალექტი, კერძოდ სოფ. თივში (კახეთი, ყვარლის მუნიციპალიტეტი) მოსახლე ანწუხელი ხუნძების ტოხურ-ჭადაქოლოური მეტყველება.¹

ასე, მაგალითად, ჩრდილოურ ხუნძურში რომ გვაქვს ბრძანებითი კილოს მოდალური ფორმა ჰაბე-**მა** „გააკეთე, აბა!“ (ასევე, ბალაჰე-**მა** „შეხედე, აბა!“, ტე-**მა** „მომეცი, აბა!“...), ანწუხურში (სოფ. თივის თქმაში, კერძოდ) მას ფუნქციურად შეესატყვისება ორი ფორმა:

ჰუბი-**ლო** „გააკეთე, აბა!“ – მიმართვა მამაკაცისადმი

ჰუბი-**მა** „გააკეთე, აბა!“ – მიმართვა ქალისადმი.

ამრიგად, ნაწილაკი **-მა** (ჰაბე-**მა**...), რომელიც განზოგადებულადაა ხმარებული ჩრდილოური ხუნძურის (resp. სალიტერატურო ხუნძურის) მოდალურ ფორმებში, ანწუხურში განეკუთვნება ქალს და უპირისპირდება მამაკაცის **-ლო** ნაწილაკს ბრძანებითი კილოს იმავე მოდალურ ფორმებში.

-ლო, **-მა** მორფემები სოფ. თივის ანწუხელთა მეტყველებაში დაუბრკოლებლივ დაერთვიან ბრძანებითი კილოს რაგინდარა ფორმას როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნებისა; თავისუფლად იხმარებიან ბრძანებითის მაწარმოებელ უკლებლივ ყველა ფორმანტთან. მაგალითად:

¹ სხვა კილოკავ-თქმათა ვითარება ამ მხრივ შესასწავლია.

-**ო**: ჰუბ-**ო** „გააკეთე!“ – ჰუბ-**ო-ლო** (მამაკ.), ჰუბ-**ო-მა** (ქალ.); წა ბაქ-**ო** „ცეცხლი დაანთე!“ – წა ბაქ-**ო-ლო** (მამაკ.), წა ბაქ-**ო-მა** (ქალ.); ჰალტ-**ო** „იმუშავე!“ – ჰალტ-**ო-ლო** (მამაკ.), ჰალტ-**ო-მა** (ქალ.)...

-**ე**: ქუნ-**ე** „ჭამე!“ – ქუნ-**ე-ლო** // ქუნ-**ლო** (მამაკ.), ქუნ-**ე-მა** // ქუნ-**მა** (ქალ.); ტ-**ე** „მომეცი!“ – ტ-**ე-ლო** (მამაკ.), ტ-**ე-მა** (ქალ.)...

-**უნ**: ბოს-**უნ** „აიღე!“ – ბოს-**უნ-ლო** (მამაკ.), ბოს-**უნ-მა** (ქალ.); ყ-**უნ** „დალიე!“ – ყ-**უნ-ლო** (მამაკ.), ყ-**უნ-მა** (ქალ.)...

იგივე ვითარებაა აკრძალვით ფორმებშიც: ჰუბუ-**გი** „არ გააკეთო!“ – ჰუბუ-**გი-ლო** „ნუ გააკეთებ (კაცო)!“, ჰუბუ-**გი-მა** „ნუ გააკეთებ (ქალო)!“; ქუნუ-**გი** „არ ჭამო!“ – ქუნუ-**გი-ლო** „ნუ შეჭამ (კაცო)!“, ქუნუ-**გი-მა** „ნუ შეჭამ (ქალო)!“; ბოსნუ-**გი** „არ აიღო!“ – ბოსნუ-**გი-ლო** „ნუ აიღებ (კაცო)!“, ბოსნუ-**გი-მა** „ნუ აიღებ (ქალო)!“; ტ-**გუ** „არ მისცე!“ – ტ-**გუ-ლო** „ნუ მისცემ (კაცო)!“, ტ-**გუ-მა** „ნუ მისცემ (ქალო)!“...

გარდაუვალ ზმნათა კლასნიშნიან ფორმებში:

ჟ-ეკ-ო (I კლ.), **მ-ეკ-ო** (II კლ.) „მოდი!“ – **ჟ-ეკ-ო-ლო** „მოდი, აბა (კაცო)!“, **მ-ეკ-ო-მა** „მოდი, აბა (ქალო)!“.

გარდამავალ ზმნათა კლასნიშნიან ფორმებში:

ჟ-ეც-ო (I კლ.) „შეაქე იგი (მამაკაცი)!“ – **ჟ-ეც-ო-ლო** „შეაქე, აბა, იგი (მამაკაცი), კაცო!“, **ჟ-ეც-ო-მა** „შეაქე, აბა, იგი (მამაკაცი), ქალო!“

მ-ეც-ო (II კლ.) „შეაქე იგი (ქალი)!“ – **მ-ეც-ო-ლო** „შეაქე, აბა, იგი (ქალი), კაცო!“, **მ-ეც-ო-მა** „შეაქე, აბა, იგი (ქალი), ქალო!“

ბ-ეც-ო (III კლ.) „შეაქე იგი (ნივთი)!“ – **ბ-ეც-ო-ლო** „შეაქე, აბა, იგი (ნივთი), კაცო!“, **ბ-ეც-ო-მა** „შეაქე, აბა, იგი (ნივთი), ქალო!“.

გარდამავალ ზმნათა კლასნიშნიან ფორმებში, როგორც ვხედავთ, თავისებურად არის გამოხატული რეალური სუბიექტიც (-**ლო**, **-მა** მორფემათა მეშვეობით). ეს ვითარება ანწუხურს გამოარჩევს ჩრდილოური ხუნძურისგან, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ოდენ რეალური ობიექტის გამოხატვა (კლასნიშნის **ჟ-, მ-, ბ-** პრეფიქსებით) გარდამავალ ზმნებში.

ამავე **-ლო**, **-მა** მორფემებით ბრძანებითის მოდალურ ფორმებში გამოიხატება რეალური სუბიექტის სიმრავლეც, მაგ., **რ-ეკ-ო-ლო**, ჟასალ „მოდით, აბა, ბიჭებო!“, **რ-ეკ-ო-მა**, მასალ „მოდით, აბა, გოგოებო!“, **ჟ-ეც-ო-ლო**, ჟასალ „შეაქეთ, აბა, იგი (მამაკაცი), ბიჭებო!“, **ჟ-ეც-ო-მა**, მასალ „შეაქეთ, აბა, იგი (მამაკაცი), გოგოებო!“, **მ-ეც-ო-ლო**, ჟასალ „შეაქეთ, აბა, იგი (ქალი), ბიჭებო!“, **მ-ეც-ო-მა**, მასალ „შეაქეთ, აბა, იგი (ქალი), გოგოებო!“ და ა.შ.

ნაწილაკი **-ლო**, რომელიც ანწუხურის ბრძანებით ფორმებში მამაკაცს განეკუთვნება დასტურდება განსხვავებული მოდალური ფუნქციითაც. სამხრული ხუნძურის დიალექტებსა და კილოკავ-თქმებში (ანწუხურ, ჰიდურ დიალექტებში, ზოგ ანდალალურ კილოკავში; ბაწადურ, შულანიბურ, უნტიბურ ნარევ კილოებში...): ზმნურ ფორმებზე დართვით იგი გაფრთხილებას გადმოსცემს. მაგალითად:

ჰიდურში **-ლო** დაერთვის ინფინიტივს: უნთ-ლე-**ლო** „თორემ ასტკივდება“ – ჰემერ ქუენაგო, ჩენ უნთლელი „ბევრი არ ჭამო, თორემ მუცელი აგტკივდება!"; რეხა-ლე-ლო „თორემ დაეცემა“ – სო ჰალაყა ჰა, ღორტე რეხა-ლე-ლო „წყნარად იდექი, თორემ დაეცემი!"; შუე-ლე-**ლო** – გულლა შუელელი, ჰეგუმუ ჰა „ტყვია მოგხვდება, დაწეკი“ (მიქაილოვი 1959: 369). ანდალალურის ზოგ თქმაში (მაგ., კოჰორიბის მეტყველებაში) იგი ზმნის ფუძეს მიერთვის: რეხა-**ლო** „თორემ დაეცემა“ – ზოდოჟ რეხაილო, ბერცინგო ჰა „მირს დაეცემი, წყნარად („ლამაზად“) იდექი!"; ბიხა-**ლო** „თორემ დაინგრევა!“ – ქუერ ხუაგი, ჰებ ყე ბიხაილო „ხელი არ შეახო, თორემ ეგ კედელი დაინგრევა!“ (მიქაილოვი 1959: 226). ბაწადურშიც **-ლო** დაერთვის ზმნის ფუძეს: რეხა-**ლო** „თორემ დაეცემა“ – ზოდოჟ რეხაილო, ნახეჰან ცაჰე „დაეცემი, უკან მიიწიე!"; ყოლოდი-**ლო** „თორემ დაღვეს“ – ჰემერ ყოლოდილო, ჰარაც ტუეგი „ბევრს დაღვეს იცოდე, ფული არ მისცე!“ (მიქაილოვი 1959: 476, მიქაილოვი 1964: 163); შულანბურში: ჰოღ-**ლო** „თორემ მოკლავენ“ – ჰოღლო, წოდორჰე „მოგკლავენ იცოდე, ფრთხილად იყავ!“ (მიქაილოვი 1959: 460); უნტიბურში: რეხა-**ლო** „თორემ დაეცემა“: ზოდოჟ რეხაილო, წოდორჰი ჰაბუე „მირს დაეცემი, ფრთხილად იყავ!“; ბიყი-**ლო** „თორემ მოიპარავენ“ – ჰარაც ბიყილო, ცახზა ბოყე „ფულს მოგპარავენ, ჯიბე დაიკერე!“ (მიქაილოვი 1959: 442, მიქაილოვი 1964: 164) და სხვ. ხსენებულ სამხრულ ხუნძურ დიალექტებსა და კილოკავ-თქმებში **-ლო** იხმარება განზოგადებულად (გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალურია) ისევე როგორც ჩრდილოური ხუნძურის მოდალური ნაწილაკი **-მა** (ანწუხურში ქალს რომ განეკუთვნება) ბრძანებითის მოდალურ ფორმებში (ჰაბე-**მა** „გააკეთე, აბა!“).

თავისებურებას ავლენს სოფ. თივში მოსახლე ანწუხელთა მეტყველება, სადაც **-ლო** ნაწილაკი გაფრთხილების შინაარსის გამომხატველ ფორმებში გენდერული ნიშნით უპირისპირდება **-მა** ნაწილაკს ზუსტად ისევე, როგორც ბრძანებითის მოდალურ ფორმებში: ჰეხატჰან-**ლო** „თორემ დაეცემა“: წოდორცა ჰოყუნ, ჰეხატჰანლო „ფრთხილად იყავი, თორემ დაეცემი (კაცო)!“; შდრ. ეხატჰან-**მა**: ჰა, მას, წაჰა, ეხატჰანმა მუნ „ეი, გოგო, გაჩერდი, თორემ დაეცემი!“; უნთინ-**ლო** „თორემ ავად გახდება“: ტონუგი ყუტის, უნთინლო მუნ „არ გახვიდე გარეთ, თორემ ავად გახდები (კაცო)!“; შდრ. უნთინ-**მა**: ჰემერ ჰალტუგი, უნთინმა „ბევრი არ იმუშაო, თორემ ავად გახდები (ქალი)“. გაფრთხილების მოდალურ ფორმათა წარმოებისას **-ლო**, **-მა** ნაწილაკები სოფ. თივის ანწუხურ მეტყველებაში დაერთვიან მყოფადი დროის **-ნა** ფორმანტს, რომელსაც ეკვეება ბოლოკიდური ხმოვანი: უნთი-**ნა** „ავად გახდება“ – უნთი-**ნ-ლო** „თორემ ავად გახდება (მამაკაცი)“, უნთი-**ნ-მა** „თორემ ავად გახდება (ქალი)“.

მოდალური **-ლო** ნაწილაკი ამჟამად სამხრულ ხუნძური დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ როგორც აღნიშნავს შ. მიქაილოვი: „ეს ნაწილაკი, ჩანს, ადრე ფართოდ იყო გამოყენებული. იგი გვხვდება XIX საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებში. ამ ფორმისათვის ფრიად შესაფერისი იქნებოდა

სახელწოდება „პრევენციული“ (გამაფრთხილებელი, დამცავი)“ (მიქაილოვი 1964: 166).

ამასთან ერთად, ფოლკლორულ ტექსტებში ყურადღებას იქცევს ბრძანებითი კილოს ფორმები **-ლა** ნაწილაკით, მაგალითად:

რიჩაე-**ლა** „გაუშვი (ისინი)!“: რიჩაელა, ხუჩბარ, ჰელ ლ'იმალ ყუბატირ „გამოუშვი, ხუჩბარ, ეგ ბავშვები!“ (სიმღერები 1971: 21); თედე-**ლა** „დატოვე!“: თედელა, ლე, შალი, ჟიჟარაბ როსო „დატოვე, ეი, ალი, მშობლიური სოფელი!“ (სიმღერები 1971: 31); ბეჟე-**ლა** „გამოაცხვე!“: ბეჟელა, დირ ებელ, ყალი როლულ ჩედ „გამოაცხვე, დედაჩემო, ერთი საწყაო ხორბლის პური!“ (სიმღერები 1971: 113); რიჭე-**ლა** „გააღე!“, „გახსენი!“: რიჭელა, დირ ებელ, ჰაჟრუყულ ნუწა „გააღე, დედაჩემო, დალოცვილი სახლის კარი!“ (სიმღერები 1971: 141); რაჭა-**ლა** „მოდით!“: ოჰ, რაჭალა, რაჭა ნიჟერ ყაჟულჟე „ოჰ, მოდით, აბა, მოდით ჩვენს ფარასთან!“ (სიმღერები 1971: 116); ლჷთა-**ლა** „გაიქეცი!“: ლჷთა-ლა ჟო, ბაშირ, მუნ ლჷთა, ბაშირ „გაიქეცი, აბა, ეი, ბაშირ, შენ გაიქეცი, ბაშირ!“ (სიმღერები 1971: 342); აბუგე-**ლა** „ნუ იტყვი!“: აბუგელა, ჟასაჟ, ჰედინაბ რაში „ნუ იტყვი, ვაჟო, ეგეთ სიტყვას!“ (სიმღერები 1971: 145); უნუგე-**ლა** „ნუ წახვალ!“: უნუგელა, დირ მას, ტადე მაჭარდე „ნუ წახვალ, ჩემო გოგო, მთაში!“ (სიმღერები 1971: 116) და სხვ. ბრძანებითის ეს ფორმები გამოყენებულია როგორც მამაკაცის, ისე ქალის მიმართ, ანუ გენდერული თვალსაზრისით **-ლა** ნაწილაკი ნეიტრალურია და, რაც ამჯერად მნიშვნელოვანია, შეიძლება ვარაუდო, რომ სწორედ ეს **-ლა** უნდა იყოს ამოსავალი ფონეტიკური ვარიანტი ჩრდილოური ხუნძურის (სალიტერატურო ხუნძურისაც) მოდალური **-მა** ნაწილაკისთვის (**-ლა** > **-მა**). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ხუნძური ენისთვის ნიშანდობლივია **ლ** თანხმოვნის შერბილება (პალატალიზაცია) **ე** და **ი** ხმოვანთა მომდევნო პოზიციაში (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 42), ასეთ პირობებში ადვილი დასაშვებია **ლ** (> **ლ**) > **ი** პროცესი: ჰაბე-ლა (> ჰაბე-ლ) > ჰაბე-მა „გააკეთე, აბა!“, ბეჟე-ლა > (ბეჟე-ლ) > ბეჟე-მა „გამოაცხვე, აბა!“ და სხვ. ანალოგიისათვის შდრ. **ლ** > **ი** პროცესი მეგრულში (მარტვილურის თქმებში, კერძოდ): ლური > იური „ძილი“, ახალ ი > ახად „ახალი“, მუმულ ი > მუმუდ „მამალი“ და სხვ.

ამ **-ლა** მორფემის შესატყვისი ჩანს ანწუხურის ბრძანებითი კილოს ფორმებში **-ლო**, მაგრამ საინტერესოა, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი მამაკაცისადმი მიმართვად მისი გამოყენებისა, მით უფრო, რომ დიალექტა და კილოკავ-თქმათა დიდ ნაწილში იგივე მორფემა გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალურობას ავლენს?

თავისი ფონეტიკური იერითა და, რამდენადმე, ფუნქციითაც ანწუხურის მოდალური მორფემა **-ლო** მოგვაგონებს მიმართვის ფორმას **ლე**.

ხუნძურ ენაში ფართოდ არის გავრცელებული და გამოყენებული მამაკაცისადმი მიმართვის ფორმად **ლე**, მაგ., ლე ჟას „ეი, ბიჭო!“; ტურდე ლე, ხუჩუბარ, შაად ტურდულარეჟ „იცეკვე, ეი, ხუჩბარ, რატომ არ ცეკვავ?“ (სიმღერები 1971: 20); ჟილზადა, ლე შალი, ჩარან ტურულჟე „წამოდი, ეი, ალი, ფოლადის

კლდესთან“ (სიმღერები 1971: 107); ზილზუნგე, ლე სალმან, დიდა ცადაკ „ნუ წამოხვალ, ეი, სალმან, ჩემთან ერთად“ (სიმღერები 1971: 127); ზაჭა, ლე რაჟბადინ, რეყელ ჰაბიზინ „მოდო, ეი, რაჟბადინ, დავზავდით!“ (უსლარი 1889: განყ. II, 28)... მაგალითები სოფ. თივის ანწუხური მეტყველებიდან: ლე ზას, ული რუყიხ „ეი, ბიჭო, წადი შინ!“; ლე, კუტილო ჰეე ყუტიხ „ეი (კაცო), გააგდე ძალი გარეთ!“... ფორმა **ლე** ამჟამად მამაკაცის მიმართ იხმარება, თუმცა თავდაპირველად იგი განზოგადებულად უნდა ყოფილიყო გამოყენებული ადამიანის მიმართ საერთოდ. პ.უსლარი მიუთითებდა, რომ ქალებისადმი მიმართვისას ითქმისო ლე რუჟაბი „ეი, ქალებო!“ (უსლარი 1889: 242). აღსანიშნავია ისიც, რომ ქალისადმი მიმართვის ფორმად **ლე** გვხვდება ხუნძურ ფოლკლორულ ტექსტებშიც, მაგ., შუმრუ ტუნ მოხადა, ჰალალა ლადი, მაღახე ლე, ა მუნ დიბირასუხე „ცხოვრებაშიმც გაიხარე, კანონიერო ცოლო, წადი, აბა, ეი, წადი შენ მოლასთან!“ (ჩაწერილია ანდალალში, ღუნიბის რ-ნის სოფ. შამლადაში 1962 წ., იხ. სიმღერები 1971: 122)... შდრ. აგრეთვე: ყოტუგე, ლე დავალ, ტერენაბ ქისა „არ გაჭრათ, ეი, დებო, თხელი მარმაში!“ (სიმღერები 1971: 131).

ამავე საკითხთან მიმართებით ყურადღებას იქცევს ხუნძურ ენაში არსებული ზოგიერთი ფორმაუცვლელი სიტყვაც. ესენია ჩვენებითი ნაწილაკები **ჰალე** „აი!“, „აგერ!“; მაგ., ჰალე დუნ ზუსანა საფარალდასა „აი, მე დავბრუნდი მგზავრობიდან“ (ჰამზათოვი 1970: 193); **ჰელე** „ეგერ!“; ჰელე ჰებ „ეგერ ეგ!“; **დოლე** (ან **დოხელე**) „ეგერ (იქ)!“: დირ რაკ, ქიბ ბუგებ მუნ? – დოლე დობ გორდუჯ „ჩემო გულო, სად ხარ შენ? – ეგერ, იმ ფანჯარასთან“ (ჰამზათოვი 1970: 288)... ამ ნაწილაკთა შედგენილობა ნათელია: ისინი მიღებულია ადგილის ზმნისართებისგან („აქ“, „მანდ“, „იქ“) – **ლე** ელემენტის დართვით: ჰა-ლე < **ჰა-ნი-ბ** „აქ“, ჰე-ლე < **ჰე-ნი-ბ** „მანდ“, დო-ლე < **დო-ბ-ა** „იქ“. ხსენებული ჩვენებითი ნაწილაკებისთვის ამოსავალი რომ მართლაც ადგილის ზმნისართებია, ამას ანწუხურის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებაც ადასტურებს: ანწუხ. **ლალე** „აი!“, „აგერ!“ (ლა-ლე), შდრ. ლა „აქ“ (< *ლა-აჟ, I კლ.): ლალე მუჰამად „აი, მუჰამადი!“. ქალის მიმართ ითქმის **ლელე** (ლე-ლე), შდრ. ლე „აქ“ (< *ლა-აჟ, II კლ.): ლელე დირ დავა „აი, ჩემი და!“; **დაბალე** „ეგერ (იქ)!“ (და-ბ-ა-ლე), შდრ. და-ბ-ა „იქ“: დაბალე ჩუ ბუგუ „ეგერ (იქ) ცხენი არის!“... ამრიგად, **-ლე** ელემენტი (იგი მახვილიანია: ჰალე...) გვევლინება ადგილის ზმნისართთაგან ჩვენებითი ნაწილაკების მაწარმოებლად და, შესაბამისად, წარმოადგენს ცალკე მორფემას, რომლის წარმომავლობაც გაურკვეველია. ჩნდება კითხვა: ხომ არ უნდა იყოს იგი სწორედ ის **ლე**, რომელიც მამაკაცისადმი მიმართვად გამოიყენება ხუნძურში ამჟამად? თუ ასეა, მაშინ სავარაუდოა, რომ იგი იხმარებოდა ადგილის ზმნისართთან და მიმართული იყო იმ პირისადმი, ვისაც რაიმე საგანზე მიუთითებდნენ ან აჩვენებდნენ (ვთქვათ, ამგვარად: „აი, აქ, ეი!“). თუ ეს ვარაუდი სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებითი ნაწილაკების სახით ჩვენ გვქონია კიდევ ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ **ლე** უწინ მართლაც განზოგადებულად გამოიყენებოდა ადამიანის (როგორც მამაკაცის, ისე ქალის) მიმართ.

მამაკაცის **ლე**-ს ანალოგიურად ქალისთვისაც მოიპოვება მიმართვის საკუთარი ფორმა **იო** // **იუ**, მაგ., იო, მას „ეი, გოგო1“; იო, ჰანიდე ააჭა „ეი (ქალო), აქ მოდი!“... ააჭა, იუ იოტ¹ულეი, როტიი ჰაბიზინ ჰოწოჭან ჰუყინაბ, ლინჭან ბაწადაბ „მოდი, ეი, სატრფოვ (ქალო), სიყვარულს მივეცეთ თაფლივით ტკბილს, წყალივით წმინდას“ (უსლარი 1889: 38). ფონეტიკური იერსახე მიმართვის ამ ფორმისა ძალაუნებურად იწვევს მისწრაფებას გამოიყოს მასში II გრამატიკული კლასის ნიშანი **ი**, ისევე როგორც გამოიყოფა იგი ქალის კლასის კუთვნილ სიტყვებში, მაგ., **ი-აც** „დაი“, **ი-ას** „გოგო, ქალიშვილი“, **ი-ატა**დ „სიდედრი, დედამთილი“... შესაძლოა დღეს იგი მართლაც აღიქმებოდეს II გრამატიკული კლასის ნიშნის შემცველ ფორმად, მაგრამ როგორი ვითარება უნდა ყოფილიყო ისტორიულად?

ხუნძური ენის ისტორიის გარკვეულ პერიოდში ადამიანისადმი მიმართვის ფორმები, ჩანს, არც იყო დიფერენცირებული, თუმცა მოგვიანებით გაჩენილა მათი გამოიჯენის საჭიროება გენდერული ნიშნის მიხედვით, რომლის დროსაც, მამაკაცისგან განსხვავებით, მარკირების ობიექტი თავდაპირველად ქალი აღმოჩნდა, ამიტომ არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ **იო** მიმართვის ფორმაში არსებული **ი** II გრამატიკული კლასის ფორმანტს მოგვაგონებს. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ხუნძურმა ენამ მიმართა უკვე არსებულ კლასოვან საშუალებას ქალის გამოსაცალკევებლად. გარდა ამისა, მიმართვის ხსენებულ ფორმაში **ი**-ს გაჩენისათვის რამდენადმე ხელი უნდა შეეწყო ხუნძურ ენაში მიმართვის **ჟო** და **ჟა** ფორმათა არსებობასაც და მათთან დაპირისპირებას. მიუხედავად იმისა, რომ **ჟო**, **ჟა** გვევლინებიან მიმართვის ფორმებად როგორც მამაკაცის, ისე ქალისადმი (მაგ., ჟო მუჰამად „ეი, მუჰამად!“; ჟო ფატიმათ „ეი, ფატიმათ!“; ჟა დირ ჟას „ეი, ჩემო ბიჭო!“; ჟა მას „ეი, გოგო!“...), ხოლო **ჟ** ამ ფორმებში არ წარმოადგენს I კლასის (მამაკაცის კლასის) ფორმანტს¹, გარკვეულ საფუძველს რეინტერპრეტაციისა და ანალოგიური ფორმის (**იო**) გაჩენისთვის ისინი მაინც ქმნიდნენ. ამგვარი ტენდენციის გამოძახილი შეიძლება იყოს წარმოდგენილი, მაგალითად, სოფ. ჭოხში (ანდალალი) ჩაწერილ ერთ-ერთ პოეტურ ტექსტში, რომელშიც, მაგალითად, დედა მიმართავს თავის ვაჟიშვილს ასე: ჟონუგოლა, **ჟა** დირ ჟას, მუნ როხ¹დოდე ჟონუგი „ნუ წახვალ, ეი (**ჟა**), ჩემო ბიჭო, შენ ნახირში ნუ წახვალ“, მაგრამ ღირსსაცნობია, რომ ამავე ტექსტში ვაჟი დედისადმი მიმართვისას **ჟა**-ს ნაცვლად იყენებს **ია** ფორმას: ბალაჰე, **ია** დირ ებელ, სუხმახაზულ რატანდე, ხალ ჰაბე, **ია** დირ ებელ, დალ გურგინალ გუჰაზდე „შეხდე, ეი (**ია**), დედაჩემო, ბილიკების დასაწყისს, უცქირე, ეი (**ია**) დედაჩემო, იმ მრგვალ ბორცვებს“ (სიმღერები 1971: 119). როგორც ვხედავთ, აქ **ჟა** მიმართვას თვალსაჩინოდ უპირისპირდება **ია**.

რაც შეეხება **ლე**-ს, რომელიც ამჟამად მამაკაცისადმი მიმართვად გვევლინება, იგი, როგორც უკვე ითქვა, ზოგადად ადამიანისათვის უნდა ყოფილი-

¹ ამავე დროს, არაერთ სხვა კავკასიურ ენაშიც გამოიყენება ფონეტიკურად მათი იდენტური ფორმები (შორისდებულები) მიმართვის ან ვისთვისმე დამახების დროს, მათ შორის ქართველურშიც.

ყო გამოყენებული, ხოლო მისი დაკონკრეტება გენდერული ნიშნით უფრო გვიან მომხდარა; ჩანს, არა თავისთავად, არამედ მას შემდეგ, რაც ხუნძურ ენაში გამოიყო საკუთრივ ქალისადმი მიმართვის ფორმა, რომელიც ზოგადად ადამიანისადმი მიმართვას დაუპირისპირდა.

ანალოგიურ პროცესებს უნდა ჰქონოდა ადგილი ანწუხურშიც. გენდერული ფუნქციით **-ლო**, **-მა** მორფემათა გამოყენება მოდალურ ფორმებში აქ გვიანდელი მოვლენა ჩანს. ამოსავალი ვითარება ამ მხრივ დაცული უნდა იყოს ხუნძური ენის სხვა დიალექტებსა და კილოკავ-თქმებში, სადაც იგივე მორფემები ინდიფერენტულობას ავლენენ გენდერის მიმართ.

ადვილი დასაშვებია, რომ **-მა** ნაწილაკისათვის ფონეტიკურად ამოსავალი იყოს **-ლა**. თავის მხრივ, ამ **-ლა** მორფემის შესატყვისი ჩანს ანწუხური ბრძანებითის მოდალურ ფორმებში **-ლო**.

იმის გასარკვევად, თუ რა მიზეზით უნდა შეემინათ **-ლო**, **-მა** მოდალურ ნაწილაკებს მამაკაცისა და ქალის გარჩევის დამატებითი ფუნქცია, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მიმართვის ფორმები **ლე**, **მო** სწორედ ბრძანებითის ფორმებთან იხმარება ხოლმე უფრო ხშირად. იგივე შეიძლება ითქვას გაფრთხილების გადმომცემი (პრევენციული) მოდალური ფორმების შესახებაც.

ანწუხ. ჰუბი-**ლო**, **ლე** „გააკეთე, აბა, ეი!“; ჴეხეტჴან-**ლო**, **ლე** „დაეცემი, ეი!“ (მიმართვა მამაკაცისადმი)... სამხრულ დიალექტებსა და კილოკავ-თქმების დიდ ნაწილში, როგორც უკვე ითქვა, **-ლო** ნაწილაკი განზოგადებულად გამოიყენება. ანწუხურში მამაკაცის ნიშნად მისი გადაქცევა, ჩანს, უნდა მომხდარიყო მიმართვის **ლე** ფორმის გავლენით, რამდენადაც იგი რეგულარულად გამოიყენებოდა ხსენებულ ნაწილაკთან ერთად, მასთან მჭიდრო კავშირში. ამგვარი ინტერპრეტაციისათვის დიდად უნდა შეეწყოს ხელი ფონეტიკურ მსგავსებასაც – **ლ** ფონემის საერთოობას ორსავე მორფემაში.

ჰუბი-**მა**, **მო** „გააკეთე, აბა, ეი!“; ეხეტჴან-**მა**, **მო** „დაეცემი, ეი!“ (მიმართვა ქალისადმი)... მოდალური ნაწილაკი **-მა** განზოგადებულად (გენდერული მიმართებისგან განყენებით) იხმარება ჩრდილოურ ხუნძურში. ანწუხურში ქალის ნიშნად მისი გადაქცევა, ჩანს, უნდა მომხდარიყო მამაკაცის **-ლო**-ს ანალოგიითა და მასთან დაპირისპირებით. ამისთვის ხელსაყრელ პირობას ქმნიდა **-მა** მორფემის ფონეტიკური იერსახეც, მისი მსგავსება ქალის კლასის **ა** ნიშანთან.

მამაკაცისა და ქალის ე.წ. გრამატიკულ კლასთა გარჩევაც, თავისთავად, სხვა არაფერია, თუ არა გენდერული ოპოზიციის ამსახველი უძველესი ფაქტი, რომელმაც თვალსაჩინო გამოხატულება ჰპოვა ხუნძური და, აგრეთვე, სხვა კავკასიური ენების მორფოლოგიაში. არანაკლებ საინტერესო იქნება გამოკვლევა სხვა ტიპის გენდერული მოვლენებისაც, რომლებიც ხუნძური ენის დიალექტებსა თუ კილოკავ-თქმებში სხვადასხვაგვარი სახით იჩენენ თავს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ხუნძ. **ცუნაშალ** „გარე ბიძაშვილი“, „მამის ან დედის ბიძაშვილის შვილი“ (троюродный брат, троюродная сестра). ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელ ამ სიტყვას ყურადღება მიაქცია პ.უსლარმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თუ ეს გარე ბიძაშვილი ქალია (троюродная сестра), უფრო ხშირად მასზე

ითქმისო **ცინაჭალ** (უსლარი 1889: განყ. II, 205). საინტერესოა, რომ ამჟამად ორივე ეს ვარიანტი (**ცუნაჭალ** // **ცინაჭალ**) სალიტერატურო ხუნძურში თანაბარი მნიშვნელობით იხმარება ერთმანეთის პარალელურად და აღსანიშნი პირის სქესის განურჩევლად. უფრო გავრცელებული ვარიანტია თანამედროვე სალიტერატურო ხუნძურში **ცინაჭალ**, გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალური, რომელიც, პ. უსლარის თანახმად, ქალის მიმართ ყოფილა ადრე გამოყენებული. გენდერული თვალსაზრისით ეს სიტყვა ნეიტრალურია დიალექტებშიც, ადგილი აქვს მხოლოდ ფუძისეულ ხმოვანთა ფონეტიკურ სხვაობას (**ო/ო/უ**) ამ სიტყვის დიალექტურ თუ კილოკაურ ვარიანტებში, მაგ., ცინაჭალ (ანწუხური დიალექტის ბოჭნოდურ და ტომურულ კილოკავებში), ცონოჭალ (ანდალალურში, ქულაბურ და ბაწადურ ნარევ კილოებში), ცუნუჭალ (ანდალალური დიალექტის ბუხთიბურ კილოკავში), ცუნაჭალ (ანწუხური დიალექტის ანწროს-უნჰადურ, ტოხურ, ჭადაქოლოურ კილოკავებში), ცუნოჭალ (ყარახულ დიალექტში), ცუნაჭაჟ (ჭარული დიალექტის ბელაქნურ კილოკავში) და სხვ. (საიდოვა 2008: 384).

პ. უსლარს დადასტურებული აქვს აგრეთვე მიმართვის თავისებური ფორმები ჩრდილოურ ხუნძურში: მამაკაცისთვის – **ჭორო**, ხოლო ქალისთვის – **ჭერე** (უსლარი 1889: განყ. II, 222), რომლებიც მნიშვნელობით დაახლოებით უნდა ევარდებოდნენ ქართულ ნაწილაკს „რალა“, მაგ., ჭაჭა, ჭორო, ჰანიჟე „მოდდი რალა (კაცო) აქ!“; მაჭა, ჭერე, ჰანიჟე „მოდდი რალა (ქალო) აქ!“... ამჟამად ორივე ამ ფორმას შენარჩუნებული აქვს გენდერული ფუნქცია.

მიმართვის თავისებური ფორმები დადასტურებული აქვს სამხრულ ხუნძურში შ. მიქაილოვს, მაგ., ყაპიბურში მამაკაცისთვის – **აჰარო** ან **აატო**, რომელთა მნიშვნელობა, მკვლევრის განმარტებით, არის „*послушай*“ ან „*ну*“: აჰარო, ულაჰა ჰაბოლ შიბ „გამიგონე (კაცო), რას აკეთებ?“ (შ. მიქაილოვის თარგმანით: „*послушай* (ან „*ну*“) *что ты делаешь?*“), აატო, მუნ რუყუჟე შეჟე უელორე „გამიგონე (კაცო), შინ რატომ არ მიდიხარ?“... ქალის მიმართ ითქმის **აჰარე** ან **აატე**. მაგალითად: აჰარე, მუნ აჰოლ რაჰოლა „გამიგონე (ქალო), შენ გეძახიან“; აატე, ულაჰა მალარაბ შეჟე ჰაბორებ „გამიგონე (ქალო), ნათქვამს რად არ შეისმენ?“... ამ ფორმებში მამაკაცი და ქალი გარჩეულია კლასის კატეგორიის მეშვეობით, რომელიც დაჩრდილულია ფონეტიკური ცვლილებების შედეგად. შ. მიქაილოვის ახსნით, მომხდარია კლასის ნიშანთა მონოფთონგიზაცია: **-ო < -აჟ** (ა-ჰარ-**ო** < ა-ჰარ-**აჟ**, ა-ტ-**ო** < ა-ტ-**აჟ**), **-ე < -აი** (ა-ჰარ-**ე** < ა-ჰარ-**აი**, ა-ტ-**ე** < ა-ტ-**აი**) (მიქაილოვი 1959: 411). სამხრულ ხუნძურის ეს ფაქტი საყურადღებოა იმითაც, რომ საშუალებას იძლევა გაირკვეს ჩრდილოური ხუნძურის **ჭორო**, **ჭერე** ფორმათა ოდინდელი შედგენილობაც. სავარაუდოდ, ამ ფორმებშიც ანალოგიურად საქმე უნდა გვექონდეს ფონეტიკურად სახეცვლილ კლასის ნიშნებთან: **-ო < -აჟ (ჭორო)**, **-ე < -აი (ჭერე)**. ფაქტი საგულისხმოა მით უფრო, რომ გამოავლენს მონოფთონგიზაციის პროცესის შედეგს, რაც ჩრდილოური ხუნძურისათვის, სამხრულისგან განსხვავებით, მეტად იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს.

ლიტერატურა

ალექსეევი, ათაევი, მაჰომედოვი მ.ა., მაჰომედოვი მ.ი., მადიევა, საიდოვა, სამედოვი 2012 – М. Е. Алексеев, Б. М. Атаев, М. А. Магомедов, М. И. Магомедов, Г. И. Мадиева, П. А. Саидова, Дж. С. Самедов, Современный аварский язык, Махачкала.

მიქაილოვი 1959 – Ш. И. Микаилов, Очерки аварской диалектологии, Москва-Ленинград.

მიქაილოვი 1964 – Ш. И. Микаилов, Сравнительно-историческая морфология аварских диалектов, Махачкала.

საიდოვა 2008 – П. А. Саидова, Диалектологический словарь аварского языка, Москва.

სიმღერები 1971 – Аваразул къалул кучІдул ва балладаби (Героические песни и баллады аварцев), Махачкала.

უსლარი 1889 – П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание. III. Аварский язык, Тифлис.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 – არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი.

ჰამზათოვი 1970 – Расул Хамзатов, Таса рицарал асарал. I том. КучІдул, Махачкала.

LEVAN AZMAIPARASHVILI

The Gender Peculiarities of Some Morphemes in the Avar Dialects

S u m m a r y

Northern Avar (resp. literary Avar) has the modal particle *-ja* that adds to the imperative forms and gives them more polite tinge, e.g. *habe* “Do it!” but *habe-ja* “Do it if you can!”. The situation is peculiar in the Tokh and Chadakolian subdialects of the Antsukh dialect where the said form (*habe-ja* „Do it if you can!“) of the imperative mood in Northern Avar functionally corresponds to two forms *hubi-lo* (addressing a man) and *hubi-ja* (addressing a woman) – “Do it if you can!”

The said particle *-lo* also has a different modal function in the Southern Avar dialects and subdialects (Antsukh and Hid dialects, some Andalal subdialects and the blended subdialects of Batsad, Shulanib, Untib...). It adds to the verbal forms and conveys a warning, e. g. *rexi-lo: rexi!lo, çodorhi habue!* “Be careful or you will fall down!”. With respect to gender in the Southern Avar dialects and subdialects the particle *-lo* is neutral as well as the modal particle *-ja* of the imperative forms in Northern Avar. The exception is Antsukh where the particle *-lo* confronts with the particle *-ja* even in the forms expressing a warning with respect to the gender just

like in the imperative modal forms, e. g. *wexəʃwan-lo: çodorçə wo'un, wexəʃwanlo!* „Be careful or you will fall down!“ (to a man); cf. *jexəʃwan-ja: wa jas, çaja, jexəʃwanja mun!* „Hey, girl, stop or you will fall down!“.

The Antsukh modal morpheme *-lo* resembles the widespread Avar form of addressing *le* (e. g., *le was!* „Hey, boy!“) that is currently used to address a man but as it turns out it was used to address people in general. The said form *le* has a parallel form for addressing a women *jo* (e. g., *jo jas!* „Hey, girl!“) the phonetic picture of which leads to the idea of distinguishing the mark *j* of II Grammatical Class in it just like it is identified in the words belonging to the class of women, e. g. *j-ac* „a sister“, *j-as* „a daughter“ etc. Nowadays it may be perceived as a form containing the marker of II Grammatical Class but the historical situation is really interesting.

As it seems in the certain period of the history of Avar the addressing forms were not differentiated but later the differentiation according to the gender was required. The first object to mark was a woman and therefore it cannot be a coincidence that in the addressing form *jo* the first component *j* reminds us the formant of II Grammatical Class. It is conceivable that in this case Avar used the existing mean to separate a woman. In addition, in the said addressing form the existence of the Avar forms *wo* and *wa* of addressing and the confrontation to them should have contributed to the emerging of the component *j*. Although the forms *wo* and *wa* are the one addressing men as well as women and the component *w* is not a formant of Class I (a class of men) they still created the background for the reinterpretation and emerging the analogical form *jo*. As for the form *le* that is used to address a man the differentiation with respect to the gender took place later after the separation of the forms addressing women in Avar that opposed the addressing people in general.

Using the morphemes *-lo*, *-ja* with the gender function in the Antsukh modal forms seems to be the later occurrence. In this regard the starting situation should have been preserved in the other dialects and subdialects where the same morphemes show indifference towards the gender.

In order to find out the reason why the modal particles *-lo*, *-ja* took the additional function differentiating a female and a male gender we should pay attention to the fact that the addressing forms *le*, *jo* are often used with the imperative forms. The same can be said about the modal forms expressing a warning. It seems that in Antsukh turning the particle *-lo* into the form marking a male gender was caused under the impact of the addressing form *le* as it was regularly used with the said particle having a close contact with it. The phonetic similarity – the common phoneme *l* in both morphemes – should have contributed to such interpretation.

The modal particle *-ja* is generalized in Northern Avar. It seems that in Antsukh the said particle turned into the marker of the female gender because of the similarity with the particle *-lo* and the controversy with it. The phonetic similarity of the morpheme *-ja* with the formant *j* of the female class also created a favourable condition for that.

ნოდარ არდოტელი

**აორისტის წარმოებისა და რეკონსტრუქციისათვის
ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში¹**

ნამყო ძირითადის (resp. აორისტის, პრეტერიტის) განხილვისას (როგორც აღწერთი, ისე ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით) ჩვენს წინაშე ძირითადად დგას სამი ამოცანა: 1) მოვახდინოთ აორისტის ფორმათა ადეკვატური სეგმენტაცია სათანადო მორფემა-ალომორფთა გამოყოფით; 2) საკვლევ ენათა ცალკეულ ქვეჯგუფებში აღვადგინოთ არქეტიპები და ამგვარი მონაცემები საერთო ფუძემდებულ არქეტიპამდე დავიყვანოთ; 3) ვცადოთ აორისტის არქაულ ფორმათა რელატიური ქრონოლოგიის დადგენა.

აორისტის წარმოებისა და მისი გენეზისის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილია განსხვავებული თვალსაზრისები. კერძოდ, ხუნძურში თემატური **-ა-**, **-ჟ-** მიკუთვნებულია აორისტის **-ნა** დაბოლოებას და მთლიანობაში გააზრებულია ნამყო ძირითადის ნიშნად (უსლარი 1889: 192; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 257; გუდავა 1978: 223...), მაგ.: ბიჩ-ანა „გაყიდა“, ყოტ-ანა „გაჭრა“, ჯამ-უნა „მოიტაცა“, აბ-უნა „უთხრა“ და მისთ.

სამართლიანობა მოითხოვს აინიშნოს, რომ არნ. ჩიქობავა და ილ. ცერცვაძე ნამყო ძირითადის ნიშნად **-ნა** დაბოლოებასაც გამოყოფენ: „მარტივ ნამყოს ერთად-ერთი დაბოლოება აქვს: **-ნა**. ამ დაბოლოებასთან შეიძლება გვეკონდეს თემატური ხმოვანი **-ა-** ან **-ჟ-**. ამრიგად, ნამყოს სრული ფორმანტიპია: **-ა-ნა, -ჟ-ნა**“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 257).

ნ. ტრუბეცკოი, რომელიც წინარე აღმოსავლურ-კავკასიური ენის ზმნური ძირისათვის მონოკონსონანტური (ერთი ჩქამიერი თანხმოვნის შემცველი) პრინციპის დაშვებას ემხრობა, წერს: «В более древнюю эпоху наличие гласного, непосредственно следующего за корневым гласным, было обязательным для всех чечено-лезгинских глагольных форм. Этот гласный можно назвать «тематическим гласным» (ტრუბეცკოი 1987: 325). ნ. ტრუბეცკოის მოსაზრებით, ნახურ-დაღესტნურ ენათა ზმნური ძირი გამოდის CV სტრუქტურისა, რაც ფაქტობრივ თავისებური რეინტერპრეტაციით ფუძეს ეთანაბრება. გარდა ამისა, ე. წ. თემატური ხმოვანი, უღვლილების ტიპებისა და დრო-კილოთა მიხედვით, თვალსაჩინოდ იცვლება, რაც მის უცვლელ მორფოლოგიურ სეგმენტში – ძირში გაერთიანებას ხელს უშლის (შდრ. მაღაევა 2007: 12-13). საგულისხმოა, რომ ნ. ტრუბეცკოი თემატურ ხმოვანს ძირის კუთვნილებად მიიჩნევს (ტრუბეცკოი

¹ ნაშრომი დაკავშირებულია პროექტთან („ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა“ – №31/45), რომელიც განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (იხ. <http://ice.ge/of/?page-id=275>).

1987: 325). მაშასადამე, თემატური ხმოვანი განიხილება არა როგორც მწკირვის ნიშანი, არამედ როგორც მთლიანი პარადიგმის ფუძის საწარმოებელი მორფემა.

ხუნძური ზმნის ოდენხმოვნის თემატური ნიშნებისაგან განსხვავებით, ანდიურ ენებში მწკირვის თემად დასტურდება -C, -VC სტრუქტურის მოდელე-ბი, მაგ.: ბოთლ. ღამ-დ-ე „ჭამს“, გან-დ-ე „ეწევა“, ჳუარ-დ-ე „წერს“...; ანდ. ბე-ტ-ი-დ-ო „ხნავს“, ბი-ხ-ი-დ-ო „ყიდულობს“, ბი-ღ-ი-დ-ო „დგას“ და მისთ.

ზ. მალაევმა ანლაუტური კლასიფიკატორის მიმყოფ ხმოვანს, რომელსაც თავკიდურად თანხმოვანთა თავყრის სუპერაცია ეკისრება, სავსებით სამართლიანად კლას-ნიშანს განაკუთვნებს, მაგრამ მიახლოებით ანალოგიური დანიშნულების თემატურ ხმოვანს – ძირს (resp. ფუძეს). იგი აორისტის საწარმოებელად -ან, -უნ სუფიქსებს გამოყოფს (მალაევა 2007: 101). ეს კი ზმნური ფორმების სტრუქტურული (გრამატიკული) და ფუნქციური (ონტოლოგიური) სეგმენტაციის არათანამიმდევრულობის შედეგია. ზმნურ ფორმათა სეგმენტაციის ამგვარი ნაირგვარობა შეპირობებული ჩანს ფუძისეული და აფიქსისეული ელემენტების ისტორიული ტრანსფორმაციით, რაც საკვლევ ენებში განხორციელდა. ცხადია, ზემოწარმოდგენილი დაყოფა გაუმართლებელია, ვინაიდან თემატური ხმოვანი თემა აფორმებს, ხოლო საკუთრივ -ნა სუფიქს ნამყო ძირითადის წარმოება ეკისრება (ასელდეროვა 2010: 95-100). ნიშანდობლივია, რომ ხუნძური ენის შესახებ ავტორთა კოლექტივის მიერ ახლახან გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ნამყო ძირითადის ნიშნად გამოყოფილია -ნა (ალექსეევი და სხვ. 2014: 213).

ჩვენი თვალსაზრისით, თემატური ხმოვანი მარტივი ფუძის ორგანული ნაწილი ვერ იქნება, რადგანაც მთლიანი პარადიგმის ფარგლებში თვალსაჩინო ცვლილებებს განიცდის. რაც შეეხება რთულ ფუძეს, ცალკეულ დრო-კილოთა წარმოებისას შეიძლება იგი ფუძის ფორმანტადაც მივიჩნიოთ.

მაშასადამე, ხუნძურში ნამყოს თემა ფორმდება -ა-, -უ- ხმოვნებით, ხოლო აორისტის გავრცელებულ და ინოვაციურ ნიშანს -ნა წარმოადგენს.

ვფიქრობ, რომ სალიტერატურო ხუნძურსა და ჩრდილოურ დიალექტში აორისტის ნიშანი -ნა სამართლიანად არის ინოვაციად მიჩნეული (ცერცვაძე 1948: 179; ალექსეევი 1988: 49). რაც შეეხება ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში თავჩენილ აორისტის ფორმებს, ისინი -Ø, -რი (>-რ), -ნ ტრანსფორმირებული სუფიქსებით იწარმოებიან: ანწ. ქუნა-რი (შდრ. სალიტ. ქუნა-ნა „id.“) „შეჭამა“, ჳუა-რი (შდრ. სალიტ. ჳუა-ნა „id.“) „დაწერა“, ქაქა-რი (შდრ. სალიტ. ქაქა-ნა „id.“) „ილოცა“...; ყარახ. თ-ა-რ „დატოვა“, ბუყ-ურ „შეკერა“ და სხვ.

ასანიშნავია, რომ მ. ალექსეევი ხუნძური ენის ერთი რიგის სამხრულ დიალექტებში (ანწ., ჰიდ.) ნამყო ძირითადის ნიშნად გამოყოფს -ა სუფისს და მას არქეტიპად სახავს (ალექსეევი 1988: 48-49). ამ მოსაზრების საპირისპიროდ ილ. ცერცვაძე ჯერ კიდევ 1948 წელს წერდა: „ანწუხური ვარიანტი სხვა არ არის, თუ არა ხუნძახური ვარიანტის გამარტივებული სახეობა: წყვეტილის საწარმოებელ -ანა სუფიქსს მოყვანილ მაგალითებში მოკვეცილი აქვს -ნა“ (ილ. ცერცვაძე 1948: 180). ამ დებულებით მოკლე ფორმები მეორეული ჩანს, მაგ.: ქუა < ქუა-ნა „ჭამა“, ბიჩა < ბიჩა-ნა „გაყიდა“, რეტა < რეტა-ნა „ჩაიცვა“, ყა < ჰყა-ნა „დალია“ და ა. შ.

რაც შეეხება **-რი** სუფიქსით ნაწარმოებ აორისტის ფორმებს, რომლებიც ანწუხურსა და ყარახულში იჩენენ თავს, მათი არქტიპულობა ეჭვს გარეშეა. დიალექტთა მონაცემების ანალიზით ცხადი ხდება, რომ აორისტის საწარმოებელი სუფიქსებიდან არქტიპებს **-რ**-ს შემცველი ნიშნები წარმოადგენენ¹: **-რი** (ანწ., ჭარ.), **-რ** (ყარ., ბაწად.), **-რა-** (ხუნძ. მიმღ.) (ალექსევი 1988: 49; მალაევა 2007: 105).

ხუნძურის ზემომოყვანილ სუფიქსს პარალელი ემებნება ახვახურ ენაში აორისტის **-რი** დაბოლოებასთან, რაც შემთხვევითი არ ჩანს. სხვა ანდიურ ენებს ანალოგიური ფუნქციით განსხვავებული ნიშნები მოეპოვება, რომლებიც სქემატურად ასეთ სახეს იღებს:

ენა	I უღვლ.	II უღვლ.
ანდიური	-ო, -ა	-ონ, -ან
ბოთლიხური	-უ, -ა	-
ლოდობერიული	-ო, -ა	-ო, -ა
ჭამალური	-ო, -ა	-ო, -ა
ტინდიური	-ო	-ო
ბაგვალური	-ო, -ა	-ო, -ა
კარატაული	-ე, -ა	-ე, -ა
ახვახური	-(ე)რი, -(ა)რი	-(ე)ნი, -(ა)ნი

როგორც ზემომოყვანილი სქემა ცხადყოფს, ანდიურ ენათა სინამდვილეში ოდენხმოვნაიანი ნიშნებისთვის არქტიპად **-ა** მიიჩნევა (დიუმეზილი 2015: 137; მალაევა 2007 : 109...). ტ. გუდავას მახვილგონივრული მოსაზრებით, თემატური ნიშანი შეიძლება დაბოლოებათა შემადგენელ ნაწილად იქცეს. იგი წერს: „სპორადულად მართლაც დასტურდება შემთხვევა, როდესაც ზმნის ფუძის ბოლოკიდური **ნ** (ან **მ**) დაბოლოებათა რიგში გადასულა“ (გუდავა 1978: 222). ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ახვახურში, აულ წეგობის მეტყველებაში თავჩენილი ფორმა ყამ-**რა** („შეჭამა“), რომელშიც ნამყო ძირითადის არქაული მარკერია **-რა**. რაც შეეხება ხუნძურისა და ახვახური ენების **-რი** (>**-რ**) სუფიქსს, იგი უნდა უკავშირდებოდეს საკუთრივ დიდოურსა და ჰინუხურ ენებში თავჩენილ ნამყო დროის მიმღობათა **-რუ** სუფიქსს, მაგ.: დიდ. ქნც-რუ „დაძინებული“, ხაცი-რუ „დატოვებული“ და მისთ.

ზემოწარმოდგენილი სუფიქსი **-რი**, თავის მხრივ, პარალელს პოულობს ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტსა (**-ო**) და დიდოური ენის საჰადურ დიალექტში (**-რ**) გამოვლენილ ნამყო განსაზღვრულის სათანადო სუფიქსებთან: **რ** < ***-რი**-**დი** (იმნაიშვილი 1963: 184; არდოტელი 2009: 42-46). ცნობილია, რომ საკუთრივ დიდოურ ენაში ნამყო განსაზღვრულის სუფიქსი ნამიმღობარია, თუმცა საჰადურ დიალექტში დაცულია შედარებით ძველი ფორმები, მაგ.: იტლ-რ „წვიდა“, ნეხხ-რ „მოვიდა“, ცახხ-რ „დაწერა“ და მრ. სხვ.

¹ ეს საკითხი შეიძლება სხვაგვარადაც დაისვას: ანწუხურ და ჭარულ დიალექტებში აორისტის ნიშნად არქტიპი **-რა** დაცულია, ხოლო სხვა დიალექტებში ინოვაცია გვაქვს.

ამავე რიგისა ჩანს ბეჟიტური ნამყო ძირითადის სუფიქსი **-რო** > **-მო** (საკ. ბეჟ.), **-რ** (ჰუნზ.), მაგ.: საკ. ბეჟ. ტუტიდ-რო „ესროლა“//“ნასროლი“, ნილ'ი-რო „მისცა“//“მიცემული“...; ჰუნზ. ჩახე-რ „დაწერა“, ექე-რ „დაეცა“ და ა. შ.. არ არის გამორიცხული ხუნძური აორისტის **-რი/-რ** და ნამყო დროის სუფიქსში (**-რ-ა-ბ**) შემავალი **რ**, სპეციალურ ლიტერატურაში წამოყენებული დებულების კვალდაკვალ, გენეზისურად ერთმანეთს უკავშირდებოდნენ (დიუმეზილი 2015: 138; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 307-308). ჟ. დიუმეზილის, არნ. ჩიქობავასა და ილ. ცერცვაძის ეს მოსაზრება საფუძველს რომ არ არის მოკლებული, ამას აულ წეგობის მეტყველებაში დადასტურებული **-რა** სუფიქსიანი აორისტის ფორმებიც ცხადყოფენ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, აორისტის არქაული **-რი** სუფიქსისთვის საერთო ამოსავალს სწორედ ახვახური ენის სამხრული დიალექტის წეგობის მეტყველებაში დაცული **-რა** წარმოადგენდეს. ამ შემთხვევაში ცხადი გახდებოდა ***ა** არქიფონემის კანონზომიერი გარდაქმნა ბეჟიტურ **ო**-დ (***-რა** > **-რო**), რაც ხმოვანთა კანონზომიერი შესატყვისობის დადასტურება იქნებოდა.

თუ მკაცრი კომპარატივისტული საზომით მივუდგებით, მაშინ ნამყო ძირითადის არქეტიპული ნიშანი შეიძლება დაიშალოს შემადგენელ ელემენტებად. კერძოდ, პირველი ელემენტი **რ** შეიძლება თემის რეინტერპრეტირებულ ნიშანს დაუკავშირდეს, ხოლო **ა** რეკონსტრუირდეს როგორც აორისტის საკუთარი ნიშანი.

აღსანიშნავია, რომ II უღვლილების ზმნები, რომელთაც საკუთრივ ანდიურ და ახვახურ ენებში კარგად აქვთ დაცული აორისტის ფორმები, დიდოური ენებიდან ბეჟიტურ და ხვარშიულ ენებში (ნაზალიზაციის სახით), რელიქტურად არიან შემონახული. მასთან, აორისტის ფორმებში ხუნძური თემატური ხმოვნების ადგილას ანდიური ენები კატეგორიალურ ნიშანს გვიჩვენებენ, რაც მათ არქეტიპულობას ამტკიცებს, მაგ.: ხუნძ. ბიც-**ან-ა** : ანდ. ბის-**ონ** : ბოთლ., კარ., ჭამ., ბაგვ. ბას-**ა** : ტინდ ბას-**ო** : ახვ. ბაჩ-**ან-ა** : ბეჟ. ნის-**ორ-ო** (<* ნის-**არ-ო**) „უამბო“, „მოუთხრო“ და სხვ.

ლიტერატურა

ალექსეევი 1988 – Алексеев М. Е., Сравнительно-историческая морфология аваро-андийских языков. Москва.

ალექსეევი და სხვ. 2014 – Алексеев М. Е., Атаев Б. М., Магомедов М. А., Магомедов М. И., Мадиева Г. И., Саидова П. А., Самедов Дж. С., Современный аварский язык. Махачкала.

არდოტელი 2009 – ნ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა. თბილისი.

გუდავა 1978 – ტ. გუდავა, აწმყოს წარმოება ანდიურ ენებში და ზმნის საუღლებელი ფუძის ზოგიერთი საკითხი. – იკვ, XX. თბილისი.

დიუმეზილი 2015 – ჟ. დიუმეზილი, შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში. თბილისი.

იმნაიშვილი 1963 – Имнайшвили Д, С., Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками. Тбилиси.

მალაევა 2007 – Маллаева З. М., Глагол аварского языка. Махачкала.

ტრუბეცკოი 1987 – Трубецкой Н, С., Избранные труды по филологии. Москва.

უსლარი 1989 – Услар П. К., Этнография Кавказа. Языкознание. III. Аварский язык. Тифлис.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 – არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა. თბილისი.

ცერცვაძე 1948 – ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი. – იკე, II. თბილისი.

NODAR ARDOTELI

On the Derivation and Reconstruction of the Aorist in the Avar-Andi-Dido Languages

S u m m a r y

In the special literature there are different points of view about the derivation of the aorist and its genesis: a) In Avar the thematic **-i-** and **-u-** belong to the ending **-na** of the aorist and in general it is considered as a marker of the basic past tense (P. Ulsar, Arn. Chikobava, I. Tsertsvadze, T. gudava); b) the suffixes **-an** and **-un** are distinguished to derive the aorist (Z. Malaeva); c) the function of deriving the basic past tense forms is performed by the suffix **-na** (R. Aselderova).

The analysis of the data of the Avar language dialects makes it clear that among the suffixes deriving the aorist the archetypes are the ones including **-r**: **-ri** (Antsukh, Char), **-r** (Batsadin), **-ra-** (Avar participle).

In the Andi languages **-a** is considered to be the archetype of the one vowel markers (G. Dumezil, Z. Malaeva). The Avar and Akhvakh suffix **-ri** (> **-r**) can be related the suffix **-ru** of the past participles in the Dido and Hinukh. In turn, the latter finds the parallel with the relevant suffixes **ī** < ***-ri** < ***-di** of the past simple tense in the Inkhokwari dialect of the Khwarshi language (**-i**) and the Sahada dialect of the Dido language. The suffix **-ro** > **-jo** (of Bezhta itself), **-r** (Hunzib) of the basic past tense in Bezhta should belong to the same group. It is possible that the suffix of the Avar Aorist **-ri/-r** and **r** as a part of the past tense suffix (**-r-a-b**) are associated with each other (G. Dumezil, Arn. Chikobava, I. Tsertsvadze). The archaic suffix of the aorist **-ri** can have been derived from the suffix **-ra** of the Tsegob speech of the Southern dialect of the Akhvakh language. In this case it would be clear that the archiphoneme ***a** have logically became the Bezhta **o** (***-ra** > **-ro**).

მანანა ბუკია

**ენობრივი ინტერფერენცია სამურზაყანოს
ტოპონიმიაში**

ტოპონიმია ენის ყველაზე ძველი შრეობრივი პლასტია, შესაბამისად, მისი ანალიზი მეცნიერებისთვის ძალიან ბევრ საინტერესო კითხვაზე იძლევა პასუხს.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სამურზაყანოს ტოპონიმია, სადაც ყველაზე მძლავრადაა წარმოდგენილი ენობრივი ინტერფერენცია. სახეზეა მკვეთრად გამოხატული ბილინგვიზმი.

ცნობილია, რომ სამურზაყანოში აფხაზურენოვანი ეთნოსის დასახლება მოხდა მე-18 საუკუნის დასაწყისში, როცა აფხაზეთის სამთავრო კარის წარმომადგენელმა ყვაპუ შერვაშიძემ ენგურსა და ღალიძგის შორის მდებარე ტერიტორია სამემკვიდრეოდ გადასცა თავის ვაჟს, მურზაყანს. სწორედ ამ მურზაყანს უკავშირდება რეგიონის სახელწოდება **სამურზაყანო**. მურზაყანმა თავის მამულში ჩამოსახლა აფხაზები, ამის შედეგად გვერდიგვერდ აღმოჩნდა ქართველურენოვანი (მეგრული) და აფხაზურენოვანი მოსახლეობა. აფხაზებმა შექმნეს მათთვის ენობრივად გასაგები ან შესაბამისად მოტივირებული გეოგრაფიული სახელები.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ აფხაზური ელემენტი სამეგრელოს უკიდურესი აღმოსავლეთის (მარტვილის რ-ნი) ტოპონიმიაშიც არის წარმოდგენილი, მაგ.: **აბურაშ წყურგილი**, ზედმ. „ბოსლის წყარო“ – წყარო აბურაში, შებეს მარცხ. შენაკადი (მარტვილი, ალერტი), სადაც **აბურა** (მეგრ.) < **აბორა** (აფხ.) „მსხვილფეხა საქონლის სადგომი“ (არშბა 1980: 15), **წყურგილი** (მეგრ.) „წყარო“ (ყიფშიძე 1914: 385); **ზაქარაშ ამმახუ** – მინდორი აფიცარას სამხრ. კალთაზე, ჭეჭყის ქვემოთ (მარტვილი, სალხინოს სატყეო), **ცორადილი ამმახი**, ზედმ. „დამპალი გუბურა“ – გუბურა-საფლობი ნათურქუში (მარტვილი, სალხინოს სატყეო). ორენოვან ტოპონიმებში **ამმახუ / ამმახი** (მეგრ.) ნასესხებია აფხაზურიდან **ა-მმახ** „ჭანჭრობი“ (ჯანაშია 1954: 375); **ნააფუნ(უ) / კოლიაშ ნააფუნ(უ)** – ტყე-სამოვარი ქვიზიაში, შონფონთან (მარტვილი, სალხინოს სატყეო), **აფუნ** (მეგრ.) < **ააფუნ** (აფხ.) „გაზაფხული“ (ჯანაშია 1954: 6). მეგრულში **სააფუნო** „საქონლის საზაფხულო ან საშემოდგომო სამოვარია“ (ცხადაია 2012). ამ შემთხვევაში ენობრივ ინტერფერენციაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ეს ტერმინები მწყემსების მიერაა ჩამოტანილი, შემდგომ კი ტოპონიმებად გაფორმდა (შევნიშნავთ, რომ სამეგრელოს აღმოსავლეთში გავრცელებული აფხაზური ტოპონიმები მესაქონლეობას უკავშირდება).

ჩვენს ხელთ არსებული სამურზაყანოში წარმოდგენილი ქართველურ-აფხაზური ტოპონიმები რამდენიმე ჯგუფს ქმნის (ტოპონიმოკური მასალები ამოღებულია პ. ცხადაიას წიგნიდან „სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (ცხადაია 2003).

გვხვდება სინონიმური ტოპონიმები (ერთ გეოგრაფიულ პუნქტს ჰქვია იდენტური ქართველური და აფხაზური სახელი). ეს ტერმინები კალკირების გზით არის შექმნილი. მათ რიცხვი ყველაზე მეტია და 80–ზე მეტი ერთეულითაა წარმოდგენილი:

ადაღთრა / ოგორდე – სახნავი, ეტიმ. „საბაყაყე“; შდრ. **ა-დაღ** (აფხ.) „ბაყაყი“ (ჯანაშია 1954: 93), **გორდი** (მეგრ.) „ბაყაყი“ (ყიფშიძე 1914: 219);

ათგრქეიკვარა / თურქიშ ღალ „თურქის ღელე“ (აფხ., მეგრ.) – აყვარათბის მარჯ. შენაკადი (კობორა, ლეკუმხარა). შდრ. **ა-თგრქა** (აფხ.) „თურქი“ (ჯანაშია 1954: 129), **ა-კარა** (აფხ.) „ღელე“ (ჯანაშია 1954: 152); **ღალი / ღალგ** (მეგრ.) „ღელე“ (ყიფშიძე 1914: 349);

აპაპა(ი)კვარა / პაპაშ წყარი – ოქუმწყარის მდგენელი, ეტიმ. „მღვდლის წყალი“; მღვდლის აღმნიშვნელი **ა-პაპ** აფხაზურს მეგრულიდან აქვს შეთვისებული (ჭარაია 1912: 10). **(ა)კარა** იხ. ზემოთ.

აბგახუკი / ჰიჭე ტურა – ბორცვი ნარჯხეუს სერის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ეტიმ. „პატარა მელა, ტურა“; აფხაზურში **ა-ბგა** საერთო სახელია მგლის, ტურის, მელიასი (ჯანაშია 1954: 65), ხოლო **ა-ბგახუკე** „ტურას“ აღნიშნავს (იქვე). საკუთრივ **ა-ხუკე** „პატარას“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 426); მეგრული ტოპონიმიც „პატარა ტურას“ ნიშნავს.

არანაპიხ / არანაშ წყურგილი – წყარო, ქვაღეის ერთ-ერთი სათავე (ნარჯხეუ). ეტიმ. „არანას წყარო“; **არანა** პირსახელია, **ა-მგნ** (აფხ.) „წყარო“ (ჯანაშია 1954: 378), **წყურგილი** (მეგრ.) „წყარო“ (ყიფშიძე 1914: 349);

არადუ / დიდნემი ზედმ. „დიდი კაკალი“ – მინდორი, „ჯარობის“ ადგილი წარჩის მარჯ. მხარეს (ჩხორთოლი); **ა-რა** (აფხ.) „კაკალი“ (ჯანაშია 1954: 229); **ა-დგუ** (აფხ.) „დიდი“ (ჯანაშია 1954: 96); **ნემი** (მეგრ.) „კაკალი“ (ყიფშიძე 1914: 288);

ლოგუა რხუ / ლოგუეფიშ სუკი „ლოგუების ბორცვი“ – ბორცვი თომიკვარასა და ბარზალკვარას შუა (ჯგერიანი). **ა-ხუგ** (აფხ.) „გორაკი, ბორცვი“ (ჯანაშია 1954: 418); **სუკი** (მეგრ.) „გორაკი“ (ყიფშიძე 1914: 320);

აყვარა / რეყე – სახნავები ღალიძგის ნაპირას (კაციჰაბლა); **ა-ყარა** (აფხ.) „რიყე“ (ჯანაშია 1954: 315); **რეყე** (მეგრ.) „რიყე“ (ყიფშიძე 1914: 305).

ბარდლუ იპაქვა / ბარდლუშ სხული – შესასვენებელი ადგილი მთის გზის დასაწყისში (ჩხორთოლი); **ბარდლუ** პირსახელია, **ა-ჰა** (აფხ.) „მსხალი“ (ჯანაშია 1954: 451), **სხული** (მეგრ.) „მსხალი“ (ყიფშიძე 1914: 325). ტოპონიმი ნიშნავს „ბარდლუს მსხალს“.

გედლაჩ ინაარა / გედლაჩიშ ფერდი – ფერდობი ქაცვარკვარის მარც. მხარეს (ამხიდა, აგუბედიის თემი). **გედლაჩ** პირსახელია. **ა-ნაარა** (აფხ.) „ფერდობი“ (ჯანაშია 1954: 201), **ფერდი** (მეგრ.) „ფერდობი“ (ჭარაია 1997: 135).

ერთი და იმავე ობიექტის აღსანიშნავად გვხვდება პარალელური ტოპონიმები, რომლებიც განსხვავებულადაა მოტივირებული (მათი რიცხვი შედარებით ნაკლებია):

აბაბჟარაშდული / ოქუალონი – ტყე-ფერდობი აბაბჟარაში (მ. კოპიტი). პირველი ვარიანტი ჰიბრიდულია: აფხაზურენოვან ტოპონიმს (**აბაბჟარა** „ციხეთაშუა“ (აფხაზ.) დართვია მეგრული **დული** „თავი“ ინდიკატორი; მეორე ვარიანტი **ოქუალონი** „ქვავენარი“ მეგრულია.

ახსრაკვარა / სამაჯინო – ოქუმწყარის მარც. შენაკადი და მისი ხეობა (მთა). პირველი ვარიანტი აფხაზურია: **ა-ფსრა** „სიკვდილი, გაქრობა“ (ჯანაშია 1954: 279), **ა-კარა** (აფხ.) „ღელე“ (იხ. ზემოთ), ტოპონიმი ზედმიწევნით „სიკვდილის მდინარეს“ ნიშნავს, მეორე ვარიანტი მეგრულია: **მაჯინე / მაჯინე** „მონადირე“ (ჭარაია 1997: 92), **სამაჯინო** „ადგილი, სადაც მონადირე უსაფრდება ნადირს“.

აპა(ფ)ძიხ / ტემიშიშ წყურგილი – წყარო, წყურგილიშ დალის სათავე აბაჟუში (ნარჯხეუ). **ა-პაფე** (აფხ.) „გამოქვაბული, მღვიმე“ (ჯანაშია 1954: 454), **ა-ძეხ** (აფხ.) „წყარო“ (იხ. ზემოთ), ზედმ. „მღვიმის წყარო“, მეგრულ ტოპონიმში **ტემიში** პირსახელია, წყურგილი კი „წყარო“.

სოლომკაა რხუ / სოლომკეფიშ ნოხორი – ბორცვი ბარხალკვარის მარც. ნაპირას, სადაც ცხოვრობდნენ უკრაინელები, გვარად სოლომკო (ჯგერიანი). პირველი ვარიანტი აფხაზურია და ნიშნავს სოლომკოს ბორცვს – **ა-ხე** (აფხ.) „გორაკი, ბორცვი“ (იხ. ზემოთ). მეორე ვარიანტი მეგრულია და ნიშნავს სოლომკოს ნასახლარს – **ნოხორი** „ნასახლარი“ (ჭარაია 1997: 105).

ტოპონიმთა ერთ ჯგუფს ქმნის ჰიბრიდული სახელები – კომპოზიტური ან სინტაგმური შესიტყვებით მიღებული გეოგრაფიული სახელები, სადაც ან მორფემებია ნასესხები, ან სინტაგმის ერთ-ერთი წევრი:

ალაჰვარაშ სუკი – მინდორი ნარჯხეუს სერის კალთაზე (ნარჯხეუ), ზედმ. „საცეხელის სერი“ – **ალაჰვარა** (აფხ.) „საცეხელი“ (ჯანაშია 1954: 173), **სუკი** (მეგრ.) „სერი“ (ყიფშიძე 1914: 320);

გორღამილი ახრა – კლდე მთაში, ზედმ. „დაღარული კლდე“ – **გორღამილი** (მეგრ.) „დაღარული, ღრმად ჩაჭრილი, ჩახეული, ჩახრამული“ (ქობალია 2010: 197), **ახრა** (აფხ.) „ციცაბო კლდე“ (ჯანაშია 1954: 416);

დათაშ აფთვრა – ტყე ოისგრეში, ზედმ. „დათას სადგომი“ – **დათაშ** (მეგრ.) „დათასი“, **აფთვრა** (აფხ.) მწყემსების საზამთრო სადგომი“ (ჯანაშია 1954: 6);

ახეფორხუ – ტყეს ერქვა სარიგვაში (ოქუმი). **ა-ხა** (აფხ.) „წაბლი“ (იხ. ზემოთ); **ფორხუ** (მეგრ.) „დაქცეული, დაჩიავებული; დაფეხვილი; ხეიბარი“ (ქობალია 2010: 628);

გვაჯიშ ჩაითრა – ჩაის ფართობი ჯოჯიშკვარის ნაპირას (ოხოჯა). **ა-ჩა-ირთრა** (აფხ.) „საჩაიე (ფართობი)“ (ჯანაშია 1954: 341);

ნოჯხეუშ აკუდელი – გორა, ნოჯხეუს დაბალი განშტოება ქოლეს სათავესა და ოტაფის ზემო წელს შუა (ნარჯხეუ). **აკუდელი** (აფხ.) < **კუდელი** (მეგრ.) „კუდი“.

ჩანთაშ აძიხ „ჩანთას წყარო“ – წყარო უჩან ირაში (პატრახუწა, აგუბედის თემი).

დასტურდება კომპოზიტური, ან სინტაგმური ტოპონიმები, რომლის ყველა ნაწილი აფხაზურია, მაგრამ მორფემა ან კონსტრუქცია ქართველურია:

აბმაკვარაშ ახრა – ჭიუხები აბმაკვარის სათავესთან (მთა). – **ახრა** „კლდე“ (აფხ.), **აკვარა** „ღელე“ (აფხ.), კომპოზიტის ორივე ნაწილი აფხაზურია, მაგრამ მართული მსაზღვრელი მეგრულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით;

არაზატუშ ალფუ – ხევი ატაზატუში – **არაზატუ** (აფხ.) „ეული კაკალი“, **ალფუ** (აფხ.) „ხრამი“, ქართველური ატრიბუტული სინტაგმა.

ბერზოა(ჰა)ფუ / ბერზუჰაფუ / ბერძო(ჰ)აფუ „ბერზოს მღვიმე“ (აფხ.) – ხეობა, სამოვარი აშთის დასავლეთით (მთა). **ბერზო** პირსახელია. სავარაუდოა: ა. აფხაზურ ტოპონიმს მეგრულის ფონეტიკური იერი აქვს მიღებული. ბ. **ა-ჰაფუ** მეგრელთა მეტყველებაშიც არის შესული. ამიტომაც არაა გამორიცხული: **ბერზოშ აჰაფუ > ბერძოაჰაფუ**. იხ. ბერძოა(ჰ)აფუშ წყარი.

აფხაზურ-მეგრულ ენობრივ ინტერფერენციას შეუქმნია ტოპონიმის ფონეტიკურად ადაპტირებული ფორმაც:

ოტაფი / ვატაფ – დალიძის მარც. შენაკადი და მისი ხეობა. იწყება ნარჯხეუს სერის სამხ. კალთაზე (ატიშადუ, საჩაჩხალია). თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს **ოტოფე**, რაც მეგრულში ნიშნავს სატოფე (ტოფობის) ადგილს (ამ მდინარის შუა წელამდე ამოდის თევზი ქვირითის დასაყრელად). **ვატაფ** აფხაზურ ენაზე ადაპტირებული ვარიანტია.

(ა)**კვალაშანი / კოლოშანი** – ტყე ქვალის მარჯ. მხარეს (ნარჯხეუ). **კოლოში** (>**კვალაში**) ყურძნის ჯიშია მეგრულში. -ან (< ონ) მეგრულში კრებითობის სახელების მაწარმოებელი სუფიქსია. მამასადამე, ტოპონიმის თავდაპირველი ფორმაა **კოლოშანი < კოლოშონი**, ხოლო **აკვალაშანი** მისი გააფხაზურებული ვარიანტია, რომელსაც აფხაზურ ნიადაგზე ეტიმოლოგია არ ემეზნება. მდრ.: **აკალოშრა** – ხევი ჯუხუს მარც. მხარეს.

აჯმანწვარა / ჯიმანწვარა „სადაც თხები გაწყდა“ (აფხ.) – სერი ოხოჯის სათავესთან (აძხიდა, ტყვარჩელის თემი). აფხაზურმა ფორმამ განიცადა ფონეტიკური ცვლილება და გახდა „ქართველური“ – **ა-ჯმა**-ში გაჩნდა „ზედმეტი“ ი – მეგრული ფონოტაქტიკის შესაბამისად, შეიქმნა მარცვალი, ასევე დაიკარგა აფხაზური ზოგადობის ა- ნიშანი. მეგრული ფორმა შინაარსისგან დაცლილია.

ლიტერატურა

არშბა 1980 – Н. В. Аршба, Словарь животноводческих терминов. Абхазско-русский, русско-абхазский. Сухуми.

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ყოფშიძე 1914 – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем.. С-ПБ.

ცხადაია 2003 – პ. ცხადაია, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელები, თბილისი.

ცხადაია 2012 – პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელები, მარტვილი.

ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

MANANA BUKIA

Linguistic Interference in Samurzakano Toponyms

S u m m a r y

Toponymic material has a special importance to study the lingual relations. The linguistic interference is quite interesting in Samurzakano where the Georgians and the Abkhazians lived side by side after the certain political events.

In the bilingual environment the parallel toponyms, bilingual forms and geographical names lacking the importance after the phonetic adaptation has emerged.

One part of the toponyms was produced through the loan translation, e. g. **adaytra** / **ogorde** – an infield, etym. „a place for frogs“; cf. **a-dagʻ** (Abkh.), **gordi** (Megr.) – „a frog“.

In some cases a place is called Georgian and Abkhazian names but the motivation of giving a name is different, e. g. **ababžarašdudi** / **okualoni** - a forest-slope in Ababzhara (M. Kopit). The first variant is hybrid: The Abkhazian toponym **ababžara** is added by the Megrelian indicator **dudi** (a head). The second variant **okualoni** is Megrelian. There can be found toponyms that include borrowed morphemes or a part of Syntagm, e.g. **alaharaš suki**; **goryamili axra**.

A part of the toponyms is phonetically adapted and semantically empty, e. g. **ažmançvara** “a place where the goats were slaughtered (Abkhaz.) / **žimançvara**.

თეა ბურჭულაძე

ზოგი სახის სინტაგმათა გამოყოფის საკითხები

წინადადებაში გამოიყოფა სინტაქსური წყვილები, ანუ ისეთ სიტყვათა წყება, რომლებიც ერთმანეთთან გარკვეულ დამოკიდებულებაში არიან. მათი შესწავლა კი გულისხმობს იმის გაანალიზებას, თუ რა სახის სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულებაა მათ შორის. ნებისმიერი სინტაქსური ჯგუფი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სინტაგმას. ისაა უმცირესი სინტაქსური ერთეული, რომელიც ემყარება ორ სიტყვას შორის სინტაქსურ ურთიერთობას. ასეთი ურთიერთობა კი, როგორც ცნობილია, გამოიხატება შეთანხმებით, მართვით ან მირთვით. სინტაგმას ქმნიან ერთმანეთთან შეკავშირებული სიტყვები, შეკავშირება კი მხოლოდ წყვილებს შორის შეიძლება არსებობდეს (კიზირია : 241).

სიტყვათშეკავშირება შედგენილობის მიხედვით სხვადასხვა სახისა შეიძლება იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ შესიტყვებაში შეიძლება შედიოდეს: 1. უფორმო სიტყვა და სახელი; 2. უფორმო სიტყვა და ზმნა; 3. სახელი და ზმნა. ყველაზე მეტი შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით სახელსა და ზმნას მოეპოვება, რადგან ისინი ფორმით ყველაზე მრავალფეროვანნი არიან. შესაბამისად, მათ ურთიერთდამოკიდებულებაში ყველაზე რთული სინტაქსური ურთიერთობაა (ჩიქობავა : 99).

„სინტაქსური მიმართების ძირითადი ენობრივი საშუალებებია: ფორმა სიტყვისა, დამხმარე სიტყვები, სიტყვათა განლაგება (რიგი) და ინტონაცია“ (კვაჭაძე : 11). ამასთან ერთად სინტაქსური კავშირისათვის ქართულ ენაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვის გრამატიკულ ფორმას. როგორც ცნობილია, შესიტყვებათა მიმართებაში გარკვეულ როლს თამაშობენ თანდებულებიც. მათი მეშვეობით სახელი ამყარებს სინტაქსურ კავშირს სხვა სიტყვასთან.

სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია: ზოგჯერ სინტაგმის ერთი წევრია გაბატონებული და მეორე – მასზე დაქვემდებარებული, ანუ ცალმხრივი დაქვემდებარება (სუბორდინაცია), ზოგჯერ კი სინტაგმებში უფრო რთული ურთიერთმიმართებაა, როცა დაქვემდებარება საურთიერთოა, ორმხრივი (კოორდინაცია) (კვაჭაძე : 19).

სინტაგმათა შედგენილობა სამგვარია. გამოიყოფა სამი ძირითადი ტიპი: სახელური, ზმნური და ზმნიზედური. როგორც აღნიშნავენ, სახელურ სიტყვათა შეკავშირება თავის მხრივ ოთხგვარია: სუბსტანტიური, ადიექტიური, რიცხვითსახელური და ნაცვალსახელური (კვაჭაძე : 34). სიტყვათშეხამებაში სინ-

ტაქსური ურთიერთდამოკიდებულების სახეებია შეთანხმება, მართვა თუ მირთვა. ა. დავითიანი მიიჩნევს: ის „არაა არც წმინდა სინტაქსური, არც წმინდა მორფოლოგიური, არც წმინდა ლექსიკურ-სემანტიკური ოდენობა. ჩვენ იგი მივიჩნიეთ შუალედურ ენობრივ ერთეულად ლექსიკურ-მორფოლოგიურსა და სინტაქსურ დონეთა შორის: ლექსიკურ-მორფოლოგიური დონის მაღალი რიგის, ხოლო იმავე დროს სინტაქსური დონის დაბალი რიგის ერთეულად“ (დავითიანი : 251). აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენთვის ეს მოსაზრება არაა მართებული – **სინტაგმებში თანაბარია ლექსიკურ-მორფოლოგიური და სინტაქსური დონე**. ერთიმეორის გარეშე შეუძლებელია სინტაქსური წყვილის გამოყოფა. წყვილის წევრები ერთმანეთს უკავშირდებიან გარკვეული გრამატიკული (სინტაქსური) თუ აზრობრივი ნიშნით. სწორედ ამიტომ, რომ ნებისმიერი სინტაქსური ჯგუფი არ შეიძლება დაედოს საფუძვლად სინტაგმას, აუცილებელია, რომ ისინი ერთმანეთს **სინტაქსური ნიშნით** უკავშირდებოდნენ.

სინტაგმათა გამოყოფის პრინციპები სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებულია, თუმცა ზოგ შემთხვევაში გარკვეული ფორმები დასაზუსტებელი და გასაანალიზებელია. ჩვენი კვლევა ეხება ისეთ სინტაგმებს, რომლებშიც ორივე წევრი სახელია და ამათგან ერთი თანდებულიანი ფორმითაა წარმოდგენილი. მაგალითად: დიდ ბალიშში ჩარგო თავი; ვიწრო გზაზე გაიარა; ჭრელი კაბისათვის არც შეუხედავს; მანქანა პატარა მოსახვევამდე გააჩერა. მოყვანილ მაგალითებში ჩვენ გამოვყოფთ სინტაგმებად შემდეგ სიტყვათშეკავშირებებს: **დიდ ბალიშში, ვიწრო გზაზე, ჭრელი კაბისათვის, პატარა მოსახვევამდე**. ჩვენთვის ისინი სინტაგმებია, რადგან მათ შორის არის როგორც აზრობრივი, ისევე სინტაქსური კავშირი. აქ მათ შესაბამისი გრამატიკული გამოხატულება აქვთ. ზოგადად, თანდებული უკავშირდება რომელიმე გარკვეულ ბრუნვას, ანუ ესა თუ ის თანდებული, რომელსაც თავად საერთოდ არა აქვს ბრუნვის კატეგორია, სახელისაგან მოითხოვს ამა თუ იმ ბრუნვას (გეგუჩაძე : 22). ერთი მხრივ, **-ში, -ზე** თანდებულიანი სახელის შემთხვევაში სინტაგმის პირველი წევრი შესაბამის მიცემით ბრუნვაში დგას, **-თვის** თანდებულიანი სახელთან – ნათესაობით ბრუნვაში, ხოლო **-მდე** თანდებულის შემთხვევაში ვითარებითის ფორმითაა, ასევე **-დან** თანდებულისას შესაბამისი წყვილის წევრი მოქმედებითი ბრუნვითაა წარმოდგენილი. მეორე მხრივ კი მათთან დაკავშირებული სინტაგმის მეორე წევრი სათანადო ბრუნვითაა ასახული:

- მართალი კაცივით – ორივე სახელობით ბრუნვაშია
- ლამაზ შენობასთან – ორივე მიცემით ბრუნვაშია
- დიდ ბალიშში – ორივე მიცემით ბრუნვაშია
- ვიწრო გზაზე – ორივე მიცემით ბრუნვაშია
- ჭრელი კაბისათვის – ორივე ნათესაობით ბრუნვაშია
- მაღალი ქალისაგან – ორივე ნათესაობით ბრუნვაშია
- ვიწრო ქუჩისაკენ – ორივე ნათესაობით ბრუნვაშია
- უზარმაზარი სახლიდან – ორივე მოქმედებით ბრუნვაშია
- პატარა მოსახვევამდე – ორივე ვითარებით ბრუნვაშია

რა სინტაქსური კავშირია მოყვანილ სინტაგმათა შორის? წარმოდგენილია ერთი ბრუნვისნიშნისანი სახელი და მეორე თანდებულდართული ფორმა. მართალია მოყვანილ შესიტყვებებში ორივე სახელი ერთი ბრუნვითაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს ბრუნვაში შეთანხმების შემთხვევა არაა, რადგან მეორე თანდებულისანი წევრია და, ამასთანავე, გარემოება – ვფიქრობთ, დასახელებულ სინტაგმებში **მირთვია – უთანდებულო სახელს მიერთვის თანდებულდართული წევრი** (გარემოება). სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავდნენ მირთვის ისეთ შემთხვევებს, როცა ზმნას მიერთვოდა უფორმო სიტყვა – ზმნიზედა, ან ზმნიზედის წყებაში ჩამდგარი თანდებულისანი სახელი. სახელი წამყვან სიტყვად წარმოდგენილია **ძალიან დიდი, ოდნავ წითელი, უფრო ნელა** ტიპის ფორმებში. მკვლევარები შენიშნავენ, რომ ზმნიზედა, გარდა ზმნისა, შეიძლება მიერთოს ზმნიზედასაც და ზედსართავ სახელსაც: **მეტისმეტად გონიერი, ძალიან გვიან** (გეგუჩაძე : 27). ვფიქრობთ, ჩვენ მიერ დასახელებულ სინტაგმებში სწორედ მსგავსი შემთხვევები გვაქვს. გარდა ამისა, მოყვანილი სიტყვათშეკავშირებები სინტაგმებია იმ პრინციპის მიხედვითაც, რომ მასში შემავალი კომპონენტები წინადადების წევრები არიან. ამიტომაცაა, რომ თუ ისინი გვხვდება, მაგალითად, მარტივ წინადადებაში, ტრადიციულად, წინადადების რამდენი წევრიცაა, ერთზე ნაკლები სინტაგმა გამოიყოფა:

ის მართალი კაცივით იქცევა (წინადადება ოთხი წევრისაგან შედგება):

1. ის იქცევა
2. კაცივით იქცევა
3. **მართალი კაცივით**

ან კიდევ:

მანქანამ პატარა მოსახვევამდე ძლივს მიაღწია (წინადადებაში ხუთი წევრია):

1. მანქანამ მიაღწია
2. **პატარა მოსახვევამდე**
3. მოსახვევამდე მიაღწია
4. ძლივს მიაღწია

მოყვანილ ნიმუშებში ჩვენ არ გამოვყოფთ სამწევრა სინტაგმებს: **მართალი კაცივით იქცევა ან პატარა მოსახვევამდე მიაღწია...** მართალია, ზოგადად სინტაგმებში გვხვდება სამწევრა ფორმები (ხის ქვეშ დაჯდა, კაკლის გვერდზე თამაშობდნენ...), მაგრამ, როგორც ცნობილია, ისინი იმიტომ გამოიყოფა ერთ სინტაგმად, რომ „ნაწილაკები და თანდებულები წინადადების ცალკე წევრებად არ გამოიყოფიან, ამიტომ ისინი სინტაგმის კომპონენტები არ შეიძლება იყვნენ“ (კიზირია : 213). თანდებულები და თანდებულების ფუნქციით გამოყენებული სახელები კი არიან არა წყვილის ცალები, არამედ – წყვილის ცალის შემადგენელი ნაწილები (გეგუჩაძე : 23). ჩვენს შემთხვევებში თანდებულები შერწყმულია და სათანადო სახელთან ერთად დამოუკიდებლად იღებენ მონაწილეობას სინტაგმის სინტაქსურ ურთიერთობაში.

ცხადია, აქ დადგება უბრალო დამატების საკითხიც. მოყვანილი ტიპის სინტაგმებში თუ მეორე თანდებულიანი წევრი **უბრალო დამატებაა** (ჭრელი **კაბისათვის**, საინტერესო **ფილმისათვის**...), მაშინ ისინი **მართულ-შეთანხმებულნი** იქნებიან – სინტაგმის პირველი წევრი იმ ბრუნვაშია, რომელშიც მეორე და ამავე დროს თანდებული მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში (**კაბის-ათვის**, **ფილმ-ის-ათვის**). აქ შუალობითი მართვაა. გარდა ამისა, სინტაგმის წევრებს შორის შეთანხმებაა ბრუნვაში: **ჭრელ-ო კაბ-ის-ათვის** (ორივე ნათესაობით ბრუნვაშია). საკითხისადმი მიდგომა ისეთივეა, როგორც მოყვანილ თანდებულთან წევრთა ზმნასთან მიმართებისასა – გარემოება მიერთვის ზმნას, უბრალო დამატებასა და ზმნა-შემასმენელს შორის მართვაა. სინტაგმებიც შესაბამისად გამოიყოფა:

მას საინტერესო ფილმისათვის უცქერია (წინადადება ოთხი წევრისაგან შედგება):

1. მას უცქერია
2. **საინტერესო ფილმისათვის**
3. ფილმისათვის უცქერია

ჩვენ ვემხრობით იმ ავტორებს (ა. კიზირია, ლ. კვაჭაძე), რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მართვა-შეთანხმების ფორმებში ნათესაობითის ფორმა მართვით არის გამოწვეული, მიცემითისა – შეთანხმებით. ოღონდ ჩვენს მაგალითებში საქმე გვაქვს არა ამ ტიპის მართვა-შეთანხმებასთან, არამედ ისეთ შემთხვევებთან, როცა აშკარაა ბუნვაში შეთანხმება, ხოლო სინტაგმის მეორე წევრის თანდებული მართავს სახელს ბრუნვაში (შუალობითი მართვა).

შინაგანი მართვის შესახებ არსებობს მოსაზრება, რომ ის არ შეიძლება განხილულ იქნეს სინტაქსური დონის მოვლენად, რადგან სინტაქსური მოვლენა მხოლოდ წევრთა შორის ურთიერთობას გულისხმობს. თანდებულიანი სახელი კი ერთ ფუნქციურ ერთეულად, ანუ წინადადების ერთ წევრად გვევლინება. ამ მხრივ განსხვავებულია ზმნიზედები, რომლებიც თავიანთი ძირითადი ფუნქციის გარდა ხშირად თანდებულთა როლშიც წარმოდგებიან ხოლმე (დავითიანი : 289). ჩვენი თვალსაზრისით, შუალობითი მართვა სინტაქსური მოვლენაა. მართალია ის ცალკე ფუნქციური ერთეული არაა და სახელთან ერთად წარმოდგება ერთ წევრად, მაგრამ სწორედ ის იწვევს მართვას, მოითხოვს ამა თუ იმ ბრუნვას (და არა ნებისმიერს) და მისი საშუალებით ხორციელდება სინტაქსური კავშირი შესაბამის სახელთან. ამიტომ ჩვენ მიერ მოყვანილი ტიპის მაგალითებში დადასტურებულ სინტაგმებში **სინტაქსური კავშირია**.

სადავოდ დარჩება ისეთი ფორმები, როცა ჭირს დაზუსტებით იმის თქმა, თანდებულთან სახელი გარემოებაა თუ უბრალო დამატება. მაგალითად, **დიდ ბალიშში**. რა კითხვა დავუსვათ მას – **რაში** ჩარგო თავი თუ **სად** ჩარგო თავი? რაკი ასეთ შემთხვევებში საკითხისადმი სუბიექტური მიდგომაა, მაშინ პირველ შემთხვევაში **მართულ-შეთანხმებულია** სინტაქსური კავშირი (ბალიშში – რაში? უბრალო დამატება) ხოლო მეორე შემთხვევაში – **მართვა** (ბალიშში – სად? ადგილის გარემოება).

ასევე სადავოა **-კენ** თანდებულისან სახელთა საკითხიც. მართალია ის ყველა შემთხვევაში მიმართულებას გამოხატავს, მაგრამ გარემოების გარდა უბრალო დამატებადაც გვევლინება ხოლმე. შენიშნავენ, რომ **-კენ** თანდებულისანი სახელი უბრალო დამატებად უნდა მივიჩნიოთ მაშინ, თუ იგი მიუთითებს: ა) არასივრცულ გადაადგილებას, ბ) სივრცულ გადაადგილებას სულიერი ყველა და არასულიერი ისეთი საგნებისაკენ, რომელთაც სივრცეში მასშტაბური ორიენტირის მნიშვნელობა არ აქვთ (კოშორიძე : 121): ხელყოფისაკენ, თავისუფლებისაკენ... მაგრამ ტყისკენ, სასახლისაკენ გარემოებაა. ამის მიხედვით დადგინდება მათ შორის სინტაქსური კავშირი – თუ წყვილში სახელთან **-კენ** თანდებულისანი წვერი გარემოებაა, მაშინ მათ შორის მირთვაა, ხოლო **-კენ** თანდებულისანი უბრალო დამატების შემთხვევაში მართვასთან გვაქვს საქმე:

დაბურული ტყისაკენ წავიდა – მირთვა

სრული თავისუფლებისაკენ მიილტვოდა – მართვა-შეთანხმება

სინტაქსურ წყვილად გამოიყოფა **ლამაზად კერვა, უცბად წასვლა, მოულოდნელად გამოჩენა** ტიპის სინტაგმებიც: დედამ **ლამაზად კერვა** იცოდა, მან **უცბად წასვლა** გადაწყვიტა, მასწავლებელმა **მოულოდნელად გამოჩენა** იცოდა... ზმნა ფართო მნიშვნელობით, როგორც ცნობილია, სახელზმნებსაც გულისხმობს, რომლებიც დაქვემდებარებულ წევრებს პირიანი ფორმებივით იკავშირებენ. განსხვავება მათ შორის მინიმალურია (კვაჭაძე : 35). ამიტომ სახელზმნურ სიტყვათა შეკავშირებები სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე არ განხილულა. ზემოთ მოყვანილ ფორმებში სინტაგმის წევრებად წარმოდგენილია გარემოება და სახელზმნა. მოყვანილი ფორმები სინტაგმებია, რომელთა წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ სინტაქსურადაც. მათ შორის სინტაქსური კავშირი მირთვაა – სახელი (გარემოება – ლამაზად, უცბად, მოულოდნელად) მიერთვის სახელზმნას (კერვა, წასვლა, გამოჩენა). აქაც მარტივი წინადადების წევრების ერთით ნაკლები სინტაგმა გამოიყოფა:

დედამ ლამაზად კერვა იცოდა

1. დედამ იცოდა
2. **ლამაზად კერვა**
3. კერვა იცოდა

მსგავს შემთხვევებშიც არ გამოვყოფთ სამწევრა სინტაგმას: **ლამაზად კერვა იცოდა...**

მართვას **ფანქრით ხატვა, წყლით წუწაობა, ჩანთით სიარული...** ტიპის შემთხვევებში: **ფანქრით ხატვა** დაიწყო, **ფანქრით ხატვამ** გაიტაცა, **ფანქრით ხატვას** ავალებდა, **ფანქრით ხატვით** გაითქვა სახელი. ვფიქრობთ, მართვის ეს ტიპი ისეთივე შემთხვევაა, როგორც გვაქვს **ტყის ჰაერი, აგურის სახლის** სახის შესიტყვებებში. აქ მმართვე წვერი სახელზმნაა (ხატვა), ხოლო მართული – სახელი. შესიტყვების მეორე წვერი მოითხოვს, რომ პირველი სულ მოქმედებით ბრუნვაში იდგეს:

წყლით წუწაობა დაიწყო

წყლით წუწაობა-მ გაიტაცა

წყლით წუწაობა-ს შეუდგა
წყლით წუწაობ-ის სურვილი აქვს
წყლით წუწაობ-ით გაიყვანა დრო

ცხადია, მმართველი ანუ გაბატონებული წევრია **წუწაობა**, ხოლო **წყლით** – მასზე დამოკიდებული.

მაშასადამე, სახელებში გამოიყოფა სინტაქსური კავშირის ისეთი შემთხვევები, როცა სინტაგმის თანდებულებიანი წევრი (თუ ის გარემოებაა) სახელთან ერთად ქმნის მირთვას, ხოლო თუ თანდებულებიანი წევრი უბრალო დამატებაა, მაშინ საქმე გვაქვს მართვა-შეთანხმებასთან. გარდა ამისა, ხშირია სახელწმინთ შედგენილი სინტაგმები – თუ ის ახლავს გარემოებას, მაშინ წევრებს შორის მირთვაა, ხოლო თუ მისი შესაბამისი წევრი სულ მოქმედებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაშინ მათ შორის სინტაქსური კავშირი მართვაა.

ლიტერატურა

გეგუჩაძე 2010 – ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, სინტაქსის საკითხები, თბილისი.

დავითიანი 1973 – ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, I, თბილისი

კვაჭაძე 1996 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კიზირია 1954 – ა. კიზირია, სინტაგმის საკითხისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 53, თბილისი.

კოშორიძე 1985 – ე. კოშორიძე, კვლავ ერთი სადავო საკითხის საკითხის გამო, კრ-ში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1-2, თბილისი.

ჩიქობავა 2010 – არნ. ჩიქობავა, შრომები, II, თბილისი.

ჩიქობავა 1979 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი.

TEA BURCHULADZE

Issues of Distinguishing Some Types of Syntagms

S u m m a r y

did bališši (in a big pillow), **viçro gzaze** (in a narrow way), **çreli kabisatvis** (for a colorful dress), **paçara mosaxvevamde** (until a small turn) are syntagms as they have the semantic as well as the syntactic connection, the relevant grammatical expression. In the given examples one member is a nominal with a case marker and the other is a word form with a postposition. It is true that both words in the syntagms are in the same case but this is not so because the case concordance as the second member is the one with a postposition and at the same time it as an adverbial modifier. We think that in the given syntagms we have **a syntactical subordination – a nominal without a postposition subordinates a member with a postposition** (an adverbial modifier).

In the said types of syntagms if the second member with a postposition is a simple syntactical object, e. g. **çreli kabisatvis** (for a colorful dress), **saiñtereso pilmisatvis** (for an interesting film), both members are in concord – the first part of a syntagm is in the same case as the second part and at the same time the postposition subordinates the nominal in the possessive case (**kab-is-a-tvis**, **pilm-is-a-tvis**). Here we have an indirect concord. In addition the members of a syntagm are in concord with respect to the case. Both of them are in the possessive case. So, the adverbial modifier is subordinated by a verb, while we have a concord between a simple syntactical object and a verb-predicate.

We have a concord in the following types of syntagms **pankrit xaçva** (to draw with a pencil), **çqlit çuçaoba** (to play with water), **çantit siaruli** (to walk with a bag)... We think that in these cases we have the same type of concord as in the following syntagms **tqis haeri** (the forest air), **aguris saxlis** (a brick house). In the said example the converb (**xaçva**) is a dominator. The second part of the syntagm makes the first part to be in the instrumental case all the time.

თამარ გუჩუა

რიტუალი, როგორც ენობრივი თამაში
(არქანჯელო ლამბერტის წიგნის – „სამეგრელოს
აღწერა“ – მიხედვით)

ტრადიციული განმარტებით, რიტუალი წარმოადგენს მოქმედებათა ერთგვარ რიგს, რომელიც კონკრეტული შინაარსის გამოხატვას ემსახურება. თავის დროზე იგი მხოლოდ საკრალურ მნიშვნელობას ატარებდა და არქაულსა და ირაციონალურთან ასოცირდებოდა ანუ ისეთ რამესთან, რისი ობიექტური განხილვაც შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, რიტუალი კარგა ხნის მანძილზე რჩებოდა მხოლოდ რელიგიათმცოდნეებისა და ეთნოგრაფების კვლევის საგნად. დღეს კი განსხვავებული სურათი გვაქვს: რიტუალი, როგორც მოქმედებათა თანამიმდევრული ჯაჭვი, ერთგვარ სოციალურ სემიოტიკად განიხილება და ამ ნიშნით ის სხვა დისციპლინებთან ერთად ეთნოლინგვისტიკისთვისაც საინტერესო ხდება.

რიტუალი ინფორმაციის გადამცემ უძველეს ხერხს რომ წარმოადგენს, განსაკუთრებით თვალშისაცემი უმწერლობო საზოგადოებებშია. ამ კუთხით ბევრი საინტერესო მაგალითის დაძებნა ქართულ სინამდვილეშიც შეიძლება, კონკრეტულად კი ქართველთა ერთ-ერთი მსხვილი ეთნოგრაფიული ჯგუფის – მეგრელების ყოფა-ცხოვრებაში. ჩვენ შევეცდებით, რომ ეს მე-17 საუკუნის მაგალითზე ვაჩვენოთ და კონკრეტულ წყაროდ იტალიელი მისონერის, არქანჯელო ლამბერტის ნაშრომი „სამეგრელოს აღწერა“ გამოვიყენოთ.

ცნობილია, რომ არქანჯელო ლამბერტიმ 18 წელი იცხოვრა საქართველოში და, როგორც შენიშნავენ, მისი ზემოაღნიშნული ნაშრომი არ წარმოადგენს შემთხვევითი გამვლელი მოგზაურის შთაბეჭდილებების ან ყურმოკრული ამბების კრებულს.

იტალიელი მისიონერი ცდილობს დეტალურად აღწეროს თითოეული რიტუალი და იქვე მასში ჩადებული შინაარსის დეკოდირების მცდელობაც უჩვენოს მკითხველს. ასე, შედარებით გამორჩევით და დაწვრილებით საუბრობს ის თითქმის ყველა ეთნოსში გავრცელებული ორი ისეთი უძველესი რიტუალის შესახებ, როგორცაა გლოვა და ქორწინება. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

„როგორც კი ავადმყოფი სულს განუტევებს, ყველა იქ მყოფი მეგობარი და მეზობელი დიდის ჟვილ-კვილითა და ტირილით მოვარდებიან. მათი კვილი შორს გაისმის და მეზობლები რომ გაიგონებენ, ყველანი მიატოვებენ

თავის საქმეებს და მორბიან“. მოგვიანებით „ამოირჩევენ რამდენსამე კაცს, რომელსაც კარგი ხმა აქვთ და იმათგან შეადგენენ მეზარეთა ორ გუნდს. მეზარეები მღერიან ნელის ხმით, თითქოს კიდეც მღერიან და კიდეც სტირიანო, ხოლო სიტყვებს არ ამბობენ და იძახიან მხოლოდ „ოჰი, ოჰი, ოჰი“ (ლამბერტი 2011, 81-82).

მე-17 საუკუნეში ოდიშის სამთავროში ადამიანის გარდაცვალებისას კივილის რიტუალის შესახებ საუბრობს სერგი მაკალათიაც და ასე ხსნის: „ეს მეგრული კივილი თავისი პრიმიტივობით წარმოადგენს შორეულ წარსულის ატავისტურ მოვლენას, იგი ახასიათებდა საზოგადოებრივი განვითარების იმ დაბალ საფეხურს, როდესაც ადამიანს კივილის გარდა სხვა სასიგნალო საშუალება არ მოუპოვებოდა, მითუმეტეს სამეგრელოში, სადაც მოსახლეობა შორ მანძილზე იყო გაფანტული და მხოლოდ კივილით შეიძლებოდა უბედური შემთხვევის გადაცემა“ (მაკალათია 1941, 282).

საინტერესოა გარდაცვალების ამბის ცნობის წესიც, შეტყობინების ფორმა, სადაც საგანთა ერთგვარ სიმბოლიკასთან გვაქვს საქმე. ავტორი წერს: „გარდაცვალების დღესვე ამ უბედური ამბის საცნობელად კაცებს ყოველი მხრიდან გზავნიან. ვაგზავნილები თან წაიღებენ მიცვალებულის რაიმე ნივთს, მაგალითად ხმალს, ან კაპარჭს ისრებით, ან რომელიმე ტანისამოსს. ეს ვაგზავნილი კაცები რომ მიუახლოვდებიან იმ ოჯახს, სადაც უნდა მიიტანონ ამბავი, დაიწყებენ ხმამაღლა ტირილს ისე, რომ მასპინძლები მიხვდებიან, სიკვდილის ამბავი მოგვიტანესო“ (ლამბერტი 2011, 82).

გლოვის შემდგომი გამოხატულება აისახება სამოსსა და გარეგნობაზე. მაგალითად, ლამბერტის შენიშვნით, მგლოვიარეები „მოიპარსავენ არამც თუ თმას და წვერ-ულვაშს, არამედ წარბებსაც და შემდეგ ამისა მთელი წლის განმავლობაში სამართებელ-მაკრატელს აღარ მიიკარებენ. ასე იქცევიან როგორც ქალები, ისე მამაკაცები“; იცვამენ გრძელ შავ შალის სამოსს და „ხელოში დაიჭერენ წვრილ ჯოხს და ამაზე დაყრდნობილი დადიან“. მგლოვიარის მიერ წვრილი ჯოხით სიარულის წესი უდრის მნიშვნელობას „მწუხარებისგან დაღონებული და გატეხილი ვარ“ (ლამბერტი 2011, 85).

საინტერესოა სამძიმრის გამოცხადების რიტუალიც: „ქუდის მოხდა მარჯვენა ხელით და მარცხენათი გულში მჯილის ცემა ოთხ-ხუთჯერ“, რაც ასევე უდრის მნიშვნელობას „მწუხარებისგან დაღონებული და გატეხილი ვარ“.

სამოსსა და გარეგნობასთან დაკავშირებული ამ წესების არსებობას ადასტურებს ს. მაკალათიაც და დასძენს: ნიშნად მწუხარებისა, ჭირისუფალი თმას გაიშლიდა და ისე დასტიროდა მიცვალებულს. თმის გაშლის დროს, ვისაც ძმა ცოცხალი ჰყავდა, იგი თმაში გაუშვებდა იმდენ წვრილ ნაწნავს, რამდენი ძმა ჰყავდა. სატირალში მიცვალებულის ძიძა და მისი შვილები მიდიოდნენ ფეხშიშველი და ტანისამოსს პირუკულმა იცვამდნენ, მწუხარების ნიშნად.

რაც შეეხება ლამბერტის მიერ მოთხრობილ ქორწილის რიტუალს, აქ ენობრივთან ერთად საინტერესოა გენდერული ქვეტექსტებიც. მაგალითად, „კოლხიდაში ქალს არავითარი მზითევი არ მოაქვს. სასიძომ უნდა მიუტანოს ქალის მშობლებს დიდი საჩუქარი და მდიდრული ძღვენი“. ავტორისავე შე-

ნიშნით, აღნიშნული ქმედება ატარებს შემდეგ შინაარსს: ქალი მონაა და მამაკაცი მის ფასს იხდის (ლამბერტი 2011, 106). ამას ადასტურებს ჟან შარდენიც თავის ჩანაწერებში: „*მეგრული წეს-ჩვეულების მიხედვით, ქალს ყიდულობენ. ფასი დამოკიდებულია ქალის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, მის ასაკსა და სილამაზეზე*“ (შარდენი 1975, 124).

ერთგვარი ენობრივი თამაშია წინასაქორწილო ნიშნობის რიტუალიც, როცა პატარძალს უფლება არ აქვს საქმროს სახეში შეხედოს ან რამე უთხრას: „*ქალები სასიძოს კიდევ რომ შეხვდნენ პირისპირ, მაინც თვალებს არ ასწევენ და არ შეხედავენ*“. აღნიშნული ქცევა გადმოსცემს მნიშვნელობას: საპატარძლო მორცხვია (ლამბერტი 2011, 107). გასათხოვარი ქალების დუმილის ერთგვარი ახსნა მოცემულია ფრანგი კავკასიოლოგის ჟორჟ დიუმეზილის მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ ლაზურ გადმოცემაში, სადაც ვკითხულობთ: ლაზისტანში ადრე არსებული წესის თანახმად, ქალიშვილს, რომელსაც დალაპარაკებისას ლოყები სირცხვილისგან არ გაუწითლდებოდა, კარგად არ ახსენებდნენ და იტყოდნენ: „ასეთი გოგო ჩვენ პატარძლად არ მიგვყავს, ჩვენ ანგელოზივით გოგო გვინდაო“, ამიტომაც დუმდნენ ხოლმე გასათხოვარი ქალები მათთან ხელის სათხოვნელად მისულ სტუმრებთან (დიუმეზილი 2009, 83).

უნდა აღინიშნოს, რომ რიტუალური ქცევების ერთგვარ თამაშად განხილვა თავდაპირველად ფილოსოფიაში დაიწყო. საკითხის შესახებ საუბრობს იოჰან ჰეინინგა 1938 წელს გამოცემულ ფილოსოფიურ ტრაქტატში „Homo Ludens“, სადაც შენიშნავს, რომ „მეტყველება სხვა არაფერია, თუ არა სიტყვებით თამაში. ის თავის თავში გულისხმობს თამაშის წესებს, რომელიც გარკვეულ ინტელექტუალურ საზღვრებშია ვარგისი“ (ჰეინინგა 1997, 23).

ჰეინინგასთვის თამაში იმაზე მეტია, ვიდრე ფსიქიკური რეაქციებით განპირობებული ფიზიოლოგიური მოვლენა. თამაში არ არის მხოლოდ ფიზიკური ქმედება, ესაა ფუნქცია, რომელიც სავსეა შინაარსით. ადათ-წესები, მაგია, ლიტურგია, საიდუმლოება და მისტერიები – ყველაფერი ეს შეიძლება განხილულ იქნეს თამაშად. ამ ქმედებებს ჰეინინგა საკრალურს უწოდებს და შენიშნავს, რომ, ფორმალური ფუნქციის მიხედვით, ყველა ზემოჩამოთვლილი საკრალური ქმედება ისეთივე წმინდა წყლის თამაშია, როგორც, მაგალითად, ჭადრაკის დაფა ან ტენისის კორტები. საკითხზე საუბრისას ფილოსოფოსი იმდენად შორს მიდის, რომ საბოლოოდ Homo Sapiens და Homo Faber-ის გვერდით ახალი ტიპის, Homo Luneds-ის გამოყოფას მოითხოვს.

ენობრივი თამაშის, როგორც ენისა და მოქმედების ერთი მთლიანობის იდეა უფრო ვრცლად გამოჩნდა ვიტგენშტაინის 1953 წელს გამოცემულ ფილოსოფიურ კვლევებში, სადაც ავტორი წერს: „ენაში სიტყვების გამოყენების მთელი პროცესი შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ერთ-ერთი იმ თამაშთაგანი, რომელთა მეშვეობითაც ეუფლებიან მშობლიურ ენას. მე ვუწოდებ მათ ენობრივ თამაშებს. „ენობრივი თამაში“ – ესაა ენისა და მოქმედების ერთი შერწყმული მთლიანობა“ (ვიტგენშტაინი 2003, 227). ფილოსოფოსის შენიშვნით, ნებიმიერი ადამიანი, რომელიც ცხოვრობს სოციალურში, გამომდინარე მის მიერ შესრულებული სოციალური როლებიდან, მიჩვეულია განსაზღვრულ ნიშანზე

კონკრეტულ რეაგირებას. ვიტგენშტაინი სვამს კითხვას: როგორ გავმიჯნოთ თამაშის ცნება სხვა სოციალურ-ენობრივი კონსტრუქციებისგან, კიდევ რა ითვლება ან არ ითვლება თამაშად? და იქვე პასუხობს: ჩვენ არ ვიცით თამაშის საზღვრები, რამეთუ ისინი დადგენილი არ არის, სხვაგვარად ენობრივი თამაშები, ალბათ, არც იარსებებდა.

წლების შემდეგ ენობრივი თამაშის ცნება შედარებით უფრო გაფართოვდა და დღეს მასზე საუბრისას სპეციალისტებს მხედველობაში აქვთ არა მხოლოდ თქმული ან დაწერილი ტექსტი, არამედ ზოგიერთი მოქმედება, ქესტი, ხანდახან მიმიკაც, ე.ი. როგორც ლინგვისტური, ასევე პარალინგვისტური საშუალებები.

ამგვარ ენობრივ თამაშებად შეგვიძლია განვიხილოთ მე-17 საუკუნის სამეგრელოში არსებული შემდეგი რიტუალური ქცევებიც:

- მუხლმოდრეკით მისალმება = სამეტყველო ქმედების მონაწილეები დიდი ხნის უნახავები არიან, ან ერთ-ერთი შორი გზიდანაა ჩამოსული, ან ერთ-ერთი დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გამოვიდა გარეთ;
- თავის დაკვრა და მარჯვენა ხელის თავზე დადება = „ყოველივე ეს დიდი წყალობაა ჩემს თავზე“. ნიშნავს მადლიერების გამოხატვას და ჩვეულებრივ ასე იქცევიან სუფრაზე მიპატიჟებული სტუმრები მასპინძლის მიმართ.
- საჩუქრის გადაცემა ან ჩუქება მიწაზე ფეხების წინ დადებით = „ჩემი მთელი ქონება თან რომ არ გადაყვეს ამ ნივთს“.
- ადრესატის მიერ ამბის მომტანისთვის ერთი კოვზი შაქრის მირთმევა = მოტანილი ამბავი სასიხარულოა.
- კომუნიკანტების მიერ მირონის ან ნაკურთხი ზეთის ერთმანეთისთვის შუბლზე წაცხება = დამეგობრება.
- ცხენის შეკრეჭილი ძუა-ფაფარი = ცხენოსანი მგლოვიარეა.
- ამბის თხრობის დროს მარცხენა წარბის მოფხანა = ნათქვამი სიცრუეა და მომავალ საქმეს ცუდი ბოლო ექნება.
- ამბის თხრობის დროს მარჯვენა წარბის მოფხანა = ნათქვამი უტყუარია და მომავალ საქმეს ბედნიერი ბოლო ექნება.

იმის შესახებ, რომ სამეტყველო აქტები ხშირად არაენობრივი ქცევებითაც განისაზღვრება, ვრცლად საუბრობს დელ ჰაიმზიგ ნაშრომში „მეტყველების ეთნოგრაფია“ (ჰაიმზიგ 1975). სამეტყველო ქმედების კომპონენტების (ადრესანტი, ადრესატი, შეტყობინების ფორმა, კავშირის არხი, კოდი, თემა, გარემოება) ჩამოთვლისას ჰაიმზიგ შენიშნავს, რომ გამგზავნი ყოველთვის არ უდრის ადრესანტს და მიმღები – ადრესატს. მსგავსი შემთხვევის შესახებ მოგვითხრობს ლამბერტიც:

„როცა ვისმეს მთავართან მისაწერი აქვს რაიმე, რაც უნდა იგი დიდი გვარისა კაცი იყოს, მაინც არ შეუძლია პირდაპირ მიმართოს წერილით, რადგან ასეთ საქციელს კადნიერებად ჩამოართმევენ მთავრის წინაშე. ამ შემთხვევაში ვისაც საქმე აქვს მთავართან, წერილით უნდა მიმართოს მთავრის ან და-

ახლოებულ მოსამსახურეს, ან მდივანს, ანდა ვეზირს და სთხოვოს, რომ ესა და ეს საქმე მაქვს მთავართან და მოახსენეო. მთავარი რომ ამ თხოვნას მოისმენს, მთხოვნელს პირდაპირ პასუხს მისწერს“ (ლამბერტი 2011, 132).

კომუნიკაციაში მონაწილე პირების სოციალური სტატუსი აისახება ისეთ რიტუალურ ქცევაშიც, როგორცაა მუხლის მოდრეკა. მაგალითად, „ყოველი ქვეშევრდომი უფროსთან ლაპარაკის დროს მუხლს იდრეკს. ასე უნდა მოიქცეს მოციქული, როცა დაბარებულ საქმეს მოუთხოვრობს იმას, ვისთანაც გამოგზავნილია. თუმცა ხშირად მოხდება, რომ მოციქული უფრო დიდი ღირსებისა არის, ვიდრე ის, ვისთანაც გამოგზავნილია, მაგრამ, რადგან ის კაცი, რომელმაც იგი გამოგზავნა, უფრო მაღალი ღირსებისაა მოციქულზე, მისმა მოციქულმა დაჩოქილმა უნდა ილაპარაკოს, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს გამომგზავნის ღირსებას და არა გამოგზავნილისას“ (ლამბერტი 2011, 132). სამეგრელოში მუხლმოდრეკის წესის შესახებ საუბრობს შარდენიც და, როგორც შენიშნავს, „საბერძნეთის იმპერატორების კარზე ამას თაყვანისცემა ეწოდებოდა. ბიზანტიის იმპერიის დაცემის დროისათვის კი პატივისცემის ეს წესი შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების ქრისტიანმა მთავრებმაც გადაიღეს“ (შარდენი 1975, 123).

კომუნიკანტების ქცევაში მათი ასაკიც ჩანს. მაგალითად, „როცა უმცროსი უფროსს ესაუბრება, ამ შემთხვევაში უმცროსი ყოველთვის საკმაოდ შორს დაიჭერს თავს და ამით პატივს უცხადებს თავის უფროსს. თუ ზოგჯერ უფროსი, თავმდაბლობის და მოწყალების ნიშნად, მიუახლოვდება, უმცროსი მაშინვე უკან დაიწევს, ნიშნად პატივისცემისა“ (ლამბერტი 2011, 132).

ამრიგად, როგორც ეს არქანჯელო ლამბერტის მიერ აღწერილ მე-17 საუკუნის სამეგრელოს მაგალითზე ვნახეთ, რიტუალი და, ზოგადად, სამეტყველო ქცევა მხოლოდ წერილობითი ან ვერბალური ტექსტებით არ შემოიფარგლება და საკმაოდ ხშირად ისეთ ფაქტორებსაც გულისხმობს, რომლებიც ენაში ლექსიკონის მიღმა დევს. ამგვარ ენობრივ თამაშებს კი სხვადასხვა ეთნოსში სხვადასხვა შეფასება შეიძლება ჰქონდეს. ესეც ერთგვარი სოციალური სემიოტიკაა, რომელზეც მთელი ტრადიციული კულტურაა დაფუძნებული.

ლიტერატურა

დიუმეხილი 2009 – ჟორჟ დიუმეხილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, თბილისი.

ვიტგენშტაინი 2003 – Витгенштейн Л. Философские исследования / Языки как образ мира. – М.: АСТ; СПб; Terra Fantastica.

ლამბერტი 2011 – არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი.

მაკალათია 1941 – სერგი მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი.

ოსტინი 1986 – Остин Дж. Л. Слово как действие. – В кн: Новое в зарубежной лингвистике. Вып. XVII. – Москва.

ოსტინი 1999 – Остин Дж. Л. Истина, Как совершать действия при помощи слов, Смысл и сенсibiliи, Чужое сознание, Избранное. – Москва.

სახოკია 1956 – თედო სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი.

შარდენი 1975 – შარდენის მოგზაურობა, თბილისი.

ჰაიმზი 1975 – Хаймс Д. Х. Этнография речи, Новое в лингвистике. – Вып. VII. Социолингвистика. – Москва.

ჰეიზინგა 1997 – Хёйзинга Й. Homo Ludens, Москва.

TAMAR GUCHUA

A Ritual as a Lingual Game

(Based on the book *Description of Samegrelo* by Archangelo Lamberti)

S u m m a r y

According to the traditional definition, a ritual is a set of actions serving to convey the meaning of something. In its time, it had only a symbolic meaning and was associated with such an archaic and irrational thing, the objective judgment of which was impossible. Hence, for a long time, a ritual had been remaining a subject of study only for students of religion and ethnography. Nowadays, the situation is different: a ritual, as a consecutive chain of actions serves to convey a specific message, has been considered as a kind of social semiotics and this feature, alongside with the other disciplines, becomes interesting for ethno-linguistics.

A ritual is the oldest means for conveying information, especially in societies without written languages. In this regard, many interesting examples may be found in Georgian reality, particularly, in one of the largest Georgian sub-ethnic groups - Megrelians. We will try to present the specific examples of the 17th century and use the work *Description of Samegrelo* by an Italian missoner Archangelo Lamberti as a source.

As known, Archangelo Lamberti spent 18 years living in Georgia and, as it is noticed, the said work does not represent the impressions or the collection of the accidentally heard stories of a random passing traveler.

Ritual behaviors described in the book are especially interesting. They were quite common in the Megrelian society of that time and, presently, they can be freely considered as a kind of a linguistic game. The Italian missionary tried to tell the readers about each of them in detail and to provide an attempt of content decoding.

Hence, he speaks mainly about the two of the ancient rituals for mourning and marriage common in every ethnos. These and other ritual behaviors are discussed based on the specific examples.

თამარ ვაშაკიძე

მუხრან მაჭავარიანი – „გამასავათა მამულზე ფიქრმა“

„ორი ცრემლიდან“ გაჰყურებს „ორწყალშუა“ ბედგადაწყვეტილ საქართველოს მუხრანი – „პატარა საქართველოს, – პატარას, თვალცრემლიანს“, „გოლგოთაზე უფრო ციცაბოს“.

მას შემდეგ, რაც „არგვეთის სივრცემ“ ჩააწვთა „სულში ფირუზი“ და იხილა „აპრილის მზე“, მუხრან მაჭავარიანს ერთი დღეც კი არ უცხოვრია სამშობლოზე ფიქრის გარეშე. „ეს ქვეყანაა, მამაჩემმა რაც დამიტოვა“, – ამბობს პოეტი და ბოლომდე უერთგულეებს მშობლიურ მიწა-წყალს – მართალი სიტყვით, საოცარი პოეტური შთაგონებით, თავდაუზოგავად.

„მამულზე ფიქრი“ გაცხადებულია ყველგან და ყველაფერში: სახელოვან წინაპართა ხსოვნაში („ქაქუც! – ავაჰმე! – აფსუს! – სადა ხარ“... „ფარნავაზ მეფე რომ არა, ... მღვდელი თევდორე რომ არა“...), რუსთაველის, ილიას, ვაჟას, საბასა და სხვათა სახეებში („რუსთველი ახალი თუ გინდა, დავით...“, „...სევდას ვეებას, – იმედი რომ ებრძვის პაწია, – ილიასია, ვაჟასია თუ საბასია“...), „მრავალჭირვარამგადანახად“ ქართულ მიწაში („კრწანისის მიწად, ასპინძის მიწად, დიდგორის მიწად, მარაბდის მიწად – განა ქართველი არაერთი იმიტომ იქცა...“), მშობლიურ სიტყვაში („სიცოცხლეც მარტო იმიტომ მიინდა, რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით ჰყვოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა...“), მდინარეებში („ყალყზე შემდგარი შემომახტა გულზე არაგვი“... „თუმცაღა ბევრი იბღავლა თერგმა, მერე და მერე დაოკდა ისიც...“, „უცხო წყალი ცხენისწყლობდეს?! უცხო წყალი ალაზნობდეს?! – არ მომხდარა არასოდეს“...), მოფრენილ ბოლოკარკაზში („მე ის არ მიყვარს, შიშს ვინც ყლაპავსო, ... შენ გენაცვალე, ბოლოკარკაზო...“), „ტოტისტოტისტოტშიც“ კი („და ტოტისტოტისტოტი ყოველი – საქართველოთი თუა სოველი...“).

„წარსულში“, „აწმყოში“, „მერმისში“ – ყველგან ეძებდა მუხრან მაჭავარიანი იმ რაღაცას („ვეძებ და ვეძებ, რაღაცას ვეძებ, წარსულში ვეძებ, აწმყოში ვეძებ, მერმისში ვეძებ...“), რასაც საქართველოს ბედნიერება ჰქვია („ჩემი ბედკრული სამშობლოსი დღე ხვალინდელი, – დაბოლოებას ჰგავდეს მინდა რადგან ზღაპრისას...“), ამიტომაც სვამდა კითხვას, ვიპოვით?... და გულანთებული უსმენდა თავისივე ძახილს გულისას („ვიპოვით! – რადგან, როგორც დევი, – ქართველი ხალხი, – თავს იმდენს ისევ მყის იბამდა, რამდენსაც სჭრიდნენ...“).

მაინც რა სურდა პოეტს? – იკითხავს მკითხველი...

„მსურს მხოლოდ იგი, –

რაც საბას სურდა:

კაცმა ქართველმა, –

მსურს, –
 ქართულად ილაპარაკოს
 და საქართველოს, –
 საქართველო, –
 მსურს, –
 ერქვას მუდამ!“ (მუხრანი 1999: 549).

გამასავათა მამულზე ფიქრმაო, – წერდა მუხრანი და ქართველ კაცს ერთი წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, რადგან პოეტი მუდამ ცხოვრობდა საქართველოს ცხოვრებით – მისი ჭირით და ლხინით, მისი გულისცემით... მუხრან მაჭავარიანს „ქართველობანა“ არასოდეს უთამაშია და არც „მყვირალა პატრიოტი“ ყოფილა ოდესმე, ხოლო როცა „სისხლის შადრევანი“ „შეშუოდა“ „ზეცას მშობლიურს“, მსოფლიო კი გულგრილად „ეთვალხუჭებოდა“ ჩვენს „ვაი-ვაგლახს“, მუხრანი საქართველოსთან ერთად ღვადა სულს – ღირსეულად, უღალატოდ:

„სინათლის არ ჩანს არსაით ხემსი,
 უკუნეთია გარშემო სრული.
 უბედურთ, – მე და სამშობლოს ჩემსას, –
 ორთავეს ერთად ამოგვდის სული“ (იქვე: 597).

ადამიანი არ უნდა იყო, კითხულობდე მუხრან მაჭავარიანის პოეზიას და თხემით ტერფამდე არ შეგპრას შენი ქვეყნის სიყვარულმა – თავისი ცით, მზით, მთით, ბარით, წყლით, ქართლ-კახეთით, იმერეთით, მესხეთ-ჯავახეთით, „ძამა გურულებით“, „ჯიმა მეგრელებით“, დიდგორით, კრწანისით, შამქორით, სვეტიცხოვლით, ხანძით, ვარძით...

მუხრანის პოეზია უსათუოდ დაგაფიქრებს – ვინ ხარ შენ? რა არის შენი საკეთებელი საქმე? რისთვის ხარ მოსული ამქვეყნად? ამიტომაც მგონია, რომ მუხრანის ლექსია სწორედ ის ლექსი – „გააგულადებს რომელიც ლაჩარს..., კაცად მოაქცევს რომელიც ყაჩაღს...“

* * *

ძალიან ხშირად მუხრან მაჭავარიანის ლირიკულ ქმნილებათა მთავარი სათქმელი („მამულზე ფიქრისას“) მხატვრულ დიალოგზეა აგებული:

„– რამდენს აფასებ მაგ პატარას? – ჰკითხა სპარსულად
 საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.
 – უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! –
 წარმოსთქვა ბაღდამა, – ყური მოჰკრა რა საბას სპარსულს.
 – არა, პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის?!
 – უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან, ძია?...“ (იქვე: 18).

პატარა ქართველის სამშობლოში დაბრუნების მძაფრი წადილით შეპყრობილი საბა სპარსელს ყმაწვილის შეფასებას სთხოვს და მოუთმენლად ელის განაჩენს. ამ დროს დიალოგში ებმება წამით სასოებაშიცემული ბაღდი, რომელსაც ქართველი ეგონა უცხო მამაკაცი, მაგრამ მალევე დაკარგა იმედი, როცა მისგან სპარსული ლაპარაკი მოისმინა... საბა ამშვიდებს პატარას, ქართველი ვარო – და ბავშვსაც კვლავ უჩნდება დედასთან დაბრუნების რწმენა.

სულხან-საბასა და თავად საქართველოს ბედუკულმართი მდგომარეობის წარმოსაჩენად დიალოგის ფორმა სწორედ ისეთი სიმძაფრითა და ემოციით აღაქმევენებს მკითხველს შექმნილ ვითარებას, როგორითაც ამას თავად მუხრანი (საბასთან ერთად) გრძნობს და განიცდის – წვიმის გარეშე კაბადასველებული, თოვლის გარეშე თავგათეთრებული, ყინვის გარეშე აკანკალებული...

ჩვენი სამშობლოს უმძიმესი წარსულის ეპიზოდები სხვა შემთხვევებშიც არაერთგზის აღბეჭდილა დიალოგის სახით მუხრანის ლექსში: „ლექსები იციო?“ – ჰკითხავენ „პატარა საქართველოს, პატარას – თვალცრემლიანს“, დაჩაგრულსა და დაჯაბნებულს, იმედამოწურულს, რომელიც უმწეო ბავშვივით შესთხოვს შველას ხან რუსეთს, ხან საფრანგეთს... „ვიციო“, – ცრემლისწმენდით უპასუხებს საქართველო, რასაც მოჰყვება საფრანგეთის შეფასება – მხარზე ხელის დაკვრითა და შემახილით – „ყოჩაღ!“

„– ლექსები იციო?! – ჰკითხეს საქართველოს,
პატარა საქართველოს, პატარას, – თვალცრემლიანს...
– ვიციო! – უპასუხა, ცრემლები მოიწმინდა;
პატარა საქართველოს პალე-როიალში
შოთა რუსთაველის ლექსი ათქმევენეს.
– ყოჩაღ! – მხარზე ხელი დაჰკრა საფრანგეთმა, –
ამ ბავშვს მომავალი დიდი ექნებაო!...“ (იქვე: 16).

მუხრანისეული დიალოგით მკითხველის თვალწინ მკაფიოდ აღიბეჭდება გაუსაძლისი ყოფა დედობილ-მამობილის ძიებაში მყოფი ატირებული ბავშვისა, რომელსაც რუსეთი იშვილებს საბოლოოდ... ბავშვი კი მაინც ტირის, დედის საფლავზე დამხობილი... ამ ბავშვის ტირილია სწორედ მუხრანის სევდა – სევდა მთელი საქართველოსი.

* * *

მუხრან მაჭავარიანი პოეტური მიმართვის დიდოსტატია. აღსანიშნავია, რომ ზოგი ლექსი თავიდან ბოლომდე თითქმის მხოლოდ მიმართვაზეა აგებული. წოდებითბრუნვისფორმიან სახელთა ჩამონათვალი (ჩვენი სახელოვანი წინაპრებისა, მწერლებისა, საქართველოს კუთხეებისა, ბრძოლის ველებისა, მდინარეებისა...) ერთგვარად აძლიერებს ლექსის ემოციურ ელფერს, აჩქარებს რიტმსა და გამოკვეთს სათქმელის ტკბილქართულ ტონალობას:

„იმერეთო ქვემო,
იმერეთო ზემო, –
სიყვარულო ჩემო,
სიხარულო ჩემო...
ძამა გურულეხო,
ჯიმა სამეგრელო,
ძმაო ქართლ-კახეთო,
მესხეთ-ჯავახეთო;
.....
დიდგორისა ველო, –
ახლა ცრემლისმეგრელო, –
კრწანისისა ველო, –

დღესაც გულისმკვლელო...
 რაღა გავაგრძელო,
 მთელი საქართველო,
 სასოებავ ჩვენო, –
 რა ვქნა, – რა გიშველო!“ (იქვე, 437).

ან კიდევ:

„ანდუყაფარო,
 ლიპარიტო, –
 დარნო მთათანო,
 ბაგრატოვანთა ბანოვანის ტანო-ტატანო;
 ბიჭო სესეო,
 თოთიკანთ ქალო მელანო,
 ვაჟას არწივო,
 შოთას ვეფხვო,
 ტატოს მერანო;
 ბზიფო,
 ენგურო,
 ალაზანო,
 მტკვარო,
 იორო,
 აგერ, ახლახან გარდაცვლილო გალაკტიონო;
 ქინძმარაულო,
 ტიბაანო, –
 ღვინოვ კახურო;
 გამოსროლილო ხევსურეთით ლექსო ხალხურო;
 დიდო კოლხეთო,
 დიდო ქართლო,
 დიდო შამქორო, –
 ვერ დამადუმონ,
 ვერ დამძალონ, –
 თუნდა ჩამქოლონ...“ (იქვე: 128).

ორსავე ლექსში („მიწავ ჩემო“ და „ანდუყაფარო, ლიპარიტო, დარნო მთათანო“) მიმართვის ფორმათა გრადაციული ჟღერადობა აშკარად ამზადებს მკითხველს რაღაც განსაკუთრებულის მოსასმენად, დასაიმედებლად, გასამხნეველად... პირველ შემთხვევაში მიმართვა-მონოლოგი ბოლოვდება სიტყვებით – „რა ვქნა, – რა გიშველო!“, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს პოეტის მზადყოფნას აბსოლუტურად ყველაფრისათვის, ოღონდ სამშობლოს ეშველოს, გაილადოს, გათავისუფლდეს... მეორე შემთხვევაში კი – ვრცელი მიმართვის შემდეგ – პოეტი ფაქტობრივად შეჰფიცავს მთელ საქართველოს – „ვერ დამადუმონ, ვერ დამძალონ, – თუნდა ჩამქოლონ...“ და ასრულებს კიდევ დანაპირებს... „დაუდუმებლად“, „დაუძალველად“ და ვალმოხდილად დგას მუხრან მაჭავარიანი ქართველი ერის წინაშე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

გამორჩეული პოეტური ხიბლი აქვს მიმართვის, უქონლობის სახელისა და სხვათა სიტყვის **თ** ნაწილაკიან ფორმათა მონაცვლეობაზე აგებულ რითმულ-რიტმულ სტრუქტურას ლექსისა „მოფრინდა ჩემი ბოლოკარკაზი“ (მე-

ოთხე მონაკვეთი). პირველი და ბოლო სტრიქონების სარიტმოდ ერთეულები მიმართვის ფორმებს წარმოადგენს („ბოლოკარკაზო“), მეშვიდე ფრაზის დამამთავრებელი კომპონენტი უქონლობის სახელია („ულამაზო“), ხოლო სხვა შემთხვევებში – ყველგან – მოხმობილია სხვათა სიტყვის **ო** ნაწილაკიანი ფორმები („საბასო“, „სამასსო“, „შაჰ-აბასო“, „ყლაპავსო“, „ლაბასო“). ამავდროულად იქმნება საოცრად მომხიბლავი ალიტერაციული ეფექტი სალექსო სტრიქონებში სიტყვათა ფუძისეული **ზ** ბგერის გამეორებითა თუ **ს** თანხმოვნის (რომელიც ხან ფუძისეულია, ხან – მიცემითი ბრუნვის ნიშანი, ხან კიდევ – მესამე სუბიექტური პირის გამომხატველი) მრავალგზის მოხმობით, რასაც კიდევ უფრო ამუსიკებს ასონანსიანი ხმიანობა (მიმართვის **ო** ხმოვნის, სხვათა სიტყვის **ო** ნაწილაკისა და უქონლობის **უ-ო** აფიქსთა ბოლოკიდური **ო** ფორმანტის ჰარმონიული შერწყმით):

„ჩემო ლამაზო ბოლოკარკაზო,
შენგან მსმენია, – ვცნობდი საბასო,
გმირსაც ვცნობდიო, გითქვამს, სამასსო,
ზოგჯერ ვწვევივარ თვით შაჰ-აბასსო,
მე ის არ მიყვარს, შიშს ვინც ყლაპავსო,
მტლედ დავედები ხარსა ლაბასო...
მმაგსო, – არისო რაც ულამაზო,
შენ გენაცვალე, ბოლოკარკაზო“ (იქვე: 451).

* * *

სათქმელის ემოციურობის გასაძლიერებლად მუხრან მაჭავარიანი ძალიან ხშირად მიმართავს გამეორების სტილისტიკურ ხერხსაც:

„სამაგალითო ვისთვისაც რუდუნებაა საბასი!
სამაგალითო ვისთვისაც არაგველია სამასი!
სამაგალითო ვისთვისაც თევდორესია სიკვდილი!
სამაგალითო ვისთვისაც იესოსია გვირგვინი!“ (იქვე: 439).

...ხოლო ლექსში „ვითარცა მტკვარი“ მეორდება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი („**ვიდაცა** ტიროდა, **ვიდაცა** ჩიოდა, **ვიდაცას** შიოდა, **ვიდაცას** სციოდა...“), სადაურობის სახელი („**ქართული** სისხლი, **ქართული** სული, **ქართული** სიტყვა, **ქართული** გული...“), ზმნები („**გადადიოდა**, **გადადიოდა**, **გადადიოდა**...“), ზმნები და არსებითი სახელები („**გამოიარა** რუსთველის **გული**, **გამოიარა** ვახტანგის **გული**, **გამოიარა** თამარის **გული**, **გამოიარა** სულხანის **გული**...“), მაერთებელი კავშირი, ზმნისართი, ვნებითი გვარის მიმღეობა და მოქმედებითბრუნვისფორმიანი არსებითი სახელი („**და დღეს** – შოთაის **ნაქონი სისხლით**, **და დღეს** – ვახტანგის **ნაქონი სისხლით**, **და დღეს** – სულხანის **ნაქონი სისხლით**...“).

პოეტურ გამეორებაზეა აგებული აგრეთვე ლექსი „ვიდრე ზეცა მზიანია“. ამ შემთხვევაში მეორდება კავშირი („**ვიდრე** ზეცა მზიანია, **ვიდრე** ყანა მწყრიანია, **ვიდრე** მებთა გრიალია...; **ვიდრე** ალაზნიანია, **ვიდრე** ენგურიანია, **ვიდრე** რიონიანია...“), ზმნისართები და ზმნები („**როგორც** შოთამ **შეაღია**, **როგორც** ვაჟამ **შეაღია**, **ვით** ილიამ **შეაღია**, **ვით** აკაკიმ **შეაღია**...“), კვლავ კავში-

რები, ამათგან – **თორემ** კავშირის დიალექტური ფორმა **თვარა** (რასაც გამორჩეული პოეტური ხიზლი ახლავს) და ზმნისართი:

„ვიდრე ზეცა მზიანია,
ვიდრე ძელქვის შრიალია...
თვარა მერე,
თვარა მერე,
თვარა მერე გვიანია“ (იქვე: 473).

* * *

მუხრანის ლექსისათვის ასევე დამახასიათებელია წინადადების რომელიმე წევრის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოწოდება განკერძოებულად, პოსტპოზიციური წყობით, რაც განსაკუთრებულ პოეტურ სამოსში აქცევს სათქმელს და აძლიერებს შთაბეჭდილებას (ხშირად ეს ინფორმაცია ფრჩხილებშია მოქცეული) (ვაშაკიძე 2011: 65) –

„შენში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი, –
შოთა რომ იყო,
რუსთველი,
მისი.

შენში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი, –
საბა რომ იყო,
სულხანი,
მისი...“ (იქვე: 270).

ძალზე საინტერესო ჩანს პოსტპოზიციური ფრაზებით გაწყობილი ლექსი „ვინც იყო, იგი რომ არა“. აქ დამატებითი ინფორმაცია მოსდევს გარკვეულ პირობას – და ეს არაერთგზის მეორდება. ბოლოს გამჟღავნებულია შესაძლო შედეგი, ანუ ის, რაც მოხდებოდა ჩამოთვლილ პირობათა არარსებობის შემთხვევაში. ამგვარი ქარგით შეკავშირებული სალექსო ტაეპები სხვაგვარი ემოციით გამოირჩევა და, რაც მთავარია, მაშინვე ამოიცნობ – ეს არის მუხრანის ლექსი:

„ფარნავაზ მეფე რომ არა, –
ვინც ჩვენი სრულყო ანბანი.
შოთა რუსთველი რომ არა, –
ვინც არი ჩვენი ლამპარი.
მოციქულთ სწორი რომ არა, –
ოთხგან აღმართა მან ჯგარი.
მღვდელი თევდორე რომ არა, –
(მტერმა აკუწა საწყალი).
ორბელიანი რომ არა, –
საქართველოსთვის დამწვარი.
პატარა კახი რომ არა, –
ყველა მომხდურის თავზარი.
მეფე დიმიტრი რომ არა!
ბმანი რომ არა! –

ცხრა ძმანი!...
 მოკლედ: –
 სისხლის ღვრა რომ არა! –
 არ იქნებოდა, –
 რაც არი!“ (იქვე: 362).

* * *

მრავალწერტილიც ერთგვარი სტილისტიკური ხერხია მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში. ამქვეყნად ადამიანს – და განსაკუთრებით პოეტს – ბევრი რამ რჩება უთქმელი, გაუცხადებელი, მხოლოდ თავის გრძნობა-გონებაში აღბეჭდილი, მაგრამ – ძალიან სანუკვარი. ამგვარი ფიქრი ნაოცნებარს ჰგავს ხშირად – ამის გამოა სანატრელი. უთქმელ სიტყვას ზოგჯერ გაცილებით მეტი ძალა აქვს, ვიდრე გამჟღავნებულს. მკითხველიც უფრო თავისუფალია ასეთ შემთხვევებში – ყოველი მათგანი თავისას ფიქრობს, ვარაუდობს – ეძებს გზას ხსნისას, ოცნებობს უკეთეს მერმისზე. ამიტომაა მრავალწერტილი მრავლის-მთქმელი, რაც კარგად ჩანს მუხრანის ერთ პატარა ლექსში:

„ეს გზა, მე ვიცი, საითკენ მიდის...
 გაივლის ქარელს...
 გაივლის შინდისს...
 ხან ხიდზე გადის,
 ხან მიდის მინდვრით...
 ეს გზა, მე ვიცი, საითკენ მიდის...
 შენ გზა მითხარი,
 ის გზა, რომელიც...
 ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...“ (იქვე: 134).

* * *

ძალიან ბევრი კარგი პოეტი ჰყავს საქართველოს... მუხრანი გამორჩეულია – დიდი, აბსოლუტურად ინდივიდუალური თავისი ენობრივი კონსტრუქციებით, რითმულ-რიტმული სტრუქტურით, სინამდვილის ხედვით, ქართული ენის ხასიათის წვდომით, კოლოსალური პოეტური ემოციით, ინტონაციით, განწყობილებით, წარსულისა და მომავლის „ურთიერთშემსგავსებით“, დახვეწილი ირონიული ტონალობით, ხმით, გარეგნობით, სიკვდილი-თაც კი...

მუხრან მაჭავარიანმა უდავოდ იპოვა საკუთარი თავიც და ქართველთა გულიც... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან ქართულ ენას დააჩნია საკუთარი, მუხრანისეული კვალი და მკითხველს კიდევ ერთხელ განაცდევინა (რუსთველის შემდეგ, ილიას შემდეგ, აკაკის შემდეგ, ვაჟას შემდეგ...) ქართული სიტყვის შნო და ლაზათი.

ერთ ლექსში მუხრანი წერს:
 „თავისით უნდა წამოვიდეს,
 რაც,
 როგორც წვიმა!
 თავისით უნდა დაიბადოს,

რაც,
 ვით ენძელა
 (თავისით –
 ისე! –
 ია ჩნდება
 ვით ბუჩქის ძირას)! –
 რაც ადამიანს,
 თუ ეძლევა,
 ღვთისგან ეძლევა! –
 არ შეიძლება, –
 რისიც შეძენა! –
 მას:
 შოთა ჰქვია!
 ვაჟა ჰქვია!
 აკაკი ჰქვია!...“ (იქვე: 613).

ჩამოთვლილთ გვერდით – დღეს ქართველთათვის მას მუხრანი ჰქვია...

ლიტერატურა

ვაშაკიძე 2011 – თ. ვაშაკიძე, მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი პოეტურ-სტილისტიკური თავისებურებანი; ლექსთმცოდნეობა, ეძღვნება მუხრან მაჭავარიანის ხსოვნას, თბილისი.

მუხრანი 1999 – მუხრან მაჭავარიანი, „ყოველი ტოტი და ტოტისტოტი“, თბილისი.

TAMAR VASHAKIDZE

Mukhran Machavariani – I Am Tired of Thinking about the Homeland

S u m m a r y

The paper deals with the patriotic poems by Mukhran Machavariani. Accordingly, we distinguish the following topics: the heroical ancestors, the great Georgian writers, the Georgian land, castles, rivers etc.

We discussed the artistic-stylistic techniques that were used in the poems about the homeland. They are as follows: dialogue, addressing, repetition, postpositional placing of determinants etc.

დიანა კაკაშვილი

კომპოზიტა წარმოებისათვის წოვათუშურში

წოვათუშურ ენაში ახალი ლექსიკური ერთეულები სხვადასხვა გზით წარმოიქმნება. დერივაციასთან ერთად კომპოზიციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებაში. იგი ავსებს და სრულყოფილს ხდის ენის ლექსიკურ შედგენილობას. მათი გამოყენების არე საკმაოდ ფართოა. ბუნებრივია, სიტყვაწარმოების ეს საშუალება მტკიცე, უშუალო კავშირში იმყოფება ენის სტრუქტურასთან და მისი განვითარების შინაგან კანონებთან.

რთული სიტყვების წარმოქმნა წოვათუშურში სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა. წოვათუშურის მონათესავე ჩეჩნური და ინგუშური ენის გრამატიკებში წოვათუშური ენის მასალა მოხმობილია მხოლოდ შესაძარებლად (ჩოქაევი 1968).

სხვადასხვა ენაში კომპოზიტა წარმოების თავისებური წესები არსებობს, განსხვავებულია რთული სიტყვის კომპონენტების შეერთების საშუალებებიც. თუმცა ზოგადი პრინციპი ყველგან საერთოა – ხდება ორი ან ორზე მეტი სიტყვის შეერთება. წოვათუშურ ენაში თხზვა სხვადასხვა საშუალებით წარმოებს:

1) ფუძის გაორკეცებით: თხ^ა-თხ^ა „დღე-დღეზე“, ბუსჷ-ბუსჷ „დამდამობით“;

2) ორი სხვადასხვა ფუძის შეერთებით: თუხ-მაჯ^ა „კურ-მარილი“, ბჷარკ^აირი^ა „თვალმახვილი“, ახ-დ-ივუნ^ა „მხენელ-მთესველი“ და სხვ. (საინტერესოა, რომ ქართულში შესაძლებელია ორზე მეტი ფუძის შეერთებაც, მაგრამ წოვათუშურ ენაში ორზე მეტი ფუძის შეერთების ნიმუში ჩვენ ვერ დავაფიქსირეთ).

ამგვარ კომპოზიტებს აკაკი შანიძე ქართულში უწოდებს შერწყმულ სახელებს (ფართო გაგებით კომპოზიტებს), რადგან ისინი ერთმანეთთან ფორმალურად არიან დაკავშირებულნი¹.

წოვათუშურში რთული სიტყვის კომპონენტები შესაძლოა იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი:

- 1) არსებითი სახელი + არსებითი სახელი;
- 2) არსებით სახელი + მიმღობა ან მასდარი;
- 3) არსებით სახელი + ზედსართავი სახელი;

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 158.

4) ზედსართავ სახელი + ზედსართავი სახელი (დაფიქსირდა მხოლოდ ერთი მაგალითი);

5) რიცხვით სახელი + რიცხვითი სახელი;

6) მასდარი + მასდარი.*

მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

(მაგალითებში კლასნიშნები გამოყოფილია დეფისით)

ა) კომპოზიტის ორივე წევრი არის არსებითი სახელი:

თუფხ-მაჟნ „პურ-მარილი“ (ზედმიწევნით: თუფხ[ი] „მარილი“, მაჟნ „პური“);

დად-ნან „დედ-მამა“ (დად „მამა“, ნან „დედა“);

ჟგ-ზაბრ „ბებია-პაპა“ (ჟგ „ბებია“, ზაბრ „პაპა“);

ააშ-ვაშრ „და-ძმა“ (ააშ „და“, ვაშრ „ძმა“);

ატყ-წაქი „მშვილდ-ისარი“ (ატყ „მშვილდი“, წაქი „ისარი“, წაქი „ისრები“ შდრ.: ქართ.: მშვილდ-ისრები, თუმცა იხმარება მშვილდ-ისარიც);

ათ-პაპი „მამა-პაპა, წინაპრები“ (პაპი „პაპები“ შდრ.: ქართული მამა-პაპანი);

ბატრ-ბაქი „ცხვირ-პირი“ (ზედმიწევნით: ბატრ „ტუჩი“, ბაქი „პირი“ ბაქი „პირები“);

ბ) კომპოზიტის პირველი წევრი არის არსებითი სახელი, მეორე-მიმდევრად:

ბაქბელინ „პირმცინარე, კარგი გუნებისა“ (ზედმიწევნით: ბაქ „პირი“, ბელინ „მცინარი“, ელარ „სიცილი“ აქ აწმყოს მაწარმოებელი იყო ჟ, მიმდევრის ინ სუფიქსის დართვის შედეგად მოხდა სრული რედუქცია¹, რის შედეგადაც მივიღეთ ბელინ);

ბაქინჟან – „თავახდილი, თავღია“ (ზედმიწევნით: ბაქ „პირი“, ჟან „ღია“);

ბეკხ-ბ-ახუან „ბრალმდებელი“ (ზედმიწევნით: ბეკხ „ბრალი“, ბახარ „დადება“. ბოლო ორ მაგალითში აწმყოს მაწარმოებელია ო, მას დაერთვის მიმდევრის მაწარმოებელი ინ, რის შედეგადაც მორფმათა შესაყარში ო+ინ-> უან) (ჭრელაშვილი, 2002; 269).

ბაქ-ბ-ეხკინ „კუმტი“ (ზედმიწევნით: ბაქ „პირი“, დ-ეკხარ „დაბმა, შეკვრა“).

გ) კომპოზიტის პირველი წევრი არის არსებითი სახელი, მეორე კი – ზედსართავი სახელი:

დოკ-დ-აჟონ „დიდგულა, ზვიადი“ (ზედმიწევნით: დოკ „გული“, დ-აჟონ „დიდი“);

დამმატლი² „ენამჭევრი, ენაწყლიანი“ (ზედმიწევნით: დომ „სიტყვა“, მატლი² „ენაწყლიანი, ენიანი“, მოტ „ენა“);

დედაცუ³ „დღემოკლე“ (ზედმიწევნით: დე „დღე“, დ-აცუ³ „მოკლე“);

* ჩვენს ხელთ არსებული ლექსიკური მონაცემებით წოვა-თუშურში ჯერ ვერ გამოვავლინეთ ისეთი კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი არის ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი.

ამ შემთხვევაში შემადგენელი კომპონენტები ერთმანეთის მიმართ მსაზღვრელ-საზღვრულია, ჭარბობს პოსტპოზიციური წყობა.

დ) კომპოზიტის ორივე წევრი ზედსართავი სახელია:

დ-ავჰ-კაწკო^ნ – „დიდ-პატარა“ (ანტონიმური ზედსართავი სახელები. ზედმიწევნით: დ-დ-ავჰ^ნ „დიდი“, კაწკო^ნ „პატარა“).

ე) კომპოზიტის ორივე წევრი რიცხვითი სახელია:

იწ-იწატყ „ორას-ორასი“ (ზედმიწევნით: იწატყ „ორასი“, პირველი ნაწილი მოცემულია ფუძის სახით). თავად იწატყ არის რთული ფუძე: იწ „ათი“, ტყა „ოცი“: იწ+ა+ტყ(ა)=ათიxოცი=200

ჰხ - ჰხ „ნახევარ-ნახევარი“;

ვ) კომპოზიტის ორივე წევრი მასდარია:

თეფხ-აჩარ „ცემა-ბეგვა“ (ზედმიწევნით: თეფხარ „ცემა, გალახვა“, აჩარ „მიტყეპა, მიბეგვა“);

რთული სიტყვის პირველ ნაწილად თუ არსებითი სახელი გვაქვს, მეორე კი მიძლეობას ან ზედსართავ სახელს წარმოადგენს, არსებითი სახელი უმთავრესად წმინდა ფუძის სახითაა მოცემული: ბაქბეხკინრ „კუმტი“ (სიტყვა-სიტყვით პირშეკრული), ბუყფსტუჰნრ „მუახნის ქალი“, დედაცჷ „დღემოკლე“ და სხვ.

ორი მიძლეობური ფორმის შეერთებისას პირველი ნაწილი კარგავს მაწარმოებელ აფიქსს, მეორე ნაწილში კი მაწარმოებელი შენარჩუნებულია: დაყ-მაღარ - „საჭმელ-სასმელი“, თეფხ-აჩარ „ცემა-ბეგვა“ „ცემა- ტყეპა“ და სხვ.

ყურადღებას იქცევს ორი სახელური ფუძის შეერთებისას აუსლაუტში გაჩენილი ი ხმოვანი, რომელიც წარმოშობით მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი უნდა იყოს, თუმცა ახლა მისი ფუნქციის დადგენა ჭირს: ათ-პაპი „მამა-პაპა“, ატყ-წყაქი „მშვილდ-ისარი“ და სხვ.

მსაზღვრელკომპონენტანი კომპოზიტი შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: **ატრიბუტულმსაზღვრელიანი და მართულმსაზღვრელიანი**. ეს უკანაკსნელი ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნის წოვათუშური ენის თხზულ სახელებში. ამ შემთხვევაში რთული სიტყვის პირველი ფუძე დგას ნათესაობით ბრუნვაში და წარმოადგენს მსაზღვრელს მომდევნო წევრისათვის, საზღვრულისათვის.

დად-იწსტუ „დედინაცვალი“, სიტყვასიტყვით: დადი^ნ „მამის“, ფსტუ „ცოლი“;

გაგჷ-მქორთჷ „მუხლისთავი“, სიტყვასიტყვით: გაგჷ^ნ „მუხლი“, ქორთჷ, თავი“;

ცჰა-მ ბჰარკ-ლი^ნ „ცალთვალა“, სიტყვასიტყვით: ცჰა^ნ „ერთის“, ბჰარკ „თვალი“, ლი^ნ - ქონა-ყოლის აღმნიშვნელი სუფიქსი.

ვაშეზადერ „ძმისშვილი“, სიტყვასიტყვით: ვაშე^ნ „ძმის“, ბადერ „ბავშვი, შვილი“;

ყველა მართულ მსაზღვრელიან კომპოზიტს შენარჩუნებული აქვს შემადგენელ კომპონენტთა დამოუკიდებელი მნიშვნელობა.

რიგ შემთვევებში საქმე უნდა გვქონდეს კომპოზიტის პირველ კომპონენტში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სრულად მოკვეცასთან, მაგალითად: **მარდად** „მამამთილი“ (მარ „ქმარი“, დად „მამა“); **მარნანა** „დედამთილი“ (მარ „ქმარი“, ნან „დედა“); **დადვამ** „ბიძა“ (დად „მამა“, ვამ „ძმა“); **დადეშო** „მამიდა“ (დად „მამა“, აშა „და“);

დღეს წოვათუშურში ძალზედ აქტიურია ინტერფერენციული პროცესები, რაზეც ქართულიდან კომპოზიტა ხშირი სესხებაც მიუთითებს. სესხებისას, სიტყვათმეერთების სამი ძირითად სახე განირჩევა:

1) პირდაპირ ან შუალობით ნასესხებია რთული სიტყვა მთლიანად: საზღვარგარით „საზღვარგარეთ“, ვაჟკაც „ვაჟკაცი“, გულმთისა^ნ „გულთმისანი“ და სხვ.

2) ნასესხები სიტყვა გამოყენებულია პირველ კომპონენტად, საკუთარი – მეორედ: წელტილუდნი „საახალწლოდ“, საბა^ნ-ფალიზი „საბან-ფარდაგები“;

3) საკუთარი სიტყვა გამოყენებულია პირველ კომპონენტად, ნასესხები – მეორედ: ლამ-ბარ „მთა-ბარი“, შალთ-ქამარ „ქამარ-ხანჯალი“, დოკლონშა „გულწასული“;

ქართულიდან ნასესხები კომპოზიტების დაწვრილებითი მიმოხილვა მომდევნო წერილის საქმეა.

ლიტერატურა

ქადაგიძე, ქადაგიძე 1984 – დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

შანიძე 1953 – ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ჩოქაევი 1968 – К. З. Чокаев, Морфология чеченского языка часть I, Грозный.

წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი 2012, ტ. I, თბილისი.

წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი 2013, ტ. II, თბილისი.

ჭრელაშვილი 2002 – ვ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბილისი.

DIANA KAKASHVILI

Composition in Tsova-Tush

S u m m a r y

In the Tsova-Tush language the composition along with the derivation takes an important place in the lexical enrichment of the language. The composition is carried out through the variety of means:

- 1) Base doubling, e. g. **txā-txā** „any day“, **busū-busū** „at night“;
- 2) Connecting two different bases, e. g. **Tujx-majqī** „lots of different dishes“, **boarkʻiriⁿ** „having sharp eyes“, **ax-d-ivujnī** „a husbandman“;

The components of a compound may be different parts of speech:

- 1) a noun + a noun, e. g. **jaš-vašō** „a sister and a brother“ (**jašō** „a sister“, **vašō** „a brother“);
- 2) a noun + a participle or a masdar, e. g. **bak-b-exkinō** „dour“ (**bak** „a mouth“, **d-elxar** „to tie“);
- 3) a noun + an adjective, e. g. **doḵ-d-aqoⁿ** „arrogant“ (**doḵ** „a heart“, **d-aqoⁿ** „big“);
- 4) an adjective + an adjective (just one case), e. g. **d-aq-ḵaḵoⁿ** – „the small and the big“ (**d-d-aqoⁿ** „big“, **ḵaḵoⁿ** „small“);
- 5) a numeral + a numeral, e. g. **āx - āx** „each half“;
- 6) a masdar + a masdar, e. g. **tepx-ačar** „battering and beating“ (**tepxar** „battering“, **ačar** „beating“).

The smallest group of the Batsb compounds includes the words with the governed adherents, e. g. **dad-iⁿ psṭu** „a step-mother“ (**dadiⁿ** „of a father“, **psṭu** „a wife“); **gagū-jⁿ kortō** „a top part of a knee“ (**gaguiⁿ** „a knee“, **kortō** „a head“) etc.

We think that in some cases the apocope of the possessive case markers of the first component of the compound takes place, e. g. **mardad** „a father-in-law“ (**mar** „a husband“, **dad** „a father“); **marnana** „a mother-in-law“ (**mar** „a husband“, **nan** „a mother“) etc.

მაკა ლაბარტყავა

„მზე ცხრათვალა“ ანა კალანდაძის შემოქმედებაში

მზე ადამიანის სულის სიმბოლოს ჰგავს. ის მუდამ არის ადამიანში და დროის მიხედვით ფაქტობრივად არ იცვლება. შეიძლება ითქვას, რომ მზე ადამიანის თავისებური გენოტიპია.

გურამ ბედომედი ადნიშნავს, რომ ანას პოეზიაში მზე გააზრებულია არა როგორც ასტროლოგიური ცნება (ციური სხეული... ჰელიოსისტემის ცენტრი...), არამედ როგორც ზეციდან მიწაზე ჩამოსული, სიცოცხლისა და სიკეთის საწყისი – ღმერთი, ჭეშმარიტი დემიურგი, ურომლისნებოდაც პლანეტა „დედამიწა“ უსიცოცხლო მასად იქცეოდა (ბედომედი 2014: 80).

ანა კალანდაძის მთელი შემოქმედება მზის სითბო-სიბრწყინვალით არის განათებულ-შთაგონებული, ამიტომაც არის, რომ პოეტის ნააზრევში მზე და დედამიწა ორგანულ მთლიანობაში, ამასთან, სრულ ჰარმონიულ ურთიერთგანპირობებულობაში აღიქმება... და, მამასადაძამე, იდეურად თანხვედბა იმ უძველეს ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, რომელთა მიხედვითაც მზე დედაა, მშობელია. ანას პოეზიაში ხალხურ ტრადიციულ ცნობიერებაში შემონახული ლექსი „მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიო“, ან „მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი“. ასევე უმწეო ადამიანთა მიერ მზისადმი აღვლენილი უძველესი ღაღადისი: „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ევარები გორასა; სიცივეს კაცი მოუკლავს...“ და მისთ. ახლებური მხატვრული დატვირთვით არის წარმოჩენილი...

მზე ნაირგვარად აღიქმება პოეტის მეხსიერებაში. სირაქლემას ლამაზი ფრთებით შემოსილი პოეტი მზის მომღერლად აცხადებს თავს:

„თავს მოვიკაზმავ სირაქლემას ლამაზი ფრთებით
და მზეს ვუმღერებ, ოკვანით მომავალს მძიმედ“...

(კალანდაძე 2004: 117)

ანას თვალთ აღქმული „მზე მაღალი“ ღვთიური ძალითაა შემკული:

„ემშაკეულთა დაწონეს პინა,
გულშიგან სინჯავ შუბისას ნატეხს...
მზეო მაღალო, მშვიდობა გვფინე,
მზეო მაღალო, სიმხნევე გვმატე“... (452)

მზე სიცოცხლის ძალაცაა, იგივე ღმერთია პოეტისათვის, ამიტომაც ეთაყვანება მას:

„როცა მზის სხივი მასაც მოძებნის,
შეირხევიან ანგელოსები:

სიცოცხლის ძალას ასე ხვდებიან...
მთვარის ქვეშ ისევ გაქვავდებიან“... (114)

ან კიდევ:

„ვადმერთებ მზესა,
ვანთებ ცეცხლსა
და ვწირავ მსხვერპლსა“... (63)

მწყემსის მიერ ატირებული სალამური მზის სასალამო სიმღერას მღერის, მარტისპირულს:

„სალამურს ატირებს „მწყემსი ქაცვია“
და მოვს ცხოვარი...
ეს სიმღერაა მზის სასალამო,
მარტისპირული“... (65)

გასაოცარ განცდას იწვევს მკითხველში ანასეული „მკვდართა მზე“ –
ორი ქვეყნის გზაგასაყარზე მანათობელი, სხივმიმკვდარი:

„სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი
მკვდართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში თამაშობენ ბედურები“... (95)

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ანას პოეზიაში „მზის გულს“, რომელიც სხვაგვარად ათბობს და ანუგეშებს:

„მახსოვს მოხუცი გეჯურა, –
ფიქრებში დაინთქმებოდა...
თავის ეზოში მზის გულზე
ციცასთან ერთად თბებოდა“... (187)

ან კიდევ:

„შემორჩენილი სვეტის თავებზე
მრისხანე ლომი
მზის გულზე თბება“... (491)

ამიტომ უდარებს პოეტი მზეს ადამიანთა დაულალავ გულს, რომელიც საიმედო და ძველია მზესავით („...გული, გული არ იღლება, – ისიც მზესავით ძველია!“ (484).

ანასთან მზე გასულიერებულია, ის ფეხის წვერებზე იწვევს და „მზის ქალაქშიც“ იხედება: „მზემ აიწია ფეხის წვერებზე, მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა“ (9).

მზეს ანამ სიარულიც შეაძლებინა. მზეს ძალუმს „ოქროს ფეხებით“ სააქაოს „თბილ სამარეს“ ესტუმროს:

„ქარი მოვა, მზეც ჩამოვა ხშირად ზენით
და „თბილ საფლავს“ თვის ოქროს ფეხს დააბიჯებს“ (110), ხოლო მზის ღიმილით აღფრთოვანებული ვარდი საოცარ ხმას გამოსცემს:

„მზის ღიმილი აღაჩინა ცამან,
ვარდს აღმოხდა ხმაი საოცარი“ (67)

ანას მზე ვარდფურცლობისას იცინის კიდეც:

„მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელეების“... (78)

მზეს სმენის უნარიც აქვს:

„შენ მისმენ ისე, ვით მზე უსმენს ოკეანეებს“... (144)

„ცხრათვალა მზის“ ტრფობა პოეტს სამუდამოდ გულში ჩარჩენია:

„ჩვენ ცხრათვალა მზეთა და
მძვინვარე ზღვათა
ტრფობა გაგვყოლია“... (146)

სამშობლოს ცის ცხრათვალა მზეს კი განსაკუთრებულად სცოდნია მზე-
დართა გათბობაცა და მოფერებაც:

„სამშობლოს ცას სცოდნია გაშლა ლურჯად...
ცხრათვალა მზე თავს დაადგა მხედარს“

ანას პოეზიაში მზით დათრობაც კი შესაძლებელია („...ისევ მთვრალია
აშუღთა მეფე, მზით, სიხარულით, სიცოცხლით მთვრალი!“..) (251), ზოგჯერ
მზე არჩვისა და ჯიხვის ტყავებზეც დაბრძანდება („...მზე დამძიდა და და-
ბრძანდა არჩვის და ჯიხვის ტყავებზე“...) (220) ან ნამვის სამეფოში შეიჭრება
(„...მზე შეიჭრა ნამვის სამეფოში და ძვირფასი თან მიჰქონდა მიმყოლს მარგა-
ლიტით მოჭედილი ქოში“...) (67), ზოგჯერ კი მზე საარწივისწვერს ეფრქვევა
ზედ („საარწივისწვერს მზე ეფრქვეოდა, ჭიუხებისაც მზით წითდა წვერი“...)
(221).

„...წვიმის წვეთებიანი ვარდებისა და ნაწვიმარი გზების ფონზე უდაბ-
ნოს მწირივით მზეზე გამთბარი ლექსის გმირი მუხლჩაჩოქილი უმზერს
ფრთამშრალ ჭიამაიას და ბავშვივითაა გაოცებული, რომ ეს პატარა, ყვავილის-
დარი ქმნილება თურმე სულაც არ დასველებულა:

„ვარდთ შემოუნახავთ წვეთები წვიმის,
გზაც ნაწვიმარია...
მე ვთბები მზეზე, ვით უდაბნოს მწირი,
და ჭიამარიას
ვუმზერ ჩემს მუხლებზე
დაჩოქილს მუხლებით,
ყვავილის სადარს“... (ვაშაკიძე 2014: 147)

საინტერესოა, თუ როგორ ელიან მზის ამოსვლას სხვადასხვა მხარეს –
მთები თუ სერები, გზები თუ მწვერვალები, პირამიდები თუ კარნაკის სვეტე-
ბი, ფოთლები თუ ყვავილები – და ეს ყოველივე იმიტომ, რომ მზეს სიცოცხლე
მოაქვს ანასთან:

მზეს შენატრის, მის ამოსვლას ელის ნარიყალა:

„ნისლებს იხვევს ნარიყალა,
მზის ამოსვლას უხანია“... (54)

მზის ამოსვლას შენატრის ჭარმაგი ლეკვიც:

„მუხლებმოყრილი ჭარმაგი ლეკვი
მზეს მოელოდა მედინას მხრიდან“... (374)

მზის სიელვარე კოცონებივით ანთებს პირამიდებს:

„უზარმაზარი მზე ბრიალებს
პირამიდებთან,
კოცონებივით ანთებულან
პირამიდები“ (500)

მზის სხივები აღვიძებს შუაფხოს სერებს:

„მზე ჩამოხედავს შუაფხოს,
გაიღვიძებენ სერები,
არაგვზე იბალახებენ
ლურჯყავჯრიანი ცხენები“ (182)

სხვაგვარად ბრწყინავს მზე ბორბალოს მთაზე:

„დაბნელდა ირგვლივ
მზის სხივი მხოლოდ ბორბალოს ჰენია“ (167)

მზის სხივთა შეხებას ელიან ნაწვიმარი ფოთლებიც:

„ო, შენ ილოცებ მზის ამოსვლის წინ,
რომ აღმაცერი
სხივები მისი კვლავ შეეხონ
ნაწვიმარ ფოთლებს“ (488)

სამეფო ეტლით მოთარეშე ნეფერტიტიც ლამობს მცხუნვარე მზეში კარნაკის სვეტების ხილვას:

„მცხუნვარე მზეში თვალშეუდგამ
კარნაკის სვეტებს
ჩამოუქროლებს ნეფერტიტი
სამეფო ეტლით“... (409)

გურიაში ლამაზ ქალსაც ნარინჯის ველების დამახება მაშინ უნდება, როცა ჩიტი მიხდვრად გაიფრენს და მზე ბახმაროს დაადგება თავს:

„მზე რომ ისარს ჰკრავს ბახმაროს
და ჩიტი მიხდვრად გაფრენას ჩქარობს,
შენებრ დასმახე ნარინჯის ველებს
აქ, გურიაში, ლამაზო ქალო!“ (139)

ხოლო გამარჯვებით გაამაყებული ფრანგი უპირველეს ყოვლისა, სწორედ მზეს უცინის – მზეს აუსტერლიცისას:

„ნაპოლეონის ბრინჯაოს ნიღაბს
სამარადისოდ გახსნია ბაგე.
აუსტერლიცის მზეს თუ უცინის
გამარჯვებული, ამაყი ფრანგი“...

ცნობილია, რომ ანას რძალმა – თინა ყანდარელმა პოეტის არქივში იპოვა ერთი მისთვის უცნობი ლექსი, რომელიც ასე მთავრდება: „ცხრათვალა მზეც კი ცივია, ცივი, როს სამეგობრო ცარიელდება“.

საოცარია, რომ სამეგობროდაცარიელებული გარემო ანასთვის მზესაც კი აუძლურებს, ცივს ხდის, რომელიც ამბობს – „რაც უნდა მცხელოდეს, არ

ვამბობ, მზეს არ მინდა ვაწყენინო“, ამიტომაც არის ანას პოეტური სამყარო მზესავით მბრწყინავი და შარავანდმოსილი. მზე მუდამ ენატრება პოეტს:

„მზე, მთვარე ჩემი – გაბრწყინებული,
მომნატრებია ნათელი მათი“... (115)

მზესთან ახლოს დამკვიდრება სურს ანას, რათა მუდმივად უმზიროს მას:

„დავემკვიდრები იმ მთების წვერსა,
მსურს, სამუდამოდ ვუყურო მზესა“... (115)

პოეტი ქარს შესთხოვს, რომ როგორმე მზესთან ახლოს დადგას მიწური მისი:

„იქ, ახლოს მზესთან, სულ ახლოს მზესთან...
ქარო, მიუვალს კლდეზე დადგი
ჩემი მიწური!“... (115)

როგორც ჩანს, ოქრომფინარი მზე მაინც ახალგაზრდობას ახლავს თან და დროთა სვლასთან ერთად მიდის მისი ბრწყინვალეობაც, ნელ-ნელა ფერმკრთალდება, ისევე როგორც დრო ამცირებს იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც შეიძლება მოგვენატროს:

„ყმაწვილქალობამ წაიღო
მზეები ოქრომფინარნი.
ნეტა კი ვინმე მომგონდეს,
რომ... უმისობა ვინანო!“... (386)

საინტერესოა, რომ უმზეობა და უმეგობრობა ერთმანეთს ასოციაციურად უკავშირდება ანასთან.

და მაინც, ანა სულთსამკვიდრებელ სამყოფელშიც მზისგან ელის წყნარ სადგურს, მისი იმედი აქვს:

„მზე დიდებული-
ვით ლამაზ მინდვრებს...
შენ მე ყოველთვის
მომცემ წყნარ სადგურს
სულთ დასამკვიდრებს“ (229)

მზეზე თავდავიწყებით შეყვარებული ანა ამბობს: „მთის მზე არა მწვავს მშვენიერ სახეს“, პირიქით მზით დამწვარი ხელი კიდევ უფრო უხდება ღვინიან ჭიქას.

„აქ – მზით დამწვარ ხელში,
ღვინიანი ჭიქა...
იქ – ცარიელ ქვევრში,
დამწყვდეული ჭინკა“ (134)

მზისკენ ილტვის ამქვეყნად ყველა და ყველაფერი: ვერხვები – „ზღაპრული რაშითა“ თუ ჩინარი „ფოთლის შრიალით“, დაფნის გვირგვინით შემკული ანგელოსი თუ ტატოს „მერანი“ და აკაკის „სულიკო“, ხოლო ოკეანიდან ამოსულ მზეს კიდევ უფრო სხვა ძალა აქვს, მისი შუქით განსხვავებულად ბრწყინდებიან ზღაპრული მთები:

„მზე ოკეანით ამოვა მძიმედ,
გაბრწყინდებიან
შორეული ზღაპრული მთები...“ (117)

ლოცვა განწმენდს ყველას და ყოველივეს იმიტომ, რომ ლოცვა დიალოგია ღმერთთან – უპასუხო დიალოგი, უპასუხო იმიტომ, რომ ღმერთის პასუხი პატიება და წყალობაა, რასაც ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. უხილავ უფალს, რომლის წინაშეც სევდიანი და ავზრახვადავიწყებული გველიც კი უძღურია. და ეს ყოველივე მაშინ ხდება, როცა გველი თავის დაწინწკლულ ტანსა და სევდიან თვალებს მზეს უჩვენებს. ამ შემთხვევაში მზე გველისთვის უფალთანაა გაიგივებული:

„ლოცულობს გველი...
ვინ იტყვის ახლა, ერჩოდეს კაცთა,
ნაიდუმალევს
როს მზეს აჩვენებს დაწინწკლულ ტანს და
სევდიან თვალებს“... (108)

ზოგჯერ პოეტი მზეს ძველქართული ფორმით მოიხსენიებს, რითაც კიდევ უფრო მეტად ათბობს მკითხველს: „ცაში გაფრენილან ნისლიანი მთები... მზეი შენით მზეობს“ (34); „მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია, ჩურჩულებენ მოლზე ნაირფერები“ (79); „მომწუხრისას მზეი როცა დაცხრა, დედოფალი ლოცვად იდგა ტაძრად“ (68); „მზეი ცხრათვალა ბრიალებს სადაც, შენც, შენც იქა ხარ, იდუმალეზავ!“

მართლაც იდუმალეზავა – დიდებული პოეტური იდუმალეზავა – ანას მზით გამთბარი პოეზია... და კიდევ – ნუგეში: „– ნუ ტირი, ჩემო პატარავ, მზე კვლავ დაგაფრქვევს ღიმღისა“... (153)

„ანა კალანდაძის მრავალსახოვან შემოქმედებაში გვხვდება ლექსები, რომლებშიც სიტყვა „მზე“ ერთხელაც არა არის ნახსენები, მაგრამ ყოველ მის სტრიქონს უთუოდ ადგას უხილავი მზის შეგრძნობადი ნათელი, საიდანაც მზეებრი სითბო მოედინება...“ (ბედომვილი 2014: 80-82).

ლიტერატურა

- ბედომვილი 2014** – გ. ბედომვილი, კრებული ანას, თბილისი.
ვაშაკიძე 2014 – თ. ვაშაკიძე, კრებული ანას, თბილისი.
კალანდაძე 2004 – ანა კალანდაძე, ლექსები, თბილისი.

MAKA LABARTKAVA

The Sun in Ana Kalandadze's Works

S u m m a r y

The paper deals with the poems by Ana Kalandadze in which the poetess used the word “sun” in different contexts.

In Ana's poetry the sun is considered as God, the source of life. Everything greets the sunrise in a special way – the peaks of the mountains, the pyramids or the pillars of Karnak, the leaves of flowers, the seas, the rivers, the oceans...

The poetic-stylistic techniques associated to the sun give these mysterious, wonderful poems the special emotional hue.

ქეთევან მარგიანი-სუბარი

**„ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის“ შედგენის
თეორიული საფუძვლები და თარგმანთა სპეციფიკა**

ენის ისტორიულ-შედარებითი კვლევა გულისხმობს მის ანალიზს ფონეტიკა-ფონოლოგიისა და გრამატიკული თვალსაზრისით. ამასთან, მნიშვნელოვანია სიტყვა-ფორმათა ზუსტი სემანტიკური ანალიზი სინქრონიულ დონეზე შესაძლებლობის ფარგლებში დიაქრონიული მონაცემების გათვალისწინებით. ამის შესაბამისად, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მნიშვნელოვანი მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტი „ზემოსვანური ტექსტების მორფოლოგია-სემენტაცია (გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი ქართული-ინგლისური ვერსიითურთ)“ განხორციელდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში; პროექტის საფუძველზე გამოსაცემად მომზადდა ზემოსვანური მორფემული ლექსიკონი, რომელიც სვანური ენის დღემდე არსებულ ლექსიკონთაგან განსხვავდება რამდენიმე ნიშნით:

ა) ნაშრომში სიტყვა-სტატიები მოცემულია არა ძირითადი ფორმებით, არამედ სიმფონია-ლექსიკონის პრინციპით, რაც გულისხმობს ყველა ლექსემის ფიქსაციას ნაშრომში ისე, როგორც ის ზემოსვანური ტექსტების პუბლიკაციებშია, ფრჩხილებში კი ფორმაცვალეზად მეტყველების ნაწილებს მიწერილი აქვთ ამოსავალი ფორმა: ზმნებს – საწყისი, სახელებს – სახელობითი ბრუნვა;

ბ) ზმნური ფორმები პირველად ითარგმნა ევიდენციალობის გათვალისწინებით, რაც მკითხველს უფრო სრულ წარმოდგენას შეუქმნის სვანური ზმნის შესაძლებლობებზე და თვალსაჩინოდ წარმოადგენს დაპირისპირებას ორ აწმყოს (ნეიტრალურსა და ევიდენციალურს), ორ მყოფადს (ნეიტრალურსა და ევიდენციალურს), უწყვეტელსა და პირობითს, შედეგობითსა და შედეგობით-პირობითს შორის.

გ) ერთ-ერთ სპეციფიკურ საკითხს წარმოადგენს სვანურ ენაში **-ოდჷ/-უჷ/-უ/-ჷ** (“-მცა”)

ნაწილაკიანი ფორმები და მათი ქართული განმარტებაც გარკვეულწილად არაერთმნიშვნელოვანია და კონტექსტზეა დამოკიდებული; მსგავსი ვითარებაა I და II პირთა პირდაპირი ნათქვამის გადმოცემისას, რომელთა მორფემაც (**-გჷ/-ოჷ**) გაუდიფერენცირებელია და შეესაბამება როგორც “-მეთქი”, ასევე “-თქო” ნაწილაკს; მსგავს შემთხვევებში ლექსიკონში ვუთითებთ სალექსიკონო ერთეულის ყველა შესაძლო მნიშვნელობას, ომონიმურობისა და პოლისემანტურობის გათვალისწინებით;

სვანურ-ქართული სემანტიკურ-ნიუანსური შესაბამობის თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულე შეიქმნა ზმნურ ფორმათა განმარტებისას. როგორც ცნობილია, სვანური ზმნის პარადიგმა ქართულთან შედარებით უფრო ვრცელი და რთულია; მწკრივთა სიმრავლის საფუძველი, როგორც კვლევამ აჩვენა, არის ევიდენციალობის კატეგორია, რომელიც სვანურ ენაში სრულადაა განვითარებული ამ კატეგორიისთვის დამახასიათებელი ყველა ასპექტით – მორფოლოგიურად არის გამოხატული როგორც ვერბალობა, ასევე ინფერენცია (დასკვნა, რომელსაც აკეთებს მთქმელი საკუთარი ფონური ცოდნისა და რეალური ცხოვრებისეული მოვლენების საფუძველზე – უილეტი 1988; კოზინცევა 2007). აქედან გამომდინარე, ქართულთან მათი სრული სემანტიკური შესატყვისობა მხოლოდ აღწერთია. ასეთი მწკრივებია თურმეობითი I და თურმეობითი II (**ხაბრუნა** “უწერდა/აწერდა თურმე”, **ღგმი/ირტუნელი** “წერდა თურმე”), რომელთაც კონტექსტის მიხედვით შეუძლიათ გამოხატონ ინფორმაციის როგორც ვერბალური წყარო, ასევე ინფერენციული. ეს ზმნური ფორმები ენათმეცნიერთა მიერ დიდხანია გამოწვლილვით არის შესწავლილი, უღლების პარადიგმაში ვარლამ თოფურია მათ I სერიაში განიხილავს (ჩვენც ამ პრინციპს ვიზიარებთ და მივყვებით), აღ. ონიანი კი IV სერიად გამოყოფს; უნდა ითქვას, რომ ამ ზმნებით გამოხატული მოქმედებისთვის, მიუხედავად იმისა, ინფორმაციის წყარო ვერბალობაა თუ ინფერენცია, ქართული თარგმანი ერთი და იგივეა, ვინაიდან თავად ნაწილაკი “თურმე” ორივე წყაროს მიესადაგება, მათი ქართული თარგმანი მხოლოდ ქცევის მიხედვით არის განსხვავებული: პირველი – სასხვისო ან საზედაოა, მეორე კი – საარვისო; ამ მხრივ საანალიზო ნაშრომში განმარტებების თვალსაზრისით სიახლე არ გვაქვს;

სხვა ვითარებაა დრო-კილოთა ისეთ ფორმებთან, როგორიცაა ნამყოუსრული (ტრადიციული ტერმინოლოგიით), ძირითადპრევერბიანი მყოფადი, პირობითი (სრული და უსრული), პირობით-შედეგობითი I და II – საკუთრივ ინფერენციული მწკრივები (ჩვენი ტერმინოლოგიით); ეს ტერმინი დრო-კილოთა საანალიზო ფორმებს მიესადაგათ იმდენად, რამდენადაც ისინი ყოველთვის ინფერენციულ წყაროზე დამყარებული ირიბევიდენციალური, ინფერენციული მნიშვნელობის მქონე ზმნური ფორმებია და, როგორც ცალკე აღებული ლექსემები, ყოველთვის გამოხატავენ ინფორმაციის სავარაუდოობას, არც ერთ შემთხვევაში – კატეგორიულობას; მაშასადამე, “საკუთრივ ინფერენციულია” დრო-კილოთა ის ფორმები, რომელთა სემანტიკა, კონტექსტისა და ინტონაციის მოშველიების გარეშე, ერთმნიშვნელოვნად ინფერენციას – მსჯელობას, ლოგიკურ დასკვნას გულისხმობს და გამორიცხავს პერცეფციას (ნამყო დროებში) ან კატეგორიულობას (აწმყოსა და მყოფადში); ასევე, შედეგობითებისგან განსხვავებით, გამოირიცხება ვერბალობა როგორც ინფორმაციის წყარო. აღნიშნული **ზმნები ყოველთვის საეჭვობა-სავარაუდოობას გამოხატავენ სწორედ იმიტომ, რომ ინფორმაციის წყარო ინფერენციაა** (ინფერენცია – ლოგიკური დასკვნა ან მსჯელობა ხომ თავისთავად სავარაუდოობის მნიშვნელობის მატარებელია და არა მყარი ცოდნისა მოვლენისა თუ მოქმედებს შესა-

ხებ). როგორც ა. არაბული აღნიშნავს, “ზმნური შესიტყვების – ზმნის ფუნქციონირების უმცირესი ერთეულის – ფარგლებში ფორმის ძირითადი მნიშვნელობა არ იცვლება. ამიტომაც შესაძლებელია ზმნური ფორმის ძირითადი სემანტიკური მონაცემები, ძირითადი სტატუსი განვსაზღვროთ მაქსიმალურად ნეიტრალურ გარემოცვაში, “ნეიტრალურ კონტექსტში” (არაბული 1994: 102); **საანალიზო ზმნები კი სწორედ ისეთი ზმნებია, რომელთაც უნარი შესწევთ მარტივი კონსტრუქციების შექმნისა (განსხვავებით, მაგალითად, კონიუნქტივებისგან). მათი ფუნქცია ინფორმაციის საეჭვოობა-სავარაუდოობის გამოხატვაა ინფერენციულ წყაროზე მინიშნებით.**

ქართულ სალიტერატურო ენაში მათი ზუსტი შესატყვისები (სემანტიკური თუ გრამატიკული) არ დასტურდება, ამიტომ სათანადო კონტექსტებში ენა მოდალურ საშუალებებს იშველიებს, ზოგჯერ კი კონტექსტის ფარგლებში შესაძლოა ფუნქციურად ისეთი მწკრივიც გამოიყენოს, რომლის ძირითადი მნიშვნელობა ინფერენციულობა არ არის, უმეტესად – კავშირებითები, რომლებიც “რთული კონსტრუქციების შექმნას ემსახურებიან და დასრულებულ მარტივ (“ნეიტრალურ”) კონტექსტს ვერ იძლევიან” (არაბული, იქვე); სწორედ ეს ასპექტი განსაკუთრებით თვალშისაცემია სვანური ტექსტის ქართულად განმარტებისას (რომელიც, შეიძლება ითქვას, ნიუანსობრივად იდენტური არასდროს გამოდის):

1) შესაძლებლობის აწმყო (resp. ინფერენციული აწმყო; მყოფადუსრული): ა/იდგარუნ – „ალბათ კლავს“ (/„კლავდეს იქნება“, შდრ. აწმყო: ადგარი – „კლავს“;

2) ძირითადპრევერბიანი მყოფადი: ჩუადგარნე – „ალბათ (/შესაძლოა) მოკლავს“, შდრ.

„წინდებულ-თანდებულისანი (კატეგორიული) მყოფადი: ჩუადგარი – „მოკლავს“;

3) უსრული პირობითი: ბზ. ადგარ¹უ¹ნ¹რლ, ბქ. იდგარ¹უ¹ნიუ¹ „ალბათ (/შესაძლოა) კლავდა“, შდრ. უწყვეტელი: ბზ. ადგარდა, ბქ. ადგარიუ¹ „კლავდა“;

4) პირობით-შედეგობითი I: ხედგარი „ალბათ (/შესაძლოა)“ მო¹უკლავს, შდრ. შედეგობითი I: ხოდგარა „მო¹უკლავს (მას ის)“;

5) პირობით-შედეგობითი II: ბზ. ხედგარ¹რლ, ბქ. ხედგარიუ¹ „ალბათ (/შესაძლოა)“ მო¹ეკლა, შდრ. შედეგობითი II: ბზ. ხოდგარ¹ნ, ბქ. ხოდგარა/ან „მო¹ეკლა“;

იმის საჩვენებლად, თუ რა სიახლე შევიდა საანალიზო ნაშრომში ქართული თარგმანის თვალსაზრისით, სტატიაში დაწვრილებით განვიხილავთ ორ ევიდენციალურ მწკრივს: ნამყოუსრულსა (ტრადიციული ტერმინოლოგიით) და ძირითადპრევერბიან მყოფადს;

სვანურში, ქართულთან შედარებით, ერთ-ერთი “მეტი” (ა. შანიძე) მწკრივია “საკუთრივ სვანური” ფორმა (ქართულთან მიმართებით) **მყოფადუსრული**. სვანურშივე ის სრული მყოფადისგან არა მხოლოდ ასპექტით განსხვავდება (როგორც ეს მოსალოდნელი იყო), არამედ ფორმითაც: ეს ზმნები წარმოადგენენ **-უნ-** სუფიქსით გართულებულ აწმყოს. გვაქვს **-ინ-** ვერსიაც.

აღნიშნული სუფიქსი აწმყოში ენიშნინან ზმნებთანაც ბოლოკიდურად -ი'ს და-ისვამს: ა-ტნბ-ე (“თლის”) – ა-ტნბ-უნ-ი (“თლიდეს იქნება”); ამიტომაც ვ. თოფურია აღნიშნავს, რომ “მყოფადუსრული იწარმოება აწმყოს ფუძისაგან, რომელსაც ბოლოსართები (-ე, -ი) მოკვეცილი აქვს და სამაგიეროდ ერთვის სუფიქსები: -უნ-ი (>-ტნ-ი, -ნ-ი) და -ინ-ი (>ნ-ი). ლაშხურ დიალექტში ორივეს ნაცვლად იხმარება -გნ-ი” (თოფურია 1967:112-114). ქართულს სემანტიკურად მისი ზადალი მწკრივი არ მოეპოვება; მას “რუსული შედგენილი მყოფადი ფარავს, ქართულად და მეგრულად კი აღწერთად გადმოვცემთ: **კონიუნქტივი I ფორმა+“იქნება”/“იყუაფუ”** (თოფურია, იქვე) – ეს ქართულ-მეგრული აღწერთი განმარტება თავისთავად მეტყველებს ამ ზმნების სპეციფიკურ სემანტიკაზე – მთქმელი ნათქვამის საეჭვოობა-სავარაუდოობას გამოხატავს), რასაც სწორედ ინფორმაციის ინფერენციული წყარო განაპირობებს; ამ ფორმებისთვის ვარლამ თოფურიას მიერ მისადაგებული ქართული განმარტება (**აირუნი** “წერდეს იქნება”) სწორედ აღნიშნულ მნიშვნელობას გახაზავს, რამდენადაც ნაზმნარი ნაწილაკი “იქნებ” სწორედ დაუზუსტებლობას, საეჭვო-სავარაუდოობას გახაზავს. ამ მწკრივის შესახებ ჯერ კიდევ არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ **ის ისტორიულად აწმყოა**: “სვანური მყოფადუსრულის მაწარმოებელი სუფიქსები (-უნ-ი, -გ-ნი, -ინ-ი) შედგენილია და -ი, ეჭვს გარეშეა, იგივე მონაცემი უნდა იყოს, რაც აწმყოს -ი, წარმოშობით ხოლმეობითის სუფიქსი” (ჩიქობავა 1948:102-103); გ. მაჭავარიანი ასევე ვარაუდობს, რომ ეს მწკრივი (მყოფადუსრული) არის **“გამყოფადებული აწმყო”, რომელშიც -უნ|-ინ (< -ენ) სუფიქსებს [ასევე კაუზატივის -უნ|-ენ (>-ინ)ს] წარმოშობით აწმყოს ფუძის საწარმოებელ ფორმანტებად მიიჩნევს** (მაჭავარიანი 1974:138); ჩვენი აზრით, ეს ფორმა არა მხოლოდ ისტორიულად, არამედ ენის განვითარების დღევანდელ ეტაპზეც აწმყოა, ოღონდ **ინფერენციული**, რომელმაც შემდგომ ფუნქციურად მყოფადიდ შეითავსა; ის არ “გამყოფადებულა”; საანალიზო ფორმები უმთავრესად ახლანდელ დროს გულისხმობენ – ზოგად თუ კონკრეტულ აწმყოს, ოღონდ ინფერენციულს, მყოფადის გამოხატვას კი ისინი ფუნქციურად ითავსებენ, რის დადგენაც მხოლოდ კონტექსტით ხდება შესაძლებელი; საანალიზო ზმნურ ფორმათა გადმოქართულებისას ან ზოგიერთ ინდოევროპულ ენაზე თარგმნისას სემანტიკური თანხვედრის მიღწევა შეუძლებელია მოდალური ლექსემების (“აღბათ”, “იქნებ”, “შესაძლოა”, “ეტყობა”...) გამოყენების გარეშე, რაც დასტურია მოსაზრებისა: “თუ თარგმანში მოდალური სიტყვები აუცილებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ წყარო-ენაში (ძირითად მეტყველებაში) ზმნური ფორმა კომპლექსურად გამოხატავს ინფერენციულობას და გამონათქვამის არასრულფასოვანი სარწმუნოობის (სანდოობის) მოდალურ მნიშვნელობას. წყარო-ენაში ასეთი ფრაზები უშვებს მინიმუმ ორი ალტერნატიული სიტუაციის არსებობის შესაძლებლობას” (ხრაკოვსკი 2007:616-618); თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანოთ მაგალითები:

ბქ.: **ლადი ალ მარე ჯი იჯნუნი, ჯანარს დემის გჷაწონე** – “დღეს ეს კაცი ‘თუ’ თვითონ ხნავს, ხარებს არ გვათხოვებს”;

მგზარ ალ მარე იჯნუნი – “ხვალ ეს კაცი აღბათ ხნავს /ხნავდეს იქნება”;

ბაზი ამეი გარ იშდუტნი, ქორ ლელდაპი ვედნი – “ამადამ ოთუ” სულ ასე ითოვებს, სახლი გადმოსათოვლი გახდება”;

სერთხი შტანს ათხე იშდუტნი – “ვაითუ, სვანეთში ახლა თოვს” (“თოვს იქნება”)...

აღნიშნული სემანტიკა მრავლად იმეზნება სვანური ენის ყველა კილოს ტექსტების გამოცემებში; ვინაიდან ნაშრომი ერთგვარად სიმფონია-ლექსიკონის ხასიათისაა, მასში ეს მასალა სრულად არის წარმოდგენილი სათანადო ქართული განმარტებებით;

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სტატიკურ ზმნებში, რომლებიც მიჩნეულია უფრო ადრინდელ ფორმებად (სვანურში კი ისინი გაცილებით მრავლადაა სალიტერატურო ქართულთან შედარებით), ასევე ფიქსირდება ოპოზიცია – **ნეიტრალური აწმყო : ინფერენციული აწმყო (ხ-ა-მრ-ა “წერია/აწერია” : ხ-ე-მრ-ი “ალბათ წერია/აწერია”);** სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ ქართულში სტატიკურ ზმნას მყოფადის წრის მწკრივთა ფორმები ნასესხები აქვს ენიანი დინამიკური ვნებითისგან, ოღონდ ისე, რომ დინამიკური აწმყო სტატიკურისთვის მყოფადია, უწყვეტლის ფორმას ხოლმეობითის გაგება ენიჭება და აწმყოს კავშირებითი კი მყოფადის კავშირებითად არის გამოყენებული: **აფენია – ეფინება, ახატია – ეხატება, აწერია ან წერია – ეწერება და სხვ.** (შანიძე 1973: 464-466; ჭუმბურიძე 1986: 172-179; ონიანი 1998: 178-181). გ. მაჭავარიანს კი მიაჩნია, რომ **“გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, უსრული მყოფადის ფორმები სვანურში თავდაპირველად სტატიკურ ზმნებს განეითარებინათ, ხოლო შემდეგ მათი ანალოგიით – დინამიკურ ზმნებსაც”** (მაჭავარიანი 1974:139). ჩვენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვიზიარებთ, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, მიგვაჩნია, რომ ე. წ. მყოფადუსრული დიაქრონიულადაც და სინქრონიულადაც სავარაუდოობის სემანტიკის აწმყოა; ის ჩვეულებრივი (მყარი ცოდნის აღმნიშვნელი, დადასტურებული) აწმყოს პარალელურად არსებობდა და მყოფადის გამოხატვა მისი მხოლოდ დამატებითი ფუნქციაა ვრცელ კონტექსტში; ხოლო, თუკი ენას ჯერ კიდევ ოდენ მდგომარეობის გადმომცემი, სტატიკური ზმნური ფორმების არსებობის დროს ჰქონდა სემანტიკური მოტივაცია კატეგორიულობა-არაკატეგორიულობის, რეალურობა-ირეალურობის, დადასტურებულობა-სავარაუდოობის მიხედვით დიფერენციაციისა, ცხადია, ზმნების გადინამიკურების შემდეგ იგივე მოვლენა უკვალოდ არ გაქრებოდა და, სემანტიკიდან გამომდინარე, დაიწყებდა მორფოლოგიურად ადგილის დამკვიდრებას, რის შედეგადაც მივიღეთ საანალიზო **-უნ**-სუფიქსიანი ზმნური ფორმები. ამ სუფიქსის შესახებ გ. მაჭავარიანი ასევე შენიშნავს, რომ **“ნათელი არაა -უნ-ი, -ინ-ი სუფიქსებით გაფორმებული ზმნების ისტორიული ურთიერთობა იმავე ფუძის, მაგრამ სხვა თემის ნიშნის მქონე ზმნებთან (ა-მარ-უნ-ი, ა-მარ-ე): გვექონდა თუ არა მათ შორის რაიმე ფუნქციური სხვაობა და, თუ არა გვექონდა (თუ ორივე ჩვეულებრივს აწმყოს გამოხატავდა), მაშინ რით იყო შეპირობებული განსხვავებულ ფორმათა არსებობა?”** (მაჭავარიანი, იქვე);

ჩვენი აზრით, **ისტორიულად სვანურ ენაში არსებობს ორი აწმყო: ნეიტრალური (პირდაპირეიდენციალური) და ეპისტემიკური (ირიბევიდენციალური, ინფერენციული): ა-დგარ-ი** “კლავს” / **ა-დგარ-ტნ-ი** “შესაძლოა (ალბათ) კლავს, კლავდეს იქნება”, **ა-ნყ-ე** “აცხობს” / **ა-ნყ-უნ-ი** “ალბათ აცხობს, აცხობდეს იქნება”, **ი-გტნ-ი** “ტირის” / **ი-გტნ-უნ-ი** “ალბათ ტირის, ტიროდეს იქნება”... დინამიკურ ზმნებში ფორმალურ განსხვავებას ამ მხრივ **-უნ-** სუფიქსი ქმნის;

მართალია, საანალიზო ნაშრომი სიტყვა-ფორმათა წერილობით კვალი-ფიკაციას არ ითვალისწინებს, მაგრამ, ვფიქრობთ, სალექსიკონო ერთეულების ქართული განმარტებების შესაბამისობის დასტურად, ზედმეტი არ უნდა იყოს მოკლე მსჯელობა ტერმინის შესახებ; მყოფადუსრულის ფორმათა რუსული განმარტება (буду плакать, буду читать...), რომელსაც ბატონი ვ. თოფურია გვთავაზობს, სემანტიკურად ზუსტად ასახავს ქართულ უზმნისწინო მყოფადს: **ვითირებ, ვითიხავ...**, მაგრამ ნაკლებად შეესაბამება სვანური **ხტიგტნუნი, ხტიჰტდნნი**ს, ვინაიდან მყოფადუსრულის უმთავრესი მნიშვნელობა – მოქმედების საეჭვობა-სავარაუდოობა – რუსულ სინტაგმაში სრულებით არ ჩანს; буду читать (“კითხვას ვიქმ”) სვანურ მყოფადუსრულს სრულად ვერ ფარავს. ვ. თოფურიასეული ქართული აღწერითი განმარტება “ვტიროდე იქნება”, “ვკითხულობდე იქნება” კი შედარებით ზუსტია იმ შემთხვევაში, თუკი მკვლევარი ლექსემა “იქნებაში” გულისხმობს ნაზმნარ ნაწილაკს (“იქნებ”), ვინაიდან ეს ნაწილაკი ძირითად სიტყვასთან ერთად სავარაუდოობის მნიშვნელობას იძენს;

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, ტერმინი “მყოფადუსრული” არ არის სრულ შესაბამისობაში მის მიერ აღსანიშნავ მწკრივის მნიშვნელობასთან; ვინაიდან ტრადიციულად დამკვიდრებული ტერმინოლოგიის ცვლაც და რეინტერპრეტაციაც საკმაოდ პრობლემურია, ამიტომ მივიჩნევდით, რომ გრამატიკული ანალიზის დროს “მყოფადუსრულს” თუნდაც ფრჩხილებში დაფიქსირებულიყო “resp. შესაძლებლობის აწმყო”; შემდგომ, ა. არაბულის რეკომენდაციის გათვალისწინებით, უპირატესობა მივანიჭეთ ტერმინს „შესაძლებლობის აწმყო“, რომელიც სრულებით მისაღები გვგონია ყველა (შინაარსისა თუ ფორმის) თვალსაზრისით;

სემანტიკის მხრივ მსგავსი ვითარებაა ძირითადპრევერბიან სრულ მყოფადთან – ისიც ასევე ეპისტემიკურია და ნაკლებკატეგორიული.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ რიგ ენებში (თურქული, კავკასიური, ფინურ-უგრული, აფრიკული, ამერიკელ ინდიელთა ენები და სხვ.) ირიბევიდენციალური მნიშვნელობები გრამატიკულად სავალდებულოა ნათქვამის გარკვეული ტიპების გასაფორმებლად. სხვაგან კი (მაგალითად, რუსულში, ინგლისურში, გერმანულში, ფრანგულში,...) ეს სემანტიკა არ არის გრამატიკულად სავალდებულო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იგი გადმოიციემა სინტაქსურად და ლექსიკურად (კოზინცევა 2007: 14). ზოგიერთ ენაში ინფერენციული ევიდენციალობა ეპისტემიკური შინაარსით დროის პირობითი ფორმით (მწკრივით) გამოიხატება; მაგალითად, ე. კორდი ფრანგულ-

ში ინფერენციული ევიდენციალობის გამოხატვის საშუალებებად სწორედ პირობითის (conditionnel) და მყოფადის ფორმებს (future modal) ასახელებს. ამასთანავე, აღნიშნავს, რომ ირიბი ევიდენციალობა მარკირებულია მხოლოდ **ეპისტემიკურ (საეჭვო-სავარაუდოობის, დაუზუსტებლობის) მნიშვნელობასთან ერთად არსებობისას** (კორდი 2007: 258-266). ამ თვალსაზრისით ტიპოლოგიურად საყურადღებოა სვანურის მონაცემები.

ვფიქრობთ, ამოსავალშივე გარკვეულ კითხვას ბადებს ის მოვლენა, რომ **სრული მყოფადი** სვანურში რამდენიმე წარმოებისაა: 1. წინდებული+აწმყოს ფუძე, რომელიც ქართულ-მეგრულისა და რუსულის მყოფადის ანალოგიას წარმოადგენს; 2. ძირითადი პრევერბი (**ან-**, **ად-/ა-**, **ეს-/ას-**, **ლა-**) + აწმყოს ფუძე+სუფიქსი; 3. აწმყოს ფუძე+სუფიქსი (თოფურია 1967: 116; ჭუმბურიძე 1986: 184; ონიანი 1998: 181-185). ეს უკანასკნელი (მარტოოდენ სუფიქსით, უზმნისწინოდ ნაწარმოები), ხშირი არ არის, მაწარმოებელ ფორმანტებად კი იგივე სუფიქსები გვევლინება, რომლებიც პრეფიქს-სუფიქსოვანი წარმოების დროს არის, სახელდობრ **-ო** და **-ინ-ე: ხამნე** “აქმევს” / **ხამნი** (||**ხამნიწე**) “აქმევს”...; “წარმოება პრევერბი+აწმყოს ფუძე მყოფადის მნიშვნელობით ფორმის მხრივ ყურადღებას არ იქცევს” – შენიშნავს ვ. თოფურია (თოფურია 1967: 119-125);

საქმე ის არის, რომ არც სემანტიკურად გახლავთ იდენტური ჩამოთვლილი ფორმები; ძირითადი პრევერბითა და სუფიქსით ნაწარმოები მყოფადი (2) ოდენ წინდებულით ნაწარმოები მყოფადისგან (1) სწორედ ინფერენციულობით განსხვავდება: **ჩტადგარი** “მოკლავს” ქართულისებური, კატეგორიული (/ნეიტრალური) მყოფადია; ხოლო **ჩტადგინე** (ბზ.), **ჩტადგარწე** (ბქ.) ფორმას, **კონტექსტის გარეშე** აღებულს, ქართულად ასევე “მოკლავს” ზმნით ან, კონტექსტის შესაბამისად, კავშირებითით (“რომ მოკლავდეს...”) განმარტავენ, მაგრამ სინამდვილეში მყოფადის ამ ორ ფორმას გამოყენების სფეროები განაწილებული აქვს: პირველი (რომელსაც შეიძლება **პირდაპირევიდენციალური, ნეიტრალური, კატეგორიული** ან **ჩვეულებრივი მყოფადი** ვუწოდოთ) და ქართულის მყოფადი სრულად ფარავენ ერთმანეთს როგორც წარმოების პრინციპით, ისე სემანტიკურად (ფორმალურად ეს ზმნისწინიანი აწმყოა მყოფადის ფუნქციით), მეორე – **ეპისტემიკური მყოფადი** კი ინფერენციულია, ის მსჯელობის, ვარაუდის, პროგნოზის, ლოგიკური დასკვნის ნიუანსის შემცველია შესასრულებელი მოქმედების მიმართ; მაგალითად, **ხაზი გიმს ჩტადკურმი სგ**⁷ – “ამალამ [შესაძლოა / სავარაუდოა] მიწას გაყინავს” – მოქმედი მისთვის ცნობილი ბუნებრივი მოვლენების ფონზე მსჯელობს, გამოთქვამს პროგნოზს, ვინაიდან ძალიან ცივა და ცაზე ღრუბელი არ არის, რაც ყინვის მოსალოდნელობაზე მეტყველებს (მოქმელს შეეძლო კატეგორიული ფორმის გამოყენება: **ჩტაკურმი** “გაყინავს” – ასეთ შემთხვევაშიც, ცხადია, მოვლენის არსიდან გამომდინარე, ნათქვამი ინფერენციული იქნებოდა, მაგრამ ფორმალურად ეს არ აისახებოდა.

სვანურის სრული, ოღონდ ძირითადპრევერბიანი (და არა ე. წ. წინდებული-თანდებულიანი) მყოფადის საანალიზო მნიშვნელობა ძველი ქართულის იმ მონაცემებს უახლოვდება, როცა “მყოფადის გამოსახატავად გამოიყე-

ნებოდა II კავშირებითის ფორმა: **და-ვ-წერ-ო** “დავწერ” (კონტექსტის მიხედვით გამოხატავდა საკუთრივ კავშირებითის ფუნქციასაც” – ჯორბენაძე 1995:198).

სვანურში ეს ვითარება (პირობითობის გამოხატვის შესაძლებლობა მომავალ დროში), ალბათ, იმიტომ შენარჩუნდა, რომ ენას სათანადო სემანტიკის ზმნები (ინფერენციული მყოფადი) მოეპოვებოდა, “ახალ ქართულში კი პრინციპი შეიცვალა. მყოფადის გამოხატვის სამი შესაძლებლობაა: კონტექსტი (აწმყო: **ახლა ჭამ-ს**, მყოფადი: **ხვალ ჭამ-ს**), აწმყოს ფუძეზე ზმნისწინის დართვა (**ჭამს > შეჭამს**), **კატეგორიული მყოფადის შემთხვევაში** (ხაზი ჩვენია. ქ. მ.) გამოიყენება აღწერითი წარმოებაც: **მომსვლელი ვარ** “მოვალ” (ჯორბენაძე, იქვე).

სვანურის ინფერენციული სრული მყოფადის გამოყენების სიტუაციას ასახავს ქართული დიალექტური მონაცემები II კავშირებითის ფორმით მყოფადის გამოხატვისა: მესხ. შენ აქ დარჩი, მე **წავიდე**, ცხენი **მოვიყვანო** – “შენ აქ დარჩი, მე წავალ, ცხენს მოვიყვან” (ჯორბენაძე, იქვე). ცხადია, მოცემულ შემთხვევაშიც კავშირებითის ფორმების გამოყენება ინფერენციულობის გამოხატვის სურვილითაა ნაკარნახევი – მთქმელი კატეგორიულად კი არ აცხადებს, არამედ თითქოს მსჯელობს (მოსაუბრეს უთანხმებს), კონტექსტში კატეგორიულობის ხარისხი ამიტომაც დაბალია და მყოფადს (რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში მხოლოდ კატეგორიულია) კავშირებითი ჩაენაცვლა; მამასადამე, სვანური სპეციფიკური მყოფადი დიალექტებშიც და სალიტერატურო ენაშიც სემანტიკურად კონიუნქტივს შეესაბამება ისევე, როგორც ყველა **საკუთრივ ინფერენციული** მწკრივის ფორმა, ძირითადად, კავშირებითი ან პირობითი კილოა (უნახაობის ფორმები, ცხადია, მათ რიცხვში არ შედის!); თუმცა კონტექსტის გარეშე ამ ცალკეულ ლექსემებს ხშირად ინდიკატივად თარგმნიან, რაც ქართულში ეპისტემიკური სემანტიკის მწკრივთა არარსებობით არის გამოწვეული.

მოლე შუკტს ქადრგნე (ინფერენც. მყოფ.), **იემდ დჷტ ხასგურხ ლჷშკდჷშს** (იქვე, 32,23) – “ცოტა გზას [რომ] გახვალ, ათი დევი უსხედან სამჭედლოს” – შდრ. კატეგორიული **ქადგრი** “გახვალ” და არა: “თუ გახვალ”, “რომ გახვალ”, “რომ გახვიდოდე”...

სი პილწიან, ჩტაქუც, ადო მეშხა ლადელს ეგგერი (სვ. პრ., I 1939: 145,18) – “შე ბილწო, გაჩუმდი, თორემ შავ დღეს დაგაყენებ (=“დაგაყენო იქნება”)”...

კატეგორიულობის შემთხვევაში მთქმელი იტყვის **ჯგნე-ჟი /ჟი-ჯგნე** (“დაგაყენებ”), მაგრამ მოცემულ წინადადებაში **მსჯელობის** ნიუანსი იგულისხმება, რომელიც გარკვეულ პირობას (“ბილწის” გაჩუმებას) უკავშირდება და ქართულად დაახლოებით ასე ჟღერს: “თუ არ გაჩუმდები, ავდგები და შავ დღეს დაგაყენებ...”, “შესაძლოა, შავი დღე დაგაყენო”, “შავი დღე დაგაყენო იქნება”, “ეგებ შავი დღე დაგაყენო”...

ინფერენციული მყოფადის სემანტიკა თითქოს უფრო შორეულ მომავალსაც გულისხმობს, კატეგორიულ მყოფადთან შედარებით, ალბათ იმიტომ, რომ ის პირობითობას გამოხატავს, რაც გადაწყვეტილების მიღებისა და შე-

სრულების მომენტებს ერთდროულად გულისხმობს თავის თავში (და არა პირდაპირ მოქმედებაზე გადასვლას), ეს კი მოქმელსა და ინფორმაციაში ასახულ მოქმედების შედეგს (ან პროცესს) შორის ერთგვარი დისტანციის ნიუანსს აჩენს კონტექსტში.

საანალიზო (ძირითადპრევერბიანი, სუფიქსური წარმოების) მყოფადის ფორმები კონსტრუქციაში ჰიპოტაქსის საფუძველს ქმნიან, მათი სემანტიკა კი კონსტრუქციის გარეთაც, კონტექსტისგან დამოუკიდებლად ან “ნეიტრალურ კონტექსტშიც” (ა. არაბულის ტერმინოლოგიით) ინფერენციულია, ალტერნატიულია და კატეგორიულობის ხარისხით უპირისპირდება ოდენ პრევერბიან, ე. წ. “წინდებულ-თანდებულიან” მყოფადს. მაშასადამე, ოპოზიცია კატეგორიულ და არაკატეგორიულ, შესაძლებლობისა და ნეიტრალურ მყოფადს შორის ასე გამოიყურება: **ჩუადგარი** “მოკლავს” – **ჩუადგარნე** “ალბათ (შესაძლოა, იქნებ, თუ, რომ...) მოკლავს”;

ცხადია, ეს და მსგავსი მასალაც ლექსიკონში სრულად აისახა ასევე სათანადო განმარტებებით; ამასთან ნაშრომში შესულია ისეთი ზმნური ფორმები, რომლებიც დღემდე გამოცემულ ლექსიკონებში არ დაფიქსირებულა, პუბლიკაციებში და განსაკუთრებით ცოცხალ მეტყველებაში კი უზვადაა;

ქართული განმარტების თვალსაზრისით, მხოლოდ ზმნურ მონაცემებთან არ გვაქვს სიახლე მოცემულ ლექსიკონში; არანაკლებ რთულია სახელის როგორც სემანტიკა, ასევე ხშირად მისი თარგმნაც ქართულად, ვინაიდან სვანურში არაერთი არქაული წესია შენარჩუნებული და აფიქსთა იერარქიული თანმიმდევრობაც გაცილებით ვრცელია, ვიდრე ქართულში. ამასთან, მორფემათა შეერთებით მიღებული ერთეულის მნიშვნელობა სულაც არ უდრის ხოლმე ამ მორფემათა ჯამს, თუმცა მთლიანი მნიშვნელობის მისაღებად თითოეული მათგანი ასრულებს გარკვეულ როლს და ჯაჭვის გაწყვეტა ან გამარტივება ყოველთვის არაა შესაძლებელი, თანაც, რაც მთავარია, საბოლოოდ სახელი იძენს ისეთ სემანტიკას, რომლის გადმოსაცემად ქართულში თუ წინადადება არა, რამდენიმე ლექსემა მაინცაა საჭირო. მაგალითად:

თეფთესგაშ¹ (თეფ) – ის, რაც თოფში უნდა მოხვდეს შიგნით, სათოფე („თოფ-კენ-ში-ის“): **ამის ლწვიმზიშუ¹ თეფთესგაშ¹ ლედისგ ცხუძარ ჩ’ოთთუაფ** – „ამას თოფში ჩასატენი („ჩა“ტენით თოფში ‘ჩასადები’) ტყვიები დაეკარგა“ (ჩანტლაძე და სხვ. 2010-2012:431);

ლექსიკონი ნაწილობრივ შეივსო ზეპირ მეტყველებაში დადასტურებული განსაკუთრებული ფორმებითაც, რომლებიც დაბეჭდილ ტექსტებში არ იყო დაფიქსირებული; მაგალითად: **თოფართესგაშიაქდიში¹ * < თოფ-არ-ეთე-ისგა-იშ-იაქ-დი-იშ-ყი** — იმ შემთხვევისთვის, თუ ის რაღაც (ტყვია, საფანტი) სათოფეებად, თოფებში ჩასადებად არის გამიზნული – **ჩიმი თოფართესგაშიაქდიში ხოშილ ესერ გუარ ლეკდე საპანტ** — „იმ შემთხვევაში, თუ ყვე-

¹ სტატიაში გვერდებს ვერ ვუთითებთ, ვინაიდან ლექსიკონი, საგრანტო ხელშეკრულების პირობების თანახმად, მხოლოდ მომზადდა გამოსაცემად. ვიმედოვნებთ, რომ გამოიძენება გზა, რათა ეს მნიშვნელოვანი ნაშრომი ბეჭდური სახით მალე გახდეს ხელმისაწვდომი სპეციალისტებისათვის.

ლას თოფებში უნდა ჩაიდოს (თუ ყველას სათოფედ გვინდა), მეტი გვაქვსო მოსატანი საფანტი“ (მთქმელი ზაალ სუბარი, 65 წლისა); მორფემათა ამ გრძელ ჯაჭვს თეორიულად შეიძლება დამატოს კიდევ რამდენიმე ნაწილაკი: -ოღუ („-მცა“), -როქუ („-ო“), -ი („-ც“), -ა (კითხვითი): **თოფართესგაშიაქდიშიეიროქოღუია? * < თოფ-არ-ე-ს-თე-ი-სგა-იშ-იაქ-დ-იშ-ეი-როქუ-ოღუ-ი-ა? —** „იმ შემთხვევისთვისთვისამცა, თუ თოფებში უნდა ჩაიდოსა“ (თუ თოფებში ჩასადებად გვინდაა“)?...;

უნდა ითქვას, რომ ასეთი რთული ფორმები უფრო მეტად ბალსქვემოურ დიალექტში (განსაკუთრებით ხშირად – ჩუბეხეურ კილოკავში) დადასტურდა;

თარგმანის თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ვითარებითი ბრუნვის ფორმები, რომლებიც კონტექსტის მიხედვით შეიძლება იყოს გარდაქცევითიც, მიწვევითიც და დანიშნულებითიც; შესაბამისად სიტყვა-სტატიასთან ქართულად სამივე შესაძლო განმარტებას ვუთითებთ: **ქორ-დ — 1) სახლად (ათხე ალ ზაჩ ქორდ ადსიპდა —** „ახლა ეს ქვა სახლად გადაიქცა“; **2) სახლამდე (ალ ჰყინტდ ქადაჰე ქორდ იმტაღაეი —** „ამ ბიჭმა მიაღწია სახლამდე როგორღაც“; **3) სასახლედ, სახლისთვის, სახლად (ალ ფოქ ქორდ მაკუ —** „ეს გამოქვაბული სახლად მინდა“);

თავისთავად ცხადია, ნაკლები რაოდენობის გლოსათა შემცველი, უფრო მოკლე ფორმები უფრო ხშირია ენაში, თუმცა თარგმნის პრობლემას მხოლოდ მორფემათა გრძელი ჯაჭვი როდი ქმნის; მაგალითად, ლექსემები **დეცენქა** და **დეცთემენქა** ქართულად ითარგმნება როგორც „ცის გარდა“, თუმცა სვანურში მეორე მათგანი სიტყვასიტყვით არის „ცისკენის გარდა“, ანუ გულისხმობს მიმართულებას და დინამიკას ერთდროულად; **დეცენქა მამაგუმე წაანდა** (ბქ.) — „ცის გარდა, არაფერი ჩანდა“, შდრ. **დეცთემენქა გუი დემთე ხოხედ —** „ცის („ცისკენის“) გარდა, გული არსაით უწევდა“.

ასევე სპეციფიკურია სვანურ ენაში კნინობითობა იმდენად, რამდენადაც, ქართულისგან განსხვავებით, ამ ენაში ამ ფორმითა და სემანტიკით არცთუ იშვიათად გვხვდება ზმნაც, რომლის მარტივად, ერთი სიტყვით გადმოქართულება სრულიად წარმოუდგენელია და ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ფრჩხილებში მიეთითება; მაგალითად, ბქ-ში არის წყევლის ფორმულა **ლეკ-დიაქ** „ამოსაწყვეტი“, რომელსაც აქვს კნინობითი ფორმაც: **ლეკდიაქელ* <ლეკედ-იაქ-ელ —** „ამოსაწყვეტი/ამოსაწყვეტო!“ (კნინ.ფ.); ამ ფორმას (მიუხედავად, ერთი შეხედვით, ცული კონოტაციისა!) უმეტესად უფრო მსუბუქ, შეხუმრებულ საუბარში იყენებენ (შდრ. ქართ. „არდასარჩენო“, „შე ოხერო“...) და, როგორც ჩანს, ამით არის განპირობებული აღნიშნულ მიმდევებაში კნინობითობა-ალერსობითობის ფორმანტის დართვა; ასევეა, **მალატილ**, „მიყვარს“, **ხალატილ** „უყვარს“ ფორმები, სადაც კნინობითობას, ჩვენი აზრით, მოსაფერებელი ობიექტის სპეციფიკა განაპირობებს: **ზაზას ხალატილ —** „ზაზუას უყვარხარ (ზაზუა ეფერება შვილიშვილს)“; ეს ფორმები აღწერთადაც ვერ გადმოვა ქართულში, ამიტომ მათ ფრჩხილებში ეწერებათ „კნინ. ფ“ და კონტექსტი, რომლის მიხედვითაც მკითხველს გაუადვილდება გააზრება.

როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთ სპეციფიკურ საკითხს წარმოადგენს სვანურ ენაში **-ოდჷ/-უტჷ/-უ/-ტჷ** („-მცა“) ნაწილაკიანი ფორმები; იგი გამოიყენება ზმნის არა მხოლოდ თხრობითი კილოსთან (საზოგადოდ ეს ნაწილაკი ნებისმიერ მეტყველების ნაწილთან გვხვდება), არამედ კავშირებითთანაც და კონკრეტულად ნატვრის სემანტიკას ანიჭებს წინადადებას; ამავე დროს თავისუფლად გამოხატავს მესამე პირის ნათქვამს (ა. ონიანი ამ ნაწილაკს სხვათა სიტყვის ნაწილაკთა შორის მოიხსენიებს – ონიანი 1998:280) სხვათა სიტყვის – **როქტჷ, ესერ** ნაწილაკების გარეშეც, თუმცა ასევე გვხვდება მათ გვერდით და ასეთ შემთხვევაში **-ოდჷ/-უტჷ/-უ/-ტჷ** სწორედ მესამე პირის სხვათა სიტყვის ნაწილაკებს დაერთვის: **ქორ-უ ადგე** – 1. სახლი აეშენებინა („სახლიმც ააშენა“); 2. სახლი ააშენოსო (შდრ. **ქორ ესერ-უ ადგე** – „სახლი ააშენოსო“/ „სახლი ააშენო“); ამ და მსგავს შემთხვევებში ლექსიკონში ვუთითებთ სალექსიკონო ერთეულის ყველა შესაძლო მნიშვნელობას, ომონიმურობისა და პოლისემანტიკურობის გათვალისწინებით;

მსგავსი ვითარებაა I და II პირთა პირდაპირი ნათქვამის გადმოცემისას, რამდენადაც სხვათა სიტყვის ნაწილაკი **-გჷ/-იჷ** გაუდიფერენცირებელია და შეესაბამება როგორც „-მეთქი“, ასევე „-თქო“ ნაწილაკს; შესაბამისად, ნაწილაკოვან ფორმებთან ორივე განმარტებაა წარმოდგენილი.

ვიმედოვნებთ, რომ სვანური ენის ფონოტაქტიკის წესების უმკაცრესად დაცვით სემანტიკურებული და რეკონსტრუირებული, ამასთან ქართულ ენაზე ნიუანსების გათვალისწინებით ამომწურავად თარგმნილი მასალა მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ქართველოლოგ-ლინგვისტათათვის.

ლიტერატურა

არაბული 1994 – ა. არაბული, ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.

თოფურია 1967 – ვ. თოფურია, შრომები, I, სვანური ენა; ზმნა, თბილისი.

კოზინცევა 2007 – Н. Козинцева, Типология категории засвидетельствованности, Эвиденциальность в языках Европы и Азии, Санкт-Петербург.

მაჭავარიანი 1974 – გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი.

ონიანი 1998 – ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

სვანური პროზაული ტექსტები 1939, I, ბალსზემოური კილო, თბილისი

უილეთი 1988 – T. Willet, A Cross-linguistic Survey of Grammaticalization of Evidentiality, *Studies in Language*, 12 (1), pp. 51 – 97.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ჩანტლაძე, მარგიანი-დადვანი, მარგიანი-სუბარი, საღლიანი, იოსელიანი 2007-2010 – ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი, „კოდორული ქრონიკები“, თბილისი.

ჩიქობავა 1948 – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი.

ჭუმბურიძე 1986 – ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი.

Храковский 2007 – В. Храковский, Эвиденциальность, эпистемическая модальность, (ад)миративность, Эвиденциальность в языках Европы и Азии, Санкт-Петербург.

ჯორბენაძე 1995 – ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი.

KETEVAN MARGIANI-SUBARI

Translation Specifics and Theoretical Foundations of Compiling

Upper Svan Morphemic Dictionary

S u m m a r y

The paper deal with the specifics and theoretical foundations of the Georgian definitions of the entries of the *Upper Svan Morphemic Dictionary* which has been compiled on the basis of Arnold Chikobava Institute of Linguistics and is ready for publication within the project financed by Shota Rustaveli National Science Foundation.

The work differs from all the existing Svan dictionaries with the following factors:

1. It represents the entries not in the basic forms but according to the principles of a symphony dictionary – all lexemes are given as they occur in publications of Upper Svan texts. In the brackets there is given an initial form of the form-changeable parts of speech: for verbs – infinitive, for nouns – nominative case;

2. The verb forms have been translated according to evidentiality for the first time which will give a reader the complete picture of the ability of a Svan verb and will clearly show the opposition between two pasts (neutral and evidential), two futures (neutral and evidential), continuous and conditional, resultative and resultative-conditional;

3. One of the peculiar issues is the existence of the forms with the particles **-oyw/-uw/-u/-w** in the Svan language and their Georgian definition is somehow non-defined since it depends on the context: they are used not only with the verbal forms

of indicative mood (Generally, these particles occur with any parts of speech) but also with conjunctive mood and gives the semantics of desire to a sentence. At the same time they express the speech of III person (A. Oniani attributes these particles to the ones of the reported speech) without the particles of the reported speech **-rokw, eser**, though they occur along with them as well. In this case **-oyw/-uw-/u/-w** added to the particles of the reported speech of III person: **kor-u adge** 1. 'Smb has built a house'; 2. '(Smb says) Let smb build a house' (cf. **kor eser-u adge** '(Smb says) Let smb build a house' / (Smb)'Lets you build a house').

In the similar cases all the possible meanings of an entry including homonymous and polysemous features are given in the dictionary.

The situation is similar in the direct speech of I and II persons since the particle of the reported speech **-əʒ/-iʃ** is not differentiated and corresponds with the particles **-metki** and **-tko**. Accordingly, both definitions are given with the forms with particles.

One of the main values of the work is the fact that it has been compiled according to the principles of a symphony dictionary and respectively, there are given not only the basic forms of a verb or a noun but also all those word-forms which are used by a speaker and are attested in the printed texts. The dictionary gives the samples of live speech as well.

ნანა მაჭავარიანი

**„სინტაქსური ბლოკი“ – აფხაზური ენის ფუძეთა
ერთ-ერთი მახასიათებელი**

(აფხაზური ენის ფლორისა და ფაუნის ლექსიკის მაგალითზე)

აფხაზური ენის ძირების ამოსავალი ტიპი ცალთანხმოვნია ან ერთმარცვლიანია, სიტყვა კი ოდენფუძიანი, აფიქსაციით მიღებული, ან რთული შედგენილობისაა. რთული, ანუ რამდენიმე ძირიანი ფუძეების შესახებ სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოთქმულია საგულისხმო მოსაზრებანი.

ისმება კითხვა, არსებობს თუ არა უნივერსალური ენათმეცნიერული კრიტერიუმი, რომელიც გამოგვაყოფინებდა ზოგადად სიტყვას და რთულ სიტყვას – კერძოდ. საკითხი სიტყვის საზღვრებზე, სიტყვის სტრუქტურის საერთო პრობლემაში შედის. ყველაზე მეტი პრობლემები აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში, წამოიჭრება ნაწარმოები (მათ შორის რთული) სიტყვის საზღვრების დადგენისას.

არსებულ აღწერით გრამატიკებში < რთული სიტყვის > შესახებ ჩამოყალიბებული მოსაზრება არ არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სინტაქსური ერთეულები განიხილება რთულ სიტყვებად, ან რთული სიტყვები მიეკუთვნება შესიტყვებების. ლექსიკური და სინტაქსური ერთეულების შეერთებით, ხან ფართოვდება და ხან ვიწროვდება რთული სიტყვის საზღვრები.

რთულ სიტყვასა და შესიტყვებას შორის ზღვარი ჯერ კიდევ სადავოა ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით.

სიტყვის ზოგადლინგვისტურ განსაზღვრებაზე მსჯელობა უსაფუძვლოა, იმდენად, რამდენადაც სიტყვის საზღვრები ენის გრამატიკული აგებულების სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს.

უდავოა, რომ სიტყვაწარმოებითი კატეგორიები ლექსიკასა და გრამატიკასთან კავშირში სხვადასხვა ენებში სხვადასხვაგვარია, რაც ამტკიცებს, რომ ზოგადლინგვისტური უნივერსალური განსაზღვრა, სიტყვისა ზოგადად და რთული სიტყვისა — კონკრეტულად, შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით ნაწარმოებ სიტყვებს ეხება.

რთული სიტყვების წარმოების შესახებ საგანგებოდ განსახილველია მ. კუმახოვისა და ა. აბრეგოვის მოსაზრებანი.

მ. კუმახოვი თავის ნაშრომში „ადილურ ენათა მორფოლოგია“ (კუმახოვი 1964) დაწვრილებით ეხება ე. წ. რთულ სიტყვებს ადილურ ენებში. მისი მოსაზრებანი, მცირეოდენი გამონაკლისის გათვალისწინებით, აფხაზური ენისათვისაც გასაზიარებელია.

ლინგვისტთა ნაწილი რთული სიტყვებისა და შესიტყვებების ურთიერთგასამიჯნავად იყენებს ფორმალურ და შინაგან იზოლაციურობას სიტყვათა სინტაქსური ჯგუფებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ლინგვისტისათვის სემანტიკური კრიტერიუმი შეუვალაია, მხოლოდ სემანტიკური კრიტერიუმით მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი მაინც არ შეიძლება. მ. კუმახოვის აზრით, ვერც გარეგნული აღნაგობა (კომპონენტთა შერწყმა), ვერც მახვილის გამაერთიანებელი ფუნქცია, ვერც სიტყვათვლადობის ფორმა (მორფოლოგიური მთლიანგაფორმებულობა), ვერც სემანტიკური ნიშნები... ვერ გამოდგება რთულ სიტყვათა და სახელურ კომპლექსთა ერთიმეორისაგან გასამიჯნავად. პირიქით, ყველა ეს ლინგვისტური ნიშანი შესაძლოა საერთო ჰქონდეს რთულ სიტყვასა და სახელურ კომპლექსს.

რთული სიტყვების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სინტაქსური ერთეულების ლექსიკალიზაცია. როდესაც მსგავსი ტიპის რთული წარმოება რომელიმე ერთი ძირითადი ნიშნის მიხედვით, განსაზღვრული კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი ხდება, მაშინ იგი შემადგენელ ნაწილთა ფონეტიკურ-გრამატიკული ერთობის წყალობით, სინტაქსის სფეროდან ლექსიკის სფეროში გადმოინაცვლებს. ამის შემდეგ აღნიშნული რთული სიტყვათწარმოებანი ფუნქციონირებენ ენაში არა როგორც სინტაქსური ერთეულები, რომლებიც მხოლოდ ატრიბუტულ მიმართებას გამოხატავს, არამედ უკვე, როგორც ლექსიკური ერთეულები, როგორც რთული სიტყვები.

სიტყვათა შერწყმის შედეგად წარმოიშობა სხვადასხვა ენობრივი მონაცემები: რთული სიტყვა (ლექსიკური ერთეული) და სახელური კომპლექსი (სინტაქსური ერთეული). უფრო მეტიც: ერთი და იგივე რთული წარმონაქმნი შესაძლოა ერთ შემთხვევაში გამოყენებული იყოს, როგორც მეტყველების ნაწილი, მეორე შემთხვევაში კი, როგორც სინტაქსური ერთეული. (კუმახოვი 1964: 34-42).

სახელურ კომპლექსთა და მათი მოდელების მიხედვით ჩამოყალიბებულ რთულ სიტყვათა გაიგივებას, სინტაქსური და ლექსიკური ერთეულების აღრევამდე მივყავართ. ენათა სხვადასხვა ენობრივი ოდენობების აღრევა რთული სიტყვის საზღვრების გაფართოებასაც იწვევს. მაგრამ განსახილველი პრობლემის გადაწყვეტისას, შეინიშნება საწინააღმდეგო მიმართულებაც: რთული სიტყვის გაგების შევიწროება.

ადილურ ენათა სიტყვათქმნადობა, ამ ენებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით ხდება. მაგ.: ყაბარდოულის ღეს'ღჳჳი „რკინიგზა“, რთულ სიტყვას წარმოადგენს, მაშინ, როდესაც, რუსულის „железная дорога“, შესიტყვებაა.

ყაბარდოული „რკინიგზა“ სიტყვის მსგავსი ორკომპონენტური მყარი, სახელური წარმონაქმნები, რთულ სიტყვათა კატეგორიაში ერთიანდება. სახელურ კომპლექსთან განსხვავებით, ამ ტიპის მყარი, რთული სიტყვები არსებითად განსხვავდება თავისი ფუნქციური და სტრუქტურული ნიშნებით.

მყარი, რთული სიტყვები გამოხატავს არა მხოლოდ სემანტიკურ ერთობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ხასიათდება სტრუქტურული მთლიანობით (მიეკუთვნება ერთ პარადიგმატულ კლასს), სინტაქსურად დაუშლელია და ა. შ.

მრავალრიცხოვანი მყარი სიტყვათშეერთებები „რკინიგზის“ ტიპისა, რომელიც მნიშვნელოვან პროცენტს წარმოადგენს აფხაზურ-ადილური ენების ლექსიკაში, უპასუხებს რთული სიტყვის ყველა ლინგვისტურ თვისებას. ეს მყარი წარმონაქმნები გვევლინება ლექსიკურ ერთეულებად და ლექსიკონებში უნდა შევიდეს, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვები.

სიტყვათშერწყმა მიმდინარეობდა სიტყვათშეწყობის ბაზაზე. ეს უდავო და თავისთავად ცხადი ფაქტი უარყოფს თეორიას, რომ სახელურ ატრიბუტულ წარმონაქმნებს, რომლებიც შედგება წინადადების წევრთაგან, წინ უსწრებდა სახელური ინკორპორაციული კომპლექსები. არ არსებობს იმის საფუძველი, რომ შერწყმული ატრიბუტული წარმონაქმნები ინკორპორაციულ მოვლენად ჩაითვალოს. სახელური სინტაქსური ჯგუფის გარეგნული შერწყმა – მეორეული მოვლენაა და მის ლექსიკურ-გრამატიკულ მნიშვნელობაზე არ მოქმედებს.

გარდა ამისა, ადილურ ენებში განსაზღვრება, რომელიც გადმოცემულია ვითარებითი ზედსართავი სახელით, ატრიბუტულ ერთეულში ინარჩუნებს ვითარებითი ზედსართავი სახელის სრულ პარადიგმას.

რთული სიტყვის საზღვრების დადგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სინქრონიისა და დიაქრონიის ურთიერთმიმართების საკითხს. ისტორიზმი მნიშვნელოვანია ენის თანამედროვე სისტემის სწორად ახსნისათვის. მაგრამ უდავოა, ისიც, რომ სიტყვის სტრუქტურის პრობლემა, მათ შორის რთული სიტყვის, შეუძლებელია გადაწყდეს ისტორიის გაუთვალისწინებლად. ისეთი გავრცელებული მოვლენები, როგორიცაა რთული ფუძის ერთ-ერთი კომპონენტის გრამატიკულ წარმონაქმნად ქცევა, შესიტყვების ლექსიკალიზაცია და სხვ., მოითხოვს ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან კონკრეტულ მიდგომას.

რთული სიტყვის საზღვრების დადგენისას, ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ენა მუდმივგანვითარებადი მოვლენაა.

რთული სიტყვის საზღვრების დადგენისათვის, აუცილებელია, აგრეთვე ენის გრამატიკული წყობის თავისებურებათა დიაქრონიისა და სინქრონიის ურთიერთმიმართების გათვალისწინება, სხვადასხვა გრამატიკული წყობის ენებში და ერთი ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, რთული სიტყვები, შესაძლოა სრულიად განსხვავებული იყოს. უფრო მეტიც: სინქრონიულ ჭრილში, ერთსა და იმავე ენაში, რთულ სიტყვათა

სხვადასხვა ტიპებს სხვადასხვა კრიტერიუმები აქვთ, რომლებიც გამოაცალკევენ ამ უკანასკნელთ შერწყმული ენობრივი ერთეულებისაგან. აქედან, ბუნებრივია, გამოდის დასკვნა, რომ არ არსებობს უნივერსალური კრიტერიუმი რთული სისტემის გამოსაყოფად. ყველა ენას ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს მკვლევარი (კუმახოვი 1964: 48-58)

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ტრადიციად იქცა რთული სიტყვების სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით დაყოფა. ეს კლასიფიკაცია, შემოთავაზებული გერმანელ ლინგვისტთა მიერ, აგებულია რთულ სიტყვათა კომპონენტების ურთიერთმიმართებაზე. ამ კლასიფიკაციის თანახმად, აღწერით გრამატიკებსა და სპეციალურ გამოკვლევებში, რომლებიც სხვადასხვა ენათა სიტყვაწარმოებას ეძღვნება, რთული სიტყვები, ჩვეულებრივ იყოფა: დაქვემდებარებით (determinativkomposita) და თანწყობილ (kopulativkomposita) კონსტრუქციებად.

დაქვემდებარებითი, ან როგორც მას უწოდებენ სხვა შემთხვევაში, განსაზღვრებითი რთული სიტყვები, წარმოქმნილია დაქვემდებარების საფუძველზე, რთული სიტყვის ერთი კომპონენტი მეორის მნიშვნელობას აზუსტებს. შდრ.: ადიღური ნაფსგ, ყაბარდოული ნაფს „ცრემლი“ (ადიღ., ყაბ. ნა „თვალი“, „თვალის“ + ადიღ., ყაბ. ფსგ „წყალი“).

თანწყობილი რთული სიტყვები წარმოქმნილია კომპონენტთა ურთიერთგანლაგების შედეგად: შდრ.: მაგ.: ადიღ. ლ'აუ-ჩაწ „გარეული ფრინველი“, ლ'აუ „გოჭი“ + ჩაწ „ბეკეკა“, ყაბ. ჟად-ყაზ „სახლის ფრინველი“ (ჟად „ქათამი“ + ყაზ „ბატი“).

რთულ სიტყვათა შემოთავაზებული სინტაქსური კლასიფიკაცია გამოყენებულია, თუმცა არათანმიმდევრულად, დ. ა. აშხამაფის, ნ. ფ. იაკოვლევის, გ. ფ. ტურჩანინოვისა და მ. ცაგოვის მიერ.

რთულ სიტყვათა დაქვემდებარებით და თანწყობილ ჯგუფებად დაყოფა ვერ გამოხატავს ვერც სიტყვაწარმოებით და ვერც ლექსიკურ-გრამატიკულ სტრუქტურას რთული სიტყვებისა. ამის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ სინტაქსურ ტერმინთა ლექსიკაში გადატანა, განსაკუთრებით ტერმინისა, „დაქვემდებარება“, მთლად გამართლებული არ არის. როგორც უკვე იყო აღნიშნული, რთული სიტყვის კომპონენტებს შორის ირდევია ხოლმე სინტაქსური კავშირი, რომელიც შესიტყვებას, ჩვეულებრივ, ახასიათებს.

რთული სიტყვები, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავახასიათოთ სიტყვაწარმოების თვალსაზრისით.

აფხაზურ-ადიღურ ენებში უნდა გამოიყოს რთულ სიტყვათა წარმოების შემდეგი საშუალებანი:

1. თხზვა,
2. თხზვა შემაერთებელი მორფემით,
3. თხზვა რედუპლიკაციით,
4. მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალება, კონვერსია,
5. სემანტიკური საშუალება.

რა თქმა უნდა, სხვა ენებში არსებობს რთულ სიტყვათა წარმოების სხვა საშუალებებიც, შესაძლოა, ჩამოთვლილ საშუალებათაგან, ესა თუ ის საშუალება, ამა თუ იმ ენას არ გააჩნდეს. არსებობს საერთოდ სიტყვათქმნადობის და კონკრეტულად რთულ სიტყვათა ქმნადობის მრავალი საშუალება. ფუძეთქმნადობა მხოლოდ ერთ-ერთია მათ შორის. რაც შეეხება სტრუქტურულ ტიპებს (მორფოლოგიურ წყობას) რთული სიტყვებისა, ისინი, გამომდინარე სხვადასხვა ენის განსხვავებული სტრუქტურიდან, შესაძლოა უკიდურესად სხვადასხვაგვარნი იყვნენ (კუმახოვი 1964: 105-108).

ცნობილია, რომ დესკრიპციულ ენათმეცნიერებაში მორფოლოგიური ერთეულების ანალიზისას, გამოიყენება **უშუალო შემადგენელი ნაწილების** გამოყოფის მეთოდი (immediate constituent). აღნიშნული მეთოდი გამოიყენება ენათა სხვადასხვა დონეზე. მორფოლოგიური დაყოფა სიტყვისა, უშუალო **შემადგენელ ელემენტებად, (სიტყვის) ტრადიციული მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზთან** შედარებით, უკეთესია. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ დესკრიპტივისტები, უშუალო შემადგენელ ნაწილთა ანალიზისას გამოიკვეთება არა მხოლოდ ყველაზე მცირე მნიშვნელობის მქონე ერთეულები, არამედ მოდელები და კონსტრუქციები.

ნაწარმოები სიტყვის დაყოფისას უშუალო შემადგენლებად, ფუძის შიგნით მორფემათა კავშირი დგინდება, რაც უშუალო შემადგენელთა რამდენიმე ფენის გამოყოფის საშუალებას იძლევა. ეს კი, თავის მხრივ, გამოაშკარავებს მოქმედ მოდელებს, ანუ ნაკლებად რთული ერთეულებით, შედარებით უფრო რთული ერთეულების ჩამოყალიბების პროცესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მორფემული სტრუქტურის ჩვეულებრივი ანალიზისაგან განსხვავებით, უშუალო შემადგენელ ნაწილთა გამოყოფისას, გამოჩნდება სიტყვის მორფოლოგიური შემადგენლობის ღერძი. ამ მეთოდის გამოყენებით, სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში, შესაძლოა, ერთისა და იმავე სიტყვის შემადგენელ ნაწილთა სხვადასხვა რაოდენობა მივიღოთ.

აფხაზურ-ადიღურ ენათა მიმართებაში, სადაც ფუძეთქმნადობა არა-იშვიათად აფიქსაციით და სხვა, სინქრონიულ მიმართებათა დამჩრდილავი მოვლენების თანხლებით მიმდინარეობს, სიტყვის ყოველმხრივი გამოკვლევისათვის სინქრონიულ დონეზე, აუცილებელია უშუალო შემადგენელ ნაწილთა ანალიზის მეთოდის გარდა, გამოყენებულ იქნეს ტრანსფორმაციული ანალიზის მეთოდი.

მ. კუმახოვის აზრით, უშუალო შემადგენელთა გამოყოფის მეთოდისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, რომელიც ლინგვისტთა ნაწილს აქვს, სრულიად **უსაფუძვლოა**.

უშუალო შემადგენელთა მეთოდი, ისევე, როგორც ენათმეცნიერული ანალიზის სხვა სტრუქტურული მეთოდები, საშუალებას იძლევა დიდი სისრულით გამოვლინდეს ურთიერთკავშირი ელემენტებს შორის, და სიტყვის მორფემულ სტრუქტურა.

უშუალო შემადგენელთა მეთოდი არსებითად არ განსხვავდება სიტყვის მორფემული სტრუქტურის სინქრონიული ანალიზისაგან. მაგრამ აღ-

ნიშნული მეთოდის ნაკლი ამაში არ მდგომარეობს. მთავარი ნაკლი ამ მეთოდისა ის არის, რომ იგი გამოუსადეგარია მრავალი სიტყვის სიტყვაწარმოებითი მოდელებისათვის, რომლებიც ხასიათდება რთული და აფიქსური ძირების მონაწილეობით. დესკრიპტივისტების აზრით კი, აღნიშნული მოდელი პირველად სწორედ სიტყვაწარმოებითი მოდელებისათვისაა განკუთვნილი.

ამრიგად, თუ სიტყვის დესკრიპციული ანალიზი მიზნად ისახავს უმცირესი, მნიშვნელობის მქონე, ელემენტების გამოვლენას, მათი სიტყვაწარმოებითი მოდელი ჩრდილში რჩება. და, პირიქით, როდესაც მოცემული სიტყვების ანალიზი მიმართულია სიტყვაწარმოებით მოდელთა გამოყოფისაკენ, ვერ ვლინდება ყველა უმარტივესი მნიშვნელობიანი ელემენტი, რომელსაც ეს სიტყვები შეიცავს. (კუმაოვი 1964: 25-33).

საინტერესოაა წარმოდგენილი რთული სიტყვების საზღვრის დადგენის საკითხი ა. აბრეგოვის გამოკვლევაში: „გამოკვლევები ადიდეური ენის ლექსიკისა და სიტყვაწარმოების შესახებ“ (აბრეგოვი 2000): რთული სიტყვები ადიდეურ და ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენებში ხასიათდება მრავალი სპეციფიკური თავისებურებით და სიტყვაწარმოებითი მოდელების მრავალფეროვნებით, რომლებიც სხვადასხვა პროდუქტიულობისაა. სიტყვათშეერთება ერთ-ერთი უძველესი და გავრცელებული საშუალებაა ამ ენების ლექსიკის გამდიდრებისა მათი ისტორიული განვითარების გზაზე. (აბრეგოვი 2000: 79).

თუ კომპოზიტი — ეს არის (ლექსემა), სიტყვათშეერთება — ეს არის ორი ან მეტი დამოუკიდებელი სიტყვის შეერთება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია აზრობრივად და გრამატიკულად, გამოხატავს ერთიან, მაგრამ დანაწევრებულ მნიშვნელობას და წარმოადგენს ობიექტური სინამდვილის ან მოვლენის რთულ სახელწოდებას.

... გვხვდება ასევე სინტაქსური ოდენობები... რომლებიც უახლოვდება რთულ სიტყვებს, რომელთა კომპონენტები მსაზღვრელ-საზვრულ ან საზღვრულ-მსაზღვრელობით ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. მეორე მხრივ, შინაარსობრივად ეს რეალიები ემთხვევა ჩვეულებრივ (ტიპურ) სიტყვათშეერთებებს, რომლებიც გამოხატავს ერთიან, მაგრამ განცალკევებულ შინაარსებს, თუმცა გრაფიკულად ისინი სიტყვებად გადმოიცემა. ამრიგად, სიტყვათშეერთების ეს ტიპი განსხვავდება, როგორც რთული სიტყვების, ასევე სიტყვათშეერთებებისაგან... ასეთი სახეობების აღსანიშნავად გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი: „სინტაქსური კომპლექსი“, „სახელური კომპლექსი“, „შეხორცებული სახელური კომპლექსი“... და სხვ... (აბრეგოვი 2000: 81).

ა. აბრეგოვი ასეთი სიტყვათშეერთებების აღსანიშნავად გვთავაზობს შედარებით უნივერსალურ სახელწოდებას: **სინტაქსური ბლოკი**, ითვალისწინებს რა, რომ აღნიშნული ტიპის წარმოება, რთული სიტყვებისა და ჩვეულებრივი სიტყვათშეერთების საზღვარზე იმყოფება. ამ ტერმინით ხაზი - ესმება აღნიშნული სიტყვათშეერთების მთავარ დამახასიათებელ თვისებას: **მთლიანობას**. სინტაქსური ბლოკის / სინტაქსემის შემადგენელი კომპონენ-

ტების სტრუქტურა სემანტიკურად გამჭვირვალეა (აბრეგოვი, 2000, 82). აფხაზურ-ადილური ენების ობიექტური ვითარების გათვალისწინებით, რთულფუძიანი სიტყვების გამაერთიანებელ სახელწოდებად ყველაზე უფრო მოქნილ სახელწოდებად გვესახება „**სინტაქსური ბლოკი**“, რომლის შემადგენლობაში მყოფი ნებისმიერი კომპონენტი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებადაც გამოიყენება.

ისინი, შესაძლოა, პოლისემიურნი ან ომონიმურნი იყვნენ, მაგრამ, როდესაც სინტაქსური ბლოკის შემადგენლობაში შედიან, მთლიანად ან ნაწილობრივ ეხსნებათ პოლისემია და ომონიმია.

ა. აბრეგოვი აღნიშნავს რომ: **სინტაქსური ბლოკი**, ეს არის გრაფიკულად სიტყვა, რომელიც აქცენტოლოგიური, ფორმათწარმოებითი, ორთოგრაფიული ურთიერთობით უახლოვდება რთულ სიტყვებს, ხოლო სემანტიკურად და შეერთების საშუალებებით, ემთხვევა გარდამავალ სიტყვათშეერთებებს (აბრეგოვი 2000: 82-83).

ამ პრობლემას ეხება კუმახოვიც: იგი აღნიშნავს, რომ რთული სიტყვები გვევლინება მთლიან სტრუქტურულ ერთეულებად, რომლებიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. სემანტიკური მთლიანობა, 2. ერთი პარადიგმატული კლასისადმი განკუთვნიება. 3. კომპონენტთა კომპაქტურობა. 4. კომპონენტის უნარმოკლებულობა განისაზღვროს სხვა სიტყვებისაგან განცალკევებულად. კომპონენტთა მყარი მოწესრიგებულობა (რიგი) (აბრეგოვი 2000: 83-84).

რთულ სიტყვათა შესახებ საგულისხმო მოსაზრებებს გამოთქვამენ გ. პაული, ო. იესპერსენი, ე. ბენვენისტი, ლ. ბლუმფილდი (აბრეგოვი 2000: 84).

პაულის აზრით, სინტაქსური შესიტყვებიდან რთულ სიტყვაზე გადასვლა თანდათანობითია. ეს პროცესი კარგად ჩანს დამწერლობიან ენებში. ახალდამწერლობიან ენებშიც იგივე პროცესია საგულეველი. (აბრეგოვი 2000: 85).

... შესიტყვებათაგან და სინტაქსურ ბლოკთაგან რთული სიტყვების ჩამოყალიბების ანალიზი ცხადყოფს, რომ განსაზღვრულ ეტაპზე ეს ორი ოდენობა ენაში თანაარსებობდა. შემდეგ, რთული სიტყვის მდგომარეობა მყარდება, ხოლო შესიტყვება, როგორც არასაჭირო იკარგება. ამას ცხადყოფს მერყეობა მათი დაწერილობისას (ერთად დაიწეროს, თუ ცალ-ცალკე).

ბ. ბალყაროვი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ ნაწარმოები ფორმები იკავებს პირველადი ფორმების ადგილს. ამის შედეგად პირველადი ფორმები იკარგება და ნაწარმოები რჩება (აბრეგოვი 2000: 87).

რთული სიტყვები, თავის მხრივ, ფონეტიკურ და სემანტიკურ ცვლილებათა ზეგავლენით ტრანსფორმირდება მარტივფუძიან სიტყვებად.

ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზა გაიარა ერთკომპონენტიანმა სახელწოდებებმა, რომლებიც ბინარული სიტყვათშეხამებებიდან მომდინარეობს. საქმე ეხება სემანტიკურ კონდენსაციას (უნივერბაციას), როცა ლექსიკურად, სემანტიკურად განსხვავებულ ორშემადგენელიან სახელწოდებათაგან ყალიბდება ერთშემადგენელიანი სახელწოდება. ამასთან, მიღებული ლექსემა მთლიანად ინარჩუნებს პირვე-

ლად მოტივაციას, რომელიც გააჩნდა მაშინ, როდესაც იგი იყო ორწევრიანი. (აბრეგოვი 2000: 88).

აფხაზურ-ადილურ ენათა სიტყვაწარმოების თეორიაში სუსტად არის გაშუქებული შეკუმშული სიტყვაწარმოება, რომლის წყალობითაც წარმოიშობა ნომინატიური ერთეულები, რომლებიც საწყისი სიტყვის მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ მისგან (ამოსავალი სიტყვისაგან, შედარებით მოკლე ფორმით განსხვავდება. აქვე უნდა შევიდეს უნივერბაცია, შეკვეცა, სუბსტიტუცია და აბრევიაცია...

ენობრივი ერთეული თითქოს ორი ნაწილისაგან (კომპონენტისაგან) შედგება, რომელთაგანაც ერთი იდენტიფიკაციას, ხოლო მეორე კი დიფერენციაციას ახდენს. ამის საილუსტრაციოდ ა. აბრეგოვს მოჰყავს უძემ დახ'ნ „ყვავილი“, რომელიც გვხვდება ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენაში. ეს ნიშანი (სიტყვა) იმით არის საინტერესო, რომ მასში მაიდენტიფიცირებელ კომპონენტად გამოდის სიტყვა უძემ „ბალახი“, იმდენად, რამდენადაც ყვავილი ბალახეული მცენარეა, ხოლო დახ'ნ „ლამაზი“. ლექსემა აღნიშნავს, რომ ყვავილი ჩვეულებრივი ბალახისაგან თავისი სილამაზით გამოირჩევა. აბაზურშიც იდენტური ვითარებაა: ხ'უჭრაფშაძა, სიტყვასიტყვით: „ბალახი ლამაზი“. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სახელწოდება-ინოვაცია აბაზურში ყაბარდოულ-ჩერქეზული ენის გავლენით მოხდა და თავისებურ აზრობრივ კალკს წარმოადგენს უძემ დახ'ნ „ყვავილი“ ადილური სიტყვისას; მაშინ, როცა მონათესავე აფხაზურ ენაში და აბაზური ენის აშხარულ დიალექტში ფუნქციონირებს სხვა წარმოშობისა და წარმოების ამოსავალი ლექსემა აშიგთ „ყვავილი“ (აბრეგოვი 2000: 89).

საგულისხმოა, რომ აფხაზურის აშიგთ „ყვავილი“ ლექსემა მომდინარეობს აშიგთა „ყვავება“ მასდარისაგან, ისევე, როგორც ეს ქართულშია. შდრ.: ყვავ-ილ-ი, აყვავ-ებ-ა...

უნდა ვივარაუდოთ, აღნიშნავს ა. აბრეგოვი, რომ ადილური ენების ისტორიული განვითარების მანძილზე, ორკომპონენტური სახელწოდება ყვავილისა, ენობრივი ეკონომიის პრინციპის შესაბამისად, განიცდის უნივერბაციას და გადადის ერთკომპონენტურ სახელწოდებაში, შესიტყვების შეკუმშვის გზით, ანუ ერთ-ერთი კომპონენტის მოკვეცივით:

ორკომპონენტური სახელწოდება → უნივერბაცია...

ა. აბრეგოვი ვარაუდობს, რომ მცენარეთა სახელწოდებების გარკვეული ნაწილი ადილურ ენებში იწარმოება ელიფსური დერივაციის შედეგად, რომლის დროსაც, შესიტყვების კომპონენტი ან მსაზღვრელი, ან საზღვრული იკვეცება.

ბუნებრივია, რომ ყველა ოდენფუმიან სახელწოდებას, უნივერბაციის პროცესის შედეგად მიღებულად ვერ მივიჩნევთ. დემოტივაციასთან ერთად, რომელსაც სემანტიკური კონდენსაციის დროს აქვს ადგილი, არსებობს საპირისპირო პროცესიც — სიტყვათა მოტივაცია და გადაქცევა შესიტყვებებად, რაშიც სიტყვაწარმოებით მოდელებს გარკვეული როლი აქვთ.

აფხაზურ-ადიღურ ენებში უნივერსალურობის ერთად, მოქმედებს სიტყვაწარმოების ისეთი მეთოდი, როგორცაა მოკვეცა (ელიფსი, ელიფსისი) რთული სიტყვისა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მსაზღვრელის ან საზღვრულის ელიფსისის შედეგად, წარმოიშობა ინოვაცია – ახალი ლექსიკური ერთეული. ელიფსისი სიტყვათქმნადობის ერთ-ერთი საშუალებაა ლექსიკის გამდიდრებისათვის.

ადიღურ ენაში ს¹ჰ სიტყვას აქვს ამოსავალი მნიშვნელობა „თავი“. იგი გამოიყენება ისეთი მნიშვნელობების გადმოსაცემად, როგორცაა „სიმინდის ტარო“, „პურის თავთავი“, „თავი ხახვი“... ეს სიტყვები მნიშვნელობის განვითარებით არ არის მიღებული. მათი ამოსავალი წყარო სხვადასხვაა. ისინი წარმოიშვნენ სინტაქსური ბლოკის ან რთული სიტყვის ერთ-ერთი კომპონენტის ელიფსის შედეგად.

ორკომპონენტისანი სახელწოდება → შეკვეცილი ფორმა	
ნათრგ ¹ ჰჰ „სიმინდის ტარო“	ს ¹ ჰ
ქი ¹ ცგ ¹ ჰჰ „პურის თავთავი“	ს ¹ ჰ
ბზ ¹ გნგ ¹ ჰჰ „თავი ხახვი“	ს ¹ ჰ

ეტიმოლოგიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პერიფრაზსა და უნივერსალურობით მიღებულ ლექსემას შორის გარდამავალი ფორმის (შუა რგოლის) აღდგენას.

ა. აბრეგოვი, აღნიშნული თვალსაზრისით, საინტერესო მაგალითს გვათავაზობს: ქართული **საზამთრო** მიღებული უნდა იყოსო ანალოგიური პროცესის მოქმედების შედეგად. კერძოდ, საზამთრო < საზამთრო ხილი. ავტორისათვის ამ მოსაზრების საფუძველია სხვა ენათა მონაცემები. ლეზგიურში საზამთროს ორი სახელი აქვს. ხალი და გუტუნ, სიტყვასიტყვით: „ხილი“ და „საზამთრო“ ნესვს კი ერთი: გათუნ ხალი, სიტყვასიტყვით: „ზაფხულის საზამთრო“. ახალ ბერძნულშიც ანალოგიურად იწარმოება აღნიშნული ბაღჩეული კულტურის სახელწოდებაო.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში, ვვარაუდობთ, აღნიშნული ხასიათის ენობრივ მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი აწლამა „ჭადარი, ალვა“ სიტყვის ჩამოყალიბების შემთხვევაში, სადაც ლექსემის წინა საზღვრული ნაწილი გაუჩინარებული გვგონია. სახელწოდება, უნდა ყოფილიყო საზღვრულ-მსაზღვრელ-მსაზღვრელი კონსტრუქციისა: *გაუჩინარებული ლექსემა + აწლა „ხე“ + შ < აშკიაკია „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

მცენარეთა და ცხოველთა აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში, ზოგადად, იყოფა ორ ჯგუფად: ეს არის ნასესხები სიტყვები და სახელწოდებები, რომელთაც აფხაზურის საშუალებით უხერხდება ახსნა.

თავად, მცენარეთა და ცხოველთა აფხაზური სახელწოდებები, შეიძლება, სამ ჯგუფად გაიყოს: სახელწოდებათა ერთი ნაწილის ფუძე მარტივია, ზოგჯერ ერთ მარცვალსაც არ აღემატება: აში „წიფელი“, ალ „მურყა-

ნი“, აჯ „მუხა“; სახელწოდებათა მეორე, უფრო დიდი ნაწილი, კომპოზიტებს წარმოადგენს: აზნარასა „ტყის თხილი“, აპიასსა „გარეული, წვრილი ალუჩა“, აწესლაპი „ჩიტის ლეღვი“, გვხვდება აფიქსაციით მიღებული ლექსიკური ერთეულებიც.

თავის მხრივ, კომპოზიტები, ცხადია, აფხაზური ენის გრამატიკული ნორმების დაცვითაა ძირითადად შედგენილი, თუმცა არის გამოწკლისებაც.

ქვემოთ გაანალიზებულია კომპოზიტთა სტრუქტურა, განხილულია კომპოზიციის ყველა შესაძლო შემთხვევა, რომელსაც ადგილი აქვს მცენარეთა და ცხოველთა სახელწოდებში: ამჟამად დამოუკიდებელი მნიშვნელობის, ისტორიულად სინტაქსური შესიტყვებებისაგან ნაწარმოები ფუძეები, ორი, სამი და სამზე მეტკომპონენტიათა შიშველი იყოს. დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილთა გარდა, რთული ფუძე (კომპოზიტი) შეიძლება შეიცავდეს აგრეთვე ე. წ. ლოკალურ პრევერბებსა და „ლ“-ს რიგის პირკლასის კუთვნილებით ელემენტებს, რომლებიც, თავიანთი მხრივ, დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებისგან წარმოიშვნენ. რთულ ფუძეებში გვხვდება არაგონიერთა კლას-კატეგორიის მრავლობითობის ნიშნის გამოვლენის შემთხვევები, ასევე სხვა მორფოლოგიურ კატეგორიათა: კაუზატივის, სათავისო ქცევის, საურთიერთო კატეგორიის, ინსტრუმენტალისის ნიშნები. ამჟამად დამოუკიდებელი მნიშვნელობის, ისტორიულად სინტაქსური შესიტყვებებისაგან ნაწარმოები ფუძეები, ორი, სამი და სამზე მეტკომპონენტიათა შიშველი იყოს.

ორკომპონენტიათა კომპოზიტები

საზღვრულ-მსაზღვრელი:

1. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად მცენარისა და ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა) + **ზედსართავი სახელი**, ან მისი ფუძის ნაშთი:

აპაშა „თეთრი მსხალი“, **აპა** „მსხალი“, **შა** < აშკიაკია „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

მსაზღვრელ-საზღვრელი:

2. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** + **არსებითი სახელი:**

აშამაშიგა „ჭიაფერა“, აშამაყა „ცვილის დიდი სანთელი“, აშიგა „საღებავი“.

აციგიაზ „ხვადი კატა“, **აციგიგ** „კატა“, -აზ ნახევარსუფიქსი, ამოსავალი მნიშვნელობით „მამა“, ზედმიწევნით: „კატა მამა“, **აზღაზ** „ხარ-ჯიხვი“, **აზღ** (დაჩრდილული სემანტიკის მქონე სიტყვა), -აზ ნახევარსუფიქსი, ამოსავალი მნიშვნელობით „მამა“, **აჩაზა** „მამალი ცხენი“, აზტა „ვაყა“, **აჩღ** „ცხენი“, -აზ ნახევარსუფიქსი, ამოსავალი მნიშვნელობით „მამა“, რომელიც ცხოველთა მამრობითობის აღსანიშნავად გამოიყენება. სიტყვასიტყვით: „ცხენი მამა“. **ა-მშჟნყგზ** „გედი“, **ა-მშჟნ** „ზღვა“, (**ა**) **ყგზ** „ბატი“, „ზღვის ბატი“. **ა-მგკტგ** „გარეული იხვი“, **ა-მგ** „წყალი“ **ა-კტგ** „ქათამი“, „წყლის ქათამი“.

ა) კომპოზიტის საზღვრულია **აჯ/ჯა: ადგლაჟა** „ბამგი, ჭყორი“

აშხარაჟ „ჯოლო“

ბ) კომპოზიტის საზღვრულია **აწლა** „ხე“ ლექსემა:

აწაწლა „არყის ხე“, აწა „ყინვა“, აწლა „ხე“.

გ) კომპოზიტის მსაზღვრელია **ახნა** „ტყე“: **ახნარასა** „გარეული, ტყის თხილი“ **ახნაწია** „მაჯალო, ტყის ვაშლი“, **ა-ხენკატე** „ხოხობი“, **ახენ** „ტყე“, **აჟატე** „ქათამი“, „ტყის ქათამი“.

დ) კომპოზიტის მსაზღვრელის როლში გვევლინება **ეთონონიმები, ტოპონიმები** და **ანთროპონიმები**: ეთონონიმი: **აშიანგჷჷ** „ყურძნის ჯიში“, აშინგჷ „სვანი“, (ა)ჷ „ყურძენი“. ტოპონიმი: **აჷასარხიაჷ** „ყურძნის ჯიში“, აჷასარხია „ცხვის ბორცვი“, აჷ „ყურძენი“. ანთროპონიმი: **პაპენიჷ** „ყურძნის ჯიში“, პაპენ „მამაკაცის სახელი“, ი- III პირის (კუთვნილების) პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, ჷ „ყურძენი“.

ე) კომპოზიტის მსაზღვრელია **ზოონიმები**: **აჯმაყჯ** „დენგრა, კუნელი“, აჯმა „თხა“, (ა)ყჯ „ცურცილი“.

3. სტრუქტურული მოდელი: ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი (უმეტესად **მცენარის ან ცხოველის** აღმნიშვნელი ლექსემა)

ათიაჷ „სავსე ყურძენი“, ათიჷ „სავსე“, აჷ „ყურძენი“.

4. სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი + მასდარი

აბღჯ აბტრა „გვირგვინის გახსნა“, აბღჯ „ფოთოლი“, აბტრა „თავის ახდა“.

ორზე მეტკომპონენტიანი კომპოზიტები

აბაჷჷ „ყურძნის ჯიში“, აბა „ციხე-სიმაგრე“, (ა)ჷ „ყურძენი“, შ < აშკაჷკა „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

მცენარის სახელწოდებაში (შესაბამისად მცენარის სახელწოდების სემანტიკურ ველში შემავალ ტერმინოლოგიაში) გამოვლენილია **ლოკალური პრეფერბები**:

აწაყიჯ „ჭრელი ლობიოს ერთ-ერთი სახეობა“ **აწა** „ქვეშ, ქვევით.“

სახელწოდებებში თავს იჩენს სხვადასხვა **მორფემები, ზმნური** და **სახელური** სიტყვათმაწარმოებელი ელემენტები:

გამოიყენება კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე კუთვნილებითი ელემენტები, ე. წ. „ლ“-ს რიგისა: **ი-**, **ლ-**, **რ-**:

თაგიჷ თაგი „მამაკაცის სახელი“, ი- III პირის (კუთვნილების) აფიქსი მამაკაცის კლასისა. „თაგუს ‘მისი’ ყურძენი.“

ხიგნალჯ ხინა „ქალის სახელი“, ლ- III პირის (კუთვნილების) აფიქსი ქალთა კლასისა. „ხუნას ‘მისი’ ყურძენი.“

აპიარპაჷ „მოცივი“, აპია „ლორი“, (ა)პაჷა „ტკიპა“, რ III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) აღმნიშვნელი პრეფიქსი. „ლორი ‘მათი’ ტკიპა“.

ა-ზგარემმ (ზზიფ.) „ციცინათელა“, „ელვანა“ ა-ზგა „მგელი“, რ- III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) აღმნიშვნელი პრეფიქსი, ამძამჲ „ბუზი“ ლექსემა. „მგელი [მათი] ბუზი“.

ზოგადად, აფხაზურ-ადიღური ენებისა და კერძოდ, აფხაზური ენის მასალის ფაქტობრივი ანალიზი საშუალებას იძლევა შემდეგი დასკვნისათვის: მორფოლოგიურ სიტყვაწარმოებასთან ერთად, სიტყვის ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლის გარდა, შესიტყვების სიტყვაში გადასვლის გარდა, რთულ სიტყვათა ბაზაზე დაყრდნობით, განსაზღვრული ადგილი უკავია ენაში ელიფსურ დერივაციას. იგივე ვრცელდება სინტაქსურ ბლოკებსა და შესიტყვებებზეც.

რთული სიტყვები ასრულებენ ენაში კუმულაციის ფუნქციას, რამდენადაც მათს აგებულებაში შედის კომპონენტები, რომლებიც ადრე დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულები იყო, მაგრამ ისტორიული განვითარების პროცესში გამოვიდა ხმარებიდან. ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ, რთულ სიტყვათა შორის არის ძველი წარმონაქმნები, რომელთა შემადგენელი ნაწილების (ან ნაწილის) მნიშვნელობა უკვე დაჩრდილულია, მათთან ერთად კი, მეორეული წარმოების რთული სიტყვები, რომლებიც ისეთი კომპონენტებისაგან შედგება, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა.

ლიტერატურა

აბრეგოვი 2000 – А. Н. Абрегов, Исследования по лексике и словообразованию адигейского языка, Майкоп.

კუმახოვი 1964 – М. А. Кумахов, Морфология Адыгских языков“, Москва-Нальчик.

NANA MACHAVARIANI

A Syntactic Block – One of the Features of the Abkhazian Bases

(Based on the Abkhazian Vocabulary of Flora and Fauna)

S u m m a r y

Abkhazian vocabulary includes the compounds with one base formed by means of affixation. The paper deals with the so called syntactic blocks or the bases having an independent meaning these days and were derived from the syntagms. They may include one, two, three or even more components. Apart from the parts of speech having an independent meaning a complex base (a compound) may also include the so called local preverbs and the possessive elements of the person-class of the “L group” which, in their turn, were derived from the words with independent meanings. In a complex bases we can find the cases of the markers of the plural form of the class-category of irrational beings and of the other morphological categories such as a causative, a subjective version, a reciprocal version and an instrumental case.

Compounds with two components

Antecedent-adherent:

1. Structural model: **a noun** (in most cases a lexeme denoting a plant or an animal) + **an adjective** or a relic of its base.

ahaša “a white pear” – **aha** “a pear”, **ša** < **ašakʰakʰa** “white” a relic of the base of a equative adjective.

Adherent-antecedent:

2. Structural model: a noun + a noun.

ašamašʰoga “Phytolacca”, **ašamaqa** “a big wax candle”, **ašʰoga** “paint”.

acʰgʰab “a tomcat” – **abyab** “a Caucasian billy-goat”, **ačʰaba** “a male horse”, **axta** “a stallion”. The half-suffix **-ab** is used to mark a male gender in animals. The starting meaning of the said suffix is a word “father”; **a-məŋqəz** “a swan”, **a-mšəŋ** “the sea”, **(a)qəz** “a goose, a sea goose”. **a-ʒəkʰtə** “a wild duck”, **a-ʒ** “water”, **a-kʰtə** “a hen, a gallinule”.

a) The antecedent of a compound is **až/ža**: **adəyaža** “a holly”, **ašxaraž** “a raspberry”;

b) The antecedent of a compound is a lexeme **ačla** “tree”: **ačaačla** “a birch”, **ačaa** “frost”, **ačla** “a tree”;

c) The adherent of a compound is **abna** “a wood”: **abnarasa** “a hazelnut”, **abnačʰa** “a wild apple”, **a-bəŋtə** “a pheasant”, **abən** “a wood”, **akʰtə** “a hen, a woodcock”;

d) Sometimes the adherent of a compound is an ethnonym, a toponym or an anthroponym, e. g. **aš°anəwž** “a grape variety” – **aš°nəw** Svan, **(a)ž** “grapes” (an ethnonym); **awasarx°až** “a grape variety” – **awasarx°a** “a sheep hill”, **až** “grapes” (a toponym); **papəniž** “a grape variety” – **papən** “a name of a man”, **i** – a prefix of person III (possessive) of a Class of Males, **ž** “grapes” (an anthroponym);

e) The adherent of a compound is a zoonym, e.g. **ažmaq°ə** “hawthorn” – **ažma** “a goat”, **(a)q°ə** “pellet”.

3. Structural model: an adjective + a noun (in most cases a lexeme denoting a plant or an animal).

at°až “plump grapes” – **at°ə** “full”, **až** “grapes”.

4. Structural model: a noun + a masdar.

aby°ə axtra օդո օքն a chaplečü – **aby°ə** “a leaf”, **axtra** “to open”.

Compounds with more than two components

abaažš: “a grape variety” – **abaa** “a fortress”, **(a)ž** “grapes”, **š:** < **aš°k°ak°a** “white” – a relic of the base of a equative adjective.

In plant names (accordingly in the terminology of the semantic field of a plant name) **local preverbs** are distinguished, e. g. **açaq°əd** “a variety of spotted beans”, **aça** “under, bellow”.

In the names different **morphemes**, **verbal** and **nominal** word-formation elements can be found. the possessive elements of the possessive pronoun belonging to the so called օԼ group **i**-, **l**-, **r**-. For example:

tag°iž – **tag°** “a name of a man”, **i** – an affix of person III (possessive) of a Class of Males, “Tagu’s ‘his’ rapes”.

x°ənaləž – **x°na** “a name of a woman”, **l** – an affix of person III (possessive) of a Class of Females, “Khuna’s ‘her’ grapes”

ah°arpaça “bilberry” – **ah°a** “a pig”, **(a)paça** “a tick”, **r** – a prefix of the plural (possessive) of person III, “a pig (their) tick”.

a-bgarəmj “a fire-fly” – **a-bga** “a wolf”, **r** – a prefix of the plural (possessive) of person III, **amj<amç** “a fly”, “a wolf (their) fly”.

The paper deals with the scientific literature concerning compounds and gives a new interpretation of the so called syntactic blocks.

თამარ მახარობლიძე

ქართველური ზმნისწინების შესახებ

ზმნისწინი არის ზმნის წინ განთავსებული ელემენტი. საერთაშორისო საენათმეცნიერო ლიტარატურაში საკმაოდ დიდია აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხზე. მეცნიერთა ნაწილი წინდებულებს (და თანდებულებსაც) ზმნისწინის კატეგორიაში განიხილავს. მიმდინარე ეტაპზე ეს ძირითადად ინდოევროპულ ენებს ეხება. მაგრამ ზმნისწინი (როგორც მორფემა) უნდა იყოს ზმნის შემადგენელი ნაწილი და არა დამოუკიდებელი ერთეული. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ გრამატიკალიზაციის უნივერსალურ პროცესში სწორედ ასეთ გზას გადის ყველა მორფემა.


საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ზმნისწინის თემას საკმაოდ ბევრი მკვლევარი იძიებდა: ზელერი (2001, 2003); ბლომი (2005); ფარელი (2005); ჰოექსტრა (1988, 1992); ლევინი და რაპაპორტი (1995); აკერმანი და ვებელჰუსი (1998); ლუდელინგი (2001); მაკინტური (2003, 2007); ოლსენი (2000); სტეჩოუ (1995); პინკერი (1989); მიულერი (2000); ბუჟი (1990); ჰაიდერი (1997); ჰაიდენი(2006); ჩერჩი (1997); ჰარისი (2003); შანიძე (1980); ლი (1999); დეჰე (2002); ჰოლისკი (1981); ვეშაპიძე (1967) და სხვ. არის 2003 წლის მორფოლოგიის დიდი გამოცემა, რომელიც მთლიანად ეძღვნება ზმნისწინს.

სამწუხაროა, რომ ზმნისწინის შესახებ ჩატარებულ ტიპოლოგიურ კვლევებში ქართველური მასალა სათანადოდ არ არის წარმოდგენილი. ქართველურ ენებში და კერძოდ, ქართულში ზმნის წინ შესაძლებელია სამი ტიპის აფიქსთა განთავსება. ქართული ზმნისწინი პირველია ამ პრეფიქსულ აფიქსებს შორის. მას შეიძლება მოსდევდეს ზმნის პირის სუბიექტური ან ობიექტური ნიშანი და/ან პოლიფუნქციური ხმოვანი პრეფიქსი.

(1) გა-ვ-ა-კეთ-ე

ყველა ეს პრეფიქსი (გა-, ვ-, ა-) ზმნის წინაა განთავსებული, მაგრამ მათ კონკრეტული მორფოსემანტიკა გააჩნიათ და ქართველოლოგიური სკოლის მიხედვით, ზმნისწინად მხოლოდ გა- პრეფიქსია მიღებული. თუმცა რიგ ფორმებში შესაძლოა მხოლოდ ზმნისწინი იყოს ზმნის ლექსიკური ძირის წინ წარმოდგენილი ერთადერთი მორფემა.

სხვადასხვა ენებში ზმნისწინებს აქვთ სხვადასხვა აქტივობა. ზმნისწინის ფუნქციათა ტიპოლოგიური მოდელი ასე გამოიყურება:



ზმნისწინს შეუძლია ოთხი სახის მორფოსემანტიკური მნიშვნელობის გადმოცემა: სივრცითი, დროითი, ობიექტური და ლექსიკური. ზოგჯერ ეს ფუნქციები გადაიკვეთება და კომბინირებული ფორმებია ენაში, მაგალითად: ქართულ ზმნისწინს შეუძლია სივრცითი და დროითი ფუნქციების თანადროული გამოხატვა:

(2 a) *აფრენს*

(2 b) *გააფრენს*

(2 c) *შეაფრენს*

ამ მაგალითებში ზმნისწინი *გა-* ან *შე-* ორივე ფუნქციას მოიცავს: ზმნური ფორმის აწმყო დრო გადადის მყოფადში და ამასთანავე ზმნის ფორმაში სივრცითი მიმართების ვექტორული ფუნქციაც მოცემულია.

საზოგადოდ, ზმნისწინთათვის სივრცითი მიმართებების აღნიშვნა უნივერსალური და პირველადია. ეს საკმაოდ მწყობრად გამოხატული სისტემაა ქართულ ენაში გეზისა და ორიენტაციის კატეგორიებით.

დროით ფუნქციას შეუძლია უჩვენოს ორი სახის გრამატიკული შინაარსი:

1. აწმყო დროის ფორმა გადაიყვანოს მომავალში და
2. დაასრულოს ასპექტი ზმნისწინის დართვით.

ქართულ ენაში კარგად არის შესწავლილი ზმნისწინთა ლექსიკური ფუნქციაც – როდესაც ზმნისწინი აწარმოებს ახალი შინაარსის ზმნას. იგი მოქმედებს როგორც დერივანტი.

(3a) *წა-კითხვა*

(3b) *და-კითხვა*

(3c) *გამო-კითხვა*

(3d) *შე-კითხვა*

(3e) *მო-კითხვა*

(3f) *გადა-კითხვა*

ზმნისწინის ობიექტური ფუნქცია ეხება ზმნისწინის ზეგავლენას ზმნის ობიექტურ პირებზე. ასეთი მოქმედება შესაძლოა იყოს ორი ტიპის:

1. ზმნისწინმა შეუცვალოს ზმნას პირიანობა და
2. ზმნისწინმა შეცვალოს ობიექტის როლები.

ზმნის პირიანობის ცვლილების შესახებ მორფოსინტაქსურ დონეზე ბევრი სტატია გამოქვეყნდა უცხოელი კოლეგების მიერ. მათი კამათი ეხებოდა ენის იერაქტივის დონეს ამ თემასთან მიმართებაში. მეცნიერთა ნაწილი საკითხს მორფოლოგიურ მოვლენად განიხილავდა (ნეელმანი და ვერმანი 1993; სტიებელსი და ვუნდერლიჰი 1994; ოლსენი 1997; მაკინტური 2003, 2007; ჰოქსტერა 1988, 1992; დენ დიკენი 1995; სტეჩოუ 1995; სვენონიუსი 1997, 2005; ბუ-

ქი და კემენეიდი 2003). ხოლო სხვა ავტორები კი თვლიდნენ, რომ ეს სინტაქსური მოვლენად უნდა გაგვეაზრებინა (ზელერი 2003, 2001; ჰაიდერი 1997; ლუ დელინგი 2001; ბუჟი 1990; კეიზერი და როეპერი 1992; მიულერი 2000). ბოლოს ზელერმა შემრიგებლური პოზიცია დაიკავა და ჰიბრიდული სისტემის მხარდამჭერი გახდა. (ზელერი 2003:203). ქართველოლოგიური სინამდვილისთვის ცხადია, რომ ცალსახად მორფოლოგიური მოვლენაა ზმნის პირიანობის ცვლა. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ თემის ტიპოლოგიური ანალიზი მონოპერსონალურ ენებთან შეპირისპირებით გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, რომ არ მოხდეს ზმნის პირიანობისა და ვალენტობის კატეგორიათა აღრევა (იხ. მახარობლიძე 2009:33-42).

ზმნისწინის მიერ პირიანობის ცვლას შევეხეთ სტატიაში „ზმნისწინის ექვსი ფუნქცია და ზმნისწინთა კლასიფიკაცია“ (მახარობლიძე 2010:77-90). აქ ნათლად არის წარმოჩენილი ქართველური ზმნისწინის ასეთი აქტივობა.

(4a) *ა-აშენა (მან-S, ის-Od)*

(4b) *მო-აშენა (მან-S, ის-Od., მას-Oind.)*

(4c) *მი-აშენა (მან-S, ის-Od., მას-Oind.)*

(4d) *და-აშენა (მან-S, ის-Od., მას-Oind.)*

(5a) *გა-ვჭერი (მე-S, ის-Od)*

(5b) *მო-ვჭერი (მე-S, ის-Od., მას-Oind.)*

ამ მაგალითებში გარკვევით ჩანს, თუ ზმნისწინები როგორ ცვლიან ზმნის პირიანობას. ქართველოლოგი მკვლევარები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ზმნის პირიანობაზე გავლენა აქვს ხმოვან პრეფიქსებს (შანიძე 1980, ჰარისი 1978, დეეტერსი 1930, ჰოლისკი 1981, ფოგტი 1971, ჩხენკელი 1958, შმიდტი 1969, უთურგაიძე 2002, ჰიუიტი 1995 და სხვ). როდესაც ზმნისწინი ზრდის ზმნის პირიანობას, ხმოვანი პრეფიქსის გავლენა ასეთ ფორმებში არ დასტურდება:

(5c) *მო-ვ-ა-ჭერი (მე-S, ის-Od., მას-Oind.)*

როგორც ვხედავთ მაგალითში 5b, ხმოვანი პრეფიქსის გარეშე გვხვდება ზმნის პირიანობის ცვლა. ხოლო 5c მაგალითში მოცემული ხმოვანი პრეფიქსი არ ცვლის სიტუაციას პირიანობის თვალსაზრისით. აქ ზმნის პირიანობას ზრდის *მო-* ზმნისწინი.

ერთმანეთს შეადარეთ ქვემოთ მოყვანილი ფორმები (მეტი თვალსაჩინოებისათვის).

(6a) *ვანგრიე (მე-S, ის-Od) მე კედელი*

(6b) *და-ვანგრიე (მე-S, ის-Od) მე კედელი*

(6c) *მო-ვანგრიე (მე-S, ის-Od., მას-Oind.) მე კედელი სახლს*

ზმნისწინით გამოწვეულია ობიექტის როლთა ცვლილებები. ორპირიანი გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი ხდება ირიბი. ზმნაში შემოდის ახალი პირდაპირი ობიექტი და ზმნა ხდება სამპირიანი:

(7a) *გა-ვ-კვეთე (მე-S, ის-Od) მე სხეული*

(7b) *მო-ვ-კვეთე (მე-S, ის-Od მას-Oind.) მე სხეულს ნაწილი.*

(8a) *და-მაბა (მან-S, მე-Od) ქალმა მე*

(8b) *მო-მაბა (მან-S, მე-Oind. ის-Od.) ქალმა მე თოკი.*

ზმნისწინის მიერ ობიექტის როლთა ცვლილებანი არის ორი სახის:

1. ორპირიანი გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი ხდება ირიბი. ზმნაში შემოდის ახალი პირდაპირი ობიექტი და ზმნა ხდება სამპირიანი (როგორც ეს ვნახეთ ზემოთ მოყვანილ მაგალითებშიც):

(9a) *გა-მყიდა (მან-S, მე-Od) კაცმა მე*

(9b) *მი-მყიდა (მან-S, მე-Od, მას-Od.) კაცმა მე სხვას*

(9c) *მო-მყიდა (მან-S, მე-Oind. ის-Od.) კაცმა მე პური*

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ *მი-* და *მო-* ზმნისწინთა ამ ტიპის ოპოზიცია მხოლოდ პირველ და მეორე ობიექტურ პირებთანაა შესაძლებელი, რამდენადაც *მო-* არის სააქეთო ორიენტაციის ზმნისწინი და სემანტიკურად იგი მხოლოდ კომუნიკანტ პირებთან მოიაზრება (იხ. შანიძე 1980:238-261).

2. ზმნისწინს შეუძლია ცვალოს ობიექტთა როლები სამპირიან ზმნაში. აქ გვექნება პირდაპირი ცვლა: ირიბი ობიექტი ხდება პირდაპირი და პირდაპირი ხდება ირიბი.

(10a) *მო-მაბა (მან-S, მე-Oind., ის-Od.) ბავშვმა მე სკამი.*

(10b) *მი-მაბა (მან-S, მე-Od., მას-Oind.) ბავშვმა მე სკამს.*

(11a) *მო-გატება (მან-S, შენ-Oind., ის-Od.) ქალმა შენ დოქი.*

(11b) *მი-გატება (მან-S, შენ-Od., მას-Oind.) ქალმა შენ დოქს.*

(12a) *მო-გაწება (მან-S, შენ-Oind., ის-Od.) მან შენ ქალადი.*

(12b) *მი-გაწება (მან-S, შენ-Od., მას-Oind.) მან შენ ქალადს.*

აღსანიშნავია, რომ მესამე პირთანაც შესაძლებელია ობიექტის როლთა ცვლილებები ზმნისწინის მიერ, თუმცა ამ ფორმებში იმდენად ნათელი სურათი არ არის როგორც პირველ და მეორე ობიექტურ პირებთან.

(13a) *გა-ათხოვა (მან-S, ის-Od.) მამამ შვილი.*

(13b) *მი-ათხოვა (მან-S, ის-Od., მას-Oind.) მამამ შვილი კაცს.*

(13c) *მო-ათხოვა (მან-S, ის-Od., მას-Oind.) მამამ შვილს ქალი.*


როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, მხოლოდ სინქტაქსი (და/ან კონტექსტი) ხდის ნათელს ობიექტის როლთა ცვლილებას.

ობიექტის როლთა ცვლილებები ინდოევროპულ ენებშიც აღინიშნება. ერთმანეთს შევადაროთ შემდეგი წინადადებები: “*I asked it for something.*“ (მე ვითხოვე ის რაღაცისთვის) და “*I asked something for it.*“ (მე ვითხოვე რაღაცა მისთვის); ან “*I did it for/with something.*“ (მე გავაკეთე ის რაღაცისთვის) და “*I did something for/with it.*“ (მე გავაკეთე რაღაცა მისთვის). ამ ფორმებში ზმნისწინად გააზრებული წინდებულები უცვლიან როლებს ზმნურ აქტატებს. ცხადია, ამ მოვლენის პირდაპირი შედარება პოლიპერსონალურ სისტემებთან არ იქნებოდა მართებული.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართველური ენები სისტემურად ასახავენ ზმნისწინის ობიექტური ფუნქციის ორივე გამოვლინებას. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

- (14a) ქართ. *დავწერე* (მე-S. ის-Od.) *მე წერილი*.
 მეგრ. *დობჭარი* (მა-S. თინა-Od.) *მა წერილი*.
 სვან. *ჩოთირ* (მი-S. ეჯი-Od.) *მი წერილ*.
- (14b) ქართ. *მივწერე* (მე-S. ის-Od., მას-Oind) *მე წერილი მეგობარს*.
 მეგრ. *მიბჭარი* (მა-S. თინა-Od. თინას-Oind) *მა წერილი მეგობარს*.
 სვან. *ქაოთირ* (მი-S. ეჯი-Od, ეჯას-Oind) *მი წერილ აფხნეგს*.
- (15a) ქართ. *გავტეხე* (მე-S. ის-Od.) *მე დოქი*.
 მეგრ. *გობტახ* (მა-S. თინა-Od.) *მა ორწკოლი*.
 სვან. *ჩოკუშ* (მი-S. ეჯი-Od.) *მი დოქ*.
- (15b) ქართ. *მოვტეხე* (მე-S. ის-Od., მას-Oind) *მე დოქს პირი*.
 მეგრ. *მობტახ* (მა-S. თინა-Od. თინას-Oind) *მა ორწკოლს პიჯი*.
 სვან. *ქოხუაკუშ* (მი-S. ეჯი-Od, ეჯას-Oind) *მი დოქს პილ*.
- (16a) ქართ. *გავჭრი* (მე-S. ის-Od.) *მე პური*.
 მეგრ. *გობჭკარი* (მა-S. თინა-Od.) *მა ქობალი*.
 სვან. *ჩლოჭკორ* (მი-S. ეჯი-Od.) *მი დარ*.
- (16b) ქართ. *მოვჭერი* (მე-S. ის-Od., მას-Oind) *მე პურს ყუა*.
 მეგრ. *მობჭკარი* (მა-S. თინა-Od. თინას-Oind) *მა ქობალს კიდე*.
 სვან. *ქობაჭკურ* (მი-S. ეჯი-Od, ეჯას-Oind) *მი დარს მეყ*.
- (17a) ქართ. *გავგლიჯე* (მე-S. ის-Od.) *მე ხორცი*.
 მეგრ. *გობსოფი* (მა-S. თინა-Od.) *მა ხორცი*.
 სვან. *ჩოთცერილ* (მი-S. ეჯი-Od.) *მი ლელუ*.
- (17b) ქართ. *მოვგლიჯე* (მე-S. ის-Od., მას-Oind) *მე ხორცს ნაწილი*.
 მეგრ. *მობსოფი* (მა-S. თინა-Od. თინას-Oind) *მა ხორცს ნაწილი*.
 სვან. *ქოხუაცლ* (მი-S. ეჯი-Od, ეჯას-Oind) *მი ლეჭუს ნაწილ*.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ქართველურ ენებში ზმნისწინს შეუძლია ოთხი სახის მორფოსემანტიკური მნიშვნელობის გადმოცემა: სივრცითი, დროითი, ობიექტური და ლექსიკური. თანამედროვე ქართულში ზმნისწინის ფუნქციები შემდეგი მოდელითაა წარმოდგენილი:



ლიტერატურა

აკერმანი, ფარელი და ვებელჰუსი 1998 – Ackerman Farrell, and Gerd Webelhuth. *A Theory of Predicates*. Stanford: Center for the Study of Language and Information.

ასათიანი 1952 – ასათიანი ირინე, ზმნისწინები ზანურში. თბილისი..

ასათიანი 2009 – Asatiani Rusudan, *A Dynamic Conceptual Model for the Linguistic Structuring of Space: Georgian Preverbs*. Selected papers of the 7th International Symposium on LLC. Springer. 38-47.

ბლომი 2005 – Blom Corrien, *Complex predicates in Dutch. Synchrony and diachrony*. Ph.D. Dissertation, Vrije Universiteit Amsterdam. Utrecht: LOT Netherlands Graduate School of Linguistics.

ბუჯი 1990 – Booij Geert, *The boundary between morphology and syntax: Separable complex verbs in Dutch*. In: Geert Booij and Jaap van Marle (eds.), *Yearbook of Morphology 1990*. Dordrecht: Foris, 45–63.

ბუჯი, გერტი და კემენედი 2003 – Booij, Geert & Kemenade, Ans Van *Preverbs: An introduction*. *Yearbook of Morphology*. Edited by Booij & Jaap van Marle. Kluwer Academic Publishers. New York, Boston, Dordrecht, London, Moscow. 1-13.

დეეტერსი 1930 – Deeters Gerhard, *Das khartwelische Verbum*. Leipzig: Markert & Petters.

დეჰე 2002 – Dehe´ Nicole, *Particle Verbs in English*. Linguistik Aktuell / Linguistics Today. Vol.59. John Benjamins. Amsterdam.

დენ დიკენი 1995 – den Dikken Marcel, *Particles*. Oxford: Oxford University Press.

ვეშაპიძე 1967 – ვეშაპიძე ირაკლი, *ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში*. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.

ვეშაპიძე 1965 – ვეშაპიძე ირაკლი, ზმნისწინის, თანდებულისა და ზმნი-ზედის ურთიერთდამოკიდებულება *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები* 96. თბილისი.

ზელერი 2001 – Zeller Jochen, *Particle Verbs and Local Domains*. Amsterdam, John Benjamins.

ზელერი 2003 – Zeller Jochen, Moved preverbs in German: displaced or misplaced? *Yearbook of Morphology* Edited by Booij & Jaap van Marle. Kluwer Academic Publishers. New York, Boston, Dordrecht, London, Moscow, 179-212

თოფურია 1967 – Topuria Varlam, *Svanuri ena, I: Zmna* [The Svan Language, I: The Verb]. *Shromebi I* [Published as volume Works I] Tbilisi. Mecniereba.

ივანიშვილი და სოსელია 2009 – Ivanishvili, Marine & Soselia, Eter. Preverbs in Megrelian, 8th International Tbilisi Symposium on Logic, Language, and Computation, Revised Selected Papers, 240-249

კეიზერი და როეპერი 1992 – Keyser, Samuel & Roeper, Thomas. Re: The abstract clitic hypothesis. *Linguistic Inquiry* 23, 89–125.

ლევინი და რაპაპორტი 1995 – Levin, Bert & M Rappaport Hovav *Unaccusativity*. Cambridge, MA: MIT Press.

ლი 1999 – Li, Yafei Cross-componential causativity. *Natural Language and Linguistic Theory* 17, 445–497.

ლუ დელინგი 2001 – Lü deling, Anke *On Particle Verbs and Similar Constructions in German*. Stanford: CSLI.

მაინტური 2003 – McIntyre Andrew, Preverbs, Argument Linking and Verb Semantics: Germanic Prefixes and Particles. In: *Yearbook of Morphology 2003*. Edited by Booij & Jaap van Marle. Kluwer Academic Publishers. New York, Boston, Dordrecht, London, Moscow

მაინტური 2007 – McIntyre Andrew, Particle verbs and argument structure. *Language and Linguistics Compass* 1(4): 350-367.

მარგოლისი 1909 – Margolis Max, The Greek Preverb and Its Hebrew-Aramaic Equivalent. *The American Journal of Semitic Languages and Literatures*, Vol. 26, No. 1 (Oct., 1909), pp. 33-61

მარტიროსოვი 1956 – Martirosov Aram, Tsindebulis da tandebulis istoriuli urtiertobisatvis kartulshi. [The historical relationship between preverbs and postpositions in Georgian.] *Iberiul-k'avk'asiuri enatmecniereba* 8, 39–46.

მარტიროსოვი 1953 – Martirosov Aram, *zmnich'inis shemdgeniloba da mati p'irveladi punkciebi dzvel kartulshi*. [The structure of preverbs and their primary functions in old Georgian] *Uberian Caucasian Linguistics*. Tbilisi.

მახარობლიძე 2012 – Makharoblidze Tamar, *The Georgian Verb*. LINCOM Studies in Caucasian Linguistics. p.646; pp.53-71

მახარობლიძე 2010 – მახარობლიძე თამარ, *ლინგვისტური წერილები II*. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. უნივერსიტეტი.. თბილისი. გვ.184

მახარობლიძე 2009 – მახარობლიძე თამარ, *ლინგვისტური წერილები I*. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. უნივერსიტეტი.. თბილისი. გვ.173.

მიულერი 2000 – Müller Stefan, *Complex predicates*. Habil. Thesis, Universität des Saarlandes, Saarbrücken.

მორფოლოგიის წელიწდეული 2003 – French *Yearbook of Morphology*, Edited by Booij & Jaap van Marle. Kluwer Academic Publishers. New York, Boston, Dordrecht, London, Moscow. 33-60

მორფოლოგიის წელიწდეული 2003 – Yearbook of Morphology Edited by Booij & Jaap van Marle. Kluwer Academic Publishers. New York, Boston, Dordrecht, London, Moscow

ნეელმანი და ვეერმანი 1993 – Neeleman, Ad & Weerman Fred, The balance between syntax and morphology: Dutch particles and resultatives. *Natural Language and Linguistic Theory* 11, 433–475.

ოლსენი 2000 – Olsen Susan, Against incorporation. In: Johannes Dölling and Thomas Pechmann (eds.), *Linguistische Arbeitsberichte* 74, 149-172. University of Leipzig: Department of Linguistics.

პინკერი 1989 – Pinker Steven, *Learnability and Cognition*. Cambridge, MA: MIT Press.

სვენნიუსი 1997-2005 – Svenonius Peter *The verb-particle alternation in the Scandinavian languages*, Ms. Troms. (www.hum.uit.no/a/svenonius) ScanDiaSyn conference, Leikanger (August)

სტიბელსი 1994 – Stiebels, Barbara & Wunderlich, Dieter (1994). Morphology feeds syntax: The case of particle verbs. *Linguistics* 32, 913–968.

სტეჩოუ 1995 – techow, Arnim von Lexical decomposition in syntax. In: U. Egli et al. (eds.), *Lexical Knowledge in the Organization of Language*. Amsterdam: Benjamins, 81–117.

უთურგაიძე 2002 – უთურგაიძე თედო, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთიმართებისათვის ქართულ ზმნაში. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი.

ფარელი 2005 – Farrell Patrick, English verb-preposition constructions: Constituency and order. *Language* 81(1): 96-137.

ფოგტი 1971 – Vogt, Hans *Grammaire de la langue Géorgienne*. Oslo: Universitetsforlaget.

ქობლავა 2002 – ქობლავა ბელა, გვ- ზმნისწინის მნიშვნელობისათვის მეგრულში. *ენათმეცნიერების საკითხები*. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.

შანიძე 1980 – შანიძე აკაკი, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. შრომები ტ. III. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.

შმიდტი 1969 – Schmidt Karl Horst, Zur Tmesis in den Kartvelsprachen und ihren typologischen Parallelen in indogermanischen Sprachen. *Giorgi Axvledians*. Tbilisi State University. 96–105.

ჩერჩი 1997 – Cherchi, Marcello Verbal tmesis in Georgian, Part II. *Annali del Dipartimento di Studi del Mondo Classico e del Mediterraneo Antico Sezione Linguistica* 19, 63–137.

ჩხენკელი 1958 – Tschenkeli, Kita *Einführung in die georgische Sprache*, Band 1. Zürich: Amirani.

ჰაიდენი 2006 – Haiden, Martin Verb particle constructions. In: Martin Everaert and Henk van Riemsdijk (eds.), *The Blackwell Companion to Syntax*, vol. 5, 344-375. Oxford: Blackwell.

ჰაიდერი 1997 – Haider, Hubert Precedence among predicates. *Journal of Comparative Germanic Linguistics* 1, 3–41.

ჰარისი 2003 – Harris, Alice *Preverbs and their origin in Georgian and Udi*. In: *Yearbook of Morphology 2003*. Edited by Booij & Jaap van Marle. Kluwer Academic Publishers. New York, Boston, Dordrecht, London, Moscow

ჰარისი 1978 – Harris, Alice “Number Agreement in Modern Georgian. The Classification of Grammatical Categories” (*International Review of Slavic Linguistics vol. 3.No.1-2. ed. By Anthony Vanek. 75-98.*

ჰიუიტი 1995 – Hewitt, George Georgian: a structural reference grammar. Amsterdam: John Benjamins.

ჰოექსტრა 1988 – Hoekstra, Teun Small clause results. *Lingua* 74, 101–139.

ჰოექსტრა 1992 – Hoekstra, Teun Aspect and theta-theory. In: I.M. Roca (ed.), *Thematic Structure*. Berlin / New York: Foris, 145–174.


ჰოლისკი 1981 – Holisky, Dee Ann Aspect theory and Georgian aspect. *Tense and Aspect (Syntax and Semantics, vol. 14)*, ed. P.J. Tedeschi and A. Zaenen. New York: Academic Press, 127–144.

TAMAR MAKHAROBLIDZE

On the Kartvelian Preverbs

S u m m a r y

In the presented paper the typological models of the functions of preverbs are described. Georgian data is displayed as a contribution to the typology of the discussed issue. Preverbs have different meanings and functions in different languages. The general typological model for the functions of preverbs appears as follows:



We argue that preverbs also affect verbal valency changes and stimulate object role-shifting in Georgian as well as in the other Kartvelian languages.

სალომე ომიაძე

**სტრატეგიულ-ენობრივი შეცდომები
დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში**

პირველი, მეორე და მესამე კლასის ქართულის, მათემატიკისა და ბუნების სახელმძღვანელოთა¹ ანალიზმა ცხადყო, რომ ენობრივ შეცდომებთან და სტილურ ხარვეზებთან ერთად განხილვის საგნად უნდა იქცეს ის სტრატეგიული შეცდომები თუ დაუგეგმავი ქმედებები, რომლებიც არა მხოლოდ კონკრეტული საგნობრივი ცოდნის დაუფლებას აძნელებს, არამედ მოსწავლეს არასათანადო დამოკიდებულებას უყალიბებს სახელმძღვანელოსა და ზოგადად სწავლა-სწავლების პროცესის მიმართ.

დიდი მოცულობის ცოდნის გადაცემა ცოდნის ამავე მოცულობით მიღებას არ ნიშნავს. სახელმძღვანელოთი მიწოდებული მასალის მოცულობის განსაზღვრისას დაშვებული შეცდომა უკეთეს შემთხვევაში ზედაპირულ ცოდნას უდებს სათავეს, უარეს შემთხვევაში კი სწავლებას საერთოდ უშედეგოს ხდის. მაგალითისთვის განვიხილოთ პირველი კლასის დედაენიდან ამოწერილი ლექსიკური მარაგის სტატისტიკური ანალიზი. ობიექტური მონაცემებით 3125 სიტყვა-ფორმა დადასტურდა. აღნიშნული სიის გამოხშირვის ანუ განმეორებად ერთეულთა გამორიცხვის შედეგად მონაცემები უმნიშვნელოდ შემცირდა და 2419 ერთეულზე დავიდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სხვაობის შექმნაში დიდი წილი ფუნქციურ ლექსიკურ ერთეულთა განმეორებადობას ეკუთვნის მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ერთეულთა სიხშირული ინდექსი უმეტეს შემთხვევაში ნულს უტოლდება. განმეორებად ლექსემათა რაოდენობა ძალზე მცირეა და მათი გამოყენების სიხშირეც, თავის მხრივ, 3-4-ს არ აღემატება. ყოველივე ზემოთქმული იმას მოწმობს, რომ სახელმძღვანელოში უგულვებელყოფილია რეპეტიტულობა, როგორც სწავლების ერთ-ერთი მთავარი ხერხი (განსაკუთრებით დაწყებით კლასებში).

ახალი ინფორმაცია მოზარდის მეხსიერებამ მკვიდრად რომ შეინახოს, შესასწავლი ლექსიკური ერთეული უნდა მეორედებოდეს როგორც ერთი საგნის კონკრეტულ სახელმძღვანელოში, ასევე მომდევნო კლასებისაშიც. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ასევე საგანთშორისი გამეორება.

¹ გავეანალიზეთ შემდეგი სახელმძღვანელოები: დედაენა (I კლასი), შემდეგ.: ნ. მაღლაკელიძე, ე. მაღლაკელიძე, თბილისი, 2011; ქართული (I, II), ნ. მაღლაკელიძე, ც. ყურაშვილი, ე. მაღლაკელიძე, თბილისი, 2012; მათემატიკა (I, II, III), ი. რუხაძე, თბილისი, 2011; ბუნება (I, II), გ. კვანტალიანი; ბუნება (III), მ. ზღიაძე, რ. ახვლედიანი, თბილისი, 2011.

ისევ კონკრეტულ მაგალითებს მივმართოთ, პირველი კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოში გვხვდება ამოცანები **ლელქაშა** (მათემატიკა, I, გვ. 42) და **ხვართქლაზე** (მათემატიკა, I, გვ. 120). ამგვარი სვლა გამართლებული იქნებოდა, ბუნების სახელმძღვანელო რომ გვაცნობდეს დასახელებულ მცენარეებს, მაგრამ მათემატიკურ ამოცანებში უცნობი ლექსემების – ლელქაშისა და ხვართქლას პირველად და თითოჯერ ხსენება ამ სიტყვების დამახსოვრებას ვერ უზრუნველყოფს. არც კონკრეტული მიზნისთვის უნდა იყოს ლელქაში სწორი არჩევანი – რიცხვითი სიდიდე „ექვსისა“ და შესაბამისი ციფრის სასწავლებლად უმჯობესი იქნებოდა მოზარდებისათვის კარგად ნაცნობი რომელიმე თვლადი საგნის შერჩევა, ვიდრე ჭაობის მცენარე ლელქაშისა, რომელიც ნახატზე მწვანე საფარიდან ამოზრდილი ჩანს, ხოლო სიმწვანესაც, თავის მხრივ, ისეთი შვერილები აქვს, რომ მათი დათვლა მოგიწდება.

სწავლა-სწავლების პროცესისა და შედეგების შეფასებისას განათლების ექსპერტები სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ ტრანსფერის მნიშვნელობას. ტრანსფერი ერთგვარ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენებას ნიშნავს. ტერმინი უმეტესად კოგნიტიურად უფრო რთულ ქმედებასთან (ამოცანის გადაჭრასთან) დაკავშირებით იხმარება, თუმცა მისი მისადაგება ცალკეული ერთეულების შესწავლისთვისაც შეიძლება – ახალი სიტყვები სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოში ინტენსიურად უნდა მეორდებოდეს. წინა მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, მათემატიკურ დავალებებში ლელქაშისა და ხვართქლას ნაცვლად ბუნების პირველი კლასის სახელმძღვანელოში ასევე თითოჯერ ნახსენები **თავჭედილა** და **მიქლიო** რომ გამოეყენებინათ, ცოდნის ტრანსფერი განხორციელდებოდა და ახალი ინფორმაციის შენახვის ხარისხიც გაიზრდებოდა.

ლექსიკის გამდიდრების წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, ვერავინ ვერ იქნება, მაგრამ ამ პროცესსაც დაგეგმვა სჭირდება, მაგალითად, **კაჩხა**, **ლაფარო**, **თქორი**, **მერები**, **გამოქურთნა** და მსგავსი პერიფერიული თუ არქაულ-დიალექტური ერთეულების 6-7 წლის მოზარდისათვის მიწოდება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რის დასაბუთებასაც შევეცდებით.

6 წლის მოზარდი, რომელიც იწყებს წერილობით ტექსტთან ურთიერთობას, იმთავითვე არაერთი კოგნიტიურ-ენობრივი პრობლემის წინაშე დგას. ერთი შეხედვით ყველაზე მარტივი ოპერაციაც კი, რომელიც გარე სამყაროს ობიექტების სახელდებას გულისხმობს, სულაც არ არის მარტივი ამ ასაკის ბავშვისთვის, რადგან, თავის მხრივ, მრავალსაფეხურიან კოგნიტიურ-ენობრივ ქმედებებს მოითხოვს, ესენია: რეფერენციის მიმართების დანახვა ახალ სიტყვებსა და მათი საშუალებით აღნიშნულ ობიექტებს შორის, რაც განსაკუთრებით რთულია საგნობრივი დენოტატის უქონელი სიტყვების ან უცნობი რეალიების შემთხვევაში, მით უფრო მაშინ, როდესაც ამას ემატება სიტყვის გრაფიკული ხატის მისივე აკუსტიკურ ხატთან დაკავშირება, წერა-კითხვისთვის საჭირო სინთეზისა და ანალიზის ოპერაციები და სხვ. სირთულეების აღწერისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახელმძღვანელოთა ნორმატიული ტექსტები ხშირ შემთხვევაში ამ ასაკის მოზარდთა ზეპირი

დისკურსისაგან მკვეთრად განსხვავდება. ბავშვებს ერთდროულად მრავალი სიახლის პირისპირ უწევთ დგომა. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ცოდნა არ კმარა ტექსტით გადმოცემული შინაარსის ადეკვატურად გასაგებად. ენობრივი გამონათქვამის მნიშვნელობა ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა ერთიანობით იქმნება, აღნიშნული ასაკის მოზარდთა გრამატიკული კომპეტენცია კი უმეტეს შემთხვევაში არასაკმარისია და ამ დეფიციტის აღმოსაფხვრელად საგანგებო მუშაობის წარმართვაა საჭირო.

ნორმატიულობა, რასაკვირველია, პუნქტუაციასაც გულისხმობს, პუნქტუაცია კი ის უზანია, რომლის წესებში გასარკვევად ზეპირსა და წერიტს მეტყველებას შორის ბავშვის მიერ ახლახან აღმოჩენილმა კავშირმა შეიძლება ხელისშემშლელი როლი ითამაშოს, მაგალითად, მოზარდმა უმართებულო ან თუნდაც მართებულ სამეტყველო პაუზებსა და სუბიექტურ რიტმულ ჯგუფებს დაუკავშიროს სასვენი ნიშნების ხმარება.

ზემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ ერთი ნაწილია იმ ამოცანებისა, რომელთა გადაჭრაც მოსწავლეებს სწავლის დაწყებისთანავე მოეთხოვებათ. მოზარდთა ასაკის გათვალისწინებით, საგანგებო კვლევის საგნად გვესახება დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოებში ლექსიკურ ერთეულებს შორის იმგვარ პარადიგმატულ მიმართებათა მაგალითების სიჭარბე, როგორცაა ჰიპონიმია, სინონიმია და მეტაფორა, რომელიც მნიშვნელობის გადატანას ეფუძნება.

მნიშვნელობის გადატანა, როგორც კოგნიტიურ-ენობრივი პროცესი, სავსებით ბუნებრივი მოვლენაა ბავშვებისათვის. უფრო მეტიც, ენის კრეაციული ფუნქცია ბავშვთა მეტყველებაში უფრო ძალუმად ჩანს, ვიდრე მოზარდილთა გამონათქვამებში. ის, რომ პატარა ასაკის ენის მატარებელთა დისკურსი უხვად შეიცავს პერსონიფიკირებისა თუ მნიშვნელობის გადატანის სხვა მაგალითებს, სწორედ ფსიქოლოგებისა და კოგნიტივისტების იმ დასკვნის უტყუარობას მოწმობს, რომ მეტაფორა შემეცნების ერთ-ერთი ძირითადი ხერხია, რომ მეტაფორები ცნობიერების უნივერსალიებია. ამ მიმართულებით წარმოებულ კვლევებში სამყაროს მეტაფორულ ხედვას თანამედროვე ფსიქოლოგები ადამიანის, ადამიანური კულტურის გენეზისს უკავშირებენ და სავსებით შესაძლებლად ესახებათ მოსაზრება, რომ თვით პროტოენა იყო მეტაფორული, ხოლო პროტოკომუნიკაცია სწორედ მეტაფორულ დონეზე ხორციელდებოდა.

ყოველივე ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლისათვის სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება არავითარ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ სახელმძღვანელოების ანალიზმა პრობლემის სხვა მხარე დაგვანახვა და ის ბრჭყალების გამოყენებას უკავშირდება. თუ ზეპირი მეტყველებისათვის საჭირო მაორიენტირებელ გრამატიკულ ცოდნასა და მინიმალურ ენობრივ კომპეტენციას სკოლამდელი ასაკის ბავშვი თუნდაც იმიტომ ფლობს, რომ დედაენობრივ გარემოში ცხოვრობს, იმავეს ვერ ვიტყვით პუნქტუაციასთან დაკავშირებით. სასვენი ნიშნების არსებობასა და მათი გამოყენების წესებს მოზარდი ნაწერ ან ნაბეჭდ ტექსტთან ურთიერთობისას ეცნობა. ბრჭყალების ზოგიერთ ფუნქციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ქართულის მესამე კლასის სახელმძღვანელო გვაწვდის, თუმცა

თვით ამ ნიშანს, თანაც სხვადასხვა ფუნქციით, ქართულის, მათემატიკისა და ბუნების პირველი და მეორე კლასის სახელმძღვანელოებში არაერთხელ ვხვდებით. ბრჭყალებში ხან მართებულად, ხან კი უმართებულოდაა ჩასმული წიგნებისა თუ ზღაპრების სახელწოდებები, ტექსტებიდან ამონარიდი წინადადებები და მოზრდილი ფრაგმენტები, სხვათა სიტყვა, მოარული გამონათქვამები, ცალკეული სიტყვები, მათ შორის მნიშვნელობის გადატანის აღსანიშნავად.

ბრჭყალების არაერთ ფუნქციას ის აერთიანებს, რომ ეს ორი წყვილი სასვენი ნიშანი წერილობითი კოდის გამოსაცვლელად გამოიყენება. მოსწავლემ, თანაც ექვსი წლისამ, არ შეიძლება თავისით იცოდეს, რომ:

1. სხვათა სიტყვას ბრჭყალებში სვამენ, რათა მანამდე მოქმედი კოდის მიხედვით ისიც მთხრობელს არ მიეწეროს;
2. ქტემატონიმებს ბრჭყალებში სვამენ, რათა სახელწოდების შემქმნელმა ერთეულ(ებ)მა ძირითადი კოდის თანახმად ამ სიტყვების რეფერენტებთან არ გაგვგზავნოს;
3. არსებული კოდის შეცვლას გულისხმობს დანარჩენი ტექსტისგან რომელიმე სიტყვის გამოსაყოფად მისი ბრჭყალებში ჩასმა;
4. ირონიის გამოსახატავად ბრჭყალების გამოყენებაც კოდის შეცვლას, სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარებას გულისხმობს;
5. არანორმატიული სიტყვების (ობსცენიტების, ჟარგონიზმების...) ბრჭყალებში ჩასმით კოდისმიერი ნორმატიული ლექსიკისაგან მათი განსხვავებულობის ჩვენება გამიზნული.

არადა, უკანასკნელი ფუნქციის გარდა, სხვა ოთხი ფუნქციით ბრჭყალები პირველი სამი კლასის ყველა საგნის სახელმძღვანელოში გამოიყენება.

ზემოთ აღვნიშნეთ და გავიმეორებთ, რომ პირველი და მეორე კლასის სახელმძღვანელოებში აბსოლუტურად არაფერია ნათქვამი ბრჭყალების ფუნქციაზე, მესამე კლასის ქართულის სახელმძღვანელოს 111-ე გვერდზე ვკითხულობთ: „დაიმახსოვრეთ: ბრჭყალებში ჩაისმის წინადადებებში მოცემული ნაწარმოებების სახელწოდებანი“, სახელმძღვანელოს ბოლოს, 143-ე გვერდზე კიდევ ერთ წესს გვთავაზობენ: „დაიმახსოვრეთ: ბრჭყალებში ჩაისმის უცვლელად, სიტყვასიტყვით მოყვანილი სხვათა ნათქვამი“. წიგნის გვერდები შემთხვევით არ დაგვისახელებია, ამ ორ წესსაც თითქმის მესამე სასწავლო წლის ბოლოს ეცნობა მოზარდი, თუმცა, ახლად მიღებული ცოდნით შეიარაღებული კიდევ რომ მიუბრუნდეს განვილილ მასალას, მისთვის მაინც გაუგებარი დარჩება, რატომ სვამდნენ ბრჭყალებში სახელმძღვანელოთა ავტორები იმ სიტყვებს, რომელთა დანარჩენი ტექსტისაგან გამოყოფა სურდათ, მით უფრო, რომ აღნიშნული სიტყვები მუქი შრიფტითაა დაბეჭდილი და ისედაც გამოირჩევა ყველა დანარჩენი სიტყვისგან, ასევე ვერც ერთი მოსწავლე ვერ მიხვდება, რაში სჭირდება ბრჭყალებში ჩასმა ზმნებს შემდეგ წინადადებებში – „გაზაფხულზე ბუნება „იღვიძებს“; „რა მოხდება, მზე რომ „ჩაქრეს“?“, „მზე-სუმზირის ყვავილები მზის სხივებს „შესცქერიან“; მით უფრო გაუგებარი იქ-

ნება, რატომ უნდა ჩაისვას ბრჭყალებში სიტყვა „მეგობრები“, როდესაც ის ადამიანის ოთხფეხა მეგობრების, შინაური ცხოველების აღსანიშნავად გამოიყენება, ან რატომ არ შეიძლება კოდალა ბრჭყალებში ჩაუსმელად იყოს ტყის მკურნალი, ან მარადმწვანეს რაში სჭირდება ბრჭყალებში ჩასმა, როდესაც ის ამგვარი მცენარეების მსაზღვრელად გვევლინება. მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება, თუმცა ეს დასკვნას ვერ შეცვლის: თუ მიწოდებული ინფორმაციის დეკოდირების ხერხი მოსწავლისათვის უცნობია, მაშინ ორ უარყოფით შედეგს უნდა ველოდოთ, პირველი – გადასაცემი საჭირო ინფორმაცია ადრესატამდე ვერ მივა და მეორე – მოსწავლე სახელმძღვანელოში არსებული მინიშნებების უგულვებელყოფას მიეჩვევა, ეს უკანასკნელი კი გაცილებით დიდი ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს სამომავლოდ, ვიდრე ერთი კონკრეტული ინფორმაციის გამოტოვებაა.

აქვე გვინდა გამოვთქვათ ჩვენი კიდევ ერთი მოსაზრება, რომ მართებულად არ გვეჩვენება გადატანითი მნიშვნელობით სიტყვახმარების აღსანიშნავად ბრჭყალების გამოყენება მცენარეებთან, ცხოველთა ქცევასა და ბუნების მოვლენებთან დაკავშირებით. ბრჭყალების სახელდობრ ამ ფუნქციას მოზარდი კარგადაც რომ იცნობდეს, წინადადებაში – **„მზესუმზირის ყვავილი მზეს შესცქერის“**, ზმნა მას ბრჭყალებში არ უნდა ჩავუსვათ, რადგან ბრჭყალებში ჩასმით შეიძლება ბავშვი დედაბუნებასაც დავაშოროთ და დედაენის ბუნებასაც.

მსჯელობის ბოლოს, გვეჩვენება, რომ ხშირ შემთხვევაში უფრო სწორი იქნებოდა სტრატეგიის უქონლობაზე გვესაუბრა და არა სტრატეგიულ შეცდომებზე. ჩვენ მიერ განხილული სახელმძღვანელოები არც ენობრივი შეცდომებისგანაა დაზღვეული, რომელთაგან ტიპობრივებს განზოგადებულად ჩამოვთვლით: გვხვდება მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნის დაკლების შემთხვევები (ყვარებია, მოყვეს, ყავს, ხეს ფოთლები ცვივა...), მსაზღვრელად გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელების უმართებულო ფორმები (ჩვენ პლანეტაზე, შენ რვეულში...), შეცდომები პირის ნაცვალსახელთა თანდებულისანი ბრუნვის ფორმებში (შენსკენ, შენს შესახებ...), კომპოზიტთა მართლწერის წესების დარღვევები (არე-მარე, ელ-ჭექი...), ხშირია ბრჭყალებში ჩასმული სხვათა სიტყვის უკანასკნელ ერთეულზე **თ** ნაწილაკის დართვის შემთხვევები, რამდენიმე მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომლებშიც ბრჭყალებგარეთაა გატანილი დეფისი და ბრუნვის ნიშანი ან სხვა მაწარმოებელი, ასევე ყურადღებას იქცევს კონტექსტები, რომლებშიც გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი ერთი და იგივე ერთეული ერთგან ბრჭყალებშია ჩასმული, ხოლო მეორეგან უბრჭყალებოდაა წარმოდგენილი, რაც ორმაგი კოდირების ისედაც რთულ ამოცანას კიდევ უფრო ართულებს.

გაგება-გაგებინება, როგორც სწავლების მთავარი პრობლემა, დიდაქტიკური დისკურსის სტრუქტურულ-შინაარსობრივ გამჭვირვალობასა და გამართულობაზეა დამოკიდებული. ამ პირობას განსაკუთრებით უნდა აკმაყოფილებდეს დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოთა ენა. ვფიქრობთ, რომ, არათუ შეცდომა, უმცირესი ხარვეზიც კი უნდა გამოსწორდეს, თუ ის სასწავლო მასალაშია გამოვლენილი.

SALOME OMIADZE

Strategic-linguistic Mistakes in the Textbooks for the Primary School

S u m m a r y

Understanding as the main problem of teaching depends on the structural and content transparency of the didactic discourse. This condition must be met especially by the language of the primary level textbooks. The paper deals with the following issues:

- The mistakes made during the selection and the presentation of the material provided by a textbook (the excessive amount of hyponyms, synonyms and metaphors; the expedience of teaching some peripheral or archaic-dialectal units; Blinking of repetitiveness within a certain textbook or textbooks of the same subject in different grades; the low rate of interdisciplinary recurrence as a hindrance of a transfer);
- The cases of double encoding, using a word in a figurative sense as a possible reason for the communication failure.
- Inverted commas as an unknown method of changing a code for pupils (The cases of the improper usage of inverted commas in the textbooks for the primary school);
- Grammatical and orthographic mistakes and stylistic problems in the textbooks of the Georgian language, mathematics and the nature for the first, the second and the third grades.

ნუგზარ პაპუაშვილი

**არნოლდ ჩიქობავას მთიულეთში
მოგზაურობის გამო**

ხელნაწერების შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობების მოძიების პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო გიორგი ბოჭორიძის „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლების“ იმ ადგილმა, რომელშიც აღნიშნულია: 1923 წელს „არნ. ჩიქობავა მივლინებული იყო განათლების სახალხო კომისარიატის მიერ სიძველეთა მოსაგროვებლად; მან მოიარა რაჭა, აღრიცხა ისტორიული ძეგლები, მოაგროვა ხელნაწერი წიგნები, ჩამოიტანა ტფილისს და გადასცა სიძველეთსაცავს; თავის მოგზაურობის შესახებ მანვე ხსენებულ კომისარიატს წარუდგინა მოხსენება და დაწვრილებით აღწერა ისტორიულ ძეგლთა და სიძველეთა“ (ბოჭორიძე 1994: 38).

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ სამეცნიერო მოღვაწეობა ძველ ქართულ ხელნაწერებზე მუშაობით დაიწყო პროფ. აკ. შანიძის ხელმძღვანელობით (შარაძენიძე 1978: 6; ხსოვნის 1998: 4) და წვლილი ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის, გ. ბოჭორიძის მიერ მითითებული წელს უკვე უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში დაცულის, შევსების საქმეშიც შეიტანა (მენაბდე 1962: 120), მაგრამ ამ წვლილის მასშტაბი, დღემდე ცნობილი მასალის მიხედვით, მხოლოდ ერთი ხელნაწერთ (A 1553. კურთხევანი. 1792), რუისიდან ჩამოუტანილით, შემოიფარგლება (ხელნაწერთა აღწერილობა 1955: 72), რადგან ცნობა, რომლის ციტირება ზემოთ მოვახდინეთ, არსად, მათ შორის არნოლდ ჩიქობავას ბიობიბლიოგრაფიაში (ჩიქობავა 1979: 51), გათვალისწინებული არ არის.

ბუნებრივად გაჩნდა სურვილი როგორც დასახელებული „მოხსენებისა და დაწვრილებითი აღწერის“, ისე იქ ნაგულისხმევი კოლექციის მოძიებისა და პოვნისა. ამ მიმართულებით ჩატარებულმა სამუშაომ ჯერჯერობით ნაყოფი ვერ გამოიღო. სამაგიეროდ, საქართველოს ეროვნული არქივის განათლების სახალხო კომისარიატის ფონდში, სადაც აღნიშნული მოხსენების ტექსტის არსებობა არის სავარაუდებელი, არანაკლებ ფასეული, სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე უცნობი დოკუმენტი აღმოჩნდა¹.

გაირკვა, რომ აღნიშნული, № 300, ფონდის მე-3 ანაწერის 38-ე საქმეში, რომელსაც ჰქვია „ანგარიშები სამეცნიერო დაწესებულებათა მოქმედების შესა-

¹ დაგვეხმარა უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის დოკუმენტების გამოყენების დეპარტამენტის უფროსი, დოქტ. ნათია მირიანაშვილი, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ხებ. მიწერ-მოწერა“, დაცულია არნოლდ ჩიქობავას ავტოგრაფი, წარმოდგენილი დიდი ფორმატის ორად გაკეცილ თაბახის ქაღალდზე. ეს თაბახი, საკანცელარიო წიგნში (დავთარში) ჩაკერებული, ორ თაბახად, ანუ ორ ფურცლად, აღიქმება და ასეც არის დანომრილი: ფფ. 3,4. მე-3 ფურცლის პირველი გვერდის მარცხენა კიდეში არის მინაწერი, შესრულებული უბრალო ფანქრით: „სამეცნიერო ექსკუსიება (!) [ექსურსიის] ანგარიში“, რომელიც სავარაუდოდ სახალხო კომისარიატის, ანდა არქივის უცნობ თანამშრომელს ეკუთვნის და დოკუმენტის ზოგადად დასათაურებას ისახავს მიზნად.

განსახილველი დოკუმენტი ორი ნაწილისაგან შედგება და თითოეულ ნაწილს საკუთარი სათაური აქვს: (1) „1922 წ. ზაფხულს მთიულეთში მივლინების ანგარიში“ და (2) „ანგარიში 1922 წლ. ზაფხულს (22/VII-19/VIII) მთიულეთში მივლინების დროს გაწეული ხარჯებისა“. ორივე ნაწილის ტექსტები ხელმოწერილია ცალ-ცალკე და ერთნაირად: „ბენედიკტე ჩიქობავა“. თარიღი მოსდევს მეორე ნაწილის ხელმოწერას: „1922 წ., 22 აგვისტო“. არც ეს დოკუმენტი და არც ამ დოკუმენტში ასახული ამბავი არ არის ცნობილი არნოლდ ჩიქობავას ბიოგრაფიასა და ბიობიბლიოგრაფიაში (შდრ. შარაძენიძე 1978; ჩიქობავა 1979), რაც ჩვენ აღნიშნული დოკუმენტის მიმართ ყურადღების გამახვილებისაკენ გვიბიძგებს.

დოკუმენტის პირველი ნაწილი წარმოდგენილია საქმის მე-3 ფურცლის ორივე გვერდზე, მეორე კი მე-4 ფურცლის პირველ გვერდზე; ორივე ნაწილი შესრულებულია იისფერი მეღვინით და კალიგრაფიული ხელწერით; სტრიქონსა და სტრიქონს შორის აღბეჭდილია საქმის სიყვარული და პასუხისმგებლობის მაღალი კულტურა. ამ დოკუმენტის ორი ტექსტი, როგორც ეს ზემოთ მოყვანილი სათაურებიდანაც ჩანს, არის ერთი და იმავე ანგარიშის ორი ნაწილი: მეორე პირველის ლოგიკური გაგრძელებაა და ბუნებრივია, რომ მათ ერთი და იგივე ადრესატი ჰყავთ. მიძღვნაში იგი ანონიმურად არის წარმოდგენილი: „საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა ბ. მთავარი გამგე“, რომლის ვინაობა ტექსტის დასკვნითი ნაწილიდან ხდება ცნობილი: „ბ. ვუკ. ბერიძე“. იგულისხმება დამსახურებული ენათმეცნიერი და რუსთველოლოგი პროფ. ვუკოლ ბერიძე, რომელიც განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს 1921 წლიდან 1932 წლამდე ხელმძღვანელობდა (ბერიძე 2006: 11,46).

სავსებით ნათელია შემდეგი: ბენედიკტე ანუ ბენედიქტე, იგივე არნოლდ ჩიქობავა, განათლების სახალხო კომისარიატმა სამეცნიერო მიზნით, რაჭამდე, მთიულეთში მიავლინა. ის იქ 1922 წლის 22 ივლისიდან 19 აგვისტომდე დარჩა. საანგარიშო მოხსენებისა და ხარჯთაღრიცხვის წერა მან 22 აგვისტოს დაამთავრა და, შესაძლებელია, იმავე დღეს წარადგინა წესისა და რიგის მიხედვით.

ანგარიშის პირველი ნაწილი მივლინებით გათვალისწინებული მოგზაურობისა და შესრულებული სამუშაოს აღწერას ეთმობა. ირკვევა, რომ ეს მივლინება დაიგეგმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ აკაკი შანიძის ინიციატივით, მაგრამ განხორციელდა განათლების სახალხო კომისა-

რიატის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს დაფინანსებით. ამიტომ არის, რომ მივლინებული პირი ოფიციალურ ანგარიშს აღნიშნული სამმართველოს ხელმძღვანელს აბარებს, თუმცა ექვი არაა, რომ შესაბამის მოხსენება-ანგარიშს ავტორი სამეცნიერო ხელმძღვანელსაც, აკ. შანიძესაც, წარუდგენდა.

დოკუმენტი საკმარისი სრულყოფილებით წარმოსახავს ოცდაოთხი წლის მკვლევრის მთიულეთში მოგზაურობის, იქ ცხოვრებისა და მუშაობის სურათს. ამ რეგიონში ის მარტო გაემგზავრა; თბილისიდან 1922 წლის 22 ივლისის საღამოს გავიდა; გაჰყვა მთიულ მურმეებს, რადგან სხვა სატრანსპორტო საშუალება ვერ მოიძებნა; მოგზაურობას სამი დღე-ღამე დასჭირდა და მლეთას 25 ივლისის საღამოს მიაღწია; იქვე დაბინავდა და მივლინების დიდი ნაწილი იქ გაატარა. იმის მიუხედავად, რომ მკვლევარს მთიულეთში მუშაობისათვის ერთობ არახელსაყრელი გარემო დახვდა (ეკონომიკური, ინტელექტუალური, სოციალური თუ პოლიტიკური კრიზისი) და დროზე ადრე მოუხდა უკან დაბრუნება, მან დაგეგმილი საველე სამუშაოს დიდი ნაწილი მაინც შეასრულა. მან მოიარა სოფლები: გუდაური, ფასანაური, ქვეშეთი, ყველაანი, ლაკათ-ჭევი და ქიმბარაიანი. 16 აგვისტოს ის ჩამოვიდა ფასანაურში და, ადგილობრივი აღმასკომის დახმარებით, სამდღიანი მოგზაურობა მოაწყო ჯანდოს-ჭევის სოფლებში: უკანამჭარი, სოდვეე და მეჯილაური. ანგარიშში მითითებულია თითოეულ სოფელში მისვლის თარიღი და ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული მოტივიც. ვინაიდან სამგზავრო თანხა ამოიწურა, მან მივლინება 19 აგვისტოს შეწყვიტა; დილით საბარგო მანქანით დუშეთიდან გამოემგზავრა და იმავე დღეს დედაქალაქში ჩამოვიდა.

მთიულეთში 28-დღიანი მივლინების შედეგი ანგარიშში წარმოდგენილი არის მოკლედ, მაგრამ თვალსაჩინოდ და საგნობრივად. მასალა ჩაწერილ იქნა დიდი ფორმატის ფურცლებზე: ლექსებმა 29 გვერდი დაიჭირა, პროზაულმა ტექსტებმა (ზღაპრებმა, ამბებმა, ფრაზებმა საუბრიდან და სხვა ჟანრის ტექსტებმა) – 157 გვერდი, საეთნოგრაფიო ხასიათის მასალამ – 5 გვერდი, სულ – 191 გვერდი. აქედანაც ჩანს, რომ არნ. ჩიქობავას მთიულეთში მივლინება ენათმეცნიერულთან ერთად ფოლკლორისტულ და ეთნოგრაფიულ ამოცანებსაც ისახავდა.

ამასთანავე: ჩვენს წინაშეა 24 წლის სწავლულის არა მარტო შრომაში შესაშური ბეჯითობა და თავდადება, რამედ ანგარიშის კეთილსინდისიერად და სკრუპულოზურად წარმოჩენის კულტურა. ამის დასტურია დოკუმენტის მეორე ნაწილი, რომელშიც მაქსიმალური სიზუსტით არის წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა. ესაა მითითებები, თუ რა დაიხარჯა 1. ტექნიკურ საშუალებებზე – სამგზავრო ფეხსაცმელზე, მელნის სამ ექსტრაქტზე, 11 ქიმიურ ფანქარზე 2. მგზავრობაზე: თბილისი მლეთე, გუდაური მლეთე, მლეთე ფასანაური და ა.შ. 3. მასალების მომწოდებლებზე (მთხრობელებზე) 4. ბინაზე და 5. სასმელ-საჭმელზე. სულ დახარჯულა 4.565.000 მანეთი. კონკრეტული მონაცემები, რითაც თითოეულ პუნქტს არის გაჯერებული, წარმოადგენს ცოცხალ და სარწმუნო წყაროს საქართველოს ისტორიისათვის მოცემული ეპოქისა და რეგი-

ონის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლის საქმეში. რად ღირს, მაგალითად, ისტორიკოსისათვის დოკუმენტის ამ ნაწილის სქოლიო: „იშვიათი სიძვირის გამო (რაც პურის უქონლობით იყო გამოწვეული, უმთავრესად) დღიური ხარჯი 60-150 ათასამდი აღიოდა. საშუალოთ დღიურად 87-90 ათასი მჭირდებოდა. ზოგი სანოვავე, მაგ. პური, ტფილისთან შედარებით 2-3 წილ ბევრი იყო. ბ. ჩ.“.

უნდა ვიფიქროთ, რომ პირველი წარმატებული მივლინება დონორი ორგანიზაციის წინაშე დადებით როლს შეასრულებდა, რათა მას იმავე მკვლევრისათვის ერთი წლის შემდეგ მეორე მივლინება გამოეყო. თუკი ეჭვს არ შევიტანთ გიორგი ბოჭორიძის ინფორმაციის სიზუსტეში, ასეთი მივლინება და მოგზაურობა 1923 წელს რაჭაში განხორციელდა. სამწუხაროა, რომ ამ ინფორმაციას დოკუმენტურად ჯერჯერობით ვერ ვადასტურებთ. სამაგიეროდ დასტურდება, რომ მთიულეთში მოგზაურობისა და სათანადო ანგარიშის შედგენის შემდეგ გაიზარდა ინტერესი არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო პროფილისადმი როგორც უნივერსიტეტის, ისე განათლების სახალხო კომისარიატის მხრიდან. ამაზე მეტყველებს 1923 წლის დოკუმენტი, რომელიც ჩვენ აღნიშნული კვლევის პროცესში გამოვავლინეთ. მხედველობაში გვაქვს ეროვნული არქივის უნივერსიტეტის ფონდის ერთი საქაღალდე, რომელიც მოიცავს ახსნა-განმარტებათა ტექსტებს, რემინგტონზე დაბეჭდილთ, უნივერსიტეტის რამდენიმე კურსდამთავრებულის აკადემიური მოსწრების თაობაზე. ამ საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ახსნა-განმარტებები შედგენილი არის განათლების სახალხო კომისარიატის მოთხოვნით 1923 წლის სექტემბერში და წარმოადგენს პასუხს შეკითხვაზე: რა ნიშნით შეარჩია უნივერსიტეტმა ხსენებული კურსდამთავრებულები „საპროფესოროდ მოსამზადებლად“. ერთ-ერთი ახსნა-განმარტება შეეხება „ბენედიქტე ჩიქობავას“ და ეს არის მისი შემოქმედებითი პროფილის დახასიათება.

რადგან ეს დოკუმენტი, ისე როგორც განხილული ანგარიში, სამეცნიერო მიმოკვლევაში დღემდე შემოსული არ არის, მას სრულად წარმოვადგენთ:

„ბენედიქტე ჩიქობავა ნიჭიერი კაცია. ნიჭი დაეტყო ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, როდესაც იგი ჩინებულად სწავლობდა ენებს და სხვათა შორის სანსკრიტულსა, სპარსულსა, არაბულსა* და ძველს ქართულს. მუშაობის დროს მუდამ ეტყობოდა სიდინჯე და სამეცნიერო საქმის სიყვარული, რაიცა მის ბეჯითობასთან ერთად მშვენიერი სამკაულია ახალგაზრდა კაცისათვის, რომელიც სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ემზადება. ამის გამო უნივერსიტეტის გათავებისას დატოვებულ იქმნა უნივერსიტეტში პროფესორობისათვის მოსამზადებლად ქართული ენის კათედრასთან. ერთი წლის განმავლობაში იგი ბეჯითად მუშაობდა და იკვლევდა სხვა და სხვა საკითხებს ქართული ენის შესახებ. სხვათა შორის შეისწავლა მთიულური კილო და ფერეიდნული, რომელთა შესახებ საყურადღებო მოხსენებანი წაიკითხა და ერთი შრომაც დაბეჭდა. ამ ჟამად იგი მუშაობს გარე-კახურის კილოზე, რომელსაც ახლო კავშირი აქვს ფერეიდნულთან.

* დედანში: „დრაბუთსა“, რაც რემინგტონის მუშაკის მექანიკური შეცდომა უნდა იყოს.

„მისი მუშაობა საერთოდ ძველი ქართული ენის ძეგლებზე, რომლებიც წარმოდგენილია 9-10 საუკუნის ხელნაწერებით, და აგრეთვე სადიალექტოლოგიო საკითხების კვლევა-ძიება სავსებით დამაკმაყოფილებელია და ამიტომ აღძრულ იყო ჩემ მიერ შუამდგომლობა, რათა მას განეგრძოს დატოვების ვადა ერთი წლით“ (სეა, ფ. 471, ანაწ. 1, საქმე №129)¹.

ეს ტექსტი საქმეში წარმოდგენილია სამი სრული და ერთი ნაკლები ეგზემპლარის სახით, მაგრამ მათგან არც ერთი ხელმოწერილი არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ ხელმოწერილი ეგზემპლარი ადრესატს, განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას, წარედგინა. იმის მიუხედავად, გამოვლინდება თუ არა ეს ეგზემპლარი, ტექსტის ატრიბუცია ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია. ბენედიქტე ჩიქობავას ამ დახასიათების ავტორი, ამავე ტექსტის რეალიების გათვალისწინებით, არის პიროვნება, რომელიც ხელმძღვანელობს ქართული ენის კათედრას და რომლის ინიციატივით მან, ბენედიქტემ, სხვათა შორის, მთიულური კილო შეისწავლა. ეს პიროვნება არის პროფ. აკაკი შანიძე. სწორედ ის განაგებდა 1919-1945 წლებში ქართული ენის კათედრას და იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებისა“ (შანიძე 1977: 57). ამ საზოგადოების საჯარო სხდომებზე 1923 წლის 11 მარტსა და 20 მაისს არნ. ჩიქობავამ წაიკითხა მოხსენებები, რომელთაგან მეორე (ფერეიდნულის შესახებ) იმავე წელს გამოქვეყნდა და ეს პუბლიკაცია ცნობილია როგორც არნ. ჩიქობავას პირველი პუბლიკაცია (ჩიქობავა 1923, №2-3: 69; ჩიქობავა 1979: 57). პირველი მოხსენება კი (11 მარტის სხდომისა) მთიულურის საკითხებს მოიცავდა და ის ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა (ჩიქობავა 1924: 333). მასასადამე, 1922 წლის ზაფხულის მივლინების შესახებ პირველი საჯარო მოხსენება მომდევნო წლის 11 მარტს იქნა წარმოდგენილი. აი, ამ მოხსენებებს და პირველ პუბლიკაციას გულისხმობდა აკაკი შანიძე, როდესაც აღნიშნავდა, ბენედიქტე ჩიქობავამ „საყურადღებო მოხსენებანი წაიკითხა და ერთი შრომაც დაბეჭდა“-ო. გავითვალისწინოთ, რომ ეს სიტყვები მან მაშინ დაწერა, როდესაც არნ. ჩიქობავას მთიულურისადმი მიძღვნილი მოხსენების ტექსტი ჯერ გამოქვეყნებული არ იყო. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას ასევე იქცევს ფაქტი, რომლის თანახმად არნოლდ ჩიქობავას ანგარიშის ტექსტს საკუთარი სახელების დიდი ასოთი დაწყება ახასიათებს, რაც აკაკი შანიძის ცნობილი კალიგრაფიული პრინციპის გამოძახილი უნდა იყოს.

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დამსახურება მთიულური დიალექტის შესწავლის საქმეში კარგად არის ცნობილი (ქართული დიალექტოლოგია 1961: 694-695; კაიშაური 1978: 6). ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ საკითხზე მან ორი ნაშრომი გამოაქვეყნა: ჩიქობავა 1924: 333-348; ჩიქობავა 1937: 43-61, მაგრამ ცნობა, რომ სათანადო მასალა ავტორის მიერ სავსე საშუალო შედეგად არის მოპოვებული, მხოლოდ მეორე პუბლიკაციაში გვხვდება. იქ აღნიშნულია: „ჩვენი მასალის მეტი წილი ჩაწერილია სოფ. მლეეთში, სოფ. ქვემეთში, სოფ. ყველაანთ-კარში (სამივე არაგვის ხეობაშია, სამხედრო გზასთან). მცირეოდენი

¹ დოკუმენტი დაბეჭდილია პატარა ფორმატის ფურცლებზე და საქმეში რამდენიმე ეგზემპლარი არის ჩაკერებული უსისტემოდ (ფფ. 4-6,10).

მასალა ჯანდოს ხევშიც გვაქვს მოპოვებული. ჯადას ხევში მუშაობის შესაძლებლობა ჩვენ არ მოგვეცა, რაც გვზღუდავს მთიულურის შესახებ მსჯელობისას“ (ჩიქობავა 1937: 43). იქვე გამოქვეყნებულია ზღაპარი: „სამ-ტევან ჭაბუკი და მელია“, რომელსაც ერთვის შენიშვნა: „ჩაწერილია ჩემ მიერ 11. VIII. 1922 წ. ზემო-მლეთეს. მთქმელი ადამ ბუთხუზი, 55 წლისა, ბარში ნავალი; წერა-კითხვა არ იცოდა“ (გვ. 59-61).

ზემო და ქვემო მლეთეთში ჩაწერილი მასალის ნაწილი შესულია „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველ ტომში. იქ მითითებულია, რომ ეს მასალა მოპოვებულია არნოლდ ჩიქობავას მიერ 1922 წლის ივლისსა და აგვისტოში. იქვე დასახელებული არიან მთხრობელები: გოგია ბურდული, სულიკო მალანია და ადამ ბუთხუზი; გამოქვეყნებულია შესაბამისი ტექსტებიც: №№ 55 („მთიულთა საუბრიდან“), 60 („ძველი წესები“), 62-63 („კობრე“, „ნაცარქექია“), 66-67 („სიზმარა“, „უხეირო“), მაგრამ გამომცემელთა კომენტარებიდან არ ჩანს (შდრ. გვ. 693), თუ სად ინახებოდა იმ დროს, 1961 წელს, ამ ტექსტთა ჩანაწერები. სამწუხაროდ, დღესაც მოკლებული ვართ შესაძლებლობას ვიცოდეთ, სად ინახება როგორც ეს ჩანაწერები, ისე 1922 წლის ივლის-აგვისტოს დანარჩენი ჩანაწერები. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, გასარკვევია ხსენებული მივლინების დროს მოპოვებული მასალის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი. ეს კითხვა კი თავისთავად წამოჭრის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას პირადი სარქივო ფონდის პრობლემას: სად ინახება დღეს ეს ფონდი და რა მდგომარეობაშია მისი დამუშავების, აღწერისა და აღწერილობის გამოცემის საკითხი?

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ზემოთ განხილული ავტოგრაფული ტექსტების გამოვლენის შედეგად აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო-წერილობითი მემკვიდრეობა კიდევ ერთი საყურადღებო ფურცლით შეივსო.

ლიტერატურა

- ბერიძე 2006** – ვუკოლ ბერიძე, ბიობიბლიოგრაფია, თბილისი.
- ბოჭორიძე 1994** – გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბილისი.
- კაიშაური 1978** – ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბილისი.
- მენაბდე 1962** – ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკ. 1, თბილისი.
- ქართული დიალექტოლოგია 1961** – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1 – ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი.
- ახალი ქართული ენის კათედრის შრომები**, 3, თბილისი.
- შანიძე 1977** – აკაკი შანიძე. ბიბლიოგრაფია, თბილისი.
- შარაძენიძე 1978** – თინ. შარაძენიძე, არნოლდ ჩიქობავა (მეორე შევსებული გამოცემა), თბილისი.

ჩიქობავა 1923 – ბ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში. ჩვენი მეცნიერება, 1923, №2-3.

ჩიქობავა 1924 – ბ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 4, ტფილისი.

ჩიქობავა 1937 – არნ. ჩიქობავა, მთიულეთის თავისებურებანი, ენიმკ-ის მოამბე, II-1, 1937.

ჩიქობავა 1979 – არნოლდ ჩიქობავა. ბიობიბლიოგრაფია, თბილისი.

ხელნაწერთა აღწერილობა 1955 – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ტ. V, თბილისი.

ხსოვნის 1998 – არნოლდ ჩიქობავა. ხსოვნის წიგნი, თბილისი.

წყარო

საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 300, ანაწ. 3, საქ. 38 (საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი, 1922 წ.), ფურც. 3რ-ვ, 4რ.

საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდი №471, ანაწ. 1, №129

პუბლიკაცია

საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა ბ. მთავარ გამგეს

1922 წ. ზაფხულს მთიულეთში მივლინების ანგარიში

მთიულეთში ჩემს მივლინებას გარკვეული მიზანი ჰქონდა: უნდა გავცნობოდი მთიულურს და შემეგროვებინა სათანადო საენათმეცნიერო და აგრეთვე საეთნოგრაფიო მასალები. ამ მიზნით ივლისის 22-ს გავემგზავრე ტფილისიდან. სხვა სამგზავრო სამვალეებათა უქონლობის გამო გავყევ მთიულ მუზეუმებს, რომლებიც ტფილისში სისტემატიურად ჩამოდიან.

22 ივლისს სადამოთი გავედი ტფილისიდან, და 25-ს სადამოს უკვე მლეთეს ვიყავი. მე განზრახული მქონდა დავრჩენილიყავ მლეთეს ერთხანს, საფუმელიანათ გავცნობოდი იქაურ თქმას და შემდეგ შეძლებისდა კვალობაზე მომენახულებინა სხვა კუთხეები. მუშაობის პირობები გაცილებით უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვინემ შეიძლება წინასწარ მეფიქრა: იშვიათი გაჭირვება პირველ მოთხოვნილების საგნების შოვნაში, ინტელიგენტური ელემენტის ადგილობრივ არ არსებობა, მხარის საერთო ჩამორჩენილობა და მთიულის უადრესი სიზანტე – არ ქმნიდა ელემენტარულად ხელსაყრელ პირობასაც კი მუშაობისათვის. ყოველივე ეს პირველ ხანებში იყო განსაკუთრებით საგრძნობი.

მლეთეში (ქვემოსა და ზემოში) დავრჩი 16 აგვისტომდე (ე.ი. 22 დღე). ამ ხნის განმავლობაში ერთხელ (27/VII) მომიხდა გუდაურს ასვლა – ერთი – მუშაობისთვის საჭირო პირის სანახავად, აგრეთვე ჩასვლა ფასანაურს (31/VII) სასურსათო საქმეების მოსაგვარებლად.

ადგილობრივ (ე. ი. ზ. და ქვ. მლეთეში) ძირითადი ენობრივი მოვლენების გათვალისწინების შემდეგ საჭიროდ მივიჩნეე ზემო-მთიულეთის ზოგიერთ სხვა სოფლებშიც მომეხდინა დაკვირვება. ამ მიზნით თითო დღით ვიყავი: სოფ. ქვეშეთში (7/VIII), სოფ. ყველაანს (11/VIII), ლაკათ-ჭევში (13/VIII) და იმავე დღეს გავლით სოფ. ქიმბარიანში.

16/VIII-ს მლეთედან ფასენაურს გადმოველ, საიდანაც 17/VIII ადგილობრივი აღმასკომის დახმარებით საშვალეზე მომეცა ჯანდოს-ჭევის სოფლებში (უკანამკარსა, სოდევსა და მეჯილაურში) მომეხდინა ზოგადი დაკვირვებანი და ჩამეწერა თქმის ნიმუშები. 18/VIII იძულებული ვიყავ ფასანაურიდან გამოვმგზავრებულიყავ, რადგანაც სამგზავრო თანხა ამოიწურა. 18სავე აგვისტოს ურმით მიველ სოფ. ველთაურს (დუშეთიდან 8-9 ვერსზეა), ხოლო 19/VIII-ს დილით ფეხით ჩაველ დუშეთს, საიდანაც იმავე დღეს საბარგო ავტომობილით ტფილისს ჩამოველ.

სულ მთიულეთში 28 დღე დავყევ. მასალების შეგროვების მხრივ მივლინების შედეგი გამოიხატა შემდეგში: ჩაწერილ იქნა: ლექსად – 29 გვ., პროზად (ზღაპრები, ამბები, ფრაზები საუბრიდან და სხვა) – 157 გვ.; აგრეთვე 5 გვ. საეთნოგრაფიო ხასიათის მასალისა. სულ 191 გვ. (დიდი ფორმატისა).

მუშაობის პროცესში გათვალისწინებულ იქნა მთიულურის ენობრივი სახეობა, დადასტურებულ იქნა დიდი ნაწილი ბ. ა. შანიძის მიერ აღნიშნულ ფონეტიკურ და მორფოლოგიურ მოვლენათა; აგრეთვე ყურადღება მიექცა ზოგჯერ აღუნიშვნელ მოვლენათ, როგორც ფონეტიკიდან, ისე მორფოლოგიიდან და სინტაქსისიდან.

ამასთანავე საშვალეზეა მქონდა გაცნობილი მთიულეების ზნე-ჩვეულებას და მათი ყოფა-ცხოვრების თავისებურებათ.

დასასრულ, ვალად ვრაცხ მადლობა ვუძღვნა ამ მივლინების ინიციატორს ბ. პროფ. ა. შანიძეს და სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ გამგეს ბ. ვუკ. ბერიძეს, რომლის დახმარებითაც ეს მივლინება მოეწყო.

ბენედიკტე ჩიქობავა.

1922 წ., 22 აგვისტო.

* იხ. ა. შანიძე. „ქართული კილოები მთაში“ – „კრებული“: პეტროგრ. უნივ. ქართვ. სტუდ. სამეცნიერო წრის გამოცემა. ტფილისი. 1915. (გვ. 185-202).

ხარჯთაღრიცხვა

ახვანიში 1922წ. ნაფხვალ (22/II - 19/III) შიშველით შიშველით
 ცხელ ვსუცით ხარჯებს:

1. ხინჩხაჩი ხარჯები	<table border="0"> <tr> <td>ა. ვსენცვი სშვილი</td> <td>550.000.</td> <td rowspan="3">}</td> <td rowspan="3"></td> </tr> <tr> <td>ბ. ვსენცვი სშვილი (80)</td> <td>30.000</td> </tr> <tr> <td>გ. ვსენცვი სშვილი (16)</td> <td>20.000</td> </tr> <tr> <td></td> <td>600.000.</td> <td></td> <td>- 600.000.</td> </tr> </table>	ა. ვსენცვი სშვილი	550.000.	}		ბ. ვსენცვი სშვილი (80)	30.000	გ. ვსენცვი სშვილი (16)	20.000		600.000.		- 600.000.
ა. ვსენცვი სშვილი	550.000.	}											
ბ. ვსენცვი სშვილი (80)	30.000												
გ. ვსენცვი სშვილი (16)	20.000												
	600.000.		- 600.000.										
2. შხვანა:													
1. ქვიშაყალი - შიშვი (22-25/II)	- 250.000.												
2. შიშვი - შიშვი (27/II)	- 50.000.												
3. შიშვი - ვსენცვი (31/II)	- 50.000.												
4. ვსენცვი - შიშვი (1/III)	- 75.000.												
5. შიშვი - სპილენძი (საყვანილი) (14/III)	- 30.000												
6. სპილენძი - შიშვი (13/III)	- 20.000												
7. შიშვი - ვსენცვი (16/III)	- 75.000.												
8. ვსენცვი - შიშვი (31/III)	- 80.000												
9. შიშვი - ქვიშაყალი (საბმ. აქტი) (19/III)	- 200.000												
	1030.000.		- 1030.000.										
3. შიშვით შიშვი ქვიშაყალი (შიშვი):	355.000.		- 355.000										
4. ზიანი:	<table border="0"> <tr> <td>25/II - 4/III</td> <td>= 30.000.</td> <td rowspan="3"></td> </tr> <tr> <td>4/III - 16/III</td> <td>= 60.000</td> </tr> <tr> <td>16/III - 16/III</td> <td>= 60.000</td> </tr> <tr> <td>(საბმ. აქტი)</td> <td>150.000.</td> <td></td> <td>- 150.000</td> </tr> </table>	25/II - 4/III	= 30.000.		4/III - 16/III	= 60.000	16/III - 16/III	= 60.000	(საბმ. აქტი)	150.000.		- 150.000	
25/II - 4/III	= 30.000.												
4/III - 16/III	= 60.000												
16/III - 16/III	= 60.000												
(საბმ. აქტი)	150.000.		- 150.000										
5. სპილენძი - სპილენძი (22/II - 19/III) შიშვი.	- 2.430.000.		- 2.430.000										
			<u>სულ: 4. 565.000 ჯ.</u>										

ახვანიში ხარჯთაღრიცხვა,
 1922წ. შიშვით

შიშვით სპილენძი ვსენცვი (საბმ. აქტი) სპილენძი იგი ვსენცვი (საბმ. აქტი) სპილენძი
 ხარჯი 60-150.000.000 არის. სპილენძი სპილენძი 87-90.000.000. შიშვი სპილენძი,
 შიშვით, (საბმ. აქტი) შიშვით 2-3.000.000 იყო. ზ. ს.

NUGZAR PAPUASHVILI

On Arnold Chikobava's Journey in Mtiuleti

S u m m a r y

The autograph by Acad. Arnold Chikobava with the title "The report of business trip to Mtiuleti, spring, 1922" is preserved in the Georgian National Archives. The text is written on two sheets of paper. Both pages of the first sheet are a description of the journey and the done work. The first page of the second sheet is a calculation of costs. The document is signed as follows "Benedikte Chikobava."

The report is addressed to the head of the scientific institutions of the republic of Georgia whose identity is known in the final part of the text - B. Vuk. Beridze.

The report is characterized with neatness, specificity and clarity. We already know the details about the trip in the mountain region and finding the material. It turns out that the object of interest was not only linguistics but also ethnography and folklore.

Although the important facts of the life and work of Acad. Arnold Chikobava have been studied the said document does not appear in the scientific circulation which enhances the interest. This document has a historiographical importance as we are given an opportunity to learn about the aspects of the social-economic and cultural life of a certain period of Georgia.

მედეა საღლიანი

ზმნისწინთა შესაძლო კომბინაციები სვანურში

სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურ ზმნისწინსაც (*resp.* პრევერბს) მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. მას გააჩნია როგორც სიტყვაწარმოებითი, ასევე ფორმაწარმოებითი ფუნქციები: ცვლის ლექსიკურ მნიშვნელობებს, გვიჩვენებს მოქმედების მიმართულებას (**გეზსა** და **ორიენტაციას**), აწარმოებს მომავალ დროს და, ამასთანავე, ზმნაში გამოხატულ მოქმედებას სძენს და-სრულებულ სახეს.

თანამედროვე სვანურში, როგორც ცნობილია, არსებობს ზმნისწინთა ორი სხვადასხვა რიგი სხვადასხვა მორფოლოგიური ფუნქციით. პირველ მათგანში ერთიანდება **ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**, ხოლო მეორეში – **ჟი**, **ჩუ**, **სგა** (**||ისგა**), **ქა** ზმნისწინები. ცნობილია ისიც, რომ პირის მორფემათა ალომორფების განაწილებაზე მხოლოდ პირველი რიგის ზმნისწინები ახდენენ გავლენას, რომელთა ძირითადი ფორმები (**ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**) ყველა დიალექტში თითქმის ერთნაირად არის წარმოდგენილი, ერთადერთ გამონაკლისად ითვლება **ეს-** ზმნისწინი, რომლის ლენტეხური (ზოგ კილოკავში, აგრეთვე, ჩოლურული) ვარიანტი არის არა **ეს-**, არამედ **ას-** (ვ. თოფურია, მ. ქალდანია).

პრევერბი სვანურშიც ორგვარია: *მარტივი* და *რთული*. მარტივია სულ რვა. აქედან ოთხი ძირითადია, ოთხი კი – თანდებულთან საზიარო. ძირითადია **ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**, ხოლო პრევერბ-თანდებულია **ჟი**, **ჩუ**, **სგა** (**||ისგა**), **ქა**. სწორედ მათი შერწყმით (*თანდებულ-პრევერბი* + *ძირითადი პრევერბი*) არის მიღებული რთული ზმნისწინი (**ჟი** + **ას-**, **ჩუ** + **ად-**, **სგა** + **ა-**, **ქა** + **ეს-**, **სგა** + **ლა-**...).

მარტივი ზმნისწინები

1. თანამედროვე სვანურში, სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილი მასალის მიხედვით, გამოყოფენ **ლა-** ზმნისწინის შემდეგ ალომორფებს: **ლა-**, **ლჷ-**, **ლჸ-**, **ლჹ-**, **ლო-**, **ლოჸ-** (ვ. თოფურია, ალ. ონიანი), რომელთაც დაემატა ლამხურში, ჩოლურულსა და ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავში (ცხუმარულში, ეცერულსა და ჭუბერულში) დადასტურებული **ლე-** ალომორფი (საღლიანი 2011:60).

2. სხვადასხვა პოზიციაში **ან-** ზმნისწინის სხვადასხვა ვარიანტები დასტურდება, ესენია: **ა-**, **ა-** (**ე-**), **ო-**, **ან-**, **ან-** (**ენ-**), **ონ-**. ყოველი კონკრეტული მათგანი, ცხადია, სრულიად განსაზღვრულ პირობებშია წარმოდგენილი.

3. ასევე სხვადასხვა პოზიციაში დასტურდება **ად-** ზმნისწინის შემდეგი ვარიანტები: **ა-** (**ე-**), **ო-**, **ა-**, **ათ-** (**ეთ-**), **ოთ-**, **ათ-**, **აქ-** (**ექ-**), **ად-**. საენათმეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ **ად-** ზმნისწინის ალომორფებს (ზემოსვანურში, ლაშხურსა და ჩოლურულში) დაემატა **ოდ-** ალომორფი. ლენტეხურსა და ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავში კი **ოდ-** ალომორფის ხმარების შემთხვევები არ გამოვლენილა (იქვე).

4. **ეს-** ზმნისწინის ვარიანტებია: **ე-**, **ეს-**, **ო-**, **ოს-**, **ა-**, **ას-**, **ა-**, **ას-**.

სვანურ ზმნისწინთა (**ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**) ალომორფების განაწილების სურათი დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით სრულიად განსხვავებულია. საინტერესოა ისიც, რომ სხვაობას ადგილი აქვს თვით ერთი დიალექტის შიგნითაც.

მარტივი (ძირითადი) ზმნისწინები: **ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-** აღნიშნავენ მოქმედების მიმართულებას (გეზს) და ორიენტაციას.

ან- აღნიშნავს მიმართულებას იქიდან აქეთ, I პირისაკენ, და უდრის ქართ. **მო-**-ს (მაგ.: **ან-ღრი** „მიდის“, **ან-ჯიდ** „მოიტანა“, **ან-ქინე** „მორბის“ და ა. შ.). ამდენად, იგი თითქმის ორიენტაციის მაჩვენებელია.

ად-/ა- და **ეს-/ას-** აღნიშნავენ (**ან-**-ის) საპირისპირო მიმართულებას, ანუ საიქეთოა, რომელიც მესამე პირისაკენ მიმართულებას გამოხატავს, თუმცა ორიენტაციას არ უჩვენებს, უდრის ქართ. **მი-**, **და-**, **გა-**, **წა-** ზმნისწინებს (მაგ.: **ად-იე** „წაიღო“, **ეს-ღრი** „მიდის“ და სხვ.).

ლა-ც საიქეთოა, აღნიშნავს მიმართულებას აქედან იქით და უდრის ქართ. **შე-**-ს, ზოგჯერ **მი-** და **წა-** ზმნისწინებს (მაგ.: **ლა-ლემ** „შეჭამა“, **ლა-შ** „შესვა“, **ლა-ხუმ** „მისცა“, **ლა-ნ-ჭემე** „წათიბა“...).

ძირითადი ზმნისწინები (**ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**) მჭიდროდ არის დაკავშირებული ზმნასთან და არასოდეს სცილდება მას. რაც შეეხება თანდებულებთან საზიარო ზმნისწინებს, მათ მეტი დამოუკიდებლობა ახასიათებთ, შეუძლიათ დაშორდნენ ზმნის ფუძეს და შუაში ჩაირთონ რაიმე სიტყვა ან ნაწილაკი (შდრ. ტმესი ძველ ქართულში).

**მარტივ ზმნისწინთა პარადიგმატული სისტემა სვანური დიალექტებისა და
ცილოკავების მიხედვით (შესაძლო ფონეტიკური ვარიანტებით)**

ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ცხუმ.	ლხმ.	უშგ.
ან- , ა-, ა-, ონ- , ო- = მო-	ან-/ან- , ა-, ა-, ენ- , ე-, ონ- , ო-	ან- , ა-, ენ- , ე-, ონ- , ო-	ან-/ან- , ა-, ა-, ონ-	ან- , ა-, ა-, ენ- , ე-, ონ- , ო-	ან- , ა-, ა-, ენ- , ონ- , ო-	ან-/ან- , ა-, ა-, ონ- , ო-	ან- , ა-, ა-, ონ- , ო-
ად- , ათ-, ა-, ად-, ათ-, ა-, ოდ- , ოთ-ო- = მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-	ად- , ათ-, ატ- , ა-, ად-, ათ-, ა-, ედ-, ეთ- , ე-, ოდ- , ოთ- , ოტ- , ო-	ად- , ა-, ედ-, ეთ- , ე-, ოთ- , ო-	ად- , ათ-, ა-, ად-, ათ-, ა-, ოთ-	ად- , ა-, ედ- , ეთ- , ოთ- , ო-	ად- , ათ-, ა-, ა-, ეთ- , ედ- , ე-, ოდ- , თ-, ოტ- , ო-	ად- , ა-, ად-, ა-, ოთ- , ო-	ად- , ათ-, ა-, ოთ- , ო-
ეს- , ე- = მი-, და-, წა(რ)-	ეს- , ე-, ოს- , ო-	ეს- , ე-, ო-	აჰ-, აჰ-	ეს- , ე-, აჰ-, ო-	ეს- , ე-, ოს-	ეს- , ე-	ეს- , ე-
ლა- , ლბ- , ლბ- , ლბ- , ლო- = შე-, მი-, გა-, წა-, და-, წა(რ)-?	ლა- , ლბ- , ლე- , ლო-	ლა- , ლბ- , ლე- , ლო- , ლო-	ლა- , ლბ-	ლა- , ლბ- , ლე- , ლო-	ლა- , ლბ- , ლე- , ლო-	ლა- , ლბ- , ლო-	ლა- , ლბ- , ლბ- , ლო-
ჟი- = ა(ღ)-, ზედ ზე	ჟი-	ჟი-	ჟი-	ჟი-	ჟი-	ჟი-	ჟი-
ჩუ- = ძვე ძე, ჩა-, და-	ჩუ- , ჩ-	ჩუ-	ჩუ-	ჩუ-	ჩუ-	ჩუ-	ჩუ- , ჩ-
სგა- = შე-, შთა-/ჩა-	სგა- , ოსგა-	სგა-	სკა-	სკა-/სგა-	სგა-	სგა-	სგა- , ოსგა-
ქა- = გა(ნ)-, წა(რ)-	ქა-	ქა-	ქა-	ქა-	ქა-	ქა-	ქა-

რთული ზმნისწინები

ზმნისწინ-თანდებულთაგან ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებას აღნიშნავენ **ჟი** და **ჩუ**, **სგა** და **ქა**.

ჟი- აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით, ხოლო **ჩუ** ზევიდან ქვევით; **ჟი**- შეესატყვისება ქართ. **ზე**-ს, მეგრ. **ჟი**-ს, ხოლო **ჩუ**- ქართ. **ქვე**-ს, რომელიც მტკიცებით ნაწილაკადაც არის გამოყენებული. **სგა**- გამოხატავს მიმართულებას გარედან შიგნით ისევე, როგორც ქართ. **შე**-. **ქა**- კი, პირიქით, გამოხატავს მიმართულებას შიგნიდან გარეთ და უდრის ქართ. **გა**-ს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანურში რთული პრევერბები მიღებულია მარტივ ზმნისწინთა (**თანდებულ-პრევერბი** + **ძირითადი პრევერბი**) შერწყმით.

თვალსაჩინოებისათვის სრულად წარმოვადგენთ რთულ ზმნისწინთა პარადიგმატულ ცხრილებს სვანური დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით (შესაძლო ფონეტიკური ვარიანტებით – სულ 208 კომბინაცია):

ჟი + ან- „აღმო-, ამო-“

ჟი + ან > **ჟ'ან** (ზს., ქს.) = აღმო-, ამო-
ჟი + ან > **ჟ'ან** (ზს., ლნტ.) = აღმო-, ამო-
ჟი + ა > **ჟ'ა** (ზს., ქს.) = აღმო-, ამო-
ჟი + ა > **ჟ'ა** (ზს., ლნტ., ჩოლ.) = აღმო-, ამო-
ჟი + ენ > **ჟ'ენ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = აღმო-, ამო-
ჟი + ენ > **ჟ'ენ** (ლშხ., ჩოლ.) = აღმო-, ამო-
ჟი + ე > **ჟ'ე** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = აღმო-, ამო-
ჟი + ონ > **ჟ'ონ** (ზს., ქს.) = აღმო-, ამო-
ჟი + ო > **ჟ'ო** (ზს., ლშხ., ჩოლ.) = აღმო-, ამო-

ჟი + ად- „ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-“

ჟი + ად > **ჟ'ად** (ზს., ქს.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ათ > **ჟ'ათ** (ზს., ლნტ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ატ > **ჟ'ატ** (ბქ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ად > **ჟ'ად** (ზს., ლნტ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ათ > **ჟ'ათ** (ზს., ლნტ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ა > **ჟ'ა** (ზს., ქს.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ა > **ჟ'ა** (ზს., ლნტ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ედ > **ჟ'ედ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ეთ > **ჟ'ეთ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ე > **ჟ'ე** (ბქ., ლშხ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ოთ > **ჟ'ოთ** (ზს., ქს.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + ოდ- > **ჟ'ოდ** (ბქ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ოტ- > **ჟ'ოტ-** (ბქ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-
ჟი + ო- > **ჟ'ო** (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + ეს-/ას- „ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-“

ჟი + ეს- > **ჟ'ეს-** (ზს., ლშხ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-
ჟი + ას- > **ჟ'ას-** (ლნტ., ჩოლ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-
ჟი + ას- > **ჟ'ას-** (ლნტ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-
ჟი + ეს- > **ჟ'ეს** (ბქ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-
ჟი + ე- > **ჟ'ე-** (ზს., ლშხ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-
ჟი + ოს- > **ჟ'ოს-** (ბქ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-
ჟი + ო- > **ჟ'ო-** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-

ჟი + ლა- „ზე შე-, ა(ღ)-“

ჟი + ლა- (ზს., ქს.) = ზე შე-, ა(ღ)-
ჟი + ლჳ- (ზს., ლნტ.) = ზე შე-, ა(ღ)-
ჟი + ლჳ- (ბზ., ჩოლ.) = ზე შე-, ა(ღ)-
ჟი + ლჳ- (ბზ.) = ზე შე-, ა(ღ)-
ჟი + ლე- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ზე შე-, ა(ღ)-
ჟი + ლო- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ზე შე-, ა(ღ)-
ჟი + ლო- (ლშხ.) = ზე შე-, ა(ღ)-

ჩუ + ან- „ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-“

ჩუ + ან- > **ჩუან-** (ზს., ქს.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ან- > **ჩუან-** (ზს., ლნტ.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ან- > **ჩ'ან-** (ბქ.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ა- > **ჩუა** (ბზ., ქს.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ა- > **ჩუა** (ზს., ლნტ.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ე- > **ჩუე** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ენ- > **ჩუენ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ო- > **ჩუო** (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ო- > **ჩ'ო** (ბქ.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ონ- > **ჩუონ-** (ზს., ქს.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ონ- > **ჩ'ონ** (ბქ.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ონ- > **ჩ'ონ-** (ბზ., ლშხ.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ონ- > **ჩ'ონ-** (ბქ.) = ქვე||ქვე: მო-, ჩამო-, დამო-

ჩუ + ლა- „ქვე|ქვე: შე-, მი-“

- ჩუ + ლა-** (ზს., ქს.) = ქვე|ქვე: შე-, მი-
ჩუ + ლა̇- (ზს., ლნტ.) = ქვე|ქვე: შე-, მი-
ჩუ + ლა̈- (ზზ., ლშხ., ჩოლ.) = ქვე|ქვე: შე-, მი-
ჩუ + ლა̄- (ზზ.) = ქვე|ქვე: შე-, მი-
ჩუ + ლე- (ლშხ., ჩოლ., ცხუმ.) = ქვე|ქვე: შე-, მი-
ჩუ + ლო- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ქვე|ქვე: შე-, მი-
ჩუ + ლო̄- (ლშხ.) = ქვე|ქვე: შე-, მი-

სგა + ან- „შემო-“

- სგა + ან-** > **სგ'ან-** (ზს., ქს.) = შემო-
სგა + ან- > **სგ'ან-** (ზზ., ლშხ., ჩოლ.) = შემო-
სგა + ან̇- > **სგ'ან̇-** (ზს., ლნტ.) = შემო-
სგა + ან̈- > **სგ'ან̈-** (ზზ.) = შემო-
სკა + ან- > **სკ'ან-** (ლნტ.) = შემო-
სგა + ა- > **სგ'ა-** (ზს., ქს.) = შემო-
სგა + ა̇- > **სგ'ა̇-** (ზს., ლნტ.) = შემო-
სგა + ე- > **სგ'ე-** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = შემო-
სგა + ე̇- > **სგ'ე̇-** (ზზ., ლშხ., ჩოლ.) = შემო-
სგა + ენ- > **სგ'ენ-** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = შემო-
სგა + ონ- > **სგ'ონ-** (ზს., ქს.) = შემო-
სგა + ონ̇- > **სგ'ონ̇-** (ზზ., ლშხ.) = შემო-

სგა + ად- „შე- [მი-, და-, გა-, წა-]“

- სგა + ად-** > **სგ'ად-** (ზს., ქს.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ად- > **სგ'ად-** (ზზ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ათ- > **სგ'ათ-** (ბქ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ათ- > **სგ'ათ-** (ზზ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ად̇- > **სგ'ად̇-** (ზს., ლნტ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ათ̇- > **სგ'ათ̇-** (ზს., ლნტ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სკა + ად- > **სკ'ად-** (ლნტ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ად̈- > **სგ'ად̈-** (ზზ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ა̇- > **სგ'ა̇-** (ზზ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ათ̈- > **სგ'ათ̈-** (ზზ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ატ- > **სგ'ატ-** (ბქ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ეთ- > **სგ'ეთ-** (ცხუმ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ეთ̈- > **სგ'ეთ̈-** (ლშხ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ედ- > **სგ'ედ-** (ცხუმ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ა- > **სგ'ა-** (ზს., ქს.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ა- > სგ'ა- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სკა + ა- > სკ'ა- (ლნტ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ა- > სგ'ა- (ზს.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ო- > სგ'ო- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ო- > სგ'ო- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ოთ- > სგ'ოთ- (ზს., ქს.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ოთ- > სგ'ოთ- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ოდ- > სგ'ოდ- (ზს., ქს.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ოდ- > სგ'ოდ- (ბზ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ოტ- > სგ'ოტ- (ბქ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]
სგა + ა- > ს + ა- > ს'ა (ლნტ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ეს-/ას- „შე- [მი-, და-], ჩა-“

სგა + ეს- > სგ'ეს- (ზს., ლშხ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სგა + ეს- > სგ'ეს- (ბზ., ლშხ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სგა + ე- > სგ'ე- (ზს., ლშხ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სკა + ას- > სკ'ას- (ლნტ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სკა + ას- > სკ'ას- (ლნტ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სგა + ოს- > სგ'ოს- (ბქ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სგა + ოს- > სგ'ოს- (ბზ., ლშხ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სგა + ო- > სგ'ო- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-], ჩა-

სგა + ლა- „შე-, მი-“

სგა + ლა- (ზს., ქს.) = შე-, მი-
სკა + ლა- (ლნტ., ჩოლ.) = შე-, მი-
სგა + ლა- (ზს., ლნტ.) = შე-, მი-
სგა + ლა- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შე-, მი-
სგა + ლა- (ბზ.) = შე-, მი-
სგა + ლე- (ლშხ., ჩოლ., ბქ.) = შე-, მი-
სგა + ლო- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = შე-, მი-
სგა + ლო- (ლშხ.) = შე-, მი-

ისგა + ან- „შემო-“

ისგა + ან- > ისგ'ან (ეცერ., ლხმ.) = შემო-
ისგა + ან- > ისგ'ან- (უშგ.) = შემო-
ისგა + ად- > ისგ'ად- (ეცერ., ლხმ.) = შე [მი-]
ისგა + ად- > ისგ'ად- (უშგ.) = შე [მი-]
ისგა + ა- > ისგ'ა- (ეცერ., ლხმ., უშგ.) = შე [მი-]
ისგა + ა- > ისგ'ა- (უშგ.) = შე [მი-]

ისგა + ეს- > **ისგ'ეს-** (ეცერ., ლხმ.) = შე-, ჩა-
ისგა + ეს- > **ისგ'ეს-** (უშგ.) = შე-, ჩა-
ისგა + ლა- (ეცერ., ლხმ.) = შე [მი-]
ისგა + ოთ- > **ისგ'ოთ-** (ეცერ., ლხმ.) = შე [მი-]
ისგა + ოთ- > **ისგ'ოთ-** (უშგ.) = შე [მი-]
ისგა + ოტ- > **ისგ'ოტ-** (ეცერ., ლხმ.) = შე [მი-]

ქა + ან- „გამო-, წამო-“

ქა + ან- > **ქ'ან-** (ზს., ქს.) = გამო-, წამო-
ქა + ან- > **ქ'ან-** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გამო-, წამო-
ქა + ა- > **ქ'ა-** (ზს., ქს.) = გამო-, წამო-
ქა + ან- > **ქ'ან-** (ბქ.) = გამო-, წამო-
ქა + ა- > **ქ'ა-** (ზს., ლნტ.) = გამო-, წამო-
ქა + ენ- > **ქ'ენ-** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გამო-, წამო-
ქა + ენ- > **ქ'ენ-** (ლშხ.) = გამო-, წამო-
ქა + ე- > **ქ'ე-** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გამო-, წამო-
ქა + ონ- > **ქ'ონ-** (ზს., ქს.) = გამო-, წამო-

ქა + ად- „გა-[მი-], წა-, და-“

ქა + ად- > **ქ'ად-** (ზს., ლნტ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ად- > **ქ'ად-** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ად- > **ქ'ად-** (ზს., ლნტ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ათ- > **ქ'ათ-** (ბქ., ლნტ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ათ- > **ქ'ათ-** (ბქ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ათ- > **ქ'ათ-** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ა- > **ქ'ა-** (ბზ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ა- > **ქ'ა-** (ბზ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ათ- > **ქ'ათ-** (ბზ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ათ- > **ქ'ათ-** (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ატ- > **ქ'ატ-** (ბქ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ა- > **ქ'ა-** (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ა- > **ქ'ა-** (ზს., ლნტ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ეთ- > **ქ'ეთ-** (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ეთ- > **ქ'ეთ-** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ედ- > **ქ'ედ-** (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ედ- > **ქ'ედ-** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ე- > **ქ'ე-** (ბქ., ლშხ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ო- > **ქ'ო-** (ბქ.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ოთ- > **ქ'ოთ-** (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-
ქა + ოდ- > **ქ'ოდ-** (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ოდ- > ქ'ოდ- (ლშხ.) = გა-[მი-], წა-, და-
 ქა + ოთ- > ქ'ოთ- (ბზ.) = გა-[მი-], წა-, და-
 ქა + ო- > ქ'ო- (ბზ., ლშხ.) = გა-[მი-], წა-, და-
 ქა + ოტ- > ქ'ოტ- (ბქ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ეს-/ას- „გა-, და-, წა-“

ქა + ეს- > ქ'ეს- (ზს., ლშხ.) = გა-, და-, წა-
 ქა + ეს- > ქ'ეს- (ბზ., ლშხ.) = გა-, და-, წა-
 ქა + ე- > ქ'ე- (ზს., ლშხ.) = გა-, და-, წა-
 ქა + ას- > ქ'ას- (ლნტ., ჩოლ.) = გა-, და-, წა-
 ქა + ახ- > ქ'ახ- (ლნტ.) = გა-, და-, წა-
 ქა + ოს- > ქ'ოს- (ბქ.) = გა-, და-, წა-
 ქა + ოს- > ქ'ოს- (ბზ., ლშხ.) = გა-, და-, წა-
 ქა + ო- > ქ'ო- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = გა-, და-, წა-

ქა + ლა- „გა-, მი-, [გა-]შე-“

ქა + ლა⁻¹ (ზს., ქს.) = გა-, მი-, [გა-]შე-
 ქა + ლა⁻ (ზს., ლნტ.) = გა-, მი-, [გა-]შე-
 ქა + ლა⁻ (ბზ., ჩოლ.) = გა-, მი-, [გა-]შე-
 ქა + ლა⁻ (ბზ.) = გა-, მი-, [გა-]შე-
 ქა + ლე- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = გა-, მი-, [გა-]შე-
 ქა + ლო- (ზს., ლშხ., ჩოლ.)
 ქა + ლო- (ლშხ.) = გა-, მი-, [გა-]შე-

გამორიცხულია სხვაგვარი კომბინაცია, ე. ი. პირუკუ შეერთება: **ან-ჟი, ად-ჩუ, ა-სგა, ეს-ქა, ან-ლა, ად-ეს** და ა. შ., თუმცა შესასწავლია ლენტეხურ დიალექტში დაფიქსირებული არა ერთი ზმნისწინიანი ზმნური ფორმის სტრუქტურული შედგენილობა.²

ლიტერატურა

თოფურია 1967 – ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, შრომები, თბილისი.
ონიანი 1998 – ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.
საღლიანი 2011 – მ. საღლიანი, პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორია სვანურში, თბილისი.

¹ შესაძლოა, აქ ლგ- ალომორფიც დაემატოს (შდრ. მაგ.: **ქა ლგმნა** „გადიოდა თურმე (ზედმიწ. – *განავალა), **ქა ლგმნედოლი** „გამოდიოდა თურმე (ზედმიწ. – *გამონასვლელა) და ა. შ.

² საკითხზე მუშაობა გრძელდება.

MEDEA SAGHLIANI

Possible Combinations of Preverbs in Svan

S u m m a r y

In modern Svan there are two different groups of preverbs with the different morphological functions. The first group unites the following preverbs **la-**, **an-**, **ad-**, **es-** and the second one consists of the preverbs – **ži**, **ču**, **sga** (|| **isga**), **ka**.

The four preverbs out of eight simple ones are basic **la-**, **an-**, **ad-**, **es-**, while the others are also used as postpositions **ži**, **ču**, **sga** (|| **isga**), **ka**-. The compound preverbs are formed by combining the said preverbs (a postposition-preverb + a basic preverb, e. g. **ži + as-**, **ču + ad-**, **sga + a-**, **ka + es-**, **sga + la-** etc.)

In modern Svan according to the scientific material all the possible allomorphs of the simple preverbs were distinguished: **la-**, **lä-**, **lä-**, **lä-**, **lo-**, **lō-**, **le-** = **šc-**, **mi-**, **ga-**, **ça-**, **da-**, **ça(r)-**; **an-**: **a-**, **ä-** (**e-**), **o-**, **an-**, **än-** (**en-**), **on-** = **mo-**; **ad-**: **ä-**(**e-**), **o-**, **a-**, **ät-**(**et-**), **ot-**, **at-**, **äd-**(**ed-**), **ad-**, **od-** = **mi-**, **da-**, **ga(n)-**, **ça(r)-**; **es-**: **e-**, **es-**, **o-**, **os-**, **a-**, **as-**, **ä-**, **äs-** = **mi-**, **da-**, **ça(r)-** (V. Topuria, A. Oniani, M. Saghliani). As for the compound preverbs their complete paradigm has not been known until now.

The paper presents the complete paradigmatic tables of the compound preverbs according to the Svan dialects and subdialects with all the possible phonetic variants – in total 208 combinations.

მედეა საღლიანი, ლელა გიგლემიანი

არაიდენტურ (ა+პ და პ+ა) ხმოვანთკომპლექსთა ელიზიისათვის სვანურში

მარტივ ელიზიურ კონსტრუქციებში წარმოდგენილი კომპლექსები იყოფა ორ ჯგუფად: *იდენტური* და *არაიდენტური ხმოვანთკომპლექსები*. ვინაიდან იდენტური ხმოვანთკომპლექსების (ა+ა, პ+პ, ე+ე, ი+ი, ო+ო, უ+უ) შესახებ მსჯელობა უკვე იყო საენათმეცნიერო ლიტერატურაში (საღლიანი 2001; 2011), ამიტომ ამჯერად მსჯელობა გვექნება მხოლოდ მარტივ ელიზიურ პროცესებში მონაწილე რამდენიმე არაიდენტური ხმოვანთკომპლექსების, კერძოდ, ა+პ და პ+ა კომპლექსის შესახებ.

ა+პ. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ა+პ კომპლექსი ბალსზემოურში ყოველთვის იძლევა პს (მაგ.: **ქ'ადვიდ** ← **ქა ადვიდ** „გადაიხადა“, **ქ'პნსიპ'პ** ← **ქა პნსიპ'პ** „გადმობრუნდა“, **ქ'პნშენე** ← **ქა პნშენე** „გამოისხა“; შდრ. ბქ.: **ქ'პნტიბ** ← **ქა პნტიბ** „გამოიტანა, გამოიყვანა“, **ქ'ადღირ** ← **ქა ადღირ** „მოიშორა“ და ა. შ. – ქალდანის 1953:195), რაც „სვანური ენის ქრესტომათიასა“ და „სვანურ პროზაულ ტექსტებზე“ დაკვირვებამაც ცხადყო. აღნიშნული წესი თითქმის არც ერთ მაგალითში არ არის დარღვეული. მაგ.:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ალ'ადიგ ← **ალა ადიგ** [ა+პ = პ]

ათხე რაჟდენს ქორ ხულტუე, **ალ'ადიგ** ესნარ 'გუად' – ახლა რომ რაჟდენს სახლი აქვს, ეს აიშენა თურმე გუამ (1) 74:3

ალ'ადკუტიპ ← **ალა ადკუტიპ** [ა+პ = პ]

ალ'ადკუტიპ ესნარ იუსელიანრე უპრგდ – ეს გაიგო თურმე იოსელიანების თავადმა (2) 74:39; 87:27

ნომ'ადცხირაღენხ ← **ნომა ადცხირაღენხ** [ა+პ = პ]

ალ ჭეშხარს ... მარე ... ტეხდი ჰანწს ხაცუმენი, ეჯღ'რე ჭეშხარ ჩუ იგრირიხ, ეჩქას თხუმარ სგუტეხინხანისგა ჩუ **ნომ'ადცხირაღენხ** – ამ ფეხებს ადამიანი („კაცი“) თბილ ნაკელს უსმევს რომ ფეხები რომ გახმება („გახმებიან“), მაშინ წინიდან („წინიდანში“) თავები არ („ნუ“) გაიბზაროს („გაიბზარონ“) (1) 133:31

სგ'აგუშა ← **სგა აგუშა** [ა+პ = პ]

... ზურაღ ... ლახე ხათარდ', რე ჩუ ლუნკუშდე ლასტ 'ლიც', ეჩქას **სგ'აგუშა** ჯრდი ლასლატაძა¹ ღუებთე'სგა – როდესაც („როცა“, „თუ“) ქალი

¹ **სალატ** ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ განმარტებულია შემდეგნაირად: ალაო, ზადი, საფუარი.

შე¹ატყობდა, რომ წყალი დადუღებული („დამოკლებული“), „კოლთ-ოდ-ა|| კლთ-ოდ-ა“) იყო, მაშინ ჩაასხამდა ხოლმე ზადის დასაყენებელ გრძელ გობში (1) 143:19 და ა. შ.

როგორც ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, ბალსზემოურში ა+წ ხმოვანთკომპლექსის შემთხვევაში მთავარია ბოლო კომპონენტი, რომელიც წინამავალ ხმოვანს იერთებს და შედეგად გვაძლევს ჴს.

რაც შეეხება ბალსქვემოურს, იქაც ა+წ ხმოვანთკომპლექსის შეხვედრისას გადამწყვეტი ჩანს მომდევნო კომპონენტი, რომელიც ბალსზემოურისაგან განსხვავებით წინამავალ ხმოვანს კარგავს. მაგ.:

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ერეისგ'წრი ← **ერეისგა წრი** [ა+წ = წ]

ერეისგ'წრი მუშნი მგზა პაკელიან – იმაში არის სვანი მუზა პაკელიანი (1) 187:37

ისგ'წთკედენ ← **ისგა წთკედენ** [ა+წ = წ]

... შეხემგრზა ... ესლრი, ესლრი ი შხუ წიფრათედესგა **ისგ'წთკედენ**, ამუჩულა¹ ჩუწდსად-გომხ – შეხემურზა მიდის, მიდის და ერთ წიფლის ხემდე („წიფლ-რის¹-კენ-ში“) მიადღია („მოხვდა“), , აქ დაბინავდენენ („და-ი-სა-დგ-ომ-ეს“, შდრ. ქართ. „სა-დგ-ომ-ი“) (1) 226:1

ისგ'წხცხეპნიტ ← **ისგა წხცხეპნიტ** [ა+წ = წ]

ზუდტა ერხენ უოქრე კოშკ ლგგან ი წლისს ძლტიდს **ისგ'წხცხეპნიტ** გელერშაპ², ერქას წმირწანს შიმდ ქა იწჩა² – ზღვის იქით ოქროს კოშკი იდგა და ამის („ამას“) გალავანს რომ შემოხვეოდა („შემოეხვეოდა“) გველეშაპი მაშინ ამირანს ხელად მოინელეგდა (1) 213:39

კიბდონისგ'წრი ← **კიბდონისგა წრი** [ა+წ = წ]

დაწ ქადიე, ერქას ხაქტე სამჭელაქდ ხელწიფხეს: „... დაწ როქტ ალი **კიბდონისგ'წრი**“ – დევი რომ გაიყვანა („გაიტანა“), მაშინ უთხრა სამჭელაქმა ხელმწიფეს: „დევი ამ კიბდონშიაო („**კიბდონ**-ში ა-რ-ი-ს“)“ (1) 225:10 და სხვ. ლენტეხურ დიალექტში ბალსქვემოურისებურ ვითარებასთან გვაქვს საქმე (ა+წ = წ). მაგ.:

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ისკ'წთეიდა ← **ისკა წთეიდა** [ა+წ = წ]

ქწმ ... მიჩა დეხტს ისკშუკუტისკა **ისკ'წთეიდა** – ქმარი თავის („მის“) მეულლეს („ცოლს“) შუაგზაში დაეწია (1) 340:15

ისკ'წთექტელან ← **ისკა წთექტელან** [ა+წ = წ]

შომას ერე ჯგმილ ახოჯად ალ დენას ი უახშამ ჩუ ლალემხ, ერენლო **ისკ'წთექტელან**, ერე „ჩუტადწაზურან“ – როდესაც („რომ“) ძმა ესტუმრა („მოუვიდა“) ამ გოგოს და ვახშამი შეჭამეს, შემდეგ („მაშინს მერე“) ჩააცივდა, რომ „გაიპარსეო“ („გაიპარსამცა“)“ (1) 329:42

¹ აღნიშნული ზმნიზედური ფორმების (შდრ.: **ერეჩულა**, **ამეილა**, **ერეილა** და ა. შ.) გამოყენება განსაკუთრებით ბეჩოური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი. ბალსქვემოურის გარდა, იგი სვანურის არც ერთ დიალექტში არ დასტურდება.

² როდესაც მორფემათა ზღვარზე თავს იყრის ა+ი ხმოვანთკომპლექსი, მაშინ, როგორც წესი, ელიზიას არა აქვს ადგილი.

მიშკუ^აწგუხო ← მიშკუ^აწგუხო [ა+წ = წ]

ექჟა ხოქჟა მეფჳყს: „გუშკუტე ისკალდჳ თარიგლეზერს ჟიტუ ახონდუნა, ედო **მიშკუ^აწგუხო** წმჭიდე, ისკუტე ლაგუტირკას ჟი ხჳსერე“ – მაშინ უთქვამს ფაყელს: „ჩვენმა („ჩვენს“) ისკალდის მთავარანგელოზმა („მ-თავ-არ-ანგელოზ-ს“) მოინდომოს („მო-უ-ნდომ-ებ-ია-მცა“), თორემ ჩემს სახლში („ალაგ-ის¹-კენ“) წამიყვანს („მო-მიტანს“), თქვენს კვირიკეს („სა-კვირიკ-ეს“) სჯობნის („აჯობებს“, „*გამეტებს“, „გა-ა-სწრ-ებ-ს““ (21) 94:6 და ა. შ.

გამომდინარე იქიდან, რომ ლაშხური სვანურის სხვა დიალექტებისაგან უშუალოდ გამოირჩევა, ცხადია, **ა+წ** ხმოვანთკომპლექსის შემცველი მაგალითებიც არ გამოვლინდებოდა.

რა ვითარებაა ამ მხრივ ლაშხურში?

ლაშხურში, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, დამსგავსება კიდევ უფრო შორს მიდის, კერძოდ, იქ ვიღებთ **ე-ს**, მაგ.: **ქენსიპან** „გადმობრუნდა“, **ქემჩედელი** (ა. ჯონძან, ლუმწუ ამბჯარ ლელწმხუ შუმი ნინშუ, IX, პეტროგრადი, 1917, 57, 24) „გასულა“, **ქედგათვ** (21, 8) „გათავდება“ და სხვ. (ქალდანი 1953:195).

თანამედროვე სვანურში, როგორც ცნობილია, არსებობს ზმნისწინთა ორი სხვადასხვა რიგი სხვადასხვა მორფოლოგიური ფუნქციით. პირველ მათგანში ერთიანდება **ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**, ხოლო მეორეში – **ჟი**, **ჩუ**, **სგა**, **ქა** ზმნისწინები. ცნობილია ისიც, რომ პირის მორფემათა ალომორფების განაწილებაზე მხოლოდ პირველი რიგის ზმნისწინები ახდენენ გავლენას, რომელთა ძირითადი ფორმები (**ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**) ყველა დიალექტში თითქმის ერთნაირად არის წარმოდგენილი, ერთადერთ გამონაკლისად ითვლება **ეს-** ზმნისწინი, რომლის ლენტეხური ვარიანტი არის არა **ეს-**, არამედ **ას-** (თოფურია 1967:52-70; ონიანი 1998:123).

სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია ამ ზმნისწინთა ალომორფების განაწილების რამდენიმე ზოგადი წესი, რომელთაგანაც პირველი ორი ზმნისწინთა ხმოვან ელემენტებს შეეხება, დანარჩენი კი თანხმოვან ელემენტთა ნაირსახეობას, ან მათ ქონება-უქონლობას (ონიანი 1998:123). ჩვენ, რა თქმა უნდა, ამჯერად მხოლოდ პირველ წესს შევეხებით, რომლის თანახმად, ზმნისწინთა **ა** ელემენტის ნაცვლად წარმოდგენილია **ე** (ლაშხურში და ზოგჯერ ბალსქვემოურშიც; **განსაკუთრებით ცხუმარულ კილოკავში**), **წ** (დანარჩენ დიალექტებში). ეს წესი შეეხება **ლა-**, **ან-**, **ად-** ზმნისწინებს ყველა დიალექტში და **ას-** ზმნისწინს ლენტეხურში (იქვე).

პროფ. მ. ქალდანის მიერ დაფიქსირებული – **ქენსიპან**, **ქემჩედელი**, **ქედგათვ** ტიპის ფორმები „სვანური ენის ქრესტომათიაშიც“ უხვად დაფიქსირდა. მაგ.:

ლ ა შ ხ უ რ ი

სგემჩედ ← **სგა ემჩედ** [ა+ე (← წ ← ა)=ე]

ჟიბე მუშუან ... **სგემჩედ** გუალთე – ზემო სვანი შესულა ბოსელში („ბოსლ¹ის¹კენ“) (1) 240:12

ქენჩხგლე ← **ქესჩხგლე** [ა+ე (← წ ← ა)=ე]

ანჯად ჳაჩუ ი **ქენჩხგლე** ლერსგტენხენ – მოვიდა („ა^ლ-ჯდ-ომ-ა“) მხიკვი და დაიჩხავლა მარჯვნიდან (1) 255:34

ქედწტილი ← **ქა ედწტილი** [ა+ე (← ჳ ← ა)=ე]

„ეხტემ ხეჭტუ ჳაჰს“: „... სი¹ ჩუ ლოქ ედდაგრი, ჯეჲ ლოქ ემე **ქედწტილი** – მეულემ („ცოლმა“) უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი“, ახ. ქართ. „თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი“) ქმარს („კაც-ს“, შდრ. ქართ. „კაც-ი“): „შენ თუ მოკვდებიო („მოკვდებაო“, შდრ. ძვ. ქართ. „მო-მე-დგრ-ებ-ა, Ⴆდა¹-მე-დგრ-ებ-ა, მე-დგრ-ომ-ა“) მე („თვითონო“) მაინც გავთხოვდებიო („გათხოვდება“), (1) 270:36 (**ქემჩედღლის** ← **ქა ემჩედღლის** „გასულან“, **ქენსგიდა** ← **ქა ენსგიდა** „გამოიხედა“ და მრავ. სხვ.).

ზემოთ დასახელებული საანალიზო ფორმების ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: **სგ¹ემჩედ** ← **სგა ემჩედ** ← **სგა ემჩედ** ← **სგა ამჩედ**, **ქედწტილი** ← **ქა ედწტილი** ← **ქა ედწტილი** ← **ქა ადწტილი**, **ქემჩედღლის** ← **ქა ემჩედღლის** ← **ქა ემჩედღლის** ← **ქა ამჩედღლის**, **ქენსგიდა** ← **ქა ენსგიდა** ← **ქა ენსგიდა** ← **ქა ანსგიდა**, **ქენჩხგლე** ← **ქა ენჩხგლე** ← **ქა ენჩხგლე** ← **ქა ანჩხგლე** და ა. შ.

ზოგჯერ ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც ა+ჳ ხმოვანთკომპლექსი ელიზიის გარეშეა წარმოდგენილი „სვანური ენის ქრესტომათიაში“. მაგ.:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ეჩანლო შიშდ **ქა ედჰანტან** ბინტუ – მერე („მაშინს მერე“) ხელად გაიფანტა ნისლი (168:43)

ეჩქას **ძუღტანესგაისგა ენთხეხ** ემხუ ხოხტრა კადარ – მაშინ შუა ზღვაში იპოვეს ერთი პატარა ხმელეთი (169:9)

აჩად დონაგეზალ, ხედუჰმს ჯი **ჟი ემმა ენთხელნე** – წავიდა ქალიშვილი („გოგოშვილი“), რომელსაც თვითონ თუ იპოვის (169:6)

„ხოხტრა მუხტბედ¹ **ქა ედჟეჟურე** ლერქტალ ი ჩუ ედშხტინ – უმცროსმა („პატარა“) ძმამ გაიხადა ტანსაცმელი და შეინახა (171:33)

ემხუ ჳან ეძიჰხ ი **ქა ეწჰეხ** მანგ (162:5) – ერთი (შდრ. ძვ. ქართ. სხუა-ე „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) ხარი დაკლეს და ყველა დაპატიყეს.

ქა ედრღე „გაიხადა“ (159:12); **ქა ეწჰეხ** „დაპატიყეს“ (162:5); **ქა ენთენან** „შეეძინა“ (168:36); **ქა ენთენან** „შეეძინათ“ (168:37); **ქა ედწახტურე** „გაიპარსა“ (168:27) და ა. შ.

ბ ა ლ ს ქ ე ე მ ო უ რ ი

ამეჩუ **სგა ეანეხ** წულს – აქ შეიყვანენ ხოლმე („შეიტანენ“) პატარმალს (178:6)

ხოშა გეზალ ესღერდ ი **მეშკიდთელისგა ეთჯედღნ** – უფროსი შვილი მიდიოდა და მჭედელთან მოხვდა („*მიენასვლა“) 231:17 და მისთ.

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ამჟი **წტალეზანსა ერი** ... ლენტეხა – ამ წვალეზაში არის ლენტეხი (303:41)

„იმ ლოქ ხელენი, – ჩხარა ლახტბად რეჭუხ, – მინე დაჩტირ, სანდილ ერ დესა ეგტეჰდ“?! – „ნეტა რას უცდისო, ცხრა ძმამ თქვა („თქვეს“), – ჩვენი („მა-

თი“) და, სადღილი რომ არ მოგვიტანაო („მოგვიტანე“)?! (317:22)

დჰუ ... **სკა ჰმეტეხ** აჯალ – დევი ისევ შემოსულა (335:23)

ამ დურეჟი დჰუ **სკა ჰმეტედ** – ამ დროს („დრო-ზე“) დევი შემოსულა (335:26) და სხვ.

ა+ჰ კომპლექსი, ისევე როგორც **ა+ა**, არა მხოლოდ პრევერბიან ზმნებთან იძლევა ერთ **ჰ**ს, იგი სხვა შემთხვევებშიც ელიზირდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურში, კერძოდ, მაშინ როდესაც გვაქვს: ბქ. **თანდებულიანი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა**, ლნტ. **კუთვნილებითი ნაცვალსახელი + თანდებულიანი არსებითი სახელი** და ა. შ.

ბალსზემოურში ასეთ შემთხვევაში ელიზიის ნაცვლად, როგორც წესი, ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე. ხმოვანთა შერწყმა ამ დიალექტში ხორციელდება არა მხოლოდ პრევერბისეულ ხმოვანსა და მის მომდევნო ზმნის ანლაუტისეულ ხმოვანს შორის, არამედ სხვა შემთხვევებშიც, კერძოდ, მაშინ, როდესაც გვაქვს: ბზ. **ჩვენებითი ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა, უარყოფითი ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა, თანდებულიანი არსებითი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა** და სხვა.

ამრიგად:

1. „სვანური ენის ქრესტომათიაში“ **ა+ჰ** ხმოვანთკომპლექსის შემცველი საკმაოდ მდიდარი მასალა გამოვლინდა ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში, რაც შეეხება ლაშხურს, რომელიც უშუალოდ გამოირჩევა სვანურის სხვა დიალექტებისაგან, ცხადია, **ა+ჰ** ხმოვანთკომპლექსის შემცველი მაგალითებიც არ გამოვლინდებოდა, რადგანაც იქ დამსგავსება კიდევ უფრო შორს მიდის და ვიღებთ **ე**-ს.

2. „სვანური ენის ქრესტომათიაში“ ელიზირებულ ფორმათა პარალელურად საკმაოდ რაოდენობით გამოვლინდა ისეთი ფორმებიც, სადაც **პრევერბისეული ა + პრევერბისეულივე** ან **ზმნისეული ჰ** (ორივე) დაცულია¹.

3. **ა+ჰ** ხმოვანთკომპლექსის ელიზიისას წარმმართველი აღმოჩნდა ბოლო კომპონენტი (**ჰ**), რომელიც ბალსქვემოურსა და ლენტეხურში მის წინ მდგომ ხმოვანს (**ა**) უკვალოდ კარგავს, ხოლო ბალსზემოურში იერთებს და სრულიად იმსგავსებს. ე. ი. **ა+ჰ** კომპლექსის ელიზიაში მმართველის როლს ასრულებს ამ კომპლექსის მეორე კომპონენტი, რომელიც დამძლევი, შესაბამისად გავლენაც რეგრესულია.

4. **ა+ჰ** კომპლექსი არა მხოლოდ პრევერბიან ზმნებთან იძლევა ერთ **ჰ**ს, იგი სხვა შემთხვევებშიც ელიზირდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურში, კერძოდ, მაშინ როდესაც გვაქვს: ბქ. **თანდებულიანი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა**, ლნტ. **კუთვნილებითი ნაცვალსახელი + თანდებულიანი არსებითი სახელი** და ა. შ. ბალსზემოურში კი ასეთ შემთხვევაში ელიზიის ნაცვლად ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე, რომელიც ხორციელდება არა მხოლოდ პრევერბისეულ ხმოვანსა და მის მომდევნო ზმნის ანლაუტისეულ ხმოვანს შორის, არამედ სხვა შემთხვევებშიც,

¹ უელიზიო ფორმებიც გამოვლინდა „სვანურ პროზაულ ტექსტებშიც“.

კერძოდ, მაშინ, როდესაც გვაქვს: **ბზ. ჩვენებითი ნაცვალ-სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, უარყოფითი ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა, თანდებუ-ლიანი არსებითი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა** და სხვ.

წ+ა. წ+ა ხმოვანთკომპლექსებზე სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე, როგორც ცნობილია, ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული. „სვანური ენის ქრესტომათის“ ბალსქვემოურ ნაწილში აღნიშნული კომპლექსის შემცველი უამრავი მაგალითი დადასტურდა, რომელთაგანაც უმეტესობა ელიზირებულია. მაგ.:

მ'ადწხ ← **მწ ადწხ** [წ+ა = ა]

ხამბაჟ ალი ოხოხრა მუხტბეს: „**მ'ადწხ** მიჩა ლახტბა“?! – უკვირს ეს უმცროს („პატარა“) ძმას: „რა იქნენ თავისი („მისი“) ძმები“?! (1) 217:18

მ'ამზაჟ ← **მწ ამზაჟ** [წ+ა = ა]

ათხე ადწად ჯემბტალ დწლეშ გტამტ, ხოლამ ი ხოჩამ, **მ'ამზაჟ** ლი, ეჯის – ახლა ისევ („კიდევ“) მოგიყვები („გ-ი-ა-მზ-ო-ბ“) დალის ხეობის ამზავს („საქმეს“), ცუდს და კარგს, რა ამზავია („ამზავ-ი არის“), იმას (1) 187:16

მ'ადუ ← **მწ ადუ** [წ+ა = ა]

„მიშგუ ნაჰოდ ჰრშილდ **მ'ადუ**“? – ჩემი ნაჩუქარი („ნაყიდი“; „ნაცემი, ე. ი. მიცემული“) ავგაროზი რა უყავი („უქენი“)? (1) 216:23

მ'ახხტიდეს ← **მწ ახხტიდეს** [წ+ა = ა]

წმის ხოქტა წვეტამდ: „... ეჩქახი ესერ ჰერსკნს ადგარი ი გატიშ ლერსგტან ჰაჰკლდისგ'ესერ **მ'ახხტიდეს**, ეჯი ხოჩამდოჟ ამხტინ“ – ამას უთქვამს წვეკასთვის: „იქით („ცოტა მოშორებით“) არჩვს მოკლავო („კლავს“) და გავის მარჯვენა თირკმელში რასაც („რა“) იპოვიო („ეპოვოს“), ის კარგად („კარგადმცა“) შეინახეო („შეინახა““)“ (1) 207:39 და ა. შ.

როგორც ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან გამოჩნდა, მორფემა-თა ზღვარზე **წ+ა** კომპლექსის თავმოყრისას უკვალოდ იკარგება აღნიშნული კომპლექსის პირველი კომპონენტი (წ), ე. ი. მაელიზირებელი გამოდგა კომპლექსის მეორე კომპონენტი, რომელმაც წინა აუსლაუტისეული კომპონენტი (წ) უკვალოდ გააქრო.

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ლენტეხურ დიალექტშიც. მაგ.:

მ'ამზაჟ ← **მა/წ ამზაჟ** [წ+ა = ა]

მაროლას ხანაბაჟ: „აღე **მ'ამზაჟ** ლოქ ირა ედო“? – კაცს („კაცუნას“) უკვირს: „ნეტავი („თორემ“) ეს რა ამზავიაო („იქნება“)? (2) 322:23, 24

მ'ამზაჟ ← **მა/წ ამზაჟ** [წ+ა = ა]

ხენწიფ ლწხეჭუედდა მიჩა მეთხუტარას: „**მ'ამზაჟ** ლოქ ლი, ამოხქა ხტწად ნათხუტარე ლოქ ახაღტენახ ი ათხე დემის ლოქ მოშ წიდეს“? – ხელმწიფემ („ხელმწიფე“) ჰკითხა („შეეკითხა“) თავის („მის“) მონადირეებს: „რა ამზავიაო, აქამდე ბევრი ნანადირევი („*ნა-თხევ-ლ-არ-ი“) მოგქონდათო („მოჰქონდათ თურმე“) და ახლა ვერ („არაო“) მოგაქვთო („მოიტანენ“)?“ (1) 329:15

აღნიშნულ მაგალითებში **ა+ა** ხმოვანთკომპლექსის ელიზისას იკარგება კომპლექსის მეორე კომპონენტი, შესაბამისად გვაქვს პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია.

ჩვენი დაკვირვებით, **ა+ა** ხმოვანთკომბინაციაში ელიზია ვითარდება თითქმის ყოველთვის მაშინ, როდესაც ელიზიურ შესიტყვებაში პირველ კომპონენტად წარმოდგენილია ნაცვალსახელი, რომელსაც მეორე კომპონენტად ახლავს, ძირითადად, ზმნის პირიანი ფორმა, მაგ.: ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა (**მ'ადანხ ← მან ადანხ**, **მ'ადუ ← მან ადუ**, **მ'ახხტიდეს ← მან ახხტიდეს**), თუმცა იშვიათად კონსტრუქციის მეორე შემადგენელ კომპონენტად შედგენილი შემასმენელიც დასტურდება, მაგ.: **ნაცვალსახელი + შედგენილი შემასმენელი (მ'ამბანუ ლი ← მან ამბანუ ლი)** და ა. შ.

ა+ა ხმოვანთკომპლექსის შემცველი უელიზიო ფორმები „სვანური ენის ქრესტომათიაში“ თითქმის არ გამოვლინდა. ერთადერთი ფორმა, რომელიც დავადასტურეთ, ესაა: **ჰარყან ათმერზილ** – ლოთი („არყ-ის მოყვარული“, „არყ-იან-ი“) ათმურზა („ათმურზ-უკა“) 209:37, სადაც ორივე კომპონენტი უცვლელადაა წარმოდგენილი. აღნიშნულ შესიტყვებაში ელიზიის განხორციელება არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც **ჰარყან ათმერზილ** არაბუნებრივად ჟღერს. თანამედროვე სვანურ მეტყველებაზე დაკვირვებამ კი აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში **ა+ა** ხმოვანთკომპლექსის შეხვედრისას ელიზია რატომღაც არ ხორციელდება. მაგ., შდრ.: **სტინან აჩა/ანდ** „ნათლია წავიდა“ და არა **სტინანაჩა/ანდ**, **დამან ანჯიდ** „დამან მოიტანა“ და არა **დამანანჯიდ**, **დორან ანჯიდ** „დოქი მოიტანა“ და არა **დორანანჯიდ** და მრავ. სხვა.

ლაშხურში, რომელიც უშუალოდ გამოირჩევა სვანურის სხვა დიალექტებისაგან, ცხადია, მსგავსი ფონეტიკური პროცესი არც განხორციელდებოდა.

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ ბალსზემოურ დიალექტში?

„სვანური ენის ქრესტომათიაში“ მსგავსი მაგალითები ბალსზემოურისათვის არც დაფიქსირებულა და, ჩვენი აზრით, არც იყო მოსალოდნელი, ვინაიდან, ბალსზემოურ დიალექტში, ბალსქვემოურისაგან და ლენტეხურისაგან განსხვავებით, არ დასტურდება ნულოვანი მორფემით წარმოდგენილი: **მან** „რა“, **ჰარყან** „ლოთი, სმის მოყვარული“ და ა. შ. ტიპის ფორმები (შდრ. ბზ. **მან, ჰარყან**).

საერთოდ სვანურ სახელებს, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი (შანიძე 1957:364; თოფურია 1927:285; სალლიანი 2005), წრფელობითისა და სახელობით ბრუნვათა განსასხვავებლად არავითარი ფორმალური ელემენტი არ გააჩნიათ, ორივე ბრუნვის ნიშანი ნულითაა წარმოდგენილი (ისევე, როგორც ქართული ენის ხევსურულსა და ინგილოურ დიალექტებში) და, ამდენად, სახელთა უმრავლესობა თანხმოვნისანი ფუძეებით გვხვდება. თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სვანურში ნომინატივის ნიშნად **-ი** ხმოვანიც იკარაუდება, რომელიც გაქვავებული სახით აქა-იქ ჯერ კიდევ არის შემორჩენილი (ი. ჩანტლაძე). მეტადრე ეს ითქმის ბალსზემოურ დიალექტზე, სადაც სახელობითი

ბრუნვის ნიშანი -ო → -ი, ჩვენი დაკვირვების მიხედვით, ბევრ სიტყვაშია შემორჩენილი, მაგ.: **აბზინდამ** (შდრ. ბქ. **აბზინდჷ**) „აბზინდა“, **ბამზამ** (შდრ. ბქ., ლნტ. **ბამზჷ**) „ბამზა“, **ბერდენამ** (შდრ. ბქ. **ბერდენჷ**) „ბერდანა“, **დიხსამ** „დიასახლისი“, **დომზამ** (შდრ. ბქ. **დომზჷ**) „დომზა“, **დორამ** (შდრ. ლნტ. **დორჷ**) „დორა“, **კალთამ** (შდრ. ბქ., ლნტ. **კალთჷ**) „კალთა“, **კამრამ** (შდრ. ბქ., უშგ. **კალთჷ**) „კამრა“, **კარდალამ** (შდრ. ლნტ. **კარდალჷ**) „კარდალა“, **კერამ** (შდრ. ბქ. **კერჷ**) „კერა“, **პიტნამ** (შდრ. ლნტ. **პიტნჷ**) „პიტნა“, **სტინამ** (შდრ. ბქ. **სტინჷ**) „ნათლია“, **წინდამ** „წინდა“ და ა. შ. (სალიანი 2005:67-69), ხოლო, რაც შეეხება ბალსქვემოურ დიალექტს, იქ გამონაკლისის სახით გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვა, ესენია: **აორი**, **სემი**, **ბურთი** (სალიანი 2005:245).

სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით ბალსზემოურში იქმნება **ა+ა** ხმოვანთკომბინაცია, რომელსაც სათანადო ადგილას განვიხილავთ.

ბალსქვემოურში¹ **ა+ა** ხმოვანთკომპლექსი იშვიათად, მაგრამ მაინც იძლევა არა **ა-ს**, არამედ **ა** ხმოვანს, ანუ გვაქვს პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზიაც, თუმცა გამოქვეყნებულ სვანურ ტექსტებში მსგავსი მაგალითები ვერ დავაფიქსირეთ. ნიმუშისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

მამზაჷ ← **მამზაჷ** [ა+ა = ა]

მამზაჷ ხარხ ბოფშარს? ჩუათქუციცნანენედ! – რა ამბავი აქვთ ბავშვებს („რა ამბავი აქვთ ბავშვებ-ს“)? გააჩუმეთ („გააწყვეტინეთ“!)

მამთხუიდ ← **მამთხუიდ** [ა+ა = ა]

მამთხუიდ ამგუწრიშ, ერე აღიმანგ ხანისგა ქორთე დემ აჰედ?! – ამისთანა რა მოხდა („რა მოხდა ამ-გვარ-ის“), რომ ამდენ ხანს („ეს ყველა ხან-ში“) სახლში ვერ მოაღწიეთ?

მამლუახ ← **მამლუახ** [ა+ა = ა]

მამლუახ ლეჰუდიდ ზანარს შუანთე? – რა მოაქვთ გასაყიდად მეგრელებს („ზან-ებ-ს“) სვანეთში?

მამლუა ← **მამლუა** [ა+ა = ა]

ლეზუებ მამლუა ჩილადედ ქორთესგა – საჭმელი ჩვენ მოგვაქვს ყოველდღე სახლში (მაგრამ ლეზუებ **მამლუა** ჩილადედ ლახუთე – საჭმელი ჩვენ მიგვაქვს ყოველდღე მთაში, ამ შემთხვევაში იქმნება ა+ე ხმოვანთკომპლექსი და ელიზირდება კომპლექსის წინა კომპონენტი) და მრავ. სხვ.

ამრიგად:

1. სვანური ენის ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში დაფიქსირდა **ა+ა** ხმოვანთკომბინაციის შემცველი მასალა, სადაც ელიზიაა განხორციელებული.

2. არაიდენტურ **ა+ა** კომპლექსის შემთხვევაში გვაქვს როგორც რეგრესულ, ისე პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია.

3. ლაშხურში, რომელიც უშუალოდებით გამოირჩევა სვანურის სხვა დიალექტებისაგან, ცხადია, მსგავსი ფონეტიკური პროცესის განხორციელება არც იყო მოსალოდნელი.

¹ ვგულისხმობთ ზეპირმეტყველების ნიმუშებს.

4. უმლაუტი აუსლაუტის ღია მარცვალში, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ, ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში გვხვდება, რაც შეეხება ბალსზემოურს, რომელსაც მსგავსი ტიპის ფორმები (**ზამზა, კალთა, დუმა** და ა. შ.) არ ახასიათებს (ამგვარ ფორმებში, როგორც უკვე ითქვა, ყველგან -**ა** მაწარმოებელია წარმოდგენილი), იქ, რაღა თქმა უნდა, **ა+ა** კომპლექსი ვერ შეიქმნებოდა.

5. როგორც გაირკვა, **ა+ა** ხმოვანთკომბინაციაში ელიზია ვითარდება თითქმის ყოველთვის მაშინ, როდესაც ელიზიურ შესიტყვებაში პირველ კომპონენტად წარმოდგენილია რომელიმე (**კითხვითი ან პირის**) **ნაცვალსახელი**, რომელსაც მეორე კომპონენტად ახლავს, ძირითადად, **ზმნის პირიანი ფორმა**, იშვიათად – **შედგენილი შემასმენელიც**.

ლიტერატურა

თოფურია 1967 – ვ. თოფურია, შრომები I, თბილისი.

ონიანი 1998 – ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

საღლიანი 2001 – მ. საღლიანი, ელიზია სვანურ ენაში, კავკასიის მაცნე, №3, თბილისი.

საღლიანი 2005 – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდ. დისერტაცია, თბილისი.

საღლიანი 2011 – მ. საღლიანი, იდენტურ ხმოვანთკომპლექსთა ელიზიისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI, თბილისი.

ქალდანი 1953 – მ. ქალდანი, ელიზია სვანურ ენაში, იკე, V, თბილისი.

MEDEA SAGHLIANI, LELA GIGLEMIANI

On the Elision of the Non-identical Compound Vowels a+ä and ä+a in Svan

S u m m a r y

The compound vowels in the simple elision structures divide into two groups: identical and non-identical compound vowels. Since the identical compound vowels (**a+a, ä+ä, e+e, i+i, I+I, o+o, u+u**) have already been discussed in the scientific literature we paid our attention to the non-identical compound vowels **a+ä** and **ä+a** that take part in the simple elision processes. The research material is collected from *The Chrestomathy of the Svan Language* and *Svan Prose Texts*.

In the elision of the compound **a+ä** the dominator is the second part of the compound vowel and accordingly the impact is regressive. As for the non-identical compound vowel **ä+a** the elision based on the progressive as well as regressive impact takes place.

ნარგიზა სურმავა

და კავშირის სემანტიკურ-ფუნქციური დახასიათებისათვის

(დიალექტურ მონაცემთა მიხედვით)

ცოცხალი დიალექტური მეტყველების ამსახველ ტექსტებში თვალში მოსახვედრია, ერთი მხრივ, **და** კავშირის გამოყენების სიხშირე, და მეორე მხრივ, სრულიად აშკარაა ისიც, რომ **და** კავშირის ფუნქცია ყოველთვის არ შემოიფარგლება შერწყმული და პარატაქსული წინადადებებით, შესაბამისად, არ თავსდება ტრადიციული სინტაქსის ჩარჩოებში. ნაშრომში მოცემულია ცდა **და** კავშირის დისკურსული გამოყენების ზოგიერთი ტიპური შემთხვევის გამოვლენა-აღწერისა.

და კავშირის ფუნქციების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით მოკლედ შეიძლება ითქვას შემდეგი:

და მაერთებელი კავშირია, იგი გამოიყენება ერთგვარ წევრთა და მარტივ წინადადებათა შესაკავშირებლად. ამ ფუნქციის მატარებელია სალიტერატურო ქართული ენის არსებობის მთელ მანძილზე. როგორც მაერთებელი კავშირი იგი შეიძლება იყოს:

ა) მაჯგუფებელი; ეს მისი ძირითადი ფუნქციაა;

ბ) მაპირისპირებელი; მისი ეს ფუნქცია ვლინდება შინაარსობრივად დაპირისპირებული ერთგვარი წევრებისა და წინადადებების დაჯგუფების შემთხვევაში, სადაც მისი ჩანაცვლება შესაძლებელია „ხოლო“ კავშირით. მაპირისპირებლის ფუნქციით იგი გვხვდება ძველ ქართულში, საშუალო და თანამედროვე ქართულშიც. მაგალითად: „მე ცეცხლსა ვამლიერებ და შენ წყალსა ასხამ“ (ვისრ.) (ბიძიგური 1969: 26; ჯანელიძე, ასათიანი 2009: 119-129).

გ) შესაძლოა სემანტიკურად უტოლდებოდეს **-ცა** ნაწილაკს. მისი ამ ფუნქციით გამოყენებაზე მიმანიშნებელია წინადადებაში (გამონათქვამში) **და**-ს „სიჭარბე“ – ძველსა და საშუალო ქართულში თარგმნილსა თუ ორიგინალურ ძეგლებში ხშირ შემთხვევაში **და** კავშირი მეორდება და გამოყენებულია ერთგვარი წევრების (მათ შორის, შემასმენლების) თითოეულად შესაერთებლად: „და დაუტევა მამამ **და** დედამ **და** მმანი **და** დანი **და** ნათესავნი **და** მონაგებნი **და** აგარაკები“ (აგ. ძეგლ. გვ. 178); „და იხილა მუნ მგოსნები **და** ერი კრებული **და** შფოთი (მათე, 9,23) (ბიძიგური 1969: 24; შანიძე 1976: 109). ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ იგი ნახმარია **-ცა** ნაწილაკის ფუნქციით. ამ ფუნქციით **და** ნაწილაკი დღესაც შეიძლება შეგვხვდეს ზეპირ მეტყველებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **და** კავშირის ეს ფუნქციები (მაჯგუფებლობა, მაპირისპირებლობა, **ცა-ს** სემანტიკა) დამახასიათებელია მისი ფუნქციური ექვივალენტი კავშირებისათვის სხვა ენებშიც (ბერძნული, სირიული, ებრაული, რუსული, თურქული...), და ამ თვალსაზრისით, ქართული ამ ენებთან ტიპოლოგიურ სიახლოვეს იჩენს, თუმცა ზოგიერთი ფუნქცია (მაგალითად, **ცა-ს** ფუნქცია), შეფასებულია როგორც ინტერფერენციული გავლენის შედეგად შეძენილი – გრეციზმი და ებრაიზმი (შანიძე 1976: 109; სარჯველაძე 1997: 160; დანელია 1979: 92).

და-ს, როგორც მართებული კავშირის, აღნიშნული ფუნქციები ვერ მოიცავს, ვერ ხსნის, ამ კავშირის დიალექტურ დისკურსში გამოყენების მთელ რიგ შემთხვევებს.

კავშირებისთვის *მართებელ* და *მაქვემდებარებელ* ფუნქციებთან ერთად რუსულ ლინგვისტიკაში განისაზღვრა *მიერთებითი* ფუნქცია. კავშირთა მიერთებითი ფუნქცია ვლინდება მიერთებითი კონსტრუქციების დაკავშირების უნარში. მიერთებითი ფუნქცია შესაძლებელია მოეპოვებოდეს როგორც მართებელ, ისე მაქვემდებარებელ კავშირებს. არსებობს აგრეთვე სპეციალურად მიერთებისთვის განკუთვნილი საშუალებები, რომლებიც ხშირად წარმოდგენილია კავშირთა და ნაწილაკთა კომპლექსების სახით. ამ ფუნქციის მატარებელ კავშირთა შორის განიხილება ქართული **და** კავშირის ექვივალენტი **და** და **ი** (აგრეთვე მათი კომპლექსი – **და ი**) კავშირები. ეგვეფუნქცია აღმოაჩნდა ქართულ **და** კავშირს (სერგია 1989: 148-157). ამგვარად, **და** წარმოგვიდგება როგორც მართებული კავშირი მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი და მიერთებითი ფუნქციებით.

მიერთებითი კონსტრუქციებისა და მიერთების საშუალებების შესახებ თეორია უკავშირდება პეშკოვსკის, შჩერბას, ვინოგრადოვის სახელებს. რუსული ენის სინტაქსში **მიერთება** განმარტებულია, როგორც სინტაქსური კავშირის განსაკუთრებული ნაირსახეობა, განსხვავებული თანწყობისა და ქვეწყობისაგან. სინტაქსური ურთიერთობის მხრივ თანწყობისას გამონათქვამის ელემენტები გვევლინებიან როგორც თანასწორუფლებიანი, ხოლო ქვეწყობისას – როგორც დამოკიდებული ერთეულები. მაგრამ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ისინი „თავსდებიან ერთ აზრობრივ სიბრტყეში (ვინოგრადოვი). მიერთების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამონათქვამის მომდევნო ელემენტები წარმოსახვაში წარმოჩნდება არა მაშინვე, არამედ მას შემდეგ, რაც გამოითქმება ძირითადი მოსაზრება. „მიერთებითი ანუ დამრული ჰქვია ისეთ კონსტრუქციებს, რომელშიც ფრაზები ხშირად ვერ თავსდებიან მაშინვე ერთ აზრობრივ სიბრტყეზე, მაგრამ ქმნიან მიერთების ასოციაციურ ჯაჭვს“ (შჩერბა). მიერთებითი კონსტრუქციის დამახასიათებელი თავისებურებაა – ინტონაციური და სინტაქსური წყვეტა მასსა და ძირითად გამონათქვამს შორის. ამიტომაც ის გამოიყოფა ლოგიკურად (ვალგინა, როზენტალი, ფომინა 2002: § 322). ამრიგად, მიერთებული კონსტრუქცია სტრუქტურულად დამოუკიდებელი ფრაზაა, შინაარსობრივად მჭიდროდ დაკავშირებული წინამავალ ფრაზასთან. მიერთებითი კონსტრუქციები დამახასიათებელია ზეფრაზული მთლიანობე-

ბისთვის. ამიტომ, (თუმცა მიერთებას სინტაქსშიც განიხილავენ, როგორც სინტაქსური კავშირის განსაკუთრებულ ნაირსახეობას), როგორც შესწავლის ობიექტი რეალურად იგი სცდება წინადადების დონეს და ტექსტის ლინგვისტიკის სფეროში გადადის, ხოლო მიერთებითი კავშირი წარმოგვიდგება როგორც ტექსტის აგების, გაბმის კოჰეზიური საშუალება. დამოუკიდებელი წინადადებების რთულ სინტაქსურ მთლიანობებში ორგანიზაციის სტრუქტურულ საშუალებებად გვევლინება კავშირები მიერთებითი ფუნქციით, ანაფორულად გამოყენებული ნაცვალსახელები, ზმნისართები, გარემოებითი შესიტყვებები, მოდალური სიტყვები, სიტყვათა რიგი, დროულ-ასპექტური ფორმების შეფარდება, ცალკეული წინადადებების შესაძლებელი უსრულობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინ **მიერთებითი** გარდა იმ კავშირებისა და საკავშირებელი საშუალებებისათვის, რომლებიც ტექსტის ბმულობის, აგების ფუნქციას ასრულებს – ფრაზათაშორის კავშირის მარკირებას უზრუნველყოფს – უახლეს რუსისტიკაში გამოიყენება სხვა, უფრო ზოგადი შინაარსის შემცველი, ტერმინები: **ფრაზათაშორისი სამაგრები (Междфразовые скрепы) – ნაწილაკი-სამაგრი, კავშირი-სამაგრი** (გრიშინა 2007), **კონექტორი** (ურისონი 2012: 627-637). ხოლო ტერმინი **მიერთებითი** იხმარება, ძირითადად, მიერთებით კონსტრუქციებთან მიმართებაში.

მოდვრება მიერთებითი კონსტრუქციებისა და მიერთების საშუალებების შესახებ ჩვენთვის საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მის საფუძველზე იხსნება და კავშირის გამოყენების ზოგიერთი შემთხვევა დიალექტურ დისკურსში, კერძოდ კი, საქმე შეეხება იმ შემთხვევებს, როცა და კავშირი იწყებს აზხაც ან ფრაზას. მიერთებითი თეორიის მიხედვით, პირველ შემთხვევაში მისი ფუნქციაა თხრობის დიდი პერიოდების, ტექსტის ლინგვისტიკის ტერმინოლოგიით, ზეფრაზული ერთეულების ანუ მიკროტექსტების (საერთო თემით შეკრული ტექსტის კომპონენტების) სტრუქტურული დაკავშირება – დასკვნითი ან ახალი თემის შემცველი მიკროტექსტის მიერთება წინამავალ მიკროტექსტთან; ხოლო მეორე შემთხვევაში – წინამავალ ფრაზასთან აზრობრივად შემავსებელი დამატებითი ინფორმაციის შემცველი ახალი ფრაზის დაკავშირება. წინადადებათა მიერთებისას, ჩვეულებრივ, კავშირი (ჩვენს შემთხვევაში, და კავშირი), (რომელსაც, სიტყვათგანლაგების მხრივ, მიერთებული კონსტრუქციის თავკიდური პოზიცია უჭირავს), წინამავალი წინადადებისაგან გამოიყოფა პუნქტუაციურად (წერტილ-მძიმით, მძიმით, წერტილით, მრავალწერტილით – თუ პაუზა გრძელდება), ხოლო ზეპირ მეტყველებაში მიერთებული კონსტრუქციები გამოყოფილია ინტონაციით, პაუზით.

და კავშირის ეს განსხვავებული ხმარება ადრევე იქცა ქართველ მკვლევართა დაკვირვებისა და კვლევის ობიექტად. ქართული სამწერლოზო ძეგლების ტექსტების მიხედვით დეტალურად იქნა აღწერილი და კავშირის „უჩვეულო“ გამოყენების შემთხვევები (ბერიძე 1953: 355-361; დანელია 1979, სარჯველაძე 1984). შემთხვევათა ანალიზისას აქცენტირება ხდებოდა ბერძნულ-ებრაულ გავლენაზე, მასზე რომ რელიგიური წიგნების თარგმნისას აუცილებელ

ნორმად ითვლებოდა მაქსიმალური სიზუსტის დაცვა დამხმარე სიტყვების – კავშირ-ნაწილაკების – დონეზეც. საკუთრივ **და**-სთან დაკავშირებით დამოწმებულია ეფრემ მცირესა და გიორგი მთაწმიდლის გამონათქვამები. „ნუცა **დონ-ანსა** დააკლებთ და ნუცა **რამეთუსა** და ესე ესრე ეგების გონიერისაგან გულისწმის-ყოფად, რომელ იგი **დონ-ანი** ჩუენცა ვიცოდით“ – გიორგი მთაწმიდელი, ფსალმუნთა ხელნაწერის ანდერძიდან (სარჯველაძე 1984: 187). ითვლება, რომ **და**-ს ამ ფუნქციით დამკვიდრებას თანადროულ ორიგინალურსა და, ზოგადად, შემდგომი პერიოდის მწერლობაში, საწყისი დაუდეს ბიბლიური წიგნების თარგმანებმა.

მოგვიანებით **და** კავშირის „უჩვეულო“ გამოყენების შემთხვევები ახსნილი და დასაბუთებული იქნა ტექსტის ლინგვისტიკის პოზიციიდან, როგორც ამ კავშირისათვის დამახასიათებელი მიერთებითი ფუნქციის გამოვლინება (სერგია 1989: 129–138). მკვლევრის ახსნით, **და** მიერთებითი ფუნქციის მატარებელია „შუშანიკის წამების“ საწყის ფრაზაში: „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“ (რაც იმის მტკიცებულებაცაა, რომ „შუშანიკის წამების“ შემონახულ ვერსიას დასაწყისი აკლია), „ვეფხისტყაოსნის“ სტროფთა მეოთხე დასკვნითი სტრიქონის დასაწყისის „ჭარბი“ **და-ც** ამ საფუძველზეა ახსნილი, ისევე როგორც უძველეს პოეტურ ძეგლში „ქებად და დიდებად ქართულისა ენისაჲ“ **და-ს** „მოჭარბებული“ ხმარება.

და კავშირი ძველ ქართულში ზოგჯერ დასტურდება ჰიპოტაქსური ტიპის წინადადებებში, სადაც მისი ფუნქციური ჩანაცვლება შესაძლებელია **რომ**, **რათა** კავშირებით. მაგალითები ძველი ქართულიდან: „მომიპყარ და ვჭამო“ (აბულაძე 1973: 104). „რად გნებავს ჩემგან, და გიყო შენ“. ვ. სერგია მიიჩნევს, რომ მსგავს შემთხვევებში ვლინდება **და** კავშირის მიერთებითი ფუნქცია – მიერთებითი კონსტრუქციის ძირითად ფრაზასთან მიერთების უნარი.

რა თქმა უნდა, ეს ახსნა არ გულისხმობს ბერძნული სამყაროს ლინგვოკულტურული ფუნქციური ზეგავლენის უგულვებელყოფას, არამედ პირიქით, ბერძნული ენის ინტერფერენციული გავლენა წარმოგვიდგება ენათა ტიპოლოგიური სიახლოვის ამ კონკრეტული გამოვლინების ამხსნელ ფაქტორად.

* * *

და კავშირი მიერთებითი, *კოჰეზიური* ფუნქციით ძალზე ხშირია ცოცხალ მეტყველებაში – სასაუბრო ენასა, და განსაკუთრებით, დიალექტურ მეტყველებაში. მოვიყვანთ მაგალითებს დიალექტური ტექსტებიდან, რომლებშიც **და** კავშირი ასრულებს ტექსტის კომპონენტების – მიკროტექსტებისა და გამონათქვამში ფრაზების – სტრუქტურული მაკავშირებლის ფუნქციას:

„წავიდა ე კაცი, მთვრალი იყო, გავაცილეთ, რა! ჩავიდა, ბინეფში ცხოვრობდა ქვევით. **და** ღამე ყვირის, რომ მოკლესო კაციო, ა ესე, აჭარლებმაო რაღაცაო... ასეთი პერიოდი რაღაცა. **და** მამაჩემმა თქვა: ადე, შვილო, წავიდეთ, აქ ვეღარ გავჩერდებითო, რა!“ (ზემოაჭარელი მიგრანტის საუბრიდან, ჩაწერილია ს. ხაშში მ. ბერიძის მიერ).

„ადრე მეც მეშინოდა, ისე გვეიხედე ტყე, ასე გვეიხედე ტყე და ვტიროდი: რა'ნა კქნა ოთხი ბაღანით–მეთქი. **და** მერე მივეჩვიე“ (გურული, ბურნათი¹).

„ბუთინკოვი იყო სუდიაი. **და** ქნიაზმა მცემა მე: გამიშალა ში [შიგ] სახე-ში მთხლემა მენდალი“ (ქართლური, ხიდისთავი, ი. შილაკაძე – ქდკ).

„ამ ხეზე რომ გევეჭენე (გავირბინე), შუაზე რომ გედეველი, თოვლი ნათოვლი იყო და ფეხი გიდიმიშა და გადატვარდი! **და** ხის უკან ასე მოგლეჯილი ხე იყო და იმის უკან ჩატვარდი. ერთი ასე ატხედე, რომ ერთი ოცი მეტრო ჩამოსულა ჩემთან (დათვი) და ასე ზედდან თავდაღმა მიყურეფს. მეგერ (თურქ. თურმე) ბარტყები ყავს ამას, მე რა ვიცი! **და** იმიტონ არ გეძქვა, თვარამ მან გეძქვევოდა! **და** ასე თუ ერთმეორეს უყურეფ, იმან არ გეძქვევა არადროს, დათმა!“ (აჭარული, კირნათი).

„რამითველ მისული ვარ მე. წყალი არ ჩადის! წყალი ჩეუდეს, ომ ტბა არაა, მაღლა იმაზეა... **და** იმიტომ ებნევიან ჯაზიტბა. წყალი შით არ ჩადის, წყალი არ ილევა და დგას ტბა! **და** ძალიან ცივია“ (გურჯული², ბორჩხა).

დიალექტურ მეტყველებაში გამოვლინდება სხვა ტიპური შემთხვევებიც, სადაც **და** კავშირი მიერთებითი ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს:

ა) **და** კავშირი ხშირად გვხვდება დიალოგებში როგორც დიალოგის კითხვა-რეპლიკების შემკვრელი საშუალება.

დიალექტური დისკურსული ჩანაწერი ხშირად საუბრის ფორმას ატარებს, უფრო ზუსტად კი, ინფორმაციული მოდელის დიალოგურ აქტს წარმოადგენს, რომლის მონაწილენი – კომუნიკანტები არიან ჩამწერი – დიალოგის ინიციატორი/ადრესანტი და მთხრობელი – ადრესატი/ადრესატები. (გამოყოფენ დიალოგის ორ მოდელს: ერთი, *ფატიკური*, რომელშიც ჩართულია ორი თანამოსაუბრე, ურთიერთმიმართული და ურთიერთმონაცვლე სამეტყველო ქმედებებით, და მეორე, *ინფორმაციული*, რომელიც ამასთან ერთად შეიცავს მათი *მოქმედების ობიექტსაც*, სალაპარაკო საგანს, მას, რის შესახებაც მიდის მსჯელობა – ფედოროვა 2005). თუ ურთიერთობის მიზანი, რომელსაც ისახავს დიალოგის ინიციატორი, ვერ განხორციელდა ერთი აქტის ფარგლებში, მაშინ დიალოგი გრძელდება გადაჯაჭვული აქტების სახით, რომელშიც ერთი აქტის რეაქცია ემსახურება მომდევნოს აქციას (ფედოროვა 2005).

და კავშირი, როგორც დიალოგის გადაბმის ფუნქციის მატარებელი, ფიგურირებს არა საწყის კითხვაში, არამედ უკვე გაშლილ დიალოგში, უფრო ზუსტად თავად მონაწილეობს დიალოგის გაშლის ორგანიზებაში: ადრესატის რეპლიკა-პასუხი ადრესანტისთვის ახალი კითხვის / ჩაკითხვის მასტიმულირებელი ხდება დიალოგის თემის გასაშლელად, ან კიდევ ახალ თემაზე გადასასვლელად. **და** კავშირი ხშირად გამოიყენება შიდა კითხვებში / ჩაკითხვებში როგორც დიალოგური რგოლების (დიალოგური მთლიანობების) გადაბმის საშუალება. საუბრის სპეციფიკური ფორმიდან გამომდინარე – რადგან დიალოგის ინიციატორად ძირითადად ჩამწერი გვევლინება – ის ხშირად თავად ჩამწერის ჩაკითხვა-რეპლიკაში გვხვდება. შესაძლებელია, შეგვხვდეს ადრესა-

¹ პირადი გამოუქვეყნებელი მასალები წარმოდგენილია ჩამწერზე მითითების გარეშე.

² მოხერხებულად მივიჩნევთ თურქეთის ქართველთა მეტყველების სინონიმად ტერმინ **გურჯულის** გამოყენებას. ცნობილია, რომ საკუთრივ თურქეთის ქართველები თავიანთ თავს გურჯებს, ხოლო თავიანთ მეტყველებას გურჯულს უწოდებენ.

ტის საპასუხო კონტრშეკითხვაში, ან ადრესატთა რეპლიკებში, თუ სამეტყველო აქტში რამდენიმე ადრესატი მონაწილეობს. ჩამწერისა და მთხრობელის მეტყველებაში მისი დადასტურება თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ **და** კავშირის აღნიშნული გამოყენება გავრცელებულია როგორც სასაუბრო-საურთიერთო, ისე დიალექტურ დისკურსში. ორივე შემთხვევაში **და** მიერთებითი კავშირის ფუნქციით გვევლინება, რადგან მისი გამოყენება უკავშირდება დიალოგის თემის ინფორმაციულ შევსებას, ახალ თემაზე გადასვლას. მისი ადგილი ამ დროს რეპლიკის დასაწყისშია, თავკიდურში. მაგალითები:

„ჩამწერი: – ჭიას რას აჭმევდით, რით კვებავდით?

მთხრობელი: – ბჟოლით, თუთა.

ჩამწერი: – **და** ბჟოლის ფოთოლს, ფოთოლს უმახდით თუ ფურცელს?

მთხრობელი: – ფურცელს ემახოდენ, ჰო – ჟოლეს ფურცელი“ (გურული, საჭამიასერი).

„ტყლაპზე დაასხა უნდა ნატურალური თაფლი და შამეიდვა უნდა ფეხზე.

თანამოსაუბრე: – **და** გეიჩერო მთელი ღამე?

– ჰო, შეიხოვ. რამატიულათაც კაია და ისეც კაია.

თანამოსაუბრე: – კაკლებიანა?

– ჰო, კაკლებიანათ და მერე იმას გამობურკავ, ჰოდა იმაზე ვიცით დასხმა, მაგიდაზეც და.

ჩამწერი: – **და** რაც გამოვა წვენი, იმისგან ტყლაპს აკეთებთ?“ (გურული, ბურნათი).

„ზინა: – აგერ ერთი ოთხი-ხუთი დღის წინ მოვიწამლე რალაცით.

ალექსანდრე: – ახლა კად გადარჩი, ქალო, თვარა ქალი მყავდა სამებნელი ამ სიბერეში!

ზინა: – **და** ისეთ დღეში ვიყავი, ისეთ დღეში ვიყავი! **და** ვის დოუმახო? იქეთ არის ერთი, მარტოხელა კაცია, ქვეით – მარტოხელა და ყრუ, ზევით ახალგაზდა კაცია და ოთხმოცი სულია იქინე ვიღაც – ვიღაცეები, მოხელე კაცია, მარა ვერ ნახავ სახში და ვერაფერი! **და** სათ მქონდა იმის ძალა მაინც რო...? **და** ცოტა რომ მევიხედე, მერე ამას მივადექი და ვლანძლე და ვწყევლე.

ალექსანდრე: – ჰო, მაგენი გურიაში იზადებოდენ და აჭარაში და თბილისში იყვენ, რათ უნდოდენ ძებნა?

ზინა: – **და** რომ არ ვყოფილიყავით, რა გეშველებოდენ თქვენ? ანბანის წერა არ გეცოდინებოდენ!“ (გურული, ხიდისთავი).

„მატყელი – შეის (თურქ. şey აქ: დიალექტ. „მე, ისემე“) ვემახით და ჩვენ, მესელა (თურქ. მაგალითად) ცხვრებსა ქი ზრუქში აქვან; **და** – თქვენ რას უზახბით?“ (გურჯული, ბაგინი).

ბ) და კავშირი დიალექტურ დისკურსში ძალზე ხშირად გამოიყენება დიალოგური აქტის სიტყვასიტყვითი განმეორებისას, ასეთი დიალოგის შემადგენელი სხვათასიტყვის ნაწილაკების შემცველი გამონათქვამების დასაკავშირებლად, შესაკრავად. თუ დავაკვირდებით, ეს შემთხვევა მსგავსია წინამავალისა, **და** კავშირი აქაც ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს, ესაა დიალოგური ტექსტის სტრუქტურული ორგანიზაციის, დიალოგის შემადგენელი რეპლიკების გადაბმის ფუნქცია.

დიალოგური აქტების განმეორების ორგანიზება, ჩვეულებრივ, ხდება სხვათა სიტყვის ნაწილაკებისა (-ო, -მეთქი, -თქვა/თქო) და სამეტყველო აქტი-

ვობის გამომხატველი სიტყვების, „თქმა-ზრახვის“ სემანტიკის ზმნათა, მეშვეობით. ამ საშუალებებით ხერხდება წინა და მომდევნო საკომუნიკაციო აქტების მონაწილე პირებს შორის იდენტურობის მიმართების რეგულირება (სოსელია 2009: 98). ახალ საკომუნიკაციო სიტუაციაში ეს საშუალებები გვხვდება მოლაპარაკე პირის რეპლიკებში, ავტორისეულ წინადადებაში (კვაჭაძე 1996: 518-520). წიგნურ ენაში „თქმა-ზრახვის“ სემანტიკის პრედიკატები შეიძლება შეგვხვდეს გავრცობილი სახით – ვითარების, დროისა და ადგილის გარემოებების თანხლებით. ხოლო ზეპირ მეტყველებაში, სადაც ვერბალურთან ერთად აქტიურია არავერბალური საშუალებები (ინტონაცია, ჟესტი, მიმიკა), პრედიკატების გავრცობა შედარებით იშვიათია. მაგალითები:

„ეს (ირმის ხორცი) გადავხრაკეთ და ცხენს მოვკიდეთ, და – ე ლამაზი ტყავია, ტყავი წეწლოთ–მეთქი, – ვუთხარი ამათ.

ჩამოველით; და სოფელი მოხეა დაბლა. შემხტებიან ერთი ქართველი კაცი, და – ჭო, ბიჭო, მაე ხუთი წელია, ჰმ მიგაქო? – მითხრა.

– რაის ხუთი წელს მელაპარიკები–მეთქი?

და – მაე ირემის ტყავიაო, ხუთი წელს მოგისჯიან, მაგაზე რომ დიგიჭირონო, გადააგდე ღელეში, წედეგო.

და ღელეში გადავაგდე ეიზდა (<ე-ის-და), და – „ხუთი წელი სა მიგაქო“ – მითხრა! მე რა ვიცოდი, ხუთწლიანი ციხე იყო, აბა! (აჭარული, კირნათი).“

„რამდენი ფარა გაქ, ემინე–მეთქი, ვუთხარი, და – ერთი მილიონი, და რა მომივდეს'ნაო? და – შენ თანქიო (=თან რომო) მიძახივრ, ერთიო შენ თქვიო!“ (გურჯული, ჯვანი).

განმეორებული დიალოგური აქტების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათში შედარებით ნაკლებია სპონტანურობის ხარისხი, რადგან ფაქტობრივ უკვე რეალიზებული სამეტყველო აქტების კლავწარმოქმნა (და არა წარმოქმნა) ხდება ახალ საკომუნიკაციო სიტუაციაში. ჩვეულებრივ, დიალექტური დისკურსისათვის, (საერთოდ, ზეპირი მეტყველებისთვის), დამახასიათებელია სამეტყველო აქტივობის ზმნის პოზიტივება დიალოგის დასაწყისში, ხოლო შემდგომ ხშირ შემთხვევაში ხდება, ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, მათი ელიფსი (თუმცა არაიშვითია ექსპრესიულ ნიადაგზე აქტივობის ზმნებისა და სხვათა სიტყვის ნაწილაკების „სიჭარბის“ შემთხვევებიც).

დიალექტურ დისკურსულ ტექსტებში გვხვდება სხვათასიტყვის შემცველი დიალოგები, რომლებიც ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლაკონიზმისა და ეკონომიურობის ნიმუშს წარმოადგენენ იმ მხრივ, რომ მათში მინიმალურად არის წარმოდგენილი, ელიმინირებულია სამეტყველო აქტივობის გამომხატველი სიტყვები (თქვა, იფიქრა, ამბობს, ეკითხება...). ასეთთა შორის განიხილება პირველ რიგში ანდაზები, ფოლკლორის კუთვნილებად ქცეული მახვილგონივრული გამონათქვამები, ანეკდოტები, რომელთა განმეორება, კლავწარმოქმნა სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში ხშირად ხდება. ასეთ შემთხვევაში სხვათა ნათქვამის შემცველი დიალოგის დისკურსში / ტექსტში ჩართვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად სიტყვასიტყვით ნაწილაკთან ერთად და კავშირი წარმოგვიდგება. მაგალითები:

„რეიზა გეზარებაო მუშაობა, რეიზაო? **და** – რეიზაო და აი თოხიო, ნამეტარიო მოკლე აქ ტარიო და მეზარება ამიზაო, დეიკუნცხო უნდა და თოხნოო; **და** აქიდან რომ მოვთოხნიდე იქინე, მაშინ კაი იქნებოდაო“ (გურული, ხიდისთავი).

„– რა იქნა ქალოო, – ებნევა მამაჩემი რომე, – ხულელეფს თუ ასახლებენო, შენ რაო? **და** –სხვას რომ მუცელი ეტკინებო, შენ მუცელზე ხელი უნდა მოისვაო“ (გურჯული, ბაგინი).

„ახორში ტირის ნენეე. მივდა ბაბოეო, **და** – ზროხის დერდი გაქო შენო, რუსი ბორჩხას მოსულაო, შენო ზროხის დერდი გაქო? **და** დანა ამეილოო და თოკევიბი დაშქრა ზროხებისაო და გულუშვა ზროხებიო“ (გურჯული, ბაგინი).

„ახლა ამხელა ფეჩი ვიყიდე, პატარა ფეჩი და მომაქ და... ქი გადვიხადე ფული და მოვდივარ, **და** – ქალბატონო, ფეჩის ფულიო? – ამ ძლოლმა მითხრა, **და** – ფეჩის ფული, ბატონო, სამტრედიაში გადვიხადე–მეთქი“ (გურული, ბურნათი).

„შინ მათქ (მიაქვს) ახლა და დაუხვდა ურიაი: ბიჭო, არ გააძყიდი მა ორაგულსაო? – რას მომცემო? **და** რა მოქცეო, **და** რას მეტყვიო?“ (ქართლური, ხიდისთავი, ი. შილაკაძე – ქდკ).

ბ) და კავშირი ზოგჯერ ფრაზათა შეკავშირების ფუნქციით გვხვდება არა თავკიდურ პოზიციაში, არამედ გამონათქვამის ბოლოკიდურად, ნაწილაკის პოზიციაში. მხედველობაშია შემთხვევები:

„ექიმს ვუთხარი, ექიმთან მან ახლოს ვიყავი **და**“ (ზემოაჭარული, სხალთა).

„დედაჩემი ავათ გაგვიხდა, ტიფო დაემართა იქავრი წყლით, წყალმა შეცვალა (=დაცადა) **და**“ (აჭარული, ახალსოფელი).

„– მე მაშინ ყურადღობას ხომ არ ვაქცევდი?! მაშინ პაწა უფრო ახალგაზდაც ვიყავ **და**“ (აჭარული,

„მამამისმა რომ დაკოჭოს, მაიც გამეძქევა, გეისხნის **და**“ (აჭარული, კირნათი).

„ფეჩი ვიყიდე პატარა, ახლა ახალგადმოსული ვიყავი იმგენის სამოსახლოზე **და**“ (გურული, ბურნათი).

„კაკალი სიცხემა მოხრუწა, ერთი ზოორ (=ზალიან) სიცხე ქნა **და**“ (გურჯული, ჯვანი).

„ისე იტყვიან, ჩვენ არ ვიტყვით **და**“ (გურჯული, ბაგინი).

„იქში დაწვე, მოველ **და**“ (გურჯული, ქლასკური).

„მე ახლა აქ ვარ გათხოვილი ბორჩხაში, ბათუმელი ვარ **და**“ (ზემოაჭარული, ბორჩხა).

„– ღამეში ძილი გაქ ნენი? – არ მაქ. დღით მეძინება, ღამეში არ მძინავს **და**. ესენი გავადელე“ (ზემოაჭარული, ვაშლოვანი).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ მიუხედავად **და**-ს ბოლოკიდურა პოზიციისა, სრულიად აშკარაა, რომ იგი კავშირის ფუნქციას ასრულებს და არა ნაწილაკისა. მომდევნო ფრაზა მჭიდრო შინაარსეულ კავშირშია პირველთან – მის შემავსებელ ინფორმაციას შეიცავს, მოქმედების დროული მიმდევრობის (დროის რეალური, არაგრამატიკული გაგებით) მხრივ მომდევნო ფრაზა ხშირად წინ უსწრებს წინამავალ ფრაზას, რადგან თუ პირველ ფრაზაში მოქმედების (უკვე მომხდარის ან მოსახდენის) ფაქტია წარმოდგენილი, მეორე ფრაზაში – მისი ამხსნელი წინარე სიტუაცია ან წინარე ქმედება, რომელმაც ეს მოქმედება წარმოშვა, მოამწიფა. მას, ჩვენი აზრით, უნდა მიეცეს მიერთებითი კონსტრუქციის სტატუსი, რადგანაც მიერთებითი კონსტრუქციების მარკერს წარმოადგენს სწორედ ის, რომ მიერთებული კონსტრუქციები შეიცავენ ძირი-

თადი გამონათქვამის შემავესებელ, დამაზუსტებელ ინფორმაციებს (ვალგინა, როზენტალი, ფომინა 2002: § 321-322).

მსგავს მაგალითებში, ფრაზათა შორის დროული მიმართების „გასწორების“, მოქმედებების თანმიმდევრულად წარმოდგენის შემთხვევაში, მივიღებდით თანწყობილ კონსტრუქციას. მაგალითად: „ექიმს ვუთხარი, ექიმთან ძან ახლოს ვიყავი და“. შდრ. „ექიმთან ძან ახლოს ვიყავი და ექიმს ვუთხარი.“ „დედაჩემი ავით გაგვიხდა, ტიფო დაემართა იქავრი წყლით, წყალმა შეცვალა (=დაცადა) და“. შდრ.: „ტიფო დაემართა იქავრი წყლით, წყალმა შეცვალა და დედაჩემი ავით გაგვიხდა“. „დღით მეძინება, ღამეში არ მიძინავს და“. შდრ.: ღამეში არ მიძინავს და დღით მეძინება“.

ანუ, შეიძლება ითქვას, ეს შემთხვევა, გარკვეული (სინტაქსური) ინტერპრეტაციით, წარმოდგენს პარატაქსული წინადადების ტრანსფორმირებულ სახეს, მიღებულს მისი კომპონენტების შექცევით, შებრუნებით. თუმცა, ტექსტის ლინგვისტიკის პოზიციიდან, მას სულ სხვა შეფასება შეიძლება მიეცეს: ეს არის ორი ფრაზისგან შემდგარი გამონათქვამი, რომლის მეორე ფრაზა შეიცავს დამატებით ინფორმაციას პირველში გადმოცემული ქმედების შესახებ (და წარმოდგენს *მიერთებით კონსტრუქციას* რუსული ლინგვისტიკური ტერმინოლოგიით).

შემთხვევათა ამ ტიპისათვის დამახასიათებელია მიერთებითი და კავშირის უჩვეულო განლაგება გამონათქვამის *ბოლოკიდურა* პოზიციასში.

დ როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის ლინგვისტიკაში და კავშირი ასრულებს ტექსტის გაბმის, შეკვრის ფუნქციას. ამავე ფუნქციით გამოიყენებიან სხვა მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები: *ხოლო, მაგრამ, რომ, კი* (სერგია 1989: 155) და მათი დიალექტური ექვივალენტები: *მარა / ამა* (თურქ.), *რუმ / რომ / რო / ომ, ჟი...*), ასევე – ნაწილაკები და ზმნისართები (და *ბოლოს, ამასთან, მამსადაძე, ამგვარად...*). ნაწილაკები და ზმნისართები შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ დამოუკიდებლად ან სხვა ნაწილაკთან, ან კავშირთან წყვილში. ერთი წყება ნაწილაკებისა გვხვდება და კავშირთან კომპლექსში: შერწყმა ხდება როგორც პრეპოზიციულად, ისე პოსტპოზიციურად დართული და კავშირისა: *დაღათუ* (ძვ.), *დათუ, ანდა, არადა, აქოდა, ვითომცდა, თითქოსდა, მართლაცდა, ცოტაცდა, მერედა, ჰოდა...*(ქგლ). ცალკეული ერთეულების ანალიზისას გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევებში და კავშირი მაკავშირებელ ფუნქციას ანიჭებს ზმნისართსა და ნაწილაკს (აფრიდონიძე 1987: 91-92). ხოლო თავად ზმნისართი და ნაწილაკი ემსახურება შინაარსობრივ ბმას, აზრობრივი მიმართების გამოხატვას, (ვთქვათ, მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის), ძირითად გამონათქვამსა და მიერთებას შორის.

მსგავს კომპლექსებს მეტწილ შემთხვევაში უდასტურდებათ პარალელური სინტაგმური წყვილები, სადაც და კავშირის როლშია წარმოდგენილი და მას პრეპოზიციული მდებარეობა უჭირავს: *და ღათუ* (ძიძიგური 1969: 21-22), *და ან, და ვითომც, და თითქოს, და მართლაც, და მერე*. ეს კომპლექსები (შერწყმულიც და შეურწყმელიც) ასრულებენ კოპეზიური მაკავშირებლის ფუნქციას. აღნიშნული კომპლექსები დიალექტებში შეიძლება შეგვხვდეს გან-

სხვაეგვარი ვარიაციების სახით, მაგალითად: **ჰოდა**-ს დიალექტურ შესატყვისად აჭარულსა და თურქეთის ქართულ კილო-თქმებში ძირითადად იხმარება **ჰეიდა**. როგორც კოჰეზიური საშუალება აქტიურად გამოიყენება როგორც **და**-დართული **ჰეიდა**, ისე დამოუკიდებელი ნაწილაკი **ჰეი**. მათი ჩანაცვლება თავისუფლად შეიძლება **და** კავშირით. მათ შორის, გამოყენებითი თვალსაზრისით, ის განსხვავებაა, რომ **ჰოდა**, **ჰეიდა** უპირატესად გვხვდება შედარებით ხანგრძლივი პაუზის შემდგომ – თემის შეცვლისას (მიკროტექსტის დასაწყისში) ან აზნაცის დასაწყისში. მაგალითები:

„მეგერ (თურქ. თურმე) ბარტყები ყავს ამას (დათვის), მე რა ვიცი! **და** იმიტონ არ გეძევა, თვარამ მან გეძევევოდა! ბარტყები არ დატია ამან. **ჰეიდა**, მემრე ბარტყებმა რომ წუჟდენ შორ, ამანაც ადგა და წუჟდა, მომცილდა.“ (აჭარული, კირნათი).

„...წველით და, აკრძალულია ღორი მოკლა, მოვკალით. დიდი ღორი იყო ძალ-დან, **და** – ბაზარზე წუჟლოთო, – ვთქვით.“

ეი, ბაზარზე წეალო, მარა შენ რომ ღორი არ ქყავს აქა, ჰა ნახე ე ღორი? ერთმა მაგის ძმამ გვითხრა, რომ სომხეფს გავაყიდითო. **ჰეიდა**, სომხებთან რაცხა ვერ შევთანხმდით და ჩვენ ვყიდვით და სომხებმა გვიჩივლეს და დიგვიჭირეს“ (აჭარული, კირნათი).

„**და მართლა**, ასე შევხთი მე ტყეში (დათვის), ასე გახიდული ხე იყო ამისიმაღლე-ზე და იგზე შუუხტი და ეველ და გაუშეშდი!...“ (აჭარული, კირნათი).

აჭარულსა და თურქეთის ქართულ კილო-თქმებში გავრცელებულია **აჰადა/აჰანდა** ნაწილაკი, იგი გვხვდება **და აჰა** კომპლექსის სახითაც (კომპლექსის სახით შეიძლება შეგვხვდეს სხვა დიალექტებშიც). იგი მოგვაგონებს ძველქართულში დადასტურებულ **და, აჰა; და აჰა, ესერა** ტიპის გამოთქმებს. მიჩნეულია, რომ ესაა ებრაულის კალკი, ძველ ქართულში ბერძნულის მეშვეობით შემოსული (სარჯველაძე 1984: 180). მაგალითები:

„**აჰადა** გაგჭრივო და ხმალი წეილო ქალისაკენ“ (ზემოაჭარული, ჯ. ნოღაიდელი – ქდვ).

„**აჰადა**, რამე დამმართნოდა, ჰა მიხვიდოდი მემრე!“ (ზემოაჭარული, ტ. აბულაძე – ქდვ).

„ის დაწერა ქალიზე და მოგვცა ქი, **აჰადა** თქვენ არავინ არაფერს არ გეტყვისო!“ (გურჯული, ხოხლევია, შ. ფუტკარაძე – ქდვ).

„**აჰანდა** დეგვეწივნენ, **აჰანდა** დეგვეწივნენ, არ იქნა!“ (გურჯული, აგარა, შ. ფუტკარაძე – ქდვ).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია კავშირთა დაყოფა შეკავშირების უნარიდან გამომდინარე რბილ და ხისტ კავშირებად. ხისტად ითვლება კავშირი, რომელსაც აქვს მხოლოდ იმის უნარი, რომ შეაკავშიროს ორი წინადადება რთულ წინადადებაში. ხოლო მაქსიმალურად რბილ კავშირად ითვლება კავშირი, რომელსაც შესწევს უნარი, ამასთან ერთად, დააკავშიროს როგორც ორი დამოუკიდებელი გამონათქვამი, ისე დამოუკიდებელი გამონათქვამი გამონათქვამთა მთელ ჯგუფთან. კონექტორის, ტექსტის ფრაგმენტების მაკავშირებლის, როლში გამოდის მხოლოდ რბილი კავშირები (ურისონი 2012: 628-631).

ამ კლასიფიკაციით, **და** კავშირი წარმოვიდგება მაქსიმალურად რბილ კავშირად, რადგან იგი მაკავშირებლის ფუნქციას ასრულებს წინადადებისა (სიტყვაფორმების – ერთგვარი წევრების, დაკავშირება; თანწყობილი წინადა-

დების ნაწილების დაკავშირება) და ტექსტის (დამოუკიდებელი ფრაზების, მიერთებითი კონსტრუქციების; ზეფრაზული ერთეულების დაკავშირება) დონეებზე.

ზემომოყვანილი მსჯელობის, დიალექტური ტექსტების ანალიზის შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვათგანლაგების მხრივ და კავშირის პოზიციები ასეთია:

- როგორც *მაერთებელი* კავშირი იგი გვხვდება წინადადების **შიგნით** (შერწყმულ წინადადებაში) ან მარტივ წინადადებათა **ზღვარზე** (პარატაქსულ კონსტრუქციაში),

- როგორც *მიერთებითი* კავშირი – *კონექტორი* იგი გვხვდება: წინადადების **დასაწყისში** (როცა გვაქვს წინადადების მიერთება), **აზნაცის დასაწყისში** (ვრცელი თხრობითი პერიოდის, მიკროტექსტის მიერთებისას) და გამონათქვამის **ბოლოს** გარკვეული ტიპის კონსტრუქციებში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ წერითი და ზეპირი მეტყველება განსხვავებას ავლენენ მიერთებითი კავშირების სიხშირული გამოყენების მხრივ (სერგია 1989: 147). მასალობრივი სხვაობა (ვარიაციულობა) კოჰეზიური საშუალებებისა, ისევე როგორც ამ საშუალებათა გამოყენების სიხშირული გრადაცია, მოსალოდნელია ცალკეული დიალექტების დონეზეც. ამ თვალსაზრისით დიალექტური ტექსტების ანალიზი საინტერესო შედეგს მოგვცემდა.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

აფრიდონიძე 1987 – შ. აფრიდონიძე, ნაწილაკების განლაგება ზოგად კითხვებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXVI, თბილისი.

გრიშინა 2007 – Гришина Е. А., О маркерах разговорной речи, Труды международной конференции Диалог 2007. Москва, Наука. <http://www.dialog-21.ru/digests/dialog2007/materials/html/22.htm>

დანელია 1979 – ვ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, თბილისი.

ვალგინა, როზენტალი, ფომინა 2002 – Н. С. Валгина, Д. Э. Розенталь, М. И. Фомина, Современный русский язык: Учебник / Под редакцией Н. С. Валгиной. – 6-е изд., перераб. и доп., Москва: Логос. <http://www.hi-edu.ru/e-books/xbook107/01/>

კვაჭაძე 1996 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

სარჯველაძე 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

სარჯველაძე 1997 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

სერგია 1989 – ვ. სერგია, ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი.

სოსელია 2009 – ე. სოსელია, სხვათა სიტყვის **და** ნაწილაკი და მისი ფუნქცია ტექსტში – ინფორმაციის სტრუქტურირება, თბილისი.

ურისონი 2012 – Е. В. Урысон, Союзы, коннекторы и теория валентностей, Труды международной конференции Диалог, т. 1, стр. 627-637.

<http://www.dialog-21.ru/media/1368/146.pdf>

ფედოროვა 2005 – Л. Л. Федорова, Грамматика диалога: Основные категории, Труды международной конференции Диалог. Москва, Наука.

<http://www.dialog-21.ru/digest/2005/articles/>

ქდკ – ქართული დიალექტური კორპუსი <http://corpora.co/#/>

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

ძიმიგური 1969 – შ. ძიმიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი.

ჯანელიძე, ასათიანი 2009 – თ. ჯანელიძე და რ. ასათიანი, მაპირისპირებული კავშირების ფუნქციური ანალიზი ქართულში – ინფორმაციის სტრუქტურირება, თბილისი.

NARGIZA SURMAVA

On the Semantic-functional Characterization of the Conjunction *da* „And“

(Based on the Dialectal data)

S u m m a r y

The conjunction **da** „and“ is widely used in the literary language and verbal speech as a means for building a text, cohesion. The paper presents an attempt to reveal and characterise the typical cases of its usage with this function in the dialectal discourse. In particular, the conjunction **da** „and“ is systematically used in the dialogues as a means of connecting the dialogue circles. It performs the same function the repetition of the acts of dialogues. The conjunction **da** „and“ is often combined with the particles and the verbal affixes and performs the function of a connector of phrases and micro texts. The conjunction **da** „and“ may be placed in the middle of a sentence, at the beginning of a paragraph and a phrase and at the end of an expression.

თედო უთურგაიძე

**მრავლობითი რიცხვის მარკირება
ქართულ ზმნებში**

ზმნურ ქმედებაში (აქტში) შეიძლება ერთი ან ერთზე მეტი აქტანტი იყოს ჩართული. ზოგი აქტანტი საკუთარი ნიშნით არის წარმოდგენილი ზმნის ფორმაში – ესენი პირმომართი აქტანტებია, დანარჩენები კი პირმიუმართავია, მათ სინტაქსის ენაზე უბრალო დამატებებს უწოდებენ.

პირმომართი აქტანტები, გარდა პირის ნიშნისა, ზმნის ფორმაში რაოდენობრივადაც არიან განსაზღვრული: მრავალთა ქმედება სპეციალურად აღინიშნება, რაც კარგად არის ცნობილი, მაგრამ ნაკლებად ექცეოდა ყურადღება პირთა დაშვებულ კომბინაციებში მონაწილე აქტანტთა მრავლობითი რიცხვის მარკირებას – კონკრეტულად მარკირების სახეობებს. ამის განსაზღვრა კი აუცილებელია ენობრივ სისტემათა აღწერაში.

წარმოვადგენთ აქტანტთა მრავლობითი რიცხვის მარკირების წესებს ორ- და სამპირიან დინამიკურ და სტატიკურ ზმნებში.

**აქტანტთა მრავლობითი რიცხვის მარკირება
დინამიკურ ზმნებში**

დაწყებული ძველი ქართულიდან დღემდე დინამიკურ ზმნებში (აქტივებსა და პასივებში) **სუბიექტის სიმრავლე** ყოველთვის გამოიხატებოდა ზმნის ფორმით, გამოიხატებოდა მაშინაც კი, როცა პირის ნიშანი ფიზიკურად არ იყო მარკირებული ზმნის ფორმაში; ასეთი ფორმა, მაგალითად, I სერიაში ოთხია $S_1^p O_2^d$ (გხატავ-თ), $S_1^p O_2^{dp}$ (გხატავ-თ); $S_2^p O_1^d$ (მხატავ-თ), $S_2^p O_1^{dp}$ (გვხატავ-თ).

მართალია, $S_1^p O_2^d$ და $S_1^p O_2^{dp}$ კომბინაციები გამოხატულების პლანით ემთხვევიან ერთიმეორეს („გხატავ-თ“), მაგრამ როგორც გრამატიკული ფორმები, ისინი განსხვავებულია: პირველ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტი მხოლოდით რიცხვშია, მეორე შემთხვევაში – მრავლობით რიცხვში. ეს სხვაობა მატერიალურად თავს იჩენს კონვერსიულ პასივებში: გხატავთ (ჩვენ შენ) ~ იხატები (შენ); შდრ. გხატავთ (ჩვენ თქვენ) ~ იხატებით (თქვენ).

მორფონოლოგიური თვალსაზრისითაც იქცევა ყურადღებას კომბინაცია $S_1^p O_2^{dp}$ (გხატავთ): რადგან თანამედროვე ქართულში არის /მე გხატავთ თქვენ/, ე. ი. პირდაპირი ობიექტის სიმრავლე მეორე პირში -თ სუფიქსით გამოიხატება, ისევე როგორც სუბიექტის სიმრავლე I პირში – /ჩვენ გხატავთ

შენ/, შესიტყვებაში განხორციელებულა მორფონოლოგიური ცვლილება – ზმნის ფორმაში ორი **-თ** სუფიქსის ადგილზე წარმოდგენილია მხოლოდ ერთი: *გხატავთ- **თ** > გხატავთ. რა თქმა უნდა, /თ-თ/ კომბინაცია წარმოქმნის პროცესშივე მარტივდება, რადგან ქართულისთვის მიუღებელია გამოხატულების პლანით იდენტურ ფლექსიურ ელემენტთა გემინირება; გ ხ ა ტ ა ვ თ (ჩვენ თქვენ) ფორმაში რომ ორივე აქტანტის სიმრავლის მარკირება უნდა დავუშვათ, დასტურდება $S_2^p O_1^{dp}$ კომბინაციის ფორმითაც: **გგ-ხატავთ**, სადაც სუბიექტისა და ობიექტის მრავლობითობა ფიზიკურად არის წარმოდგენილი.

პირდაპირი ობიექტის I პირის სიმრავლე მარკირებულია **გგ**- პრეფიქსით სუბიექტურ II და III პირებთან როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში:

$S_2 O_1^{dp}$ – **გგ-ხატავ** (ჩვენ შენ)

$S_3 O_1^{dp}$ – **გგ-ხატავს** (ჩვენ ის)

$S_2^p O_1^{dp}$ – **გგ-ხატავთ** (თქვენ ჩვენ)

$S_3^p O_1^{dp}$ – **გგ-ხატავენ** (ისინი ჩვენ)

პირდაპირი ობიექტის II პირის სიმრავლე (O_2^{dp}) მარკირებულია **-თ** სუფიქსით მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის სუბიექტურ I პირთან და მხოლოდითი რიცხვის III პირთან.

$S_1 O_2^{dp}$ – **გხატავთ** (თქვენ მე)

$S_1^p O_2^{dp}$ – **გხატავთ** (თქვენ ჩვენ)*

$S_3 O_2^{dp}$ – **გხატავთ** (თქვენ ის) < **გხატავს-თ** – ეს ფორმა დასტურდება როგორც საშუალო ქართულში, ისე თანამედროვე დიალექტებში (აღმოსავლეთი საქართველოს მთის კილოებში).

O_2^{dp} -ის სიმრავლე არ არის მარკირებული S_3^p -ის გვერდით – ისინი გხატავენ **თქვენ**. მარკირებულია O_2^{dp} -ის მხოლოდ პირი **გ**- პრეფიქსით, მისი სიმრავლე კი არ არის მარკირებული, როგორც ეს გვაქვს მრავლობითი რიცხვის I და მხ. რიცხვის III პირთა სუბიექტებთან დღეს. ძველი ქართულის I სერიაში O_2^{dp} -ის რიცხვი საერთოდ არ იყო მარკირებული, მარკირებული იყო მხოლოდ II სერიაში I და III პირთა სუბიექტთან როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში (მე დაგხატენ **თქუნენ**, მან დაგხატენ **ნ-ა თქუნენ**; ჩვენ დაგხატენ **თ თქუნენ**, მათ დაგხატენ **ნ-ეს თქუნენ**), ამიტომ მოსალოდნელი იყო ახალ ქართულშიც, სადაც O_2^{dp} -ის სიმრავლე I სერიაშიც აღინიშნება ისევე, როგორც II სერიაში. O_2^{dp} -ის სიმრავლე რომ მარკირებული უნდა ყოფილიყო S_3^p -ის გვერდით, იმითაც არის სავარაუდებელი, რომ იგი მარკირებულია S_3 -ის გვერდით (ის **გხატავთ თქვენ**)*. მაშასადამე, გ ხ ა ტ ა ვ ე ნ (ისინი თქვენ) ფორმაში საქმე უდავოდ მორფონოლოგიურ ცვლილებასთან გვაქვს: მეორე პირის პირდაპირი

* ამ კომბინაციაში მომხდარი მორფონოლოგიური ცვლილებების შესახებ იხ. ზემოთ.

** **გხატავს-თ** (ის თქვენ) საშუალო ქართულისა და მთის დიალექტებისთვის ბუნებრივი ფორმაა; მორფონოლოგიური ცვლილებით -ს (S_3) ჩავარდა (გხატავსთ > გხატავთ).

ობიექტის სიმრავლე ფლექსიური ნულით არის წარმოდგენილი (გხატავ-ენ-ღ), რაც უკავშირდება ფონემათა /ნთ/ კომბინაციას: გხატავ-ენ-თ > გხატავენ-ღ.* გ ხ ა ტ ვ ე ნ თ (თქვენ ისინი) აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიალექტებისთვის ბუნებრივი ფორმაა (გაწვალეხენთ, გაწუხებენთ... ასევე პასივის ფორმები: გეხმარებიანთ, გედრებიანთ... კანონიკური ფორმებია ამ დიალექტებისთვის).

პირდაპირი ობიექტი მესამე პირში თანამედროვე ქართულში არ არის მარკირებული არც პირის ნიშნით და არც სიმრავლის ნიშნით.

$S_1 O_3^{dp}$ – ვხატავ მე მათ

$S_2 O_3^{dp}$ – ხატავ შენ „—“

$S_3 O_3^{dp}$ – ხატავს ის „—“

როცა ეს სუბიექტები მრავლობით რიცხვშია, პირდაპირი ობიექტის სიმრავლე მესამე პირში არც მაშინ არის მარკირებული. ჩვენ ვხატავთ მათ – თ სუფიქსი აქ S_1^p -ის სიმრავლეს გამოხატავს, ანალოგიურია ვითარება S_2^p და S_3^p -სთან.

$S_2^p O_3^{dp}$ – ხატავთ (თქვენ მათ),

$S_3^p O_3^{dp}$ – ხატავენ (ისინი მათ). I სერიის ეს ნორმა II სერიაშიც გადადის (მე დავხატე ისინი, ჩვენ დავხატეთ ისინი ...). აქ თანამედროვე ქართული განსხვავებას გვიჩვენებს ძველი ქართულისგან, სადაც პირდაპირ ობიექტის მრავლობითი რიცხვი ყველა პირში იყო მარკირებული II სერიის ფორმებში.

მე დავხატენ იგინი, შდრ. მე დავხატე ისინი.

შენ დაჰხატენ იგინი, შდრ. შენ დახატე ისინი.

მან დახატა იგინი, შდრ. მან დახატა ისინი.

O_3^{dp} -ის მარკირება არც S_1^p -თან, S_2^p -სთან და S_3^p -სთან ხდება (ჩვენ დავხატეთ ისინი – თ სუფიქსი აქ სუბიექტის სიმრავლეს გამხატავს...).

აქ საყურადღებო ის არის, რომ ახალმა ქართულმა, განსხვავებით ძველი ქართულისგან, პირდაპირი ობიექტის მესამე პირის სიმრავლის გამოხატვის I სერიის წესი განავრცო II სერიის ფორმებზეც. უფრო ზუსტად: სიმრავლის არ-გამოხატვის წესი განავრცო.

ირიბი ობიექტის **I პირის** ს ი მ რ ა ვ ლ ე დინამიკურ ზმნათა ყველა კომბინაციაშია მარკირებული სუბიექტურ II და III პირებთან**.

$S_2 O_1^{indp}$ – გვ-ეხვეწები შენ ჩვენ

$S_3 O_1^{indp}$ – გვ-ეხვეწება ის ჩვენ

$S_2^p O_1^{indp}$ – გვ-ეხვეწებით თქვენ ჩვენ

$S_3^p O_1^{indp}$ – გვ-ეხვეწებიან ისინი ჩვენ

* პაუზის წინ (სიტყვის ბოლოში) სონორი + ჩქამიერი თანხმოვანი არაბუნებრივი კომბინაციაა (თ. უთურგაიძე, 1976, 102).

** ამ პირის სიმრავლე სუბიექტურ I პირთან ($S_1 O_1^{indp}$) გამორიცხულია: მე ჩვენ ($S_1 O_1^p$) კომბინაცია ქართულ ენაში საერთოდ არ რეალიზდება.

ირიბი ობიექტის **II პირის** სიმრავლე მარკირებულია დინამიკურ ზმნათა სუბიექტურ I პირთან როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში.

$S_1 O_2^{indp}$ – გ-ეხვეწები-თ მე **თქვენ**

$S_1^p O_2^{indp}$ – გ-ეხვეწები-თ ჩვენ **თქვენ**

ჩვენ თქვენ გეხვეწებით < *გეხვეწები-თ-თ სავარაუდებელია, რადგან არსებობს **ჩვენ** შენ გეხვეწები-თ (შდრ. მე **თქვენ** გეხვეწები-თ). ქართულ ენაში იდენტური გამოხატულების ფლექსიურ ელემენტთა რეალიზაცია ერთიმეორის გვერდით საერთოდ არ ხდება ნებისმიერ პოზიციაში, ამიტომ სავარაუდებელი -თ-თ (*გეხვეწები-თ-თ) წარმოდენილია ფონემატურად გამარტივებული ერთი -თ სუფიქსით.

ირიბი ობიექტის მესამე პირის სიმრავლე არ არის მარკირებული სუბიექტურ პირებთან არც მხოლოდით და არც მრავლობით რიცხვში. ამ კომბინაციებში მარკირებულია მხოლოდ სუბიექტურ პირთა სიმრავლე.

$S_1 O_3^{indp}$ – ვეხვეწები მე **მათ**; $S_1^p O_3^{indp}$ – ვეხვეწებით ჩვენ **მათ**

$S_2 O_3^{indp}$ – ეხვეწები შენ **მათ**; $S_2^p O_3^{indp}$ – ეხვეწებით თქვენ **მათ**

$S_3 O_3^{indp}$ – ეხვეწება ის **მათ**; $S_3^p O_3^{indp}$ – ეხვეწებიან ისინი **მათ**

სამპირიან აქტივთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: ერთ ჯგუფში პირცვალება-დია პირდაპირი ობიექტი, მეორე ჯგუფში – ირიბი ობიექტი. ამ უკანასკნელთა რაოდენობა სამპირიან ზმნებში შეუზღუდავია, პირველი ჯგუფის ფორმები კი რამდენიმე ათეულით ამოიწურება.

პირცვალებადი ობიექტის გვერდით მეორე ობიექტი პირუცვლელია, ამის პირი და რიცხვი ზმნათა ფორმებში არ არის მარკირებული, პირცვალებადი ობიექტის პირისა და რიცხვის მარკირება კი ორპირიან აქტივთა წესთა მიხედვით ხდება. სანიშნოდ წარმოვადგენთ პარადიგმის ნაწილს.

შენ (S_2) – გვ-აშორებ **ჩვენ** (O_1^{indp}) მას

ის (S_3) – გვ-აშორებს **ჩვენ** მას

თქვენ (S_2^p) – გვ-აშორებთ **ჩვენ** მას

ისინი (S_3^p) – გვ-აშორებენ **ჩვენ** მას

წყვეტილში: შენ (S_2) გვ-აშორე **ჩვენ** ის

მან (S_3) გვ-აშორა **ჩვენ** ის და ა. შ.

და ბოლოს: შესაძლებელია, რომ რომელიმე პირმომართი ობიექტი (O^{ind} ან O^d) სუბიექტის რომელობისა იყოს, ე. ი. იმავე პირში იდგეს, რომელშიც სუბიექტი დგას. ასეთ შემთხვევებში ობიექტები **თავი** ნაცვალსახელით ფორმდება წინადადებებში და დიფერენცირებული ხდება*.

* მე, შენ, ის; ჩვენ, თქვენ, ისინი დიფერენცირებული ნაცვალსახელება – ისინი კონკრეტულ აქტანტებზე მიუთითებენ; თავი გაუდიფერენცირებელი ნაცვალსახელია ზოგადად – ნებისმიერი დიფერენცირებული ნაცვალსახელის ადგილზე შეიძლება მისი ხმარება. **თავი** დიფერენცირებული ხდება სუბიექტის გვერდით: იმავე რომლობისა ხდება, რომელსაც სუბიექტი მიეკუთვნება.

სანიმუშო ფორმები „ვეფხისტყაოსნიდან“

თ ა ვ ს ა ირიბი ობიექტის I პირის ფორმაა:

„თ ა ვ ს ა ვაბრალოზ საქმესა, არ დასმით გაგონებულსა“ (1344, 2).

აქ „თავსა“ ირიბი ობიექტია I პირში, როგორც სუბიექტი (სავარაუდოდ მე), და ენაცვლება „მე“-ს: ზმნასთან ორი აქტანტი I პირში დგას: ერთი „მე“ სუბიექტია (**მე** თავს ვაბრალოზ „ვაბრალებ“ ამ საქმეს), მეორე მე ირიბი ობიექტია (ვაბრალოზ **ჩემ თავს** ამ საქმეს), რაც ცხადი ხდება კონვერსიული პასივის ფორმით:

„თ ა ვ ს ა ვაბრალოზ საქმესა“ ~ **მე** მბრალდება საქმე. ამ პასივის „მე“-ს ადგილზე II ან III პირის ნაცვალსახელს ვერ ჩავსვამთ კონვერსიის პრინციპთა დაურღვევლად. ანალოგიურია ვითარება II და III პირებთანაც.

თ ა ვ ნ ი პირდაპირი ობიექტის I პირის ფორმაა. „ფიცხლად წავუღეთ ქალაქი, არ თ ა ვ ნ ი გავაზანტენით“ (621, 2). თ ა ვ ნ ი აქ პირდაპირი ობიექტია I პირში და მრავლობით რიცხვში. (ჩვენ) თ ა ვ ნ ი გ ა ვ ა ზ ა ნ ტ ე ნ ი თ ~ გ ა ვ ზ ა ნ ტ დ ი თ ჩ ვ ე ნ .

თუ ირიბი თ ა ვ ს ა სუბიექტის მრავლობით რიცხვს გაიმეორებს, კონვერსიულ პასივშიც გამოეხატება მას ეს სიმრავლე:

(ჩვენ) თ ა ვ ს ვაბრალებთ ამ საქმეს ~ **ჩვენ გვ**-ბრალდება ეს საქმე.

(თქვენ) თ ა ვ ს აბრალებთ ამ საქმეს ~ **თქვენ გვ**ბრალდებათ ეს საქმე.

(ისინი) თ ა ვ ს აბრალებენ ამ საქმეს ~ **მათ ჰ**-ბრალდება(-თ) ეს საქმე.

რაც შეეხება აქტივის ფორმაში პირდაპირ ობიექტად წარმოდგენილ „თ ა ვ ნ ი“ ნაცვალსახელს, კონვერსიულ პასივში, როგორც სუბიექტი, სუბიექტის შესაბამის ნიშნებს გაიჩენს.

თ ა ვ ნ ი გ ა ა ზ ა ნ ტ ე ნ ი თ ~ თ ქ ვ ე ნ გ ა (ჰ) ზ ა ნ ტ დ ი თ

თ ა ვ ნ ი გ ა ა ზ ა ნ ტ ე ს ~ ი ს ი ნ ი გ ა ა ზ ა ნ ტ დ - **ნენ**,

ძვ. ქართულით: თ ა ვ ნ ი გ ა ა ზ ა ნ ტ **ნეს** ~ ი გ ი ნ ი გ ა ა ზ ა ნ ტ **დეს**.

პირთა მრავლობითი რიცხვის მარკირება სტატიკურ ზმნებში

სტატიკურია სტატიკური ვნებითები და საშუალო გვარის ყველა ზმნა. მათი სტატიკურობა ვლინდება გეზის კატეგორიასთან შეუღებლობით.

როდესაც ზმნისა და მასთან დაკავშირებული აქტანტის რიცხვით ურთიერთობაზე არის მსჯელობა, არსებითია იმის გააზრება, რომ, მიუხედავად ფორმალური ურთიერთობისა, ზმნა-შემასმენელი ყოველთვის იმ რიცხვის გამომხატველია, რომელიც მასთან დაკავშირებულ პირს აქვს: ძველი ქართულის /კაცები მოვიდა/ და ახალი ქართულის /კაცები მოვიდნენ/ წყვილები გრამატიკული გაფორმებით დიამეტრალურად განსხვავდებიან, მაგრამ ძველი „მოვიდა“ და ახალი „მოვიდნენ“ აბსოლუტურად იდენტური არიან „კაცები“ ქვემდებარის რიცხვის გააზრების მიხედვით: /კაცები მოვიდა/ სინტაგმაში „მოვიდა“ ყველა იმ პირის ქმედებას

გამოხატავდა, რომლებიც „კაცები“ ფორმით მოიაზრებოდა. ამ გაგებას კი „მოვიდა“ ფორმას აძლევდა მასთან დაკავშირებული „კაცები“ სუბსტანტივი, მაშასადამე, ძველი ქართულის /კაცები მოვიდა/ სინტაგმაში შეთანხმებაა მრავლობით რიცხვში, რომელიც, განსხვავებით თანამედროვე ქართულისაგან, შესიტყვებაში /კაცები მოვიდა/ რიცხვში შეთანხმებას ცალმხრივ – მხოლოდ სუბიექტის მრავლობითი რიცხვის მარკირებით გამოხატავდა (ამ შემთხვევაში მეორე მხარეს თვით ქვემდებარის მრავლობითი რიცხვის ფორმა წარმოადგენდა). სწორედ ამიტომ ახალ ქართულში უკვე რეალურად არსებულ რიცხვით შეთანხმებას მოჰყვა ორმხრივი ფორმალური შეთანხმება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის.

ცალმხრივ მარკირებული რიცხვითი შეთანხმება და ორმხრივ მარკირებული რიცხვითი შეთანხმება სინტაქსური ურთიერთობის იდენტური სახეობებია.

სტატიკურ ზმნებში განვიხილავთ სუბიექტურ და ირიბობიექტურ პირთა არაიდენტური რომელობის გავრცელებულ კომბინაციებს, ვთქვათ $S_1 O_2^{ind}$ –

მე გ-ყავ(ვ)-ვარ შენ, $S_2 O_1$ – შენ მ-ყავ-ხარ მე... III პირთა კომბინაციებიც ($S_3 O_3^{ind}$) ბუნებრივია, როცა ისინი სხვადასხვა საგანზე ან პერსონაზე მიუთითებენ (ის მას, ისინი მას, ის მათ...).

რაც შეეხება პირთა სიმრავლის მარკირებას სტატიკურ ზმნათა ფორმებში: ირიბი ობიექტის I პირის სიმრავლე მარკირებულია **გვ**-პრეფიქსით სუბიექტთან ყველა კომბინაციაში.

$S_2 O_1^{indp}$ – შენ **გვ**-ყავ-ხარ **ჩვენ**

$S_2^p O_1^{indp}$ – თქვენ **გვ**-ყავ-ხართ **ჩვენ**

$S_3 O_1^{indp}$ – ის **გვ**-ყავ-ს **ჩვენ**

$S_3^p O_1^{indp}$ – ისინი **გვ**-ყავ-ს **ჩვენ**

ასევე გვიან შეძენილი **-თ** სუფიქსით ხდება ირიბი ობიექტის II პირის სიმრავლის გამოხატვა სუბიექტურ I და III პირებთან კომბინაციაში.

$S_1 O_2^{indp}$ – მე **გ**-ყავარ-**თ** **თქვენ** (< გყავ-ვართ); შდრ. მე გ ყ ა ვ ა რ **შენ**.

$S_1^p O_2^{indp}$ – ჩვენ **გ**-ყავარ-**თ** **თქვენ** (< გყავ-ვართ); შდრ. ჩვენ გყავართ შენ.

$S_3 O_2^{indp}$ – ის **გ**-ყავ-**თ** **თქვენ**

$S_3^p O_2^{indp}$ – ისინი **გ**-ყავ-**თ** **თქვენ**

არ ხდება ირიბობიექტური მესამე პირის სიმრავლის მარკირება სუბიექტურ I და II პირებთან კომბინაციაში.

$S_1 O_3^{indp}$ – მე ვყავ(ვ)-ვარ **მათ**

$S_1^p O_3^{indp}$ – **ჩვენ** ვყავ(ვ)-ვართ **მათ**

$S_2 O_3^{indp}$ – შენ ჰყავ-ხარ **მათ**

$S_2^p O_3^{indp}$ – **თქვენ** ჰყავ-ხართ **მათ**

მრავლობით რიცხვში მხოლოდ სუბიექტის სიმრავლის მარკირება ხდება ირიბი ობიექტის მესამე პირთან.

როდესაც პირმომართ აქტანტთა და ზმნათა ურთიერთობაში დაშვებულია სიმრავლის როგორც ცალმხრივი მარკირება (**თქუნ** გყავს იგი, მათ აქუს იგი...), ისე – ორმხრივი მარკირება (გყვან-**ან იგინი** შენ / თქუნენ), ამით სიმრავლის მარკირების საფრთხე სრულიად ისპობა და ჩნდება ბუნებრივი შესაძლებლობა ცვლილებათათვის ფორმალური მოწესრიგების მიზნით – ორმხრივი მარკირების გადასვლა ცალმხრივ მარკირებაზე და, პირიქით, ცალმხრივისა – ორმხრივ მარკირებაზე. ორსავე შემთხვევაში შედეგი იდენტურია – შემასმენელსა და მასთან დაკავშირებულ პირმომართ აქტანტებს შორის რიცხვში შეთანხმება გარანტირებულია. თეორიული თვალსაზრისით ამ ცვლილებებს სინტაქსურ მექანიზმში (სტრუქტურაში) ცვლილება არ მოსდევს.

ქართულ ენაში ისტორიულად განხორციელებული ცვლილებები ზემოთ წარმოდგენილ დებულებათა სრულფასოვანი დადასტურებაა: (1) ძველი ქართულის სტატიკურ ზმნათა ფორმებში სუბიექტის სიმრავლე ისევე სრულიად იყო წარმოდგენილი, როგორც დინამიკურ ზმნებში: S_1^P და S_2^P აღინიშნებოდნენ **-თ** სუფიქსით (**ჩუნ** გყავ-**თ** შენ; **თქუნ** ჰყავ-**თ** მას... **ჩუნ** გგონიე-**თ** შენ; **თქუნ** ჰგონიე-**თ** მას...); S_3^P კი მარკირებული იყო **-ან** სუფიქსით (მყავ-**ან** მე **იგინი**... მგონ-**ან** მე **იგინი**, გგონ-**ან** შენ **იგინი**...).

სუბიექტი, მასასადამე, ორმხრივ იყო მარკირებული სტატიკური ზმნით წარმოდგენილ შემასმენელთან: სუბიექტიც მრავლობითი რიცხვის ფორმით იყო წარმოდგენილი და სტატიკურ ზმნაშიც მარკირებული იყო ეს სიმრავლე სპეციფიკური ნიშნებით: **-თ** და **-ან** სუფიქსებით.

(2) თვით ირიბი ობიექტის სიმრავლე, სავარაუდებელია, სტატიკური ზმნის უძველეს* ფორმებში აღუნიშვნელი იყო, მაგრამ ძველ ქართულშივე I პირის მიხედვით ენა ორ მოდელს გვიჩვენებს: უძველესი მოდელით, მსგავსად II და III პირებისა, არც I პირს გამოეხატებოდა სიმრავლე ზმნის ფორმით (**ჩუნ** მყავს; შდრ. **თქუნ** გყავს, **მათ** ჰყავს; **თქუნ** გგონიეს...); მეორე მოდელით ირიბი ობიექტის I პირის სიმრავლეს სტატიკურ ზმნებში გამოეხატავს **გუ**-პრეფიქსი II და III პირებში კი ამ ობიექტის სიმრავლე აღუნიშვნელი რჩებოდა, როგორც I მოდელში (**ჩუნ** **გუ**-ყავს, მაგრამ **თქუნ** **გ**-ყავს, მათ **ჰ**-ყავს).

უძველეს მოდელში, მასასადამე, ცალმხრივ იყო მარკირებული ირიბი ობიექტის სიმრავლე – შემასმენელს ობიექტის სიმრავლის გაგება თვითონ ირიბი ობიექტის მრავლობითი რიცხვის ფორმით ეძლეოდა.

აწმყოს მწკრივის (ასევე სხვა მწკრივთა, რომლებიც გააჩნიათ) მიკროპარადიგმებში ორი მოდელის დაპირისპირება, ბუნებრივია, სამუდამოდ უცვლელად ვერ დარჩებოდა, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, საშუალო ქართულში, ირიბი ობიექტის სიმრავლის გამოეხატვა II და III პირებმაც დაიწყო **-თ** სუფიქ-

* ძველქართულამდელ პერიოდში.

სით (**თქვენ** გყავს-**თ** იგი, **მათ** ჰყავთ < ჰყავს-თ...). მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“:

„შორს უარებდეს სარანგნი, ხელთა აქვ **თ მათ** აბჯარია“ (1460, 2). და-დასტურებულია მე-17, მე-18 საუკუნეთა ხელნაწერებში (DHJQV).

„ს წ ა დ და **თ**, მაგრა ველარა ქმნეს ჩემი ზედა წამოქელვა“ (608, 4) – JR9'R ხელნაწერთა ჩვენებით.

აწმყოს მწკრივის პარადიგმის II და III პირებში ირიბი ობიექტის სიმრავლის -**თ** სუფიქსი მოსდევდა სუბიექტის მე-3 პირის ნიშანს (-ს). ფონემატური შეუთავსებლობის გამო S₃-ის -**ს** დაიკარგა ახალ ქართულში: გაქვსთ > გაქვთ, აქვსთ > აქვთ*; შდრ. უწყვეტლის პარადიგმა, სადაც S₃-ის ნიშანია ხმოვანი -**ა** სუფიქსი: სწადდა**თ მათ**. დამარცვლაში აქ პრობლემა არ წარმოიქმნება (სწად-დათ) და მორფონოლოგიური ცვლილებაც არ ხდება ფორმათა ბოლოში.

აქვთ, ჰყავთ (ასევე გაქვთ, გყავთ) ფორმებში ფონეტიკური ცვლილება ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი: /ვთ/ (გაქვთ, გყავთ) სალიტერატურო ქართულის ფორმებში არაბუნებრივია პაუზის წინ, ხოლო /სთ/ (გაქვისთ, გყავისთ) – დიალექტებში. -თ სუფიქსს ამ ფორმებში ამაგრებს მორფოლოგიური მოთხოვნა, ხოლო /ვ/-ს ფუძის სემანტიკა.

თანამედროვე ქართულის სტატიკურ ზმნებში ირიბი ობიექტის სიმრავლე მარკირებულია ობიექტური წყობის ზმნებში, რაც თანდათანობით განხორციელდა უძველესი ქართულიდან** ახალ ქართულამდე: ჯერ I პირში (ძველ ქართულშივე), შემდეგ II და III პირებში საშუალო ქართულში. საბოლოოდ ობიექტური წყობის ფორმებში ირიბი ობიექტის სიმრავლე ორმხრივ მარკირებული გახდა (**გვ**-ყავს **ჩვენ** ის; **გ**-ყავ(ვ)არ-**თ თქვენ** მე; **ჰ**-ყავ-**თ მათ** ის).

განსხვავებით ობიექტური წყობის ფორმათაგან, სუბიექტური წყობის ფორმებში დარჩა ძველი ვითარება – სიმრავლე გამოენატება მხოლოდ სუბიექტურ პირს: **ჩვენ** ვჰყავ(ვ)-**ვართ** მას/მათ, თქვენ ჰყავ-**ხართ** მას/მათ (შდრ. მე ვჰყავარ **მათ** და შენ ჰყავხარ **მათ**, სადაც არ ხდება ირიბი ობიექტის სიმრავლის მარკირება); შდრ. ძველი ქართული: **ჩვენ** ვ-ჰყავ-**თ** მას/მათ, **თქვენ** ჰ-ყავ-**თ** მას/მათ***.

ქართულმა ენამ დღეისთვის ჩამოაყალიბა პირთა მრავლობითი რიცხვის მარკირების ახალი (უფრო მწყობრი) სისტემა მას შემდეგ, რაც დაიწყო მიცემით ბრუნვაში დასმული აქტანტების სიმრავლის მარკირება.

(1) მწკრივთა II სერიაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის ძველი მარკირება {-ენ} სუფიქსით შეიცვალა {-თ} სუფიქსით, რომლის ალომორფებია /-თ/-/-Ø/ (ჩვენ გხატავ-თ-ში **თქვენ**).

* /ვს/ კომბინაცია მხოლოდით რიცხვში პაუზის წინ მთის დიალექტებში ჩაირთავს ანაპტიქსიურ **ი** ხმოვანს: მყავის, გყავის, ხყავის ან კარგავს S₃-ის /-ს/ სუფიქსს: მ ყ ა ვ, გ ყ ა ვ, ხ ყ ა ვ.

** „უძველესი ქართული“ გულისხმობს ძველი ქართული წინა პერიოდს.

*** მესამე პირში სუბიექტის სიმრავლე მხოლოდ მთის დიალექტებშია მარკირებული: თუმ. **სტუმრებ** ჰ-ყვან-**ან**; **კოდნ** გიდგ-**ან**; ხევს. ხ-ყონ (< ხყუ-ან) „ჰყვანან“.

(2) პირდაპირი ობიექტის მარკირების ეს ახალი წესი I სერიის მწკრივე-ბიდან უცვლელად გადავიდა II სერიის მწკრივებში. ძველად I სერიის II და III პირებში პირდაპირი ობიექტის სიმრავლე არ იყო მარკირებული: /მე გხატავ **თქვენ**/, /ის გხატავს **თქვენ**/; /მე ვხატავ **მათ**/, /ის ხატავს **მათ**/. ახალ ქართულში I სერიაში მოხდა მხოლოდ II პირის პირდაპირი ობიექტის სიმრავლის მარკირება /-თ/ სუფიქსით (მე გხატავ-თ **თქვენ**), III პირისა კვლავ არ აღინიშნება (მე ვხატავ **მათ**).

ახალ ქართულში I სერიის ანალოგიური ვითარება II სერიის მწკრივებში: O_2^{dp} -ის სიმრავლე მარკირებულია (მე დაგხატე-თ **თქვენ** და მან დაგხატა-თ **თქვენ**), O_3^{dp} -ისა კი ახლაც არ არის მარკირებული (მე დავხატე **ისინი** და მან დახატა **ისინი**). ცხადია, ახალ ქართულში პირდაპირი ობიექტის სიმრავლის მარკირების I სერიის წესები II სერიაშიც განივრცო.

არსებითი ამ ცვლილებებში ის არის, რომ პირმიმართ აქტანტებსა და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმების წესები I და II სერიაში საერთო გახდა, მართვითი ურთიერთობები კი უცვლელად შემოინახა, რადგან მართვა შეპირობებულია არსებითი სახელისა და ზმნის განსხვავებული კატეგორიებისა და შესაბამისად ფლექსიურ ცვლილებათა განსხვავებული სახეობებით.

ბოლოს უთუოდ უნდა აღინიშნოს ესეც: იდენტური რომელობის პირები სტატიკურ ზმნებშიც არის შესაძლებელი: „თუ შენ თავი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“ („ვეფხისტყაოსანი“ 822, 1). ამ წინადადებაში წარმოდგენილია $S_2 O_2^{ind}$ კომბინაცია („შენი თავი“ და „შენ“); ეს კომბინაცია სხვა პირებშიც გადადის ($S_1 O_1^{ind}$, $S_1^p O_1^{indp}$ და სხვ.).

TEDO UTURGAIDZE

Marking the Plural in Georgian Verbs

S u m m a r y

In two-personal and three-personal verbs the person as well as the number of actants was marked ($S_1 O_1^d O_1^{ind}$). Historically, marking the number of actants in the related verbs is different.

The paper deals with two rules of the concord in number – the one-sided marking and the bilateral marking. If the plural is marked just with the form of an actant and the verb is in the singular form (e. g. in old Georgian: **ḡacebi movida** „The men have come“) the concord in number is one-sided. The verb „**movida**“ refers to

all the substantives that are supposed in the word form „**ḵacebi**“. In the said syntagm the concord in number with the bilateral marking took place later („**ḵacebi movidnen**“).

The paper discusses the historical marking of actants in the plural in the dynamic and static verb forms.

The concord in number with a subject and an object became more disciplined: in the object forms of static verbs the number of the objects is marked and in the subject forms the number of subjects is marked.

The concord in the plural with any actant always took place. Just types of marking in verbs kept changing.

როსტომ ფარეულიძე

**ნაზმნარი სახელები: -მ ფორმანტიანი ნაზმნარი
სახელები ნახურ ენებში¹**

ნახურ ენებში მასდარი, ისევე როგორც ინფინიტივი, იწარმოება ყველა ზმნისაგან -რ ფორმანტის მეშვეობით. -რ ფორმანტი დაერთვის -ა- ხმოვნით გავრცობილ ზმნურ ფუძეს ზუსტად ისევე, როგორც ინფინიტივის საწარმოებლად -ნ ფორმანტი იმავე ფუძეს. მაშასადამე, -ნ-ს შეცვლა -რ-თი იწვევს ინფინიტიური ფორმის შეცვლას მასდარით. მასდარი ბრუნებადი სიტყვაა, ნაზმნარი სახელია.

ნახურ ენებში ნაზმნარია -მ ფორმანტიანი სახელებიც. ასეთი სახელი ნაწარმოებია იმავე ფორმისაგან, რომლისაგანაც მასდარი (-რ იცვლება -მ-თი).

მოვიყვანოთ მაგალითები ჩეჩნურ-ინგუშურიდან:

ინფინიტივი	მასდარი	-მ ფორმ. სახელები
ხათთ-ა- ⁵ „(შე)კითხვა“	ხათთ-ა-რ	ხათთ-ა-მ „აღსარება“
ჰაღ ეხ-ა- ⁵ „სწავლება“	ჰაღეხ-ა-რ	ჰაღეხ-ა-მ „ჩვევა; სწავლება“
ჯაღეთ-ა- ⁵ „მიხვედრა“	ჯაღეთ-ა-რ	ჯაღეთ-ა-მ „შეგნება; ცნობიერება“
თაღეშ-ა- ⁵ „ნდობა“	თაღეშ-ა-რ	თაღეშ-ა-მ „ნდობა“...

ნახურ ენებში მასდარები განეკუთვნებიან დ- კლასს (მაგ., ჩეჩნ.-ინგ. ხათთ-ა-რ დ-უ, ბაცბ. ხატტ-ა-რ დ-ა „კითხვა არის“, „კითხვაა“ ...). გარდა ამისა, ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშნის მქონე ზმნათაგან ნაწარმოები მასდარები იცვლებიან არს. სახელის კლასის ნიშნის მიხედვით. მოვიყვანოთ მაგალითები:

ჩეჩნ.-ინგ.	ბაცბური	
ხათთ-ა-რ	ხატტ-ა-რ	„კითხვა“
ლაღ-ა-რ	ლაღ-ა-რ	„დაჭერა“...
დ (ვ-, დ-, ბ-)-იგ-ა-რ	დ (ვ-, დ-, ბ-)-იგ-ა-რ	„წყაყვანა“
დ (ვ-, დ-, ბ-)-ასთ-ა-რ	დ (ვ-, დ-, ბ-)-ასტ-ა-რ	„გახსნა“
დ (ვ-, დ-, ბ-)-ად-ა-რ	დ (ვ-, დ-, ბ-)-ატ-ა-რ	„გაქცევა“...

¹ წაკითხულია მოხსენებად არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 74-ე სესიაზე (იხ. თეზისები, 2015, 22-24 დეკემბერი).

შდრ.: სხვადასხვა კლასის ნიშნის მქონე არსებითი სახელები, როგორცაა: კანთ „ბიჭი, ვაჟი“, სთაგ „კაცი“ (ვ- კლასისა), მო „გოგო“, ზუდა „ქალი“, ჩა „დათვი“, გოჭრ „ცხენი“ (ფ- კლასისა), სთუ „ხარი“, დეთთ „ძროხა“ (ბ- კლასისა), ბერ „ბავშვი“ (დ- კლასისა) ... ყველა ამ სახელთან, მათი სხვადასხვა კლასისადმი კუთვნილების მიუხედავად, იხმარება უკლასნიშნო ზმნის ერთი ფორმა, როგორცაა, მაგალითად, ლაგარ „დაჭერა“. დახარ, იდარ კლას-ნიშნითანებთან ჩამოთვლილი სახელები გადანაწილდებიან, დაჯგუფდებიან ოთხ გრამატიკულ კლასში მხოლოდით რიცხვში. შეადარეთ, კლასნიშნიანი ზმნა დ- იგ-ა-რ „წყევანა“ შემდეგნაირად შეიცვლება:

კანთ „ბიჭი, ვაჟი“ - კანთ ვ-იგარ „ბიჭის წყევანა“, სთაგ ვ-იგარ „კაცის წყევანა“...

მო „გოგო“ - მო ფ-იგარ „გოგოს წყევანა“... ასევე: ზუდა ფ-იგარ „ქალის წყევანა“, გოჭრ ფ-იგარ „ცხენის წყევანა“...

სთუ „ხარი“ - სთუ ბ-იგარ „ხარის წყევანა“, დეთთ „ძროხა“ - დეთთ ბ-იგარ „ძროხის წყევანა“...

ბერ „ბავშვი“ - ბერ დ-იგარ „ბავშვის წყევანა“ ჟალა „ძალი“ - ჟალა დ-იგარ „ძალის წყევანა“...

მრავლობითში ფ- და ბ- კლასის სახელები ორ ჯგუფად დაიშლება: 1) ფ - ბ- (ქალთა კლასის სახელები) და ფ - ფ (რა ჯგუფის სახელები); 2) ბ - ბ- და ბ - დ- (რა ჯგუფის სახელები).

ამის საპირისპიროდ, -მ ფორმანტიანი სახელები ერთიანდებიან ბ-ს გრამატიკულ კლასში როგორც მხოლოდითში, ისე მრავლობითში. კლასნიშნითანებთან ნაწარმოებ ამ ჯგუფის ნაზმნარ სახელებს კლასის ნიშნად ბ- მოუდით, მაგრამ იგი ბ-გაქვევებულია. ასე რომ ბ- კლასისაა:

ბ-ფა-ა-მ „სიყვარული“ (ბ-უ/ბ-ა „არის)

ბ-ფა-ა-მ „ქონება, მეურნეობა“ (ბ-უ/ბ-ა „არის)

ბ-ფა-ა-მ „სასაცილო (რამ)“ (ბ-უ/ბ-ა „არის) და მისთ.

-მ ფორმანტიანი ნაზმნარი სახელი ბრუნებისას არ განსხვავდება ჩვეულებრივი, კანონიკური მასდარისაგან. მოვიყვანოთ სათანადო პარადიგმები:

მასდარი	-მ ფორმ. ნაზმნარი სახელი
სახ. ხათთ-ა-რ „კითხვა“	ბ-ფა-ა-მ „სიყვარული“
ნათ. ხათთ-ა-რ-ან	ბ-ფა-ა-მ-ან
მიც. ხათთ-ა-რ-ნა	ბ-ფა-ა-მ-ნა
ერგ. ხათთ-ა-რ-ჟო	ბ-ფა-ა-მ-ჟო
თან. ხათთ-ა-რ-ცა	ბ-ფა-ა-მ-(ა)-ცა
გან. ხათთ-ა-რ-ა-ხ	ბ-ფა-ა-მ-ა-ხ
შედ. ხათთ-ა-რ-ა-ლ	ბ-ფა-ა-მ-ა-ლ
მიმ. ხათთ-ა-რ-ფე	ბ-ფა-ა-მ-ფე

ორივე შემთხვევაში ბრუნება ორფუძიანია, სადაც მეორე საბრუნებელ ფუძეს ნათესაობითის ფორმა წარმოადგენს, თვით ნათესაობითი ნაწარმოებია სახელობითისაგან. იგივე შეიძლება ითქვას ამ სახელთა ბრუნების შესახებ მრავლობითშიც, თუმცა ზოგ -მ ფორმანტიან ნაზმნარ სახელს მრავლობითი რიცხვის ფორმა, შესაძლებელია, არ მოეპოვებოდეს. მაგალითად, ნაზმნარი სახელისათვის *ბ-ძელა-მ* „სასაცილო (რამ), სიცილი“ მრავლობითი რიცხვის ფორმა ბუნებრივი არ არის.

აღსანიშნავია, რომ -მ ფორმანტიანი სახელები ჩეჩნურ-ინგუშურში ცოტაა, მცირერიცხოვანია. გამოითქვა აზრი მისი ნასესხობის შესახებ თურქულენოვანი სამყაროდან, კერძოდ, ყუმუხურიდან (დემერიევი 1963, 394; კადირაჯიევი 1990, 61-62). აღნიშნული ფორმანტი ბაცბურში შენიშნული არ იყო. ბაცბურში იგი დადასტურდა რამდენიმე მაგალითში, როგორცაა:

თეგ-ო-მ „მორიგება, თანხმობა“
 ჯერლ'-ო-მ „შიში, შიშიანობა“
 თეშ-ო-მ „ნდობა“...(ქადაგიძე 1984)

არ უნდა იყოს სადავო, რომ -მ ფორმანტიანი სახელები ნახურ ფუძეენაშიც არსებობდა. ენების მიხედვით განსხვავებულია ამ ფორმებში ე. წ. მაერთე-ბელი ხმოვანი. ჩეჩნურ-ინგუშურში -ა- გვაქვს, ბაცბურში – -ო-; ბაცბურში -მ ფორმანტის წინ -ო-ს არსებობა ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი ჩანს (ბაგისმიერ მ-სთან მეზობლობაში ა > ო).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ -მ ფორმანტი არ არის ნასესხები თურქული ენებიდან, კერძოდ, ყუმუხურიდან. იგი საკუთრივ ნახურ ენათა კუთვნილებაა.

ლიტერატურა

დემერიევი 1963 – Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов. Грозный.

კადირაჯიევი 1990 – К. С. Кадыраджиев, Тюркский компонент в системе нахского глагольного словообразования. 13 региональная научная сессия. Тезисы. Майкоп.

ქადაგიძე 1984 – დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუმურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი.

ROSTOM PAREULIDZE

**Verbal Nouns with the Formant
-m in the Nakh Languages**

S u m m a r y

The verbal nouns formed with the formant -m occurred just in Chechen-Ingush belonging to the Nakh languages, e.g. tješā-m “melting”, hǫjǫxa-m “advice” etc. In Tsova-Tush they could not be found. It was considered that Chechen-Ingush borrowed the said formant from the Turkish language world, in particular, from the Kumukh language after the disintegration of the Nakh languages (I. Desheriev, K. Kadirajiev).

In Tsova-Tush the words with the formant -m have been attested. For example, the said tješā-m “melting”, tego-m „accord“etc. Thus, the nouns with the formant -m can be found in all the three Nakh languages. They belong to the Nakh languages and are not borrowings.

ნათია ფონიავა

**რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ლექსიკისათვის
ლაზურ იდიომებში***

იდიომებში აისახება ხალხის ისტორია, კულტურა, ყოფა-ცხოვრება, რწმენა-წარმოდგენები. მეტად საინტერესოა რწმენა-წარმოდგენების ასახვის თვალსაზრისით ლაზური იდიომების შესწავლა, რადგან ლაზთა რელიგიური მსოფლხედვა ჩამოყალიბდა წარმართობის, ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის გავლენით.

საანალიზოდ აღებულია ლექსიკონებსა და გამოცემულ ტექსტებში მოძიებული მასალა, ასევე პროექტის ფარგლებში განხორციელებული მივლინებებისას ჩვენ მიერ მოპოვებული ფრაზეოლოგიური ერთეულები (სტატიაში წარმოდგენილია წყაროს მითითების გარეშე). აქვე აღვნიშნავთ, რომ გამოქვეყნებულ ტექსტებში თითო-ოროლა ასეთი იდიომი შეგვხვდა, ამდენად, სტატია ძირითადად ეყრდნობა ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებს და ზოგ შემთხვევაში ლექსიკონებიდან ამოწერილ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს.

წარმოვადგენთ რწმენა-წარმოდგენების ამსახველ ლექსემებს, რომლებიც საკვანძო სიტყვებად დასტურდება ლაზურ იდიომებში.

ღმერთის აღმნიშვნელად ლაზურში გამოიყენება **ღორმოთი**. ის საკმაოდ ხშირია იდიომების საკვანძო სიტყვად:

ღორმოთის შუი ქომეჩუ (ხოფ.) (ზედმიწ. „ღმერთს სული მისცა“) „გარდაიცვალა“. ამავე მნიშვნელობას დამოუკიდებლად **შუი ქომეჩუ**-ც გადმოსცემს.

ღორმოთიშ პიჯიშენ მეტკომილეი (ხოფ.) (ზედმიწ. „ღვთის პირიდან გადადებული“) „ბოროტი, უკეთური, უვარგისი“.

ღორმოთიშ დობადეი (ხოფ.) (ზედმიწ. „ღვთის დაბადებული“) „სანიშნო ადამიანი“. ამავე მნიშვნელობას გამოხატავენ შემდეგი იდიომები:

ღორმოთიშ ეჩქინდინეი (ხოფ.) (ზედმიწ. „ღვთის გაჩენილი“); **ღორმოთიშ ზეე** (ხოფ.) (ზედმიწ. „ღვთის შვილი“) „კარგი გასაზრდელი, სამაგალითო“.

ლაზურში ღმერთის აღმნიშვნელად **ღორმოთის** პარალელურად ხმარობენ თურქულიდან შეთვისებულ ლექსემას **თრანგი** || **თანგრი**. ისიც საკმაოდ ხშირი გავრცელებისაა იდიომების საკვანძო სიტყვად:

* სტატია დამუშავდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“ (#31/15) ფარგლებში.

თრანგიქ მინდიყონუ (ხოფ.) || **თანგრიქ მედოონუ** (არქ.) (ზედმიწ. „ღმერთმა წაიყვანა“) „გარდაიცვალა“. ბეეჩქიმი, ნანასქანი **თანგრიქ მედოონუ** – ჩემო შვილო, დედაშენი ღმერთმა წაიყვანა.

თრანგიქ ვა გონდინუფს (ხოფ.) (ზედმიწ. „ღმერთმა არ დაკარგავს“) „ღმერთი შეეწევა, დაეხმარება“. ჰელალი კოჩი **თრანგიქ ვა გონდინუფს** – ალალ კაცს ღმერთი არ დაკარგავს.

თრანგი ნა ვა იჩინოფს (ხოფ.) (ზედმიწ. „ღმერთი (ღმერთს) რომ არ იცნობს“) „უღმერთო“. ემკათა კოჩითი ეფნ, თრანგი ვა უნონ, **თრანგი ნა ვა იჩინოფს** – ისეთი კაციც არის, ღმერთი არ უნდა, ღმერთს რომ არ ცნობს.

თრანგის ქონანჭუ (ხოფ.) (ზედმიწ. „ღმერთს მიუახლოვდა“) „ილოცა“. მა **თრანგის ქომეგანჭი**, სი აქ დოხედი – მე ვილოცე, შენ აქ იჯექი.

თრანგიქ პოდაა გოფათხუ (არქ.) (ზედმიწ. „ღმერთმა კალთა დააფერთხა“) „ღმერთი წყალობს“.

როგორც მოხმობილი იდიომების ანალიზი გვიჩვენებს, **ღორმოთი** და **თრანგი** || **თანგრი** „ღმერთი“ ლექსემების შემცველი იდიომები დადებით სემანტიკას გადმოსცემენ, კერძოდ, იდიომები, რომლებიც ღმერთან სიახლოვეს ან ღვთისადმი კუთვნილებას გამოხატავენ, დადებითი შინაარსის შემცველია, ხოლო ღვთისგან სიმორე ან მისთვის არასასურველი, მიუღებელი რაიმე (ვინმე) – უარყოფითისა.

ეშმაკი ავი სულია. ამას ადასტურებს **შეითანი** || **შეიტანი** „ეშმაკის“ შემცველი იდიომებიც. ისინი გამოხატავენ:

ა) მოხერხებულობას, ცბიერებას, ფლიდობას:

შეითანის შუი გოდგინ (ხოფ.) (ზედმიწ. „ეშმაკის სული უდგას“) „მოხერხებულა“.

შეითანი ვა ინჯის (ხოფ. არქ.) (ზედმიწ. „ეშმაკი არ იძინებს“) „სულ სიფრთხილესა საჭირო“.

შეითანისთი კოჩი (ხოფ.) (ზედმიწ. „ეშმაკისავით კაცი“) „ფლიდი“. **შეითანისთი კოჩი ეფნ** – ეშმაკით კაცია.

შეითანისთი დომცუდელაფს (ხოფ.) (ზედმიწ. „ეშმაკსაც მოატყუებს“) „ეშმაკსაც შეაცდენს“.

შეითანისთი ვა ნაგნაფინენ (ხოფ.) (ზედმიწ. „ეშმაკსაც არ შეუძლია გაიგოს“) „ეშმაკიც ვერ დაადგამს თავს“. დილო გომაზღეი ეფნ ა დულმა, **შეითანისთი ვა ნაგნაფინენ** – მეტად ჩახლართულია ეს საქმე, ეშმაკიც ვერ გაიგებს.

შეითანისთი თი ვა გაადგენ (ხოფ.) (ზედმიწ. „ეშმაკსაც თავი არ შეუძლია დაადოს“) || **შეიტანისთი თი ვა გაადგინენ** (არქ.) (ზედმიწ. „ეშმაკსაც თავი არ შეუძლია დაადგას“) „ეშმაკიც ვერ დაადგამს თავს“.

ბ) სწორ გზას აცდენას:

შეიტან უონუნ (არქ.) (ზედმიწ. „ეშმაკი ჰყავს“) „გზას აცდენილია“. ამავე სემანტიკის გამომხატველია შემდეგი იდიომებიც: **თოლი შეიტანიშველე უღუნ** (არქ.) (ზედმიწ. „თვალი ეშმაკისკენ აქვს“); **მხუჯის შეითანი გილუხენ** (ხოფ.) (ზედმიწ. „მხარზე ეშმაკი აზის“) „გზას აცდენილია“; **შეითანეფე გოფინს**

(ხოფ.) || **შეითანეფე გომფინს** (ათინ.) (ზედმიწ. „ემმაკები ახვევია“) „არეულია“. **შეითან ხთიმეი** (ხოფ.) (ზედმიწ. „ემმაკი შესული“) „ემმაკებს აყოლილი“; **შეითანი ამახთიმეისთეი გულუნ** (ხოფ.) (ზედმიწ. „ემმაკი შესულივით დადის“) „ემმაკი შეუჩნდა“. **შეითანი მიშუხტუ** (ხოფ.) (ზედმიწ. „ემმაკი შეუვიდა“) „არეულია“. **შეითანი უხიტონს** (ხოფ.) (ზედმიწ. „ემმაკი უხიციანებს“) „ემმაკი უჩიხინებს“. **თის შეიტან ქომეშახთუ** (არქ.) (ზედმიწ. „თავში ემმაკი შევიდა“) „გაგიჟდა“.

გ) ემმაკის განდევნა:

შეიტანი დუხროცქუ (არქ.) (ზედმიწ. „ემმაკი მოუკვდა“) „გამოკეთდა, სწორ გზას დაადგა“. კაი გზას ქოგედგითუ, **შეიტანი დუხროცქუ** – კარგ გზას დაადგა, ემმაკი მოუკვდა.

შეითანის ნონჭკვალუ (ხოფ.) (ზედმიწ. „ემმაკს მიაფურთხა“) „გონს მოვიდა“. აქოლე გულიწკედი, ნოსიმა მოხთი, **შეითანის ნონჭკვალუ** – აქეთ გამოიხედე, გონს მოდი, ემმაკს მიაფურთხე.

წარმოდგენილი იდიომებიც აჩვენებს, რომ ემმაკისგან განშორება დადებითად ფასდება.

დ) უსახური, არასასურველი:

თოლი შეითანი მამირუ (არტ.) (ზედმიწ. „თვალი (თვალში) ემმაკი მეჩვენა“) „არასასურველი ვინმე ვნახე“.

ე) ძირითადად ემმაკს უარყოფითი თვისებები უკავშირდება, თუმცა ეს ლექსემა საალერსო შინაარსის გამომხატველ იდიომებშიც გვხვდება:

შეიტანისთეი ბეე (ხოფ.) (ზედმიწ. „ემმაკისავით ბავშვი“) „ცელქი“. ამავე მნიშვნელობისაა: **შეითანიშ კუჩხე** (ხოფ.) (ზედმიწ. „ემმაკის ფეხი“) და **შეიტანიშ კუჩხე მეჩანეი** (ხოფ.) (ზედმიწ. „ემმაკის ფეხი მიბმული“).

იდიომების ანალიზიც აჩვენებს, რომ ემმაკი ბოროტი, მაცდური და მავნეა. ემმაკის მნიშვნელობით ლაზურში დასტურდება **ჯაზი** და გვხვდება იდიომშიც:

ჯაზი მიშუხთუ (ხოფ.) (ზედმიწ. „ემმაკი შეუვიდა“) „ემმაკი შეუძვრა“. მუ იყუ, მუ გალოდუ, **ჯაზი მეშაგითუი** – რა იყო, რა დაგემართა, ემმაკი შეგიძვრა? ემუს მუ **ჯაზი მიშუხთუ?** – იმას რა ემმაკი შეუძვრა?

სამოთხე ზეციური სასუფეველია, სადაც სული განიცდის განუწყვეტლივ სიხარულსა და ნეტარებას. ეს კარგად ჩანს შემდეგ იდიომშიც, რომელიც ლაზურში სამოთხის აღმნიშვნელი ლექსემა **ჯენეთის** შემცველია:

ჯენეთის ნეკნა ქაგვანწკუ (ხოფ.) (ზედმიწ. „სამოთხის კარი გაეღო“) „ძალიან გაუხარდა (რადაც)“. ეკო კაი ამბაი შიგნუ ქი, **ჯენეთის ნეკნა ქაგვანწკუ** – ისეთი კარგი ამბავი გაიგო, რომ სამოთხის კარი გაეღო.

ანგელოზები სიკეთესთან, სილამაზესთან ასოცირდებიან. ეს კარგად ჩანს ლაზური **მელაელი** || **მელელი** „ანგელოზი“ ლექსემის შემცველი იდიომებიდანაც:

მელაელიშ პიჯი უღუნ (ხოფ.) (ზედმიწ. „ანგელოზის პირი აქვს“) „ძალიან ლამაზია“.

მელაეღეფე ვა მიფუთხინა (ხოფ.) (ზედმიწ. „ანგელოზები არ გამიფრინო“) „გული არ გამიხეთქო, არ შემაშინო“.

მელედისთეი კოჩი (ხოფ.) (ზედმიწ. „ანგელოზისავით კაცი“) „კარგი ადამიანი“. ნოდარი **მელედისთეი კოჩი** დენ – ნოდარი ანგელოზივით კაცია.

მელაეღეფე ქოგვაზღეს (ხოფ.) (ზედმიწ. „ანგელოზები შემოეყარნენ“) „სიკვდილი მოუახლოვდა“.

ლაზურ იდიომებში საყრდენ სიტყვებად დასტურდება სალოცავის, მღვდლისა და სანთლის აღმნიშვნელი ლექსემები.

ოხვამე „სალოცავი“:

აზლალური ოხვამეშა აგზალინენ (ზედმიწ. „აზლალს სალოცავში შეუძლია წავიდეს) „სარისკო საქმეს უშიშრად აკეთებს, არაფერს უშინდება“. ნანაჩქიმი ემკათა ტუ ქი, **აზლალური ოხვამეშა აგზალინეტუ** ჩქვა „დედაჩემი ისეთი იყო, რომ არაფერს უშინდებოდა“ (შეროზია, ლაბაძე 2015).

პაპაზი „მღვდელი“:

პაპაზისთერი გულუნ (ხოფ.) (ზედმიწ. „მღვდელისავით დადის“) „თვალში არავის ეჩხირება“ (შეროზია, ლაბაძე 2015).

ლუქუნა „სანთელი“:

ლუქუნათე ოგოლუში (ხოფ.) (ზედმიწ. „სანთლით სამებარი“) „იშვიათი, ძნელად საშოვარი ვინმე (რაიმე)“.

ლუქუნასთეი გაჭვავა (ხოფ.) (ზედმიწ. „სანთელისავით დაგეწვა“) „შემოგეველე!“ სქანიშენი **ლუქუნასთეი ვიჭვავა** – შენთვის სანთელივით დავიწვები.

ლაზურშიც, კერძოდ, სარფში დასტურდება იდიომი **ჭითა მაქვალი** „წითელი კვერცხი“:

ჭითა მაქვალი (ხოფ.) (ზედმიწ. „წითელი კვერცხი“) „გამორჩეული ვინმე“. **ჭითა მაქვალი** ხომ ვა დე – წითელი კვერცხი ხომ არ ხარ? ო. მემიშიშთან გვხვდება **მჭითა მაქვალი**.

ლაზურის სარფულ თქმაში ც. ნარაკიმეს დადასტურებული აქვს იდიომები, რომლებშიც საყრდენად წარმოდგენილია **წმინდე წკაი** „წმინდა წყალი“ და **პაასკე** „პარასკევი“:

წმინდე წკაიში ვა რენ (ხოფ.) (ზედმიწ. „წმინდა წყლის არ არის“) „ვერაგი, ეშმაკი, ცუდი ყოფაქცევისა“. ამა მუსაჭიი სქანი ვა მომწონს, **წმინდე წკაიში ვა რენ** – ეს შენი სტუმარი არ მომწონს, წმინდა წყლისა არ არის (ვერაგია) (ნარაკიძე 2007).

პაასკე „პარასკევი“:

ჟურ პაასკე დუსქიდეენ (ხოფ.) (ზედმიწ. „ორი პარასკევი დარჩენია“) „დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს, მალე მოკვდება“. **ჟურ პაასკე დუსქიდეენ** დო ამა კოჩის მუ აკვანან აჯაბა – ორი პარასკევი დარჩენია და ამ კაცს რალას ერჩიან (ნარაკიძე 2007).

ცოდვა არის განზრახ ჩადენილი ან უნებლიე დანაშაული, რომლითაც ადამიანი უპირისპირდება უფალს. აქედან გამომდინარე, ამ ლექსემის შემცველი იდიომები უარყოფით სემანტიკას გადმოსცემენ.

გაუნახი „ცოდვა“:

გაუნახი ქომაკიდუ (ხოფ.) (ზედმიწ. „ცოდვა მოეკიდა“) „ცოდვაში ფეხი ჩადგა“. ამავე მნიშვნელობისაა შემდეგი იდიომებიც: **გაუნახის კუჩხე ქოდოლოდგუ** (ხოფ.) (ზედმიწ. „ცოდვაში ფეხი ჩადგა“); **გაუნახის ქოდოლოლუ** (ხოფ.) (ზედმიწ. „ცოდვაში ჩავარდა“). აწი ა ფუჯი მეჭკიუმი ვარტუ, ემუს ონდი გენი უყოუნტუ ქორბას დო ვა მეაგნი და ქამეოჭკიი და ფუჯი, ე, **გაუნახის ქოდობლოლი** – ახლა ეს ძროხა მოსაკლავი არ იყო, ამას (იგი) ხბო ჰყავდა მუცელში და მოვკალი ის ძროხა, ეხ, ცოდვაში ჩავვარდი.

ემუში გაუნახითენ დუნა იჭვენ (ხოფ.) (ზედმიწ. „იმისი ცოდვით ქვეყანა იწვის“) „უმწეოა, მეტად ცუდ დღეშია“. **ემუში გაუნახითენ დუნა იჭვენ**, ჰამა მითის ვა ნაშოლენ – იმისი ცოდვით ქვეყანა იწვის, მაგრამ დახმარება არავის შეუძლია (ნარაკიძე 2007).

ლაზურ იდიომებში საკვანძო სიტყვებად გვხვდება ჯოჯოხეთისა და მსხვერპლის აღმნიშვნელი ლექსემებიც.

ჯენემი || ესჭელე „ჯოჯოხეთი“:

ჯენემიშა მენდოჩქუ (ხოფ.) || **ჯენენიშე მენდოჩქუ** (არქ.) (ზედმიწ. „ჯოჯოხეთში გაუშვა“) გასაჭირში ჩააგდო“.

ესჭელეშა ქოგებთუ (ხოფ. ვიწ.) (ზედმიწ. „ჯოჯოხეთში ჩავიდა“) „გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, უბედურება დაემართა“. ჰეშო დულდა ალოდუ ქი, **ესჭელეშა ქოგებთუ** – ისეთი რამ (საქმე) დაემართა, რომ გამოუვალ მდგომარეობაშია (აბაშიძე 2011).

კურბანი „მსხვერპლი“:

ვიდა კურბანი სქანი (ხოფ.) (ზედმიწ. „წავიდე მსხვერპლი შენი“) „შემოგეველე!“

ლაზურ იდიომებში საკვანძო სიტყვებად გვხვდება ისეთი ლექსემები, რომლებიც უკავშირდება მაჰმადიანობას:

ეზრაელი || აზრაილი „სიკვდილის ანგელოზი“:

ეზრაელი ქოგოდგითუ (ხოფ.) (ზედმიწ. „სიკვდილის ანგელოზი დაადგა“) „სიკვდილი მოუახლოვდა“.

ეზრაელი ქომუხთუ (ხოფ.) (ზედმიწ. „სიკვდილის ანგელოზი მოუვიდა“) „სიკვდილი მოუახლოვდა“. გელინის შუი ფულას, **ეზრაილი-ნა მულუნ!** – პატარმალს სულს ამოხდის, სიკვდილის ანგელოზი რომ მოვა (ჩიქობავა 2008: 374,24). **ეზრაელი მოხთუ** დო შუი ქაფულუ – სულთამხუთავი ანგელოზი მოვიდა და სული აულო (თანდილავა 2013).

აზრაილი ომკუთინაფს (ხოფ.) (ზედმიწ. „სიკვდილის ანგელოზი აკრთობს“) „ძალიან მახინჯია“. არაპიტი ემკათა ენ ქი, **აზრაილი ომკუთინაფს** – არაბიც ისეთია, რომ ეშმაკს დააფრთხობს (შეროზია, ლაბაძე 2015).

აზრაილი დოდერდინაფს (ხოფ.) || **აზრაილი დოდერდინამს** (არქ.) (ზედმიწ. „სიკვდილის ანგელოზი (ანგელოზს) ატყუებს“) „ძალიან მოხერხებულია“ (შეროზია, ლაბაძე 2015).

ქეთაბი „ყურანი“:

ქეთაბიში ორთა იერიშენ დაღალაფს (მემიშიში 2015) || **ქეთაბიში ორთა იერიშენ თქუმერს** (შეროზია, ლაბაძე 2015) (ზედმიწ. „წიგნის (ყურანის) შუა ადგილიდან ლაპარაკობს (ამბობს)“) „სიმართლეს ამბობს, არ ცრუობს“.

ნამაზი „ლოცვა“:

კუმანდელი ნამაზი გოჭკონდინაფაფს (სარფ.) || **კუმანდელი ნამაზი გოჭკონდინაფამს** (ვიწ. არქ.) || **კუმანდელი ნამაზი გოჭკონდინაფამს** (ათინ.) (ზედმიწ. „დილანდელი ნამაზი (ნამაზს) დაავიწყებს“) „ძალიან ლამაზია“ (შეროზია, ლაბაძე 2015).

ჯამე „მეჩეთი“:

ჯამეშ (მ)ბული (არქ.) (ზედმიწ. „მეჩეთის ბალი“) „მუქთა; უფასო, უპატრონო (რამ)“. ჰამ მიგარას ფარა მეფჩი, **ჯამეშ მბული** ვა რენ – ამ სიგარეტში ფული გადავიხადე, მეჩეთის ბალი არაა (ბუჯაკლიში, უზუნჰასანოლლუ, ალექსივა 2007). იდიქ ნა იფხოს, **ჯამეში ბული** იენი – ყველა რომ ჰამს, მეჩეთის ბალია?

იმამი „მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი“:

იმამიშ ჭელუკაზ გეხენ (ვიწ. არქ.) (ზედმიწ. „იმამის ნავში ზის“) „მოკვდა, მისი საქმე წასულია“. ხასანი **იმამიშ ჭელუკაზ ქოგეხედუ** – ჰასანი იმამის ნავზე დაჯდა, სული ამოსძვრა (აბაშიში 2011). ა კოჩი **იმამიშ ჭელუკაზ ქოგეხედუ** – ეს კაცი იმამის ნავში ჩაჯდა, გარდაიცვალა.

ქართულისგან განსხვავებით ლაზურში გვხვდება იდიომი **მაშქვითა ცაშა ეხთუ** (ხოფ.) (ზედმიწ. „მეშვიდე ცაზე ავიდა“) „გაიხარა“. ესეც ისლამის გავლენის შედეგი ჩანს. შდრ. ქართ. **მეცხრე ცას ეწია**.

ლაზურშიც გვხვდება ცრურწმენების გამომხატველი იდიომები:

მარცხენა კურხეს მისელუ || **სოლი კურხეს მისელუ** (ხოფ.) (ზედმიწ. „მარცხენა ფეხზე ადგა“) „ცუდ ხასიათზეა, ჩხუბობს“. ბექიდე **სოლი კურხეს მისელუ**, ემუშენი ყუ – ალბათ, მარცხენა ფეხზე ადგა, იმიტომ გააკეთა.

ლაზურში დავადასტურეთ იდიომი **თი უჩა** (არქ.) (ზედმიწ. „თავი შავი“) „ურჯულო, არამუსლიმანი“. ასეთი იდიომი არც არის მოსალოდნელი და არ გვხვდება მეგრულში, მაგრამ ვერც თურქულში დავადასტურეთ.

ლაზური იდიომების უმეტესობა ქართველურია. ზოგჯერ გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა ლაზური იდიომი საერთოა მეგრულთან, მაგრამ არ დასტურდება ქართულში: **ხეს ლუქუნა ჰოდოლომიჭუ** (ხოფ.) (ზედმიწ. „ხელში სანთელი ჩამიწვა“) „იმედი გამიცრუა“. შდრ. მეგრ. **ხეს სანთელი ქაშმოჭუ** „id“. **ემუში შეითანი დოიყვა** (ხოფ.) (ზედმიწ. „იმისი ეშმაკი გავხდე“) „გამაგებინა, მაცოდინა“. შდრ. მეგრ. **თიშ(ი) ეშმაკი ქოპუას** „id“.

ლაზურ იდიომებში მეგრულისაგან განსხვავებით საყრდენ სიტყვებად არ გვხვდება **ხატი, ადდგომა, მონასტერი, ზიარება, წირვა, მეტანია, წითელი პარასკევი** (სათანადო მეგრული მასალის ანალიზისათვის იხ. ფონიავა 2014: 241–249), რაც თურქულ კულტურულ გარემოსთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგი ჩანს.

ლიტერატურა

- აბაშიში 2011** – Nurdoğan Demir Abaşişi, Lazca Deyimler, Istanbul.
- თანდილავა 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.
- თაყაიშვილი 1961** – ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.
- მემიშიში 2015** – ო. მემიშიში, ლაზური ანდაზები და იდიომები, ბათუმი.
- ნარაკიძე 2007** – ც. ნარაკიძე, ფრაზეოლოგიური გამოთქმები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი ლაზურში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IX, ბათუმი, გვ. 55–70.
- ონიანი 1966** – ა. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი.
- სახოკია 1979** – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.
- უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007** – H. Uzunhasanoğlu, I. Bucaklışi, I. Aleksiva, Büyük Lazca Sözlük (Didi Lazuri Nenapuna), Lazca-Türkçe / Türkçe-Lazca, Istanbul.
- ფონიავა 2014** – ნ. ფონიავა, რელიგიური ლექსიკისათვის მეგრულ იდიომებში, იკე, XLII, თბილისი, გვ. 241–249.
- შეროზია, ლაბაძე 2015** – რ. შეროზია, მ. ლაბაძე, ხალხური სიბრძნე II, მეგრული და ლაზური იდიომები, თბილისი.
- ჩიქობავა 2008** – არნ. ჩიქობავა, შრომები, III, თბილისი.

NATIA PONIAVA

On the Vocabulary Expressing Beliefs in Laz Idioms

S u m m a r y

The paper deals with the expression of the beliefs in the Laz idioms. The research material is collected from the dictionaries and published texts that did not include a lot of idioms of the relevant topic; therefore, the paper is based on the material collected during the trips within our project (without reference to the source).

The paper presents the lexemes expressing the beliefs that are the key components in the Laz idioms: *yormoti* || *trangi* || *tangri* „God“, *šeitani* || *šeitani* || *žazi* „a devil“, *ženeti* || *esfele* „the paradise“, *melaey-i* || *meley-i* „an angel“, *oxvame* „a temple“, *papazi* „a priest“, *lukuna* „a candle“, *çita makvali* „a red Easter egg“, *çminde çkai* „holy water“, *paaske* „Friday“, *g unaxi* „a sin“, *ženemi* || *esfele* „the hell“, *ķurbani* „a victim“,

ezraeli || **azraili** „an angel of death“, **ketabi** „the Quran“, **namazi** „a prayer“, **ჯამე** „a mosque“, **imami** „a Muslim cleric“.

In the Laz idioms in contrast to Megrelian the key words are not an icon, Easter, a monastery, Eucharist, a liturgy, a prostration, Good Friday that seems to be a result of a long-term relation with the Turkish environment.

The majority of the Laz idioms are Kartvelian but there are also some cases when Laz and Megrelian have a common idiom that is not attested in Georgian, e.g. Laz. **xes lukuna hodolomiçu**, Megr. **xes santeli kašmoçu** (Literally: He burned a candle in my hand) “He disappointed me”.

ნათია ფუტყარაძე

**R-დ-უ-{უ}(ნ) სტრუქტურის ერთპირიან
ზმნათათვის მეგრულში¹**

შესავალი

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მეგრული **R-დ-უ-{უ}(ნ)** სტრუქტურის ზმნები **-დ** სუფიქსიანი, ე. წ. „**დონი**ანი ვნებითი გვარის“ ფორმებად განიხილება. უშუალოდ, მეგრული **R-დ-უ-{უ}(ნ)** სტრუქტურის ზმნათა განხილვამდე საჭიროდ ვთვლით, მოკლედ მიმოვიხილოთ **-დ** სუფიქსიანი (და ზოგადად) ქართველური ზმნის კლასიფიკაციის პრინციპები.

I. ისტორიული პერსპექტივა

ძველი ქართული ენის პრაქტიკული სახელმძღვანელოები, ძირითადად, ლათინური და ბერძნული გრამატიკების თარგს მიჰყვება, რომლის თანახმადაც, გვარი არის ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული. ძალზე საინტერესოა გვარის კატეგორიის კლასიფიკაციის ტრადიციული მიდგომა ძველ ქართულ გრამატიკებში: **ზურაბ შანშოვანი**: „ნათესავნი ოთხნი: სამოქმედო, საენებო, საშუალი და ზიარი“ (შანშოვანი 1738: 21); **ანტონ კათალიკოსი**: „გარემონი ზმნათანი არიან რვა: 1. ნათესავი: შემოქმედებითი და ვნებითი...“² (ანტონ კათალიკოსი 1885: 23); **გაიოზ რექტორი**: „ზმნები, რომელთაც თავს უზით **მ-** (მსურს, მეგულემა, მწადს...) და მეორეში – რომელთაც უზისთ **ვ-** (ყიფიანი 1882: 67); **იოანე ქართველიშვილი**: „შემოქმედებითი, ვნებითი (ხატ-შემოქმედებითი და ხატვნებითი) და საშუალი (ქართველიშვილი 1809:59), **იოანე ბატონიშვილი**: „ნათესავი ზმნისა გუაჩვენებს სახესა სამსა: შემოქმედებითი, ვნებითში და უმეშვეობითი“ (იოანე ბატონიშვილი 1990: 146); **ს. დოდაშვილი**: „საზოგადოდ ზმნანი განიყოფიან: არსებითად, მოქმედებითად, ვნებითად და უმეშვეობითად (ხატმოქმედებითი და ხატვნებითი)“ (დოდაშვილი 1830:20); **პლატონ იოსელიანი** „ნათესავისამებრ ზმნანი იქმნებიან შემოქმედებითნი, ვნებითნი და საშუალონი (საშუალონი მოქმედებითნი და ვნებითნი). არიან არსებითნიცა ზმნანი, რომელნიცა სიმცირისა გამო მათისა არა შე-

¹ წაკითხულია მოხსენებად ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე (2015).

² ამავე ჩამონათვალში შესულია ქართული ზმნის სხვა კატეგორიებიც.

ვლენ ზოგადსა განყოფასა შინა“ (იოსელიანი 1840:39-40); **დიმიტრი ყიფიანთან** შემოდის დინამიკისა და სტატიკის ცნება: „ზმნა რა აზრსაც გამოგვითქვამს, რასაც გამოგვინატავს, ან რასაც გაგვაგონებს, იმის მიხედვით იყოფება, როგორც ამას წინათაც ვსთქვით, – ორ უმთავრეს ხმად: მოქმედებითად და მდგომარეობითად, შესაბამისად იგი გამოყოფს ორ გვარს: **მოქმედებითსა და მდგომარეობითს**“. მეორე ხმის ზმნებში (მდგომარეობითში) ითვლება ერთი ცალკე მდგომარე ზმნაცა, რომელსაც ეწოდება არსებითი, „ვარ“ (ყიფიანი 1882:69); მ. სუხიშვილის აზრით, „დიმ. ყიფიანისეული კლასიფიკაცია ქართულ გრამატიკებში ზმნათა ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად სტატიკურობისა და დინამიკურობის მიჩნევის პირველი ცდაა, თუმცა დიმ. ყიფიანის „მდგომარეობითი“ არ ფარავს სტატიკურობის თანამედროვე გაგებას“ (სუხიშვილი 1976: 5); **პეტრე კვიციანი** „სწორმეტყველებაში“ გამოიყოფა ზმნის ოთხი გვარი: (1) მოქმედებითი, რომლისაგან გამომდინარეობენ (2) ვნებითი (იკრულვის, იკვლის) და თვითვნებითი (ვეჭმენები, ვეჩაგვრინები) და (3) უმეშვეობითი//საშვალო//მდგომარეობითი (ხატშემოქმედებითი და ხატვნებითი) და (4) მწეობითი//არსებითი“ (კვიციანი 1888: 111-113). საინტერესოა, რომ პ. კვიციანისთან საშუალო გვარს „მდგომარეობითი“ ეწოდება, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტად ასახავს ამ ცნებაში მოაზრებულ ზმნათა სტატიკურ შინაარსს; **სილოვან ხუნდაძის** „ქართულ გრამატიკაში“ კი აღნიშნულია, რომ ვნებითის ყალიბით შეიძლება გამოიხატოს აქტიური მოქმედებაც, მაგალითში „ჩემი ძმა იწერება“ ნიშნავს „ჩემი ძმა კარგ ამბავს გვწერს“, (ხუნდაძე 1917:57, 1920 წლის გამოცემაში ეს შენიშვნა ამოღებულია)... **დ. კარიჭაშვილი** „თავიანთ თვისების მიხედვით ზმნები ზმნახრილის განსახლელებისა სამის გვარისანი არიან: მოქმედებითი, ვნებითი და ყოფა-მდგომარეობითი“ (კარიჭაშვილი 1929: 52).

ა. შანიძემ მოახდინა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა სისტემატიზაცია; წლების მანძილზე, ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკები სწორედ მისი სქემის მიხედვით იგებოდა და იგება; ა. შანიძის გრამატიკის მიხედვით, ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულია „**კონვერსიაზე დაფუძნებული გვარის მორფოლოგიური კატეგორია**“. ქვემოთ ვნახავთ კონვერსიის პრინციპის კრიტიკას **ლაპარაკობს – ელაპარაკება** ტიპის ზმნურ ფორმათა მაგალითზე.

II. თანამედროვე მიდგომა

თანამედროვე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, ტრადიციულად, ქართული ზმნის ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად გვარის კატეგორია განიხილება, რომელიც „*არსებითად განისაზღვრება, როგორც 1. ლექსიკურ-გრამატიკული (ა. შანიძე...); 2. სინტაქსურ-მორფოლოგიური (ფ. ერთელიშვილი, ბ. ჯორბენაძე...); 3. მორფოლოგიური (არნ. ჩიქობავა, ა. ონიანი...)*“ (გოგოლაშვილი, არაბული, სუხიშვილი 2011:421), **4. სემანტიკური კატეგორია** (მელიქიშვილი, 1978, 2001, 2014, ნიკოლაიშვილი, 2012).

ახლახან გამოცემულ კრებულში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ მეოთხე თავში „გვარი – ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული“ აღნიშნულია, რომ „ქართველურ ენებში გვართა შეპირისპირება (აქტივი – პასივი) მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნის“ (გოგოლაშვილი...2011: 420); ამ პრინციპით იგება სახელმძღვანელოთა უმრავლესობა, რადგან თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილი სწორედ ამ, აკ. შანიძის მიერ სისტემატიზებულ კლასიფიკაციას იზიარებს: კერძოდ, ზმნის ფორმებს აჯგუფებენ გვარის, გარდამავლობისა და ქცევის ფორმათა მიხედვით, ამ კატეგორიების (გვარი, ქცევა) მორფოლოგიურ ნიშნებად კი ხმოვანპრეფიქსებსა და -დ სუფიქსს მიიჩნევენ; თუმცა, ამ საკლასიფიკაციო თარგის პარალელურად, ბევრი მკვლევარი აყენებს ხმოვანპრეფიქსებისა და -დ სუფიქსის კვალიფიკაციის საკითხს.

გ. გოგოლაშვილის და სხვა ავტორთა მიერ გამოცემულ ფუნდამენტურ გამოკვლევაში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ აღნიშნულია, რომ „ქართულში, ზმნური კატეგორიების სისტემაში, გვარი, მიუხედავად გარკვეული არათანმიმდევრულობისა, ერთ-ერთი წარმმართველი კატეგორიაა. აქტივ-პასივისა და საშუალო გვარის დაპირისპირება არსებითად მოიცავს ძირითად ზმნურ ლექსიკას, ყველა უღლებადი (და, – არაუღლებადი) ზმნური ფორმა გვარის კატეგორიის რომელიმე სახეობას განეკუთვნება...“ (გოგოლაშვილი... 2011: 424). შესაბამისად, უღლების ტიპებიც გვარის კატეგორიის მიხედვით არის გამოყოფილი.

გარკვეულწილად ემთხვევა დ. მელიქიშვილის „დიათეზათა თეორიას“ მ. ნიკოლაიშვილის კლასიფიკაცია მორფოლოგიიდან გვარის სემანტიკურ დონეზე გადატანის კუთხით: „გვარი ქართულში სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია, ზმნის კონსტრუქციებს კი გარდამავლობა განსაზღვრავს“... (ნიკოლაიშვილი 2012, მელიქიშვილი, 1978)

ტ. ფუტყარაძის აზრით, „სპეციალისტთა მიერ გრამატიკული კატეგორიების შემოღება უნდა ემსახურებოდეს ზმნის ფორმათა პარადიგმის სრულყოფილ გააზრებას. ქართული ზმნური ფორმების სისტემურ გააზრებას ვერ აიოლებს დღემდე აქტიურად გამოყენებული გვარის, ე. წ. „გარდამავლობისა“ თუ ა. შანიძის მიერ შემოღებული ქცევის კატეგორიები, ვინაიდან ამ „ნიშნებით“ კვალიფიკაციის დროს არსებობს მრავალი გამონაკლისი; ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია ფორმათა გამიჯვნა და, ამავე დროს, არალოგიკურია ფორმალური პარადიგმა; ეს ყველაფერი პროგრამისტის, სტუდენტისა თუ უცხოელისთვის მეტად ართულებს ქართული ზმნის ფორმაწარმოებითი შესაძლებლობების სისტემურ გააზრებას“ (ფუტყარაძე 2013: 303).

მოყვანილი ციტატებიდან ნათლად ჩანს, რომ ზმნის კლასიფიკაციის წინააღმდეგობრივი ხასიათი, ასე თუ ისე, შენიშნულია სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებში (შდრ., „**მიუხედავად გარკვეული არათანმიმდევრულობისა...**“ (გოგოლაშვილი... 2011: 424), „**ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია ფორმათა გამიჯვნა...**“ (ფუტყარაძე, 2013: 303); თუმცა, ყველაზე ადრე, 1978 წელს იქნა გაკრიტიკებული გვარის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის ხარვეზები:

„ევროპული ზმნის ანალიზის საფუძველზე მიღებული კონვერსიის წესები ყველა ტიპის ქართული ზმნის შემთხვევაში არ მუშაობს, მხოლოდ ნაწილობრივ აღწერს მას, ა. შანიძის ცნობილი სტატია „აქტივ-პასივის ურთიერთიმართება ქართული მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით“ (დაბეჭდ. 1943 წ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში) იყო დასაბუთების მცდელობა, თუ როგორ „აჩვენებს“ ქართული მრავალპირიანი ზმნა, რომ აქტივის კონვერსია ყოველთვის იძლევა პასივს; არადა, სწორედ ქართული მრავალპირიანი ზმნა აჩვენებს საპირისპირო შედეგს; კერძოდ, აქტივის კონვერსია, უმრავლეს შემთხვევაში არ იძლევა პასივის გაგებას („ელაპარაკება“ ტიპის ზმნები არ არიან აქტივის კონვერსიული ფორმები)... ევროპული ზმნის მიხედვით გვარის განსაზღვრა, როგორც მორფოლოგიური კატეგორიისა, რომელიც ზმნის გარკვეული ფორმით აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობას **ქვემდებარის აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით, ქართულისთვის ყოველთვის მისაღები არ არის (R-ებ-ი სტრუქტურის ზმნების შემთხვევაში)**; თუმცა გამოდგება **აღწერითი წარმოების (წაღებულ იქნა, გაკეთებულ იქნა, გაგებულ იქნა)** ვნებითებისათვის.“ (მელიქიშვილი 2001: 65).

გარდა აღნიშნულისა, საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ძალზე საინტერესო მოსაზრებები აქტივ-პასივის კატეგორიის წინააღმდეგობრივი ხასიათის შესახებ ქართულში, განსაკუთრებით, ე.წ. „ვნებითი“ და „საშუალი გვარის“ მისამართით:

- ე. წ. „ვნებითი“ და „საშუალი გვარი“ საერთოდ გამორიცხულია, როგორც გრამატიკული კატეგორია დიათეზათა მორფო-სინტაქსურ კლასიფიკაციაში, (მელიქიშვილი 1978, 1979, 2001).

- „მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა ფუნქციური განაწილება **სავსებით შეუძლებელი ხდება: მალავს და იმალება, ალაპარაკებს და ელაპარაკება** და სხვა მრავალი **არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთმანეთის მიმართ აქტივისა და პასივის ფორმები**“ (ჯორბენაძე 1983:157).

- „ნათელია, რომ **მალავს და იმალება**, ფაქტობრივ, **ორივე არის აქტიური მოქმედების გამომხატველი ფორმა**, რომ აღარაფერი ვთქვათ **ალაპარაკებს და ელაპარაკება, აპირებს და ჰპირდება** (ლექსიკურად განსხვავებულ) და სხვა მისთანა ფორმებზე“ (ჯორბენაძე 1983:158).

- „მაგალითში „**გაზეთები ერთ იმისთანა ამბავს იწერებიან, რომელსაც...**“; **მოქმედებითის, აქტივის** სემანტიკა“ (ჯორბენაძე 1983: 109)

- „...ერთსა და იმავე მორფოლოგიურ ყალიბს შეუძლია **გამოხატოს აქტივიც, პასივიცა და საგნის ნიშან-თვისება/სტატუსიც**: მაგ., „**სპილენძის ფული იჭრებოდა** – ვნებითი, პასივი **შდრ.:** **გამომშრალი პური ახალგამომცხვარ პურზე უფრო ადვილად იჭრება** – სტატუსი, გამოიხატება საგნის ნიშან-თვისება და **შდრ.:** **მებრძოლი რაზმი მტრის ბანაკში იჭრება** – აქტივი, მოქმედების სემანტიკა“ (ჯორბენაძე 1983: 110-111).

ამ ტიპის მიგნებათა პარალელურად, ბ. ჯორბენაძე საუბრობს ტერმინ „ვნებითის/პასივის“ პირობით ხასიათზეც:

• რა აერთიანებთ სემანტიკურად შემდეგ ფორმოზრივ წყვილებს: „*ო-ქანგება – ქანგდება, ე-ცხადება – ცხადდება, ი-თვრება – თვრება*“ – უეჭველია, რომ აერთიანებს **ვნებითობის სემანტიკა – ვნებითობა, აქ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავიგოთ წმინდა პასივობად**“ (ჯორბენაძე 1983:151).

• „...ზემოხსენებულის გათვალისწინებით ტერმინს „**ვნებითი**“ ვხმარობთ არა **სემანტიკური ან სინტაქსური** დანიშნულებით, არამედ, საკუთრივ, **მორფოლოგიური** თვალსაზრისით, როგორც გარკვეული მორფოლოგიური ყალიბის აღმნიშვნელს“ (ჯორბენაძე, 1983: 158).

• „ქართულში ორი ძირითადი ყალიბი გვაქვს: ა) **ზმნური ფუძე (ბად-ებ)** და (2)**ზმნური ფუძე+ი (ი-ე-ბად-ებ-ი)**. **პირობითად** ამათ შეიძლება ვუწოდოთ მოქმედებითისა და ვნებითის ყალიბები (**რა თქმა უნდა, აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საკუთრივ აქტიურობა-პასიურობის სემანტიკას**)“ (ჯორბენაძე 1983:184).

„პირობითი“ გამოყენება ტერმინისა, რომლის მნიშვნელობაც ცალსახადაა დადგენილი (**ვნებითი=პასივს**), ჩვენი აზრით, ვერ იმუშავებს. სწორედ ამიტომ, მეგრული ზმნის კლასიფიკაციის პრინციპად ავიღეთ მორფო-სინტაქსური კრიტერიუმები: უღლების ტიპების დიათეზათა მიხედვით დაჯგუფება (რომელიც აერთიანებს ზმნის **მორფოლოგიურ სტრუქტურასა და სინტაქსურ კონსტრუქციას**), დიათეზათა კლასიფიკაცია აპრობირებულია ქეგლის რეპრეზენტაციული ბაზის მიხედვით შესრულებული მორფო-სინტაქსური ანალიზის შედეგად (მელიქიშვილი 1978, 1979: 2001, 2014);

III. -დ სუფიქსის კვალიფიკაციის საკითხი

კითხვის ნიშნის ქვეშ დგას -დ სუფიქსის, როგორც პასივის მაწარმოებელი სუფიქსის, საკითხიც:

• „არის კი ვნებითის ფორმანტები: ი- და ე- პრეფიქსები და -დ **სუფიქსი** ვნებითის ფორმათა მაწარმოებლები ქართულში?“ (ჯორბენაძე 1983: 148).

• ის ფორმანტები, კი, რომლებიც ვნებითის ნიშნებად იწოდებიან (ი-, ე-, -დ) სინამდვილეში სულ სხვა მნიშვნელობების გამომხატველნი არიან, ეგ არის მხოლოდ, ამ შემთხვევაში ვნებითობის ფუნქციასთან არიან შეუღლებულნი... (ჯორბენაძე, 1983: 158).

-დ სუფიქსი სამეცნიერო ლიტერატურაში სახელიდან ზმნის მაწარმოებელ, მადინამიკურებელ ელემენტადაც განიხილება: ი-, ე-, უ- ხმოვანპრეფიქსები ქართულ ზმნაში პირთა კორელაციის მორფოლოგიური ნიშნებია, რომელთაც სხვადასხვა კონტექსტში პირთა შორის მიმართების სხვადასხვა შინაარსობრივი ნიუანსი შეუძლიათ გამოხატონ (ვერსია, დესტინაცია-პოსესიურობა, ლოკალიზაცია...), ხოლო -დ სუფიქსის ძირითადი ფუნქციებია (1)**გარდაქვევითობაზე, სახელიდან ზმნად ქცევაზე მითითება** და (2)**აქტანტის გააქტიურების აღნიშვნა**; -დ სუფიქსი ზმნის მადინამიკურებელი, მაინტესივე-

ბელი ელემენტია, რომელიც ისტორიულად შეიძლება „უწყვეტის“ მწკრივისა და მრავლობითი რიცხვის -ენ/-ედ სუფიქსებსაც დავუკავშიროთ. R-ებ-ი სტრუქტურის ზმნები ქართულში (ი-/ე პრეფიქსიანი და -დ სუფიქსიანი, კონტექსტის მიხედვით, შეიძლება გამოხატავდნენ როგორც აქტიურ, ისე პასიურ და ავტოაქტიურ სემანტიკასაც. გვარი მხოლოდ სემანტიკურ კატეგორიად უნდა განვიხილოთ (მელიქიშვილი 2001: 84)

-დ სუფიქსი აქტიურად გამოიყენება მეგრულში (ქვესტრუქტურებს, დაწვრილებით, ოდნავ ქვემოთ შევხებით), როგორც სახელიდან, ისე ზმნური ძირებიდან წარმოებულ ზმნათათვის. მაგ., *ჩე რენ დო ჭითონ-დ-უ(ნ)* „თეთრია და წითლდება“.

ჩვენი აზრით, -დ სუფიქსი ფუძის **აპლიკატორი**, ანუ **ფუძის მაშენებელია** და ის არ არის მიჯაჭვული კონკრეტულ მორფოლოგიურ კატეგორიას (ფუტკარაძე 2014: 15). ჩვენ მას ვერ მივაკუთვნებთ ე.წ. „დონიანი პასივის“ სემანტიკურ კატეგორიას, რადგან, სამეცნიერო ლიტერატურაშიც აღნიშნულია (იხ. ზემოთ) და ჩვენც მიგვაჩნია, რომ სემანტიკურად, -დ სუფიქსიანი ფორმები ხან ავტოაქტიური (//თვითმოქმედი//უკუქცევითი), ხანაც პასიური მოქმედების გამოხატველია (მიერ და -გან თანდებულთა დართვის შემთხვევაში), ამას მხოლოდ კონტექსტი განარჩევს: მაგ.: „*სირცხვილისგან წითლდება* შდრ.: *სახლი შენდება ამ კომპანიის მიერ*“... გვარი სემანტიკური კატეგორიაა მეგრულშიც, ამდენად, -დ სუფიქსიან ერთპირიან ზმნებს („*ჭითონდუ(ნ)* „წითლდება“ ტიპისა) ვერ მოვათავსებთ პასივის სემანტიკურ ჩარჩოში.

IV. R-დ-უ-უ(ნ) სტრუქტურის ერთპირიანი ზმნები მეგრულში

R-დ-უ-უ(ნ) სტრუქტურის ერთპირიანი ზმნათა მორფოლოგიური სტრუქტურა მეგრულში მუდმივად დაკავშირებულია შემდეგ სინტაქსურ კონსტრუქციასთან: **nom-erg-nom-nom**: I სერიაში ამ ზმნათა კონსტრუქცია ნომინატიურია (მაგ., *ზიპონდუ(ნ) თინა^{nom}* „*მსხვილდება, სუქდება ის*“), II სერიაში – *ერგატიული* (*გოზიპონდუ თიქ^{erg}* „*გასუქდა მან*“), III სერიაში (**R-უ(ნ)**) ზმნათა საერთო წესისამებრ – *ნომინტიური* (მაგ., *გოზიპინაფელ/რე(ნ) თინა^{nom}* „*გასუქებულა ის*“;) და მეგრულისთვის (და დასავლურქართული ენობრივი არეალისთვის) სპეციფიკურ IV სერიაში – ნომინატიური (მაგ., *გონოზიპინაფუე(ნ) თინა^{nom}* „*გასუქდებოდა თურმე ის*“). თავის მხრივ, **R-დ-უ-უ(ნ)** სტრუქტურა გვარობითი **R-უ(ნ)** სტრუქტურის ნაირსახეობაა, ქვესტრუქტურული ერთეულია. **R-უ(ნ)** სტრუქტურის ყველა ზმნა კი, რომელიც ვინის რიგის პირის ნიშნებითაა მარკირებული, მეგრულში **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციისაა; ამ წესს გამონაკლისი არ აქვს. **დიათეზათა მორფო-სინტაქსურ კლასიფიკაციაში** ისინი მეორე დიათეზის ზმნებია, რომელთაც აქვთ უნარი გამოხატონ აქტივის, ავტოაქტივისა და პასივის სემანტიკა კონკრეტული კონტექსტის მიხედვით.

გვარის სემანტიკური კატეგორიის ფარგლებში **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციისა და **R-დ-უ(უ)(ნ)** სტრუქტურის ერთპირიანი ზმნები ავტოაქტივებად უნდა იქნას კვალიფიცირებული, რადგან მათი სუბიექტი თვითმოქმედი, მოქმედება – ინტროვერტიზებული; მაგ.: **გო-ზურ-დ-უ-უ(ნ)** „გაზარმადება, შეშინდება, გალახრდება (ის თვითონ)“...

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით მეგრული **R-დ-უ(უ)(ნ)** სტრუქტურის ზმნები **არაპროდუქტიული და მეორეულია** – შდრ.: „აქა-იქ – დ-იანი ვნებითიც დაჩნდება: **დომქურონ-დ-უ(ნ)** „შეშინდა“; **გოჭითონ-დ-უ(ნ)** „გაწითლდა“; **გოჩიჩონ-დ-უ(ნ)** „გამეშადა“; **გოჯირჯონ-დ-უ(ნ)** „თმა ყალყზე დაუდგა (შიშისგან)“; **გოსისონ-დ-უ(ნ)** „გაიტრუნა; ...-დ-იანი ვნებითი ქართულიდან შემოსული ჩანს; არც ჭანურის და არც მეგრულისთვის ეს ტიპი დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა. ამ ტიპის უქონლობამ ფართო გასაქანი მისცა მეგრულში სხვა (პრეფიქსიანი) ტიპებს“ (ჩიქოზავა 1936:114); „-დ სუფიქსით ნაწარმოები ვნებითი იშვიათია კოლხურში... პრეფიქსაციის ტენდენცია ვნებითებში იმდენად ძლიერია, რომ თვით **დონიან** წარმოებას **უჩნდება პარალელური პრეფიქსიანი წარმოება**. მეგრულში გვერდივერდ იხმარება: **ჭითონდუ – ი-ჭითარებუ „წითლდება“** და სხვ. ...მეგრულს ჭანურთან შედარებით მეტი შერჩა დონიანი ზმნები“ (აქ ავტორი სულ **19 მაგალითს ასახელებს, ნ. ფ.**) (დანელია 1976: 173-4); „სუსტადაა წარმოდგენილი დონიანი წარმოება ზანურში. იგი არაა პროდუქტიული იმ დროს, როცა ქართულში (განსაკუთრებით – ახალ ქართულში) მეტად გავრცელებულია“ (მაჭავარიანი 2002:103); „ვნებითის სუფიქსური წარმოება -დ სუფიქსით ხდება და იშვიათია მეგრულში“ (კარტოზია 2010: 207); „დონიანი ვნებითები შედარებით იშვიათად დაჩნდება მეგრულში. ლაზურში მისი გამოყენება უფრო აქტიურად ხდება (ალბათ, ისტორიულად სალიტერატურო ქართულის მეტი ზეგავლენით)“ (ქირია... 2015: 604).

ჩვენ მოვიძიეთ -დ სუფიქსიანი ფორმები მეგრულ ტექსტებსა და ლექსიკონებში. მოპოვებულმა მასალამ ჩვენთვის საინტერესო ფორმების შესახებ სხვაგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა მოგვცა; კერძოდ, ემპირიულმა მასალამ გვიჩვენა, რომ, სინქრონიულ დონეზე აქტიურდება ერთპირიანი **R-დ-უ(უ)(ნ)** ზმნური სტრუქტურა მეგრულში; ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე 244 -დ სუფიქსიანი ერთპირიანი ზმნური ფორმა გვაქვს მოძიებული (სხვა წყაროების დამუშავების შემთხვევაში, სავარაუდოდ, ეს რიცხვი გაიზრდება), რომელთა უმრავლესობაც საკუთრივ მეგრული ზმნური ძირებიდანაა ნაწარმოები; მათთვის ზუსტი სალიტერატურო ქართული შესატყვისის დამებნა, ხშირად, ჭირს კიდევ; უმრავლესობას **R-დ-უ(უ)(ნ)** სტრუქტურის ზმნები ქმნის, მაგ., **თირსონდუ(უ)(ნ)** „ივსება; სუქდება“, **მონჭინდუ(ნ)** „მწიფდება“, **პიხვონდუ(ნ)** „პუტკუნა, ბუთხუზა ხდება“, **რისონდუ(ნ)** „სივდება“, **წყიწყონდუ(ნ)** „ლიბდება“, **ჭვიჭვონდუ(ნ)** „ლაქლაქდება“, **ზიკონდუ(ნ)** „კვდება“, **ეპვირონდუ(ნ)** „სირცხვილის გამო აილეწება; აიბუზება“, **ეცვიცვიონდუ(ნ)** „აიბურძენება“, **დდიდდონდუ(ნ)** „ძალიან რბილდება, ტალახის მსგავსი ხდება“, **იბარდუ(ნ)** „იბურდება“, **ბიზონდუ(ნ)** „სივდება“, **ბითქონ-**

დუ(ნ) „ძალზე სუქდება, სივდება“, **ბირონდუ(ნ)** „შტერდება, ოვდება“, **ბირ-ძღონდუ(ნ)** „ბრაზდება“, **ბურძღონდუ(ნ)** „ბუყდება“, **გვიგონდუ(ნ)** „შუპდება“, **გოზგინჯონდუ(ნ)** „გამკვრივდება“, **გოთქვიშონდუ(ნ)** „გათქვირდება“, **გონიგ-ვონდუ(ნ)** „ცხვირს ჩამოუშვებს“, **გოპირჭონდუ(ნ)** „გაგულისდება“, **გოყიქონდ-დუ(ნ)** „გაყინულილება“, **გორსიმონდუ(ნ)** „გაილურსება“, **გოსირღონდუ(ნ)** „სი-მალღეში სწრაფად და უზომოდ გაიზრდება“, **გოტკიჩონდუ(ნ)** „გატკიცინდე-ბა“, **გოფიყვონდუ(ნ)** „გაიფუყება“, **გოფიხვონდუ(ნ)** „ფაფუკად (გადა)იქცევა, გაბუვდება“, **გოჩირქონდუ(ნ)** „გაშემდება, გახევდება“, **გოჩიჩონდუ(ნ)** „გახე-ვდება“ და სხვ. მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად იკვეთება ძირისეულ მიკ-რო-სტრუქტურაში ნარნარა თანხმოვანზე დაბოლოებული მარცვალი -ი/ონ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, იგი მას-დარული წარმოშობისა უნდა იყოს (ქირია...2015: 604).

nom-erg-nom-nom კონსტრუქციის მეგრულ ერთპირიან ზმნათა **R-დ-უ[უ](ნ)** სტრუქტურაში ორი ქვესტრუქტურული ჯგუფი გამოიყოფა:


1. R-დ-უ(ნ): ზურ-დ-უ(ნ) „მშიშრ-დ-ებ-ა, მხდალი ხდება“, **ნქირონ-დ-უ(ნ)** „შემ-დ-ებ-ა“, **პიხვონ-დ-უ(ნ)** „პუტკუნ-დ-ებ-ა“, **ქღურ-დ-უ(ნ)** „ლღვ-ებ-ა“, **რგი-დ-უ(ნ)**, „გრილ-დ-ებ-ა“, **სკვან-დ-უ(ნ)** „მშვენ-დ-ებ-ა, ლამაზ-დ-ებ-ა“, **სქინჩონ-დ-უ(ნ)** „მკვრივ-დ-ებ-ა“, **ტირკონ-დ-უ(ნ)** „ი-ბერ-ებ-ა“, **ჩუნ-დ-უ(ნ)** (დოჩუნდუ ჩაშუშდა, დოჩუნაფელ[ლ](ნ) ჩაშუშებულა) „შუშდება“

2. R-დ-უ-უ(ნ): რისონ-დ-უ-უ(ნ) „სივ-დ-ებ-ა“, **პიხვონ-დ-უ-უ(ნ)** „პუტ-კუნ-დ-ებ-ა, ბუთხუზ-დ-ებ-ა“, **რისონ-დ-უ-უ(ნ)** „სივ-დ-ებ-ა“, **წყიწყონ-დ-უ-უ(ნ)** „ლიპ-დ-ებ-ა“, **ჭვიჭვონ-დ-უ-უ(ნ)** „ლაქლაქ-დ-ებ-ა“...

კორნელი დანელიას შენიშვნით, „ვნებითი გვარის პრეფიქსული წარმო-ების უპირატესობით კოლხური ძველ ქართულს უახლოვდება, მაგრამ სუფიქ-სური წარმოების იშვიათობით ახალ ქართულს შორდება, ე.ი. ამოსავალი ვი-თარება ერთგვარია, განვითარების ტენდენცია კი – სხვადასხვაგვარი“ (დანე-ლია, 1976: 174). ეს ნამდვილად ასეა, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა კი გვიჩვენებს თანამედროვე ტენდენციას: ცხადი ხდება რომ მეგრულში, თანდა-თანობით, ძველ ქართულთან შედარებით, გზას იკაფავს და მკვიდრდება დო-ნიანი ზმნური ყალიბი.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული ერთპირიანი -დ სუფიქსიანი ზმნები პარალელური **ი-** პრეფიქსიანი წარმოებით ხასიათდება (დანელია 1976: 173-4); ჩვენ შევამოწმეთ საანალიზო მასალის ყველა მაგალი-თი: 244 ფორმიდან მხოლოდ **5,4%** აღმოაჩნდა პარალელური ერთპირიანი **ი-** პრეფიქსიანი ვარიანტი, **1,6%** – უპრეფიქსო, **93%** – სრულ უმრავლესობას კი შეადგენს -დ სუფიქსიანი ერთპირიანი ზმნები **ყოველგვარი პარალელური პრეფიქსული წარმოების გარეშე**. მოცემულ დიაგრამაზე წარმოვადგენთ -დ სუფიქსისა და **ი-/-ი-** ხმოვანპრეფიქსთა პროცენტულ განაწილებას (იხ. დიაგ-რამა 1):

■ 5.40% i- prefix ■ 1.6% without prefix i- ■ 93% suffix -d



დიაგრამა 1

დასკვნა

ამგვარად, **-დ** სუფიქსიან ზმნათა რიცხვი 19-იდან 244-მდე გაიზარდა. საინტერესოა, რომ ამ ზმნათა უმრავლესობას არ ეძებნება პარალელური **o-R-ებუ(ნ)** ვარიანტი, როგორც მაგალითად, **ჭითონდუ(ნ)** „წითლდება“– **იჭითარებუ(ნ)** „წითლდება“ ნასახელარი ზმნის შემთხვევაში. ჩვენ მიერ მოძიებული აბსოლუტური **R-დ-უ-უ(ნ)** სტრუქტურის (ე.წ. „დონიანი“) ზმნები მეორეულია და მათი უმრავლესობა **საკუთრივ მეგრული** ზმნური ძირებისგანაა ნაწარმოები.

პროცენტულად, ზმნათა **-დ** სუფიქსიანი წარმოება ვერ გადააჭარბებს პრეფიქსულს, თუმცა, 244 ზმნა, რომელთა რიცხვიც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზარდება, ჩვენი აზრით, სინქრონიულ ეტაპზე, გამონაკლისად და არაპროდუქტიულად ვერ ჩაითვლება.

ლიტერატურა

ანტონ კათალიკოსი 1753 – ანტონ კათალიკოსი, ქართული ღრამმატიკა, თბილისი.

გაიოზ რექტორი 1970 – გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, ე. ნიკოლაიშვილის რედ., თბილისი.

დანელია 1976 – კ. დანელია, ვნებიტი გვარის წარმოებისათვის კოლხურში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, 1976: 164-174, თბილისი.

დოდაშვილი 1830 – ს. დოდაშვილი, ქართული ღრამმატიკა, თბილისი.
იოანე ბატონიშვილი 1990 – იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, თბილისი.
იოსელიანი 1840 – პ. იოსელიანი, პირუტყვ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამატიკისა, თბილისი.

კარიჭაშვილი 1929 – დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

კარტოზია... 2010 – გ. კარტოზია, მ. ლომია, რ. გერსამია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.

კვიციანი 1888 – პ. კვიციანი, სწორმეტყველება, თბილისი.

კიზირია 1982 – ა. კიზირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი.

მაჭავარიანი 2002 – გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, ლექციების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

მელიქიშვილი 2001 – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.

მელიქიშვილი... 2008 – D. Melikishvili, M. Kupunia, D. Humphries, The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis, USA.

მელიქიშვილი 2014 – ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, თბილისი.

ნიკოლაიშვილი 2012 – მ. ნიკოლაიშვილი, რა განსაზღვრავს ზმნის კონსტრუქციას ქართულში? სპეკალი, №5, თბილისი.

სუხიშვილი 1976 – მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბილისი.

ფუტკარაძე 2014 – N. Putkaradze, Die autoactiven Verben der I, und II. Diathese im Mingrelischen, ჟურნალი „გეორგიკა“, გვ.:8-17, ბრემენი.

ფუტკარაძე... 2013 – ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ქ. გურჩიანი, ქართველური არქიფორმები ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის საკითხი და ქართული ენის თანამედროვე გამოწვევები, XVII, ქუთაისი.

ქართველიშვილი 1809 – ი. ქართველიშვილი, ქართული გრამმატიკა, თბილისი.

ქირია... 2015 – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, თბილისი.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I-III თბილისი.

ყიფიანი 1882 – დ. ყიფიანი, „ახალი ქართულ გრამმატიკაში (სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისთვის)“, სანკტ-პეტერბურგი.

ყიფშიძე 1994 – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, с.Петербургъ, 1914. დაბეჭდილია კრებულში იოსებ ყიფშიძე, „რჩეული თხზულებები“, (რედ. კ. დანელია), თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

შანშოვანი 1738 – ზ. შანშოვანი, მოკლე ღრამმატიკა, მოსკოვი.

შეროზია 1980 – რ. შეროზია, პოტენციალისის კატეგორია და მასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, კრებული «ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან», თბილისი.

ჩიქობავა 1968 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქეგლ, I, თბილისი.

ხუნდაძე 1920 – ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა (პირველდაწყებითი შკოლებსათვის) ქუთაისი.

ჯორბენაძე 1975 – ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

ჯორბენაძე 1983 – ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი.

NATIA PUTKARADZE

On the Megrelian Mono-personal Verbs of R-d-u{u}(n) Structure

S u m m a r y

According to the Georgian scientific literature Megrelian verbs of the structure **R-d-u{u}(n)** are qualified as the verbs of the passive voice (so called “verbs with the suffix -d”).

We consider the verbs of the said structure according to the universal category of Diathesis. Under the concept of Diathesis there are united two grammatical categories – a morphological structure and a syntactic construction (D. Melikishvili, 1979, 2001, 2010...);

On the syntactic level these verbs have the construction of the second Diathesis (**nom-erg-nom-nom**), i.e. their subject is marked by the nominative case marker in the screeves of Series I, by the ergative case marker in the screeves of Series II, by the nominative case marker in the screeves of Series III and again by the nominative case marker in the screeves of Series IV.

On the morphological level the mono-personal Megrelian verbs of the given structure (**R-d-u{u}(n)**) can be divided into the two sub-groups: **R-d-u(n)** and **R-d-u-u(n)**.

On the semantic level these verbs can have the voice that is the semantic category (not morphological) within the Category of Diathesis. According to the semantic category of voice, these verbs are Autoactives: they express the active (not passive) and at the same time reflexive action (*čitundu(n)* “is getting red”).

In the scientific literature it also noted that the verbs with the suffix **-d** are not productive and as a rule, the majority of them has the parallel forms with the vowel prefix **-i**; in order to validate this theory, there are cited no more than 19 examples and their parallel forms with the vowel prefix **-i**. We have worked on the Megrelian dialectal texts and dictionaries. We have designed a representative base of the mono-personal verbs of the following structure: **R-d-u{u}(n)**. The amount of these verbs has been increased up to 244 units. 93% of 244 mono-personal verbs of the structure **R-d-u{u}(n)** do not have any parallel forms (with the vowel prefix **-i**).

ნონა ქეცბაია

სამეურნეო ნაგებობათა აღმნიშვნელი ლექსიკისათვის მეგრულში

ნაგებობათა ფუნქციური ანალიზისას ერთ-ერთი მთავარია საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო დანიშნულების სათავსების ურთიერთდამოკიდებულება.

დასავლეთ საქართველოს ბარში, მათ შორის სამეგრელოშიც, წარსული ყოფისათვის დამახასიათებელია უმთავრესად მიწისზედა სათავსოთა კომპლექსები. სამოსახლოში, სახლთან ახლოს, გაფანტულად იდგა ნალია, ბედელი, ხულა, სასიმინდე (ბაგრატიონ-დავითაშვილი 2004: 55).

სამეურნეო ყოფის განვითარების შედეგად გამოწვეულმა ცვლილებებმა, მეურნეობის სპეციალიზაციამ, სასაქონლო სიმინდისა და პურის მოსავლის ინტენსიურად ზრდამ გამოიწვია აღნიშნული სათავსების კონსტრუქციულად შეცვლა. ბევრმა ორი-სამი, ზოგმა ოთხი სასიმინდე ააგო.

XX საუკუნის 20-იან წლებში ნაგებობის ზოგი სახეობა (მაგ. ღომის თაველის საშრობი ნალია-ნანია) მეტ-ნაკლებად მოისპო, მაგრამ, როგორც ძველი დროის გადმონაშთი, ჩვენი ყოფიდან არ გაქრა. ნაგებობათა თემატურ ჯგუფში, საცხოვრებელი სახლის გარდა, შედის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიც. თითოეულ მათგანს გარკვეული ფუნქცია აქვს. მეგრულ დიალექტში ამ ჯგუფის ლექსიკა საკმაოდ მრავალფეროვანია.

ოჩხოულე || ოჩხოვლე || ოჩხულე „სადროხე, ბოსელი“

ოჩხოულე შენდებოდა ისე, როგორც ფაცხა სახლი. მას აშენებდნენ ფიცრებისაგან და ორად დახეთქილი ხეებისაგან. შენობა მოგრძო იყო. შიგ უკეთებდნენ **ზაგას** – საკვების უძირო ჩასაყრელს დაბმული საქონლისათვის. **ზაგა**-ს სინონიმად მეგრულში გვხვდება **ფინახარი**. აშკარაა, რომ იმერული **ქვინახარი** და მეგრული **ფინახარი** ერთი და იგივეა. იმერულში შემონახული ჩანს უფრო ძველი, ამოსავალი ფორმა. **ქვ.** კომპლექსი გვამღოვეს **ფ**-ს (შდრ. აქვს – აფუ, ჩამქვა – ჩამფა).

ოჩხოულეს გარედან კედლებს მიაფარებდნენ გვიმრას და წკულეტით („ღვლერჭი“) ამაგრებდნენ. თავდაპირველად მას ხის იატაკი არ ჰქონდა (მასალები 1976: 400).

ბოსელი || ბოსეა „საქონლის სადგომი“

მეგრულში ეს ლექსემა ქართულის იდენტური ფორმითაა დადასტურებული, თუმცა მეგრული ენის მარტვილურ თქმაში გვხვდება ბოსეა (ლ → ფ ამ მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია).

ქართა „საქონლის ღია სადგომი, ბაკი“

ეს იყო ირგვლივ შემოზღუდული, უსახურავო ბაკი. ქართის ერთ-ერთ კუთხეში აკეთებდნენა **ჩხანკს**, ესაა ოთხ ბოძზე შემდგარი ისლით (ან სხვა რამით) გადახურული ნაგებობა, ავდარსა და ცხელ ამინდში საქონლის თავშესაფარი (ქაჯაია 2002: 326).

ქართა ვარიანტი ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: რაჭულში, იმერულში, გურულში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეიძლება ეს სიტყვა ზანიზმად განვიხილოთ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (დანელია 1991: 608).

მეგრულში მარტივი **ქართა**-ს გვერდით გვხვდება **ო-ე** დანიშნულების ცირკუმფიქსით ნაწარმოები **ო-ქართ-ე**.

ამზურა || **ამზურა** || **აზორა** || **აზოურა** „ბოსელი, საძროხე; (ქაჯაია 2001: 184; 162,164; ჭარაია 1997: 35).

ტერმინი **აზორა** და მისი ვარიანტები ცოცხალ მეტყველებებში ნაკლებად გვხვდება. **აზორა** გვაქვს ლაზურშიც და ცხენის სადგომს აღნიშნავს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ ტერმინი მეგრულში აფხაზურიდან არის შეთვისებული. თვით აფხაზურში აზორა//აზოურა ძირეული სიტყვა არ არის. იგი აფხაზურში შეთვისებულია სპარსულიდან. როგორც ჩანს, რომელიღაც ჩრდილოკავკასიური ენის მეშვეობით, ვინაიდან აფხაზებს სპარსელებთან უშუალო მჭიდრო კონტაქტი არ ჰქონიათ.

მ. ბუკიას ვარაუდით, **აზორა**//**აზურა** ზანურმა ენამ ისესხა მეგრელებისა და ლაზების ტერიტორიულ გათიშვამდე. თუ სესხება უფრო გვიან მოხდა, ლაზურმა უშუალოდ სპარსულიდან ისესხა, მეგრულმა კი – აფხაზურის საშუალებით (ბუკია 1999: 136).

აგვარა || **ანგვარა** „საქონლის შესადენი და დასამწყვდევ“

მეგრულ **აგვარა** || **ანგვარა**-ს ქართულ **აგარას** უკავშირებენ (ქართ. აგარა „სადგური, სახლი საზაფხულო“, აგარაკი „სახლი მთაში“).

მ. ჩუხუას აზრით, ქართულ **აგარა**-ს შესატყვისად ზანურში ***ოგორა** უნდა ყოფილიყო. მსგავსი ფორმის არსებობაზე მსჯელობის შესაძლებლობას მას აძლევს სვანურში ხმარებული ფორმა **აგორა** (ლნტ.) „საქონლის ბაკი“, რომელიც ზანიზმად მიაჩნია. ანლაუტში **ა/ო** მონაცვლეობა საკუთრივ ზანური მოვლენაა (ოგაფა/აგაფა. ობედი/აბედი), შემდგომ **ო/ვა** (ქორა/ქვარა, ცონა/ცვანა) გადაბგერებით, რაც მომდევნო **ა**-ს გავლენით აიხსნება, თანამედროვე ა(ნ)გვარა განვითარდა (ჩუხუა 2000-2003: 48).

მ. ჩუხუას მიაჩნია, რომ აფხაზური აგჷარა „ღობე“ ზანიზმია. აქამდე ეს ლექსიკური ერთეული აფხაზურიდან ნასესხებად ითვლებოდა. ი. ყიფშიძე მეგრულ **აგვარა**-სთვის ამოსავალ ფორმად მიიჩნევს აფხაზურ **აზოურა**-ს.

პ. ჭარაიას მიხედვით, **აგართა** აგარა-სგან არის მიღებული. ეს სიტყვა გავრცელებულია აფხაზურში და ნიშნავს ეზოს.

მ. ბუკია აგვარა-ს აფხაზურიდან მეგრულში შესულ ლექსიკურ ერთეულად მიიჩნევს. „ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად შეიძლება არც იყოს აფხაზური, მაგრამ მეგრულში აშკარად აფხაზურიდანაა ნასესხები, რაზეც აფხაზურისთვის დამახასიათებელი სახელთა ზოგადი ფორმის ა- პრეფიქსის არსებობა მიანიშნებს“. (ბუკია 1999: 135).

აფთარა „იგივეა, რაც ქართა – საქონლის დასამწყვდევი“ (ქაჯაია 2001: 199).

აფხაზურ ენაში **აფთარა** აღნიშნავს მწყემსის საზამთრო სადგომს ბარში (ჯანაშია 1951: 6). ამ ფორმიდან მომდინარეობს მეგრული **აფთარა**, რომელმაც შეიცვალა სემანტიკა და განიცადა გარკვეული ფონეტიკური ცვლილება: თანხმოვანთა შორის ჩასმულია ა ხმოვანი, რადგან, როგორც ცნობილია, მეგრულისათვის არ არის ბუნებრივი თანხმოვანი + სონორი მიმდევრობა.

კაზარმა „ბოსელი“

ოცხენე „თავლა“

თავლის ასაშენებელი მასალა იყო წკნელი და ხე. გასკვნიდნენ ჯერ საძირკველს, შემდეგ საძირკველზე აწყობდნენ კედლისათვის შუაზე გაჭრილ კუთხეებში გადასკვნილ მრგვალ ხეებს. კედლებზე ადგამდნენ სარტყელს სარტყელზე ამაგრებდნენ **კაკუტებს** და ხურავდნენ ისლით. ქარს რომ ისლი არ წაეღო, აწყობდნენ **ჭოკებს** – გრძელ ჯოხებს. თავლას შიგნით, ერთ მხარეზე, სიგრძეზე უკეთებდნენ **ზაგას**, ზაგა ორნაირად კეთდებოდა: ან გადალობავდნენ წკნელით, ანდა სიგრძეზე წყვილ-წყვილად ჩაარჭობდნენ სარებს და შიგ ჩაუდებდნენ გრძელ ფიცარს (მასალები 1976: 398).

საპირო „საქონლის ზაგა“;

ოჩიხალი „საჩიხე, საქონლის გადაუხურავი სადგომი“;

აკარა || **ახკარა** || **ხეკარა** „საქონლის სადგომი, შემოღობილი ადგილი, სადაც ზაფხულში საქონელი ჰყავთ“.

ეს სიტყვა აფხაზურიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. ბ. ჯანაშიას განმარტებით, აფხაზურში **ახკარა** აღნიშნავს შემოღობილ ადგილს, რომელიც ეზოს აკრავს. მეგრულში შემოსვლის შემდეგ ეს სიტყვა მეგრული ფონოტაქტიკის შესაბამისად გამარტივდა.

მარაკა „გომური, ბოსელი თხებისათვის, სათხებო ბაკი, თხის ან ცხვრის ღამის ბინა, მოღობილი და გადახურული“.

მარაკა-ს სინონიმად მეგრულში სხვა ლექსიკური ერთეულებიც გვხვდება

ა) ოთხალე, ბ) ქაზარკა გ) ხეკარა || **ხეკარა**;

ოსკუ || **ოსქე** || **ოსკე** || „საღორე სახლი, იშელი“;

საშუალო სისქის მრგვალ ხეებს გადასკვნიდნენ, მერე ზევიდან დაადებდნენ სარტყელს და ამ სარტყელზე დაგრეხილი წკნელით დაამაგრებდნენ კაკუტებს. შემდეგ გადახურავდნენ ჩალით ან ისლით (მასალები 1976: 398)

3. ფენრიხისა და ზ. სარჯველამის აზრით, ქართულ **ეშუ**- ძირის კანონზომიერი მეგრული ფონემური შესატყვისი შემონახულია წარმოქმნილ ო-სქუ < *ო-ასქუ ფუძეში: (არქეტიპი *ეშ) (ფენრიხი, სარჯველამე 2000: 192).

მ. ჩუხუა მეგრულ **ოსქუ**-ს უკავშირებს ქართულ **იშელ**-ს („საღორე სახლი“). თავკიდური ი- ქართულში, ო- ზანურში დერივაციული პრეფიქსებია (შდრ. ო-კიდ-ო „აკიდო“, ო-რდ-ო „ადრე“). იშელ- : ო-სქ-უ შეპირისპირებისას გამოვლინდება -ელ :-უ შეფარდება, რაც ცნობილი მოვლენაა სიტყვის ბოლოში (შდრ. ქართ. კელი: ზან. ხუ). ავტორი აღადგენს საერთოქართველურ ფუძეს ***(ი)-შ-ელ-**, რომლისგანაც მიღებულია ქართული იშელი და ზანური *ოშქუ-ოსქუ (ჩუხუა 2000-2003:114).

ჩვენი ვარაუდით, **ოსქუ** საკუთრივ მეგრული სიტყვაა. აქ გამოიყოფა **ო-უ** პრეფიქს-სუფიქსი (შდრ. ო-ტახ-უ „სატეხი“) და **-სქ-** ძირი, რომელიც შეიძლება დაუვუკავშიროთ **სქუა** („შვილი“) ან **სქუ**-ალა („შობა“) ფორმებში წარმოდგენილ ფუძეებს.

ოსკუ ფორმის გარდა, მეგრულში საღორე სახლის აღმნიშვნელად გვხვდება **ოდეჯე** -ც, რომელიც მიღებულია **დეჯ** – („ღორი“) ფუძეზე დანიშნულების ო-ე ცირკუმფიქსის დართვით.

ოკარიე || **ოკარია** || **ოკარეში** „საქათმე“

ოთხ ბოძზე შედგმული ოთხკუთხა მოწნული საქათმე, ზევიდან ისლით (ყავრით) იყო გადახურული; მოდგმული ჰქონდა **ჩართი** – კიბე (ქაჯაია 2002: 429; ელიავა 1987: 225).

ოთხ ადგილას ჩარჩობილ ორთითა სარზე ადებდნენ დანებს (წვრილ ძელებს) და ჭოკებისგან იატაკს აგებდნენ. გარშემო ჩაურჭობდნენ ჭოკებს (გრძელ ჯოხებს) და წნელით კედლებს წნაცდნენ, კედლების დაწვნას იწყებდნენ იატაკიდან. აიყვანდნენ ორი არშინის სიმაღლეზე, სარების თავისუფალ ნაწილს ჭრიდნენ, შემდეგ გვიმრით ხურავდნენ და ჩამოჰკიდებდნენ ლასტის კარებს (მასალები 1976: 398).

ო. ქაჯაიას მიხედვით, **ოკარიე** ეტიმოლოგიურად უკავშირდება **კირუ-კარუს**, რომელიც არის სალოცავი ნამცხვარი. მას ამზადებდნენ 1 იანვარს სადილობის შემდეგ.

ჩვენი აზრით, შესაძლებელია, ო-**კარ**-ი-ე-ში გამოყოფილი **-კარ-** ფუძე ზმნური ფუძისგან იყოს ნაწარმოები (შდრ. დო-**კარ**-აფა „დავანება“, „დაბინავება“).

მეგრულში ოკარიე ფორმის გარდა საქათმის აღმნიშვნელი ტერმინია **ოქოთომე**.

საინტერესოა, რომ გურულში **საქათმის** პარალელურად გვხვდება **კარ-**ფუძისაგან ნაწარმოები ფორმა **საკარია** || **საკარიე** (ღლონტი 1984: 464).

ოთულეში „საგოჭე ადგილი“. ეს მეგრული წარმოების სიტყვაა. აქ გამოიყოფა **ო – ეშ** მაწარმოებელი და **თუ** ძირი.

ბაღუ || **ბაღგ** „სიმინდის, პურეულის ჩასაყრელი შენობა“

ბაღგ ფიცრებისაგან ყურდასკვნილი პატარა სახლია. შიგნით ხის იატაკი აქვს. წინათ ხურავდნენ ხაიათი. შიგ ყრიდნენ გარჩეულ სიმინდს.

ბაღუ შესატყვისს ჰპოვებს როგორც ლაზურში, ისე ქართულსა და სვანურშიც.

არნ. ჩიქობავა ქართულ **ბელ**-ელ-ში გამოყოფს **-ელ** დეტერმინანტ სუფიქსს, რომლის მორფოლოგიური შესატყვისია **-უ** ზანურში და აღადგენს საერთოქართველურ ძირს – ***ბელ**, რომელიც დადასტურებულია ძველ ქართულშიც: „მაშინ წარვიდეს მებელლენი იგი“ (ჩიქობავა 1938: 151).

***ბელ**- ძირს უკავშირებენ სვანურში წარმოდგენილ **ბალ** (ზს. ლნტ)//ბელ ფუძესაც, რომელიც აღნიშნავს პურეულის შესანახ დიდ კიდობანს“ (ვენრიხი, სარჯველაძე 2000: 108; ჩუხუა 2000-2003: 60).

ხულა || **ხუა** „მარცვლეულის შესანახი შენობა“.

ეს ლექსემა თითქმის იმავე მნიშვნელობით გვხვდება გურულ, იმერულ, აჭარულ და რაჭულ დიალექტებშიც (დლონტი 1984: 704).

მალაზა „ბელელი, სასიმინდე, ნალია“ (ციფშიძე 1994: 278; ქაჯაია 2002: 229).

მასალა იგივე სჭირდებოდა, რაც სახლს. შენდებოდა ისე, როგორც სადგომი სახლი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კარები არ ჰქონდა. მხოლოდ ზევით, კედელში ფანჯარასავით ჰქონდა ამოჭრილი. ჩაარჭობდნენ მიწაში ოთხორმეტრიან მსხვილ ბომს, რომელზედაც გადებდნენ ოსხირებს (სამირკველს). ამ ოსხირებზე აშენებდნენ ყურებდაფსკვილ კედლებს. ხურავდნენ ისლით ან ხაიათი, უკანსაკნელ ხანებში კი – ყავრით. სასიმინდე ბომებზე იდგა, რომ ჰაერს ემოძრავა. კედლებში უკეთებდნენ ალაგ-ალაგ ამოჭრილებს (მასალები 1976: 400).

ძველად **მალაზა** ღობური იყო. მასზე მიყუდებული იყო **ჩართი** ან **ტკვა** („კიბე“)

მალაზა-ს სინონიმად მეგრულში გვხვდება **ოსიმინდე**.

ზოგიერთი სასიმინდის კედლებს წნავდნენ წნელით. ასეთ სასიმინდეს **ზარს** უწოდებდნენ (მასალები 1976: 399; ქაჯაია 2002: 11).

დღევანდელ ვითარებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია სასიმინდის ხელშეუხებლობა. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საცხოვრებელი სახლების ფორმათა შესამჩნევი უნიფიკაციის ფონზე სასიმინდე კარ-მიდამოს მთავარ ელემენტად დარჩა. იგი კოლხეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა მხარეში გავრცელებული ტიპური კარ-მიდამოს შემადგენლობაში ეზოს ხასიათს შეესაბამება.

ნალია || **ნანია** „იგივეა, რაც სასიმინდე“

ოთხკუთხედად ჩარჭობილ სარებზე კეთდება სარტყელი იდება კაკუტები, ლარტყები და იხურება ხაიათი. გადახურულში იდება დანები დანებში უნდა გაეყაროს ხის ტორები ლასტისნაირად. ამ ლასტზე დებენ ღომის თავთავს (მასალები 1976: 400).

მეორე მნიშვნელობით ნანია იყო ღომის თავთავების გასაშრობად შესანახი ადგილი, მარა, როემლსაც ძირი ლასტისა ჰქონდა და მაღალ ბომებზე იყო შემდგარი (ქაჯაია 2002: 360; ციფშიძე 1994: 490; ელიავა 1997: 244).

ამ ტერმინით სხვა სახის ნაგებობაც აღინიშნება. ო. ქაჯაიას განმარტებით, **ნანია** არის ოთხ ბომზე შემდგარი, ისლით გადახურული ნაგებობა, რომელსაც საქონელი ზაფხულში წვიმის (სიცხის) დროს თავს აფარებდა. ის იდგმებოდა **ქართაში** (ქაჯაია 2002: 360).

მარანი „მარანი, საღვინე სახლი, ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი“.

ქართველ ხალხს ღვინო წმინდა სასმელად წარმოედგინა, იგი ღვთებისთვის საყოველთაოდ გავრცელებულ შესაწირავ საგანს წარმოადგენდა. მათთვის შეწირული ღვინოს სპეციალური სახელიც – **ზედაზე** ეწოდებოდა. ზედაზეს შესატყვისად სამეგრელოში გვხვდებოდა **ოხვამერიც**.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში საზედაზე ქვევრები ზოგჯერ მარანში ჰქონდათ, ხშირად ცალკეც იყო ხის, ქვიტკირის თუ მოწნულ სადგომში დამარხული.

მარნის მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ საზედაზე ქვევრებს განსაკუთრებით მორიდებით ეკიდებოდნენ. მარანი წმინდად ითვლებოდა. იგი სალოცავ ადგილს წარმოადგენდა. ზოგი საოჯახო სარწმუნოებრივი წესი მარანში სრულდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული თვალსაზრისია დამკვიდრებული ყურძნისა და ღვინის კულტურის და მასთან მარნის, როგორც წმინდა ნაგებობის, ძველთაძველობაზე.

სამეგრელოში დადგენილ იქნა სალოცავი ნაგებობა – **ოხვამერი** შეწირული ღვინის შესანახად, რომელსაც საჯვარე თუ **ოხვამერი მარანი** ერქვა. იგი სახლიდან მოშორებით იდგა. ხალხს ხატზე უფრო მეტად მისი მორიდება და შიში ჰქონდა.

საკულტო კომპლექსი **მარანი, ზედაზე – ოხვამერი**, თაყვამისცემის ობიექტად და უწმინდეს სალოცავად იყო მიჩნეული (თოფურია 1985: 121)

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დასავლეთ საქართველოში ღვინის შესანახად განკუთვნილი დახურული ნაგებობის გვერდით ღია ცის ქვეშ ჩაყრილი ქვევრებიც ხშირად გვხვდება. სამეგრელოში ისეთი ქვევრები შემორჩეული იყო საჩრდილოებელი ხეებით (თოფურია 1984: 8)

ცალკე გამოვყოფთ ნაგებობათა აღმნიშვნელ იმ ტერმინებს, რომლებიც მიღებულია მარტივ ფუძეზე **ო-უ** ცირკუმფიქსის დართვით: **ო-ქოთომ-ე** „საქათმე“;

ო-ღეჯ-ე „საღორე“; **ო-ჩხოულ-ე** „საძროხე“; **ო-თხალ-ე** „გომური, ბოსელი თხებისთვის

ო-ფურჩ-ე „საბძელი“

ოფურჩეს აშენებდნენ თივისა და ჩალის შესანახად. მას უკეთდებოდა მრგვალად დაწნული კედლები და ზევიდან იხურებოდა ჩალით. იქ ინახავდნენ სიმინდის ფოთლებს, ფუჩქეს. ეს ზოგჯერ იყო ზვინის ქვედა ნაწილიც, სადაც ყრიდნენ ფუჩქეს (ქაჯაია 2002: 455). ფუჩქის შესანახი შენობის აღმნიშვნელი ტერმინია აგრეთვე **ფარონია**. ეს სიტყვა დადასტურებულია შინამრეწველობის მასალებში. ის სასიმინდესავით ოთხ ბოძზე იდგა. მაღლა სიმინდის ფუჩქეს ინახავდნენ, ძირს კი შეშას აწყობდნენ (მასალები 1976: 390).

მეგრულში წარმოდგენილი ნაგებობათა აღმნიშვნელი მდიდარი ლექსიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მშენებლობა ძველთაგანვე სამეურნეო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი დარგი ყოფილა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის სამეგრელოშიც.

ლიტერატურა

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

ბაგრატიონ-დავითაშვილი 2004 – გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობანი დასავლეთ საქართველოში, „ანალები“, №2, თბილისი.

ბუკია 1999 – მ. ბუკია მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკა ზანურში, თბილისი.

თოფურია 1984 – ნ. თოფურია, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბილისი.

მასალები 1976 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აღმშენებლობა და ავეჯი, თბილისი.

ქაჯაია 2001 – თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი.

ქაჯაია 2002 – თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

NONA KETSBAIA

On the Vocabulary for the Agricultural Buildings in Megrelian

S u m m a r y

Construction has always been the most important activity in agriculture. The Georgian language has a rich vocabulary in this field that was derived by the Georgian people in all the regions of Georgia. The functional analysis of a farmhouse and nearby agricultural buildings gives a very interesting picture.

In the lower region of West Georgia, also in Samegrelo the above-ground structures were built in the past. The thematic group of the buildings includes a farmhouse and other agricultural buildings. The Megrelian dialect has a rich vocabulary of the said group. The lexical units denoting a cowshed are as follows **očxoule**, **agvara**, **aboura**, **boseli**, **axkara**, **aptara**, **qazarma** etc. The other buildings related to agriculture are **oski/osku** “a pigsty”, **oqarie** “a chicken coop”, **maraka** “a sheep barn” etc. The nearby buildings of a farmhouse are **mayaza**, **xula/xuia**, **bayu** “a granary”, **marani** “a wine cellar”, **opurče** “a hayloft” etc.

The vocabulary denoting the agricultural buildings can be divided into the following groups: common Kartvelian (**boseli** “a cowshed”, **bayu** “a granary”, **agvara** “a cowshed” etc.), peculiarly Megrelian (**otuleši** “a pigsty for piglets”, **oqarie** “a chicken coop”, **oski** “a pigsty”) and borrowings (**aboura**, **axkara** “a cowshed”).

მედეა ლლონტი

**ქართ. დიდ-ის და მდიდარ-ის ისტორიული
პოლისემიისათვის**

ქართ. დიდ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე:

ქართ. დიდ-ის ისტორიული პოლისემიის თვალსაზრისით, უაღრესად საგულისხმოა დიდ-ის შთამბეჭდავი სიტყვათწარმოება როგორც ძველსა და ახალ ქართულში, ისე ქართულ დიალექტებში:

ლექსიკური ერთეული:	სემანტიკა:
დიდი	დიდი; მაღალი; ბევრი; ძალიან, მეტად
დია (< დი[დ]-ა[დ])	დიდად; მეტად; ბევრი, ბევრჯერ
დიად (< დი[დ]-ად)	ძალიან; უხვად;
დიადი (< დი[დ]-ად-ი)	ბევრი; ფრიად მრავალი
დიადობა, დიადება	დიადის თვისება; სიდიადე; გახშირება
დიდად (< დიდ-ად)	დიდად; მეტად; ფრიად; ძლიერ, ძალიან
დიდადი (< დიდ-ად-ი)	მრავალი, ბევრი; არამცირედი; დიდებული, ღირსშესანიშნავი, ჩინებული; ძლევამოსილი
დიდად მეტყუელი	ბევრის მოლაპარაკე
დიდაზნაური, დიდაზნა-ურობა	აზნაურის მაღალი წოდება; დიდაზნაურად ყოფნა
დიდასაკოვანი	ასაკით დიდი ხნისა
დიდბაბუა, დიდი ბაბუა	ბაბუა, პაპა
დიდბადე	დიდი, გრძელი ბადე
დიდბანოვანი	დიდგვაროვანი ქალბატონი
დიდბერიკა	ეთნ. უფროსი ბერიკა
დიდბუნებანი//ოვანი, დიდგულოვანი; დიდბუნებო(ვ)ანება	დიდი ბუნების (მაღალი სულიერების), დიდი სულისა და მაღალი სულის (ადამიანი); დიდბუნებოვნის თვისება
დიდგაბარიტიანი	დიდი გაბარიტის მქონე, დიდი ზომისა
დიდგვარი, დიდგვარიანი//ოვანი	დიდი გვარისა, შთამომავლობით წარჩინებული; დიდებული, დიდგვარიანი

დიდგონიერი//ება	სიბრძნე, ბრძენი
დიდგულა, დიდგული; დიდგულოვნება/ობა	გულდიდი, მედიდური, ამაყი, ამპარტავანი, ქედმაღალი; დიდგულას თვისება
დიდგულება;	სიდიდე; დიდსულოვნება
დიდ-დიდ	დიდებული, დიდი კაცი; მდიდარი; დიდძალი
დიდდედა, დიდედა, დი- დიდედა	ბებია; მიმართვა მოხუცი ქალისადმი
დიდ-დიდი, დიდრონ-დიდრონი	დიდებულება; ძალიან დიდი; მეტად ძლიერი; დიდი და დიდი, რამდენიმე დიდი
დიდი-დიდი	ჩართ. სულ ბევრი, არაუმეტეს; ბევრი-ბევრი
დიდება	დიდება; განდიდება; სახელი, პატივი, ღირსე- ბა; სიდიადე, დიდებულება; საგალობელი; (ღვთის, ხატის) ლოცვა, სადიდებელი; ქება; ოსანა; აღმატება; ისტ. თანამდებობა და თანამ- დებობრივი პატივი; რიტორ. შემახილი იმისა- დმი,ვისი (რისი) სახელიც საყოველთაოდ აღი- არებულება, პატივს სცემენ;
დიდებადი	სადიდებელი
დიდების-მზორგელობა	დიდების სურვილი
დიდების-მეტყუელება	შექება
დიდების-მოყუარე, დიდების-მოყუარება	პატივმოყვარეობა; პატივმოყვარე
დიდებული	წარჩინებული; პატივცემული; ვინც (რაც) ადიდეს; განდიდებული; დიადი; ღირსშესა- ნიშნავი; ჩინებული; საუცხოო; წარმოსადეგი; ისტ. მაღალი წოდების ან მაღალი თანამდებო- ბის პირი; წარჩინებული, დიდიგვაროვანი, თავად-აზნაური
დიდებულად	ჩინებულად; ძალიან კარგად
დიდებულება, უდიდებუ- ლესობა	სიდიადე; პატივისცემა; დიდებულის თვისე- ბა; რაც თაყვანისცემას, მოწიწებას იწვევს, ღირსშესანიშნავია; მეფის (დედოფლისადმი) მიმართვის ფორმა
დიდებულთაგანი	მთავარი; წარჩინებულთაგანი
დიდებულ-ყოფა	განდიდება
დიდვა(ე)ზირი	ძვ. უფროსი ვეზირი (ვაზირი)
დიდვაჭარი	ვაჭართა უფროსი
დიდვინმეობა	დიდ, გამორჩეულ პირად ყოფნა
დიდზამთრობა	დიდი, ხანგრძლივი ზამთარი
დიდთანხიანი	დიდი, მრავალი თანხის შემცველი, მქონე
დიდთ-გამომეტყუელი	დიდის მთქმელი; მნიშვნელოვანის მთქმელი

დიდთოვლიანი; დიდ-თოვლობა	დიდი თოვლი რომ არის, ისეთი ზამთარი; თოვლის უხვად მოსვლა
დიდ-პატარა//მდე, დიდიან-პატარაანად, დი-დიდან-პაწიანად; დიდპა-ტარაობა	ყველა – დიდიდან პატარამდე (განურჩევლად ასაკისა); დიდისა და პატარის გარჩევა, დიდად და პატარად ყოფნა
დიდის-სასყიდლისა	ძვირფასი
დიდკაცი, დიდი კაცი	ძვ. მდგომარეობით (წარმოშობით, თანამდებობით, ქონებით) უპირატესობის მქონე, წარჩინებული, დიდებული
დიდკაცობა, დიდკაცური დიდკაციშვილობა	დიდკაცის თვისება; დიდკაცად ყოფნა; კრებ. დიდკაცები, წარჩინებულები
დიდმეცნიერი	დახელოვნებული
დიდმნიშვნელოვნად	მრავალმნიშვნელოვნად, საგულისხმოდ
დიდმოსავლიანი	რამაც დიდი, უხვი მოსავლი იცის
დიდმოქადულება;	ქედმაღლობა
დიდმოქმედება	დიდი საქმე
დიდმოქცევი	კითხვის ნიშანი
დიდმოღვაწე	გამოჩენილი მოღვაწე
დიდმოძღვარი	სულიერად მტკიცე მოძღვარი
დიდმოწამე	სჯულისათვის წამებული; წმინდანი
დიდმოხელე	მაღალი თანამდებობის პირი, მოხელე
დიდმპყრობელი/ობა	აგრესორი/ულობა; იმპერიალისტი/ობა
დიდმშენიერი	მეტად, დიდად მშენიერი
დიდმცნობობა	გაგება; მიხვედრა; გულისხმისყოფა
დიდმწუანვილოვანი	მეტად ამწვანებული
დიდობა	სიდიდე; დიდი ასაკისად, ყოფნა; დიდკაცობა; მაღალი თანამდებობა; სიდიადე
დიდოსტატი	საქმეში დახელოვნებული; უფროსი ოსტატი
დიდპურობა	ძვ. ნადიმი (მრავალი ხალხის მონაწილეობით)
დიდრიცხვიანი	მრავალრიცხოვანი
დიდრაჯობა	დიდკაცობა, მდიდრულად ცხოვრება
დიდრაჯული	დიდკაცური; მდიდრული
დიდრო(ვ)ა, დიდროობა; დიდწყლობა	წყალდიდობა
დიდრო(ვ)ანი	უდიდესი; დიდ-დიდი; დიდ-დიდები
დიდრონი	დიდი; ასაკით უფროსი; მოზრდილი
დიდსათნო//ება, დიდ-სათნოებანი	მეტად სათნო; მეტად მოსაწონი; დიდი სათნოება
დიდსაიმედო	დიდი იმედის მომცემი; დიდად საიმედო
დიდსახელოვანი	სახელოვანთქმული

დიდსაწმარი	დიდად საჭირო
დიდსიტყუება	მჭევრმეტყველება; გამოზა; გაცხადება
დიდსკამოსანი	დიდი, მაღალი თანამდებობის ადამიანი
დიდსული, სულდიდი	დიდსულოვანი
დიდსულოვანი; დიდსულოვანად	სულგრძელი; კეთილშობილი; ღმობიერი, დამთმობი; მოწყალე; დიდსულოვნის თვისება
დიდსულობა, დიდსულოვანობა, დიდსულოვნება	დიდსულოვნის თვისება, სულგრძელობა; ღმობიერება
დიდტანიანი//ოვანი	ზორბა; დიდი მოცულობისა, სქელი
დიდტვირთიანი	დიდი ტვირთის მქონე, მზიდავი; მძიმე
დიდტონაჟიანი	დიდი ტევადობისა, მოცულობისა
დიდუფლებიანი	დიდი უფლებით აღჭურვილი
დიდფასი, დიდფასიანი	ძვირფასი; ძვირი, დიდი ღირებულებისა
დიდფასობა	სიძვირე
დიდ-ყოფა	უფროსობა
დიდყურა, დიდ-ყურ(ებ)იანი	ვისაც ან რასაც დიდი, გრძელი ყურები აქვს; გრძელყურიანი; სახედრის (ვირის) ეპითეტი
დიდშემძლე	მრავალი შემძლებისა; ძლიერი
დიდშენი	დიდი, მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობა
დიდშუბლა	ვისაც ან რასაც დიდი, ფართო შუბლი აქვს
დიდ-ჩინება	დიდად მიჩნევა
დიდჩინიანი//ოსანი	დიდი, მაღალი ჩინის მქონე
დიდცხვირა//იანი	ვისაც ან რასაც დიდი, გრძელი ცხვირი აქვს
დიდძალად	ძლიერ-ძლიერად; სასტიკად
დიდძალი, დიდი ძალი	ბევრი; ძალიან ბევრი, მრავალრიცხოვანი
დიდძალიანი//ოვანი	დიდი ძალის მქონე
დიდძალის-სასყიდლისა	ძვირფასი
დიდწვერა//იანი//ოსანი	დიდი, გრძელი წვერის მქონე
დიდწილად	მეტწილად; უმეტეს(წილად)//შემთხვევაში
დიდწონიანი	დიდი, მძიმეწონიანი
დიდჭირთამთმენი	დიდი ჭირის მომთმენი; დიდი ნებისყოფისა
დიდხან//ს, დიდხანობა	გრძელყამიერ, დაყოვნებით,
დიდხანობამდე//მდის	დიდი ხნის განმავლობაში, ხანგრძლივად
დიდხარისხიანი//ოვანი	მაღალხარისხოვანი
დიდხანიანი	რაც დიდხანს ძლებს, დიდხანს გრძელდება
დიდხანობით	დიდხანს; არაერთგზის
დიდხანოვანი	დიდი ხნისა
დიდჯამაგირიანი	ვისაც მაღალი ანაზღაურება აქვს
კეთილ-დიდი	სრული სიმაღლით, ასაკით, ძალით; მდიდარი,
განმდიდრება	დიდად ან მდიდრად ქცევა; სიმდიდრე

მდიდარი	დიდი ფულისა თუ ქონების პატრონი; შეძლებული (საპირისპ.ღარიბი); უხვად შემცველი, ბევრის მქონე; ნაყოფიერი, (მიწა); მომხიბლავი; მრავალფეროვანი,
მდიდრდება	გადატ. ემატება (ცოდნა, გამოცდილება); ივსება, იზრდება, ფართოვდება; ვითარდება
მდიდრულად	მდიდრის შესაფერი; სიმდიდრის მაჩვენებელი; ძვირად ღირებული, ძვირფასი; ძვირფასად მდიდრულად, მდიდრის შესაფერისად;
სიდიდე	დიდობა, დიდად ყოფნა; ძვ. სიმდიდრე
სიმდიდრე	სიდიდე; სიდიადე; ქონება, შენაძენი; პატივი
ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი ზ მ ი :	
დიდი გრილოა/ ზურგია	მშველელია, დამხმარეა, მფარველია; იმედია;
დიდი გულის ქონა; დიდ გულზეა	მედიდურობა, ზვავობა, ამპატავნობა, გოროზობა, სიამაყე; გამბედაობა; მედიდურადაა, ამაყადაა, ამპარტავანია
დიდი დაიკვებე	ვერ იზამ, ვერ ეწევი საწადელს, ვერ დაიკვებნი
დიდი დღე არ უწერია;	დიდხანს არ (ვერ) იცოცხლებს;
დიდი ხნის პურს ვერ ჭამს	დიდხანს ვერ გაძლებს;
დიდით პატარამდე;	ყველა (დიდიდან პატარამდე);
დიდი თუ პატარა	დიდიც და პატარაც
ღმერთმა დიდი დღე მოგცეს	ღმერთმა მრავალ წელს გაცოცხლოს
დიდი ლარი და ხაზი არ უნდა	ბევრი ლაპარაკი და მტკიცება არ უნდა
დიდი ნაფოტი მიცვივა სახლში	შეძლებული ვარ, მდიდარი ვარ
დიდი საქმეა	შეიძლება...; არც კი...
დიდს იმახი	დიდი გულზე ხარ; თავი მოგაქვს; ქედმაღლობ
დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ შ ი :	
ქართლ. დიდბაიქურად	ტრაბახით, ბაქიბუქით
ქართლ. დიდი პირით ამბობს	ტრაბახობს, იკვებნის
ქართლ. დიდრაჯობს	ამპარტავნობს, მედიდურობს
ხევს. დიამც	დიდი-დიდი; ბევრი-ბევრი
ხევს. დიდ-ბევრი	დიდი ამბავი, ბევრი ამბავი
ხევს. დიდ საკვირველი	ძალიან საკვირველი
ხევს. დიდ სოფელი წავ	გარდაიცვლება, მოკვდება
ხევს. დიდად; დიდობს	დიდგულად, ამაყად; ამპარტავანი; იპრანჭება
ხევს. დიდად შასწვდების	ძალიან ეწყინება

ხევს. დიდად შეაფასებს	მეტად შეაფასებს, გააზვიადებს
ხევს. დიდგვარი	ოდნავ დიდი, უფრო მოზრდილი
ხევს. დიდდასტური	ხატის მთავარი დასტურ
ხევს. დიდდების	ხატისთვის (და)ილოცება; ხატს (შე)ეწირება
ხევს. დიდება-[ნი]	ლოცვა ხატისათვის შესაწირავის შეწირვისას
ხევს. დიდიდი	დიდ-დიდი
ხევს. დიდი ლუდი// დი-დი სმა	ხევსურეთში ბევრი, „დიდი ლუდის ქნა“ და თემის მოწვევა
ხევს. დიდის ოფლის და-მდე	ძალიან მშრომელი
ხევს. დიდნ დღენ მაგცნას ღმერთმ!	ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს
ხევს. დიდს გამხედავი	ბევრის მომთხოვნი(ადათის შესრულებისას)
ხევს. დიდური	ამაყი, თავმოქმონე, ამპარტავანი
ხევს. დიდ-ცოტა	დიდი და პატარა; უფროსი და უმცროსი
ფშაურ. დია, დიახაც	ჯეროვნად, ღირსეულად
რაჭ. დია, დიამც(ა)	ბევრი, ბევრიმც
რაჭ. დიამ კაია	მადლობა ღმერთს!
რაჭ. დიდარე // დიდარი	მდიდარი

როგორც ვხედავთ, ქართ. **დიდ**-ი დიდად გამორჩეულია თავისი პოლი-სემიურობით.

თავის მხრივ, ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში განისაზღვრება საკუთ-რივ ქართ. **დიდ**-ის **14 დამოუკიდებელი სემანტიკური ველი**, შდრ.:

№	სემანტიკური ველი:	წყარო:
1	„დიდი“	მეგრ.-ჭან. დიდი, სვან. ხომა; ქეგლ-ი, ილია აბულაძე, ზურაბ სარჯველაძე; სულხან-საბა: „მარკოზი 5, 21; ესაია 5, 14“;
2	„მაღალი“	დავით ჩუბინაშვილი: „ზედს. მაღალი; სხუა-თა ზედა უმეტესი შესახედავითა, ანუ საქმი-თა, კუალად ფასითა, სიმძიმითა და სხვა (და-ბადება 1, 6; ფსალმუნი 47, 1; ვეფხისტ.342)“
3	„აღმატებულობა სიდიდით, ზომით“	დავით ჩუბინაშვილი; ქეგლ-ი: „ჩვეულებრივ-ზე მეტი სიდიდით, ზომით (მოცულობით, ტევადობით, ფართობით...) (საპირისპ. პატარა, მცირე, ცოტა)“

4	„აღმატებულობა ფიზიკურად“	სვან. ხოშა; დავით ჩუბინაშვილი; ქეგლ -ი: „გადატ. ზომაზე მეტი ჩვეულებრივზე მეტი, ფიზიკური ძალით(სისწრაფით...), ძლიერი, მძლავრი – დიდი ქარიშხალი“
5	„აღმატებულობა ფსიქიკურად“	სვან. ხოშა; დავით ჩუბინაშვილი; ქეგლ -ი: „გადატ. ჩვეულებრივზე მეტი, ზომაზე მეტი თავისი ფსიქიკური ზემოქმედებით (სიღრმით...) -დიდი სიყვარული“
6	„აღმატებულობა თვისებით“	დავით ჩუბინაშვილი; ქეგლ -ი: „გადატ. ჩვეულებრივზე მეტი თავისი თვისებით (დადებითით, უარყოფითით), დიდად, ძალიან, ფრიად, მეტად – თავმდაბალი; მედიდური; ამაყი, დიდი მატყუარა; დიდად ფასობს“
7	„ასკობრივი აღმატებულობა“	მეგრ.-ჭან. დიდი, სვან. ხოშა; დავით ჩუბინაშვილი; ქეგლ -ი: „მოზრდილი, უფროსი (ასაკით) – დიდი თუ პატარა“
8	„აღმატებულობა რაოდენობრივად“	მეგრ.-ჭან. დიდი, ხევს. დიამც, დავით ჩუბინაშვილი; ქეგლ -ი: „რაოდენობით მეტი, ბევრი, დიდძალი, მრავალრიცხოვანი – დიდი ფული“
9	„ხანგრძლივობა დროისა (მოქმედებისა...)“	დავით ჩუბინაშვილი; ქეგლ -ი: „ხანგრძლივი, ბევრი (დრო) – დიდი ხანია; დიდი ვახშმოზა „გვიანი ვახშმოზა“; დიდი მარხვა, „ყველაზე ხანგრძლივი – სააღდგომო მარხვა“
10	„გამორჩეულობა“	დავით ჩუბინაშვილი; ქეგლ -ი: „გამორჩეული მნიშვნელობით, – შესამჩნევი, ანგარიშგასაწევი; მნიშვნელოვანი, საყურადღებო, საგულისხმო – დიდი ცოდნა; დიდი წირვა; გამოჩენილი, თვალსაჩინო (პიროვნება); უაღრესი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, გენიალური; დიდი რუსთაველი“
11	„კრძალვა“ (სულიერად ან ხორციელად მაღლა მდგომისადმი)	დავით ჩუბინაშვილი; ქეგლ -ი: „მოწიწების ეპითეტი, – მაღალი, წმინდა – დიდ ხარ შენ, უფალო! წმიდა დიდმოწამე დიდი აიაზმა „ნათლისღების მწუხრზე ნაკურთხი (წმინდა) წყალი“; დიდო მეფეო! თქვენო უდიდებულესობა!“
12	„წოდებრივი უპირატესობა“	დავით ჩუბინაშვილი; ქეგლ -ი: მოძვ. მდგომარეობით მაღლა მდგომი (წოდებით, თანამდებობით), – პრივილეგირებული, წარჩინებული, დიდებული; ისტ. წოდებრივი ტიტულის მსაზღვრელი“ – დიდი მთავარი; დიდი სკამი“

13	„ღირსშესანიშნაობა“	დავით ჩუბინაშვილი; ქეგლ -ი: „განსაკუთრებული ისტორიული ან პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე, – ღირსშესანიშნავი, დიადი“ – დიდი გამარჯვება“
14	„ტოპონიმით გამოხატული აღმატებულობა“	ქეგლ -ი: „მსაზღვრელი – ზოგიერთი ადგილისა, გეოგრაფიული სახელისა... (შედარებითი სიდიდის გამოსახატავად)“ – დიდი ჯიხაიში...“

ქართ. დიდ-ის ლექსიკური მარაგიდან აღმოცენებული 14 სემანტიკური ველი გადანაწილდება **3 მაგისტრალური ლექსიკურ-სემანტიკური მიმართულებით**:

I. „აღმატებულობა; ძლიერება“:		
№	სემანტიკური ველი:	ზუდეში შემავალი ლექსიკური ერთეული:
1	<p>„დიდი; აღმატებულობა“ ფიზიკურად, სიდიდით, მოცულობით, ზომით</p> <p>„დიდი, უდიდესი; დიდად, მეტად; ღრმად; ფრიად; ძალიან, ძლიერ, ძლიერი; მძიმე; გრძელი; სქელი; ფართო“</p>	<p>დიდი, დია, დიად, დიადი, დიდად, დიდადი, დიდბადე, დიდებულად, დიდგაბარიტიანი, დიდ-დიდ, დიდ-დიდი, დიდი ველი, დიდი ქარიშხალი, დიდი ჯიხაიში, დიდმწუანვილოვანი, დიდობა, დიდრო(ვ)ანი, დიდრო(ვ)ა, დიდრონ-დიდრონი, დიდრონი, დიდროობა, დიდტანიანი, დიდტანოვანი, დიდტვირთიანი, დიდტონაჟიანი, დიდყურა, დიდყურ(ებ)იანი, დიდშუბლა, დიდცხვირა, დიდცხვირიანი, დიდძალიანი, დიდძალოვანი, დიდწვერა, დიდწვერიანი, დიდწვეროსანი, დიდწონიანი, მეგრ.-ჭან. დიდი, სვან. ხოშა, ხეგს. დიამც, დიდგვარი, დიდიდი</p>
2	<p>„აღმატებულობა; გამორჩეულობა“ თვისებით, ხარისხით</p> <p>„დიდად, მეტად; ღრმად; ფრიად; მედიდური, ამაყი, ამპარტავანი, ქედმაღალი; პატივმოყვარე; განდიდებული; სიბრძნე, გონიერება;</p>	<p>დიდი, დიდი დაიკვეხე, დიდი გრილოა; დიდი გულის ქონა; დიდ გულზეა, დიდს იძახი, დიდი ზურგია (აქვს), დიდი გამარჯვება, დიდი მატყუარა, დიდი საქმეა, დიდი სიყვარული, დიდი ცოდნა, დიდი წირვა, დიადი, დიადობა, დიდად, დიდმარხვა, დიდმნიშვნელოვნად, დიდმოღვაწე, დიდმოქმედება, დიდმოძღვარი, დიდად-მოწყალე,</p>

<p>ძლიერ, ძლიერი; ძალიან, ძლივამოსილი; საუკეთესოდ;</p> <p>ძვირი, ძვირფასი;</p> <p>დიდებული, ჩინებული;</p> <p>ღვაწლი; ღირსშესანიშნავი, ღირსშესანიშნაობა;</p> <p>დღესასწაული</p>	<p>დიდად ფასობს, დიდადი, დიდბუნებია-ნი, დიდბუნებოვანი, დიდბუნოვანი, დიდბუნებო(ვ)ანება //</p> <p>// დიდბუნებო(ვ)ანობა, დიდგულა, დიდგულა, დიდგულება, დიდგული, დიდგულოვანი, დიდგულოვნება, დიდ-დი, დიდვინმეობა, დიდება, დიდებული, დიდების-მზორგელობა, დიდების-მოყუარე, დიდებულ-ყოფა, დიდ-ყოფა, დიდების-მოყუარება, დიდების-მოყვარეობა, დიდთ-გამომეტყუელი, დიდ(ის)-სასყიდლისა, დიდმნიშვნელოვნად, დიდმოქადულობა, დიდმოქცევი, დიდმოდვარი, დიდმპყრობელი, დიდმპყრობელობა, დიდმშვენიერი, დიდმცნობობა, დიდობა, დიდპურობა, დიდრონ-დიდრონი, დიდსათნო, დიდსათნოებიანი, დიდსათნოება, დიდსაიმედო, დიდსახელოვანი, დიდსაჭმარი, დიდსიტყუება, დიდშემძლე, დიდშენი, დიდჩინება, დიდოსტატი, დიდსათნო, დიდსათნოებიანი, დიდსათნოება, დიდსაიმედო, დიდსული, დიდსულობა, დიდსულოვანი, დიდსულოვნად, დიდუფლებიანი, დიდფასი, დიდფასიანი, დიდფასობა, დიდფულიანი, დიდშემძლე, დიდძალად, დიდძალიანი, დიდძალოვანი, დიდძალის-სასყიდლისა, დიდწილად, დიდწყლობა, წყალდიდობა, დიდჭირთამთმენი, დიდხარისხიანი, დიდხარისხოვანი, მდიდარი, მდიდრდება, მდიდრულად, სიდიდე, სიმდიდრე, სულდიდი, უდიდებულესი, „დიდ კაცს დიდი სულგრძელება მართებსო“; „დიდ მანძილს კაცი ჭენებით ვერ გაივლისო“; „დიდი სიბრძნეა კაცისა, ცნობა თავისის თავისა“; ქართლ. დიდბაიქურად, დიდი პირით ამბობს, დიდრაჯობს; ხევს., ფშავ. დიდად[ა], ხევს., დიდ-ბევრი, დიდად, დიდად შასწვდების, დიდსაკვირველი, დიდად შეაფასებს, დიდის ოფლის დამდე, დიდობს, რაჭ. დიდარე//დიდარი</p>
--	---

<p>3</p>	<p>„მაღალი“ იერარქიული (წოდებრივი, თანამდებობრივი უპირატე- სობა) „დიდება, დიდებული; დიდგვაროვანი, დიდგვა- როვნება, წარჩინებული; წარჩინებულობა; პატივი; თანამდებობა;</p>	<p>დიდი, დიდი მთავარი; დიდისკამი; დიადომა, დიდბანოვანი, დიდბერიკა, დიდგვარი, დიდგვარიანი, დიდგვაროვა- ნი, დიდება, დიდებული, დიდებულემა, დიდებულ-ყოფა, დიდებულთაგანი, დიდვაზირი, დიდვეზირი, დიდკაცი, დიდკაციშვილობა, დიდკაცობა, დიდკაცური, დიდმოხელე, დიდო მეფეო! დიდობა, დიდოსტატი, დიდრაჯობა, დიდრაჯული, დიდსკამოსანი, დიდუფლებიანი, დიდჩინიანი, დიდჩი- ნოსანი, განმდიდრება, სიდიდე, სიმდიდრე, უდიდებულესობა</p>
<p>4</p>	<p>„კრძალვა“ სულიერად ან ხორციელად მაღლა მდგომისადმი, სიწ- მინდისადმი „ზეციერი; სიწმინდე; საგა- ლობელი; ლოცვა, (შე)ქე- ბა, სადიდებელ-სავედრებე- ლი; ოსანა“</p>	<p>დიდი, დიადი, დიადომა, დიდება, დი- დებადი, დიდების-მეტყუელება, დიდ ხარ შენ, უფალო! დიდი აიაზმა, დიდი მოწამე, დიდმოწამე, დიდწამებული, ხეცს. დიდ სოფელჩი წავ; დიდდასტური, დიდების, დიდება-[ნი], დიდს გამხედავი, რაჭ. დიამ კაია</p>

<p align="center">II. „სიმრავლე; სიმდიდრე“:</p>		
<p>№</p>	<p>სემანტიკური ველი:</p>	<p>ბუდეში შემავალი ლექსიკური ერთეული:</p>
<p>1</p>	<p>„ზევრი, მრავალი, არამცირედი; უხვი, უხვად“</p>	<p>დიდი ფული, დია, დიად, დიადება, დია- დი, დიდადი, დიდ-დიდ, დიდ-დიდი, დიდი-დიდი, დიდთანხიანი, დიდად მე- ტყუელი, დიდთოვლიანი, დიდთოვლო- ბა, დიდმოსავლიანი, დიდმნიშვნელოვ- ნად, დიდპურობა, დიდრიცხვიანი, დიდძალის-სასყიდლისა, დიდ(ის)-სა- სყიდლისა, დიდსიტყუაება/ობა, დიდ- შემძლე, დიდძალი, დიდი ძალი, დიდწი- ლად, დიდჯამაგირიანი, დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, მდიდარი, მდიდრდება, მდიდრულად, სიმდიდრე, რაჭ. დია, დი- ამც(ა), ხეცს. დიამც, დიდ-ზევრი, დიდი ლუდი (// დიდი სმა)</p>

2	„მდიდარი“	დიდი ნაფოტი მიცვივა სახლში, დიდ-დიდ, დიდფულიანი, განმდიდრება, მდიდარი, სიმდიდრე, სიდიდე,
---	-----------	--

III. „დროის ხანგრძლივობა, ასაკობრივი სიდიდე“:		
№	სემანტიკური ველი:	ბუდეში შემავალი ლექსიკური ერთეული:
1	„დროის ხანგრძლივობა“	დიდვანშობა, დიდი ვახშობა; დიდზამთრობა, დიდმარხვა, დიდხანს, დიდხნობამდე, დიდხნობამდის, დიდხნიანი, დიდხნობით, დიდხნოვანი, დიდი დღე არ უწერია, დიდი ხნის პურს ვერა სჭამს, ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, ხეგს . დიდნ დღენ მაგცნას ღმერთმ!
2	„ასაკობრივი სიდიდე“	დიდიდან-პატარიანად, დიდიდან-პაწიანად, დიდ-პატარა, დიდ-პატარამდე, დიდპატარობა, დიდბერიკა, დიდდედა, დიდედა, დიდიდედა, დიდობა, კეთილ-დიდი, დიდით (დიდიდან) პატარამდე, დიდი თუ პატარა; პატარა თუ არ გაიზარდა, დიდი საიდან იქნებოა, მეგრ.-ჭან . დიდი, სვან . ხოშა, ხეგს . დიდ-ცოტა

ქართ. დიდ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ამსახველი მასალა

მრავლისმეტყველია ქართ. დიდ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის სა-მივე მაგისტრალური ლექსიკურ-სემანტიკური მიმართულების ამსახველი ისტორიული მასალა. წარმოვადგენთ ამ მასალის მცირე ნაწილს:

I. „აღმატებულობა; ძლიერება“: „გარდაგორვებულ ხიყო ლოდი იგი, რომელი ხიყო დიდ ფრიად“ (მარკოზი 16,4); „იქმნის იგი ხე დიდ“ (მათე 13,32); „სასყიდელი თქუენი დიდი იყოს ცათა შინა“ (მათე 5,12); „უკუანაჲსკნელსა მას დღესა დიდისა მის დღესასწაულისასა“ (იოანე 7,37); „რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა იძიოს მისგან“ (ლუკა 12,48); „დიდრო(ვ)ამ რაჲ იყო, ეკუეთა მდინარე იგი სახლსა მას“ (ლუკა 6,48); „ჰყოფენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა“ (მათე 24,24); „დიდ-დიდნი ჳელმწიფებენ მათ ზედა“ (მათე 20,25); „ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემი არს, და დიდებულ ვარ მე მათ შორის“ (იოანე 17,19); „ყო იგი ვითარცა ერთი დიდებულთაგანი“ (აბულაძე); „და ადიდებდეს ღმერთსა ისრაელისასა“ (მათე 15,31); „მამა ჩემი, რომელი მადიდებს მე“ (იოანე 8,54); „ვიხილეთ უდიდებულესი დიდებამ დღეს“ (ლუკა 5,26); „რამეთუ შეიყუარეს დიდებამ კაცთაჲ უფროჲს, ვიდრე დიდებამ ღმრთისაჲ“ (იოანე 12,43); „მოიქცეს და მისცეს დიდებამ ღმერთსა“ (ლუკა 17,18); „ერსა დიდსა და მრავალსა, კეთილ-დიდსა [სრულსა (3)ასაკითა]“ (2 შჯულისაჲ 9,2); „დიდ კაცს დიდი სულგრძელება მართებსო“; „დიდ მანძილს კაცი ჳენებით ვერ გაივლი-

სო“; „**დიდი** სიბრძნეა კაცისა, ცნობა თავისის თავისა“; „**დიდ** სოფელში წავ“; „**დიდს** გამხედავი“; **დიამ** კაია („მადლობა ღმერთს!“); და სხვა მრავალი.

II. „სიმრავლე; სიმდიდრე“: „მრავალთა **მდიდართა** დადევს **დიდადი**“ (მარკოზი 12,41); „და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ **დიდმალი**“ (მარკოზი 5,11); „შეკრბა მისა ერი **დიდმალი**“ (მარკოზი 5,21); „ვეცხლი **დიდმალი** მისცეს ერი-საგანთა მათ“ (მათე 28,12); „შესაძლებელ იყო ესე განსყიდად **დიდმალის** [მრავალ-სასყიდლისაჲ]“ (მათე 26,9); „სულგრძელ, **დიდად-მოწყალე** [მრავალ-მოწყალე]“ (რიცხუთა 14,18); „მიეცა მას პირი **დიდად მეტყუელი**“ (გამოცხადება 13,5); „განამრავლე **განმდიდრებაჲ** მისი“ (ფსალმუნი 64,10); „ღმრთისა მიერ **განმდიდრებოდის**“ (ლუკა 12,21); „**სიმდიდრისა [სიდიდისა]** მისისაჲ [უფლისაჲ] არა არს დასასრულ“ (ფსალმუნი 144,3); „უმჯობეს არს სახელი კეთილი, ვიდრე **სიმდიდრესა** მრავალსა“ (იგავნი სოლომონისნი 22,1); „მოსცეს მას ღმერთმან **სიმდიდრე** და ნაყოფი და დიდებაჲ“ (ეკლესიასტე 6,2); „საცთურმან **სიმდიდრისაჲმან** შეაშთვის სიტყუაჲ იგი“ (მათე 13,22); „მეფესა ეთქვა ამისი **დიადი** მადრიელობა“ („ვეფხისტყაოსანი“); „**დია** გასცა საბოძვარი, ყველა დარბაზს შემოხადა“ („ვეფხისტყაოსანი“); „**დიდი** ღარი და ხაზი არ უნდა“; „**დიდად** შეაფასებს“; „**დიდი** ნაფოტი მიცვივა სახლში“; „ესე თქვა და სიხარულით თამაშობა **ადიადა**“ („ვეფხისტყაოსანი“); „**დიდად** შასწვდების“; „**დიდ** საკვირველი“; „**დიდის** ოფლის დამდე“; „ერთი **დიდარე** მეზობელი მყამდა“ და სხვა მრავალი.

III. „დროის ხანგრძლივობა, ასაკობრივი სიდიდე“: „**დიდი** დღე არ უწყერია“; „**დიდი** ხნის პურს ვერა სჭამს“; „ღმერთმა **დიდი** დღე მოგცეს“; „**დიდნ** დღენ მაგცნას ღმერთმ!“ „პატარა თუ არ გაიზარდა, **დიდი** საიდან იქნებაო“; **დიდით** (**დიდიდან**) პატარამდე; **დიდი** თუ პატარა და სხვა.

ქართ. დიდ-ის „დიდი“ ისტორიულ-ეტიმოლოგიური ინფორმაცია

ქართ. დიდ-ი ძველ ქართულ სალიტერატურო ძეგლებში დასტურდება.

ქართ. დიდ-ს „დიდი; უფროსი“ კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ.-ჭან., ლაზ. დიდ- „დიდი“ (ჩიქობავა 1938: 234; კლიმოვი: 73; ფენრიხი-სარჯველაძე: 172).

არქეტიპი *დიდ ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე აღადგინა გიორგი კლიმოვმა. უაღრესად მნიშვნელოვანია მისივე მითითება, რომ *დიდ უნდა იყოს რედუპლიცირებული ფუძე – *დი-დი, ამასთან, არ გამოირიცხება დიდ-ის კავშირი აფხ. ა-დ-გ-ჟ „დიდი“, ადილ. დან და ყაზარდ. დიდე-სთან „მალიან; სულ“ (კლიმოვი 1964: 73; შდრ.: გორდეზიანი 1985: 61).

უაღრესად საგულისხმოა უფროსობითი ხარისხის გაქვევებული სახით არსებული ფორმა სვან. ხოშა „დიდი; უფროსი“, რომელსაც ბალსხემოური დიალექტი ანიჭებს უპირატესობას, განსხვავებით ამავე სემანტიკის მქონე ბალსქვემოურისთვის უფრო ბუნებრივი -ილ-სუფიქსიანი სვან. ხოშ-ილ-ისაგან (მარგიანი-სუბარი 2008-2009: 46).

აღნიშნავენ, რომ სვან. **ხოშა**-ს ამოსავალი ფუძე არაა შემონახული. ა.შა-ნიძის აზრით, აქ **ხო-** ისტორიულად იგივეა, რაც სვანური ზმნის სასხვისო ქცევის ფორმანტი **ხო-**, სადაც **ხ-** III ობიექტური პირის ნიშანია (შანიძე 1973: 143). ზედსართავის ხარისხის წარმოების მსგავსი წესი, როგორც ცნობილია, ძველ ქართულ ხანმეტ-ჰაემეტურ ძეგლებშია შემონახული, ხოლო მეგრულ-ჭანურ-ში დაკარგულია.

სვან. **ხოშა**-ში უფროობითი ხარისხის **ხო** – ა კონფიქსისა და ძირეული **-შ-** ის გამოყოფის დასტურად, დამაჯერებელ არგუმენტებს გვაწვდიან ალექსანდრე ონიანი (ონიანი, 105) და გივი მაჭავარიანი (მაჭავარიანი 1958: 122), კერძოდ:

ერთი მხრივ, **უფროობითი ხარისხის** სვან. **ხოშა** „უფრო დიდი“ და **დადებითი ხარისხის** სვან. **ხო-შ-ა** „დიდი“ (შდრ.: „ისგუ ქორ მიშგუად **ხოშა** ლი“ = „შენი სახლი ჩემსაზე (უფრო) დიდია“ და „ისგუ ქორ **ხოშა** ლი = „შენი სახლი დიდია“);

მეორე მხრივ: **მა-** -ე აფიქსით წარმოებული **აღმატებითი ხარისხის** სვან. **მა-შ-ენე** „უდიდესი“ და **სვანური ზმნური ფორმა ხ-ა-შ-ა** „ებევრება, არ ემეტება, ენანება (ვინმესთვის)“, ანუ მისთვის **ზედმეტად, დიდად, დიდ** პატივად მიაჩნია (მარგიანი-სუბარი 2008-2009: 48-49, 54).

სამართლიანადაა მითითებული, რომ ე. წ. გაქვავებული სვან. **ხოშა**, მისი დღეისათვის არსებული ორკეცი სემანტიკით („დიდი“ და „უფრო დიდი; უფროსი“), შესაძლებლობას იძლევა, აღდგეს ისტორიული, ამოსავალი დადებითი ხარისხის სემანტიკის მქონე ძირ-ფორმა **შ** „დიდი“, რომლის გაცვეთისა თუ დაკარგვის შემდეგ „მოხდა დადებითი და უფროობითი ხარისხის ნეიტრალიზაცია“, და ნაკლები დადებითი ხარისხის სემანტიკა იტვირთა უფროობითის ფორმამ **ხო-შ-ა** (მარგიანი-სუბარი, 44,54), რამაც განაპირობა სვან. **ხოშა**-ს მორფოლოგიური ომონიმურობა („დიდი“ და „უფრო დიდი; უფროსი“).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ომონიმური სვან. **ხოშა** „დიდი, უფრო დიდი“ და „უფროსი“ ერთდროულად მიეკუთვნება ზემოთ წარმოდგენილ ორ მაგისტრალურ ლექსიკურ-სემანტიკურ მიმართულებას (ველს):

სვან. **ხოშა** „დიდი; უფრო დიდი; უფროსი“ = **I. „აღმატებულობა; ძლიერება“**,

ხოლო სვან. **ხოშა** „უფროსი“ = **III. „ხანგრძლივობა (დროის), ასაკობრივი სიდიდე“**.

თუმცა, როგორც ზეპირი გადმოცემით მაუწყეს (ბატონმა მერაბ ჩუხუამ და ქალბატონმა მედეა სალიანმა), სვანურში დასტურდება **დიდ-** ფუძის შემცველი ბქ. **ლი-დიდ-ან-ალ** „მედიდურობა, ამაყად სიარული“ და ჩოლ. **ლი-დიდ-ალ** „ზვიადობა, მედიდურობა“, შდრ.: სვან. **დიდჷბ** „დიდება“ (ქლენტი 1949: 115; თოფურია 1927: 308).

მერაბ ჩუხუას აზრით, მოცემულ სვანურ ფორმებში (ლი-დიდ-ან-ალ და ლი-დიდ-ალ „ზვიადობა, მედიდურობა“) აღბეჭდილია ქართ. **დიდ-**ის „დიდი“ კანონზომიერი შესატყვისი სვან. **დიდ-** (შდრ. ქართ. **დიდ-**ის სემანტიკური ველიდან „აღმატებულობა (თვისებით)“: „მედიდური, ამაყი, ამპარტავანი, ქედმაღალი; პატივმოყვარე; განდიდებული“), რითაც შეივსო ნაკლები **დიდ-**ის ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანური შესატყვისობა.

ყურადღებას იქცევს სახელმწიფო სამართლის ცნების გამომხატველი ისტორიული ტერმინები **დიდებული** და **დიდებულეზა**. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, ქართ. **დიდება** „მველად თანამდებობასა და თანამდებობაზე დაფუძნებულს პატივს ჰნიშნავდა“ (ჯავახიშვილი 1982: 308); ხოლო **დიდებულის** „თავი და თავი მნიშვნელობა იყო „განდიდებული, პატივცემული, დაწინაურებული, წარჩინებული და განთქმული“ (იქვე, 207).

მკვლევარს ამის დასტურად არაერთი მაგალითი მოჰყავს ბაგრატ მეფის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ცხოვრებიდან. დავით აღმაშენებელმა ორგულნი და ურჩნი „შესცუალნა **დიდებისაგან**, და ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი“. თამარ მეფის დროს კი დიდგვაროვანნი გამოთავისუფლებული მაღალი თანამდებობებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ „ხელისუფლებისა და **დიდებისათვის**“. თამარის ისტორიკოსის ხატოვანი გამოთქმით, მისი მეფობისას ისეთი კეთილდღეობა სუფევდა საქართველოში, რომ: „გააზნაურდეს ქუეყანის-მოქმედნი, და **გადიდებულდეს** – აზნაურნი, და გახელმწიფდეს – **დიდებულნი**“ – რაც იმას ნიშნავს, რომ იმხანად კეთილმსახური მეფის წყალობითა და განკარგულებით, ყველა კეთილმოქმედი მამულიშვილი დაწინაურდა და სახელმწიფო იერარქიის უფრო მაღალი საფეხური დაიკავა.

აქედან გამომდინარე, ისტორიულად უკვე არსებობდა **აზნაური** და **აზნაური დიდებული** (**დიდაზნაურობა**), **ვაჭარი** და **დიდვაჭარი**. საკუთრივ **დიდებულისა** და **დიდებულების** სამართლებრივ სტატუსს კი მათ მეფე (ხელმწიფე) ანიჭებდა, ოღონდ არა გვარიშვილობის, არამედ საქვეყნო საქმის აღსრულების წილ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ ვკითხულობთ: „მენი სარგის ამირსპასალარისანი... მას ჟამსა **დიდად განდიდებულნი** იყვნეს მეფისა მიერ“ (ჯავახიშვილი 1982: 204, 210-211, 230). ასე რომ, ტერმინით **დიდებული** აღინიშნებოდა არა ცალკე წოდება, არამედ ცალკე წრე, კასტა, მეფის მიერ დადგინებული (იქვე: 211).

ქართ. დიდ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ტიპოლოგიური მასალა

ქართ. დიდ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ზემოთ წარმოდგენილ პოლისემანტიკურობას თითქმის სრულად შეესატყვისება „დიდის“ აღმნიშვნელი შესაბამისი ტიპოლოგიური მასალა, შდრ., მაგალითად: ე ბ რ ა უ ლ ი: **განდრღ** „დიდი; მოზრდილი; დიდებული; პატივცემული; ცნობილი“, **გიდულ** „სიმაღლე; ასაკი; აღზრდა; დაწინაურება; სიმსივნე, წანაზარდი“, **განდალ** „დიდად ყოფნა; გაზრდა; მნიშვნელოვნად გახდომა“, **გრდალ** „სიდიდე; ზომა; განდიდება, დიდებულება; მათემატიკური სიდიდე“, **გდულაჰჰ** „დიდება, დიდებულება; პატივი“, **განდლუტ** „ამპარტავნება; ზუობა; ამოება“, **ნაგანდლან** „ამპარტავანი; გოროზი“, **განდლანუტ** „დიდგულობა; პრანჭვა“ (შაპირო – მასალა მოგვარდა ქალბატონმა ლალი ბინიაშვილმა); ლ ა თ ი ნ უ რ ი: **Senior** „უფროსი; ბატონი; პატრონი; მაღალი“ და **Maior** „დიდი“ (გამყრელიძე-ივანოვი, 185); რ უ ს უ ლ ი: **Большой** „დიდი; დიდად; უფრო მეტად; უფროსი“ და **Большак**

„უფროსი“, **Большина** „უფროსი; მოთემე“ (ნ.ჩუბინაშვილი); პოლ. **Boles** და სლოვ. **bolje** „უკეთესად“ (შდრ. ლათ. **de-bilis** „სუსტი, უღონო, უძლური“, ანუ ძალის არმქონე (ფასმერი); ი ნ გ ლ ი ს უ რ ი: **Big** „დიდი; მსხვილი; მაღალი; მოზრდილი; უფროსი; მნიშვნელოვანი; საყურადღებო; კეთილშობილი; სულგრძელი“; იგივე ლექსემა სიტყვათწარმოებასა და ფრაზეოლოგიზმებში – „მკვებარა; მედიდური; ძვირი; წარმატებული; სახელგანთქმული“.

„დიდის“ სემანტიკას ინგლისურში ასევე გამოხატავს **large** „გრძელი“ (**large family** „დიდი ოჯახი“, **large number** „დიდი რიცხვი“), და **great** „დიდი, დიადი; უზარმაზარი, ვეებერთელა, ზორბა...“ (**great ference** „დიდი განსხვავება“, **great-grandfather** „პაპის და დიდედის, ბებუის მამა“). მსგავსი ვითარება სხვა ინდოევროპულ ენებში.

ავლებენ ტიპოლოგიურ პარალელს ქართ. **დიდ**-სა და ბერძნ. **ტიტან**-ს (††††, †) „დიდი, გოლიათი“ შორის, რომლის დროსაც გათვალისწინებულია, ერთი მხრივ, ქართ. **დიდ**-ის და მისგან წარმოებულთა (**დიდება**, **დიდძალი**, **დიდ-დიდი**, **დიდადი** და სხვა) ამოსავალი სემანტიკური მოტივი – „აღმატებულია, ძლიერება“, მეორე მხრივ, ბერძნ. **ტიტან**-ის თავდაპირველი სემანტიკა – „მეუფე, მზრძანებელი, დიდი არსება“, შდრ.: ბერძნ. †††† „დიდად დაფასებული, მმართველი, მეფე“ (გორდეზიანი, 61-62).

ქართ. დიდ-ი და მდიდარ-ი:

ზემოთ წარმოდგენილი ქართ. **დიდ**-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე, კერძოდ, პირველი მაგისტრალური ლექსიკურ-სემანტიკური ველი (**I. „აღმატებულია; ძლიერება“**) და შესაბამისი ტიპოლოგიური მასალა შესამდგომლობას გვამძღვეს, ვივარაუდოთ, რომ ქართ. **დიდ**-ი, ამოსავალი სემანტიკით * „ყოველივეზე აღმატებული“, თავდაპირველად მიემართებოდა უხილავ, მიუწვდომელ ზეარსს, რომელიც არის: ყოვლად-დიდი, ყოვლად-ძლიერი, ყველა არსზე ყოვლითურთ ზეადმატებული, „ზეშთა არსებისაჲ დასაბამ“, „ზეშთა უზემოესი ყოველთასა“, „ზეარსი არსება“, „ზეღმერთი ღმერთი“ (დამასკელი, 65-66, 336, 338).

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ქართ. **დიდების** განმარტებისას დიდებული ქართველი ლექსიკოგრაფი უწინარესად საღმრთო-სასულიერო სემანტიკურ მოტივს ასახელებს: „**დიდება** – არს ღმრთისა ყოველთა სიწმიდეთა სახიერებათა და ქველის მოქმედებათა მისთა მაღლობით ხსენება, ხოლო კაცთა ზედა დიდება – წყალობისა და სიმდიდრისა და მღევანობისა მიცემა“ (სულხან-საბა).

ამ თვალსაზრისით, უაღრესად საგულისხმოა რუს. **Бог-ат-нѣ** „მდიდარი“, რომელშიც გამჭვირვალედ განიხილება რუს. **Бог** „ღმერთი“ ← ძვ. ინდ. **bhagas** „სამკვიდრებელი; ქონება, საკუთრება“; მომნიჭებელი; უფალი; ბატონი; პატრონი“, შდრ.: რუს. **Богатина** „მდიდარი, გაკეთებული კაცი, ბევრის მქონე“ და თითქმის ყველა სლავურ ენაში არსებული **Богатъ** „დევემირი, ბუმბერაზი, გოლიათი; მამაცი“ (ფასმერი). აქედან გამომდინარე, **Бог-ат-нѣ**-ის ამოსავალი სემანტიკა ზედმიწევნით შემდეგნაირად მოიაზრება: „ღვთისამიე-

რი, ღვთივმოსილი“ → „ღმერთშემოსილი, ღვთით აღვსილი, ვინც ღმერთი შეიძინა“, ანუ ის, ვინც ძველ ქართულში „ღმრთისამიერ განმდიდრებულად“ იწოდებოდა.

ვფიქრობთ, მსგავსად რუს. **Bor-ar-ix**-ისა, ქართ. **მ-დიდ-არ**-შიც გაუჭირვებლად განიხილება ძირ-ფუძე დიდ- ← *დი+დ(ი) ← *დი(დ)+დი(დ), არქესემანტიკით – „ზეარსი; ის, ვინც აღმატებულია და „დიდ არს ყოველთა“, ანუ – „უზენაესი ღვთაება, ღმერთი“, შდრ.: რაჭ. დიამ კაია „მადლობა ღმერთს!“ (ასევე, ხევს. დიალ(ა) ← *დია-ღმერთ ← *დიადო ღმერთო (ჭინჭარაული).

ქართ. **მდიდარ**-ისა და ქართ. **დიდ**-ის სემანტიკური თანხვედრაც ამის მაუწყებელია:

ქართ. დიდ-ისა და მდიდარ-ის სემანტიკურ ველთა თანხვედრა:		
ლექსიკური ერთეული:	სემანტიკა:	ლექსიკური ერთეული:
დიდი	„დიდი“	მდიდარი
დიდობა	„სიდიდე; სიდიადე“	სიმდიდრე
დიდადი, დიდ-დიდ(ი), დიდკაცი, დიდობა, სიდიდე	„დიდებული, თავკაცი“	მდიდარი
დიდვინმეობა, დიდობა, დიდება; დიდებულ-ყოფა, განდიდება	„განდიდება; დიდად ყოფნა“	მდიდრად გამოჩინება, სიმდიდრე
დიდგულა, დიდგულოვნება	„კადნიერება; ამპარტავანი“	მდიდრად სიტყუად
დიდრაჯული, კეთილ-დიდი, რაჭ. დიდარე // დიდარი	„მდიდარი, მდიდრული“	მდიდარი, მდიდრული, მდიდრულად
დიდება, დიდობა სიდიდე	„სიმდიდრე; ქონება; პატივი“	განმდიდრება, სიმდიდრე
დიდი, დია, დიად, დიადი, დიდად მეტყუელი	„ზევრი; მრავლის მქონე“	მდიდარი, მდიდრად მეტყუელი
დიად, დიდად	„ძალიან, მეტად, ფრიად“	მდიდრად
დიდრო(ვ)ა, დიდროობა	„წყაღდიდობა“	მდიდრობა

უზენაესის მაღალი, უნივთო საღმრთო ბუნების აღქმა და გამოთქმა შეუძლებელია ადამიანისთვის, რომელიც შემოსილია „სიზრქითა ამით ჴორცთაათა“, (დამასკელი, 62, 335-336). ამასვე გვიბრძანებს იოვანე საბანისძე: „ვერ შემძლებელ ვართ ჩვენ მიწუდომად სიმდიდრესა მას სახელისა უფლისასა“ (იოვანე საბანისძე, 109), რის გამოც ენა სახისმეტყველებას მიმართავს და ზე-

ციერის ზესახელდებას დაფარულად გაგვიცხადებს. ამგვარად, ღმერთი ერთსა და იმავე დროს იწოდება, ვითარცა: ღმერთი, უფალი, სიტყვა, გზა, კარი, ტარიგი, მწყემსი (იქვე) და სხვა მრავალი. მათ შორისაა – **მაღალი**.

ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს ძვ. ქართ. **დიდ**-ისა და ძვ. ქართ. **მაღალ**-ის ადეკვატური სემანტიკური მოტივაცია: ძვ. ქართ. **დიდ**-ი „მაღალი; ამპარტავანი, ამაყი“ და **მაღალ**-ი „ძლიერ მაღალი; ამპარტავანი, ამაყი“ (შდრ.: ძვ. ქართ. **მაღალი გულითა** „დიდ გულა“, ძვ. ქართ. **მაღლოვა** „განდიდება (თავისა)“); ასევე შდრ.: ებრ. **განდრლ** „დიდი“, **გიდულ** „სიმაღლე“, **ადლუტ** „ამპარტავნება; ზუობა; ამაოება“).

მსგავსად **მაღალისა**, ქართ. **დიდი**-ც პროდუქტიულია წმიდა წერილში, უწინარესად კი სადიდებელ ლოცვებსა და ფსალმუნებში, და იგი საღმრთო სახელდებითი ატრიბუტის ფუნქციით იმოსება, რაც, ვფიქრობთ, განაპირობა **დიდ**-ის სწორედ ამოსავალმა სემანტიკამ – „ზედმატებული ყოველთა“, შდრ. რედაქციული ვარიანტები „ქებათა ქებიდან“ (7, 7): „**სიდიდე** შენი ემსგავსა ფინიკსა“ – „**სიმაღლე** შენი ემსგავსა ფინიკსა“ (აბულაძე); ასევე: „ყოველი ქუეყანა თაყუანის-გცემდენ შენ და გიგალობდენ და უგალობდენ სახელსა შენსა, **მაღალო**“ (ფსალმუნნი 65, 4; იხ. ფსალმუნნი 9, 3; 91, 2); „უფალი სიონს **დიდ არს** და **მაღალ არს** ყოველთა ზედა ერთა“ (ფსალმუნნი 98, 2; იერემია 10, 6); „სამნი იგი **მაღალსა** აკურთხევენ და ესრეთ დაღადებენ“ (ამაღლების საგალობელი) და სხვა მრავალი.

წმიდა დავით მეფსალმუნე უფალი ღმერთის ზედმატებულ, განუზომელ სიმდიდრეს აღიძებს: „**დიდ** არს უფალი და ქებულ ფრიად, და **სიმდიდრისა** [// **სიდიდისა**] მისისაჲ არა არს დასასრულ“ (ფსალმუნნი 144,3). რამდენადაც „ყოველივე ღმრთისაგან არს“ (1 კორინთელთა მიმართ 11,12) და მხოლოდ უფლის მიერ გვეძლევა სულიერი ძალმოსილება, **ღმრთისამიერ სიმდიდრეში** სამიებელია სულიერი, სახისმეტყველებითი შინაარსი. რაკი ღვთისამიერი გამდიდრების გარეშე დარჩენილი და საწუთისოფლო სიმდიდრეს გამოდევნებული კაცი საკუთარ სულს წარწყმედას უქადის, უფალი იესო თავის გამაფრთხილებელ შეგონებაში სწორედ სულიერ – ქრისტესმიერ სიმდიდრეს გულისხმობს: „რომელი იუნჯებდეს თავისა თვისისა და არა **ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდეს**“ (ლოუკა 12,21).

დაბოლოს, ქართ. **მ-თავ-არ**-ისა და **მდიდარ**-ის მორფოლოგიურ ფუნქციასთან დაკავშირებით, არნოლდ ჩიქობავა შენიშნავს, რომ **მ – არ** კონფიქსით ნაწარმოები **მ-დიდ-არ**-ი: „თავდაპირველად მხოლოდ ადამიანს გულისხმობდა (დიდ-კაცს, თავ-კაცს), მერე კი ყოველგვარი სახელის მსაზღვრელად გამოიყენეს (მდიდარი ქვეყანა, მთავარი საქმე)“ ჩიქობავა 1942: 186). ეს ჩვენთვის ფრიად საგულისხმო დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ **მ-დიდ-არ**-ი ისტორიულად განეკუთვნება კონკრეტული – ზეპერსონიფიცირებული სემანტიკური მოტივით განპირობებულ სიტყვათწარმოებას, რომელმაც შემდგომ სემანტიკის გაფართოება განიცადა.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართუ ენის ლექსიკონი, თბილისი.

ახალი აღთქუმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, თბილისი, 1995.

ბიბლია, გამომცემლობა „ალილო“, 2015.

გამყრელიძე-ივანოვი 1984 – Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индо-европейский язык и Индоевропейцы, I.

გორდეზიანი 1985 – რისმაგ გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბილისი.

დამასკელი 2000 – წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სა-რწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბილისი.

თოფურია 1927 – ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფილისი.

იმნაიშვილი 1986 – ივანე იმნაიშვილი, ქართული მოთხათვის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი.

იოვანე საბანისძე 1979 – იოვანე საბანისძე, ჰაბოს წამება, „ძველი ქართული მოთხრობა“, თბილისი.

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический Словарь Картвельских Языков, Москва.

მარგიანი-სუზარი 2008-2009 – ქეთევან მარგიანი-სუზარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბილისი.

მაჭავარიანი 1958 – გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრ., ტ. 71, თბილისი.

ონიანი 1998 – ალექსანდრე ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

ჟღენტი 1949 – სერგი ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი.

რაჭული დიალექტის ლექსიკონი 1987 – (მასალები), შემდგენელი ალ. კობახიძე, თბილისი.

სარჯველაძე 2001 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

სახოკია 1979 – თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.

სულხან-საბა 1991-1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II.

ფასმერი 1964-1973 – М. Фасмер, Этимологический Словарь Русского Языка, тт. I- IV.

ფენრიხი-სარჯველაძე 2000 – ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი 2009 – თსუ გამომცემლობა.

ქეგლ-ი 2015 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახ. რედ., ტ. II (გ), 2010; ტ. III (დ), თბილისი.

ღლონტი 1984 – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

შანიძე 1973 – აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქობავა 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

დ. ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი.

ნ. ჩუბინაშვილი 1971-1973 – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, II, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1982 – ივანე ჯავახიშვილი, ტ. VII, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი.

MEDEA GLONTI

On the Historic Polysemy of Georgian **did-i „Big“ and mdidar-i „Rich“**

S u m m a r y

The paper deals with the analysis of the Georgian polysemous, lexical-semantic group **did-i „big“**. We have defined its fourteen independent semantic fields that are distributed among the three main lexical-semantic directions.

The analysis is carried out taking the proper Kartvelian and typological material into account on the basis of which an attempt of ascertaining the starting semantic motive of Georgian **did-i „big“** and **mdidar-i „rich“** is presented.

ხათუნა ყანდაშვილი

**ერთი ტიპის კაუზატივის ფორმათა წარმოებისათვის
ქართული ენის კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში**

ქართული ენის კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში დასტურდება ვნებითი გვარის კაუზატივის ფორმები : **ვეკვლინები, ვეთრინები...**

აკაკი შანიძე ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში (შანიძე 1973: 362) საუბრობს ვნებითი გვარის კაუზატივის ამ ფორმებზე. ავტორს მოჰყავს „ვეთრინები“, „ვეკვლინები“ ტიპის ზმნები და მსჯელობს იმის შესახებ, რომ აქტივიდან პასივში გადაყვანისას „მსგავსი გამოთქმები აქტივში ერთსა და იმავე არსებას გულისხმობს სუბიექტად და პირდაპირ ობიექტად. მაგრამ, რადგანაც ერთი და იგივე არსება არ შეიძლება ერთ ფორმაში გამოხატულ იქნეს სუბიექტადაც და ობიექტადაც, ამიტომ პირდ. ობიექტად უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“ იხმარება“..... თავს ვათრევენ ტალღებს – ვეთრინები ტალღებს“. ავტორი დასძენს, რომ ამგვარი ფორმები ძირითადად აღმოსავლურ კილოებში გვხვდება. ნიმუშები მოყვანილია ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან.

ვნებითი გვარის კაუზატიური ფორმები ქიზიყურ კილოკავშიც გვხვდება. გვაქვს მარტივი მაწარმოებელი **-ინ**, ხოლო რთული ინფიქსის დიალექტური ვარიანტი **-ეინ** (თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კაუზატივის აწარმოებს **-ევინ**). ჩვენ შევეცადეთ კახური დიალექტის ქიზიყური კილოკავის გამოქვეყნებულ ტექსტებში დაგვეძებნა კაუზატივის ამგვარი ფორმები, მაგრამ ვერ მოვახერხეთ მათი გამოვლენა. მსგავსი წარმოების ნიმუშების დადასტურდება ტექსტებში ჭირს, შესაძლოა იმის გამო, ეს ფორმები სპეციფიკურია და მათი გამოყენება საუბრის თემასა და შინაარსზე დამოკიდებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფორმები რეალურია, მაგრამ იშვიათია მეტყველებაში.

ლიტერატურაში დამოწმებულ ვარიანტებში ჩანს, რომ სუბიექტის ნებით მოქმედებს მასზე ირიბი ობიექტი, სუბიექტი აძლევს, შესაძლოა ითქვას, ნებას იძულებით, იმოქმედოს მასზე ირიბმა ობიექტმა.

ვეკვლინები ტიპის კაუზატივს მოეპოვება ყველა მწკრივის ფორმა: ვეკვლინები...მევეკვლინე... მოვეკვლინებივარ. ჩვენთვის, როგორც ამ კილოზე მეტყველისთვის, ბუნებრივი ფორმებია. გადავამოწმეთ ქიზიყურში უფროსი თაობის წარმომადგენლებთან. მასალას სანდოთ მივიჩნევთ. უნდა აღინიშნოს, რომ მესამე სერიის ფორმებს უფრო ხელოვნური ელფერი დაჰკრავს, სასაუბრო მეტყველებაში თითქმის არ გამოიყენება. წარმოვადგენთ ამ ზმნის უღლების სრულ პარადიგმას:

I სერია			
აწმყო	1 2 3	ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ი ე-კვლ-ეინ-ებ-ი ე-კვლ-ეინ-ებ-ა	ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ი-თ ე-კვლ-ეინ-ებ-ი-თ ე-კვლ-ეინ-ებ-ი-ან
უწყვეტილი	1 2 3	ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ა	ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი-თ ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი-თ ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი-ან
აწმყ. კავშ.	1 2 3	ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-ფ	ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-თ ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-თ ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-ნენ
მყოფადი	1 2 3	(მე/მო)-ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ი (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ი (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ა	(მე/მო)ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ი-თ (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ი-თ (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ი-ან
ხოლმეობითი	1 2 3	(მე/მო)ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ა	(მე/მო)ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი-თ (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი-თ (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი-ან
მყოფ. კავშ.	1 2 3	(მე/მო)ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-ფ	(მე/მო)ვ-ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-თ (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-თ (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-ნენ
II სერია			
წყვეტილი	1 2 3	(მე/მო)ვ-ე-კვლ-ეინ-ე (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ე (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ა	(მე/მო)ვ-ე-კვლ-ეინ-ე-თ (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ე-თ (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ენ
II კავშ.	1 2 3	(მე/მო)ვ-ე-კვლ-ეინ-ო (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ო (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ო-ფ	(მე/მო)ვ-ე-კვლ-ეინ-ო-თ (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ო-თ (მე/მო)ე-კვლ-ეინ-ო-ნენ
III სერია			
I თურმ.	1 2 3	მო-ვ-კვლ-ეინ-ებ-ი-ვარ (მო/მა)-დ-კვლ-ეინ-ებ-ი-ხარ მა-დ-კვლ-ეინ-ებ-ი-ა	მო-ვ-კვლ-ეინ-ებ-ი-ვარ-თ (მო/მა)-დ-კვლ-ეინ-ებ-ი-ხარ-თ მა-დ-კვლ-ეინ-ებ-ი-ან
II თურმ.	1 2 3	მო-ვ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი (მო/მა)-დ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი მა-დ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ა	მო-ვ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი-თ (მო/მა)-დ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი-თ მა-დ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ი-ან
III კავშ.	1 2 3	მო-ვ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე (მო/მა)-დ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე მა-დ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-ფ	მო-ვ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-თ (მო/მა)-დ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-თ მა-დ-კვლ-ეინ-ებ-ოდ-ე-ნენ

„ვათრევ-ვეთრეინები“ ტიპის წარმოება ყველა ზმნისთვის არ არის ბუნებრივი და შესაძლებელი. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კონტექსტი. ამგვარი ფორმები პირდაპირი მნიშვნელობით იშვიათად გამოიყენება, აკაკი შანშიძის მიერ მოხმობილ ნიმუშში სწორედ პირდაპირი მნიშვნელობით არის გამოყენებული ვნებითი გვარის კაუზატიური ფორმა: „ვეთრეინები ზღვის ტალღებს“ (ვაჟა, I, 128, 16). ამგვარი ფორმები ძირითადად ეწარმოება ისეთი ტიპის ზმნებს, რომლებიც გამოხატავენ ვინმეს მხრივ დამცირებას, ფიზიკური ძალადობას, შეურაცხყოფას, დამდაბლებას. გამოთქმები: **ვეთრეინები** ნიშნავს – შეურაცხყოფას ვაყენებინებ ჩემი ნებით, შეიძლება შეგვხვდეს უარყოფით ნაწილაკთანაც: არ ვეთრეინები. იმავე მნიშვნელობისაა: **ველანბლინები**. ვხვდებით შემდეგი ფორმებს: ვეკვლეინები, ვეწყველინები, ვეცემინები, ვეგლეჯინები, ვებდღვნიინები... ანტონიმური მნიშვნელობის ზმნებს იშვიათად ეწარმოება ვნებითის კაუზატივი, მაგ: გვაქვს ამგვარი წყვილი **ვეწყველინები-ველოცინები**, მაგრამ არის **ვეუბედურებინები**, მაგრამ მისი საპირისპირო ფორმა **ვებედნიერებინები** არაბუნებრივი ჩანს სასაუბრო მეტყველებაში. უნდა ითქვას, რომ ვნებითი გვარის კაუზატივი ძირითადად უარყოფით კონტექსტში გამოიყენება და იშვიათად ვხვდებით მის წარმოებას პირდაპირი მნიშვნელობით.

ლიტერატურა

იმნაიშვილი, იმნაიშვილი 1996 – ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნაძველ ქართულში, II, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

KHATUNA KANDASHVILI

Formation of the Causative Forms of a Certain Type in the Kizik Subdialect of the Kakhetian Dialect of the Georgian Language

S u m m a r y

In the Kizik subdialect of the Kakhetian dialect the causative of the passive voice is attested, e. g. **vetreinebi**, **vekvleinebi**... Such forms are rare but they are common for the colloquial speech. All the verbs cannot produce such causative forms. Their formation depends on the context. The causative of the passive voice has all the forms of the three Series but Series III are more artificial and is not used in the colloquial speech.

ნატო შავრემიანი

**უსრული წინადადებისათვის ჩოლურულ
მეტყველებაში**

სრული და უსრული წინადადებების შესახებ მსჯელობასა და მეცნიერულ დისკუსიას პირველად ვხვდებით თ. ჟორდანიას ნაშრომში „ქართული გრამატიკა“ და მას შემდეგ აღნიშნულ საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო. სამეცნიერო ლიტერატურაში უსრული წინადადების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი „ნაკლული წინადადება“ (კიჭირია 1987: 16).

უსრულ წინადადებაში გამოტოვებულია წინადადების ერთი ან რამდენიმე მთავარი ან არამთავარი წევრი, რომელთა აღდგენა შესაძლებელია კონტექსტის მეშვეობით.

ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ სვანურის ჩოლურულ მეტყველებაზე, სადაც არცთუ იშვიათად ვხვდებით უსრულ-უშემასმენლო წინადადებებს.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სამსჯელო საკითხის ამსახველი ილუსტრაციები წარმოდგენილია საველე პირობებში მოპოვებული მასალის საფუძველზე, რომელიც ძირითადად ემყარება ხანდაზმულთა მეტყველებას, ვინაიდან, სწორედ ასაკოვანი რესპოდენტების საუბარში ფიქსირდება სისტემატურად უშემასმენლო წინადადებები, განსხვავებით ახალგაზრდა თაობის მეტყველებისაგან.

დიალოგებში ზმნა-შემასმენლის გამოტოვება ჩვეულებრივი მოვლენაა და ნარჩენი ქართველური ენებისთვისაც და ამ მხრივ გამონაკლისი არც სვანურია:

– მაჩუბი სგირი სგამენ ჯაშყიდმა ხოჩამდ? „– მაჩუბის ქვედა სართული შიგნით გახსოვს კარგად?“

– **ხოჩამდ** [მაშყიდ] **ეჯი მაგ, სერ!** (გვ. 4) „– კარგად [მახსოვს] ის ყველაფერი!“...

– იმხენ ლოქ ხი? „– საიდან ხარო?“

– **ლენტახენიჯ** [ხუი]! (გვ. 134) „– ლენტეხიდან [ვარ]-მეთქი!“

უსრულ წინადადებად დიალოგებში ძირითადად პასუხის ამსახველი წინადადებები გვევლინება, თუმცა დასტურდება შემთხვევები როცა კითხვით წინადადებასაც აკლია ზმნა-შემასმენელი:

– ალე კანარ ხედი ლოქ ლიხ ხოჩილ? „ეს ხარები რომელიაო უკეთესი?“

– სულერთია ლოქ ლიხ, სიმარე, აღმარ მერქდა ხოჩა ლოქ ლიხ! „– სულერთიააო, შე კაცო, ესენი ორივე კარგი არიანო!“

– **ეში ლოქ ხედი** [ლი], **ეში?!** „– მაინც რომელი [არისო], მაინც?!“

– **ადლო, ალე ლოქ** [ლი]! (გვ. 141) „– აბა, ეს [არისო]!“

ცალკე აღებული საპასუხო უსრული წინადადება ხშირად მოკლებულია რაიმე სახის აზრს, მისი სრულად წარმოდგენა და შინაარსის გაგება შესაძლებელია გარკვეულ კონტექსტში იმ კითხვითი წინადადების გათვალისწინებით, რომელსაც პასუხად მოუდის.

გარდა დიალოგებისა, ჩოლურულ მეტყველებაში უმეტესწილად დასტურდება ისეთი უსრული წინადადებები, სადაც შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილია (**ხუი** „ვარ“, **ხი** „ხარ“, **ლი** „არის“ სხვადასხვა მწკრივის ფორმით) ჩავარდნილი. ასეთი უსრული წინადადება შეიძლება იყოს მარტივი, შერწყმული, თანწყობილი (მასში შემავალი რომელიმე წინადადება), ქვეწყობილისა და ზერთული ანუ ნარევის სახის წინადადებების ნაწილი:

აღე ლიპარტელიანარ ხონკუტიდა ნაკად **[ლის]** მგრანხენ (გვ. 1) „ეს ლიპარტელიანები მანამდელი მონასველი [არიან] საიდანღაც“

ზურნლ ლეჭრი **[ლი]** მჭუარ, უსაშტელოდ (გვ. 116) „ქალი შესაცოდი[ა] ძალიან, უსაშველოდ“

ეჯდარკალი მეზგე ჩოლურს დარ **[არდა]**, მანდე ჩოლური ნახენსკის (გვ. 156) „მათნაირი მცხოვრები ჩოლურში არავინ [იყო], კი არადა ჩოლურის ნახევარში“

მერბანდ **[ლას]** ამჩუა, ეშხუ ცხეკი დალ ამხენ ლემარდელიან მაცხტარხენ ი მერბე – ამხენ ლაკახან (გვ. 103) „მეორედ [იყო] აქ, აი, ერთი ტყის დალი აქეთ ყოფილა, აი, მაცხოვრის ტამრიდან და მეორე – აქეთ ძალობიდან“

ხოჩა ლარდას ხუასყიდად, ცეკუა-თამამ **[ლას]** ნებოზს (გვ. 158) „კარგ სამყოფს ვაკეთებდით, ცეკვა-თამაში [იყო] სადამოს“

მი ხურდროლ ობოლ ხუას, მა იშგენი ხუნა **[არდა]** ტუფი ჩაფლარუმ (გვ. 4) „მე ვიქნებოდი ობოლი ვიყავი, მაგრამ სხვაც ბევრი [იყო] ტყავის ფხსაცმელებით“

ამჟი ჩუმერმეხ ალე ტოტ, ნამ მამტმარ **[ხუიდ]**, ალე ქანდიეხ ლიტერ, ქემხინხ, ცხად (გვ. 134) „ასე დამიჭირეს ეს ხელი, ჩვენ მთვრალეები [ვართ], ეს გაიტანეს რევოლვერი, გამომართვეს, რა თქმა უნდა“

იმსგან ლაშინლიდოჯ ხუარდ ეჩქა, ბეფშ **[ხუას]** ეჩქა, ლიშინლიდოჯ ერ ლასუ (გვ. 140) „განა საომარდ ვიყავი-მეთქი მაშინ, ბავშვი [ვიყავი] მაშინ, ომი რომ იყო-მეთქი“

არცთუ იშვიათად დასტურდება მარტივი შემასმენლის გამოტოვების შემთხვევებიც:

ხეთოფ ათხე, ცხად, კისტრლარს ჯემ, მი მან **[ხუეთოფ]** ათხე (გვ. 133) „ეს ვრის ახლა, რა თქმა უნდა, კისტებს თვითონ, მე არ [ვესვრი] ახლა“

ნამ გუამშხა ლეუმერ, ამელეჟა ათხე, ლეუმერ, ალმარს – ცეყუმერ, ჩუბე კუთხეს, ლეკუიდ **[ხაიშხა]** – მერმას (გვ. 26) „ჩვენ გვქვია ლევშერი, ამაზე ახლა, ლევშერი, ამათ – ცეყუმერი, ქვედა კუთხეს, ლეკვიდი [ჰქვია] – მეორეს“

ბაჩარს ხეფტშტუანლდა ჩის, ჩუ ხეპტუტენოლ ლიცარჟი ცხევისა ი ცხეკხენქა **[ხეფტშტუანლდა]** სერ (გვ. 196) „ქვებს ესროდა ყველას, დაიძალე-ბოდა წყლებზე ტყეში და ტყიდან [ესროდა] კიდე“

შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილისა და მარტივი შემასმენლის გამოტოვება ხშირად განპირობებულია იმით, რომ იგივე შემასმენელი წინამავალ წინადადებაშია გამოყენებული.

დრმა კიდბენ **ლას** (კოდობანს ე ხაყლახ ქართუილდ) ი ეჯი ჟი ლუგუშილე [**ლას**] სერ (გვ. 6) „თუ არადა კიდობანი იყო, (კიდობანს რომ ეძახიან ქართულად) და ის სავსე [იყო]“

ეჯი აშ ხოლა მდედ მერ **ლემარ**, ჟედ მარე, იშგენ ხოჩა [**ლემარხ**] ეჯდარ, სიმნ, უარგელ ხოჩა (გვ. 141) „ის ისე ცუდი ის ყოფილა, ძალი კაცი, სხვა კარგი [ყოფილან] ისინი, შე კაცო, ბატონები კარგი“

ეჩქეა მიშგუტი ბაბუა ბგვი ლეკმაშ ეჯი **ლას** ე მარე, ბგვი ლეკმაშ, მიჩა ჭყენტარ დეშ [**ლასხ**] ეჯჟი დარ (გვ. 1) „იმის გარდა ბაბუა მაგარი ძლიერი ის იყო ე კაცი, მაგარი ძლიერი, თავისი ბიჭები ვერ [იყვნენ] ისე არავინ“

ოჩადდ ქა ი ალე შინაურ მნა ბრრლხ, გარეულ კუატილლ [**ლასხ**] ეჯდარ, ქუეყანამაგ [**ლასხ**] ეჯდარ (გვ. 199) „გავედით და ეს შინაური რა იქნებოდნენ, გარეული კვატები [იყვნენ], უამრავი [იყვნენ] ისინი“

ჩუქტუნ ბარბელდ **ხნდა** ლეგუტერს ი ჟიქნ შირნლ, ეჩეჟი კაკალ [**ხნდა**] აჯახ (გვ. 118) „ქვევით ზორბალი ჰქონდა წისქვილს და ზევით დოლაბები, იმაზე კაკალი [ჰქონდა] კიდე“

ჩიქე ეშხუ თანაგ **ლი** ი ლო მერბე ი აერუ თანაგ [**ლი**] (გვ. 151) „ჯერ ერთი აღდგომაა და მერე მეორე და ორი აღდგომა[ა]“

ჩუ ხუადიარუნად, **ღერდა**, აჟი იჩმედა სერ მიჩნიად, ექკნ საცოდაუდ [**ღერდა**] სერ ეჯი (გვ. 197) „ვაჰმევედით, მიდიოდა, ასე შვრებოდა თავისებურად, ისე საცოდავად [მიდიოდა] ის“

აერხიდ ქნდურდეს ეჩე ი თბილისს **ენყიდეს** ბინნლ ი აერხიდ მანქანალ **ენყიდეს**, ნად დესამა [**გუყიდა**] ქუეყანაჟი, ეშხუ კაპეკიშ – დესამა (გვ. 9) „ზოგმა გაყიდეს იქ და თბილისში იყიდეს ბინები და ზოგმა მანქანები იყიდეს, ჩვენ არაფერი [გვიყიდა] ქვეყანაზე, ერთი კაპიკის – არაფერი“

თუმცა დასტურდება შემთხვევები, როცა წინამავალ წინადადებაში გამოტოვებული შემასმენელი მომდევნო ან ბოლოკიდურ წინადადებაში სრული სახით წარმოდგენილი ზმნა-შემასმენლის მეშვეობით აღდგება:

დაურხან მუკბანიან **ხუტი**, არეშტყი მეტ **ხუტი**, მარე ოშა ზად ღენა მემიხა (გვ. 103) „დაურხან მუკბანიანი [ვარ], ოთხმოცზე მეტი ვარ, მაგრამ რამდენი წელი არ ვიცი“

რ, აალო, მასარდიჯ [**მულუა**] მი ეჯდარ, აარად, მდედიჯ **მელტენი** მი ეჯი (გვ. 140) „ხო, აბა, ბევრი [მექნება]-მეთქი მე ისინი, იარალი, რა-მეთქი მექნება მე ის“

ლრუერ ლოქ უალოდინშ [**ემკრდა**], დეშ ლოქ ხუყაყლენ ალეს, უალოდინ ლიუერ ლოქ **ემკრდა** (გვ. 136) „რევოლვერიო ვალოდიასი [ამილია], ვერ ეტყვიო ამას, ვალოდიას რევოლვერი ამილიაო“

იშვიათად წინ მდგომ წინადადებას აკლია შედგენილი შემასმენლის როგორც ზმნური, ისე სახელადი ნაწილიც, რომლის აღდგენაც ბოლო ადგილზე მყოფ წინადადებაში წარმოდგენილი სახელადი ნაწილის მეშვეობით შეიძლება:

სერ ერწნდო ლახტეთე [ლ^რზი ლას], ეჩხენ ნაჯიდ ი ალე ჩუ შტეხნრლ ი მუსრ ჩ'ტრნრლ, ეჩქა ლახტეთე ლ^რზი [ლას] (გვ. 7) „მერე მთაში [წასვლა იყო], იქიდან მოტანილი და ეს მთავრდებოდა და თოვლიც დნებოდა, მაშინ მთაში წასვლა [იყო]“

ჩოლოურულში ინტენსიურად დასტურდება უსრული წინადადებები, რომელთაც ერთდროულად რამდენიმე შემასმენელი (შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი და მარტივი შემასმენელი) აკლია:

ალედ მერ მერზე ნაირიმ [ხნდა] ა მუჭოდ ი მაგ, ლგვამ მწრე [ლას] ი სემი მოლ გარ ხუტა ლუკტრმ ეჩე შტანს (გვ. 2) „ესეც მეორენაირი [ჰქონდა], აი, მკერდი და ყველა, ძლიერი კაცი [იყო] და სამი მინდორი მარტო ჰქონდა დამუშავებული „გატეხილი“ იქ სვანეთში“

კარაჟისა ზეჟი ლაყურზლარ გტრგდა, გაჭირებულ. ერწეჟი ლებრლ ი საზნრლ [გულუნ] ი ლემეს [გტრშუდა] ნესკანსა, ეჩხენ ლაყურზლ [ლას] ი ამხენ ლაყურზლ (გვ. 119) „კარავში ხის ლოგინები გვედგა, გაჭირვებული. იმაზე ლეიბი და საბანი [გქონდა] და ცეცხლი [გვენთო] შუაში, იქეთ საწოლი [იყო] და აქეთ საწოლი“

მნა [ლას] სერ ახალგაზრდობა, გაჭირებნქა დესმა მიწუა ი დალხინება [დესა მიწუა] (გვ. 194) „რა [იყო] აწი ახალგაზრდობა, გაჭირვების მეტი არაფერი მანახავს და დალხინება [არ მინახავს]“

ჯაყლე დერა, ნესკა ლემესისა ხგნსკე ქორისა კუმამ [არდახ] ი ხგნსკე ქორისა ემხუდ მწრალ, პადტალს [ლას] ალე (გვ. 116) „ხომ გეუბნები, შუა ცეცხლში ნახევარ სახლში საქონელი [იყვნენ] და ნახევარ სახლში ერთად კაცები, საკუქნაოში [იყო] ეს“.

ვინაიდან დამებნილი მრავალფორევანი საანალიზო მასალა იძლევა საშუალებას, სრულად განვიხილოთ ისეთი რთული კონსტრუქციები, როგორცაა პარატაქსული, ჰიპოტაქსური და ზერთული წინადადებები, რომელთა შემადგენლობაშიც ხშირად გვხვდება უსრული წინადადებები.

თანწყობილ წინადადებებში გამოტოვებულია როგორც შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი, ისე მარტივი შემასმენელი. უფრო მეტიც დადასტურდა შემთხვევა (ერწნდო ლიგნე [ლი] ქუნარემ, ქა ლრზი [ლი] სერ ჟოჯახხენქა (გვ. 7) „მერე გაცილება[ა] სულების, გასვლა[ა] ოჯახიდან“), როცა ყველა წინადადება უშემასმენლოდაა წარმოდგენილი. თანწყობილ წინადადებაში უსრული წინადადება შეიძლება წინ უსწრებდეს სრულს, ან შუაში იყოს მოქცეული, თუმცა უმეტესწილად ბოლოში გვხვდება:

ზურაბინანლ იმგნაგ ამჟი ა იქინაქ არ [არის], ოედ ქერ არ ედჩრჟოლ, ჟემჩრჟოლ (გვ. 2) „ზურაბიანები სხვაგან ასე, აი, აქაიქ თუ ვინმე [არიან], ან თუ ვინმე ცოლს მოიყვანდა, ჩაესიძებოდა“

მი კოჭრლ ბეფშრლ [ხტას], ლრთუმ მეცხი მნდა, მა ჩუ მატბიდახ ხოშნლ (გვ. 4) „მე პატარა ბავშვი [ვიყავი], ღამე მციოდა, მაგრამ მათბობდნენ უფროსები“

ლინთჟისა ხოჩნმდ ჩ'ტამყუდლუდახ ეჯის, თჟითჟითჟი ათშედახ ქა ი ხოჩა ლეზტებ [ლას] (გვ. 5) „ზამთარში კარგად გარეცხავდნენ იმას, სათითაოდ არჩევდნენ და კარგი საჭმელი [იყო]“

როფულს ხტეჩოდ ი ლუსურნელ ჯიმს ი დუჩის ხოჩამდ **[ხოხა]** ეჩა ლის-ყი (გვ. 161) „ფქვილიან წყალს ვუკეთებთ და სუნელებიან მარილს და დუჩიმ კარგად [იცის] იმისი გაკეთება“

სერ ჟი ხტეფანი ჩის ალდარს, მაგ მიშგუტი მომხრე **[ლიხ]** (გვ. 3) „აწი ვად-ნები ყველას ამათ, ყველა ჩემი მომხრე [არიან]“

გირკტან დაბზარ ლეკერთ ლას ჩინგ ი კუმამ ჯრდიათე ლედეს **[ლას]** ი ხა-მარ ჯრდიათე ლედეს (გვ. 8) „ირგვლივ ყანები შედობილი იყო ყველგან და საქონელი შორს წასაყვანი [იყო] და ღორები შორს წასაყვანი“

ნად ათხე ეშხუ ბატკარემდ გულტან აგურტშ, ლემესი მეგეჰ აგურშტ ი მერბე ხომერება **[ლას]** ამჟი, ა (გვ. 2) „ჩვენ ახლა ერთი შესაწავი გოჭებისთვის გვექონდა აგურით, ცეცხლგამძლე აგურით და მეორე უზარმაზარი [იყო] ასე, აი“

სგა ლახხტიენა შარდენი მუ ერ'ე მეწდის, ჩაჟუმ **[ღემწრ]** ათხე ეჯრ, აღემ ჩაჟუმ **[ელმწხ]** ლექტა, ეჯრ ჩაჟუმ ლექა, მეწდის ხაბულიან (გვ. 141) „შეხვედ-რია შარდენის მამა იქ, აი, მუწდისი, ცხენით [ყოფილა] ახლა ის, ესეც ცხენით [მიდიოდა „მინავალა“] ქვევით, ისიც ცხენით ზევით, მუწდისი ხაბულიანი“

თხუმი გულტა ლაფაქრენენ ი აყბა ჩუ ლუმხუნ **[გულტა]** (გვ. 51) „თავზე გვაქვს საფქვილეზე და ყბა შენახული [გვაქვს]“

ტუფს ჩუ ხტაკტორნდად, ჩუ ხტანტტდად ი ჩაფლენდარს ეჯკრენენ **[ხტასყვდად]** (გვ. 188) „ტყავს გავთელავდით, დავზელავდით და ფეხსაცმე-ლებს ისე [ვაკეთებდით]“

ჯგე ემკედელიხ ი სგა დერ ლახხუჭკურენახ ალესა ჭტადს, სგა ლახ-ფუთქურენახ ალეს ჭტადს ი ჩუ ლგშმდ **[ლასხ]** (გვ. 198) „ჯოგი მოსულან და ხომ შესკდომიან ამას, აი, კედელს, მიეხეთქენ კედელს და ჩამოყრილები [იყვნენ]“

უსრული წინადადებები დასტურდება ჰიპოტაქსურ წინადადებებშიც, როგორც მთავარში, ისე დამოკიდებულში, იშვიათად ორივეს შეიძლება აკ-ლდეს შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი:

ჩ'ტწრმა ხეყნდა ლეკედ, მაგ მიშგუტი ლგპრისდე **[ლასხ]**, მამიდაშტილარ ი ეჯდარ მაგ (გვ. 3) „თუ ვინმე ჰყავდა კარგი „ასალები“, ყველა ჩემი ნათლული [იყვნენ], მამიდაშვილები და ისინი ყველა“

ერქა მერმად ხეტტ, ერე – ეჯრტ ხეტტ ეჩა მაგიორე, ოშა გრანატალ **[ხულტა]** ლუმხტინ, ატტომატარ, ლიშიანლ ლოქ ერ ლემწრელი, ერქა შტანარ ლოქ ჟ'ასკტემახ იარალს (გვ. 140) „მაშინ მეორემ უთხრა, რომ – ის უთხარიო იმის მაგივრად, რამდენი გრანატები [აქვს] შენახული, ავტომატები, ომი რომ იყო, მაშინ სვანები გამდიდრდნენო „დაატყდნენო“ იარალს“

სერ ლიხასიათალ **[ლას]**, ხოჩა ლარდა ეჭკალიბ, ერე ლიშტპარანლ ი მაგ **[ლას]** (გვ. 199) „კიდევ მხიარულება [იყო], კარგი სამყოფი ისეთი, რომ ცეკვა და ყველაფერი [იყო]“

ზერთულში ანუ ნარევი სახის წინადადებებში, რომელიც ერთდროულად შეიცავს პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ წინადადებებს, ძირითადად თანწყობილ წინადადებას აკლია ზმნური (**ლას** „იყო“) ნაწილი, თუმცა გვხვდება შემთხვევები, როცა ქვეწყობილშიც ჩავარდნილია შემასმენელი:

ნეცინ კაკალ მწა ლას, ეედ ლეფჟაჟე მწა ორრლ, ეჯის გჭი კაცხტუმ ჟი შედახ შტახენჟი ი ეჯის ჟ'აჯზგდახ ი ლობიოსრ სგა ხეჩმედახ ი ელო ჯიმ ჯელტენრლ, ეჯი ჯიმს სგა ხაქმახ ი ლითრე [**ლას**] სერ მიჩა ლუწუნდ (გვ. 8) „წვრილი კაკალი რაც იყო, ან გაფუჭებული რაც იქნებოდა, იმას დანის წვერით ამოყრიდნენ ტაროდან და იმას მოხარშავდნენ და ლობიოსაც უკეთებდნენ და თუ მარილი გექნებოდა, იმ მარილს ჩამატებდნენ და სმა [იყო] მისი წვერით“

ტრ ი ეჯი ლეთ სერ ეჩუტო ეჩაჟ აჩადხ, ერე აღწ'ე ოთარ ხოჩნმდ იღრწლდახ ი შუშპარ [**ლას**] სერ ი ლიღრწლ, მაგ ხოჩნმდ [**ლას**] ეჩუტო, მაგ ჩუ ლას (გვ. 4) „ხო და იმ ღამეს მერე იქამდე მივიდნენ, რომ ეს და ოთარი კარგად მღეროდნენ და ცეკვა [იყო] და სიმღერა, ყველაფერი კარგად [იყო] მერე, ყველაფერი იყო“

ცოცხილარ ხუტახ ეჩა ე ჟაჯტრანშ, არყის ხეს ერ ლატულიდ, ჟაჯტრანშ, ეჯი ჟი ლემდენე, ეჯი ქა ლუკშურე [**ლას**], ჯურუალისა სგა ლუჭბტერე [**ლას**] ი ცოცხილშლ ეჯი ჩუ ხუტახ ჩუ ლუკტნარ ამჟი ა, ეჯნრტუმ ქწმინდატბხ ეჯს ე ოხრობას, მეტარ მორდაბ ისგუტეახან, ემხუ პილთე, სგან სუფთად [**ხუტახ**] (გვ. 6) „ცოცხები აქვთ იმისი, აი, არყის ხის, არყის ხეს რომ ვეძახით, არყისხის, ის მოტეხილი [იყო], ხვრელებში შეტენილი [იყო] და ცოცხივით ის აქვთ დაგდებული ასე, აი, იმით გადაწმენდნენ იმას, აი, ნაგავს, დიდი ბოდიში თქვენთან, ერთ ნაპირას, შიგნით სუფთად [აქვთ]“

ათხე ეჯი შგუთრ ლემარ, ერე ელო ხანჯარ ხელტენრლ ისგუა მეცტწლს ი სი დაშნაჲს ეხკედნას, ეჯი შგუთრდ [**ხეგჟანხ**] (გვ. 11) „ახლა ის სირცხვილი ყოფილა, რომ თუ ხანჯალი ექნებოდა შენ მაჩხუბარს და შენ დანას აიღებდი, ის სირცხვილად [ეგონათ]“

საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა ქვეწყობილსა და ზერთულ წინადადებებში შემასმენელთან ერთად შემადგენელ წინადადებებს კავშირი და საკორელაციო სიტყვაც აკლია, თუმცა მათი კონტექსტის მეშვეობით აღდგენა სირთულეს არ წარმოადგენს:

მი აგის [**ხტარდ**] სერ [**ეჯლა**], [**ერე**] ლაქორ-ლამნრისა ხტან გტეყადახ (გვ. 194) „მე სახლში [ვიყავი] აწი [იმიტომ], [რომ] სახლში ბევრი გყავდა“

ეჯის ხოჩას ქხათმედახ, ნაკვცხრანს დემა, ნაკვცხრანს [**ეჯლა**], [**ერე**] ქათლარემდ ლოქ [**ლი**] ალე (გვ. 9) „იმას კარგს გადაარჩევდნენ, წვერისას არა, წვერისას [იმიტომ], [რომ] ქათმებისთვისო [არის] ეს“

ეჩქა ჩ'უთქზრლ ეჯი – უკაცრატად ლოქ, ზარმაც ლოქ დესა [**ხტი**] მი [**ეჯლა**], [**ერე**] მიშგუთი ნაზრმაცი ჟი ლოქ ხეთრა ამე (გვ. 2) „მაშინ გაიცინებდა ის – უკაცრავადო, ზარმაციო არ [ვარ] მე [იმიტომ], [რომ] ჩემი სიზარმაცი ეტყობაო აქ“

ზექ ლემჯე გჭადა, ლემეს სგა ლეშტე [გჭნდა] ეშჩუნნ, ნესკა ლალმესს [ერ] ხტატულდად (გვ. 11) „შეშა მოსაზიდი გვექონდა, ცეცხლი შესაკეთი [გვექონდა] იქ, შუა საცეცხლს [რომ] ვემახდით“

არცთუ ხშირად, მაგრამ დადასტურდა ისეთი შემთხვევაც, როცა მიქმელი წინადადებების გამეორებას მიმართავს უსრული წინადადებების დასაზუსტებლად და ასეთ ვითარებაში წინამორბედი სრული წინადადება გვევლინება უსრულად:

იმშა პატიმარ ლოქ **ბრი** ალე, სიმნრე სერ, ეშტეშხუ სუტკა [ლოქ **ლოხრდახ**], ალ მწრად ხეჭუ ათხე, ეჯი ლალხოშ ლას სერ სამტრედიელ. ოჰ, იმშა პატიმარ ლოქ [ბრი], ეჯადრად მერმწლდ, ეშტეშხუ სუტკა ლოქ **ლოხრდახ** ი პატიმარ ლოქ მწ ხაძშხა ალეს (გვ. 139) „რისი პატიმარი იქნებაო ეს, შე კაცო, თერთმეტი დღე-ღამე [მიუციათო], ამ კაცმა უთხრა ახლა, ის უფროსი იყო სამტრედიელი. ოჰ, რისი პატიმარი [იქნებაო], იმათ მეორეებმა, თერთმეტი დღე-ღამე მიუციათო და პატიმარი არ ჰქვიაო ამას“

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ჩოლურული მეტყველებისათვის (ხაზს ვუსვამთ – **ხანდაზმულთა მეტყველებაში**) უსრული წინადადებებით აზრით გადმოცემა ჩვეულებრივი მოვლენაა, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, რთულ წინადადებებში რამდენიმე შემასმენელია გამოტოვებული, თუმცა ჩავარდნილი ზმნა-შემასმენლის აღდგენა კონტექსტის მეშვეობით ადვილად შეიძლება.

რჩება შთაბეჭდილება, რომ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის გამოტოვების შემთხვევაში, ზმნა-შემასმენლის სრულ ფუნქციას სახელადი ნაწილი ითავსებს, რაც შესაძლებელს ხდის ვივარაუდოთ მოსალოდნელი ზმნური ნაწილი და შესაბამისად, აადვილებს წინადადებაში გამოთქმული აზრის აღქმას.

ლიტერატურა

კიზირია 1987 – ა. კიზირია, მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები, თბილისი.

NATO SHAVRESHIANI

On the Imperfect Sentences in the Cholur Speech

S u m m a r y

In the Cholur speech of Svan, in particular, in the speech of the elderly respondents the sentences lacking predicates systematically occur in contrast to the speech of the younger generation.

Lacking verb-predicates in the dialogues is a common fact in other Kartvelian languages and in this respect Svan is not an exception. In addition to the dialogues, in the Cholur speech the imperfect sentences lacking the verbal parts of compound predicates (**xwi** „am“, **xi** „are“, **li** „is“ in the forms of the different screeves) are largely attested. There are also cases when the imperfect sentences lack several predicates (the verbal parts of a compound predicate and simple predicates). The imperfect sentence can be the clause of paratactic, hypotactic and intermixed sentences.

ქეთევან შარიქაძე

**ფრაზეოლოგიზმები ოტია იოსელიანის
ნოველებში**

ფრაზეოლოგიზმები ენობრივი სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტებია. ისინი ენობრივი ფორმულებია, უწინარეს ყოვლისა, მზა სახით არსებული მყარი გამონათქვამები. მათი უხვად გამოყენება ნიშანდობლივია ზეპირმეტყველებისათვის (კვანტალიანი 1990: 35), ასეთი შეხამებები “ლექსიკურად შემოფარგლულია, მყარია, სემანტიკურად დაუშლელია“ (თაყაიშვილი 1961: 96).

ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა – ნაწილი ფრაზეოლოგიას მიაკუთვნებს ყოველგვარ შესიტყვებას, რომელსაც ახასიათებს ამა თუ იმ ხარისხის სიმყარე. ფრაზეოლოგიის განმსაზღვრელ ნიშნად მიჩნეულია მნიშვნელობის გადატანა და სახოვანება. ფრაზეოლოგია შემოსაზღვრულია იმ მასალით, რომელიც ზუსტად არ ითარგმნება სხვა ენაზე, ან მისი ზუსტი თარგმანი შეუძლებელია. ამ განმარტების მიხედვით, ერთმანეთის გვერდით შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა სტრუქტურის ერთეულები: იდიომები, ანდაზები, აფორიზმები, ლიტერატურული ციტატები, ფრთიანი სიტყვები, კომპოზიტები და სხვ. (თაყაიშვილი 1901: 14).

„ფრაზეოლოგიზმი ენის ლექსიკური ერთეულია, რომელიც ფორმით შესიტყვების (წინადადების) ტოლია, მნიშვნელობით სიტყვის ეკვივალენტია – წინადადებაში წინადადების წევრის ფუნქციას ასრულებს, ახასიათებს: ფორმალური დანაწევრობულობის ფონზე მნიშვნელობის უნიკალურობა“ (ცოცანიძე 1999: 223).

მიუთითებენ, რომ „ფრაზეოლოგიზმებისათვის ძირითადია სტილისტიკური ფუნქცია, ისინი მეტყველებაში ისეა მოხმარებული, როგორც ტროპი, ე. ი. წარმოადგენს სიტყვის ან გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების ერთ-ერთ სახეობას“ (გვენცაძე 1974: 55), ამიტომ მათი სიუხვე ამდიდრებს ენას.

ა. თაყაიშვილის თანახმად, ფრაზეოლოგია წარმოგვიდგება ორ ჯგუფად: ერთია იდიომები, მეორე – ფრაზეოლოგიური შესატყვისები. ისინი თავიანთი შინაარსით ორგანულ კავშირში არიან ერთმანეთთან. ფრაზეოლოგიზმის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე – იდიომისა, პირველი მოიცავს მეორეს (თაყაიშვილი 1961: 20).

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ოტია იოსელიანი შემოქმედებაზე, სადაც ფრაზეოლოგიზმებს, როგორც ლექსიკის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების უმთავრეს წყაროს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რაც მწერლის ხალხურ და ზეპირ მეტყველებასთან სიახლოვეთ უნდა აიხსნას. ოტია იოსელიანი ქართულ ენას მშობლიურ სოფელში გამზრდელი ბებიას მემკვიდრეობით ეზიარა. მწერალი ენას ერის სულს უწოდებს: „ ენა ერის სულია! რა არის ერი, რა არის ქვეყანა, ვინაა, თუ არა ენა? ენა ერს სულივით თან ახლავს და უმისობა კი არა, ხელყოფაც კი სენია, დაავადება და დახეიბრება. ...სიტყვა-ლექსიკა ჭურჭელია ენისა და გარედან ჭურჭლის დანახვა, დახატვა შეიძლება, მაგრამ შიგ რა გიდევს, სალაროს მფლობელმაც არ იცის. სიტყვა გარეგნული სხეულია ენისა, თვითონ ენა კი – სული“ (იოსელიანი 2006: 9).

რა მიზნით, რა შემთხვევაში იყენებს მწერალი ფრაზეოლოგიზმებს და რა ფუნქციას ანიჭებს მათ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ამჯერად ნოველების ანალიზის მიხედვით შევეცდებით. ოტია იოსელიანის ნოველებში გვხვდება:

1. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც საყოველთაოდაა გავრცელებული და ასახული არსებულ ლექსიკონებში (ენაზე კბილის დაჭერა, ცა ფეხად ჩამოდის, პირში წყლის ჩაგუბება, დაიქცა ქვეყანა, წელებზე ფეხის დადგმა, ჭურში ჯდომა, გულის გადატრიალება, თვალზე ცრემლი არ შეშრობია, მოგჭამა ჭირი, თითზე გადასახვევი...) :

ქვებს ისგრის

მართლა ქვებს კი არ ისროდა (3, 17)

წყალწაღებული ხავსს ეკიდება

წყალწაღებულმა ხავსს მოკიდება დააპირა (3, 18)

ეკლად ესობა

მინდოდა ნუგემის თვალში ეკლად არ შევსობოდი (3, 33)

ჩალით დახურვა

გავჩუმდეთ და ქვეყანა ჩალით დავხუროთ? (3, 37)

სულს ეშმაკს მიჰყიდის

სერაფიონს სული ეშმაკისთვის აქვს მიყიდული (3, 84)

ულუფა გაცივდა

ერთ დღეს ყველას ოჯახში გაცივდა სერაფიონის ულუფა (3, 87)

უძაღლო ქვეყანა

უძაღლო ქვეყანაში ძაღლებს აყეფებენო (3, 94)

ფრთებს შლის

ქვეყანა შენია, გაშალე ფრთები (3, 155)

პირზე ბოქლომს იდებს

ამიზა მედვა პირზე ბოქლომი (3, 87)

პირში წყალს იგუბებს

პირში წყლის ჩაგუბებას რა ჯობია? (3, 89)

კუდი ყავარზე უდევს

კუდი ყავარზე რო აქვთ გადებული (3, 158)

ქვეყანა თავზე ექცევა

დაგექცათ თავზე ქვეყანა (3, 158)

2. გამოთქმები, რომლებიც არ არის დამოწმებული ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებში:

სადი თვალის მოთხრა

ვითომ ყველაზე მეტად მესმოდა შენი და ერთადერთი სადი თვალიც მე მოგთხარე (3, 212)

საკრეჭი ცხვარი

დღეს ალალ-მართალი საკრეჭი ცხვარი ვის რა ჯანდაბად უნდა? (3, 218).

ბედის ხელის ჩაკიდება, წელზე გამოზმა

ბედი არც ხელიხელ ჩაკიდებული ან წელზე გამოზმული გყავს (3, 219)

მხსნელის ციდან ჩამოსმა

ის-ისაა უნდა ამოგხდეს სული, რომ მხსნელს პირდაპირ ციდან ჩამოგისვამს (3, 220)

დედამიწა ქალამნად მოირგო

დედამიწა ქალამნათ ისეც მორგებული აქვენ და მერე მოუჭერთ (3, 269)

თავში ქვის ხლა

თავში ქვაც იხალე და ლოდიც ირტყი (4, 39)

მგლის გაღვიძება

ამ სათნო ქალში რა მამალი მგელი იღვიძებს (4, 134)

ნაზდის იმედად მოსხმა

იმედი მოისხი და ნაზდადაც მოგეთობა (4, 91).

მოცემულ ილუსტრაციებშიც არ ირღვევა ტრადიცია და ზმნა-შემასმენელი წინადადების აუსლაუტში გვხვდება.

ხშირად ავტორი ერთ წინადადებაში რამდენიმე ფრაზეოლოგიურ გამოთქმას მიმართავს, რითაც უფრო მეტ გამომსახველობასა და სიცხადეს ანიჭებს ფრაზას, რაც ამწვავებს სათქმელს და ემოციურობასაც უსვამს ხაზს:

თაკარა მზით რომ თვალეებში გიბნელდება და ქანცგაწყვეტილს მუხლი გეკვეთება, შიშშილს რომ გადაურჩი, წყურვილი მოგკლავს... (4, 35).

იძულებული იქნებიან, გაანძრიონ ხელი, გაახილონ თვალი, აახილონ ყური...(4, 89).

რა ჭაპანი არ ვწიე და რა რკინის უღელში არ შევბმულვარ (4, 172).

ეს ბედისაგან აზუჩად აგდება და თავსლაფის დასხმა (3, 18).

ქვა ააგდო და მაღლა დაყენებული მუქი მეწამულისფერი თმიანი თავი შეუშვირა (3, 365).

თუ გინდა, წელზე ფეხი დაიდგი, თუ გინდა, თავში ქვა იხალე, და თუ გინდა, ფეხი ფეხზე გადადებული და გულხელდაკრეფილი დაჯექი (4, 54).

რატომ არ დაესხა კუპრი ან ცეცხლში არ დაიწვა (4, 84).

იმედი გაიჩინე სოფლისა, იმედი მოისხი და ნაზდადაც მოგეთობა და ქუდადაც სინდისს დაგზურავს, რკინის ქალამნადაც გექცევა (4, 91).

ენას კბილი დააჭირეთ, ნუ აყოლილხართ ფეხის ხმას და რასაც ჩაგმახებენ, ჭურივით ნუ ამოიძახებ (4, 112).

ქართული ფრაზეოლოგიზმები თავიანთი სტრუქტურით ახლოს დგანან თანამედროვე ენის სინტაქსურ - მორფოლოგიურ ნორმებთან: „ქართული

ენის სიტყვათა წყობის სპეციფიკის გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ზმნური კომპონენტი ფრაზეოლოგიზმში ჩვეულებრივ ბოლოშია: მტვერი ადინა, გზა აუბნია, ძალას ატანს... ლაკონიზმის დადასტურებაა ისიც, რომ ქართული ფრაზეოლოგიზმი არ საჭიროებს ნაცვალსახელის ჩართვას: გული მოუვიდა(მას), ენა შემობრუნა(მე). ნაცვალსახელის მაგივრობას ქართულ ფრაზეოლოგიზმში (ისე, როგორც თავისუფალ შესიტყვებაში) ზმნაში წარმოდგენილი პირის ნიშნები ასრულებენ“ (თაყაიშვილი 1961: 126).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მეცნიერს ეჭვი შეაქვს ფრაზეოლოგიური გამონათქვამების სინტაქსურ ფუნქციაში (ვ. არხანგელსკი). მათი აზრით, ფრაზეოლოგიური შესიტყვება არ ასრულებს წინადადების ცალკეული წევრის როლს, არამედ ჩვეულებრივ წარმოადგენს წინადადების ორ წევრს (იქვე, 1961: 81-82).

კვლევებმა ცხადყო, რომ ფრაზეოლოგიურ კომპონენტებს ცოცხალი სინტაქსური კავშირი ახასიათებთ და წინადადებაში ერთერთი წევრის ფუნქცია-საც ასრულებენ.

ოტია იოსელიანის ნოველებში ხშირად გვხვდება როგორც მარტივი და შერწყმული, ისე რთული წინადადებები, რომლებიც უხვადაა გაჯერებული ფრაზეოლოგიური გამონათქვამებით.

მამას სისხლი აუვარდა თავში (4, 28)

მგონი კიტრადც არ გვაგდებს (4, 145)

დამკრა ტვინში ცივად, ჩავბარდი პატრონს, გავათავე სიკვდილი, მოვჭამე ჭირი ქვეყანას (3, 318)

ვალიკო ყველას გვიყვარს, მისთვის წყალში ჩავდგებით, ქვას გავზეთქავთ, ლურსმანს გავღეჭავთ (4, 138)

ნუ აყოლილხართ ფეხის ხმას და რასაც ჩავმახებენ, ჭურვივით ნუ ამოიმახებთ (3, 96).

წეიღებ თვარა, მიწაში ჩამოგყობა ვინმე ან რათ გინდა? (3, 262).

თუ სიბზნელე არ ნახე, ფასს ვერ დაადებ სინათლეს (3, 215).

ყური რომ მანამდე დამგსებოდა და თვალები დამდგომოდა, კარგი იყო... (4, 172).

ამომხდი ტანჯვა-ვაებით სულს და რომ მგონია მამასვენე, იწყებ ჩემს აღდგომას (3, 313).

თუ არაფერზე უკან არ იხევ, შეგიძლია ის შენი პატარა, მინჯღრეული სკამი სავარძლედ აქციო, სოხანე-გალაქულ იატაკად და კარებთან დაგდებული ფეხსაწმენდი ჯვალაო-ფიანდაზად (3, 215).

ეს თვალის ახელაა, რომ ბესოს ამუნჯებს და აყრუებს, ენას აგლეჯს და ფეხებს უბორკავს (4, 65).

როგორც განხილულმა მასალამ გვიჩვენა, ოტია იოსელიანის ნოველები მრავლადაა ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც საყოველთაოდაა გავრცელებული, თუმცა უხვად გვხვდება გამოთქმები, რომლებიც არ არის დამოწმებული ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებში. ვინაიდან ფრაზეოლოგიზმებს კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, აღნიშნული გამო-

ნათქვამების საშუალებით ოტია იოსელიანის სამეტყველო ენა ხატოვნად გადმოგვცემს ნაწარმოების ძირითად შინაარსს და ამავე დროს წარმოგვიდგენს პერსონაჟის მხატვრულ პორტრეტს, ხასიათს, განცდებსა თუ შეხედულებებს, სიღრმისეულად გვიხატავს გმირის შინაგან სამყაროს, რაც ხელს უწყობს მწერალს, რათა მკითხველს მიანიჭოს ესთეტიკური სიამოვნება და მიაღწიოს მხატვრულ ეფექტს.

ლიტერატურა

გვენცაძე 1974 – ალ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, თბილისი.

თაყაიშვილი 1961 – არლ. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

იოსელიანი 2006 – ო. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. III, თბილისი.

იოსელიანი 2006 – ო. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV, თბილისი.

ონიანი 1966 – ა. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი.

ნეიმანი 1961 – ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

ცოცენიძე 1999 – გ. ცოცენიძე, ფრაზეოლოგია – მისი ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორისტული ასპექტები, ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი.

KETEVAN SHARIKADZE

Phrasemes in the Novels by Otia Ioseliani

S u m m a r y

In the novels by Otia Ioseliani we can find such phrasemes that are in common use and are included in the dictionaries. Although, there are many phrasemes that are not attested in the dictionaries available for us.

By means of the said phrasemes Otia Ioseliani's language expresses the main content of his works figuratively and also gives each phrase more expressiveness and clarity, strengthens the message of the author and thoroughly describes the characters.

ეთერ შენგელია

**სამოსელთან დაკავშირებული ლექსემების
შემცველი იდიომებისათვის მეგრულ-ლაზურში**

(მეგრ. **კაბა**, ლაზ. **ფორკა**; მეგრ. **კართე** „კალთა“, ლაზ. **პოდია**)

სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა აქტიურია იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით. ამ მხრივ, საყურადღებოა: მეგრ. **კაბა**, ლაზ. **ფორკა** „კაბა“; მეგრ. **კართე** „კალთა“ და ამავე მნიშვნელობის ლაზ. **პოდია** (|| **პოგია** || **პორჯა**).

უპირველესად განვიხილავთ მეგრ. **კაბა** და ლაზ. **ფორკა** ლექსემების შემცველ იდიომებს.

მეგრ. **კაბა** – კაბა, ახალუხი, გრძელკალთიანი სამოსი (ქობალია 2010). ლაზ. **ფორკა** || **ჭორკა** – კაბა (თანდილავა 2013). ჟ. დიუმეზილთან **ჭორკა**–სთან ერთად დასტურდება **ჭოკა** ფორმაც „კაბის, პერანგის“ მნიშვნელობით (დიუმეზილი 2009).

საილუსტრაციოდ გამოყენებულია გამოქვეყნებულ ტექსტებში, ლექსიკონებში, სამეცნიერო ნაშრომებში დადასტურებული მასალა და, აგრეთვე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტით – „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“ – გათვალისწინებული მივლინების შედეგად სამეგრელოსა და ლაზეთში მოპოვებული მასალა.

საანალიზო სიტყვების მონაწილეობით გადმოიცემა სხვადასხვა შინაარსი.

სიმბდალე

მეგრ. **ოსურიში კაბა მგაკუნსუ** „მხდალია“ (იტყვიან მამაკაცზე, რომელსაც ვაჟკაცური თვისებები არ გააჩნია) (ზედმიწ. „ქალის კაბა აცვია“). ნინა მუს გილაილუ იშო–აშო? სი კოჩი ვაცოფეჟ, **ოსურიში კაბა მგკვნორქუე** – ენას რას დაატარებ იქით–აქით? შენ კაცი არ ყოფილხარ, ქალის კაბა გაცვია (თურმე). ამ შინაარსით ლაზურში დასტურდება **ოხორჯაში ფორკა დოლოქუნს** – ქალის კაბა აცვია.

მწუხარება, გასაჭირი

სამოსელი, ზოგადად, გამოხატავს ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მის განწყობას. ამ მხრივ, საყურადღებოა მეგრ. **კაბა** და ლაზ. **ფორკა** ლექსემების შემცველი იდიომები, როცა მათთან ატრიბუტად გვაქვს მეგრ.–ლაზ. **უჩა** „შავი“. შავი სამოსელი, საზოგადოდ, გლოვის, გაჭირვების ერთ-ერთი გამოხატულება იყო ქრისტიანისათვის.

მეგრ. **უჩა კაბათ გეთენარდი** „ქვრივობით, გაჭირვებით გამოზრდილი“ (ზედმიწ. „შავი კაბით გამოზრდილი“). **უჩა კაბათ მაფუ სქუაღეფი გეთენარდი** „შავი კაბით მყავს შვილები გამოზრდილი“. შდრ. ქართ. **შავი კაბის კალთით გამოზრდა** (შვილისა). ი ბიჭი... **შავი კაბის კალთით** ძლივს **გამოზარდე** (მელან.) (სახოკია 1979: 736).

მეგრ. **უჩა კაბათ ხე** „დამწუხრებულია, მგლოვიარეა“ (ზედმიწ. „შავი კაბით ზის“). ირო შხვაშო უბედურობას სხუნუნდუ, მარა ასე **ქოხე უჩა კაბათ** – სხვისთვის ყოველთვის ცუდს ბჭობდა (განიზრახავდა), მაგრამ ახლა კი ზის შავი კაბით. შდრ. ქართ. **შავი კაბით დაჯდომა** „გლოვა, მწუხარება მიცვალებულზე“. რამდენი ოჯახია მისგან (სოსიკასაგან) **შავი კაბით დამჯდარი** (სახოკია 1979: 736).

მეგრულში „უჩა“-ს მონაწილეობის გარეშეც გადმოიცემა უარყოფითი შინაარსი, მაშინ როცა ლაზურში ეს სიტყვა ჩართულია შესიტყვებაში. მეგრ. **ჩქიმი კაბა მუკუქუნუდას** „მე რა მდგომარეობაშიც ვარ, ისე იყოს ისიც“ (ზედმიწ. „ჩემი კაბა ჩაეცვას“). ლაზ. **ჩქიმისთეი უჩა ფორკა დილიქუნეიტას** „გამწარებულებიყოს, გაუბედურებულებიყოს“ (ზედმიწ. „ჩემსავით შავი კაბა ჩაეცვას!“ წყევლაა ერთგვარი: უნდა აღინიშნოს, რომ ლაზეთში შავი ფერის აღნიშნული მნიშვნელობით გამოყენებაზე მიუთითებენ მხოლოდ ქრისტიანი ლაზები). შდრ. ქართ. **ჩემი კაბა ჩაეცვას || ჩემი კაბითაც დამჯდარხარ!** „ქმარი მოგკვდომოდეს, სამგლოვიარო საქმე დაგმართოდეს!“ ვოჰი! ვოჰი! **ჩემი კაბითაც დამჯდარხარ...** (ს. მაგლობ.). თ. სახოკიას ცნობით, ქალი რომ დაქვრივდებოდა და სამგლოვიარო (შავ) კაბას ჩაიცვამდა, თუ ხელმეორედ არ გათხოვდებოდა, ამ კაბას სიკვდილამდე ატარებდა, სამხიარულას ტანზე არ გაიკარებდა. (სახოკია 1979: 776). მასასადამე, აღნიშნული იდიომის საფუძვლად ეს ჩვეულება მიიჩნევა.

საყურადღებოა ლაზ. **ფორკა || ჭორკა**–ს მონაწილეობით შექმნილი ფრაზეოლოგიური შესიტყვება, რომელიც ლაზურ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს: **ფორკა გამაკიუ** (ზედმიწ. „კაბის გამოკოჭვა“). ქარი რომ ამოვარდებოდა, ოჯახის უფროს ქალიშვილს კაბის ბოლოს გამოუკოჭავდნენ, განასკვავდნენ, იტყოდნენ ლოცვას, ევედრებოდნენ ღმერთს, ეხსნა ისინი სტიქიური უბედურებებისაგან – ხანძარი ჩაექრო, ქარი ჩაეყენებინა, რომ დაეცვა ტყე, სოფელი, უვნებლად დაებრუნებინა მეთევზეები, მეზღვაურები. ქარსაც მიმართავდნენ, რომ ჩამდგარიყო. სანამ ქარი არ ჩადგებოდა, კაბა გამოკოჭილი იყო. ლოცვის შინაარსი ასეთი იყო: ღორმოთი, ჩქინი დაღეფე დომიჩვით, დაჩხიი ვა იყვას, მზოლა ვა ირდას, მეჩხომეფე საღლამი ქაგხთან, კალაში ბარვა ქოდოდგითას (აშო ჰკიუფთ, ბარვა ორდო-ნა დოდგითაშენ). კალაში, ბარვა დოკიი, ორდო ქოდოდგითი „ღმერთო, ჩემი ტყეები დამიფარე, ცეცხლი არ იყოს, ზღვა არ აღელდეს, მეთევზეები ჯანმრთელი დაბრუნდნენ, ქარის ქოლა დადგეს (ასე ვკოჭავთ, სანამ ქოლა არ შეწყდება). ქარო, ქოლა შეკარი, ადრე დადექ“ (მთქმელი – ნაზი ვანილიში, სარფი). აღნიშნული რწმენა-წარმოდგენის შესახებ ცნობები მოცემულია, აგრეთვე, წიგნში: „ლაზეთი“ (ვანილიში, თანდილავა 1984: 141) და „ლაზური ტექსტები“ (კალანდია 2008: 93). უკანასკნელთან ეს

შესიტყვება გვხვდება ამგვარად – **ჭორკას გამაკირუ** „კაბის განასკვა“. ლაზების რწმენით, მათ მიერ შესრულებული რიტუალი ბუნების მოვლენებზე ზეგავლენას მოახდენდა და დაიცავდა მათ სტიქიური უბედურებისაგან.

მნიშვნელოვანია მეგრ. **კართე** „კალთა“, ლაზ. **პოდია** (|| **პოგია** || **პორჯა**) (id.) ლექსემების შემცველი იდიომებიც.

კალთა, ზოგადად, დაცვა-მფარველობის, მოწყალების, სიუხვის, მზრუნველობის, სასოების, სულგრძელების, სიწმინდის სიმბოლოდ მოიაზრება ქართულ ცნობიერებაში. საანალიზო ერთეულების შემცველი იდიომებიც ამ შინაარსს გამოხატავენ.

მეგრ. **ჭყოლოფუაში კართე ქიგნაფორუ** „დაიფარა, დაიცვა“ (ზედმიწ. „წყალობის კალთა გადააფარა“) (ქაჯაია III, 2002). || მეგრ. **კართემ გინოფორაფა** მფარველობის გაწევა, დახმარება (ზედმიწ. „კალთის გადააფარება“). სი ბაღანას **კართე ვეგნაფორუა**, ვარა ქობძირუნქ, უკულ დუდშა იტოხუნდენ. შენ ბავშვს კალთა არ გადააფარო, თორემ ვნახავ, მერე თავში იცემდე (შეროზია, ლაბაძე 2015). ლაზ. **პოდია მოთუმეს** „იცავს, ეხმარება“. ო, ბეე კად ვაუყონუ, მარა ნანა მუშიქ **პოდია მოთუმეს** – ო, ბიჭი კარგი არ ჰყავს, მაგრამ დედამისი კალთას აფარებს (მივლინების მასალა). შდრ. ქართ. **კალთის გადააფარება** || **დაფარება**. მოწყალებისა **გადამაფარო კალთა** (რ. ერისთ.); ღვთისმშობელი ჩარგლისაო,.. შენი კაბის **კალთა დააფარე** (ვაჟა) (სახოკია 1979: 308).

ამ შინაარსს გამოხატავს მეგრ. **ხეს გინააფორუანს** „დანაშაულის დაფარვაში ეხმარება; სააშკარაოზე არ გამოჰყავს“. (ზედმიწ. „ხელს აფარებს“) (ო. ქაჯა, III, 2002: 526); ლაზ. **ხე მოთუმერს**. ბაბაქ ბერეს კაბათეიშენი ნა უყურტას, ნანაქ **ხე მოთუმერს** – როცა მამა შვილს დანაშაულისთვის უყვირის, დედა ხელს აფარებს (მემიშიში 2015: 171). შდრ. ქართ. **ხელის დაფარება** – ვისიმე დანაშაულის დამალვა, მიჩქმალვა, დანაშაულის დაფარვაში დახმარება, დაცვა. რამდენჯერ მყავდა ხელში მომწყვდეული, მაგრამ დადიანი და აბულ–ასანი **ხელს აფარებდნენ...** (შ. დად.) (ონიანი 1966, 190). ესენი შეიძლება ნაწილობრივ სინონიმებად განვიხილოთ.

მეგრ. **კართე ქიგიოფართხუ** „გულუხვად მისცა (ყველაფერი)“ (ზედმიწ. „კალთა დააბერტყა“). ღორონთქ თიშ მახორობას ალბათ **კართე ქიგიოფართხე**, ირფელი ეფშა უღუნა. ღმერთმა იმის ოჯახს ალბათ **კალთა დააბერტყა**, ყველაფერი სავსე აქვთ (შეროზია, ლაბაძე 2015: 63). შდრ. ქართ. **კალთის დაბერტყვა** – ყოველგვარი სიკეთის, დოვლათის უხვად მიცემა, მინიჭება. ზოგს **კალთას** ზედ **დააბერტყავ**, ზოგზე კი სრულებით ხელს აიღებ (ს. მგალობ.) (ონიანი 1966: 99).

მეგრ. **კართე ქეკაფართხ** „პასუხისმგებლობა მოიხსნა; ზრუნვა-პატრონობაზე ხელი აიღო; ადამიანთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა გარკვეული მიზეზის გამო“ (ზედმიწ. „კალთა მიაფერთხა, მიაბერტყა“). გვალო ჯგირო ოხვარდღ, მარა ბოლოს კართე ქეკაფართხ – ძალიან კარგად ეხმარებოდა, მაგრამ ბოლოს კალთა მიაბერტყა (მივლინების მასალა). ლაზ. **პოდია დიფათხუ**. მა დიდო კაობა ვოლოდი, ამა მუქ **პოდია დიფათხუ** – მე ბევრი სიკეთე გავუკეთე, მაგრამ მან კალთა დაიფერთხა (პასუხისმგებლობა მოიხსნა); სი ეშო პატი კოჩი

ექ, მან სქანიშენ **პოდია დოიფათხი** – შენ ისეთი ცუდი კაცი ხარ, მე შენზე კალთა დავიბერტყე (ხელი ავიღე)“ (მივლინების მასალა). შდრ. ქართ. **კალთა მიაბერტყა** (ვინმეს, რამეს) „მიატოვა, დაივიწყა (ვინმე, რამე); კავშირურთიერთობა გაწყვიტა (ვინმესთან, რამესთან). დედაენა და ერთობა, შოვნილი წინაპართაო, ვინმლო დაიცვათ ეს ორი, **არ მიაბერტყოთ კალთაო** (შ. არაგვ.) (ონიანი 1966).

მეგრ. **კართეთ გილაყუნსუ** „მზრუნველობას იჩენს, არ აწუხებს, რამეს არ აკეთებინებს“ (ზედმიწ. „კალთით ატარებს“). **კართეთ ვეგლეფონინექ**, სქანი საქმეს სი ოკო ეცადენი – კალთით ვერ გატარებს (კაცი), შენი საქმე შენ უნდა სცადო. ლაზ. **პოდიათენ გუიყონუ** „მზრუნველობა გამოიჩინა, არ შეაწუხა, რამე არ გააკეთებინა“. ნანამუშიქ **პოდიათენ გუიყონუ**, აწი მუთუ ვაახვენენ – დედამისმა კალთით ატარა, ახლა ვერაფერს ვერ აკეთებს“ (მივლინების მასალა). შდრ. ქართ. **კალთით ტარება** იგივეა, რაც **კალთაში გამოზრდა** „მოვლა–პატრონობა“. თვრამეტი წელიწადია, ჩემ **კალთაში ვზდი!** (ა. ცაგარ.) (სახოკია 1979: 307, 308).

მეგრ. **კართეს ელაზუ** „შველას ითხოვს, ვინმეზეა დამოკიდებული“ (ზედმიწ. „კალთაზეა დაკიდებული“). თიში იმენდო რე, ირო **კართეს ელაზუ** – მის იმედად არის, ყოველთვის კალთაზეა დაკიდებული (მივლინების მასალა). ამ იდიომის სინონიმებია: მეგრ. **კართეს ელასხუპინი** „სხვაზე დამოკიდებულება“ (ზედმიწ. „კალთაზე ჩამოკიდება; კალთაზე ხელჩაკიდებით სიარული, სხვაზე დამოკიდებულება“) (ქობალია 2010). ირო შხვაში **კართეს ნგ ელასხუპუქუ** – ყოველთვის სხვის კალთას ნუ ხარ ჩამოკიდებული; ამავე შინაარს გამოხატავს მეგრ. **კართეშა მიკოკირუა** „მოუშორებლობა, თან დევნა“ (ზედმიწ. „კალთაზე მიზმა“). დიამუშიშ **კართეს მიკოკირუ**, სოთინ ვეგლურს – დედამისის კალთაზეა მიზმული, არსად დადის (ქაჯაია IV, 2009). აქვე უნდა განვიხილოთ ლაზ. **პოდიას ქოგილიკიდუ** „კალთაზეა დაკიდებული“. სოთი ვაოჩქუ, კულანი **პოდიას ქოგილიკიდუ** – არსად არ უშვებს, გოგო კალთაზე ჰყავს გამოკიდებული“ (მივლინების მასალა). შდრ. ქართ. **კალთაზე გამოზმა || კალთის დაჭერა || კალთაზე დაბლაუჭება || დაკიდება || დაჭიდება || მოკიდება** „ვისთვისმე შველის თხოვნა, ვისიმე ცვა-ფარვის ძებნა, ვინმეზე დამოკიდებულება“ (სახოკია 1979: 306-308).

მეგრ. **კართეშა აწუძე დუდი** „ვინმეს მფარველობის ქვეშ არის, ვინმეს იმედით არის დარჩენილი“. (ზედმიწ. „კალთაზე უდევს თავი“) ჩქიმი **კართეშა აწუძენია დუდი** – „ჩემს კალთაში უდევს თავი“. ლაზ. ემუს ჩქიმი **პოდიას გილუძინ თი** დო მოთ აშქურინასინონ – იმას ჩემს კალთაში უდევს თავი და რად შეეშინებდებ?!“ (მივლინების მასალა). შდრ. ქართ. **კალთაში (ვისიმე) თავის ჩადება**. მივიდა დიაცთან, **თავი კალთაში ჩაუდვა** და დედობით ტკბილად დაუწყო ლაპარაკი (თიმსარიანი) (სახოკია 1979: 307).

მეგრ. **კართეს მუთუნ ვაწუცენც** „უქმად არაფერი მოვა, ვერაფერს იშოვის“. (ზედმიწ. „კალთაზე არაფერი დაუცვივდება“). ართ დიხას დიმახვენც **კართეს მუთუნ ვაწუცენც** – ერთ ადგილას დამჯდომს, კალთაზე არაფერი დაუცვივდება (სამუშია 1971: 17) (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. **კართეეკინელი გილურცუ** „მათხოვრობს“ (ზედმიწ. „კალთააწეული დადის“). ამდღა დო ამსერი ირო **კართეეკინელი გილურსუ** – დღენიადაგ კალთააწეული დადის (მივლინების მასალა). შდრ. ქართ. **კალთააწეული** „მათხოვარი, გლახა, ღარიბი, მოწყალეების მთხოვნელი“ ზედმიწ. „კალთააწეული“ (სახოკია 1979: 306).

მეგრ. **კართეს ათუფორ** „ვინმეს იმედად, კმა-ყოფაზე არის“ (ზედმიწ. „კალთას არის ამოფარებული“). მუშიანეფიში **კართეს ათუფორ**, ვარა მუს მუთა აპალუ – თავისიანების კალთას არის ამოფარებული, თორემ თვითონ არაფერი არ გააჩნია. ლაზ. **პოდიაშა ქომუიხიზუ** (id.). ემუში **პოდიაშა ქომუიხიზუ** – იმის კალთას შემოაფარა თავი (მივლინების მასალა). შდრ. ქართ. **კალთას შემოიხიზნება. შემოვხიზნავარ შენს კალთას**, შენგნითვე ველი რჩენასა! (რ. ერისთ.) (სახოკია 1979: 307).

მეგრ. **კართე გეიკორობუ** „გასაქცევად გაემზადა“ (ზედმიწ. კალთა აიკრიბა). **კართე გეიკორობუ** დო ქიგიოლგ – კალთა აიკრიბა და გაიქცა. ლაზ. **მუინძიქუ პოდია მუში** დო მიკილუ – კალთა აიკრიბა და გაიარა“ (მივლინების მასალა). შდრ. ამ მნიშვნელობით ქართ. **კალთების აკრება**. თუმცა კი **კალთებს აიკრებს** – როგორმე მოვპურწოო და თავი დავაძვრინოო (ილია) (სახოკია 1979: 308).

მეგრ. **კართეშა აშარდუაფა** „მოწიწებით, მზრუნველობით გაზრდა“ (ზედმიწ. „კალთაში გაზრდა || გამოზრდა“). ოხორასქილიში სქუალეფი ხოლო **კართეშა ქაშერდუ** – მულის შვილებიც კალთაში გამოზარდა (მივლინების მასალა). ამ იდიომის სინონიმია მეგრ. **კართეში მითორდუალა** ზედმიწ. „კალთისქვეშ გაზრდა“ (ქობალია 2010). მეზობელიში ბალანეფი მუში **კართეშა ქიმთირდუ** – მეზობლის ბავშვები თავის კალთისქვეშ გაზარდა. შდრ. ამავე მნიშვნელობით ქართ. **კალთაში გამოზრდა** (სახოკია 1979: 308).

მეგრ. **კართეში გტნარდი** „დიდი მზრუნველობით გაზრდილი, ახლობელი“ (ზედმიწ. „კალთაში გამოზრდილი“). მუში **კართეში გტნარდი** ბალანემქ მირდესნი, ოქიში ქურთინეს – მის კალთაში გამოზრდილმა ბავშვებმა, რომ გაიზარდნენ, ზურგი შეაქციეს. ლაზ. **პოდიას რდეი**. ია ჩქიმი **პოდიას რდეი რენ** – ჩემს კალთაშია გამოზრდილი (მივლინების მასალა). შდრ. ქართ. **კალთაში აღზრდილი**. ამ სტრიქონების დამწერი ხალხის შვილია... ხალხის **კალთაში აღზრდილი** (ი. გოგებ.) (ქეგლი IV, 1955).

მეგრ. **კართეში მოსოფუა** „ბევრი ხვეწნა, თხოვნა“ (ზედმიწ. „კალთის ჩამოგლეჯა“) (ქობალია 2010). **კართე გამგმოსოფეს** დო საშველი ვარდე ვემნოფრთითკონი – კალთა დაგვაგლიჯეს და საშველი არ იყო, არ შევსულიყავით შდრ. ქართ. **კალთის დაგლეჯა**. იმ დღეს ჩემს უფროს დას **კალთა დავაგლიჯე** ხვეწნით: ვითხვა მასწავლე-მეთქი (ონიანი 1966: 99).

ლაზ. **პოდია გელიხარუფს (ჯელიხარუმს)** „ნამუსს კარგავს, ქმარს ღალატობს“ (ზედმიწ. „კალთას [ჩამო]იხვეს“). **პოდია ქაგელიხარუ** დო სუმ ბერე ქონაშქუ (ხოფ.) „ქმარს უღალატა და სამი შვილი მიატოვა“; **პორგია ნა გელიხარასენ** ოხორჯაზ ვა ნინდვინენ! (ვიწ.–არქ.) – ქმარს რომ უღალატებს, ის ქალი არ ინდობა! **პორჯა მო ჯელიხარუმტა**, ბე ნა! (ათინ.–ართ.) – ნამუსს ნუ დაკარგავ, დედა გენაცვალოს! (შეროზია, ლაბაძე 2015: 305).

მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ მეგრ. **კაბა**, ლაზ. **ფორკა** || **ჭორკა** || **ჭოკა** (id.) ლექსემების შემცველი იდიომები გამოხატავენ: სიმხდალეს, მწუხარებას, გასაჭირს, ხოლო მეგრ. **კართე** „კალთა“ ლაზ. **პოდია** (|| **პოგია** || **პორჯა**) (id.) ლექსემების შემცველი იდიომები კი – მფარველობას, მოწყალებას, სიუხვეს, მზრუნველობას, სასოებას, სულგრძელებას, სიწმინდეს.

საყურადღებოა გაანალიზებული მასალა სტრუქტურული თვალსაზრისითაც. გამოვლინდა ორ-, სამ-, ოთხკომპონენტური იდიომები. ხშირია ორ- და სამკომპონენტური, ხოლო ოთხკომპონენტური იშვიათია. იდიომი წარმოდგენილია სხვადასხვა მეტყველების ნაწილით. ყველაზე ხშირია შესიტყვებაში სახელი (არსებითი, ზედსართავი) და ზმნა.

გამოვლინდა ისეთი იდიომებიც, რომლებიც ან მხოლოდ ლაზურში დასტურდება, ან მხოლოდ მეგრულში. ზოგ შემთხვევაში სემანტიკა იდენტურია, ზოგ შემთხვევაში კი – განსხვავებული. მათი უმეტესობა, საერთოა მეგრულ-ლაზურისათვის როგორც სემანტიკურად, ასევე სტრუქტურულად, და, ასევე, ერთობას ავლენენ გაანალიზებული იდიომები ქართულთან მიმართებითაც. მასალა მნიშვნელოვანია ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისითაც.

ლიტერატურა

დიუმეზილი 2009 – ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, (ლაზური ტექსტების ქართული ვერსია და ლექსიკონი შეადგინა მ. ბუკიამ), თბილისი.

თანდილავა 2013 – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

თაყაიშვილი 1961 – ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

კალანდია 2008 – თ. კალანდია, ლაზური ტექსტები, თბილისი.

მემიშიში 2015 – ო. მემიშიში, ლაზური ანდაზები და იდიომები, ბათუმი.

მივლინების მასალა – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია – ფარგლებში (2013–2016 წლებში) სამეგრელოსა და ლაზეთში მივლინების მასალა.

ონიანი 1966 – ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი.

სახოკია 1979 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ-1, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ-2, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ-3, თბილისი.

ქაჯაია 2009 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (დამატებული), ტ-4, თბილისი.

ქეგლი 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით) ტ. IV, თბილისი.

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

შეროზია, ლაბაძე 2015 – რ. შეროზია, მ. ლაბაძე, ხალხური სიბრძნე II, მეგრული და ლაზური იდიომები, თბილისი.

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

ETER SHENGELIA

**On the Idioms Containing Apparel-related
Lexemes in Megrelian-Laz**

(Megr. **ḵaba** „a dress“ Laz. **porḵa**; Megr. **ḵarte** „a lap“, Laz. **podia**)

S u m m a r y

The paper deals with the idioms containing the lexical units Megr. **ḵaba**, Laz. **porḵa** „a dress“; Megr. **ḵarte**, Laz. **podia** (||**pogia** || **porḷa**) „a lap“ with respect to the structure and semantics.

The analysis of the material showed that the idioms containing the lexemes Megr. **ḵaba**, Laz. **porḵa** || **forḵa** || **foḵa** express cowardice, sadness, being in a trouble while the idioms containing the lexemes Megr. **ḵarte**, Laz. **podia** (||**pogia** || **porḷa**) express protection, mercy, generosity, kindness, care and chastity.

The material is interesting in terms of the structure as well. The idioms consisting of two, three and four components have been distinguished. The idioms containing four components are rare. The components may be different parts of speech but mostly nouns, adjectives and verbs.

We have found such idioms that are attested only in Laz or Megrelian. In some cases the semantics is identical. The majority of the idioms are common for Megrelian-Laz with respect to the semantics and the structure and also they show the similar picture with regard to the Georgian language. The material is important with respect to the lingua-culturology.

ვაჟა შენგელია, ცირა ჯანჯღავა

**მეგრულ-ლაზურ ფრაზეოლოგიზმთა
ტიპოლოგიისათვის**

ტიპოლოგია გულისხმობს მონათესავე და არამონათესავე ენათა სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებათა შედარებით კვლევას. ეს კვლევა ენობრივი სისტემის ყველა ნაწილს შეეხება, მათ შორის, ბუნებრივია, ფრაზეოლოგიასაც. ფრაზეოლოგიზმები ენობრივი ერთეულებია, რომლებიც აგებულია, ერთი მხრივ, სათანადო ენის მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურის შესაბამისად, მეორე მხრივ, წარმოგვიდგება როგორც სათანადო ენობრივი კოლექტივის (ამჟამინდელი თუ ისტორიული) მსოფლშეგრძნების შესატყვისი ენობრივი მოვლენა.

ფრაზეოლოგიზმებს, ენობრივი სისტემის სხვა ელემენტების მსგავსად, ტიპოლოგიური პარალელები ეძებნება სხვადასხვა სისტემის ენებში. ფრაზეოლოგიის ერთ-ერთ ზოგად ტიპოლოგიურ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ სომატური იდიომების პრევალირება, რაც მრავალი ენის მაგალითზეა დადასტურებული. ასეთი სურათია მეგრულ-ჭანურშიც და სხვა ქართველურ ენებშიც.

მეგრულ-ლაზურ იდიომებს ტიპოლოგიური პარალელები, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა ქართულში მოეპოვება. ამ მხრივ სხვა ენებთან სხვაობა ხშირია, მაგრამ ანალოგების არსებობაც დასტურდება.

მეგრ. **გურს ქემოხვად**

ქართ. **გულში მოხვდა**

ჩერქ. **გგ° კაჟაღაღ**, ზედმიწ. „მის გულს დაარტყა“

რუს. **обиделся**

ქართველურ და ჩერქეზულ შესიტყვებათა ადგილას რუსული ზმნას წარმოგვიდგენს.

მეგრ. **შქირენით ღურუ**

ქართ. **შიმშილით კვდება**

ჩერქ. **მალ'აჟან მალჯ**

რუს. **умирает с голоду / от голода**

ქართველურ ენებსა და ჩერქეზულ შორის სრული ანალოგია გვაქვს, რუსულში შესიტყვების სტრუქტურის თვალსაზრისით ცოტა განსხვავებული ვითარებაა.

მეგრ. **დუდი გალე ვაგმარჩქინინე**

ლაზ. **თი გალე ვარ გამადენ**

ქართ. **თავს გარეთ ვერ ყოფს**

რუს. **не может и носа высунуть**

მეგრულ-ლაზურ ფრაზეოლოგიზმებში საყრდენი სიტყვა „თავია“, რუსულში – „ცხვირი“.

მეგრ. **დუს გეხუნა**

ლაზ. **თის გეხუნუ**

ქართ. **თავზე დაჯდომა**

ყაბ. **ს'ჰამ ყის'ჰარგუან**

ხუნძ. **ხეტერალდა იახინე**

რუს. **на голову сесть**

სხვადასხვა ენის ზემოთ წარმოდგენილ მონაცემებს შორის მეტ-ნაკლები ერთობა გვაქვს, კერძოდ, ტიპოლოგიური ანალოგია რუსულთანაც სახეზეა, მაგრამ სტრუქტურული განსხვავება საგრძნობია.

მეგრ. **დუდიშ დუდი**, ზედმიწ. „თავის თავი“

ბართ. **თავიდათავი**

ჩერქ. **ნაჰეს'ჰ** ზედმიწ. „უფრო თავი“

რუს. **главный**

ამ გამოთქმებს შორის საერთო ისაა, რომ ყველგან „თავი“ სიტყვაა გამოყენებული, განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ მეგრულში შესიტყვებასთან გვაქვს საქმე, ქართულსა და ჩერქეზულში კომპოზიტია წარმოდგენილი (წარმოშობით-შესიტყვება), რუსულში – დერივატი (შდრ. ქართ. მთავარი).

მეგრ. **დუდ მიდინუ**, ზედმიწ. „თავი დაკარგა“

ლაზ. **თი ქაგუინდინუ**

ქართ. **თავი დაიღუპა**

ხუნძ. **ხეტერ ბილიზე**

რუს. **погубил себя**

რუსულთან აქ შინაარსობლივი ერთობა გვაქვს, კომპონენტური შემადგენლობა კი სხვადასხვაა (ქართულ გამოთქმას **თავი დაკარგა** სხვა სემანტიკა აქვს, შდრ. რუს. голову потерял).

მეგრ. **დუს ირდენს**

ქართ. **თავს იგდებს**

რუს. **поступает недостойно, нагло**

მეგრულსა და ქართულს შორის ანალოგია სრულია, რუსულში განსხვავებული ვითარებაა (ჩვეულებრივ შესიტყვებასთან გვაქვს საქმე).

მეგრ. **დუს გიორე** (ლეხის)
 ლაზ. **თის გიოდგინ**
 ქართ. **თავზე ადგას** (ავადმყოფს)
 რუს. **ухаживает за больным**

საყრდენ სიტყვად მეგრულ-ლაზურსა და ქართულში წარმოდგენილი „გული“, რომელიც რუსულში არ მოიპოვება

მეგრ. **დუდიშ გინაციმალო**
 ქართ. **თავზე საყრელად**
 რუს. **по горло**

მეგრული და ქართული კომპონენტური შემადგენლობით ერთობას გვიჩვენებს, რუსული განსხვავებულია (ზედმიწ. „ყელამდე“).

მეგრ. **დუს გედგენს**
 ლაზ. **თი გიოდგიფს**
 ქართ. **თავს დაადგამს**
 რუს. **решает**

მეგრულ-ლაზური და ქართული მონაცემების განსხვავება რუსულისაგან აშკარაა.

მეგრ. **დუდი მულუ**
 ლაზ. **თი მუმერს**
 ქართ. **თავი მოაქვს**
 რუს. **воображает**

მეგრულ-ლაზური და ქართული ფრაზეოლოგიზმებში „თავია“ საყრდენი სიტყვა, რუსულში ზმნა გვაქვს.

მეგრ. **მუშ დუდშა ეკოფუნს**
 ქართ. **თავის თავზე აიღებს**
 ხუნძ. **ბეტერალდე ზოსიზე**
 რუს. **берёт на себя**

მეგრულში, ქართულსა და ხუნძურში საყრდენი სიტყვა „თავია“, რუსულშიც ზმნური შესიტყვება გვაქვს, მაგრამ სახელური ნაწილი ნაცვალსახელია.

მეგრ. **გურიშ ვარდი**
 ქართ. **გულის ვარდი**
 რუს. **возлюбленная**

მეგრულისა და ქართულის სახელური შესიტყვების ნაცვლად რუსულში მიმღეობა გვაქვს.

მეგრ. **გური ელიბორებუ**

ქართ. **გული (მო)უღბება**

ჩეჩნ. **დ'ოგ დეშა**

გერმ. **weiches Herz** ზედმიწ. „რბილი გული“

რუს. **смягчает душу/сердце**

ხუთივე შემთხვევაში შესიტყვებასთან გვაქვს საქმე, განსხვავება კი ისაა, რომ იდიომის საყრდენი სიტყვა მეგრულში, ქართულსა და ჩეჩნურში „გულია“, რუსულში კი „გულიც“ შეიძლება იყოს და „სულიც“ (ე. ი. სინონიმია გვაქვს)

მეგრ. **გურს უღუ**

ლაზ. **გურის უღუნ**

ქართ. **გულში აქვს**

ჩერქ. **გ'გხ'აღ' იგც**

რუს. **намеревается**

მეგრულ-ლაზურში, ქართულსა და ჩერქეზულში ზმნური შესიტყვება გვაქვს, საყრდენი სიტყვა კი „გულია“, რუსულში კი სათანადო მნიშვნელობით ოდენ ზმნა გამოიყენება.

მეგრ. **გურს აჭუ**

ლაზ. **გური აჭვენ**

ქართ. **გული ეწევა**

რუს. **душа болит**

აქ ყველგან ზმნური შესიტყვება გვაქვს, ოღონდ ქართველურ ენებში საყრდენი სიტყვა „გულია“, რუსულში – „სული“.

მეგრ. **დუს იდინუანს**

ქართ. **თავს ი ღუპავს**

რუს. **губит себя**

ქართველურ მასალაში საყრდენი სიტყვა „თავია“, რუსულშიც ზმნური შესიტყვება გვაქვს, მაგრამ სახელური ნაწილი ნაცვალსახელია (რუს. голову терять სხვა სემანტიკისაა – „თავს კარგავს“).

მეგრ. **გურ ჰყორდე**

ქართ. **გული წყდება**

რუს. **ему обидно**

მეგრულსა და ქართულში, რუსულისაგან განსხვავებით, საყრდენ სიტყვად „გულია“ გამოიყენებული.

მეგრ. **გურს მიცონანს // გურ მალე**

ქართ. **გულს მოიყვანს // გული მოუვა**

რუს. **обижается**

მეგრულსა და ქართულში იდიომები სინონიმურ შესიტყვებებს წარმოადგენენ, რუსულში მათი შესატყვისი ზმნაა.

მეგრ. **დუდ ვაუღუ // ვეშულებუ**

ლაზ. **თი ვარ უღუნ**

ქართ. **თავი არა აქვს** // არ შეუძლია // შესაძლებლობა არა აქვს

რუს. **нет возможности**

ქართველურ ენებში „თავია“ დასახელოვანი იდიომთა საყრდენი სიტყვა, რუსულს სხვაგვარი კომპონენტური შედგენილობა აქვს.

მეგრ. **თოლიშ დოვალაფაშა**

ლაზ. **თოლი გეფათხაფაშა**

ქართ. **თვალის დახამხამებაში**

რუს. **в мгновение ока**

ამ შემთხვევაში ტიპოლოგიური ერთობა თვალსაჩინოა

მეგრ. **თოლს აღორენს**

ქართ. **თვალს ატყუებს** // წაიძინებს // ჩათვლემს

რუს. **вздремлет**

მეგრულსა და ქართულში ზმნური შესიტყვებაა, რუსულში – ზმნა.

მეგრ. **თოლშა კითი ვემიღინე** // ნაპტანი უკმელა რე

ქართ. **თვალთან თითს ვერ მიიტან** // ძალიან ბნელია

რუს. **очень темно // хоть глаз выколи**

სამივე ენობრივ ერთეულში ერთი და იგივე შინაარსის გადმოსაცემად იდიომიც გვხვდება (თვალის“ გამოყენებით) და ჩვეულებრივი შესიტყვებაც.

მეგრ. **ხე დო ხე შქას**

ქართ. **ხელსა და ხელს შუა**

რუს. **незаметно**

არ არის გამორიცხული მეგრული გამოთქმა ქართულის კალკი იყოს; რუსულში კი სათანადო შინაარსის იდიომატური გამოთქმა ვერ დავადასტურეთ.

მეგრ. **ხეს გიმიღანს**

ქართ. **ხელს გამოიღებს**

რუს. **трудится, усердствует**

მეგრ. **პის ხეს გიოფორანს**

ლაზ. **პიჯის ხე მოთუმერს**

ქართ. **პირზე ხელს აფარებს**

რუს. **заставляет молчать**

ქართულ ენებში იდიომატური გამოთქმებია წარმოდგენილი, რუსულში – ჩვეულებრივი შესიტყვება.

მეგრ. **კუჩხეფს გილაბუ**

ქართ. **ფეხებზე ჰკიდია**

რუს. **равнодушен // безразличен**

მეგრულსა და ქართულში იდიომებია, რუსულში – ზმნა.

მეგრ. **ნინა უწორუანს**

ქართ. **ენა უსწრებს**

მეგრულსა და ქართულს შორის სრული ანალოგია გვაქვს.

მეგრ. **ცუს მეჩანს**

ლაზ. **ცუჯი მეჩაფს**

ქართ. **ყურს ათხოვებს**

რუს. **слушается**

მეგრულ-ლაზური და ქართული იდიომები ზმნური შესიტყვებებია (გამოყენებულია სხვადასხვა ზმნა).

მეგრ. **დღამ დო სერით** ზედმიწ. „დღისით და ღამით“

ქართ. **დღე და ღამე // დღედაღამ**

რუს. **день и ночь**

სამსავე ენობრივ ერთეულში კავშირიანი სიტყვათშეხამებაა წარმოდგენილი (სინონიმურ ერთეულად ქართული კომპოზიტსაც წარმოგვიდგენს).

ჩვენ წარმოვადგინეთ მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიური ანალიზი გარკვეული მასალის საფუძველზე, რის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველური ენობრივი სამყაროს ერთობა ენობრივი სისტემის ამ ნაწილშიც ნათლად ჩანს, თუმცა სხვა ენებთან შეხვედრებიც იკვეთება (განსაკუთრებით – მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტად ღირებულია სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან. როგორც ნ. ფონიავას მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, მეგრულ-ლაზურში სიხშირის თვალსაზრისით პირველ ადგილზე „გულის“ შემცველი იდიომები დგას, მათ მოსდევს ფრაზეოლოგიზმები, რომელთა შემადგენლობაშია „თავი“ და „თვალი“. საინტერესოა, რომ ანალოგიურ ვითარებას წარმოგვიდგენენ ყაზარდოული და ხუნძური ენები (ამის შესახებ იხ. ქარდანოვი 1973: 101-102; ხაიბულაევი, ხაიბულაევა 2004: 6-7).

ლიტერატურა

ბლადვაი, თჰარქვახვა 1993 – 3. Блягов, Ю. Тхаркахо, Русско-адыгейский фразеологический словарь, Майкоп.

გამრეკელი, მაგალობლიშვილი 1966 – ნ. გამრეკელი, ე. მაგალობლიშვილი, ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

თაყაიშვილი 1961 – ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

მემიშიში 2015 – ო. მემიშიში, ლაზური ანდაზები და იდიომები, ბათუმი.

ონიანი 1966 – ა. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი.

ქარდანოვი 1968 – Б. Карданов, Кабардинско-русский фразеологический словарь, Налчик.

ქარდანოვი 1973 – Б. Карданов, Фразеология кабардинского языка, Нальчик.

შეროზია, ლაბაძე 2015 – რ. შეროზია, მ. ლაბაძე, ხალხური სიბრძნე. II. მეგრული და ლაზური იდიომები, თბილისი.

ხაიბულაევი, ხაიბულაევა 2004 – М. Хайбулаев, М. Хайбулаева, Аварско-русский словарь соматических фразеологизмов, Махачкала.

VAZHA SHENGELIA, TSIRA JANJGAVA

On the Typology of the Megrelian-Laz Phrasemes

S u m m a r y

Phrasemes just like the other elements of the lingual system have typological parallels in the languages with different systems. We can consider the prevalence of the somatic idioms as one of the general typological features that is confirmed by the examples of many languages. The situation is the same in the Megrelian-Chan and other Kartvelian languages.

It is logical that the Megrelian-Laz idioms have the typological parallels first of all in the Georgian language. In this regard the difference from the other languages is frequent but the existence of the analogs is also confirmed.

The unity of the Kartvelological linguistic world is clearly seen even in the phrasemes; however, the coincidence with the other languages is also visible (especially with the akin Ibero-Caucasian languages).

It was found out that with respect to frequency the first place is taken by the idioms including the word “a heart” followed by the phrasemes that include “a head” and “an eye”. It is interesting that the situation is similar in the Kabardian and Avar languages.

იზა ჩანტლაძე

წრფელობით და სახელობით ბრუნვათა ურთიერთმიმართების პრობლემისათვის სვანურ ენაში

„გვექნებოდა თუ არა სვანურ ნომინატივში ***მურყუამა-ი** („კოშკი“), ***ფუსნა-ი** („ბატონი“), ძველი ქართული ენისა და ზოგი ცოცხალი კილოს **მამა-ი / დედა-ი**ს მსგავსად, სხვა საკითხია; **იგი ჩვენ ამჟამად არც გვანტერესებს**“ (ხაზი ჩვენია – **ო. ჩ.**) – განაცხადა აკადემიკოსმა ვარლამ თოფურიამ 1926 წლის 28 დეკემბერს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე. მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა და, მიუხედავად ამისა, **აღნიშნული საკითხით დაინტერესების სურვილი არც ერთ ქართველოლოგს არ გამოუთქვამს არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ**. მოველოდით, რომ მასზე მსჯელობა იქნებოდა პროფესორ ბაქარ გიგინეიშვილის სტატიაში „ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში“ („მაცნე“, №2, 1973), მაგრამ აქაც გავიცრუვდა იმედი, რადგანაც ავტორმა მთელი თავისი ყურადღება გადაიტანა ხმოვანთა სიგრძეზე, თუმცა ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოთქვა: „საფიქრებელია, რომ სახელობით ბრუნვაში ხმოვან ფუძიანი სახელები ბრუნვის მორფემის ნულოვანი ალომორფით იყვენენ წარმოდგენილი“-ო (იქვე: 150).

სხვათა ლოდინს თავი დავანებეთ და გადავწყვიტეთ, გარკვეული მოსაზრებანი გაგვეზიარებინა კოლეგებისათვის:

„სვანური ბრუნების დღევანდელი სახე მეტისმეტად შეცვლილია იმასთან შედარებით, რაც ძველად უნდა ყოფილიყო. ამიტომ **მწელია, ნათლად გაერკვეს კაცი, იმ არევ-დარეულ ფორმებში**, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს, **ვინაიდან უმლაუტები გვაქვს და მათი გამომწვევი მიზეზები** – აღარა... **სვანური უმლაუტის საკითხში დაბრკოლებას ბოლოკიდური მარცვლები წარმოადგენენ**, სადაც ანალოგიებს ძალიან უნდა დაეხმებინოს წარმოების პირვანდელი სახე“ (შანიძე 1924/1981: 362).

ქართულ-ზანურ ენებთან შეპირისპირებისას სვანურში ამკარადაა თვალში საცემი თანხმოვანფუძიან სახელთა სიჭარბე ხმოვან ფონემაზე დაბოლოებულებთან შედარებით, ამასთანავე, უკანასკნელ შემთხვევაში **-ა** და **-ე** ბოლოკიდურიანები უფროა გავრცელებული, ვიდრე **-უ**, **-ო** ან **-გ** აუსლაუტია-ნები.

უმლაუტი – უმთავრესი სპეციფიკური მორფოფონოლოგიური მოვლენა სვანური ენისა – ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ-ორ ჯგუფს როგორც თანხმო-

ვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებში – უმლაუტოებსა და უმლაუტია-ნებს, არადა ყველგან მხოლოდ ერთი (უმლაუტიანთა) ჯგუფი უნდა გვექონოდა, რადგანაც ისტორიულად, დანარჩენ ქართველურ ენათა მსგავსად, ყველა საზოგადო სახელს (გამონაკლისს ქმნიან ანთროპონიმები! – ჭუმბურიძე: 1964) უსათუოდ უნდა ჰქონოდათ სახელობითი ბრუნვის მორფემა -**ე** (არქაული) ან -**ო** (შედარებით გვიანდელი).

თანამედროვე სვანურ მეტყველებაში (როგორც ენგურის, ისე კოდორისა თუ ცხენისწყლის ხეობებში) თითო-ოროლა ფრაგმენტის სახითა და იმავდროულად ყველა დიალექტში აბსოლუტურად ერთგვარად (-**ო**!) შემოგვრჩა სახელობითის მორფემა [შდრ. **იორ-ო** „ორი“, **სემ-ო** „სამი“, რომელიც ამ ფუნქციით მხოლოდ ე. წ. ორფუძიანი ბრუნების სისტემაში გამოიყენება (სახ. **იორ-ო**, მიც. **იარ-ჟ**, ... სახ. **სემ-ო**, მიც. **სამ** < **სამ-ჟ**,...), სხვაგან კი ისიც სახელის ფუძესაა შეხორცებული ყველა ბრუნვაში (სახ. **იორი**, მიც. **იორი-ს**, ვით. **იორი-დ**, ... სახ. **სემი**, მიც. **სემი-ს**, ვით. **სემი-დ**,...]. სამაგიეროდ, -**ო** მორფემის ბგერინაცვალი -**ა** დღესაც ძალზე გავრცელებულია ბალსზემოურსა და ლაშხურ დიალექტებში, აგრეთვე, კოდორის ხეობაში საუკუნენახევრის წინ ჩასახლებულ ბალსზემოელთა მეტყველებაში (როგორც საერთოქართველურ, ისე საკუთრივ სვანურსა თუ ნასესხებ ლექსიკაში: **ჰალა-ა** „მდინარე; ჰალა – მინდორი მდინარის პირას“, **ზა-ა** „წელიწადი“, ბქ. **ზა** „ზაფხული“, **მეშა-ა** „მუშა“,...), ხოლო სხვაგან (ბალსქვემოურში, ლენტეხურში, კოდორის ხეობაში ჩასახლებულ ბალსქვემოელთა მეტყველებაში) იგი, ჩვეულებრივ, იკვეცება, მაგრამ სახელობითის ფორმაში რჩება მისი ერთ-ერთი დიფერენციალური ნიშნის (პალატალობის) მოქმედების შედეგი უმლაუტის სახით (**ჰალა, ზა, მეშა**).

ასეთ რთულ ვითარებაში, ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვები, თანაც საკმარისად სერიოზული ხასიათისა:

1. რატომ არა გვაქვს უმლაუტი **დინა** („ქალიშვილი“), **დერა** („გაყინული თოვლი“), **კა** („ფიქალი ქვა“), **კენჭა** („ნეკი“), **კადა** („ნაჯახი“), **შორა** („წისქვილის ქვა“), **შდა** („თავთავი“), **ჩერშდა** („თითისტარი“), **ტაფწელა** (ბალახის სახეობა), **ჰეჭა** („მაჯა“)¹ და სხვა ანალოგიურ ერთ, ორ თუ სამმარცვლიან სახელთა აუსლაუტში?! – არადა, ასეთი ლექსემები უამრავია სვანური ენის ყველა დიალექტში! მათ არ დაერთოდათ სახელობითი ბრუნვის -**ე** ან -**ო** მორფემა, თუ ისინი თავდაპირველი ფუძის (ანუ წრფელობითი ბრუნვის) სახით შემოგვრჩნენ დღემდე? ცხადია, რომ დართოდათ რომელიმე მათგანი, საანალიზო ფუძეებთან უმლაუტის მხრივ იგივე სიტუაცია გვექნებოდა, რაც დღეს ლენტეხურსა (სრული სახით) თუ სხვა დიალექტებშია (სინკრეტულად) დაცული (შდრ. ლნტ. **დენა-იშ**, ბქ. **დინაშ**, ბზ. **დინაშ**, ლშხ. **დინაშ** „ქალიშვილის“) ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში.

2. მეორე მხრივ, **ბალე** („ფოთოლი“), **გუპრე** („ტყავი“), **თე** („თვალი“), **ლარე** („სათიბი“), **მარე** („კაცი“), **ყახე** („სახელი“), **ფხულე** („თითი“), **ღუესე** („ქონი, ბადექონი“), **ღალე** („ფრთა“), **ყუიყე** („ღვიძლი“), **წესხე** („ფესვი“) და ა. შ. ის-

¹ საილუსტრაციო მასალა მოგვყავს ბალსზემოური დიალექტის მიხედვით, რადგანაც მასში ყველაზე უკეთაა შემონახული ჩვენი საკითხისათვის აუცილებელი საანალიზო მასალა.

ტორიულად ბოლოვდებოდნენ -ე ხმოვანზე (როგორც ამას ზოგი ქართველოლოგი ფიქრობს! – ონიანი 1998: 62-68), თუ ისინიც ზემოაღნიშნულ -ა აუსლაუტიან სახელთა რიგში იყვნენ? (დღემდე ყველა დიალექტში აქვთ მათ ამოსავალი -ა ხმოვანი შენარჩუნებული არასაუმლაუტო პოზიციებში, ოღონდ, ცხადია, არა იქ, სადაც ქართულ-ზანურ ენათა გავლენით მიმდინარეობს შედარებით ახალი – სახელობითი ბრუნვის ფორმის მიხედვით პარადიგმატული გასწორების – პროცესი).

ვფიქრობთ, რომ -ე აუსლაუტიანი სახელები წარმოადგენენ პირველი ჯგუფის სახელთა ნაუმლაუტარ მონაცემებს, ანუ **სახელობითი ბრუნვის ფორმებს**, ხოლო თავად -ა აუსლაუტიანები დღემდე სვანურ ენაში შემოგვრჩენენ **წრფელობითის ფუნქციით**, ე. ი. ოდენ ფუძის სახით.

ამჯერად მხოლოდ -ა და -ე ბოლოკიდურიან და თანხმოვანფუძიან სახელთა ერთ ჯგუფზე ვმსჯელობთ, ხოლო მას შემდეგ, რაც სვანური ენის ლინგვისტური კორპუსისთვის აუცილებელი მასალა მთლიანად ხელთ გვექნება, დარწმუნებულნი ვართ, უფრო ფართო არეალის მომცველ ლექსემებსაც შეეხება ჩვენი ეს დასკვნა, ანუ ყველა თანხმოვანფუძიანი სახელი, რომელსაც ფუძის ბოლო მარცვალში დაცულ **ა, ო, უ, გ** ხმოვნებზე უმლაუტი არ მოუძლით, ალბათ, ისტორიული წრფელობითი ბრუნვის ამსახველი მონაცემი იქნება.

ბუნებრივია, გვკითხავენ: -ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ისტორიულად არ არსებობდნენ სვანურში? – შევეცდებით, ამ კითხვაზე მომავალში ვუპასუხოთ უმლაუტის მქონე ენებში არსებული ვითარების ზოგადდინამიკური გააზრების გათვალისწინებით...

საგანგებოდ დავინტერესდით ბალსზემოურ-ლენტეხურ დიალექტებში შემონახული ერთი -ა აუსლაუტიანი კომპოზიტით, რომელიც სხვაგან -ე დაბოლოებით გვხვდება. ესაა „თიბვის დაწყების დღის“ აღმნიშვნელი ლექსემა **ახანახა/ახამახა** (მდრ. ბქ. **ახენახე**, ლშხ. **ახენახე**), რომელიც გამონაკლისს არ წარმოადგენს. სახელობით ბრუნვაშივეა დაცული -ა სოფელ ჩიხარემის (ლაშხეთი) უგუმბათო ეკლესიის სახელწოდებაში **მაშენა** (მდრ. შესაბამისი ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის ფორმები: ბზ./ლშხ. **მაშენე** < *მა-შ-ე-გნ-ა-ი/ე „უდიდესი“, ბქ./ლნტ. **მაშენე**), ხოლო ლენტეხის რაიონში 1962 წელს პროფესორ მაქსიმე ქალდანის მიერ ჩაწერილ ზღაპარში (**ჩიყე ი მატრენე სემუნ** – „სიძე და უმცროსი ცოლისძმა“) ერთმანეთის გვერდით გვხვდება -ა და -ე აუსლაუტიანი ფორმები:

წაის მენესკერა მუხუბე ლახეჭუდდა ჭყინტს (სვ. პროზ. ტ., III, 1967, 226: 16) – „შინ შუათანა ძმა შეეკითხა ბიჭს“;

მდრ. **მერბა ნაგაზანსკა ჩიყეს ხეწიან მენესკერე მუხუბე** (იქვე, 226: 18) – „მეორე კვირაში სიძეს ეწვია შუათანა ძმა“.

წიგნში გვხვდება შენიშვნა (გვ. 335): სოფელ მელოურაში ჩაწერილი ტექსტი შეამოწმა ვარლამ თოფურიაშვილმა ლესემელ მაყვალა გაზდელიანთან, რაც იმას ნიშნავს, რომ იმავე ხეობის მეორე სოფელშიც არ გაკვირვებია სხვა მთქმელს აღმატებით ხარისხთა -ა || -ე დაბოლოებიანი ფორმები ერთმანეთის პარალელურად სახელობით ბრუნვაში.

იგივე შეიძლება გვეთქვა: **ზომხა** < *ზა-მახა, შდრ. **ზა-¹მახე** („წელი ახალი“), **დერა/დერე** („ყინულოვანი თოვლი“), **ლწრა/ლწრე** („სათიბი, მინდორი“), **ათხა || ათხე** („ახლა“) ლექსემათა შესახებაც.

უფრო მეტიც, სხვადასხვა დიალექტშიც შეიძლება შეგვხვდეს ხან **-ა**, ხან **-ე** სუფიქსიანი ან სულაც მათი მოკვეცილ მიღებული მონაცემები: ბქ. **წათხურა** / **ლწტ. წათხურა || წათხურარ**, ბზ. **წათხურარ**, ლშხ. **წათხურარ¹ე** – „ნანადირევი“ (ლაშხეთში „გარეული ჩლიქოსანი ცხოველი – არჩვი, ჯიხვი,...“).

მესტიის რაიონში ერთ იალალს **დომზა¹შ¹ ლწრა** („დომზას მინდორი“), ხოლო ჩოლურში „სათიბს“ **ლწრა** (ლიპარტელიანი 1994: 176) ჰქვია.

რაც შეეხება **ახანახა / ახენახე** ლექსემას, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა მისი ეტიმოლოგია:

სვანეთში (და, ალბათ, სხვაგანაც!) თიბვა იწყება ახალი მთვარის გამოჩენის შემდეგ. მის დანახვაზე სვანები პირჯვარს იწერენ, ლოცულობენ, პირში **რკინას** იდებენ და სთხოვენ მთვარეს, რომ **რკინის სიმაგრე** მისცეს (ეგნატე გაბლიანი 1925: 131). ამ ეთნოგრაფიული დეტალის გათვალისწინებით, საანალიზო კომპოზიტი წარმოდგენილი **ნახა** თუ **ნახე**, ალბათ, იარალის აღმნიშვნელი სვანური სიტყვაა, ხოლო **ახა/ახე** ანლაუტში თანხმოვანმოკვეცილი **მახე** < *მახა-ი/ე („ახალი“) უნდა იყოს. მაშასადამე, **ახანახა** არქაული (წრფელობითისა?) ფორმაა, ხოლო **ახენახე** < *მახა-ი/ე-ნახა-ი/ე – შედარებით გვიანდელი (ნაუმლაუტარი, ე. ი. სახელობითისა).

რაც შეეხება ლენტეხურ **ახამახა** (თოფურია/ქალდანი 2000: 95)ს, ვფიქრობთ, რომ იმდენად შორსაა წასული ამ დიალექტში დიგლოსიური მოვლენები, მოსალოდნელია ის ქართული „ახალმახალის“ მიხედვით იყოს შექმნილი.

ჩოლურულ მეტყველებაში **ახენახე** არის „უნახავი, უცნობი, შესასწავლი“, ხოლო **ახემახე** – „ახალთახალი“ (ლიპარტელიანი 1994: 57).

საინტერესოა, რომ ძველ ქართულშიც შედის ცნება „ახალი“ „მთვარეულის“ სახელწოდებაში (შდრ. **ახლ**-ის-პირ-ოვ-ან-ი).

დასასრულს, უნდა ჩავასწოროთ „სვანურ პოეზიაში“ (1939: 118, 26-27) დაბეჭდილი თითქმის საუკუნის წინ ჩაწერილი ერთი ძველი სიმღერის ტექსტიც (მოგვიტევეონ ჩვენი დიდი მასწავლებლების ნათელმა სულეზმა!), რომელიც იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი წარმოადგენს რითმის ჩანასახს ურითმო სვანურ შაირში:

**ახანახა, დომდულ მახე,
ქრისდედ ანკიდ უწრგი ჟახე.**

„თიბვის დღე, მთვარე ახალი,
ქრისტემ ამოაგდო აზნაურის
(„ვარგი¹ს¹“) სახელი!“

(და არა ისე, როგორც პუბლიკაციაშია თარგმნილი – აქ **ახანახა** ს ა ხ ე ლ დ ე - ბ ი ს, ა ნ უ წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ფორმაა და არა მიცემითისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის შემდეგ მძიმე სრულიად უადგილო იქნებოდა შესაბამის სვანურ ტექსტში).

ქართველურ ენებში „უძველეს დროს **ორი ბრუნვის ნაცვლად ერთი (წრფელობითი, ე. ი. განუსაზღვრელი ნომინატივი) უნდა ყოფილიყო, მეორე კი (სახელობითი, ე. ი. განსაზღვრული ნომინატივი) შემდეგ უნდა განვითარებულიყო.** ერთი ბრუნვა (წრფელობითი) ადრინდელი მოვლენაა, ორი კი (წრფელობითი და სახელობითი) – ნელადი,¹ მაგრამ ეს „ნელადი“ შეიძლება იმ დროისა იყოს, როცა ქართულ-მეგრულ-სვანური ჯერ კიდევ არ იყო ერთმანეთისაგან ენობრივად დაშორებული... **თანხმოვნიან ფუძეებში ახალ ქართულსა და მეგრულში სახელობითის ფორმებმა მოიპოვა უპირატესობა, ხმოვნიანებში კი – წრფელობითისამ**“ (შანიძე 1924/1981: 362-363). ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ განხილული ორი ჯგუფი სახელების სვანურ ენაშიც ნაწილობრივ ადასტურებს დიდი მეცნიერის ამ ვარაუდს, ოღონდ მცირეოდენი კორექტივით:

I. **წრფელობითის ფორმები შემოგვრჩა** როგორც თანამედროვე -ა აუსლაუტიან სახელებთან (**დრნა, კადა, შირა,...**), ისე იმ ლექსემებთან, რომლებსაც ისტორიულად ბოლოს -ა ხმოვანი ჰქონდათ, მაგრამ დროთა ვითარებაში მოექვეცათ, თუმცა ფუძეში არანაირი კვალი არ დაუტოვებიათ (**გეზალ <* გეზალა „შვილი“, ბაპ <* ბაპა „მღვდელი < პაპა“, ქორ <* ქორა „სახლი“, ფუსდ <* ფუსდა „ბატონი, უფალი“,...**). მამასადაძე, თანამედროვე თუ ისტორიულად -ა აუსლაუტიანი სახელები მოიქცნენ ერთგვარად – წარმოგვიდგინენ განუსაზღვრელობითი სახელობითის, ანუ წრფელობითი ბრუნვის სახით.

II. სახელობითმა უპირატესობა მოიპოვა:

1. იმ -ეზე დაბოლოებულ სახელებთან (**მწრე, ქაბე, ფხულე,...**), რომლებიც ისტორიულად -ა აუსლაუტიანები იყვნენ, თუმცა აქა-იქ დღემდე შემოგვენახა ამოსავალი (წრფელობითის!) ფორმები (ზს. **ახანახა**, ზს. ლშხ. **დერა, ათხა, ზომხა** ლშხ. **მაშენა**, ლნტ. **მანესკერა**, ბქ. **ლარა**... შდრ. იგივე ფუძეები სახელობით ბრუნვაში: **ახენახე, დერე, ათხე, ზა'ა'მახე, მაშენე, მანესკერე, ლწრე,...**).

2. **ჰალა-ა, ზა-ა, მგშა-ა**, ზს., ლნტ. **თჷე-ა**¹ (შდრ. ლშხ. **თო-ა**) და ა. შ. დიფთონგური ტიპის სახელებთან;

3. თანხმოვანფუძიან სახელებთან, სადაც დღეს სახელობითის მორფემა აღარსადაა (ორიოდე გამონაკლისის გარდა! – შდრ. **იორ-ი, სემ-ი**), მაგრამ მისი კვალი აშკარაა ფუძის ბოლო მარცვლისეული უმლაუტის სახით (**თწრ <თარ-ე/ი „ჩირქი“, ჩაჷ * < ჩაჷ-ე/ი „ცხენი“, ხამ * < ხამ-ე/ი „ღორი“, კჷებ < *კომ-ე/ი „ლილი“, თხჷიმ <*თხუმ-ე/ი „თავი“;...**).

უკვე თითქმის საკუკუნეა, რაც ვარლამ თოფურისა მიერ ჩამოყალიბებული ერთი შესანიშნავი (თითქმის ზუსტი!) წესი არსებობს, რომელსაც დღემდე ფართოდ იყენებენ სპეციალისტები:

1. უმლაუტიან სახელებს სახელობითი ბრუნვის (მხ. რ.) დაბოლოებად -ო უნდა ჰქონოდათ, ხოლო უმლაუტოებს -ა. უკანასკნელი ფუძისეული ხმოვანია.

¹ მართალია, ტერმინები, ჩვეულებრივ, პირობითი ცნებებია, მაგრამ, არა გვერდისაგან ლინგვისტიკაში გამოგვადგეს „ნელადი მოვლენა“.

2. პირველს შემთხვევაში სახელებს ნათესაობით ბრუნვაში -**ო-შ** ევლინებათ, მეორისაში კი -**წ-შ**.

მაგრამ ამ წესს გამონაკლისიც აქვს: „ა უმლაუტიანი სახელებიდან უნდა გამოვრიცხოთ ის ნომენები, რომელთა წ მიღებულია ესაგან“ (თოფურია 1927/2002: 28¹). ამ შემთხვევაში ვარლამ თოფურია გულისხმობს ისეთ ლექსემებს, რომელთაც ქართულსა და ზემოსვანურში ა(წ) მოეპოვებათ, ხოლო ლაშხურში -**ე** (ძვ. ქ. **დათუ-ი/ზსვ. დწმდუ**, ლშხ. **დეშდუ**,...). მათ შორისაა **დაბ** („ყანა, ნათესი“, შდრ. ძვ. ქ. **დაბა-ი** „აგარაკი, სოფელი, ყანა“; **დაბა-დ-დაბა-დ** „სოფლიდან სოფელში“, ახ. ქ. **დაბა** „ქალაქის ტიპის პატარა დასახლება“), რომელიც **ლაშხურ დიალექტშიც იმავე ხმოვნითაა წარმოდგენილი, როგორც ქართულსა თუ ზემოსვანურ-ლენტეხურში**. სულხან-საბა ორბელიანის განმარტება („მომცრო ქალაქი მოზღუდვილი“) უფრო ახალი ქართულის სემანტიკას უჭერს მხარს, ვიდრე ძველი ქართულისას.

რა ვითარებაა ლექსიკონებში, ტექსტებსა თუ სპეციალურ ლიტერატურაში?

ზემოსვანური და ლენტეხური დიალექტებისთვის ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ (2000 წ.) ერთმანეთის პარალელურადაა დასახელებული **დაბ** და **დწბ** ფორმები.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სვანური **დაბ/დწბ** ეტიმოლოგიურად უკავშირდება ძველ ქართულ ლექსემას **დაბა** როგორც ფორმით, ისე შინაარსით, მაგრამ, თუ არ ჩავთვალეთ, რომ სწორედ **დაბ** შევიდა სვანურში და არა მისი -**ა** სუფიქსიანი (**დაბ-ა**) ვარიანტი, ფუძისეული ხმოვნის უმლაუტი მოულოდნელია ბალსზემოურ და ლენტეხურ დიალექტებში. რომ ეს ასეა, კარგად გამოჩნდა **ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის (მალე დაიბეჭდება!)** საილუსტრაციო პუბლიკაციებში: არც ბალსქვემოურ პროზაულ ტექსტებსა (1959, 1978 წ.) და არც სოფელ ლახამულაში ჩაწერილ ანდაზებში (1973 წ.) არც ერთხელ არ შეგვხვდრია **დწბ**, სამაგიეროდ, სულ სხვა ვითარება დადასტურდა ბალსზემოურ პროზაულ ტექსტებში (1939, 1978 წ.წ.) და ლატალში, ლენჯერში, მესტია-მულახში, წვირმი-ადიში-ივარსა და კალა-უშგულის თემებში შემავალ სოფლებში ჩაწერილ ანდაზებში (2000 წ.) – არც ერთხელ არ შეგვხვდრია **დაბ**, ყველგან მისი უმლაუტირებული (**დწბ**) სახეა წარმოდგენილი.

რა ვითარებაა ძველ სვანურ ხალხურ სიმღერათა ტექსტებში, რომლებშიც ხშირად დაცულია ამოსავალი სახე? – **დაბ** დასტურდება ერთადერთხელ და ისიც კომპოზიტში (**დაბ-ლარემიშ** „ყანა-სათიბის“ – სვანური პოეზია 1939, 12: 20), ძველისძველ სიმღერაში **ყიფიანას მახელუაყარე** („ყიფიანთ ახალგაზრდებო“), რომელიც ჩაწერილია ბესარიონ ნიჭარაძის მიერ სოფელ ივარში 1881 წელს (ტექსტის ქვემოთ შეცდომითაა მითითებული **კალა** – იხ. იქვე: 62). რაც შეეხება **დწბ** ვარიანტს, 400 გვერდის მოცულობის დიდტანიან წიგნში ის

¹ ნაშრომთა გვერდებს, აქაც და აკაკი შანიძის („უმლაუტი სვანურში“) შემთხვევაშიც, ვიმოწმებთ ახალი გამოცემების მიხედვით, რადგანაც დიდებულ ქართველოლოგთა სიცოცხლეში დაბეჭდილი პუბლიკაციები უკვე კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ამიტომ მათი ისტორიის გასათვალისწინებლად ვუთითებთ ადრინდელ ქრონოლოგიასაც.

მხოლოდ სამჯერ გვხვდება (იხ. 110: 22, 256: 5, 258: 14) ხალდესა და ლენჯერში ჩაწერილ სიმღერებში. საგულისხმოა, რომ 1936 წელს ხალდეში ფიქსირებულ კომპოზიტიში **დაბ-ლარემიშ** („ყანა-სათიბის“) უკვე **დბ** არის დადასტურებული (110: 22), განსხვავებით თითქმის საუკუნენახევრის წინ ჩაწერილი ტექსტისაგან (იხ. 12: 20), მაშასადამე, **აქ უმლაუტი შედარებით ახალია**.

ნათესაობითის ფორმა, რომელიც, ვარლამ თოფურიას მიერ შემუშავებული კანონის მიხედვით, ამოსავალი ვითარების საჩვენებლად ერთგვარ კრიტერიუმად გვესახება, მხოლოდ ერთხელ იხმარება სეზი გულედანის მიერ 1838 წელს ლენჯერში ჩაწერილ სიმღერაში (**დბბ** < ***დაბ-ა-იშ**, 250: 11), სადაც დაცულია სუფიქსისეული -**შ** (უმლაუტით ნათესაობითი ბრუნვის -**იშ** მორფემის წინა პოზიციაში!) და რომელსაც ზურგს უმაგრებს **მხოლოდ პოეზიის ენაში დადასტურებული სახელობითი ბრუნვის არქაული მონაცემი**: ეშ დ ო რ ი ლ ო დ ლ ი **დბი**¹ (<***დაბ-იშ** და არა ***დაბ-ა-იშ**) საჩქჷწრ დ ქაჷ ხო-ჰ ო და – „თორმეტი დღიური ყანა საჩუქრად მიუცია“ (სვ. პოეზია 74: 34-35).

დბ'ის -**იშ** მორფემიანი ნათესაობითი უნდა ვივარაუდოთ ერთ ბალსზემოურ სიმღერაში წარმოდგენილ ტოპონიმში: **დაბიშის** (<***დბ**-იშ-ი-ს) ქი-ბ ე ნ ა მ ქ ე დ ლ ი დ (იქვე 12: 21) – „დაბიშს ზემოთ მოვსულვართ“ (უმლაუტიან თუ უუმლაუტო, გრძელ თუ არაგრძელ, რედუცირებულ თუ არარედუცირებულ ფორმათა არაკანონზომიერი გამოყენება სვანურ ხალხურ პოეზიაში ჩვეულებრივი ამბავია!).

მაშასადამე, **დაბ** (ბალსქვემოურ-ლაშხური), ვვიქრობთ, **დაბა**'სგან მომდინარეობს და წრფელობითი ბრუნვის ფორმა უნდა ყოფილიყო ისტორიულად, რომელიც **დინა** („ქალიშვილი“), **ჰეკა** („მაჯა“), **ჩერშდა** („თითისტარი“) და მისთანათა სისტემის წევრია, ოღონდ აუსლაუტმოკვეცილი, ბზ./ლნტ. **დბ** (<***დაბ-ა-ე/ი**) კი **ჰალა-ი** („მდინარე, ჰალა“), **ზა-ი** („წელიწადი“, **მეშა-ი** („მუშა“) და მისთანათა ანალოგიური მონაცემია, რომელმაც დროთა ვითარებაში არა მხოლოდ სახელობითის მორფემა (-**ე/ი**) დაკარგა, არამედ სუფიქსისეული -**ა** ხმოვანიც. შესაძლოა, უფრო მარტივი ვარაუდიც დავუშვათ: **დბ** **დაბა**'სგან კი არ მომდინარეობს, არამედ **დაბ**- ძირისაგან, რომელიც ქართულსა (**უ-დაბ-ურ-ი**, **უ-დაბ-ნ-ო**, **მ-დაბ-ი-ო**, **მ-დაბ-ალ-ი**) და მეგრულში (**დობ-ერ-ა/დობ-ირ-ა** „სახნავი მიწა“, შდრ. გურული **დობ-ირ-ო** „ხეებიანი ვაკე ადგილი“, **დობ-ირ-ა-ი** „ნიადაგის სახეობა“) არაერთ ლექსემაში შედის.

აკაკი შანიძე შეეცადა, როგორმე თავიდან აეცილებინა **დბ** ფორმის უხერხულობა და, ალბათ, ამიტომ ის ***დებ**-ძირისგან მომდინარედ ჩათვალა (თოფურია 1927/2002: 25). როგორც ჩანს, მან ეს აზრი რომელიღაც სხდომაზე გაუზიარა კოლეგებს, რადგანაც დიდი მეცნიერის გამოქვეყნებულ პროდუქციაში ჩვენ მას ვერსად მივაკვლიეთ. ბალსზემოურ პროზაულ ტექსტებში (1939 წ.) **დბ** ხუთჯერ გვხვდება, ხოლო „სვანური ენის ქრესტომათიის (1978 წ.) ბალსზემოურ ნაწილში – ცამეტჯერ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თანამედროვე სვანურ მეტყველებაში უმლაუტიანი ფორმა (ანუ სახელობითი ბრუნვა!)

¹ შესაძლოა ვინმემ იფიქროს **დბ-ი** მიმართებით (-„ც“) ნაწილაკიანი ფორმააო („ყანაც“), მაგრამ ამგვარი -**ი** რომ არ იწვევს უმლაუტს სვანურში?

იკიდებს ფეხს – „სვანური ენის ქრესტომათიაში“ ხომ, ძირითადად, შედარებით ახალი ტექსტებია წარმოდგენილი, ვიდრე „სვანური პროზაული ტექსტების“ I ტომში (1939)?

დაბ ვარიანტი (ყოფილი წრფელობითი ბრუნვა!) საერთოდ არ შეგვხვდებოდა ბალსზემოურ პუბლიკაციებში, წინააღმდეგ ბალსქვემოურისა, სადაც როგორც ჩანს, არქაული ვითარებაა დაცული. რაც შეეხება კოდორულ ბალსზემოურს, იქაც მხოლოდ **დჰბ** ფუძე არის ფიქსირებული ყველა შემთხვევაში (მაგალითად, **დჰბ-ი-სგა** „ყანაში“), ხოლო კოდორული ბალსქვემოური წარმოგვიდგენს **დაბ** ვარიანტს (**დაბ-ი-სგა**), ანუ იმას, რაც დღეს ენგურის ხეობაშია გავრცელებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის თქმის შესაძლებლობა მოგვცა დიგიტალიზებული ელექტრონიკის მეთოდმა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერჯერობით ისე არ არის დანერგილი, როგორც საჭიროა. რომ ფრანკფურტის უნივერსიტეტელი კოლეგები არა, ამგვარი ფაქტების ზემოსვანურ მორფემულ ლექსიკონში წარმოსაჩენად წლები დაგვჭირდებოდა, ოღონდ ის მხოლოდ დამხმარე მეთოდი – ძალზე მოხერხებული და სწრაფი, ჩვენი კვლევებისთვის ფრიად გამოსადეგი, თუმცა მისი მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ – **საკუთრივ ლინგვისტიკისგან, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი ძლიერი დარგისგან, ის საკმაოდ შორს დგას**, მაგრამ ულტრათანამედროვეა და ენათმეცნიერებას აახლოებს ზუსტ მეცნიერებებთან.

გვეტყვიან, საკუთარ სახელებთან გასაგებია წრფელობითი ბრუნვის ვარაუდი (ჭუმბურიძე: 1964), მაგრამ საზოგადო სახელებთან აუცილებელია წრფელობით-სახელობითის დაპირისპირების ჩვენება? ჯერ ერთი, ანთროპომიმებშიც გვხვდება **-ა/-ე** ოპოზიცია:

„სვანური პოეზიის“ პირველ ტომში დაბეჭდილია 1923 წელს ლენჯერელი სები გულედანის ჩაწერილი ცნობილი სიმღერის („**ყანსაჟ ყიფიან**“ – 1939: 6, 1-2) ტექსტი, რომელიც ბესარიონ ნიჟარაძის მიერ 1878 წელს უშგულში ფიქსირებული სიმღერისგან (№VIII) მხოლოდ ბოლოკიდური ხმოვნით განსხვავდება (**ყანსაჟ ყიფიანა**).¹

სამაგიეროდ, 1926 წელს მესტიაში ვარლამ თოფურისა მიერ მულახელი (ზარდლაშელი) გვედო მარგიანისაგან ჩაწერილ **დოშდულ მახე** („მთვარე ახალი“)“ში დადასტურებული **ახანახა** (1939: 118, 26) ბესარიონ ნიჟარაძის ხელნაწერში (№XXII) წარმოდგენილია **ახემახე**’ს სახით. ასე რომ, უშგულური მე-

¹ იხ.: ბ. ნიჟარაძის მიერ დაწერილი „სვანური სახალხო სიმღერების“ კრებული, რომელიც 1912 წლის 16 ნოემბერს, აკადემიკოს ნიკო მარის თხოვნით, მაშინდელი სვანეთის ეკლესიის ბლალოჩინმა შესწირა სანკტპეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას, რისთვისაც 34 სიმღერის ტექსტისაგან შედგენილი ხელნაწერისთვის ბ. ნიჟარაძეს 1913 წლის 15 იანვარს სამადლობელი დოკუმენტი (№112) გაუგზავნეს სოფელ უშგულში. აკადემიკოსი ვარლამ თოფურია გახლდათ ჩემი საკანდიდატო დისერტაციის („ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენისა და თანამედროვე ცოცხალი მეტყველების შეპირისპირებითი ანალიზი“) კონსულტანტი, ამიტომ 1963 წელს მან გადმომცა ხსენებული კრებული. ზოგი აქ წარმოდგენილი ტექსტი დაბეჭდილია „სვანურ პოეზიაში“, მაგრამ მათ უმრავლესობას ქართველოლოგები არ იცნობენ არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ. შევეცდებით, მალე გამოვაქვეყნოთ ბ. ნიჟარაძის საანალიზო ხელნაწერი.

ტყველებისა და ბალსზემოური დიალექტის დანარჩენი კილოკავების ცნობილ -ა/-ე დაპირისპირებაში, რომელსაც არაერთი მკვლევარი შეხება, მოსალოდნელია, იყოს ანარეკლი წრფელობითისა და სახელობითის ფორმათა დაპირისპირებისა (ვგულისხმობთ ლექსემათა მხოლოდ ბოლოკიდურ ხმოვნებს!).

ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში **პირველად იქნა წარმოდგენილი მსჯელობა სახელობითის -ე მორფემიან მრავალმარცვლიან სახელებზე მხოლოდ რიცხვში** ძველ სვანურ ხალხურ სიმღერათა ენის მიხედვით (**გეზალე** – შვილი, **მურყტამე** – კომკი, **ზურალე** – ქალი, **აჭჯარე** – აბჯარი, **ატლასე** – ატლასი, **ხეშნაჭრე** – ბეგთარი, **ხანგარე** – იარალი („ხანჯალი“?), **დედუფალე** – დედოფალი, **იფარე** – იფარი (ტოპონიმი), **დალე** – დალი (თეონიმი), **ნაჭერთანე** – ნავერთანე (ანთროპონიმი) – იხ. ჩანტლაძე 1973; 267-272. მათი უმრავლესობა ნათესაობით ბრუნვაში -წმ < ა-იმ დაბოლოებულია, რაც, ვ. თოფურიას მიერ შემუშავებული კანონის თანახმად (ზოგი გამონაკლისის გარდა!), იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ოდესღაც სახელდებით წარმოებაში -ა აუს-ლაუტიანები (ე. ი. წრფელობითი ბრუნვის მონაცემები: **მურყტამა** – სვ. პოეზია 1939: 116, 18, უშგული) იყვნენ, დღეს კი არც ერთ მათგანს არც ეს დაბოლოება შერჩათ და არც სახელობითის -ე მორფემა (**მურყტამე** – იქვე: 316, 10, ლაშხეთი) – ყველა იქცა თანხმომავანად სახელად (**მურყტამ**).

დაახლოებით იგივე სიტუაციაა ანთროპონიმებშიც (**დალა** – 292, 54 || **დალე** – 294, 104, მულახი; **დწლი** – 276, 19, ლენჯერი; **დალი** – 270, 14, ლატალი, და თანამედროვე **დწლ**), ოღონდ მათ უფრო შეინარჩუნეს უუმლაუტო ა ლექსემათა ბოლო მარცვალში, ვიდრე საზოგადო სახელებმა, რადგანაც ჩვენებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე ნაწევარი (**აჯა, ეჯა, *იჯა**) თუ დეიქტური ნაწილაკი (ა, ე, *რ) არ სჭირდებოდათ – ისედაც განსაზღვრულები იყვნენ.

ლიტერატურა

გაბლიანი 1925 – ეგნ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი.

გაზდელიანი 2011 – ე. გაზდელიანი, ნათესაობითი ბრუნვის ალომორფები სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. XII, თბილისი.

გვენცაძე 1970 – ა. გვენცაძე, ნათესაობითი ბრუნვა სვანურში (სადიპლომი ნაშრომი), თსუ კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი, თბილისი.

გიგინეიშვილი 1973 – ბ. გიგინეიშვილი, ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში, „მაცნე“ – ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

თოფურია 1927 – ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, ტფილისი.

შანიძე 1924 – ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“ – პროფესორ ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, ტფილისი.

შანიძე 1981 – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი.

ლიპარტელიანი 1994 – ასლ. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი.

სვანური ენის ქრესტომათია 1978 – ტექსტები შეკრიბეს: **ა. შანიძემ, მ. ქალდანმა** და **ზ. ჭუმბურიძემ**, თბილისი.

სვანური პოეზია, I, 1939 – ტექსტები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს: **ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა**, თბილისი.

სვანური პროზაული ტექსტები, I, 1939 – ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს **ა. შანიძემ**, და **ვ. თოფურიამ**, თბილისი.

სვანური პროზაული ტექსტები, II, 1959 – ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს: **ა. დავითიანმა, მ. ქალდანმა** და **ვ. თოფურიამ**, თბილისი.

სვანური პროზაული ტექსტები, III, 1967 – ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს **ვ. თოფურიამ** და **მ. ქალდანმა**, თბილისი.

ონიანი 1998 – ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

ჩანტლაძე 1973 – ი. ჩანტლაძე, სახელობითის -ე ფორმანტის შესახებ სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVIII, თბილისი.

ჩანტლაძე 2007-2010 – ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი, კოდორული ქრონიკები, I, თბილისი.

ჩანტლაძე 1998 – ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი.

ჭუმბურიძე 1964 – ზ. ჭუმბურიძე, საკუთარ სახელთა ბრუნვა სვანურში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, IX, თბილისი.

IZA CHANTLADZE

On the Problem of the Interrelation between the Nominative and Absolutive Cases in Svan

S u m m a r y

The paper newly discusses the issues related to the interrelation of the nominals with an auslaut. The author thinks that the words **dīna** („a daughter“), **kāda** („an ax“), **šīra** („a millstone“) etc., which must have had an umlaut in the final vowel if they are in the nominative case, are the lexemes expressing the designation or they are bases in the nominative case without markers or the forms of the absolutive case

while **māre** (a man), **bale** (a leaf), **pxule** (a finger) etc. are the results of adding the morphemes **-e/-i** of the nominative case the starting situation of which, the absolutive case (**axanaxa** – „the holiday of starting haymaking“, **zomxa** – „New Year“, **dēra** – „ice“, **lara-** „a hayfield“, **aäxa** – „now“, **masēna** – „a name of a church in the village of Chikhareshi in Lashkheti“, **menesk ra** || **menesk re** – „medial“) is remained just as fragments in Svan. It is obvious that the basic **-a** in the words with the auslaut **-e** is attested in all the positions but the position of an auslaut.

We think that it a difficult problem to find out why the said type of words does not have the forms of the nominative case nowadays and why the absolutive case with an auslaut **-a** have taken the function of the nominative case. We believe that we will be able to explain everything not by means of the Kartvelian languages but by taking the general linguistic rules of the languages with umlauts into account.

ირინე ჩაჩანიძე

**ისტორიულ – ეთნოგრაფიული მონაცემები სამარყანდში
ქართული ხელნაწერების არსებობის შესახებ**

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ 1386 – 1403 წლებში თემურ – ლენგი (სამარყანდელი) რვაგზის შემოესია საქართველოს და ქართველი ხალხი ეკონომიურად გაანადგურა. ამ შემოსევების შედეგად მან დიდძალი განმეულობა თან წაიღო. ისიც ცნობილია, რომ ზოგიერთი ქართველი მეფე და დიდებულები მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების მიზნით თემურ – ლენგს ასაჩუქრებდნენ ძვირფასი განძეულით. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად „მრავალნი ამოსწყვიტა (თემურ სამარყანელმან) და უმრავლესნი ტყვედ წაიყვანა...და თვით წარვიდა შამს, ხოლო ტყე და ალაფი ყოველი გააგზავნა სამარყანს, ქორონიკონსა ჟამსა (ე. ი. 1402 წელს)“. (ქართლის ცხოვრება 1959: 471). ანალოგიურ ცნობას აღნიშნავენ თემურის ისტორიკოსებიც ნიზამ – ად – დინ შამი (თხზულებაში „ზაფარ – ნამე“) და შერეფედ დინ ალი იეზიდი (თხზულებაში „ზაფარ – ნამე“). ამ ფაქტის შესახებ ცნობილი სასულიერო პირი და მკვლევარი დიმიტრი ჯანაშვილი 1882 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე წერილში „ისტორიული სურათები“ წერდა: „ერთ სომხის სწავლულს, ხაჩატურ ოვანესიანს 1865 წელს სამარყანდში უნახავს მრავალი ქართული ხელნაწერი წიგნები, წაღებული თემურ ლენგისაგან და იქ ერთ კომპში შეგროვებული“. იგი ამასთან დაკავშირებით იმოწმებდა ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის 1866 წელს „თბილისის სიმეველეთა შესახებ“ გამოცემულ წიგნს.

ამ საკითხის ისტორიისათვის, ჩვენთვის მეტად საინტერესო და ფასეულია ქართველი განმანათლებელ – ენციკლოპედისტის იოანე ბატონიშვილის (თხზულება „კალმასობა“) ცნობები (ბატონიშვილი 1991: 129 – 131).

„თემურმა, – წერს ბატონიშვილი, – თავის მხედართმთავრებს უბრძანა: ხელთ ეგდოთ და მოესპოთ ეკლესიებისა და სხვათაგან ქართული წიგნები, აღმოეფხვრათ ქრისტიანობა და ქართველთ შორის დაენერგათ მაჰმადის რჯული, რამეთუ ენება სრულიად საღმთოსა წერილთა აღზოცა და ამა ღონითა მიქცევა ქართველთა მაჰმადიანად“. შემდეგ იგი დასძენს: „მეისტორიენი და მოგზაურნი კაცნი იტყვიან და მსმენიეს მე თვით, რომელ ლანგ – თემურმან, რადცა საღმრთო ანუ სხვანი წერილნი წარიღო საქართველოდამ თურქისტანსა შინა, გააკეთებინა ქვითკირისა დიდი სახლი და რკინისა ფანჯარანი და კარნი შეახხნა. და მას შინა დასდო ყოველივე წერილნი და წიგნნი და დასდო წყვეა, რომელ არავინ განიღოს მუნითგან იგი წერილნი. არს აწცა ისევე ისე დაკრძალულ“.

მეტად საგულისმოა ის ფაქტიც, რომ 1941 წელს, სანქტ – პეტერბურგში ქართველ ისტორიკოსს ვარლამ დონდუას შეუძენია ბიბლიოგრაფ მიხეილ კუფაევისაგან მე – 13 საუკუნეში ეტრატზე ნუსხა-ხუცურით შესრულებული ეფთვმე ქართველის (ექვთიმე ათონელის) ხელნაწერი თხზულება „განგებად მსოფლიოთა მღვდელთათვის“, რომელსაც იგი, თავის მხრივ, სხვა რამდენიმე არაბულ ხელნაწერთან ერთად, სამარყანდში შეუძენია (საისტორიო ძიებანი 1973: 45-55).

ბრიტანეთის ბიბლიოთეკების დაცულ ხელნაწერებს შორის სომხურენოვანი სახარება აღმოჩნდა, რომელიც 2011 წელს ქართველმა მკვლევარმა დავით ჩანადირმა მიაკვლია ოქსფორდის ბიბლიოთეკაში. ეს არის 1313 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომელშიც გამოყენებულია მინიატურები ქართული მინაწერებით. მასში ასახულნი არიან სხვადასხვა წმინდანები, რომელთა სახელები სწორედ ქართული ასომთავრული წარწერებით არის განმარტებული (აფხაზიშვილი სალომე 2011). სავარაუდოა, რომ აღნიშნული ხელნაწერი სამარყანდიდან ევროპელი ვაჭრებისა ან კოლექციონერების მეშვეობით მოხვედრილიყო ბრიტანეთში.

1966 წელს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების თანახმად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გიორგი ლეონიძის თაოსნობით შუა აზიაში მიაგვლინა სამეცნიერო ექსპედიცია შემდეგი შემადგენლობით: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორები გიორგი ციციშვილი, ივანე მეგრელიძე და ივანე ლოლაშვილი. ექსპედიციის უმთავრესი ამოცანა იყო: გაცნობოდა უზბეკეთის სიძველეთსაცავებსა და არქივებში დაცულ ხელნაწერთა ფონდებს, იკონოგრაფიულ და ნუმიზმატიკურ მასალებს, ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და ჭედური ხელოვნების ნიმუშებს და, რაც მთავარია, ადგილობრივი მეცნიერებისა და სპეციალისტებისაგან მიეღო სათანადო ინფორმაცია ქართული კულტურის ძეგლების, განსაკუთრებით, ქართული ხელნაწერი წიგნების შესახებ. (ციციშვილი, მეგრელიძე, ლოლაშვილი 1969: 355).

მართალია, ექსპედიციამ ვერ მიაკვლია ქართულ ხელნაწერებს, მაგრამ ძვირფასი ცნობები მიიღო მათ შესახებ. აი, ზოგიერთი მათგანი:

„მე ვარ ცოცხალი მოწმე იმისა, – განუცხადა კომისიის წევრებს ტაშკენტში მაცხოვრებელმა, რუსმა მწერალმა, ავტორმა ისტორიული ტრილოგიის „ვარსკვლავები სამარყანდის თავზე“ (1955 – 1973) სერგეი ბოროდინმა, – რომ 30-40 წლის წინათ სამარყანდისა და ბუხარის ბაზრებზე იყიდებოდა ხელნაწერები, რომელთა შორის ქართული და სომხურიც ერია. მათ განსაკუთრებით უცხოელები ეტანებოდნენ...საერთოდ, თქვენი ძიება წარმატებით დამთავრდება მაშინ, როცა აღმოჩნდება თემურ – ლენგის შვილისშვილის, მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერის და სამარყანდის ასტრონომის ემირის ულუგ – ბეგის ბიბლიოთეკა, რომელიც გატაცებულ იქნა და საიდუმლოდ შენახული მისი მოწაფეების მიერ ულუგ – ბეგის მკვლელობის შემდეგ“ (ციციშვილი, მეგრელიძე, ლოლაშვილი 1969: 358).

ბოროდინი თავის ტრილოგიაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თემურ – ლენგის მიერ საქართველოდან გატაცებულ განძეულობისა და წიგნების საკითხებს: „Дворцы Мираншаховых вельмож полны были серебряных чаш, кувшинов и подносов, покрытых иранскими, грузинскими или азербайджанскими чеканами и чернью или отделанных бирюзой; золотых чаш, усыпанных рубинами или смарагдами...

Некоторые мешки пришлось трясти, взявшись за углы, – из них через силу, словно бы упрямясь, вываливалась слежавшаяся одежда: парчовые ризы и облачения, по зеленым и голубым сукнам затканые узорами из золотых нитей прилежное мастерство армянских и грузинских златошвеек.

Из тяжелого длинного мешка вытрясли груды книг. Дошчатые, обтянутые порыжелой кожей переплеты застучали по плитам пола, как камни о камень. Переплеты, окованные по углам железными кружевными скобами, застегнутые литыми серебряными пряжками, как панцири оберегали то заповедное, как душа, что вложено в эти книги вдохновением и раздумьем“ (ბოროდინი 1955: 254).

ჩვენთვის საინტერესო ეპოქის საქართველოს შესახებ მცირე რაოდენობით ცნობები მოიპოვება ევროპელ მოგზაურთა, უფრო სწორად, სხვადასხვა სახის დიპლომატიურ მისიათა წევრებისა თუ ელჩების ნაშრომებში. აღსანიშნავია, რომ მათი ავტორები გარეშე დამკვირვებლად გვევლინებიან, რის გამოც ეს ცნობები საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ცალკეულ ფაქტებს ეხება და არ ასახავს იმ მძიმე სოციალურ და კულტურულ ვითარებას, რაც თემურ – ლენგის შემოსევებმა გამოიწვია საქართველოში. ქვემოთ წარმოდგენილი ცნობები, ვფიქრობთ, დაგვეხმარება თემურ – ლენგის მიერ საქართველოდან გატაცებული განძის კვლევა – ძიებაში.

ამ უცხოელ დამკვირვებელთა შორის არის ესპანეთის მეფის ენრიკე III (1390 – 1407) თემურ ლენგთან გაგზავნილი ელჩი რუი გონსალეს დე კლავიხო. მისი დღიურები „სამარყანდში თემური კარზე მოგზაურობის დღიური“ „HISTORIA DEL GRAN TAMORLAN (1403 -1406)“ საინტერესოა არა მარტო როგორც დოკუმენტი, რომელშიაც ასახულია ევროპელის თვალთ დანახული თემურ სამარყანდელის მმართველობა, მე-15 საუკუნის დასაწყისის ფაქტები და მოვლენები აზიაში, არამედ როგორც ისტორიული ენციკლოპედია. მისი ცნობები ძირითადად სანდოა, ვინაიდან იგი მონაწილე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა. კლავიხოს დღიურები გამოირჩევა ცნობების სიუხვითა და მრავალფეროვნებით ესპანეთიდან სამარყანდისაკენ სვლის პერიოდში და ასევე უკან, სამარყანდიდან ესპანეთში უკან დაბრუნებისას. მასში ვხვდებით სამარყანდისა და სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობის აღწერას, ცნობებს ხალხის ადათ-წესების, ეთნოგრაფიული ყოფისა და ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ.

თხზულებაში მნიშვნელოვანია ავტორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობისა და მისი მეფის გიორგი VII -ს შესახებ. გარდა ამისა, საქართველოს ბუნების აღწერისას, კლავიხო ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ დაფარულია მთებით, ეს მხარე მდიდარია

ხორციტ“. ბოლოს კლავიხო იძლევა ქართველების გარეგნობის, ენისა და რელიგიის მეტად ლაკონიურ, მაგრამ ძალიან საყურადღებო დახასიათებას: „ქართველები კარგი აგებულების ლამაზი გარეგნობის ხალხია, ბერძნული სარწმუნოებისანი არიან, ენა თავისი აქვთ“. მართალია კლავიხოს დღიურებში არ არის ნახსენები თემურ-ლენგის მიერ გატაცებული ქართული ხელნაწერი წიგნების შესახებ, მაგრამ ზემოხსენებული ფაქტები გვაფიქრებინებს შუა აზიაში ხელნაწერების არსებობას (კლავიხო 1990).

მე-19 საუკუნის მკვლევართა შორის ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლას განსაკუთრებული ღვაწლი დასდო მარი ბროსემ. მან იმდროისათვის ყველაზე ვრცლად და დაწვრილებით მიმოიხილა ჩვენთვის საინტერესო ეპოქა. ნაშრომებში „Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de J. C.“ და „Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de J. C.“ საქართველოში თემურ ლენგის ისტორიის აღწერის გარდა, იგი შეეცადა გაერკვია მთელი რიგი კონკრეტული საკითხები. კერძოდ, მარი ბროსე ცდილობს გამოყენებულ წყაროებში დაცულ ზოგი ტოპონიმისა და ისტორიული პირის იდენტიფიკაციას, აზუსტებს თემურ-ლენგის შემოსევების ქრონოლოგიას. მარი ბროსეს დიდი დამსახურებაა, რომ მან ამ ნაშრომებით პირველმა შემოიტანა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში XIV – XV საუკუნეების უცხოელთა ნაშრომები. კერძოდ, გამოიყენა შერეფ ად – დინ ალი იეზიდის და კლავიხოს ცნობები (ბროსე 1849).

გაცილებით ვრცელ და ღირებულ ცნობებს გვაწვდის თემურ-ლენგის თანამედროვე უცხოელი არქივისკოპოსი იოანე ჰალიფონტელი თხზულებაში „სამყაროს შემეცნების წიგნი“ (1404) „LIBELLUS DE NOTATIA ORBIS“. ავტორი ერთ – ერთ თავს „ცნობები კავკასიის ხალხთა შესახებ“ უთმობს საქართველოსა და მის კუთხეებს, ბუნებას, ეთნოგრაფიულ მონაცემებს, რელიგიასა და ენას. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლენგთან დაკავშირებული ცნობები. ჰალიფონტელი აღნიშნავს: „თემურ – ლენგმა, რომელმაც ქვეყანა სამჯერ ააოხრა და გამარცვა, ნანგრევებად აქცია შესანიშნავად აგებული ოცდაათი ეკლესია, ტყვედ აიყვანა ამ ქვეყნის ასი ათასამდე ადამიანი. მას ხელში ჩაუვარდა შესანიშნავი განძეულობა. მე თვითონ ვნახე ლალი, კარბუნკული, საფირონი და სხვა ძვირფასეულობა, რომლის საფასური 60 ათასი ფლორინტი იყო“ (ჰალიფონტელი 1980: 12).

საინტერესოა, რისთვის სჭირდებოდა თემურ – ლენგს ქართული წიგნები? ამ კითხვაზე პასუხს თვით მისი თანამედროვე მეზობტე ისტორიკოსები აჰმედ იბნ არაბშაჰა, შარაფუდინა ალი იეზიდი, ხაფიზ – ი აბრუ სცემენ: „იგი იყო ფართოდ განსწავლული და კარგად იცოდა მუსულმანური იურისპრუდენცია (ალ – ფიკხი), ისტორია, ფილოსოფია და პოეზია...თემური ზრუნავდა მეცნიერებზე, მან მოიზიდა ირგვლივ კეთილშობილი ხალხი, მეცნიერები, პოეტები და განსაკუთრებულ პატივს სცემდა მათ...იგი მათთან მართავდა სამეცნიერო დისკუსიებს, კამათში კი – სამართლიანი იყო.“ ხაფიზ – ი აბრუ აღნიშნავს: „თემურმა ღრმად იცოდა სპარსელებისა და თურქების ისტორია, აფასებდა ყოველგვარ ცოდნას, მედიცინას, ასტრონომიასა და მათემატიკას, რომე-

ლიც მას სარგებლობას მოუტანდა, მაგრამ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას არქიტექტურას აქცევდა“.

ცნობილია, რომ თემურმა დაწერა კანონების კრებული სახელწოდებით „სჯულდება“. ერთ – ერთ სამოქალაქო სჯულდებაში იგი წერს: „ყოველ ქვეყანასა და მხარეში მე დავნიშნე ვაჭრები და ქარავნების მეთაურები და სადაც არ უნდა მოხვდნენ ისინი ჩინეთში, ჰინდუსტანში, ეგვიპტეში, სირიასა თუ ევროპაში, უნდა მომართვან საოცარი საქონელი და საჩუქრები; შემატყობინონ ცნობები მათი ხალხის ცხოვრების შესახებ“.

დასასრულ, ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ღირებული წყაროები და საიმედო ფაქტები გვაუწყებენ, რომ ქართული ხელნაწერებისა და სხვა განძეულობათა არსებობა შუა აზიაში და კონკრეტულად სამარყანდში სინამდვილეა.

ჩვენი მთავარი ამოცანაა განახლდეს 1966 წელს გიორგი ლეონიძის თაოსნობით წამოწყებული საქმე და კვლავ შეიქმნას კომპლექსური ექსპედიცია, რომლის მიზანი უნდა იყოს:

1. უზბეკეთის ხელნაწერთა ინსტიტუტებსა და კერძო კოლექციებში დაცული ხელნაწერი ფონდების, იკონოგრაფიული და ნუმიზმატიკური მასალების, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და მათგან ქართული კულტურის საკითხებთან დაკავშირებული მასალების (უპირველესად კი ქართული ხელნაწერების) გამოვლენა და შესწავლა.

2. უზბეკეთის სამეცნიერო – კვლევით დაწესებულებებსა და უნივერსიტეტების სათანადო დეპარტამენტებთან მეცნიერული კონტაქტისა და საინფორმაციო – ბიბლიოგრაფიული ურთიერთობის დამყარება; მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეებისა და კერძო კოლექციონერების გაცნობა და მათი ჩაბმა ქართული მასალების ძიებაში.

ლიტერატურა

აფხაზიშვილი 2011 – სალომე აფხაზიშვილი, უცნობი ქართული ხელნაწერები ევროპის ბიბლიოთეკებში, გაზეთი „რეზონანსი“, 14 ნოემბერი, თბილისი.

ბატონიშვილი 1991 – იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II წიგნი, თბილისი.

ბროსე 1849 – Brosset M. Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de J. C. St. Petersburg.

კლავიხო 1990 – Клавихо, Руи Гонсалес де, Дневник путешествия в Самарканд ко двору Тимура, (1403—1406), Москва, 1990. (Ruy Gonzales de Clavijo HISTORIA DEL GRAN TAMORLAN (1403 -1406) Sevilla, 1582).

საისტორიო ძიებანი 1973 – „განგებად მსოფლიოთა მღვდელთათჳს, თბილისი.

(აფხაზიშვილი სალომე, უცნობი ქართული ხელნაწერები ევროპის ბიბლიოთეკებში, გაზეთი „რეზონანსი“, თბილისი, 2011 წლის 14 ნოემბერი).

ციციშვილი, მეგრელიძე, ლოლაშვილი 1969 – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის შუა აზიაში სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში, ლიტერატურული ურთიერთობანი, ტ. 2, თბილისი.

პალიფონტიელი 1980 – Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа (1404 г.), из сочинения «Книга познания мира», Баку.

ინტერნეტრესურსი – <http://www.vostlit.info/Texts/rus5/Ulozenie/frametext1.htm>

წყაროები

ახალი ქართლის ცხოვრება 1959 – ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 2, თბილისი.

ბოროდინი 1955 – С. П. Бородин, Звёзды над Самаркандом, Москва.

IRINE CHACHANIDZE

Historical-ethnographic Data about the Existence of the Georgian Manuscripts in Samarkand

S u m m a r y

From the history of Georgia it is well-known that in 1386-1403 Tamerlan (from Samarkand) invaded Georgia eight times and economically ruined the country. As a result of these invasions he took great treasure with him. In 1882 a well-known cleric and scholar Dimitri Janashvili printed his letter "Historic Pictures" in the newspaper "Iveria". He wrote: "In 1865 an Armenian scholar, Khechatur Hovannesian saw many Georgian manuscript books collected in a tower in Samarkand that had been taken from Georgia by Tamerlan". In this regard, he offered the book "About Antiquities of Tbilisi" by Georgian historian Platon Ioseliani published in 1866 as a proof.

For the history of the question the paper will present and discuss the materials from 'Life of Kartli' and valuable information provided by a Georgian educator, encyclopedist Ioane Batonishvili (encyclopedic novel "Kalmasoba") and some other scholars.

In 1966, in accordance with the agreement of the Georgian government, Shota Rustaveli Institute of History of Georgian Literature at the Academy of Science of Georgia sent a scientific expedition led by G. Leonidze to Central Asia. The members of the expedition were doctors of philological sciences Giorgi Tsitsishvili, Ivane Megrelidze and Ivane Lolashvili. The expedition was not able to find the Georgian manuscripts but valuable and reliable facts indicated that the Georgian manuscripts and other treasure really existed in Central Asia, particularly in Samarkand.

Our main objective is to resume the said initiative and organize a complex expedition which will aim:

1. To find and study manuscript funds, iconographic and numismatic materials, epigraphic monuments and the materials about Georgian culture (first of all, Georgian manuscripts) preserved in Institutes of Manuscripts in Uzbekistan and in private collections.

2. To establish scientific contacts and informative-bibliographical type of relationships with scientific-research institutions and corresponding departments of the Universities in Uzbekistan; to meet scientists, public figures and private collectors and involve them in the search of Georgian materials.

მანანა ჩაჩანიძე

**დოკუმენტირება, როგორც ლექსიკოგრაფიული
პარამეტრი და აკაკის ფრაზა ქეგლში**

2015 წელი აკაკის საიუბილეო თარიღია; იუნესკოს ეგიდით აღინიშნა აკაკის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავი; ამ მოვლენას მრავალგვარი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში და არაერთი ღონისძიება მიემდგნა. ამ მიმართებით ჩვენ შევეცადეთ აკაკის ენის ლექსიკოგრაფიული რაკურსი წარმოგვეჩინა.

ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია დოკუმენტირებას ძირითად ლექსიკოგრაფიულ პარამეტრად მოიაზრებს. საგულისხმოა, რომ ე. წ. „პარამეტრთა თავისუფლების კანონი“ საკითხისადმი ამგვარ მიდგომას არ ზღუდავს (შდრ. ცენტრიდანული და ცენტრისკენული ტენდენციების არსებობა ენის ლექსიკოგრაფიულ პარამეტრიზაციაში – დაწვრ. იხ. ჩაჩანიძე 2002: 80-81).

ქეგლში ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია ცენტრისკენული ტენდენციისაა. ქეგლის წინასიტყვაობის თანახმად, ეს ლექსიკონი არის: სალიტერატურო ენის, განმარტებითი, ფილოლოგიური, ნორმატიული, დოკუმენტირებული ლექსიკონი.

ქეგლი პირველი ქართული ლექსიკონია, რომელშიც სისტემატური დოკუმენტაცია შევიდა. უდავოდ სისტემატური დოკუმენტირების ფაქტმა, ყველა ძირითად ლექსიკოგრაფიულ კოორდინატსა და პარამეტრთან ერთად, განაპირობა ქეგლის ბაზისური მნიშვნელობა მომდევნო პერიოდის ლექსიკოგრაფიული (და არა მხოლოდ) შრომებისათვის. არნ. ჩიქობავა ქეგლის წინასიტყვაობაში წერს: „თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენა დაფუძნებულია ილიას, აკაკისა და ვაჟას შემოქმედებაზე... თუ განმარტებითი ლექსიკონის დოკუმენტაციაში ყველაზე ხშირად ილიას, ვაჟასა და აკაკის ვიპოვით, ეს ბუნებრივად და კანონზომიერად უნდა ვცნოთ“ (ქეგლი 1950: 008). დოკუმენტირების საკითხი ასევე უმნიშვნელოვანესია ქეგლის ახალ რედაქციაში.

სისტემატური დოკუმენტირებისას ის ფაქტი, რომ მწერლის ენის ლექსიკონები დიფრენციული ტიპისაა ზოგადად და მით უმეტეს ქეგლში წარმოდგენილი „მწერლის ენის ლექსიკონები“, სწორედ იმ კანონზომიერების გამოვლენას ემსახურება, რასაც ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია წარმოაჩენს სალექსიკონო სტატიის ილუსტრაციათა ზონაში.

მაშასადამე, აკაკის ფრაზას განვიხილავთ, როგორც საილუსტრაციო ერთეულს და, როგორც ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის მტკიცებულებას, მაგრამ რატომ მაინცდამაინც აკაკის ფრაზა? სწორედ აკაკისავე ფრაზით რომ ვთქვათ: „აქ რაღაც განგების ნება არის“ (აკაკი 1958: 171).

ერთი მხრივ, თუკი „აკაკის ენის ლექსიკონს ქეგლში“ სავსებით კანონზომიერად, მეტ-ნაკლები თანასწორობით, სხვა მწერალთა ენის ლექსიკონებიც დაუდგება, მეორე მხრივ, აკაკის ფრაზა, როგორც ლექსიკოგარფიული პარამეტრიზაციის მტკიცებულება, სრულიად შეუდარებელია. ის, რომ მხოლოდ აკაკის ილუსტრაციებით დოკუმენტირდება ისეთი სიტყვები, როგორიცაა, მაგ.: აბზეკს, აბზეკინებს, აბოდებს, აელფერებს, აარსებს, აალიდინებს, ააჭყლოპინებს, ადარებს², ადიადებს (მნიშვ. 2), აეხსნება², აკაკანება, ამოდმორწმუნე, ამოდმორწმუნეობა, ამიერ, ამილახვრობა, ამოაღებს, ამობრწყინება, ამოიგლიჯება, ამოიჯინებს, ამოჟინება, ამოჟინებული, ამოსკუპება, ამოსრესა, ასაწაპნავი, აუგზნებს, აუკუდმართებს, აუჟღრტულდება, აქალაჩუნებს, ახეხინებს, აჩვევს (მნიშვ. 1), აჩვენებს², აჩვილებს, აჩქორთულებს, აცულებს, ამახებს, აწამებს², აწვება (მნიშვ. 2), აწინასწარმეტყველებს, აწუწკუნებს, აწყალებს (მნიშვ. 2), აწყენს², აჭიბაჭიობა, აჭიჭყინებს, აჭყავლებული, ახსნილო², ფრაზეოლოგიზმები: ◊ გვერდის ავლა, ◊ სულის ამოღება, ◊ ჭიანურს (ჭიანურივით) აუკიდებს, ◊ ცამდე (ცამდის) აყვანილი, ◊ თვალზე ცრემლი არ აშრება, ◊ თითით აჩვენებს, ◊ ბეჭედი ამევს, ◊ გვერდის ახვევა და სხვა, მიუთითებს პირველ რიგში მწერლის ენის ლექსიკონის დიფერენციულ ტიპურობას (მსგავსი ვითარება სხვა მწერლებთან და სხვა სიტყვებთანაც გვაქვს (რაოდენობრივი მაჩვენებელი აქ გადაწყვეტი ვერ იქნება) და ესეც ბუნებრივი და კანონზომიერი!), მეორე მხრივ კი, სათანადო სადოკუმენტაციო მასალის ნაკლებობით აიხსნება, რაც ქეგლის პირველი რედაქციის შემთხვევაში ნამდვილად აქტუალური იყო, ახალი რედაქციის შემთხვევაში კი ეს პრობლემა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.

აკაკის ლექსი „ქართული «ან-ბანი»“ (1875 წ.), ზემოთ ნახსენები განგების ნებით, ქართულ პოეზიაში იმითაც გამოირჩა, რომ იგი თითქმის სრულად (სათანადო ადგილას) შედის ქეგლის ორივე რედაქციაში. ამგვარი ლექსიკოგრაფიული ბრწყინვალება, ცხადია, ლექსის შინაარსმა და ესთეტიკურმა მხარემ განაპირობა. ეს ლექსი ნამდვილი ლინგვოკულტუროლოგიური ფენომენია! ასე იწყება ქეგლი: ა¹ 1. პირველი ასო ქართულ ანბანში, მისი სახელია ან-ი: ყმაწვილო, თუ გასურს გიყვარდეს შენი სამშობლო ძალიან, ჯერ წიგნი უნდა ისწავლო... პირველი ასო არის ა¹ნ¹ (აკაკი). და ასე აკაკის ფრაზით ანიდან ჰომედე (მხოლოდ ასოების ი¹ნ¹-ისა და რ¹ა¹ს გამოკლებით) სისტემატურად დოკუმენტირდება ქართული ანბანთრიგი:

ტ. 1.

- ა¹ 1. პირველი ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია ან-ი. ყმაწვილო, თუ გასურს გიყვარდეს შენი სამშობლო ძალიან, ჯერ წიგნი უნდა ისწავლო... პირველი ასო არის: ა¹ნ¹ (აკაკი).
- ბ 1. მეორე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია ბან-ი. თუ სწავლით თვით ვერ ამადლდი, მამულს ჩირქს ისე ვერ მოზან, ჩირქს მოდებულსა მტრისაგან,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ბ¹ან¹ (აკაკი).

ტ. 2.

- გ¹ 1. მესამე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია გან-ი. სამშობლო შვილსა ერთგულსა ითხოვს ყოველთვის, ყოველგან, და ნუ უმტყუნებ შენს მშობელს,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: გ¹ან¹ (აკაკი).

ტ. 3.

- დ¹ 1. მეოთხე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია დონ-ი. შენს ვალსა აასრულებდე ერთგულად, რაც-კი მოგანდონ! ნუ შეგაშინებს სიკვდილი,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: დ¹ონ¹! (აკაკი).
- ე¹ 1. მეხუთე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია ენ-ი. პირადის სარგებლობისა, იცოდე, ძებნას დაეხსენ! იყავ შენ მუშა ქვეყნისა,... მაგრამ იკითხე ჯერ ეს: ე¹ნ¹! (აკაკი).

ტ. 4.

- ვ¹ 1. მეექვსე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია ვინ-ი. თავგანწირულსა მუშაკსა ვერ შეაშინებს ვერავინ, ... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ვ¹ინ¹ (აკაკი).
- ზ 1. მეშვიდე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია ზენ-ი. ვით მაღლით ჩაგონებული, საქმეს რომ მისდგე, აღეზენ, რომ ნაშრომს დასდო ბეჭედი,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ზ¹ენ¹! (აკაკი).
- თ¹ 1. მერვე ასო თანამედროვე ქართულ ანბანში; მისი სახელია თან-ი. სხვებიცა შენის მიხედვით გამრავლდებიან თანდათან მამულის წყლულის მკურნალად,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: თ¹ან¹ (აკაკი).
- ი¹ მეცხრე ასო ქართულ ანბანში (მეათე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ინ-ი. ილუსტრაცია არა გვაქვს.
- ი² მსაზღვრელი ჩვენებითი ნაცვალსახელების ის, იგი, იმ – შეკვეცილი ფორმა. „სირცხვილს ნუ გვაჭმევ, გალახე ი თავგასული ბიჭიო!“ (აკაკი).
- კ¹ 1. მეათე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია კან-ი. წინ სწორედ წადი, რომ კვალი მრუდედ არ დარჩეს შენს უკან! ...მაშ გახდი ჯერ სწორმხედველი,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: კ¹ან¹! (აკაკი).
- ლ 1. მეთერთმეტე ასო ქართულ ანბანში (მეთორმეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ლას-ი. ეცადე სოფლის ბრუნვამა ეგ შენი გული არ მოკლას! ...გამაგრდი, როგორც სამსონი,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ლ¹ას¹ (აკაკი).

ტ. 5.

- მ¹ 1. მეთორმეტე ასო ქართულ ანბანში (მეცამეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია მან-ი.
რომ ვეღარ შეძლოს მტარვლობა სუსტის მჩაგვრელმა ძალამან, შეძარი სვეტი ბომონის,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: მ¹ან¹ (აკაკი).
- ნ¹ 1. მეცამეტე ასო ართულ ანბანში (მეთოთხმეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ნარ-ი.
ვით დიოგენი, კეთილ კაცს ეძებდე, გეპყრას ფანარი, რა ნახო, დაეძმობილე,... მაგრამ ისწავლე ჯერ ნ¹არი¹ (აკაკი).

ტ. 6.

- ო¹ 1. მეთოთხმეტე ასო ართულ ანბანში (მეთექვსმეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ონ-ი.
რომ შენით შენმა მოძმებმა ცოტა რამ შევბა იპოვონ; სხვას რაღას ეძებ ამ ქვეყნად,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ო¹ნ¹ (აკაკი).
- პ 1. მეთხუთმეტე ასო ქართულ ანბანში (მეჩვიდმეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია პარ-ი.
და მაშინ შენი სახელი იბრწყინებს ვითა ლამპარი, მარადის გაუქრობელი,... მაგრამ ისწავლე ჯერ პ¹არი¹ (აკაკი).
- ჟ 1. მეთექვსმეტე ასო ქართულ ანბანში (მეთვრამეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ჟან-ი.
ზღაპრად ხომ იცი, მტრის ღალატს არ შეუშინდა არც ბეჟან, თუ შეგხვდეს, ნურც შენ შეკრთები,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ჟ¹ან¹ (აკაკი).
- რ 1. მეჩვიდმეტე ასო ქართულ ანბანში (მეცხრამეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია რაე.
ილუსტრაცია არა გვაქვს.
- ს¹ 1. მეთვრამეტე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია სან-ი.
რა სჯობს, რომ შენსა ნაღვაწსა ჩანგზედ დამღერდეს მგოსანი და იმ ხმით ძგერდეს გულეები,... მაგრამ ისწავლე ჯერ: ს¹ანი¹ (აკაკი).
- ტ 1. მეცხრამეტე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია ტარ-ი.
ვისაც ეს წილად რგებია ბედისგან, ის არს ნეტარი, სახარბი, სამაგალითო,... მაგრამ ისწავლე ჯერ: ტ¹არი¹ (აკაკი).
- უ¹ 1. მეოცე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია უნ-ი.
და ვაი კაცსა ურგებსა, მას ბნელი ადევს უკუნი და წყევლა საშვილიშვილო,... მაგრამ ისწავლე ჯერ: უ¹ნი¹ (აკაკი).

ტ. 7.

- ფ 1. ოცდამეერთე ასო ქართულ ანბანში (ოცდამესამე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ფარ-ი.
მას ვეღარ იხსნის წყევისგან ვერცა დიპლომი, ვერც ფარი, ვერც მოჭედილი საყელო,... მაგრამ ისწავლე ჯერ: ფ¹არი¹ (აკაკი).

- ქ 1. ოცდამეორე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეოთხე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ქან-ი.
ხალხის მართალ განჩინებას, ხელს ვერ შეუშლის მანქანი,... მაგრამ ისწავლე ჯერ: ქ^{ან}ი¹ (აკაკი).
- ღ 1. ოცდამესამე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეხუთე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ღ-ანი.
ნუ დაივიწყებ ნურც იმას, რაც ზემოთ გითხარ მე წედან! თავიდან გაიმეორე,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ღ^{ან} (აკაკი).
- ყ 1. ოცდამეოთხე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეექვსე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ყარ-ი.
რაც წაიკითხე, იფიქრე, ბეჯითად გული მიაპყარ და მერე კიდევ განვაგრძოთ: შემდეგი ასო არის ყ^{არ} (აკაკი).
- შ 1. ოცდამეხუთე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეშვიდე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია შინ-ი.
თუ დაიღალე, მითხარი, ხვალემდე გაგიშვებ შენ შინ, და ხვალ რომ მოხვალ, შეიტყობ რომ ყარის შემდეგ არის: შ^{ინ} (აკაკი).
- ტ. 8.
- ჩ 1. ოცდამეექვსე ასო ართულ ანბანში (ოცდამერვე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ჩინ-ი.
რა ამდენს ასოს ისწავლი, მერე არ გინდა ჩიჩინი: შენ უჩემოდაც მიხვდები, თუ რა ასოა ის: ჩ^{ინი} (აკაკი).
- ც¹ 1. ოცდამეშვიდე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეცხრე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ცან-ი.
ხომ ხედავ, გაგიადვილდა, ჩინი უჩემოდ გამოსცან! თუ სცანი, კიდევ მოშორდი და გაიკვეთე ეხლა ც^{ან} (აკაკი).
- ძ 1. ოცდამერვე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეთათე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ძილ-ი.
შენს გაზრდას, თუ მოგეწყინოს ან მოგივიდეს აწ ძილი, კითხვა ხვალამდე გადავდოთ; მაშინ ვისწავლოთ ეს: ძ^{ილი} (აკაკი).
- წ 1. ოცდამეცხრე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეთერთმეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია წილ-ი.
...კითხვა ხვალამდე გადავდოთ,... მაგრამ არ გირჩევ, რადგანაც მცირელა დაგვრჩა ნაწილი ამ ჩვენის «ანა-ბანისა»... მაშ წაიკითხე აწ: წ^{ილი} (აკაკი).
- ჭ 1. ოცდამეთათე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეთორმეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ჭარ-ი.
გამოიფხიზლე, ადუღდი, გაცხარდი, როგორც მაჭარი, და უფრო მკვირცხლად ისწავლი, თუ რა ასოა ეს: ჭ^{არი} (აკაკი).

- ბ 1. ოცდამეთერთმეტე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეცამეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ხან-ი.
თუ დაიდალე, მითხარი, სჯობს შეისვენო ხანდახან, რომ მერე, შესვენებულზე, უფრო გამოსცნო შენ ეს: ხ¹ან¹ (აკაკი).
- ჯ 1. ოცდამეთორმეტე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეთხუთმეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ჯან-ი.
ხვალ ამოსაღებს დაიწყებ, რადგან გემატა დღეს ჯანი მთლად «ანა-ბანას» დასწავლით: მაგრამ, ოჰ, დაგვრჩა ეს ჯ¹ანი¹ (აკაკი).
- ჰ¹ 1. ოცდამეცამეტე (უკანასკნელი) ასო ქართულ ანბანში (ოცდამეთექვსმეტე – ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ჰაე.
და ვინც სულ არასა სწავლობს, მათ უნდა ვუთხრათ ხომ „ჰაი“, რადგანაც გამოუცნობი დარჩება იმათ ეს ჰ¹აე¹ (აკაკი).

ვფიქრობთ, ¹ინ¹-ისა და რ¹აე¹ს (პირველისა ნაწილობრივ და მეორისა სრულად) გამონაკლისობა ამ რიგიდან არაკანონზომიერია. ეს შემთხვევითი ხარვეზი ადვილად გამოსწორებადია სათანადო ფრაზებით იმავე ლექსიდან:

ი მიჰბადე იმას, ვისაცა თავს ედგა ეკლის გვირგვინი,... მაგრამ ისწავლე ჯერ: ი¹ნი¹ (აკაკი).

რ ჭირში და ლხინში ყოველთვის შენს მომძებზედ იფიქრე, რომ არ გიკვირდეს არც ერთი,... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: რ¹აე¹! (აკაკი).

ამგვარად, აკაკის ფრაზის მაგალითზე, ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა დოკუმენტირების, როგორც ფაქტის ღირებულება, ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციისას საერთოდ, და კონკრეტულად არნ. ჩიქობავას ლექსიკოგრაფიულ კონცეფციაში.

ლიტერატურა

ჩაჩანიძე 2002 – მ. ჩაჩანიძე, ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჩაჩანიძე 2015 – მ. ჩაჩანიძე, აკაკის ფრაზა ქეგლში, როგორც ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის მტკიცებულება. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 74-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

აკაკი 1950-1963 – ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტდ ტომად, თბილისი.

ქეგლი 1950-1965 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. 1-8, თბილისი.

ქეგლი 2007-2015 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ახალი რედაქცია), ტ. 1-3, თბილისი.

MANANA CHACHANIDZE

**Documenting as a Lexicographic Parameter
and a Phrase by Akaki in GED**

S u m m a r y

The lexicographic parameterization of a language considers documenting as a basic lexicographic parameter. GED is the first Georgian dictionary that includes systematic documentation. Based on a phrase by Akaki Tsereteli the paper presents documenting as the value of a fact in the lexicographic parameterization of a language in general and specifically in the lexicographic concept of Arn. Chikobava.

ჰარუნ ჩიმქე

**ნატვრა-სურვილისა და პირობითობის გადმოცემა
ქართულსა და თურქულში***

განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენებთან ქართული ენის შედარება სხვადასხვა სირთულით წარმოგვიდგება. ეს ეხება კილოს კატეგორიის გადმოცემასაც. შეიძლება ითქვას, რომ ენებს შორის გრამატიკული თუ სტილისტიკური განსხვავებები, რომლებიც კილოსთან დაკავშირებით ხშირად იჩენს თავს, მეტწილად ქართული ზმნის თავისებურებების შედეგია.

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, მორფოლოგიური კატეგორიაა კილო თუ სემანტიკური. იმდენად, რამდენადაც ქართულში კილო, დროის კატეგორიის მსგავსად, არ არის მარკირებული, უფრო მისაღებია შეხედულება კილოს სემანტიკურ კატეგორიად მიჩნევის შესახებ. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, სემანტიკური კატეგორიები, ჩვეულებრივ, გამოიხატება სპეციალური მორფოლოგიური საშუალებებით, მაგრამ შეიძლება გამოიხატოს არამორფოლოგიურად, ე.ი. აღწერითად, ლექსიკურად ან კონტექსტით... (ჯორბენაძე 1986: 134-136).

კილო ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა, თუმცა კილოთა რაოდენობა განსხვავებულია ყველა ენაში და, მათ შორის, ქართულსა და თურქულშიც.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა კილოს რაოდენობასთან დაკავშირებითაც: არნ. ჩიქობავას აზრით, კილო ქართულში ოთხია: თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი და პირობითი (ჩიქობავა 1967: 48). უფრო ადრინდელ შრომაში მეცნიერი ასახელებს ხუთ კილოს: თხრობითი, ბრძანებითი, პირობითი, ნატვრითი და კავშირებითი (ჩიქობავა 1952: 276).

აკ. შანიძის აზრით, ქართულში კილო სამია: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აკ. შანიძე „ქართული ენის საფუძვლებში“ განიხილავს თხოვნით კილოსაც. მას მიაჩნია, რომ აღნიშნული კილო მთის დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი. იმავე ნაშრომში, გარდა თხოვნითი კილოსა, ავტორს გამოყოფილი აქვს პირობითი და შედეგობითი კილოებიც (შანიძე 1973: 206-209).

გ. გოგოლაშვილი კილოს რაოდენობის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მხოლოდ წარმოდგენილი თვალსაზრისების გაცნობაც საკმარისია,

* ასისტ. პროფ. ჰარუნ ჩიმქე, რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

რომ გაკეთდეს დასკვნა, რამდენად რთულია და საკამათო კილოს კატეგორია. აზრთა სხვადასხვაობა კილოს კატეგორიაში შემავალ ერთეულთა შესახებ პრაქტიკული გრამატიკებიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება“ (გოგოლაშვილი 1998: 70-71). მეცნიერს გაერთიანებული აქვს სხვადასხვა ავტორის მიხედვით კილოთა რაოდენობა და გამოყოფს ათ კილოს. ესენია: 1. თხრობითი, 2. კავშირებითი, 3. ბრძანებითი, 4. თხოვნითი, 5. აკრძალვითი, 6. პირობითი, 7. შედეგობითი, 8. ნატვრითი, 9. რეალური და 10. ირეალური (იქვე: 116).

ქართულთან შედარებით თურქულში კილო გამოკვეთილი მორფოლოგიური კატეგორიაა, ყველა კილოს თავ-თავისი ნიშანი აქვს. კილოთა რაოდენობაც დაზუსტებულია, არ არის სადავო. სალიტერატურო თურქულში გამოიყოფა ხუთი კილო: თხრობითი, პირობით-სურვილობითი, ბრძანებითი, ნატვრითი, აუცილებლობითი. თურქულ გრამატიკებში თხრობითი კილო, იგივე „გადმოცემითი“, განიხილება ცალკე, რადგან მხოლოდ ამ კილოს საშუალებით გადმოიცემა თურქულში ძირითადი დროები, დანარჩენი ოთხი კილო კი გაერთიანებულია ერთ ჯგუფში, რომელსაც „წარმოსახვითს“ უწოდებენ. ნატვრითი და პირობით-სურვილობითი (მოკლედ „პირობითი კილო“) დამოუკიდებელი კილოებია (ბრძანებითისა და აუცილებლობითის მსგავსად). ნატვრითი კილო გამოხატავს მოქმედების შესრულების სურვილს, ნატვრას, პირობით-სურვილობითი კი – ძირითადად მოქმედების პირობითობას, აგრეთვე სურვილს.

თურქულში პირობით-სურვილობითის ნიშანია **-sa / -se**. მაგალითები:

ა) წინადადებაში გამოხატულია სურვილის სემანტიკა:

წინადადებაში *Keşke bugün dedem gelse* – ნეტავ დღეს ბაბუაჩემი მოვიდეს... პირობით-სურვილობითის ნიშანი **-se** გამოხატავს სურვილს, **Keşke**, რომლის ქართული შესატყვისია **ნეტავ**. იგი აძლიერებს სურვილს.

სქემაზე წარმოდგენილია წინადადებაში გამოყენებული ზმნის სხვადასხვა პირის ფორმა:

Gelmek - მოსვლა			
Ben	gel- se -m	მე	რომ მოვიდე / მოვდიოდე, ნეტავ მოვიდე / მოვდიოდე
Sen	gel- se -n	შენ	რომ მოხვიდე / მოდიოდე, ნეტავ მოხვიდე / მოდიოდე
O	gel- se	ის	რომ მოვიდეს / მოდიოდეს, ნეტავ მოვიდეს / მოდიოდეს
Biz	gel- se -k	ჩვენ	რომ მოვიდეთ / მოვდიოდეთ, ნეტავ მოვიდეთ / მოვდიოდეთ
Siz	gel- se -niz	თქვენ	რომ მოხვიდეთ / მოდიოდეთ, ნეტავ მოხვიდეთ / მოდიოდეთ
Onlar	gel- se -ler	ისინი	რომ მოვიდნენ / მოდიოდნენ, ნეტავ მოვიდნენ / მოდიოდნენ

ბ) წინადადებაში გამოხატულია პირობის სემანტიკა:

წინადადებაში – *Ödevimi akşama bitirirsem yarın sinemaya gidebilirim* – თუ დავალეხას საღამოს დავამთავრებ, ხვალ კინოში შეიძლება წავიდე... -**se** გამოხატავს პირობას.

სქემაზე წარმოდგენილია წინადადებაში გამოყენებული ზმნის სხვადასხვა პირის ფორმა:

Bitirmek - დამთავრება			
Ben	Bitir-ir- se -m	მე	თუ დავამთავრებ
Sen	Bitir-ir- se -n	შენ	თუ დაამთავრებ
O	Bitir-ir- se	ის	თუ დაამთავრებს
Biz	Bitir-ir- se -k	ჩვენ	თუ დავამთავრებთ
Siz	Bitir-ir- se -niz	თქვენ	თუ დაამთავრებთ
Onlar	Bitir-ir- se -ler	ისინი	თუ დაამთავრებენ

სათანადო სემანტიკის გადმოსაცემად ქართულში პირობით-შედეგობითობის გამომხატველი რთული ქვეწყობილი წინადადება გამოიყენება. ამასთან დაკავშირებით აკ. შანიძე მიუთითებს, რომ „ეს კილოები უერთმანეთოდ არ გვხვდება, არამედ მუდამ ერთად, მაგრამ რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში. ამათ გადმოსაცემად ორი ზმნაა საჭირო, რომელთაგანაც ერთი აღნიშნავს მოქმედებას, როგორც პირობას, მეორე კი ამ პირობიდან გამომდინარე შედეგს სხვა მოქმედების სახით“. მაგალითად, „ნახა ჩემმა ყურშამ, რომ ტაილუნა აღარ ხუმრობდა, ეძგერა, წააქცია და, **მე რომ არ მივშველებოდი, სულ ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდა**“ (შანიძე 1973: 209); ლ. კვაჭაძესაც მიაჩნია, რომ ამ ორი კილოს (პირობითისა და შედეგობითის) გაგება თხრობითის ფორმას კონტექსტში ეძლევა (კვაჭაძე 1981: 238).

თურქი მეცნიერი ზეინებ ქორქმაზი თავის ნაშრომში ეხება პირობით-სურვილობითი კილოს სემანტიკურ მხარესაც:

ა) პირობითი:

1. პირობითობის ნიშანი **-sa / -se** კითხვით ნაცვალსახელებთან (Kim? – ვინ? Ne? – რა? Hangi? – რომელი? Nerede? / Nereye? – სად? და Nasıl? – როგორ?) ერთად ქმნის პირობით წინადადებას. მაგალითად, *Nereye gitsek, neye baksak, ne yap-sak* gönlümüz yaşlı, gözlerimiz yaşlıdır – **სადაც არ უნდა წავიდეო, რასაც არ უნდა ვუყუროთ, რაც არ უნდა გავაკეთოთ, გული მაინც დარდიანი, თვალები ცრემლიანი გვექნება.**

2. თურქულის პირობითი კილო ზოგ შემთხვევაში შეიცავს **მიუხედავად იმისა, რომ, რომც და თუნდაც** კავშირების გაგებას. მაგალითად, *Kendi gözlerimle görsem dahi inanmam!* – **საკუთარი თვალებითაც რომ ვუყურებდე, მაინც ვერ დავიჯერებ;**

3. პირობითი კილო ზოგჯერ ყოყმანს, ვარაუდს, არჩევანს ან საექვო სიტუაციას გამოხატავს. მაგალითად, *Uzun mu desem? kısa mı desem?* – **მაღალი ვთქვა? დაბალი ვთქვა?** – ეს არის პირდაპირი თარგმანი. უნდა ითარგმნოს ასე: **მაღალია თუ დაბალი, რომელი ვთქვა?**

4. პირობითი კილო ზოგჯერ კითხვითნაცვალსახელიან წინადადებაში ზმნის მხოლობითი რიცხვის III პირში გამოხატავს გაკვირვებასა და მოულოდნელობას: *Kapıyı açtım karşıma kim çıksa dersin?* – *კარი რომ გავაღე, ვინ შემხვდა, თუ მიხვდები?*

5. პირობითი კილო ზოგიერთ შორისდებულთან ერთად მუქარის გაგებას შეიცავს. მაგალითად, *Gözümün içine şöyle bir baksa da ona nasıl kızgın olduğumu bir anlarsa bari* – *ერთი შემომხედოს თვალებში, მაშინ გაიგებს მასზე როგორ ვარ გაბრაზებული!*

6. პირობითი კილო დროის ფორმებთან ერთად **რომ**, **როცა** კავშირების ფუნქციას ასრულებს: *Ne zaman bize gelse oturup eski günleri anarız* – *როცა ჩვენთან მოდის, ძველ დროს ვიხსენებთ ხოლმე* (*Ne zaman bize gelse...* – *რა დროს ჩვენთან მოდის...* (ქორქმაზი 2010: 683-690).

ბ) სურვილობითი:

1. პირობითი კილოს ნიშანი **-sa** / **-se** ზოგ შემთხვევაში კონტექსტის მიხედვით გამოხატავს სურვილს. მაგალითად, *Keşke param olsa da fakirlere yardım edebilsem* – *ნეტავ, ფული მქონდეს და ღარიბებს ვეხმარებოდე.*

ზ. ქორქმაზის მიერ მოცემულ თურქულ წინადადებასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ, რადგან აქ პირობითიკილოიანი ზმნა პირობაზე მეტად სურვილს გამოხატავს, ამიტომ ამ შინაარსის მქონე ზმნური ფორმების ქართულად თარგმნისას პირობითისგან განსხვავებით **თუ** და **რომ** კავშირებიანი კონსტრუქციები არ გამოიყენება;

2. **-sa** / **-se** ნიშნის მქონე პირობითიკილოიანი წინადადებაში ზოგჯერ სურვილზე მეტად ბრძანებითის შინაარსია მოცემული. მაგალითად, *Otursana şöyle!* – *ასე დაჯექი, რა!*

ასეთ შემთხვევაში, წინადადების შინაარსიდან გამომდინარე, ქართულად თარგმნის დროს ვიყენებთ ბრძანებითის ფორმებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების მიხედვით, ქართულში პირობითი კილოს თავისი შინაარსის გადმოსაცემად საკუთარი ფორმები არ გააჩნია და პირობითობა ირეალური კილოს ერთ-ერთი მოდალური ნიუანსია. პირობითი კილო ქართულში გადმოიცემა თხრობითი კილოს ნაკვთაა მონაწილეობით, იშვიათად – II კავშირებითით. ირეალური პირობითობის გამოხატვისას დამოუკიდებელ წინადადებაში კავშირებითის ან **თუ** ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ნაკვთები გვაქვს (ქართული ენა – ენციკლოპედია 2008: 275).

მიჩნეულია, რომ შინაარსით კავშირებითი კილო გამოხატავს ირეალურ მოქმედებას და წარმოგვიდგენს მას, როგორც შესაძლებელს, სავარაუდოს, სასურველს და ა.შ. შესაბამისი მოდალური შინაარსის გამოსახატავად გამოყენებულია საკუთარი კავშირებითი კილოს ფორმები როგორც დამოუკიდებლად, ისე კავშირებთან, მოდალურ ზმნებთან და ნაწილაკებთან ერთად. მოდალური შინაარსის გადმოცემისას აღსანიშნავია კონტექსტის როლიც.

ქართული ენის შემსწავლელებისა და მთარგმნელებისათვის II კავშირებითის გაგებას კიდევ ერთი პრობლემა ახლავს: II კავშირებითის იწარმოება ბრძანებითი და ნატვრითი კილოები. მაგალითად: *ხვალ გიორგი მოვიდეს!* *ხვალ გიორგი აუცილებლად უნდა მოვიდეს!* შდრ., *ნეტავ, ხვალ გიორგი მოვი-*

დეს! აღნიშნული პრობლემის თავიდან ასაცილებლად ენის შემსწავლელი თუ მთარგმნელი უნდა დააკვირდეს კონტექსტს. როგორც ასმათ პაპიძე წერს აღნიშნულთან დაკავშირებით, II კავშირებითის ფორმით გადმოცემული ზმნეზის მქონე კონსტრუქციათა ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თანამედროვე ქართულში ირეალობის სხვადასხვა მოდალობის გადმოსაცემად ძირითადი და განმსაზღვრელია წინადადებათა კონსტრუქცია (პაპიძე 1983: 16).

პირობითი კილოს სემანტიკის შემცველ ქართულ კონსტრუქციასთან დაკავშირებით საინტერესოა იაპონელი ქართველოლოგის იასუჰირო კოჯიმას მოსაზრება: ქართულში ორი კავშირია – **რომ** და **თუ**, რომლებიც პირობით დამოკიდებულ წინადადებას ქმნიან. **რომ** კავშირიან პირობით წინადადებაში შემასმენელი (ზმნა) კავშირებით კილოში დგას. იგი კავშირებითის მაგივრად თხრობით კილოში რომ ჩავსვათ, პირობითის ნაცვლად დროის დამოკიდებულ წინადადებას მივიღებთ: *ეს რომ ჩემი სახლი იყოს, არავის შემოვუშვებდი* (ჭილაძე) [რომ + კავშირებითი]. შდრ., *ჭიშკართან რომ მივიდა, ისევ შემობრუნდა* (დუმბაძე) [რომ + თხრობითი];

თუ კავშირიან პირობით დამოკიდებულ წინადადებაში კი ზმნა შეიძლება იყოს როგორც თხრობით კილოში, ისე კავშირებითში: ა) *თუ არ გამოხვალ, მილიციას მოვიყვან!* (ჩოხელი) [თუ + თხრობითი]; ბ) *ღვინო თუ დაგჭირდეს, არ მომერიდო!* (დუმბაძე) [თუ + კავშირებითი] (ი ა ს უ ჰ ი რ ო კ ო ჯ ი მ ა : <http://kartvelologi.tsu.ge/index.php/ge/journal/inner/20>).

თურქულში ნატვრითი კილოს ნიშანია **-a / -e**. მაგალითად, *Çok yorgunum, biraz dinleneyim – ძალიან დაღლილი ვარ, ცოტახანს დავისვენო*.

Dinlenmek – დასვენება			
Ben	Dinlen- e -y-im	მე	დავისვენო
Sen	Dinlen- e -sin	შენ	დაისვენო
O	Dinlen- e	მან	დაისვენოს
Biz	Dinlen- e -l-im	ჩვენ	დავისვენოთ
Siz	Dinlen- e -siniz	თქვენ	დაისვენოთ
Onlar	Dinlen- e -ler	მათ	დაისვენონ

თურქულში ნატვრითი კილო ფუნქციურად მრავალფეროვანია. ზ. ქორქმაზს თავის ნაშრომში, ძირითადი ფუნქციების გარდა, ჩამოთვლილი აქვს დამატებითი სემანტიკური ნიაუნებიც:

1. მეორე და მესამე პირებში ჩასმული ნატვრითი კილოს ფორმები, ნატვრის სემანტიკის გარდა, ბრძანებისა და გაფრთხილების შინაარსის მატარებელიც არის. მაგალითად, *Alışverişte fazla oyalanıp da treni kaçırmayasın! – საყიდლებზე ისე არ დაგემართოს, რომ მატარებელს ჩამორჩე!*
2. ნატვრითი კილო ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებლობის შინაარსს გადმოსცემს. მაგალითად, *Öyleyse ne yapalım? – მაშინ რა გავაკეთოთ?*
3. ზოგჯერ კი შესაძლებლობას გამოხატავს. მაგალითად, *Akil olmayınca ne yapsın! – ჭკუა თუ არ ექნება, რა ქნას?*

4. მესამე პირში ჩასმული ნატვრითი კილო ზოგჯერ გამოხატავს უდარდებლობის, გამოუვალი მდგომარეობის მიღების შინაარსს. მაგალითად, *Ne olursa olsun, hayat güzeldi* – რაც არ უნდა ყოფილიყო, ცხოვრება მაინც კარგი იყო.

5. ზოგჯერ კი **ლამის** და **კინალამ** ნაწილაკების შინაარსით გამოიყენება. მაგალითად, *Az kalsın düşecektim* – კინალამ დავეცი...

6. ნატვრითი კილო გაკვირვების, დაინტერესების, გამოუვალი მდგომარეობის, თხოვნის, ვარაუდის, მოულოდნელობის გამომხატველიც არის. მაგალითად, *Bir yanlışlık olmasın!* – რაიმე შეცდომა არ იყოს!

7. III პირში ჩასმული ზმნის ფორმები კარგ და ცუდ სურვილებს გამოხატავს. მაგალითად, *Kolay gelsin!* – ღმერთმა ხელი მოვიმართოს! (პირდაპირი თარგმანია – ადვილი იყოს!), *Bereket versin!* – ღმერთმა ბარაქა მოგცეს!.. (Korkmazi 2010: 653-665)

მიუხედავად იმისა, რომ კილოს თურქულში, საერთოდ, დროის გაგება არა აქვს, ნატვრით კილოს მაინც უმეტეს შემთხვევაში მომავალ დროს უკავშირებენ (Benzer 2008: 87). ნატვრითკილოიანი ფორმების ქართულად თარგმნისას თურქული ენის შემსწავლელი ქართველებიც ხშირად ქართულის მომავალ დროს მიმართავენ ხოლმე. მაგალითად, *Yarın biraz ders çalışayım, önümüzdeki günlerde sınavlar başlayacak* – ხვალ ცოტა ვიმეცადინო, რადგან მომდევნო დღეებში გამოცდები გვეწყება. აღნიშნულ წინადადებას ქართველი ასე იტყოდა: ხვალ ცოტას ვიმეცადინებ, რადგან მომდევნო დღეებში გამოცდები გვეწყება.

გამოიყოფა სხვა დამატებითი სემანტიკური ნიუანსებიც, კერძოდ, ისეთები, როგორებიცაა: თხოვნა, ვარაუდი, დათანხმება, გალანძღვა და ქება.

თურქულში ძირითადად გამოიყენება ნატვრითი კილოს მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის პირველი პირები. მაგალითად, *Size bir gerçeği daha anlatayım* – თქვენ ერთი სიმართლე კიდევ გითხრათ, *Hadi bir şeyler yapalım* – მოდით რაღაცა გავაკეთოთ! *Çay söyleyelim mi?* – ჩაი ხომ არ შევუკვეთოთ? (Korkmaz 2010: 653).

თურქული ენით დაინტერესებული პირები თურქული ნატვრითი კილოს ქართულად გამოხატვისას უნდა დააკვირდნენ მის სემანტიკას, კერძოდ, იმას, თუ რას გამოხატავს ზმნა, მომავალში განსახორციელებელ მოქმედებას თუ უზნობის მომენტს. თუ მომავალში განსახორციელებელი მოქმედება იგულისხმება, მაშინ უნდა მიმართონ მყოფად (მომავალი დროის ფორმას), ხოლო, თუ თქმის მომენტი უნდა გამოიხატოს, მაშინ უნდა მიმართონ II კავშირებითის ფორმებს. მაგალითად: *Bana inanmıyorsan, mektubu gösteriyim* – ჩემი თუ არ გჯერა, წერილს გაჩვენებ (სიტყვა-სიტყვით თურქულად ითარგმნება ასე: ჩემი თუ არ გჯერა, წერილი გაჩვენო!). შდრ., *Şimdi mi yapıyorum yoksa sonra mı?* – ახლა გავაკეთო თუ მერე?

ნატვრითი კილოს შესახებ მიუთითებენ, რომ იგი აღნიშნავს სასურველ მოქმედებას. ძველი გრამატიკოსები მას ცალკე კილოურ ფორმად გამოყოფდნენ და ნატვრითთან ერთად მას **საწადისს**, **სანეტარძოს** და **თულობისაც** უწოდებდნენ. სალიტერატურო ქართულში ნატვრით კილოს თავისი შინაარ-

სის გადმოსაცემად საკუთარი ფორმები არ გააჩნია და ნატვრითობა კავშირებითი კილოს ერთ-ერთი მოდალური ნიუანსია. ნატვრითი კილო ძირითადად გადმოიცემა კავშირებითის ნაკვებით, რომლებთანაც ხშირად იხმარება **ნეტავ, ვინბლო, იქნებ, ეგებ...** ნაწილაკები (ქართული ენა – ენციკლოპედია 2008: 275).

მართალია, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ნატვრით და პირობითი კილოებს არ მიიჩნევენ დამოუკიდებელ კილოებად, მაგრამ თურქული ენის ნატვრითი და პირობითი კილოებიანი ფორმების გადმოსაცემად ქართულ ენაში გამოიყენება კავშირებითი კილოს სხვადასხვა ფორმა (აწმყოს კავშირებითის, II კავშირებითისა და III კავშირებითის ფორმები), აგრეთვე **თუ, რომ** კავშირიანი და **ნეტავ** ნაწილაკიანი კონსტრუქციები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველთვის ასე არ ხდება: თურქულის პირობით-სურვილობითი კილო ქართულად თარგმნის დროს ყოველთვის **თუ** და **რომ** კავშირებით არ გადმოიცემა. მაგალითად, თურქული წინადადების – *Çok acıktım, biraz yemek yiyeyim* – პირდაპირ თარგმანს ქართულ ენაზე ასეთი სახე ექნება: *ძალიან მომშივდა, ცოტა საჭმელი ვჭამო...* ამ შემთხვევაში თურქული ნატვრითი კილოს მქონე ზმნა ქართულად გადმოცემულია II კავშირებითის ფორმით.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულში ნატვრა-სურვილისა და პირობითის სემანტიკა გრამატიკულად არ არის გაფორმებული, ისინი კონტექტის მიხედვით, შინაარსობრივად მაინც გვხვდება თურქულის მსგავსად. სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც აღნიშნავენ, რომ კილოური მნიშვნელობის გამოვლენას კონტექსტი შეაპირობებს (გოგოლაშვილი 2010: 118-119).

ქართულ-თურქული მასალის შედარებითი ანალიზის შედეგად კარგად ჩანს სტრუქტურულად განსხვავებულ ორ ენას შორის ნატვრა-სურვილისა და პირობითობის სემანტიკის გამოხატვაში არსებული როგორც საერთო, ისე განსხვავებული მხარეები. მსგავსება და განსხვავება ეხება სემანტიკური, გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების შესაბამისობას.

ლიტერატურა

პაპიძე 1983 – ა. პაპიძე, *მყოფადის კავშირებითის ნაკვთისათვის ქართულში*, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წგ. V, თბილისი.

ჩიქობავა 1967 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენა, ხალხთა ენები, სსრკ, ტ. IV, მოსკოვი.

გოგოლაშვილი 1988 – გ. გოგოლაშვილი, ქართულის ზმნის უღლების სისტემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

გოგოლაშვილი 2010 – გ. გოგოლაშვილი, გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, გამომ. „მერიდიანი“, თბილისი.

კოჯიმა – იასუჰირო კოჯიმა, ერთი ტიპის კავშირებითი პირობითი წინადადებისთვის ქართულში, <http://kartvelologi.tsu.ge/index.php/ge/journal/inner/20>

კვაჭაძე 1981 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I., თბილისი.

ქობალავა 2008 – ი. ქობალავა, (ქართული ენა – ენციკლოპედია: გამოცელობა „ანატოლო რონდოვი“, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I მო-
რფოლოგია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩიქობავა 1952 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ჯორბენაძე 1986 – არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნა, თბილისი.

ბენზერი 2008 – Ahmet Benzer. Doktora Tezi: Fiilde Zaman Görünüş Kip Ve
Kiplik İstanbul, Marmara Üniversitesi Eğitim Bilimleri Enstitüsü, Türkçe Eğitimi
Ana Bilim Dalı, Türkçe Öğretmenliği Bilim Dalı

ქორქმაზი 2009 – Zeynep Korkmaz (2009): Türkiye Türkçesi Grameri Şekil
Bilgisi, Türk Dili Kurumu Yayınları, Ankara.

HARUN CHIMKE

Expressing Optative and Conditional Moods in Georgian and Turkish Languages

S u m m a r y

There are some difficulties in comparing Georgian with the languages of different structures. The same is relevant regarding the expression of the mood category as well.

The category of mood is one of the most important categories of the verb in general. However, the number of moods differs from language to language, including Georgian and Turkish. According to the traditionally accepted view there are three basic moods in modern literary Georgian (indicative mood, conjunctive mood and imperative mood) and five moods in Turkish (indicative, optative, imperative, conditional and necessity moods). There exist different opinions regarding the number of grammatical moods in the Georgian language. Some scientists consider optative and conditional moods as separate moods.

We regard examining Georgian-Turkish linguistic data in connection with the mood category as being interesting. This time we will examine semantics of expressing optative and conditional moods in both languages.

In the literary Turkish language indicative mood is regarded as separate from other four types of mood. Conditional and optative moods are independent moods. Optative mood expresses the intention of conducting a particular action while conditional-optative mood basically expresses the conditionality as well as the intentionality of a particular action. In both languages indicative mood is expressed by the tense forms of a verb. As for the rest moods, each mood in Turkish has its original marker: conditional-optative **-sa / -se**. For example: *Ke ke bugün dedem gelse* (If my grandpa comes today). In this sentence **-se** expresses conditionality and intentionality but in the sentence *Ödevimi ak ama bitirirsem yarın sinemaya gidebilirim* (If I finish my homework till evening I may go to the cinema tomorrow) **-se** expresses a condition. The

marker of optative mood is **-a / -e**. For example: Çok yorgunum, biraz dinleneyim (I am very tired. I'll get some rest).

Conditional and optative moods are not regarded as independent moods in Georgian. In order to express the Turkish conditional and optative moods in Georgian, different forms of conjunctive mood are used (the forms of present conjunctive, conjunctive II and conjunctive III) as well as the connectors **tu** and **rom** (if). For instance, the sentence *Eğer bir şeyler yapıyorsam, hepimiz için yapıyorum!* (If I am doing something, I am doing it for every one of us!) will be translated into Georgian as follows *tu raimes vaqeteb, čveni sakmistvis vaqeteb!* In this sentence, in contrast to the first sentence, intentionality is more explicit than conditionality. The marker **-se** is used as a marker of conditional mood.

The areal of expressing Turkish conjunctive II is wider than conjunctive I and II. While expressing the said mood in Turkish the semantics of optative, necessity and imperative moods is expressed as well. For example, the Turkish sentence *Çok acıktım biraz yemek yiyeyim* (I am very hungry. I have to eat some food) will be translated into Georgian as follows *zalian momsivda, çoğa saçmeli unda včamo*. In this case the Turkish verb of optative mood is expressed by the form of Georgian conjunctive II.

After the analysis of the forms of Georgian-Turkish verb moods the differences as well as the similarities between these two languages are clearly seen. The differences and the similarities are seen in the relevancy of the means in the semantic, grammatical and lexical fields.

ნინო ციხიშვილი

**გარდაუვალ ზმნათა წყვეტილის მესამე სუბიექტური პირის
მრავლობითობის აღნიშვნა საშუალო ქართულში**

ქართული ზმნის უღლების სისტემაში მესამე სუბიექტური პირი ქრონოლოგიურად ახალ ოდენობადაა მიჩნეული პირველ და მეორე სუბიექტურ პირებთან შედარებით. ამიტომაც მისი მორფოლოგიური გამოხატვა განსხვავებულია. ეს სხვაობა რამდენიმე ასპექტში ვლინდება: ა) მესამე სუბიექტური პირის აღმნიშვნელი ფორმანტი ბოლოში ერთვის ზმნის ფუძეს, სუფიქსია, მაშინ, როცა პირველ-მეორე პირებში აღნიშნული ფუნქციის მქონე აფიქსი წინ მიერთვის ფუძეს, პრეფიქსია; ბ) პირველსა და მეორე სუბიექტურ პირებს თითო აღმნიშვნელი მოეპოვება, მესამე პირს კი – ერთდროულად რამდენიმე; ამას ემატება ისიც, რომ სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი ბოლოსართები ერთდროულად პირსაც გამოხატავენ და რიცხვსაც, მაშინ, როცა დანარჩენ აფიქსებს მხოლოდ პირის აღნიშვნა ევალება. ეს ვითარება ეწინააღმდეგება ქართული ენისათვის დამახასიათებელ აგლუტინაციის პრინციპს, რაც თითქოს სარწმუნოს ხდის გამოთქმულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ მესამე სუბიექტური პირი შედარებით მოგვიანო ფორმაციისა.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნები ზმნას მარტოოდენ მხოლობითში აქვს, მრავლობითში კი – არა. ამ თვალსაზრისის ავტორი არნ. ჩიქობავაა. მეცნიერის აზრით, მესამე სუბიექტური პირის ნიშანი საერთო ქართველურ ფუძე-ენას არ ჰქონია არც მხოლობითში, არც მრავლობითში. სვანური შერჩა ამ საფეხურს, ქართულმა კი მესამე სუბიექტის ნიშანი მიიღო მხ. რიცხვში, მაგრამ არ მოუხდენია არავითარი ცვლილება მრავლობითში. მრავლობითის ნიშანი აქ უკვე იყო. მკვლევარი მრ. რიცხვში სუბიექტის მესამე პირის ნიშნებს მხოლოდ სიმრავლის აღმნიშვნელ ფორმანტებად მიიჩნევს და ამბობს: „მრავლობითის სუფიქსების დამკვიდრება ზმნაში წინ უსწრებს მესამე პირის სუფიქსის გამოყენებას (მხოლობითში), მესამე პირის სუფიქსი ზმნაში შედარებით ყველაზე ახალი ფორმაციისა. მას წინ უსწრებს არა თუ სხვა პირთა ჩამოყალიბება, არამედ მრავლობითის გაფორმებაც“ (ჩიქობავა 1940: 16). არნ. ჩიქობავა მესამე სუბიექტური პირის სუფიქსით აღნიშვნის შესახებ ამბობს: მიზეზი ამგვარი ცვლილებისა სათანადო ენობრივი კოლექტივის სამეტყველო ფსიქიკაში მომხდარი დიდი გარდატეხაა, რამაც პრეფიქსული წყობის ენა სუფიქსაციის გზაზე დააყენა, ქართულში ეს გარდატეხა ისეთ ენებთან შეხვედრამ განაპირობა, რომლებიც სუფიქსაციით ხასიათ-

დებიან, ეს კი ურალ-ალტაური ან ინდოევროპული ენები უნდა ყოფილიყო (ჩიქობავა 1940: 16).

წყვეტილს მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის გადმოსაცემად ძველ ქართულში მოეპოვება **-ეს** სუფიქსი და იშვიათი ხმარების **-ედ** ბოლოსართი. **-ეს** იხმარებოდა წყვეტილში როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. შემდეგში **-ეს** სუფიქსი შერჩა გარდამავალ ზმნებს, ხოლო გარდაუვლებში იგი **-ენ** ფორმანტმა შეცვალა.

ე. ნიკოლაიშვილმა **-ეს** სუფიქსის ევოლუციის კვლევისას დაადგინა, რომ ამგვარი ცვლილება პირველად „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში დაფიქსირდა, თუმცა, იმ დროის ცოცხალ მეტყველებაში ასეთი ფორმები ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო გაბატონებული. მკვლევარი ვარაუდობს, რომ **-ენ**-ის გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეწყო დასავლეთ საქართველოს კილოებს. მისივე დაკვირვებით, **-ეს** და **-(ნ)ენ** სუფიქსთა ჭიდილი XVIII საუკუნის ბოლოს **-(ნ)ენ** ბოლოსართის გამარჯვებით დასრულდა. მანამდე კი ერთდროულად მიმდინარეობდა ორი პროცესი: **-ეს** სუფიქსის **-ენ**-ით შეცვლა და ამ უკანასკნელის **-(ნ)ენ**-ით ჩანაცვლება(ნიკოლაიშვილი 1978).

-ნენ სუფიქსის ისტორია პრეფიქსიან ვნებითებში იწყება. როგორც ცნობილია, პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში **-ნ**- ინფიქსი სათანადო მოქმედებითის ფორმებიდანაა გადასული, სადაც ის **ნ**არიანი პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავდა. კონვერსიის პროცესში **-ნ**- მექანიკურად გადაჰყვა პრეფიქსიან ვნებითებს, ხოლო შემდეგ, როცა **-ეს** ფორმანტის ადგილი **-ენ**-მა დაიკავა, ამ უკანასკნელთან **-ნ**- ინფიქსის შეხვედრამ **-(ნ)ენ** ბოლოსართი მოგვცა: დაიმალ-ნ-ეს დაიმალ-ნ-ენ.

-ენ და **-(ნ)ენ** სუფიქსები თანაარსებობდნენ სალიტერატურო ენაში მანამდე, ვიდრე ენის ნორმათა დამდგენი კომისია უპირატესობას **-(ნ)ენ** აფიქსს მიანიჭებდა.

მესამე პირის მრავლობითობის სუფიქსებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით განსხვავებულ თვალსაზრისს, რომელიც ქრონოლოგიურად **-ენ** სუფიქსის უწინარესობას უჭერს მხარს. ამ თვალსაზრისს გამოთქვამს ბ. ფოჩხუა: „რაკი ობიექტის მრავლობითობის **-ენ** „შიგა“ სუფიქსია, ე. ი. უფრო ადრინდელი ფორმაციისაა, შესაძლებელია, სწორედ ეს მივიჩნიოთ ზმნაში სიმრავლის გამომხატველ საყოველთაო სუფიქსად“ (ფოჩხუა 1961: 59). მკვლევარს არგუმენტებად მოაქვს ფაქტები, რომ ძველ ქართულში **-ეს**-ს **-ენ** სუფიქსი ცვლის, ან მათი აღრევა ხდება, ახალ ქართულში მედიოპასიურ ფორმებში **-ენ** ბატონდება, ხოლო დასავლურ კილოებში შეიმჩნევა მისი გაუნივერსალების ტენდენცია. იგი **-ეს** სუფიქსს ძირითად ქართულ ფენაში სხვა დიალექტური წრის შემონატანად თვლის, ასევე დიალექტურ ოდენობად მიაჩნია იშვიათი გამოყენების **-ედ** სუფიქსი.

ჯერ კიდევ ძველსავე ქართულში იშვიათი ხმარების **-ედ** ფორმანტმა გაქრობა იწყო. თანამედროვე ქართულში ამ ფუნქციით წყვეტილის მწკრივის მრავლობით რიცხვში მოეპოვება ძველი **-ეს** და ახალი ფორმაციის **-ნენ** ბოლოსართები.

საინტერესოა, მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის აღნიშვნისას საშუალოდ ქართულმა დაიცვა ძველი ვითარება, თუ ახალ ნორმებს მისცა გზა, რომელი ეპოქისა და ჟანრის ნაწარმოებში რა მდგომარეობაა ამის გათვალისწინებით. ამჯერად ყურადღებას მხოლოდ გარდაუვალ ზმნებზე შევაჩერებთ, სადაც ერთმანეთს **-ეს**, **-ენ**, **-ნენ** აფიქსები ენაცვლება.

საშუალო ქართული ენის ის პერიოდია, სადაც სამივე ბოლოსართი თანაარსებობს. აღნიშნულ სუფიქსთა განაწილებაში არაერთგვაროვანი სურათია, თუმცა, ზოგჯერ ხერხდება კონკრეტულ ავტორთან ვითარების ქრონოლოგიური თუ ჟანრობრივი მოტივაცია. საშუალო ქართულის ადრეული საფეხურის ძეგლებში **-ენ** და **-ნენ** სუფიქსები თითქმის არ გვხვდება. „ვეფხისტყაოსანში“ გარდაუვალ ზმნათა მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად მხოლოდ **-ეს** ბოლოსართია. „ამირანდარეჯანიანში“ რამდენიმე **-ენ** და **-ნენ** ნიშნანი ფორმა მარტოდენ გვიანდელ დანართშია. მაგალითად, ერთ წინადადებაში ორივე ფორმა დასტურდება:

რა ლახტების ცემით **დაიღალნენ**, ლახტები წელში ჩაიპყრეს და ჳელ-დაჳელ ერთმანერთსა ზედა **შესცვიდენ** (ამ., 737, 1).

„ვისრამინაში“ კი ორიოდე **-ენ** სუფიქსიანი ზმნაა, არ ჩანს **-ნენ** ბოლოსართი:

სიყუარულისა უარაკოისა შედეგად უარაკოსავე საერთმანერთოსა უწყალო გამწირაობასა **მიჰხუდენ** (ვის., 267, 7).

ვერ დავადასტურებთ **-ენ** და **-ნენ** ნიშნები XII – XIII საუკუნეთა ისტორიულ საბუთებსა და ლაპიდარულ წარწერებში და არც აბუსერიძე-ტბელის 1233 წლით დათარიღებულ თხზულებაში. აქ ყველგან მხოლოდ **-ეს** სუფიქსი გვხვდება. შეიძლება თავად ძეგლთა მოცულობითაც აგვეხსნა მათში ახალ ნაწარმოებელთა უქონლობა. მაგრამ ეპოქისა და ძეგლთა შინაარსის გათვალისწინება ვითარებას თვალნათელს ხდის. მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ იცვლება როგორც ამავე პერიოდის, ისე მომდევნო საუკუნეთა სამართლის ძეგლებსა და ისტორიულ თხზულებებში. აქაც **-ეს** სუფიქსის უქვეყელი უპირატესობა აშკარავდება.

ძველი ვითარებაა შენარჩუნებული ისტორიულ თხზულებათა კრებულშიც „ქართლის ცხოვრება“. „ქართლის ცხოვრების“ ენა ჯერ კიდევ ძველი ქართულია. იგი მხოლოდ იწყებს საშუალო ქართულის ნიშნების ათვისებას“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, 046). **-ენ** და **-ნენ** სუფიქსები დიდ იმპიატობას წარმოადგენს ე. წ. ძველი ციკლის საისტორიო თხზულებათა კრებულში. თითო-თითო ფორმა ჯუანშერის ისტორიის დანართ ნაწილში ვნახეთ, სახელდობრ, ორივე ზმნა XVIII საუკუნის ნუსხაშია, სადაც იოანე ზედაზნელის წმინდა მოწაფეზე, შიო მღვიმელზე მოგვითხრობს ჩანართის ავტორი. თვით ძირითად ტექსტში კი მხოლოდ **-ეს** სუფიქსია ყველგან:

და ყოველსა გარემოს სოფლებსა **მოვიდენ** სხუანი ურიცხუნი სულნი მონაზონებად (ქ. ცხ., I, 211, 12),

-ნენ სუფიქსიანი ზმნაც ამავე ეპიზოდშია:

და მწყემსად **იდგნენ** მგელნი ვირთა (ქ. ცხ., I, 211, 13).

ერთი **-ენ** სუფიქსიანი ზმნა ლაშა გიორგის-დროინდელ მემატიანესთან ანასეულ ნუსხაშიც მოვიძიეთ:

ესდენად სიშორესა შინა **მივიდენ**, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა (ქ. ცხ., I, 369, 12).

ძველი ციკლის თხზულებათაგან ბასილი ეზოსმოდვრის ისტორიაშიც გვხვდება ერთი **-ენ** ბოლოსართიანი ზმნა:

ფიცხლად **დამორჩილდენ** შიშითა და სიყუარულით ამისითა (ქ. ცხ., II, 369, 12).

ძველი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები XV – XVIII საუკუნეებშია გადაწერილი, თუმცა, პირველწყაროები გაცილებით ადრინდელ საუკუნეებს ეკუთვნის და, შესაბამისად, ახალი **-ენ/-ნენ** აფიქსებიც არ ჩანს. ხელნაწერთა ავტორები მაქსიმალური სიზუსტით ცდილობენ დედნისეულ ფორმათა შენარჩუნებას. გადამწერთა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ახალი ფორმები მაინც აღწევენ აღნიშნულ ძეგლთა ენაში.

ე. წ. ახალი ციკლის ისტორიათა კრებულში შემავალ თხზულებათა შორის ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ ერთადერთი, სადაც **-ნენ** სუფიქსიანი ფორმები ძველ **-ეს** ბოლოსართიან ზმნებს – უმნიშვნელოდ, **-ენ** ბოლოსართიანებს კი 2-ჯერ აღემატებიან:

და ძლიერად **შეიხნენ** მუნ აღათანგი ხერხეულიძე და კახი ასლანიშვილი დავით და ორნივე **დაიჯოცნენ** მუნ (ქ. ცხ., II, 408, 27);

და რომელნიმე კახნი **აიყარნენ** და **გაჰყვენენ** ცოლშვილიანად თეიმურაზს (ქ. ცხ., II, 400, 29);

წარმოემართნეს და **მოვიდეს** ხუნანს და **დაიხანაკეს** მუნ ხუნანს, რომელ არს გატეხილი-ჭიდი (ქ. ცხ., II, 417, 4-5);

შერიგდენ დადიანი და გურიელი (ქ. ცხ., II, 361, 24).

როგორც „ქართლის ცხოვრების“ მკვლევარნი მიიჩნევენ, ბერი ეგნატაშვილის სახელით ცნობილი ისტორია ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ არის დამუშავებული 1745 წელს. დანარჩენი ორი მომდევნო ტექსტი კი არ შეიძლება ჩაითვალოს ვახტანგისეულად. ისინი მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევრის ნუსხებშია დაცული. ამ თვალსაზრისის მართებულობას მხარს უჭერს იმ კვლევის შედეგი, რომელიც ახალი „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში **-ეს**, **-ენ**, **-ნენ** სუფიქსთა განაწილებაზე ვაწარმოეთ. აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით მათში სრულიად განსხვავებული ვითარებაა. ახალი „ქართლის ცხოვრების“ II და III ტექსტებში, პირიქით, **-ეს** ბოლოსართიანი ზმნები მნიშვნელოვნად სჭარბობენ დანარჩენებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ უკანასკნელთა შედგენა-დამუშავება სხვა ავტორთა მიერ განხორციელდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოაღნიშნული ენობრივი საკითხი ბერი ეგნატაშვილის ტექსტთან იქნებოდა შესაბამისობაში.

ბერი ეგნატაშვილის ისტორიის ერთსა და იმავე ეპიზოდში ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა სუფიქსით გვხვდება:

მერმე **შეიყარნეს** ბარათიანნი (ქ. ცხ., II, 344, 5);

შეიყარნენ და მოადგნენ ტფილისს (ქ. ცხ., II, 344, 2);

შეიზნეს მუნ გოფანთოსა და იქმნა ბრძოლა ძლიერი (ქ. ცხ., II, 376, 3).

დაიწყო სამდურავი და მტერობა ჩამოვარდა ორთავეს შინა ესრეთვითა-რი, რომე აქეთ ეს შეიყარა და იქით ისი, და **შეიზნენ** (ქ. ცხ., II, 376, 13).

დასტურდება „შემოიქცეს // შეიქცენ // შეიქცნენ“ პარალელური ფორმე-ბიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროისათვის პრეფიქსიან ვნებითებში ნორმად დამკვიდრებული თავისებურება უკვე საფუძვლიანად წაშლილია:

წარმოსტყუენეს და წარმოიღეს მრავალი ნატყუენავი და **შემოიქცეს** ძლევა-შემოსილნი (ქ. ცხ., II, 416, 12);

ხოლო ყიზილბაშნი **შეიქცენ** გამარჯვებულნი (ქ. ცხ., II, 376, 21);

მაშინ სძლია ათაბაგმა და **შეიქცნენ** ქართველნი (ქ. ცხ., II, 347, 19).

აქვე მრავლად შეიძლება ისეთი ფაქტების დამოწმებაც, როცა პარალე-ლური წარმოება ერთ წინადადებაშია:

და მიერთვან **ადიყარნეს** და **წარვიდნენ** (ქ. ცხ., II, 379, 29);

იძლიენეს სპა ქართველთა და უკუნ **იქცენ** (ქ. ცხ., II, 356, 20);

რა მიეწია როსტომ მეფე ნოდარს, **გამოუბრუნდენ** ორნიც ძმანი ჩხვიძე-ნი, **შემოგზნენ**, იომეს და დაჯოცნეს იგინიცა (ქ. ცხ., II, 422, 14).

პარალელური ფორმათწარმოება გამოვლინდა ახალი „ქართლის ცხოვ-რების“ II ტექსტშიც:

და **ადიყარნენ** და **წარვიდენ** და **მიადგნენ** ციხესა ბირთჳსისა (ქ. ცხ., II, 469, 23);

ამისა შემდგომად **ადიყარნეს** და **წარვიდეს** (ქ. ცხ., II, 452, 23).

გარდაუვალ ზმნათა მესამე სუბიექტის მრავლობითობას უპირატესად **-ეს** ბოლოსართი გამოხატავს, როგორც XVIII საუკუნეში შედგენილ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, ასევე XII – XVIII საუკუნეთა საერო საკანონმდებლო ძეგლებში. **-ენ** და **-ნენ** სუფიქსები კი სხვადასხვა საუკუნეების სიგელ-გუჯრებში აქა-იქ იშვითად გვხვდება.

-ნენ ბოლოსართიან ფორმას გამოავლენს XIV საუკუნის „ძეგლი ერის-თავთა“:

და შემდგომად მცირედისა **ეუფლნენ** ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა (სამ. ძეგლ., II, გვ. 102).

მსგავსი ფორმებია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში და ამავე პერიო-დის (1721 წ.) გარიგების სიგელში:

იმას ყაზახნი **დაესხნენ** და ის ცხვარი ძალად წაუსხეს (სამ. ძეგლ., I, გვ. 204).

რომე თიანელნიც **შემოგვებეწნენ** ამას, და ჩვენც ეს გაუგონეთ ასე და ამრიგად (სამ. ძეგლ., II, გვ. 335).

უფრო იშვითად **-ენ** ბოლოსართიანი ფორმები დასტურდება:

განძლიერდენ ნებითა და ბრძანებითა შენითა... და დანიჰყრნეს საპატ-რონოდ ტახტი შვიდთავე საქართველოთანი (სამ. ძეგლ., II, გვ. 353).

სხვადასხვა საუკუნის სამართლებრივ ძეგლებში ერთ ზმნურ ფუძესთან პარალელური (**-ეს** და **-ნენ** სუფიქსიანი) წარმოება გამოვლინდა: XVIII საუკუ-ნის ღმრთაების გუჯარში ძველი ფორმაა, XVII საუკუნის სხვა საკანონმდებლო ძეგლში კი – ახალი.

...**მოიწივნეს** შუამდინარით ათორმეტნი ესე წმიდანი მამანი (სამ. ძეგლ., II, გვ. 367);

ოდეს **მოიწივნენ** უღმრთონი ლეკნი საფლავსა და მონასტერსა წმიდისა დავითისასა, წმიდანი მღდელთ-მონაზონნი და კრებულნი მოსრეს (სამ. ძეგლ., II, გვ. 230).

XII – XVIII საუკუნეთა და XIX საუკუნის დამდეგის საერო საკანონმდებლო ძეგლებში **-ენ//ნენ** აფიქსთა სიმცირე ლოგიკურია. მდივან-შემდგენელნი იცავენ იმ ძველ მწიგნობრულ სტილს, რომელიც ნაკლებად შეესაბამება მათ თანამედროვე ცოცხალ მეტყველებას.

გარდაუვალ ზმნებთან **-ენ//ნენ** ბოლოსართთა რეგულარული ფიქსაცია XVII საუკუნიდანაა შესაძლებელი. თეიმურაზ I-თან ისინი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. აქ **-ეს, -ენ, -ნენ** აფიქსები რაოდენობრივად ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 64 : 4 : 2. ავტორი ზოგჯერ აღნიშნულ ბოლოსართებს ერთსა და იმავე ფუძესთან იყენებს. მაგალითად, „ლეილმაჯუნნიანში“ სამივე სუფიქსი ერთ ზმნასთან დასტურდება:

საფლავზე **დადგენ** მშობელნი, სანთელს უნთებენ შამებ და (თ. I, გვ. 52. 215, 13);

კარს **მიუდგნენ** მოციქულნი ლეილისა დედ-მამათა (თ. I, გვ. 31. 51, 1);

ზედ **მოადგეს** ღამე ბნელსა მას შუქთაგან დაუმაღსა (თ. I, გვ. 35. 83, 4).

საგანგებო ყურადღების ღირსია სულხან-საბა ორბელიანის თხზულებები. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნავენ: „დამახასიათებელია, რომ საბა ორბელიანი, ავტორი „სიბრძნე სიცრუის წიგნისა“, რომლის ენა არსებითად ახალი ქართულია, თხზულებას „სწავლანი ანუ ქადაგებანი“ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილით წერს. რა თქმა უნდა, სულხან-საბა ორბელიანი ამ შემთხვევაში ვერ ახერხებს ძველი ქართულის ვერც მორფოლოგიური და ვერც სინტაქსური ნორმების დაცვას – ძველი ქართული არ იყო მისთვის ბუნებრივი ლიტერატურული მეტყველება, ძველი ქართულის ნორმები მას შეთვისებული ჰქონდა ხელოვნურად, ძველი ტექსტების კითხვა-შესწავლის შედეგად, მაგრამ სტილის მხრივ სულხან-საბა აღწევს ძველი ქართული სასულიერო ძეგლების ენასთან საოცარ მსგავსებას“ (გიგინეიშვილი 1959: 33).

„სულხან-საბა ორბელიანი სრულიად არ ცდილობს თავის უფლებებში ადადგინოს ძველი ქართული ენა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში – გარკვეული სტილისტიკური დანიშნულებით – იგი დიდი მხატვრული ოსტატობით იყენებს ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ ფორმებსაც“ (გეწაძე 1969: 40).

გამოთქმულ თვალსაზრისს ეხმიანება ჩვენი კვლევის შედეგიც. „სწავლანში“ 58 **-ეს** სუფიქსიანი ფორმის გამოყენებას უთუოდ სტილისტიკური ფუნქცია აკისრია, ამგვარი არქაიზაციით სასულიერო ჟანრის თხზულებისათვის ნიშანდობლივი კოლორიტის შექმნა.

თუმცა, ამავე ნაწარმოებში ძველ ფორმათა გვერდით **9-ენ** და **3-ნენ** სუფიქსიანი ზმნაც დასტურდება.

საინტერესოა „მიექცენ“ ფორმა. ეს იმ ზმნათაგანია (მოიქცეს, დაირღუეს), რომლებიც პრეფიქსიან ვნებითა ძველ ენაში მოქმედ წესს არ ემორჩილებიან – **-ნ** ფორმანტს **-ეს** სუფიქსის წინ არ ჩაირთავენ და ამიტომ თავისებურ ზმნათა რიგში დგებიან. ძველ ქართულში აღნიშნული ზმნა მხოლოდ „მიექცეს“ ფორმით გვხვდება. მოგვიანებით, როცა **-ეს** სუფიქსი **-ენ** ბოლოსართმა შეცვალა, მოსალოდნელი „მიექცენ“ ფორმა უნდა ყოფილიყო, რაც ამ თხზულებაში დადასტურდა კიდევ, ე. ი. ძველი გრამატიკული ნორმა ახალი ფორმანტით აღიჭურვა:

რაოდენნი უშვილონი შვილიერ **იქმნეს**, რაოდენნი მკვდარნი **აღდგეს**, რაოდენნი მადლითა აღვსებულნი სახლად თვისად **მიექცენ** (საბა, სწავლ., გვ. 206, 637).

ამ წინადადებაში გვერდი-გვერდაა ძველი და ახალი წარმოება.

ამ ნაწარმოებშივეა პარალელური წარმოების ისეთი შემთხვევა, როცა **-ეს** და **-ენ** ბოლოსართები ერთსა და იმავე ზმნურ ფუძესთანაა გამოვლენილი:

და ყოველნივე მოციქულნი ძვირ-ძვირითა ტანჯვითა **მოსწყედეს** და დადვეს სული ცხოვართათვის ქრისტესათა (საბა, სწავლ., 208, 645);

უწესონი იყვნენ და ნამეტნავისა მიღებითა ვითარისა რისხვითა **მოსწყედენ** და შჯულის კიდობანიცა მიელთ (საბა, სწავლ., გვ. 215, 667).

სრულიად განსხვავებული ვითარებაა „სიბრძნე სიცრუეში“. საერო თემატიკის იგავ-არაკთა კრებულში გარდაუვალ ზმნათა დიდ უმრავლესობას მრ. რიცხვში პირის ნიშნად თანამედროვე ქართულისეული **-ნენ** სუფიქსი დაერთვის, **74-ნენ** სუფიქსიანი ფორმის გვერდით **40-ენ** და **21-ეს** ბოლოსართიანი ზმნაა:

მოიწივნეს სადაც იყო საფლავი და კიდობანი იგი, დათხარეს, პოვეს და გამოიღეს (საბა, ს.ს., გვ. 9);

შეიცილნენ და ყადთან საჩივნელად **წავიდნენ** (საბა, ს.ს., გვ. 115).

ჯალაზნი **მომძულდენ** და გავეყარე (საბა, ს.ს., გვ. 86).

პარალელური წარმოება ზოგჯერ აქაც გვხვდება:

სლვასა შინა მეკობრენი **შეხვდენ**, სამნი **გაეუზნეს** და მან ხმა არ გასცა (საბა. ს. ს., გვ. 15);

ერთი აქლემი და ერთი ვირი, დიად დაღლეტილნი, **დამმოზილდენ** და თავის პატრონს **გაეპარნენ** (საბა, ს.ს., გვ. 54);

დამოყვრდენ, დიდად **გაიწყვნენ** (საბა, ს.ს., გვ. 112).

სამნივე **გამოებნეს** და ერთად **მივიდნენ** (საბა, ს.ს., გვ. 62).

პარალელური წარმოება იშვიათად ერთ ზმნასთან რეალიზდება:

რა მივიდა მეფე, **მოეგებნეს**, დასვეს (საბა, ს.ს., გვ. 35);

რა მისი სახელი ვახსენე, **მომეგებნენ** კაცნი (საბა, ს. ს., გვ. 94).

ზოგჯერ კი სამივე აფიქსია ერთ ფუძესთან:

ძოდან რომელთა ვაჭართა მოეცათ, იგინი მუნ **დახვდეს** (საბა, ს.ს., გვ. 15);

კარგა **დამხვდენ**: გამათბეს, მალხინეს, გამანებიერეს (საბა, ს.ს., გვ. 94);

დახვდენ მეფისა ვაჭარნი, ცნეს მათი მპარობა (საბა, ს.ს., გვ. 15);

განთიად მოვიდა ყადი და მოწამენი და იგი მტერი მოლაგა **მივიდეს** (საბა, ს. ს., გვ. 24);

მივიდენ მასთან (საბა, ს. ს., გვ. 27);

მივიდნენ მეფე და ვაზირი (საბა, ს.ს., გვ. 109).

თუ „სწავლანში“ „მოიქცენ“ ზმნა -**ნ** ფორმანტის გარეშეა, „სიბრძნე სიც-რუეში“ ძველი ნორმა უკვე აღარსად ჩანს. სამივე შემთხვევაში აღნიშნული ზმნა -**ნ** ელემენტით დასტურდება:

მოიქცნენ და მასვე მძორზე შულლი დაიწყეს (საბა, ს.ს., გვ. 145).

-**ენ** ბოლოსართიანი ფორმა შეგვხვდა თხზულებაში „მოგზაურობა ევროპა-ში“. ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდში თხრობა რელიგიურ თემას შეეხება:

წმინდა პავლე მოციქული რომ მოვიდა აქ პირველადო და ქრისტე ქადა-გაო, მაშინვე **მოიქცენ** ჩვენი მამანიო (საბა, მოგზ., გვ. 225).

თუმცა სულხან-საბას ჩვენ მიერ შესწავლილ ნაწარმოებთა შორის -**ეს**, -**ენ**, -**ნენ** აფიქსთა განაწილების თვალსაზრისით ვითარება ამ ძეგლში შედარე-ბით უფრო ახალი ქართულისებრია. აქ ძალზე იშვიათია -**ეს** სუფიქსიანი გარდაუვალი ზმნები, სამაგიეროდ თითქოს თანაბრად გვხვდება -**ენ** და -**ნენ** ბოლოსართები:

ფრანცისებმა გვიცნეს. **მოგვეგებნეს** (საბა, მოგზ., გვ. 200);

ექვსი ფლურის თხოვა დაგვიწყეს, ძლივ ხუთას მარჩილს **დაგვეჯერდენ** (საბა, მოგზ., გვ. 155);

არ **მომეშვნენ**. წმიდის პაპის სასახლეში დამაყენეს (საბა, მოგზ., გვ. 205).

ნაწარმოებში დასტურდება პარალელური წარმოებაც. ერთ ფრაზაში -**ენ** და -**ნენ** სუფიქსიანი ფორმები გვერდი-გვერდ ჩნდება:

ყოველი კარდინალი თვითო თვითო მოვიდა და ხელს აკოცეს და **გამო-ბრუნდნენ** და **დასხდენ** (საბა, მოგზ., გვ. 171);

დარბაისელნი **მოგვეგებნენ**. **შეგვიძღვენ** (საბა, მოგზ., გვ. 211).

ზოგჯერ კი -**ენ** და -**ნენ** ბოლოსართები ერთ წინადადებაში ერთსა და იმავე ზმნასთან გვხვდება:

გაბრუნდნენ, პაპას თაყუანისცეს. **გამობრუნდენ** (საბა, მოგზ., გვ. 171).

XVII – XVIII საუკუნეების მწერალია არჩილიც. მაგრამ სულხან-საბა ორ-ბელიანისაგან განსხვავებით, მის პოეზიაში ძველ ფორმებს უფრო ხშირად ვხვდებით. მაგალითად, პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გარდაუვალ ზმნებთან 107 -**ეს**, 54 -**ენ** და 23 -**ნენ** სუფიქსიანი ფორმა დავადას-ტურეთ. მართალია, „ვისრამიანში“ -**ენ** ბოლოსართიანი ფორმები ჭარბობენ, მაინც მთლიანობაში სურათი არ იცვლება.

აქაც ბევრი ისეთი მაგალითის დამოწმება შეიძლება, როცა ერთ ზმნურ ფუძესთან -**ეს**, -**ენ**, -**ნენ** აფიქსები ცვლიან ერთმანეთს. მაგალითად, პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ავტორი მეზობელ ტაეპებში მი-მართავს ძველსა და ახალ წარმოებას:

ავს დღეს შეასწრო გიორგიმ ქალი გამდელი, ხადუმი,

რა **გამოსცილდეს** ლომისას, ხმა არის მო დასადუმი (არჩ., II, 664, 4);

გამოსცილდენ ლომისასა, უკან მოჰყვა მათ გიორგი (არჩ., II, 665, 1).

„ვისრამიანში“ **-ეს** და **-ნენ** აფიქსებია ერთ ზმნასთან:

ყოვლგნით **მოვიდნენ** მძლეველნი ლაშქარნი გამარჯვებულნი (არჩ., I, გვ. 143. 77, 1).

მოვიდეს ყოვლგნით ლაშქარნი, მინდორი ველარ იტევდეს (არჩ., I, გვ. 162. 214, 1).

აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე პოემაში აღმოჩნდა „გაგვექცნეს“, „გამოექცეს“, „გაექცნენ“ ფორმები. ერთ შემთხვევაში თუ ნორმა დაცულია, მეორეგან **-ნ** ფორმანტია ჩართული ზმნაში, რამდენჯერმე კი **-ნეს** ბოლოსართს **-ნენ** ენაცვლება:

სომხები თუ **გამოექცეს**, რა გიკვირს თხისგან-უთხია (არჩ., II, 928, 4);

რაცგადაგვრჩა, მალ **გაგავექცნეს**, ვინ-ვის წინა წაუსწრობდა (არჩ., II, 555, 1);

ყველა უომრად **გაექცნენ**, ეს ვინ არ გაიკვიროსაჲ (არჩ., II, 235, 3).

ეს ფაქტი ძველი გრამატიკული ნორმის მოშლაზე მეტყველებს.

-ეს, **-ენ**, **-ნენ** აფიქსთა განაწილების ამსახველი სურათი კიდევ უფრო საინტერესოდ XVIII საუკუნის მწერალთა შემოქმედებაში გამოიყურება. XVIII საუკუნე ენის განვითარების ის ეტაპია, როცა ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები უკვე კარგადაა დამკვიდრებული როგორც ცოცხალ მეტყველებაში, ისე სამწერლობო ენაში, მაგრამ ძველი ქართულიდან მომდინარე ენობრივი ნორმები ჯერაც ძალაშია. ამის მიზეზი თავად ძველის შინაარსი შეიძლება იყოს, ან ცალკეული ავტორის სურვილი, ძველი სამწერლობო ტრადიციის გამგრძელებლად დარჩეს. ამიტომაც არაერთგვაროვანი ვითარებაა თეიმურაზ II-ის, ბესიკის, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში.

თეიმურაზ II-ის ნაწარმოებებში მცირედით სჭარბობენ ახალი ფორმები ძველს. მნიშვნელოვანია, რომ აქ **-ეს** და **-ნენ** აფიქსთა გადანაწილებისას გადამწყვეტი თვით ნაწარმოების ჟანრია. ლექსებსა და პოემებში აშკარად შეიმჩნევა **-ეს** სუფიქსთა სიმრავლე, ხოლო პროზაულ ნაწარმოებებში პირიქით, **-ეს** სუფიქსიანი ზმნები ახალ **-ნენ** სუფიქსიან ფორმებზე ორჯერ ნაკლებია. მაგალითად, ჩვენ მიერ მოძიებული 21 **-ეს** ბოლოსართიდან 15 პოეზიაზე მოდის, 6 კი „თიმსარიანში“ გვხვდება. 24 **-ნენ** ბოლოსართიდან 16 „თიმსარიანშია“, დანარჩენი 8 – პოეტურ თხზულებებში. საგულისხმოა, რომ პოეზიაში გამოვლენილი 15 **-ეს** სუფიქსიდან 13 შეგვხვდა პოემაში „სარკე თქმულთა“ ანუ „დღისა და ღამის გაბაასება“. თითქმის ყველა მათგანი პოემის სასულიერო ნაწილშია, სადაც ძველი და ახალი აღთქმის ამბებია მოთხრობილი. რელიგიური თემატიკა კი თავისთავად ძველ ფორმებს გულისხმობს. თუმცა პოემის სასულიერო ნაწილში იშვიათად **-ნენ** ბოლოსართიანი ფორმებიც გვხვდება, ისევე როგორც საეროში – **-ეს** ბოლოსართიანები:

რად **ადიდრნესო** წარმართნი, ერმან იზრახა ცუდათა (თ. II, გვ. 37. 299, 2);

იყო სიბერე ისაკის, მას **დაუბრყვილდეს** თვალნია (თ. II, გვ. 14. 104, 1);

მის ნაყოფის გემოს ნახვით იგ **დაეცნენ** ჭამისაგან (თ. II, გვ. 6. 42, 3).

სპარსულიდან თარგმნილ „თიმსარიანში“ **-ნენ** ბოლოსართის სიჭარბეც ლოგიკურია. საყოფაცხოვრებო თემებზე შექმნილ იგავ-არაკთა კრებულში ავტორი უფრო ახალ ფორმებს აძლევს უპირატესობას:

სპილოები სულ **დაირუჯნენ** და **დაიწვნენ** (თ. II, 158, 17);

და **დაღონდნენ** ვეზირები და მუნაჯირები (თ. II, 144, 27).

დავიმოწმებთ პარალელურ ფორმათწარმოებასაც, რომელსაც თეიმურაზ II მიმართავს ხანდახან. „თიმსარიანში“ **-ეს** და **-ენ** სუფიქსებია გვერდიგვერდ:

შემოკრბეს დღესა ერთსა შვიდნივე იგი ვეზირნი (თ. II, 146, 30);

რა ბრძანება ესმათ, ყველანი **შემოკრბენ** (თ. II, 204, 28-29).

XVIII საუკუნის II ნახევრის პოეტი ბესიკი ძველ წარმოებას მიჰყვება. მის პოეზიასა და პირად წერილებში უფრო ნაკლებად ახალ ფორმებსაც ვხვდებით. აქ **-ენ** და **-ნენ** სუფიქსიან ზმნათა რიცხვი თითქმის თანაბარია:

ცრემლით **აღმევსნეს** მწირნი თვალები (ბეს., გვ. 4. 5, 3);

ოთხნივე ძმანი **შეითქვნეს**, შარვაშის-ძენი მძლეველნი (ბეს., გვ. 29. 3,3);

თითო მჯიღი ერთმანერთსა შემოჰკრეს და **შეიტაკნეს** (ბეს., გვ. 48. 5 1);

როს **გაშველდენ**, **წაცაიქცნენ**, ერთი იქით, ერთი აქეთ! (ბეს., გვ. 49. 10, 1);

განემორნენ შეუსწრებელსა შესამატსა ნაყოფსა მას პოლიტიკისას (ბეს., გვ. 106).

„ბესიკის თხზულებებში დადასტურებული არქაული მოვლენების ხვედრითი წონა გაცილებით უფრო მეტია ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ ფორმებთან შედარებით... ჯერ კიდევ ძლიერია ძველი ქართული ენის ენობრივი ნორმების გავლენა, მაგრამ ამ ნორმებს ბესიკი ბოლომდე ვერ იცავს. ამის დადასტურებას წარმოადგენს ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი მოვლენების არსებობის ფაქტი“ (ქლენტი 1989: 163).

გარდაუვალ ზმნებთან მესამე სუბიექტის მრავლობითობის აღნიშვნელ აფიქსებზე წარმოებული დაკვირვებაც უთუოდ ეხმიანება საყოველთაოდ ცნობილ აზრს იმის შესახებ, რომ დავით გურამიშვილმა პოეზიაში ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას ყველაზე დიდი სამსახური გაუწია. „დავითიანში“ თითქმის არსად გვხვდება **-ეს** სუფიქსი გარდაუვალ ზმნებთან. აქ ყველგან **-ენ** და **-ნენ** ბოლოსართებია. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთა რიცხვი თითქმის თანაბარია:

მაგრამ კვლავ **შესცდენ** მის გზათა, რა ცოდვის ბურმან მონისა,

ჩაცვიფდენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა (დავითიანი, გვ. 47. 145, 3-4);

გამოესალმნენ მეფესა ქართველნი მუკლზედ ხვევითა (დავითიანი, გვ. 102. 540, 1);

კაცს **წაევიდნენ** გოგო და ბიჭი (დავითიანი, გვ. 199. 134, 1).

არის პარალელური წარმოების შემთხვევებიც:

აღიძრენ ერნი, იზრახეს ცუდისა მიდებ-მოდება (დავითიანი, გვ. 28. 6, 3);

შეითქვნენ ერნი, **აღიძრნენ** ცუდისა განძრახებადა (დავითიანი, გვ. 38. 82, 4).

„კალმასობაში“, მართალია, **-ენ** და **-ნენ** ბოლოსართიანი ზმნები ძველ **-ეს** სუფიქსიან ფორმებს საგრძნობლად სჭარბობენ, ძველ წარმოებას მაინც თავისი ადგილი უჭირავს:

და ოდეს **დაუახლოვდეს** ურთიერთსა მეწინავენი სპარსთა და ქართველთანი, პირველსავე კვეთებასა შინა მამაცად **ეკვეთნეს** ქართველნი (ბატონიშ., II, გვ. 120);

ამაზედ ბევრი იცინეს და მადლობელნი ორნივე კერძონი **განშორდენ** ერთიმეორეს (ბატონიშ., II, გვ. 8);

და ესრეთ ძლეულნი **განიხნივნენ** სპარსები და მხედარნი ქრისტესნი **მოადგნენ** ბახტრიანის ციხესა (ბატონიშ., II, გვ. 111).

აქ საკმაოდ ბევრია ისეთი შემთხვევები, როცა ერთ წინადადებაშია ძველი და ახალი ფორმები:

აღიძრნენ ბილწნი ესე და **მოიწივნეს** მანგლისსა, რომელსა ეწოდა კველთა (ბატონიშ., II, გვ. 91);

იხილეს რა ბერი, ყოველნივე **მიესალმნენ** და მოიკითხნეს ურთიერთი და **დასხდენ** ესენი (ბატონიშ., II, გვ. 140);

შემოეხიზნენ ქართველთ და **დასახლდენ** ესენი (ბატონიშ., II, გვ. 228).

„კალმასობაში“ დასტურდება იმის მაგალითიც, როცა ერთ წინადადებაში ერთსა და იმავე ზმნასთან რეალიზდება ძველი და ახალი წარმოება:

და ოდეს მტარვალნი და სხვანი უკვე სპარსნი **წარვიდენ** სახლად თვისა და იყვნენ მოცულ განკვირვებითა დიდითა, **მოვიდეს** იდუმალ კაცნი ნათესავით სომეხნი (ბატონიშ., II, გვ. 118).

გარდაუვალ ზმნათა მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის აფიქსთა შესახებ საშუალი ქართულის ძეგლებში მოპოვებულ მასალას თუ მთლიანობაში შევავლებთ თვალს, ასეთი სურათი გამოიკვეთება:

საშუალი ქართულის ადრეული ხანის (XII – XIII სს.) ძეგლებში **-ეს** აფიქსია ძირითადი. „ვეფხისტყაოსანში“ ის ერთადერთი მაწარმოებელია როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. „ამირანდარეჯანიში“ მხოლოდ მერმინდელ დანართშია რამდენიმე ახალი ფორმა; „ვისრამიანში“ ერთგან თუ შევხვდით ახალ წარმოებას. შემდგომ საუკუნეებში **-ეს** სუფიქსის გვერდით ახალი მაწარმოებლები ჩნდება. **-ენ//ნენ** აფიქსთა რეგულარული ფიქსაცია XVII საუკუნიდან ხერხდება, მაგრამ **-ეს** ბოლოსართი მაინც ინარჩუნებს ძველ პოზიციას. XVIII საუკუნიდან მოყოლებული კი ავტორთა უმრავლესობა ახალ წარმოებას ირჩევს.

-ენ და **-ნენ** სუფიქსთა ურთიერთმიმართებას რაც შეეხება, ისინი საშუალ ქართულში თანაარსებობენ. თუმცა, ყველგან აშკარაა **-ნენ** ბოლოსართის უპირატესობა. შევეცადეთ, მათ განაწილებაში გარკვეული წესრიგი დაგვეჩვენო: პრეფიქსიანი ვნებითები უფრო ხშირად **-ნენ** სუფიქსიან წარმოებაზე ეწყობიან; დონიანი ვნებითები და **დ** თანხმოვანზე ფუძედასრულებული სხვა ზმნები უფრო მეტად **-ენ** ბოლოსართს დაირთავენ; საშუალ-ვნებითები და უნიშნო ვნებითები შუალედურ მდგომარეობაში არიან. ხშირად კი პარალელურ ფორმათა გამოყენებას სტილისტური დანიშნულება აქვს.

ლიტერატურა

აბულაძე 1954 – ი. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-IX სს-ის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები, თბილისი.

გეწაძე 1969 – დ. გეწაძე, მწკრივთა ფორმების წარმოება სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში. – ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში.

გიგინეიშვილი 1959 – ი. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენი-სათვის. სულხან-საბა ორბელიანი – საუბილეო კრებული, თბილისი.

ნიკოლაიშვილი 1978 – ე. ნიკოლაიშვილი, III სუბიექტური პირის -ეს სუფიქსის-(ნ)ენ-ით შეცვლის ისტორიისათვის – საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბილისი.

ჟღენტი 1989 – დ. ჟღენტი, ბესიკის ენა, თბილისი.

ქართლის ცხოვრება 1955 – ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი.

ჩიქობავა 1940 – არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე (აკად. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI.

შემოკლებათა განმარტებანი

ამ. – მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.

არჩ. I – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტფილისი: საქართველოს მუზეუმი, 1936.

არჩ. II – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, 1937.

ბეს. – ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით. ტფილისი: „ფედერაცია“, 1932.

ბატონიშ. – იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტფილისი: „სახელგამი“, 1948.

დავითიანი – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. ი. აბაშიძის, ალ. ბარამიძის, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის რედაქციით. თბილისი: „სახელგამი“, 1955.

ვის. – ვისრამიანი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962.

თ. I – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფილისი: „ფედერაცია“, 1934.

თ. II – თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურას რედაქციით. თბილისი: „ფედერაცია“, 1932.

საბა, მოგზ. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.

საბა, ს.ს. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.

საბა, სწავლ. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, სწავლანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1963.

სამ. ძეგლ. I – ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, 1963.

სამ. ძეგლ. II – ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, II, 1965.

ქ. ცხ. I – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: „სახელგამი“, I, 1955.

ქ. ცხ. II – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, II, 1959.

NINO TSIKHISHVILI

Marking the Plural Form of the Third Person in the Subjunctive Case in the Past Forms of the Intransitive Verbs in Middle Georgian

S u m m a r y

In Old Georgian the plural form of the third person in the subjunctive case in the past forms of the intransitive verbs was expressed by the suffix **-es** and the rarely used archaic suffix **-ed**. The said suffix **-ed** started disappearing even in Old Georgian. In Modern Georgian the suffix **-nen** takes the same function. In the written monuments of early Middle Georgian (XII – XIII c.) the basic affix is **-es**. In later centuries the new affixes appear along with the suffix **-es**. The regular usage of the affixes **-en// -nen** starts from XVII century but the suffix **-es** retains the old position. Since XVIII century the majority of the authors have chosen the new formation.

სოფიკო ჭაავა

**1918-20 წლების ენობრივი კანონმდებლობა
აფხაზეთის ავტონომიაში**

1918-1920 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ენობრივი პოლიტიკის შემუშავების პარალელურად, გარკვეულ ენასთან დაკავშირებულ, კანონ-პროექტებსა და დებულებებს ლეგულობდნენ აფხაზეთშიც, რომლებითაც რეგულირდებოდა სახელმწიფო ენის, საქმისწარმოებისა და განათლების ენის საკითხები. საქართველოს ეროვნული საბჭო ითვალისწინებდა მხარეების, მათ შორის, აფხაზეთის ეთნიკურ შემადგენლობასა და მოსახლეობის ენობრივ კომპეტენციას, ამიტომ ხელისუფლების მიერ გამოცემული განკარგულებები, ხშირ შემთხვევაში, ფრთხილი და ლოიალური იყო. თუმცა ქართული სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილი ჰუმანურობა, სამწუხაროდ, პირიქით იქნა აღქმული ზოგიერთი აფხაზი სეპარატისტის მიერ.

აღნიშნულ პერიოდში, საქართველოს მთავრობამ აფხაზეთში ენობრივი რეფორმების განხორციელება აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიანდო, რომელიც წარმართავდა მხარის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებს და ქმნიდა შესაბამის საკანონმდებლო ბაზას.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია 1918-20 წლებში მიღებული ოფიციალური დოკუმენტები, რომლებითაც აფხაზეთში ენათა სტატუსი განისაზღვრა. გარდა ამისა, მოცემულია აფხაზეთელი პოლიტიკოსებისა და განათლების მუშაკების მოსაზრებები ენების ფუნქციონალური განაწილების შესახებ, რაზეც მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკური მომავალი.

1918 წლის 3 აგვისტოს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც საბჭოს წევრები მხარს უჭერდნენ აფხაზეთის სამთავრობო ორგანოების ნაციონალიზაციას, ანუ საქმისწარმოების გადაყვანას რუსული ენიდან ადგილობრივ ენაზე/ენებზე, მაგრამ იმ პერიოდისთვის შეუძლებლად და მიზანშეუწონლად მიაჩნდათ ამის განხორციელება: „აფხაზეთის მრავალტომობრივი მოსახლეობისა და სამთავრობო დაწესებულებების ნაციონალიზაციის შეუძლებლობის გამო, აფხაზეთა სახალხო საბჭომ დაადგინა, დროებით დატოვოს რუსული ენა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამთავრობო დაწესებულებების საერთო ენად“ (აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთი (1917-1988), 2004. (ხოჯა 1999: 15-16). რაც შეეხება სასწავლო დაწესებულებათა ნაციონალიზაციას, ეს საკითხი უნდა გადაეწყვიტა ადგილობრივ მოსახლეობას, ხოლო სამხა-

რეო გიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლების სამუშაო ენის საკითხი აფხაზეთის სახალხო საბჭოს.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრები ზემოთ დასახელებული დადგენილებით, ფორმალურად დაეთანხმნენ ნაციონალიზაციას, ანუ ოფიციალურ ენად ქართულის გამოცხადებას, მაგრამ საბაზად აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების არსებობა დასახელეს და ამის განხორციელება შეუძლებლად მიიჩნიეს. ნიშანდობლივია დადგენილებაში ფორმულირებული შემდეგი ფრაზაც: „დროებით დატოვოს რუსული ენა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამთავრობო დაწესებულებების საერთო ენად“. როგორც ვხედავთ, რუსული იმპერიური პოლიტიკის შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ჯერ კიდევ ასრულებდა ოფიციალური ენის ფუნქციას, ხოლო დასახელებულ განკარგულებაში მას ისევე მიაკუთვნეს „საერთო ენის“ სტატუსი. აფხაზეთის კანონმდებლებმა მიღებული გადაწყვეტილებით სახელმწიფო ენისა და თავიანთი არჩევანის უპატივცემლობა დაადასტურეს, რადგან იმ პერიოდში მათ თავადვე დაუჭირეს მხარი აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლას, ხოლო საქმისწარმოებისა და სწავლების ენად – არა ქართული, არამედ სხვა სახელმწიფოს ენა აირჩიეს და დააკანონეს. ფაქტობრივად, აფხაზეთში ქართული ენა ქართველებისთვის მხოლოდ შინსახმარ ენად უნდა დარჩენილიყო, ვინაიდან პრივილეგირებული რუსული ენის ფონზე მისი ფუნქციონირების არე შესუსტდებოდა. ამ კანონით საბჭოს წევრებმა დაარღვიეს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ენობრივი უფლებები, რომლებსაც განათლების მშობლიურ ენაზე მიღებისა და სახელმწიფო სტრუქტურებში დედაენის ენის გამოყენების შესაძლებლობა შეეზღუდათ. ეს ფაქტი ნეგატიურად აისახებოდა იქ მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებზეც, რომლებიც ქართულ სახელმწიფოში უნდა ინტეგრირებულიყვნენ. მაშასადამე, ამ დაგენილების გამო, აფხაზეთის მოსახლეობა იძულებული იქნებოდა სახელმწიფო სტრუქტურებში იმ ენაზე მიეღო მომსახურეობა, რომელიც არ იცოდა. გარდა ამისა, მათი ენობრივი და კულტურული განვითარება უნდა წარმართულიყო არა მათ მშობლიურ ენებზე, არამედ სხვა სახელმწიფოს ენაზე.

ჩვენ მიერ მოძიებულ მასალებში არ ჩანს საქმისწარმოების ენად აფხაზურის დასახელების მცდელობაც კი. ამის მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი გარემოებები: იმ პერიოდისთვის (და არც ახლა) აფხაზურს არ გააჩნდა შესაბამისი ენობრივი ბაზა ოფიციალური ენის ფუნქციის შესასრულებლად; აფხაზური დამწერლობის შექმნის თარიღიდან (1862 წ.) 1918 წლამდე მხოლოდ მცირე რაოდენობის რუსულიდან ნათარგმნი რელიგიური ან სამეურნეო შინაარსის ლიტერატურა გამოიცა; 1918 წლამდე არ გამოქვეყნებულა აფხაზურ ენაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოების ნიმუშები. ასევე ნაკლებად იყვნენ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის მცოდნე აფხაზები. შესაბამისად, მხოლოდ საკომუნიკაციო აფხაზური ენით აფხაზები ვერ შეძლებდნენ საქმისწარმოებას და საჭირო მომსახურეობის გაწევას აფხაზეთის მოსახლეობისათვის.

აფხაზთა ბრალდებებს, თითქოს ქართველებმა ძალდატანებით მოახდინეს აფხაზეთში სასწავლებლებისა და სახელმწიფო დაწესებულებების ნაციონალიზაცია, უარყოფს ისტორიკოსი ჯ. გამახარია. მისი აზრით: „საქართველოს მთავრობა ნამდვილად არ ჩქარობდა სახელმწიფო დაწესებულებების ნაციონალიზაციას (საქმისწარმოება აფხაზეთში რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ურთიერთობა კი ცენტრალურ ხელისუფლებასთან სახელმწიფო ენაზე უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს მოთხოვნაც ხშირად ირღვეოდა), ქართულ ენაზე სწავლის შემოღებას, რისთვისაც მას მკაცრად აკრიტიკებდა დამფუძნებელთა კრებაში წარმოდგენილი პოლიტიკური ოპოზიცია“ (გამახარია 2007: გვ. 303-304).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ამავე მოსაზრებას იზიარებს პროფ. ზ. პაპასქირი, რომელიც წარმოგვიდგენს საქართველოს დამფუძნებელთა კრების სპეციალურ სხდომაზე ბენია ჩხიკვიშვილის სიტყვით გამოცხვას: „ბ. ჩხიკვიშვილი აღნიშნავდა, რომ საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა და არავითარ შემთხვევაში არაა მიზანშეწონილი დამალემა ქართული ენის შესწავლის საკითხში მანამ, სანამ თვით აფხაზეთის სახალხო საბჭო არ შეძლებს ქართული ენის გამოყენებას იმ მიზნით, რისთვისაც საერთოდ არსებობს ენა. ორატორის აზრით, ყოველგვარი დამალემა ამ მიმართულებით საპირისპირო შედეგს გამოიღებდა და ამგვარი პოლიტიკის გატარება საზიანო იქნებოდა“ (პაპასქირი 2007: 55). აშკარაა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული კანონებით ერთბაშად რთული იქნებოდა „გაბატონებული“ რუსული ენის იგნორირება და შესუსტება. გარდა ამისა, რადიკალური ზომების მიღებას შესაძლოა საზოგადოების უკმაყოფილება გამოეწვია. აქედან გამოდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გონივრული იყო საქართველოს მთავრობის მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი, რაც, სამწუხაროდ, არამართებულად იქნა გამოყენებული აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ.

1919 წელს აფხაზეთის კომისარიატმა შეიმუშავა ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთის ტერიტორიაზე ოფიციალურ ენად ისევ რუსული იქნა აღიარებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქმისწარმოებისა და სწავლების ენად აფხაზეთში რუსული უნდა დარჩენილიყო (ნადარეიშვილი, ჩიტაია, დავითაია 2003: 243-253). აღნიშნული პროექტის მიხედვით, აფხაზეთის სკოლებში ქართული ენა უნდა შემოეღოთ, როგორც ერთ-ერთი საგანი. თუმცა აფხაზეთის სახალხო საბჭოს ზოგიერთმა დეპუტატმა ეს გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკა. გთავაზობთ, 1919 წლის 18 ნოემბერს აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე გამართული სხდომის ოქმის იმ ნაწილს, რომელიც ამ საკითხის განხილვას ეხება:

„გ. ანჩაბაძე: (ვიანორ ანჩაბაძე იყო სოციალისტ-რევოლუციური (ესერთა) პარტიის წევრი, ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის ზურაბ ანჩაბაძის მამა) ჩემთვის კარგადაა ცნობილი, რომ სახელმწიფო სამართლის ანბანს წარმოადგენს სახელმწიფო ენის შესწავლა, თუ არა სწავლება მასზე. აქ ყველა თანახმა იყო, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილს წარმოადგენს, როგორც ეს აღიარებულია 20 მარტს, მაგრამ რატომღაც არ უნდათ ანგარიშის გაწევა იმისათვის, რომ აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს ქართული ენის სწავლების აუცი-

ლებლობა. რატომღაც ზოგიერთ დეპუტატს, როგორც კი ეს საკითხი ამოტივტივდება, ეშლება საღერღელი. მართალია, ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ აფხაზეთი – ინტერნაციონალური ქვეყანაა მოსახლეობის შემადგენლობის მიხედვით, მაგრამ ქართული ენის გაბატონება სამართლიანად უნდა იქნეს აღიარებული. ამ საკითხს პრაქტიკული მხარე აქვს. ისწავლება რუსული, გერმანული და სხვა ენები. რატომ? იმიტომ, რომ მეზობელი ერის ენის ცოდნა აუცილებელია კულტურულ-ეკონომიკური ინტერესით. გერმანული ენის წინააღმდეგნი არ არიან. მაშინ, რომელი ენა უნდა ისწავლებოდეს, თუ არა ქართული ენა, ენა მეზობელი ხალხისა, რომელსაც აფხაზეთმა თავისი ბედი დაუკავშირა. აი, როდესაც თქვენ ამ ენის წინააღმდეგ გამოდიხართ, უბრალოდ არ გესმით სახელმწიფო სამართლის ანბანი. მაგრამ, ვინაიდან თქვენ წინააღმდეგნი არ ხართ ამ ენის შემოღების, ჩვენ სწორად მიგვაჩნია, რომ შემოღებულია ეს ენა, იმიტომ, რომ მისი შემოღება სკოლებში აუცილებელია. სახელმწიფო ენა უნდა ისწავლებოდეს – ეს აქსიომაა...”

ო. ფაშალიძე: დემოკრატიული წყობისას არავითარი აუცილებელი ენა არ უნდა იყოს, მე ეს პირველად მესმის ამ კათედრიდან დეპუტატ მარღანიას პირიდან. ხდება, ალბათ, რაღაც განსაკუთრებული მუნჯური სწავლება. კომისარიატს რუსული ენის მაგივრად ქართული რომ შემოეღო, მაშინ ეს სრულიად სხვა საკითხი იქნებოდა, მაშინ ეს შეთანხმების წინააღმდეგ იქნებოდა. მაგრამ საქმე სწავლებას კი არ ეხება, არამედ შესწავლას. ეს დაუსაბუთებელი მოთხოვნაა. სწავლება მიდის რუსულ ენაზე, ქართული ენა სახელმწიფო ენაა – ეს აქსიომაა. ანბანური ჭეშმარიტების მტკიცება მიწევს, რომ სახელმწიფო ენის შემოღება აუცილებელი უნდა იყოს. რაშია დამნაშავე კომისარიატი. იმაში, რომ ამ განკარგულებამ არ გაიარა აფხაზურ სახალხო საბჭოში, რომ არ შეებღალა მისი უფლებები. სად არის აქ აფხაზური საბჭოს უფლებების შეზღუდვა, თუ მომავალ თაობას ქართული ენა ეცოდინება (სიცილი),... ჩინური ენა რომ იყოს, მაშინ ალბათ არ იქნებოდა არანაირი შეკითხვა.

ლორთქიფანიძე (სახალხო განათლების კომისარი): არანაირი ენის თავზე მოხვევა არ ყოფილა. თქვენ თვითონ ამტკიცებდით, რომ საჭიროა ქართული ენის შესწავლა, ახლა კი თქვენ კითხულობთ, რატომ გავაკეთეთ კარგი საქმე უთქვენოდ. მე ვიმეორებ, რომ ქართული ენა უცხო არაა აფხაზეთისათვის. მე მითქვამს, რომ 1/3 მშობლიურ სალიტერატურო ენად ქართულს თვლის. მე პირველად მესმის, რომ მეგრელები ქართველები არ არიან. ეს ადგილობრივი მეგრელები და აფხაზებიც კი თავის სალიტერატურო ენად თვლიან ქართულს და დაწყებით სკოლებში განათლებას ამ ენაზე ღებულობენ. აქ ნათქვამია, რომ ჩვენ დავარღვიეთ რაღაც შეთანხმება. შეთანხმებაში ნათქვამია სწავლებისა და საქმის წარმოების ენაზე და რომ ასეთ ენას ჯერ-ჯერობით რუსული წარმოადგენს. ჩვენ რომ სწავლება ქართულ ენაზე შემოგვეღო, თქვენს კითხვას საფუძველი ექნებოდა... თუ თქვენ თვლით, რომ ქართული ენის შესწავლა საჭიროა, დაადასტურეთ ეს. მე ვიმეორებ, რომ საქმე უცხო (გარეშე) ენის თავზე მოხვევაში კი არაა, არამედ სახელმწიფო ენის შესწავლაში. თქვენ უნდა აღიაროთ, რომ ჩვენ სწორად მოვიქეციით.

თარნავა (განსაკუთრებული ჯგუფი): ვაღიარებთ რა, რომ პრინციპში აფხაზეთის სკოლებში სასურველია ქართული ენის როგორც სახელმწიფო ენის შემოღება, სახალხო საბჭო პროტესტს გამოთქვამს კომისარიატის ერთპიროვნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ და უკვე თავისი სახელით ანხორციელებს ამგვარი კანონის სანქცირებას“ (აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). (პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, 2004; Гамахария, Гогия, 1997: 454-456)“.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრები – აფხაზი ვიანორ ანჩაბაძე, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს ბერძენი წევრი ივანე ფაშალიდი, ი. ლორთქიფანიძე და თვით აფხაზი სეპარატისტი მიხეილ თარნავაც კი – მხარს უჭერდნენ სკოლებში ქართული ენის, როგორც ერთ-ერთი საგნის შემოღებას, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ სახელმწიფო ენის სწავლება აუცილებელი იყო სამართლებრივად და კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც. მათი აზრით, ქართული ენის შესწავლა წარმოადგენდა „სახელმწიფო სამართლის ანბანს“, რასაც სახალხო საბჭოს ზოგიერთი წევრი არ ეთანხმებოდა, ზოგიერთს კი ამ საკითხზე საუბრისას სადღერდელი ეშლებოდა. მაგალითად, დეპუტატი მარღანია მიიჩნევდა, რომ დემოკრატიის პირობებში არავითარი აუცილებელი ენა არ უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა, განათლების სახალხო კომისრის – ლორთქიფანიძის შემდეგი სიტყვები: „მე პირველად მესმის, რომ მეგრელები ქართველები არ არიან. ეს ადგილობრივი მეგრელები და აფხაზებიც კი თავის სალიტერატურო ენად თვლიან ქართულს და დაწყებით სკოლებში განათლებას ამ ენაზე ღებულობენ“. სავარაუდოდ, ცარიზმის იდეოლოგიის ტყვეობაში ჩარჩენილი ქართული ენის მოწინააღმდეგენი ამბობდნენ, რომ მეგრელებისა და აფხაზეთისთვის „ქართული უცხო ენა“ იყო, ამიტომ მოითხოვდნენ, „თავს არ მოეხვიათ“ და არ ესწავლებინათ მათთვის „გარეშე ენა“.

ავთანდილ გავაშელიშვილის წიგნში „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა (1918-1921)“ წარმოდგენილია საარქივო მასალებში დაცული მეტად საყურადღებო ცნობები საქართველოს რეგიონებში მოქმედი საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ. მათ შორის, მოცემულია სოხუმისა და გუდაუთის რეალური სასწავლებლების, სოხუმის პირველი გიმნაზიისა და ოჩამჩირის გიმნაზიის წარმომადგენელთა მიერ განათლების კომისარიატისადმი გაგზავნილი წერილები, რომლებიც უმთავრესად აფხაზეთის სასწავლებლებში ენათა სწავლების საკითხებს ეხება. თავიანთ მიმართვებში აფხაზეთში მოღვაწე განათლების მუშაკები ერთხმად მიუთითებდნენ, რომ 1919-20 წლებში აფხაზეთის ყველა ტიპის სასწავლებელში ქართული ენა იგნორირებული იყო და სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მათი ინფორმაციით, გიმნაზიებსა და სემინარიებში ნაკლებად იყვნენ ქართველი მასწავლებლები და მოსწავლეები და სწავლა-აღზრდის საქმე, უმეტესად, არაქართველთა ხელში იყო. სასწავლო დაწესებულებებში არ ჰქონდათ ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები. მოსწავლეებიც იმ პირობით

გადაწყვედათ ქართულ განყოფილებაში, თუ მანამდე ისინი კარგად ისწავლიდნენ რუსულს. აღნიშნული წერილებიდან ჩანს, რომ ერთ-ერთ სავალდებულო საგნად ქართული შემოიღეს, თუმცა აფხაზეთში სწავლების ძირითადი ენა იყო რუსული, ან რუსული და აფხაზური (გავაშელიშვილი 2004: 102-103). თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთელი პედაგოგები განათლების კომისარიატისგან სრულიად მართებულად ითხოვდნენ, რომ ქართველებისა და ქართული ენის უფლებები არ შელახულიყო, რომ არაქართველებსაც ესწავლათ სახელმწიფო ენა და როგორმე შესუსტებულიყო უცხოელებისა და უცხო ენის (რუსულის) როლი აფხაზეთის სხვადასხვა ტიპის სასწავლებელში.

ა. გავაშელიშვილის მიერ მოპოვებულ წყაროებში წარმოდგენილია ერთი საინტერესო მიმართვაც (შედგენილია რუსულ ენაზე), რომელიც 1918 წლის 13 აგვისტოს ოჩამჩირის საქალაქო სათათბიროს თავმჯდომარეს – ს. ცომაიას საქართველოს სახალხო განათლების კომისიისათვის გაუზღავნია. აღნიშნული წერილით, ს. ცომაია საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა ყურადღება მიექციათ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისთვის, ვინაიდან სეპარატისტი აფხაზი ლიდერების ქმედებებით შეიძლება საქართველოს აფხაზეთი დაეკარგა. ს. ცომაია საუბრობდა აფხაზ ხელმძღვანელებზე, რომლებიც ხალხს თურქული ორიენტაციისკენ მოუწოდებდნენ. მისი აზრით, აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც სასწავლებლებში მხოლოდ ეროვნულ შუღლს სწავლობდნენ და რომლებმაც არ იცოდნენ ქართული ენა, ადვილად უერთდებოდნენ ანტიქართულ მოძრაობებს. სათათბიროს თავმჯდომარეს მიაჩნდა, რომ რთული მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ქართული სასწავლებლების გახსნით შეიძლებოდა, სადაც აფხაზი ახალგაზრდები ისწავლიდნენ ქართველ შემოქმედთა ნაწარმოებებს, გაიცნობდნენ საქართველოს მისწრაფებებს და დაინახავდნენ, რომ „ქართველები არასდროს არ ცდილობდნენ ვინმეს დამონებას“. სასწავლებელში აღზრდილი ერთგული მომავალი თაობა კი შეძლებდა ქართველთა და აფხაზთა კეთილშეზობლური ურთიერთობის გაგრძელებას (გავაშელიშვილი 2004: 100-102).

1920 წლის 7 ივლისს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო პარიტეტული კომისიის შეთანხმების პროექტი – აფხაზეთის მმართველობის ძირითადი დებულებების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ: „საერთო-სახელმწიფოებრივ ენად აფხაზეთში ითვლება ქართული, მაგრამ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ეკუთვნის უფლება თავისი არჩევანის მიხედვით, დაადგინოს სწავლები-სა და საქმისწარმოების ენა აფხაზეთის ყველა სამთავრობო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში“ (ნადარეიშვილი, ჩიტაია, დავითაია 2003: 229-231; სცსსა, 1833, ანაწ. 1, საქ. 865, ფურც. 11).

1920 წლის 16 ოქტომბერს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთის საკანონმდებლო კრებას უფლება ჰქონდა თვითონ აერჩია და დაეწესებინა სწავლებისა და საქმისწარმოების ენა ყველა სახელმწიფო, სასამართლო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორიულ საჯარისო ნაწილებში (ნადარეიშვილი, ჩიტაია, დავითაია 2003: სცსსა, ფ. 1833 აღწ. 1, საქ. 865, ფურც. 1-7).

1920 წლის 31 დეკემბრის აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულების ტექსტში ეწერა, რომ: „სახელმწიფო ენა აფხაზეთში არის ქართული ენა, მაგრამ სახალხო საბჭოს შეუძლია შემოიღოს სკოლებში სახმარებლად, ავტონომიურ დაწესებულებებში სალაპარაკოდ და საქმის საწარმოებლად ადგილობრივი ენა“ (ნადარეიშვილი, ჩიტაია, დავითაია 2003: 224-227; სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 863, ფურც. 93-95; იქვე, საქ. 827, ფურც. 1-3).

მაშასადამე, 1918 წელს აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებითა და 1919 წელს აფხაზეთის კომისარიატის მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტით, აფხაზეთის საქმისწარმოებისა და სწავლების ენად რუსული იქნა დაკანონებული. 1920 წელს მიღებულ აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის ორ დებულებაში კი აფხაზეთის სახელმწიფო ენად ქართული ენა დასახელდა, ხოლო ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტში საერთოდ არ მიეთითა, თუ რომელ ენას აღიარებდნენ ოფიციალურ ენად. სამივე დოკუმენტში განმარტებული იყო, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს უფლება ჰქონდა აერჩია და დაემტკიცებინა საქმისწარმოების, სამართალწარმოებისა და სწავლების „ადგილობრივი ენა“. სამწუხაროდ, აფხაზეთის უმაღლესი მმართველობითი ორგანოს წევრები თავიანთი არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამო, ადგილობრივ ენად რუსულს მიიჩნევდნენ და აკნინებდნენ საქართველოს სახელმწიფო ენას. შემუშავებული და მიღებული კანონებით კი ცდილობდნენ არაბუნებრივი ენობრივი გარემოს შექმნას, რომელსაც დროთა განმავლობაში უნდა გამოეღო მათთვის სასურველი პოლიტიკური შედეგი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთს სრული შინაგანი დამოუკიდებლობა დაუკანონა. საქართველოს ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებებით აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრებს შეეძლოთ თავადვე განესაზღვრათ აფხაზეთში საქმისწარმოებისა და სწავლების ენა. სამწუხაროდ, საბჭოს წევრებმა არ გაითვალისწინეს ადგილობრივი ქართველებისა და აფხაზების, აგრეთვე მხარეში მცხოვრები დიასპორების ენობრივი კომპეტენცია და ქართულ სახელმწიფოში რუსულს მიანიჭეს ოფიციალური ენის სტატუსი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1918-20 წლებში მიღებული ენობრივი კანონებით შეიზღუდა აფხაზეთში მცხოვრები ქართველების, აფხაზებისა და სხვა ეროვნების ადამიანების ეთნიკური და ენობრივი უფლებები. დასახელებული ენობრივი რეფორმების შედეგად, გარკვეული პერიოდის შემდეგ, რუსულენოვანი მომავალი თაობებისთვის უინტერესო იქნებოდა ქართველთა და აფხაზთა შორის არსებული ისტორიული, კულტურული და ტრადიციული კავშირები, რაც სამომავლოდ აუცილებლად, აისახებოდა მათ ეროვნულ თვითშეგნებაზე, მშობლიური ენის ცოდნასა და კულტურულ განვითარებაზე. საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს კი დედა ენის გარდა, ეცოდინებოდათ არა იმ სახელმწიფოს ენა, რომლის ტერიტორიაზეც ისინი ცხოვრობდნენ, არამედ სხვა ქვეყნის ენა, რაც თავისთავად, ხელს შეუშლიდა მათ საკუთარი კარიერის უკეთ აწყობასა და ქართულ საზოგადოებასთან სრულუფლებიან მოქალაქეებად ინტეგრირებაში.

ლიტერატურა

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988) 2004 – პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი.

გავაშელიშვილი 2004 – ა. გავაშელიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა (1918-1921), თბილისი.

გამახარია 2007 – ჯ. გამახარია, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, თბილისი.

ნადარეიშვილი 2003 – თ. ნადარეიშვილი, დ. ჩიტაია, პ. დავითაია, სეპარატიზმის პრობლემა საქართველოში, თბილისი.

პაპასჭირო 2007 – ზ. პაპასჭირო, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი II, 1917-1993, თბილისი.

ხოჯა 1999 – Ходжаа Р., Документы и материалы Абхазского Народного Совета 1918-1919 г.

SOPIKO CHAAVA

Abkhazian Linguistic Legislation in 1918-1920

S u m m a r y

According to the act by the Abkhazian Public Council (1928) and the constitutional project by the Abkhazian Commissariat (1919) the Russian language was legalized as a language for the business correspondence and teaching. This decision constricted Georgians living in Abkhazia to get education and cultural development in their native language. In the acts affirmed in 1920 the Georgian language was an official language but the Abkhazian Public Council had the right to choose a language for the business correspondence and teaching.

As it seems from the collected material in 1918-1920 in all the types of educational institutions in Abkhazia the Georgian language was ignored and teaching was possible just in Russian or Abkhazian. There were few Georgian students and teachers in gymnasiums and seminaries. Educational institutions had no Georgian books and textbooks. Instead of changing the linguistic situation the members of the Abkhazian council tried to legalize the Russian language as the official language and actively worked to weaken the Georgian language in the educational system and the state institutions.

მედეა ჭიკაძე

**როლის ცნების სავარაუდო მისია და
გავრცელების არეალი**

დედამიწაზე მცხოვრებ ცოცხალ ორგანიზმთა შორის ახალშობილი ადამიანი ყველაზე უსუსურია, მის გადასარჩენად და გასაზრდელად საჭირო და აუცილებელია სხვა მასზე ძლიერთა კეთილი ნება და ზრუნვა, რის გარეშეც მხოლოდ თანდაყოლილი ინსტინქტების ანაბარა დარჩენილი ჩვილი დასაღუპავადაა განწირული. სწორედ ამიტომ ადამიანის მოდგმისთვის განუზომლად დიდი ღირებულების მქონეა ჰუმანური ურთიერთობები და ურთიერთგაგება და მათ საფუძველზე აგებული ზრუნვის, აღზრდის და სწავლების სისტემა, რომლის სწორად ორგანიზებისასაც დაბადების მომენტში სხვებზე უსუსური ადამიანის ინფანტი ყველაზე ძლიერ და გონიერ არსებად ყალიბდება.

ურთიერთობა და ურთიერთგაგება – ეს ის წმინდა ადამიანური ფენომენებია, რომლებიც თან სდევს მას ყველგან და ყოველთვის. ანთროპოლოგია, ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, სამართლმცოდნეობა, ეთიკა, ესთეტიკა, ფსიქოლოგია და სოციოლოგია საკუთარი თვალთახედვითა და სიმბოლოებით განიხილავენ ადამიანთა ურთიერთობის ურთულეს ფენომენს და შეფასებებისა და ანალიზის თავისებურ კრიტერიუმებს გვთავაზობენ.

დღითიდღე იზრდება ამ დისციპლინებში დაგროვილი ცოდნის მოცულობა. ყოველ მომდევნო თაობას წინაზე მეტად უჭირს წინაპართა გამოცდილების სრულად გაცნობა და გამოყენება, თანაც სავარაუდოა, რომ მომავალში კიდევ უფრო გაუჭირდება, თუ არ იქნება შემუშავებული საერთო სიმბოლოების სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთიან სქემაში მოვუყაროთ თავი ამ ზღვა მასალაში სხვადასხვა ფორმით და შინაარსით მიმოხეულ სიბრძნის მარცვლებს.

ერთიანი სიმბოლური სისტემის შექმნის აუცილებლობა სულ უფრო ცხადი ხდება ადამიანით დაინტერესებული ყველა დისციპლინის წარმომადგენელთათვის. ეს გარემოება კი, ერთი მხრივ, თუ ბიძგს აძლევს მათი გამაერთიანებელი დისციპლინის აღმოცენებას, მეორეს მხრივ, ძალზე ართულებს მისი სპეციფიკის დადგენასა და საზღვრების ცალსახად გამიჯვნას.

არც დღეს არის ადვილი იმისი დასაბუთება, რომ, ზემოთ ჩამოთვლილი დისციპლინების საკვლევი სფეროების გამიჯვნის პრობლემის ნაცვლად, უნდა ვლაპარაკობდეთ ცოდნის ერთიან სფეროზე, რომელსაც ეკისრება მისია თავი მოუყაროს და ერთიანი ტერმინოლოგიით მოაწესრიგოს ადამიანური

ურთიერთობისა და ურთიერთგაგების ფენომენის შესახებ, კაცობრიობის მიერ ყველა შესაძლო ხერხითა თუ ფორმით საუკუნეების მანძილზე დაფიქსირებული გამოცდილება. თუმცადა, ასეთი გაერთიანების აუცილებლობა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ადამიანით დაინტერესებული იმ მეცნიერებისთვის, რომლებიც კვლევაში აწყდებიან შესაბამის პრობლემებს, მაგრამ მათ გადასაჭრელად არც თავად არ ყოფნით კომპეტენცია და არც სათანადო კვალიფიციური დახმარების აღმომჩენი დისციპლინა ეგულებათ. ამგვარად, მეცნიერების განვითარების ლოგიკით ცოდნის ასეთი გაერთიანება გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ მთავარია თუ პრაქტიკულად როგორ არის შესაძლებელი ამის განხორციელება.

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეცნიერებაში იმთავითვე გამოიკვეთა ორი ტრადიცია – ევროპული და ამერიკული, რომელთაგან პირველი ემყარება თეორიულ წინამძღვრებს და პასუხობს მეცნიერების განვითარების ლოგიკას, მეორე კი ემყარება პრაქტიკას და პასუხობს საზოგადოების რეალურ, პრაგმატულ მოთხოვნებს. სრულფასოვანი მეცნიერული ტრადიციის არსებობის აუცილებელი პირობა კი არის ორივე ამ მომენტის ერთობლივი წარმოდგენა და მათ შორის განსხვავება უფრო იმაზე მიაჩნდება, რომ ეს არის არა მეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპი თუ მხარე, არამედ ცოდნის სხვადასხვა შინაარსის ერთი სახელით გაერთიანება. ამავეს მოწმობს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტური კვლევის ამერიკული ტრადიცია დიდხანს განუყოფლად იყო გაბატონებული არა მარტო ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში, არამედ სხვა დისციპლინებშიც და ამუხრუჭებდა თეორიული აზრის განვითარებას, საბოლოოდ თავად ამ ტრადიციის შიგნით აღმოცენდა იმდენად მძაფრი წინააღმდეგობები, რომ მკვლევარები იძულებული გახდნენ, არა მარტო შემობრუნებულიყვნენ თეორიული პრობლემებისკენ, არამედ ეღიარებინათ, რომ ამ კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა თეორიული აზრის განვითარებაში უნდა ვეძიოთ (2; 14). საუკუნეების მანძილზე არაერთი მოაზროვნე და სხვადასხვა სფეროს მკვლევარი (ბეკონი, ალბერტ აინშტაინი, ნილს ბორი, ენრიკე ფერმი, ერნსტ რეზერფორდი, ლუი დე ბრიული, ტეოდორ კარმანი, გუსტავ რობერტ კირხგოფი, ნიკოლოზ ბოგოლუბოვი, დავიდ გილბერტი, დიმიტრი მენდელეევი, იოსებ. შუმპერი, თეოდორ კარმანი, ლუდვიგ ბოლცმანი, კურტ ლევინი, მუხამედ-ირეკლე ა. და სხვ.) მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „არაფერი არ არის კარგ თეორიაზე უფრო პრაქტიკული“ (49) და რომ ასეთი თეორიის გარეშე შეუძლებელია იმ ზღვა მასალის თავმოყრა და ერთიან სისტემაში გაერთიანება, რომელიც დაგროვდა და დღესაც გროვდება ე.წ. ექსპერიმენტული დისციპლინების მიერ, ვინაიდან „მეცნიერებას თეორიის გარეშე არ გააჩნია მეხსიერება და არ შეუძლია თავისი შეზღუდული მოდელების ინტეგრირება“ (14), ფაქტების უბრალო დაგროვება კი ვერასოდეს იქცევა მეცნიერებად, რამეთუ „ფაქტების გროვა ისეთივე მეცნიერებაა, როგორც ქვების გროვაა სახლი“ (კუანკარე, 62). ასეთი დაგროვების გამართლება კი იმ მოტივით, რომ ადრე თუ გვიან, მათ ბაზაზე შესაძლებელი გახდება თეორიის აგება სრულიად მოკლებულია რეალობას, ვინაიდან სხვადასხვა დისციპლინე-

ბის ორიგინალურ სკოლასა და მიმდინარეობაში, სხვადასხვა ტერმინოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ საფუძველზე დაგროვილი მონაცემები იმ ქვესკვირს არ ჰგავს რომელთაგანაც ადრე თუ გვიან კარგ ოსტატს ძალუძს სახლის აშენება, არამედ განსხვავებულ ნარჩენთა გროვას, რომელიც ნამდვილ სახლად ვერასოდეს გაერთიანდება, როგორც არ უნდა იყოჩალოს ოსტატმა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კაცობრიობის განვითარების მანძილზე სხვადასხვა მეცნიერებათა განვითარების ლოგიკაც ნათელყოფს, რომ თეორია მუდამ წინ უძღოდა პრაქტიკას და „თეორიას, რომ ექსპერიმენტისთვის ლოდინი დასჭირვებოდა იგი ვერასოდეს შეიქმნებოდა“ (ნოვალისი 14).

ამჟამად უკვე შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებაში პრაქტიკის ნახევარსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ ამჟამად გამოიკვეთა მეთოდოლოგიური რეფლექსიისადმი უდიდესი მოთხოვნილება, რასაც შედეგად მოჰყვა თეორიული ცოდნის ანალიზისკენ მკვეთრი შემობრუნება. ბუნებრივია, რომ თეორიისკენ მიბრუნება უმალ ვერ გადაჭრიდა იმ უამრავ პრობლემას, რომელიც დაგროვდა ჰუმანიტარულ დისციპლინებში, დღიდან მისი დაარსებისა და რომლის ამოსავალ წერტილადაც ამ დისციპლინათა იზოლირებული განვითარება იქცა. ეს გარემოება ქმნის მუდმივ ზღვარს, რომელიც სხვა სირთულეებთან ერთად, შეუძლებელს ხდის დაგროვილი მასალის გაერთიანებას. უფრო მეტიც, იმდენად დიდი გაურკვევლობა დისციპლინათა შიგნით, რომ შეუძლებელი ხდება ამა თუ იმ კერძო, პრაგმატული გამოკვლევის არა თუ სხვებთან მიმართებაში განხილვა-გაანალიზება, არამედ მისი ამა თუ იმ ტრადიციისთვის მიკუთვნებაც კი. ასევე უსისტემოდ და განკერძოებულად იქმნება თეორიები, რასაც ვერ უშველა ვერც მერტონის მიერ სოციოლოგიის სტრუქტურაში თეორიათა გრადაციის შემოტანამ (ზოგადი ე.წ. „ყოველსმომცველი თეორიები“, საშუალო რანგის თეორიები“ და „ემპირიული განზოგადებები“, რომლებიც მიიღებინა უშუალოდ ემპირიულ კვლევებში) და საშუალო რანგის თეორიებისაკენ ინტერესის გადანაცვლებამ (2; 18; 33; 34) და ვერც სხვადასხვა კლასიკური თეორიულ-ფსიქოლოგიური მიმდინარეობების (გემტალტეორია, ბიჰევიორიზმი, კოგნიტივიზმი, ფროიდიზმი) სოციალურ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განხილვამ. თეორიული და პრაქტიკული კვლევების უმთავრეს მახასიათებლებად რჩება სრული ქაოსი და ეკლექტიზმი (30), რომელიც პრაქტიკულ-პრაგმატული ამოცანების გადაჭრის ფონით უკვე ვეღარ ახერხებს ნამდვილი ვითარების დაფარვას და მეცნიერულობის პრეტენზიის გამართლებას. ეს გარემოება თანდათანობით ცხადი გახდა არა მარტო ევროპული ტრადიციის გამგრძელებლებისთვის, არამედ ამერიკული ტრადიციის წარმომადგენლებისთვისაც (2; 43). სულ უფრო მეტი მეცნიერი მიდის დასკვნამდე, რომ აუცილებელია შეიქმას ქვევის ინტეგრაციული თეორია, რომელიც ამავე დროს ურთიერთობისა და ურთიერთზემოქმედების თეორიაც იქნება (36).

ვიზიარებთ რა უკანასკნელთა შეხედულებას, ვავითარებთ აზრს, რომ ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად უმთავრესია ერთიანი სამეცნიერო ენის სტრუქტურირება, ურომლისოდაც არსებული ვითარების გამოსწორებისა და ყველასთვის მისაღები თეორიის აგების ყოველგვარი მცდელობა დასაწყისშივე წარუმატებლობისთვის არის განწირული.

თუკი აქვე გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კონცეპტუალურ ანუ კატეგორიულურ აპარატს უდიდესი ყურადღება ეთმობა და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მთელ თანამედროვე მეცნიერებათმცოდნეობაში, განსაკუთრებით კი ე. წ. არაზუსტი, ჰუმანიტარული დისციპლინების მეტა ანალიზში (2; 31) და გავიხსენებთ საყოველთაოდ აღიარებული ფრანგი ეთნოლოგის კლოდ ლევი-სტროსის სენტენციას იმის თაობაზე, რომ „ოცდამეერთე საუკუნე ჰუმანიტარული მეცნიერებებისა იქნება, თუ არა და იგი საერთოდ არ იქნება“, (6), ძალზე პრეტენზიულად აღარ მოგვეჩვენება ის ვარაუდი, რომ ჰუმანიტარული დისციპლინების ენასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაზე დამოკიდებული მომავალი. სწორედ ამაზევე მეტყველებს ცნობილი ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლის უ. ჯ. მაკ-გაირის აზრიც იმის თაობაზე, რომ „სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემათა შორის ფავორიტად იქცევა „ენის“ პრობლემა (ნ. ხომსკის სულისკვეთებით ნაკვლევი), თუკი მას არ შეავიწროვებს მეორე „შავი ცხენი“, სახელად „სოციალური პერცეფცია“ (31). უკვე თქმულს ჩვენი მხრიდან იმასდა დავამატებთ, რომ ვინაიდან ენის პრობლემის გადაჭრა მოაწესრიგებს პერცეპტუალურ შინაარსების სახელდებლას და პირიქით, ამ ორი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებას მხოლოდ ერთადაა მიზანშეწონილიც და შესაძლებელიც.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ურთიერთობისა და ურთიერთგაგების შემსწავლელ მეცნიერებებში ენის პრობლემაზე ყურადღების გამახვილება გამოწვეულია ზოგადად მეცნიერებათა განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე აუცილებლობით და მისი გადაუჭრელობა არა მარტო ამუხრუჭებს მათ შემდგომ განვითარებას და ინტეგრაციას, არამედ მიღწეული პოზიციების დათმობის საშიშროებასაც კი უქმნით. ამიტომ, გარდაუვალ ამოცანად წარმოდგება ისეთი ერთიანი ცნებითი აპარატის აგება, რომელიც თანაბარი წარმატებით დაახასიათებს, როგორც მაკრო, ასევე მიკრო სოციალურ მოვლენებს, როგორც ჯგუფის, ასევე ინდივიდუალური ცხოვრების ორგანიზაციას და ამასთან გაზიარებული და სანიმუშო იქნება ყველა დისციპლინისთვის.

ასეთი სამეცნიერო ენის ასაგებად კი ცხადია, აუცილებელი და უმთავრესია ერთეულის სწორად შერჩევა, რომელსაც როგორც საფუძველს დაეყრდნობა მთელი კონცეპტუალური აპარატი და რომლის მეშვეობითაც ცალსახად გაერთიანდება სხვადასხვა დისციპლინებში არსებულ ცნებათა მთელი ერთობლიობა. ენათმეცნიერებაში არსებული სხვადასხვა პოზიციიდან ჩვენ ვემხრობით იმას, რომელიც თვლის, რომ „ნიშანი“ (ნებისმიერი ნიშანი და არა მარტო სიტყვა), დგას რაღაც ისეთის ნაცვლად, რაც არსებობს ჩვენი ტვინის მიღმა, და რასაც ვუწოდებთ „რეალობას“ (ა. სოლომონოვი). აქედან გამომდინარე ჩვენთვის საინტერესო ფენომენის გაცნობიერებისა და სიტყვით სახელდებისთვის საჭიროა ჯერ იმისი გამოკვეთა, თუ როგორი შინაარსობრივი დატვირთვა უნდა გააჩნდეს ასეთ ცნებას; შემდეგ – იმისი დადგენა უკვე სახელდებულ სიტყვათა არსენალში რომელიმე ხომ არ მიესადაგება; ხოლო თუკი ასეთი არ აღმოაჩნდება, ახალი, ცნების შესატყვისი სიტყვის გამოყოფა და დამკვიდრება. რჩება კიდევ ერთი ვარიანტი – შესაძლოა ენაში უკვე გამოყოფილი იყოს

სიტყვა, რომელსაც ისტორიის მანძილზე ენიჭება ისეთი ფენომენის აღნიშვნის მისია, რომელიც ჯერ ადამიანთა ცნობიერებას არ „გაუსიგრძელებია“, რაც იწვევს მისთვის უამრავი ე. წ. ქვემნიშვნელობების მიწერას და პრაქტიკაში ასე გამოყენებას, იმ დრომდე, როცა დაგროვდება საჭირო ცოდნა და გამოჩნდება ისიც ვინც არა მარტო ამ ცოდნის თავმოყრის აუცილებლობას შეიმეცნებს, არამედ მის ნამდვილ არსს ყველასთვის ცხადს გახდის.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენთვის საინტერესო, ერთეულად გამოსადეგი ცნებისთვის დამახასიათებელ პირობათა ნუსხიდან პირველი და აუცილებელია მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ იგი უნდა მდებარეობდეს ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და მათთან ერთად ყველა იმ დისციპლინის გადაკვეთაზე, რომელიც ამა თუ იმ კუთხით შეისწავლის არა მარტო ურთიერთობისა და ურთიერთგაგების მრავალმხრივ ფენომენს, არამედ ზოგადად ადამიანს, რათა შეძლოს ყველა მათგანში დაგროვილი ცოდნის დაკავშირება, გაერთიანება. სისტემატიზირება და ამდენად ადვილად შენახვა და გამოყენება.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი სამეცნიერო ლიტერატურის გადასინჯვამ ნათელყო, რომ ყველა ავტორი, რომელიც ამ საკითხს გაკვირით მაინც ეხება, ასეთ სასაზღვრო ცნებად მიიჩნევს ყოველდღიური მეტყველებიდან მეცნიერებაში შემოსული სიტყვა **როლით** სახელდებულ ცნებას, რომელსაც ზოგი უწოდებს „კავშირის ან გარდამავალ რგოლს“ (3; 5; 7; 8; 10; 16; 21; 27; 28; 29; 36; 39; 44), ზოგი „დამაკავშირებელ ხიდს“ (4; 22; 28; 37; 39), ზოგი „შეხების ადგილს“ (19; 25), რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიას (2; 19; 28; 32; 42; 44), სოციოლოგიას, ფსიქოლოგიას და ფსიქიატრიას (17; 27; 32; 36), სოციალურ სტრუქტურასა და ინდივიდის ქცევას (2; 4; 5; 6; 10; 29), საზოგადოების პრობლემებსა და პიროვნების პრობლემებს (3; 5; 7; 8; 10; 29), პიროვნების სოციალურ ასპექტსა და მისსავე ფსიქოლოგიურ ბუნებას (2; 42), სოციალურ შეკვეთას, ინდივიდის ხასიათს და ქცევას (22; 28), და ა. შ.

უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ რიგ ავტორთა მიერ სწორედ როლის ცნებაა მიჩნეული საზოგადოებრივი სტრუქტურის ერთეულად (12; 15; 22; 38; 41), სოციალური გამოცდილების ამოსავალ და განმსაზღვრელ ელემენტად (11; 13), კრებით ცნებად (16; 20), ქცევის თეორიულ მოდელად (13; 16; 32; 35), ფუნქციათა კომპლექსად (40; 45), აზროვნების საწყისისა და დესკრიპციისთვის აუცილებელ ცენტრალურ კატეგორიად (23; 26).

ამერიკული ფსიქოლოგიური სოციალური ფსიქოლოგიის პატრიარქი ტ. ნიუკომბი კი როლების თეორიისადმი მიძღვნილი კომპენდიუმის შესავალ წერილში პირდაპირ აღნიშნავს, რომ როლის ცნება „რომელიც საყოველთაოდ მხოლოდ რიტორიკულად არის გამოყენებული... არის არა მარტო საუკეთესო, არამედ არსებულ ცნებათა შორის ერთერთი შესაფერისი ცნება ქცევის ინტეგრაციული თეორიის ასაგებად (19).

გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ნიუკომბის თუნდაც ზოგად, მიმოხილვით წერილში ამ სიტყვების მიგნებამ უდიდესი როლი ითამაშა ამ ურთულესი პრობლემის შესახებ წლების მანძილზე შემუშავებული ჩვენი საკუთარი

პოზიციისადმი რწმენის განმტკიცებაში და გაგვაბედინა გვეტვირთა იმისი დასაბუთება, რომ არსებულ სიტყვათა შორის, მხოლოდ ყველასათვის ცნობილ სიტყვა როლში მოიაზრება ფენომენი, რომელსაც ასეთი გამაერთიანებელი ენის ერთეულის ფუნქციას აკისრებს თავად სამყაროს აღქმისა და სახელდების ლოგიკა.

სიტყვა როლის გამოყენების არეალი მოიცავს ყოველდღიურ მეტყველებას, თეატრალურ და კინო ხელოვნების დიალექტს და სამეცნიერო ლიტერატურას. ჩვენს მიერ მრავალი წლის მანძილზე სკრუპულოზურად იქნა შესწავლილი ყველა მათგანში მისი გამოყენების დიაპაზონი და უკვე არაერთი ნაშრომიც მიემდგნა ამ საკითხებს. ეს სტატია კი ემსახურება მხოლოდ იმის ნათელყოფას, თუ როგორ არის წარმოდგენილი ეს ფენომენი მსოფლიოს ყველა ეთნოსის ყოველდღიურ მეტყველებაში.

ამის გასარკვევად წლების წინ გადავხედეთ იმ ენობრივ, უცხო სიტყვათა, ეტიმოლოგიურ და განმარტებით ლექსიკონებს, რომლებსაც თბილისის ბიბლიოთეკებში მივაკვლიეთ, მაგრამ ვინაიდან მიღებული მონაცემები მაშინვე არ გამოქვეყნდა, ადრე შეგროვებული ინფორმაცია ამჟამად უკვე შევავსეთ ინტერნეტში ენებისადმი მიძღვნილი მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანი გვერდების მონაცემებით. ამგვარად დავადგინეთ, არის თუ არა ეს ფენომენი გამოყოფილი და თუ არის, რა სიტყვით აღინიშნება მსოფლიოს ყველა ენაში. თავდაპირველად გადავსინჯეთ „გლოსბეზე“ (48) თავმოყრილი 500-მდე ენის ლექსიკონი, შემდეგ სხვა ინტერნაციონალური ლექსიკოლოგიური საიტები (46; 47; 52; 57; 59; 60; 61; 63), და ბოლოს google-ის ცალკეული ენისადმი მიძღვნილი საცნობარო მასალა (51; 53; 54; 55; 56; 58). შედეგად გასაანალიზებლად შევარჩიეთ: I. 210 თანამედროვე ენა; II. 44 ძველი ენა [1] 6 კლასიკური 2) 38 მკვდარი], III. 12 ხელოვნური [1], 8 მოქმედი; 2) 4 პროექტი] და IV. 41 ფანტასტიური ენა.

კვლევამ ნათელყო, რომ ჩვენთვის საინტერესო ფენომენის აღმნიშვნელი სიტყვა გამოყოფილია თითქმის ყველა თანამედროვე ენის, ორი ხელოვნური ენის და ერთიც ძველი (კლასიკური) ენის ლექსიკონში. ცხადია სტატიის მოცულობის რეგლამენტში ვერ ჩაეტეოდა ყველა ენის მასალის სრულყოფილად წარმოჩენა, ამიტომ სანიმუშოდ და გასაანალიზებლად ამჯერად წარმოვადგენთ ყველა იმ ენის მონაცემს რომლებშიც გამოყოფილი აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო ფენომენი. იმ ენებში არსებული ვითარების გასაანალიზებლად კი, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი ლექსიკური ერთეული, დავამატეთ მსგავსი სტატუსის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფის ის ენები, რომელზე მოსაუბრეთა რიცხვი 1000-ზე მეტია და ის ენებიც, რომლებიც ცნობილია ქართულ ენაზე მკითხველთათვის, უახლესი ისტორიული ხვედრის თანაზიარობის გამო.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ინტერნაციონალური ლექსიკონების გარდა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე გადახედილი მასალიდან ყველაზე ამომწურავი ინფორმაცია განთავსებულია რუსულ საინფორმაციო გვერდებზე და ამიტომაც მხოლოდ ისინი მივუთითეთ, ხოლო, იბერიულ-კავ-

კასიური ენების გასაანალიზებლად ვისარგებლეთ ინტერნეტის ქართული გვერდებით (49; 50) და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ შედგენილი ლექსიკონებით.

მოძიებული მონაცემების თანახმად, მსოფლიოს ენებიდან გამოიყოფა 5 ჯგუფი:

1. ენები, რომელთა ლექსიკონში სიტყვა როლის გასწვრივ წერია ერთი სიტყვა, რომელიც არ არის დამყარებული „როლ“ ფუძეზე. ასეთია მაგ.: ამჰარული (25 მლნ.) – mina; არაბული (323 მლნ.) – (dawr); ბენგალური (250 მლნ.) – ভূমিকা (bhumika); ბოსნიური (1 334 000) – uloga; გალიური (3,2 მლნ.) – papel; გუჯარათი (45,1 მლნ.) – (bhumika); ესპანური (400 მლნ.) – papel; ვიეტნამური (75 მლნ.) – vai tro; ზულუ (11 მლნ.) – indima; იავური (100 მლნ.მდე) – perena; იაპონური (140 მლნ.) – 役割 – (yakuwari) ; ი(3) ორუბა (200მლნ.-ზე მეტი) – ipa; ისლანდიური (306 000) – hlutverk; კანადური ენა კრი (117 410) – Pātra; კორეული (78 მლნ.) – yeoghal (укхаль); ლათინური – officium; ლაოსური (23 მლნ.-მდე) – ພາລາບອດ (phalabodbad); ლატვიური (1,5 მლნ.-მე) – loma; ლგბო (ნიგერიული) (25 მლნ.-ზე მეტი) – r ; ლიტვიური (3 მლნ.-ზე მეტი) – vaidmuo; მაკედონური (3,5 მლნ.-მდე) – uloga; მალაგასიური (18 მლნ.) – andraikitra; მალაილამი (37,5 მლნ.) – പക (pa k); მალაიური (10 მლნ.-ზე მეტი) – peranan; მარათჰი (70 მლნ. მშობლ.) – भूमिकाbhumika; ნანაური (1 347) – изюхе; ნეპალური (35 მლნ.) – Bhūmikā; პენჯაბური (100 მლნ.-ზე მეტი) – Bhūmikā; სამოური (370 000) – matafaioi; სებუანური (31 მლნ.) – papel; სესოთო (5 მლნ.-მდე) – karolo e phethoang ke; სინჰალური (16 მლნ.) – bhūmikāva; სლავური (5,2 მლნ.) – uloha, სლოვენური (2,2 მლნ.) – vloga; სომალი (25 მლნ.-მდე) – doorka; სომხური (6.7 მლნ.-მდე) – դեր (der); სუნდური (867 000) – peran; ტაგალოგური (49 000) – papel; ტაილანდური 46 მლნ.) – บทบาท (Bthbāth); ტელუგუ (80 მლნ.) – Pātra; უნგრული (14 მლნ.) – szerep; ქხმერული (22 მლნ.-მდე) – tuonati; ქსოზა (8 მლნ.-მდე) – indima; შონა (10 მლნ.) – basa; შოტლანდიური (კელტური) (92 400) – dreuchd; ჩევა (ნიანჯა) (9 მლნ.-ზე მეტი) – ntchito; ჩინური (გამარტივებულიც და ტრადიციულიც) (1 213 მილიარდი) – 角色 (Juésè); ხორვატიული (6 მლნ.-ზე მეტი) – uloga; ჰავაური (27 160) – a Ma`noa; ჰაუსა (24 მლნ.-ზე მეტი) – rawa; भूमिकाჰმონგო (მიაო) (4 მლნ.), – lub luag hauj lwm.

2. ენები, რომელთა ლექსიკონში სიტყვა როლის გასწვრივ წერია ერთზე მეტი სიტყვა, რომელთაგან არცერთი არ არის დამყარებული „როლ“ ფუძეზე, მაგ.: ბირმული (42 მლნ.) – 1) акхан, 2) акханканда, 3) еиепочжун, 4) эмеичжин, 5) тхучачжин; ებრაული (ივრითი და ლადინო-სეფარდული) (9 მლნ. + 150000) – 1) tafkid, 2) khik; მარო (160 000) – 1) tūranga, 2) pæg; პორტუგალიური (240 მლნ.) – 1) papel, 2) parte; სვანური (43.000) – 1) лечвме, 2) махвiа; სუაჰილი (150 მლნ.-ისთვის მეორე, 5 მლნ.-მშობლ.) – 1) hadhi, 2) daraka, 3) jukumu; ტამილური (70 მლნ.) (70 მლნ.) – 1) Pa ku, 2) паттирамб.

3. ენები, რომელთა ლექსიკონში სიტყვა როლის გასწვრივ წერია ერთზე მეტი სიტყვა, რომელთაგან ერთი ან მეტი დამყარებულია „როლ“ ფუძეზე, მაგ.: ადიღური (ჩერქეზული) (96 331) – 1) роль, 2) махъана; ბაშკირული (1 მლნ.-ზე მეტი) – 1) роль, 2) вазиџа 3) сифат 4) урин; დარი – (15 მლნ.) – 1) наки, 2) рол; ესტონური (1,1 მლნ.) – 1) osa, 2) roll; თათრული (5,5 მლნ.-მდე) – 1) тоткан урын, 2) рол; იაკუტური (450 140) – 1) оруол, 2) уле; ინგლისური (მშობლიური 309 მლნ, მეორე 1400 მლნ.) – 1) capacity, 2) part 3) role; ინდონეზიური (200 მლნ.) – 1) peralan, 2) role; იტალიური (70 მლნ.-მდე – 1) parte, 2) ruolo; ყალმუხური (80 546) – 1) роль, 2) чинр; კომი (219 205) – 1) роль, 2) ворсџм; კატალანური (11,5 მლნ.-მდე) – 1) paper, 2) rolo; მონღოლური (5,7 მლნ.) – 1) рол, 2) жужиглэхуг 3) рэг; პუმტუ-(60 მლნ.-მდე) – 1) наки, 2) рол; სერბული (12 მლნ.) – 1) улога, 2) rolo. სერბო-ხორვატული (21 მლნ.) – 1) улога, 2) рола; ტაჯიკური (8 მლნ.) – 1) на шиб, 2) роль; 2) выран, 3) пултереш; ფინური (7 მლნ.) – 1) osa, 2) role; ყაზარდოული (ყაზარდო-ჩერქეზული) (311.078) – 1) кьалэн, 2) роль, 3) мыхьэнэ; ჩეხური (12 მლნ.) – 1) uloha, 2) role; ჰინდი (490 მლნ. მშობლ.), – 1) bhomika; 2) part, 3) rol.

4. ენები, რომელთა ლექსიკონში სიტყვა როლის გასწვრივ წერია მხოლოდ „როლ“ ფუძეზე, დამყარებული სიტყვა ან სიტყვები. მაგ: ხუნძური (762 000) – роль; აზერბაიჯანული (30 მლნ.), – rol; ალბანური – rol; აფხაზური (79.385) – ароль; აფრიკანსი (10 მლნ), – rol, rolo; ბასკური (1 მლნ.) – rol; ბელორუსული (6,4 მლნ.) – роля; ბერძნული (13 მლნ.-ზე მეტი) – ρόλος; ბულგარული (9 მლნ.-მდე) – роля; გერმანული (105 მლნ.-მდე) – rolle; დანიური (5,7 მლნ.) – rolle; დარგუული (227.302) – роль; ებრაული-იდიში (3 მლნ.-მდე) – role; ესპერანტო (2000-მდე) – rolo; თურქული (77 მლნ.) – rol; ინტერლინგვა (-) – rolo; ირლანდიური(1,66 მლნ.) – rol; კორსიკული (100 000) – rolu; ლუქსენბურგული (400 00) – roll; მალტური (37 მლნ.-ზე მრტი) – rwol; ნორვეგიული (4,5 მლნ.) – rolle; ოსური (530 000) – роль; პოლონური (40 მლნ.-მდე) – rola (rolka); რუმინული (28 მლნ. – rol; რუსული (118 მლნ.-მდე) -роль; სლოვაკური (5,2 მლნ.) – role; სპარსული (53 მლნ.-მდე) – نقش (рол), უელსური (750 000) – rôl; უზბეკური (25 მლნ.-მდე) – role; უკრაინული (37 მლნ.-მდე მშობლ) – роль; ფინური (7 მლნ.) – rooli; ფრანგული (274 მლნ) – rôle; ფრიზული (750 000) – rol; ქართული (4 100 000) – როლი; ქურთული (30 მლნ.-მდე) – rola; ყაზახური (11 მლნ.) – p li; ყირგიზული (4 მლნ.) – ролу; შვედური (10 მლნ.) – roll; ჩეხური – (12 მლნ.) – role; ჩუვაშური (1 042 989) - роль; ჰაიტური კრეოლი (12 მლნ.) – wol; ჰოლანდიური(ნიდერლანდური) (22 მლნ.) – rol.

5. ენები, რომელთა ლექსიკონში საერთოდ არ არის მითითებული როლის შესატყვისი სიტყვა: აბაზური (24.000), ალბანური (7,6 მლნ.), ალტაური (55 720), ბურიატული (283 000), დურგანული (100 00-მდე), ევენკური (ლამეტური) (5 656), ერზიანული (514 322), თაბასარანული (54.574), თურქმენული (6 563 0000), იაო(მენი) (900 000), ინგუშური (153 483), კორიაკული (1 665), ლაზური (250 000), ლაკური (82 010), მარიული (30 000-მდე), მეგრული (500 000), მორდოვული (432 6920), მოქშური (2025), ნივზური (198), ნოღაური (87 119),

სინდური (20 მლნ.), ტუვინური (356 673), უდმურტული (ვოტური) (324 338), უიღურული (10 მლნ.), ურდუ (60 მლნ.-მდე მშობლ.), ყარაყალპაკური – (412 000), შოტლანდიური (გერმანული) (1,5 მლნ.), ჩეჩნური (604 655), ხაკასური (42 604), ხუნძური (385.043).

შერჩეული მასალის, ენობრივი ჯგუფებისადმი კუთვნილების თვალსაზრისით განხილვამ ცხადყო, რომ ხელოვნურ, სლავიანურ (როგორც აღმოსავლურ, ასევე სამხრეთულ და დასავლურში), გერმანულ, რომანულ, თურქულ ენებსა და ყველა იმ ანბანის არმქონე ენაში, რომელთაც წინა საუკუნეში დამწერლობად კირილიცა ან ლათინური აირჩიეს, ანდა ისტორიამ მათთან საერთო ხვედრი არგუნა, გამოყოფილია როლის ფენომენი, რომელსაც შეესატყვისება სწორედ „როლ“-ზე დაფუძნებული და საკუთარი ენის ფონეტიკის შესაბამისად აჟღერებული სიტყვა, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში მასთან ერთად გამოყოფილია ამ ენის ლექსიკის თვითნაბადი სიტყვაც.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ როლის ფენომენი გამოყოფილია და თანაც ხშირად „როლ“ ფუძესთან დაუკავშირებელი სიტყვით ზემოთ ჩამოთვლილი ენობრივი ჯგუფებიდან დამოუკიდებელ ჯგუფებში: სხვა ინდოევროპულ, ბალტიურ, თანამედროვე ფინო-უგორულ, სემიტოქამიტურ, ტიბეტურ და სხვა ბუნებრივ ენებში. ამასთან, ამ ჯგუფების ენიდან ბევრში უკვე მითითებულია „როლ“ ფუძის შესატყვისი სიტყვაც, რომლის ფონეტიკური ჟღერადობა ნათელყოფს, რომ ზოგან ის შესულა ხელოვნური ენიდან, ზოგან კი იმ ბუნებრივი ენიდან, რომელთანაც ისტორიულად ჰქონდა მჭიდრო კავშირი.

გარდა ზოგადი ანალიზისა, ჩატარებულ იქნა კონკრეტული ანალიზიც, რომლის კერძო მაგალითად აქ წარმოვადგენთ იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფის მონაცემებს. ამ ჯგუფის იმ ენებისთვის, რომლებზე მოსაუბრეთა რიცხვი 200-დან 11000-ამდეა, ინტერნეტ-ლექსიკონი ვერ მოიძებნა. ხოლო იმ ენათა ლექსიკური ფონდი, რომელთა ლექსიკონებსაც მივაკვლიეთ, უმთავრესად მხოლოდ მათი წიაღიდან წამოსულ თვითნაბად ლექსიკას ასახავს. ამასთან, ქართველური ენების გარდა რომლებმაც ტრადიციულად უძველესი და ორიგინალური ქართული ანბანით სარგებლობა განაგრძეს, ამ ჯგუფის ყველა სხვა ენამ, რომელთაც საკუთარი ანბანი არასოდეს ჰქონიათ და რომელიმე სხვა ანბანს იყენებდნენ, გასული საუკუნის დასაწყისში დამწერლობად „კირილიცა აირჩია“ და ამდენად, სავარაუდოა, რომ ამ ენებში, საუკუნის მანძილზე რუსულიდან შევიდოდა შესაბამისი ჟღერადობის ტერმინიც და ამდენად ფენომენიც და თუ ვინმემ, მხოლოდ ამ ენათათვის შეადგინა „უცხო სიტყვათა ნაკრები“, (ინტერნეტში ვერ მივაგენით, თუ არ არის?) ის იქ აუცილებლად მოხვდებოდა. სხვა მსგავსი სტატუსის მქონე ენების ლექსიკური მაგალითების გაანალიზება სრულ უფლებას გვაძლევს ზემოთ თქმული გავავრცელოთ ყველა იმ ენაზეც, რომლებიც უახლოეს წარსულში ყოფილი საბჭოეთის, ყოფილი სოციალისტური ბანაკის საზღვრებში მოქცეულ ეთნოსებს ეკუთვნით და რომელთათვისაც რუსული მეორე აუცილებლად სასწავლ ენას წარმოადგენდა თითქმის საუკუნის მანძილზე.

ამასთან, სრული უფლება გვაქვს მსგავსი დასკვნები გავაკეთოთ სხვა ენებზეც, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე სხვისი კოლონიები იყო, ან რომელსაც საკუთარი დამწერლობა არ ჰქონდა და სხვისგან აიღო (ანდა ერთიც და მეორეც). ყველა ასეთმა ეთნოსმა ამ ფენომენის აღმნიშვნელი სიტყვა თავის ლექსიკურ ფონდში იმ ენიდან შეითვისა, რომელთანაც გადაიკვეთა მათი ისტორია.

ენობრივი მასალის ზოგადი ანალიზიდან გამოიკვეთა ისიც, რომ თვითნაბადი სიტყვები, როგორც წესი, გვხვდება იმ ენებში, რომელთა რიცხვიც დიდია, დამწერლობაც საკუთარი აქვთ და თავად გვევლინებიან არაერთი მცირერიცხოვანი, ან უდამწერლობო ეთნოსის ნებაყოფლობით თუ ძალისმიერ შემოერთებლებად და ლექსიკის შემავსებლად. ოღონდ, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არიან ენები, რომელთაც, მიუხედავად მცირე ტერიტორიზე გავრცელებისა, მასზე მოსაუბრეთა მცირერიცხოვნობისა, საკუთარი დამწერლობის უქონლობისა და ისტორიის ჩვენთვის ცნობილ მანძილზე დამოუკიდებლად არარსებობისა, თავიანთ ლექსიკაში მაინც მოეპოვებათ სიტყვა როლით გამოყოფილი „ენის ერთეულისთვის ნიშანდობლივი“ არსი. ასეთ გამონაკლისთა კონკრეტულ მაგალითად განვიხილავთ სვანურ ენას (მოს.-43.000, ტერიტ.-4 389კვ.მ.), ისევე იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფიდან. ი. ი. ნიჟარაძის რუსულ-სვანურ ლექსიკონში (63) სიტყვა „риль“-ის გასწვრივ მითითებულია მხოლოდ თვითნაბადი სვანური სიტყვები 1) лечвме, 2) махвია. ვ. თოფურისა და მ. ქალდანის სვანურ ლექსიკონში კი (1) – ამ სიტყვების ასეთი განმატრებაა: ლეჩვმე – *საქმნელი, შესასრულებელი*; მახვია – *ხვედრი, წილი, წვდომა*. ეს შესატყვისები უდაოდ ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ ამ სიტყვებით გამოყოფილია ზუსტად ის არსი, რაც იგულისხმება როლის ცნების, როგორც ერთეულის ფენომენში და იმაზე მეტყველებს, რომ სვანურმა იგი გამოყოფილია ადრე ვიდრე თეატრალურ სცენაზე გათამაშებულ როლს სამყაროსეული სცენის წილობრივ თუ ხვედრით ფრაგმენტაციასთან გააიგივებდა. ქართველებისთვის კი ულექსიკონოდაც ცხადია ის, რომ დღევანდელ სვანურში უდაოდ არის შესული სიტყვა როლიც მისი ნიშანდობლივი მნიშვნელობით და რომ ის არამც და არამც არ არის თავად ამ ენის წიაღში სახელდებული ფენომენი. ცხადია ის იქ ქართულზე გავლით მოხვდა.

იბერიულ-კავკასიური ენებიდან როლის ცნება შესულია კიდევ ოთხ ენაში. ორი ენის – ყაზარდოულისა (ყაზარდო-ჩერქეზულის) და ადიღეულის (ჩერქეზულის) ლექსიკონებში მითითებულია რუსულიდან უცვლელად (როგორც ანზანის, ასევე ჟღერადობის თვალსაზრისით), შემოსული სიტყვა рильიც და უშუალოდ ამ ენათა წიაღში შობილი შესატყვისებიც: – кьалэн, – мыхьэна (შესაბამისად). ორის – აფხაზურისა და ქართულის ლექსიკონებში კი მითითებულია მხოლოდ ამ ენათა გამოთქმისა და დამწერლობის შესაბამისი შესატყვისები: „ароль“ და „როლი“. ეს გარემოება ზემოთ გაშლილი ანალიზისას გამოთქმული ვარაუდის კონკრეტული დასტურია და ამას ასევე ადასტურებს ყველა ზემოთ მითითებული თუ სტატიის მიღმა დარჩენილი, მრავალრიცხოვანი თუ გადაშენებამდე მისული, უძველესი დამწერლობის თუ უდამ-

წერლობო, ლამის დედამიწის მეოთხედზე გადაჭიმული, თუ მიწის პატარა ნაგლეჯზე მობინადრე ეთნოსების ენის ლექსიკის კონკრეტული ანალიზიც. ცხადია, ზემოთ სანიმუშოდ მოყვანილი ენების კერძო ანალიზს ეს სტატია ვერ დაიტევს და არც არის საჭირო. რომელიმე ენით კერძო დაინტერესებისას ზემოთ ასახული მასალის საფუძველზე და იბერიულ-კავკასიური ენების კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით მკთხველი ადვილად მიხვდება წარმოდგენილი დასკვნებიდან მას რომელი მიესადაგება.

დასასრულ, ყოველივე ზემოთ თქმული შესაძლოა ასე შევაჯამოთ: სიტყვა როლის შესატყვისი სრულუფლებიანი ლექსიკური ერთეული არსებობს ყველა, როგორც ძველი ცივილიზაციის ასევე შედარებით პრიმიტიულის, როგორც აღმოსავლეთის ასევე დასავლეთის, როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთის ენებში, მიუხედავად მათი რაოდენობის, ტერიტორიის, თვითნაბადი დამწერლობის ქონა-არქონისა და დღევანდელი სტატუსისა. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ სიტყვით აღნიშნული ფენომენი იმდენად დიდი მნიშვნელობის მქონეა საზოგადოებრივი ყოფისთვის, რომ ყველა ენის ევოლუციის პროცესში გამოყოფილა და დაფიქსირებულა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ზოგ ენაში აღნიშნულია სრულიად დამოუკიდებლად წარმოშობილი ორიგინალური ჟღერადობის სიტყვით, ზოგში სხვა ენიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულით, ზოგშიც ერთითაც და მეორითაც, ყველაზე ფართოდ და შესაძლოა ითქვას, საყოველთაოდაც, გავრცელებულია „როლ“ ფუძის შესატყვისი ფონეტიკური ერთეული. ამ ფაქტებით დასტურდება თანამედროვე მსოფლიოში სიტყვა როლის ინტერნაციონალურ სიტყვად მიჩნევის სამართლიანობაც და მისით გამოყოფილი ფენომენის საყოველთაო ხასიათიც. ორივე ეს გარემოება კი უდაოდ დიდი პლიუსია ყოველდღიური მეტყველებიდან მომდინარე სამეცნიერო ტერმინისათვის და ამ ტერმინით აღნიშნული სამეცნიერო ცნებისთვის საიმისოდ, რომ მათი კომბინაცია მიჩნეულ იქნას საყოველთაო ინტერდისციპლინარული და ინტერნაციონური ენის ერთეულის ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მისიის ტვირთებისთვის ღირსეულ, (სხვა კვლევებზე დაყრდნობით კი უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ასევე ერთადრთ უფლებამოსილ) პრეტენდენტად.

ლიტერატურა

1. ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი – სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.
 2. „...“, 1978. . 20
 3. „...“, 1961
 4. „...“
- . 1978. . 3, . 33

5. . . . « » . – 25. . : 1979. . 2. . 19.
6. . . . ?
<https://lenta.ru/conf/kosikov/>
7. . . . 1967. . 118
8. . . . 1974. . 9 . – . :
9. . . . 1969. 6. . 24, . 153-154 . – . :
10. , 1981. . I. § 2. . 61
11. . . . - . . . , 1971. . 10, . 123.
12. . . . - . : . . . , 1980. . 61
13. . . . ,, ,, ,, 1990.
14. ,, (. . .) , . 1984. . 227-228
15. ,, 1983. . 4.
16. . . . 5, 1972. . 102
17. 5. 1971.
18. 1968. . 39
19. Biddle R. J. Thomas E.I., Role theory. New-York/Wiley. 1966. p.4
20. Collins English-Russian Dictionary. A i r l i e M. (Edit.) Harper Collins Publishers. 1996.
21. Dictionnaire De Philosophie. Armancolin. Baraquin N; Baudart A; Dugue T; Laffitte T; Ribes F; Wilfert T. 1995. p.285.
22. Dictionary of sociology, – Nicholas Abercrombie, Stephen Hill and Bryan. S Turner. Published by the Penguin Group., London. England. 1988.
23. Encyclopedia of Psychology Edited by Eysenck H. J., Arnold W., Meiti R. v.3. Search Press. London. 1972.
24. Godol J. P. On the system of representations in a group situation – Europ. I. Soc.Psychol., 1974, N4(13), p.343-365.
25. Handbook of Social Psychology. vol.I.By G. Lindsay. 1959. p.223.
26. Le Robert Dictionnaire D’aujourd’HUI. (redaction dirigee par Alain Rey). Paris. 1995. p. 438./787./906./968./387.
27. Lexikon der Psychologie.. Neuausgabe Herder. Freiburg. Basel. Wien. 1980.
28. Linton R. The Study of Man. N.Y., 1936, P. 113.
29. Longman Dictionary of the English Language. Longman. 1993.

30. *McDavid J., Harary H.* Social psychology: individuals, groups, societies. N. Y., 1968. P. 20-21.
31. *Mc. Guire W. J.*, Person perception. – In: Lindsey., Aronson E., (eds): The handbook of social psychology, v.1. Reading, 1968. p. 141.
32. Meed G. H. Morris C. W., (ed) Mind, self and society from the stand point of a social bihevorist – Chicago, University of Chicago Press, 1934.
33. *Merton R. K.* Social theory and Social struktyre. N. Y., 1957. p.5-6.
34. *Merton R. K.* Society and theory in Sosial Psychology. – In The Context of Social Psychology: a critical assesement (end by I. Iszrael and H. Tajfel) – London and New-York. 1972.
35. *Neiman L. J., Hughes J. W.* The problem of the concept of role. Are-survey of the literature, in „Social Forces“, 1951. v.30. 2, p. 141-149.
36. *Newcomb T. H. u. Hartley E. L.* Readings in Social Psychology, – D e r s.: Role and Status. New York 1947, p. 11
37. Nouvelle edition. Le Petit Robert. De Paul Robert. Dictionnaire De La Langue Francaise. R. Paris. 1993. p. 149-150./942-943./1735-1736./ 1995./2143.
38. Oxford Advanced Learner’s Dictionary of Current. H o r n b y A. S. Fifth edition. C r o w t h e r J. Oxford university press. 1996.
39. Pattern and Growth in Personaly By G.Allport – N. Y., 1961. p. 18.
40. *Sarbin T.R.* Role theory. In. Lindsey. (ed.) Handbook of social psychology. vol.I. Cambridge. Mass, Addison-Wicsley, 1954. p.224.
41. *Silverman Robert E.* Psychology. N. Y. University. 1971. p. ~664.
42. The Concise Oxford Dictionary Thumb Index Edition. A l l e n R.E. (Edit.) Clarendon Press. Oxford. 1992.
43. The context of social psychology: a critical assessment. Tajfel H., Israel J. (eds.) N. Y. – London, 1972.
44. The handbook of social psychology. Lindzey G., Aronson E., (eds) v.1-5 Reading 1968-1969. XI.
45. *Znanjcky F.*, The social role of the men of knowladge, N.-Y. Columbia University Press., 1940. p.14.
46. <http://classes.ru>
47. <http://dic.academic.ru>
48. <https://glosbe.com>
49. <http://eidograph.livejournal.com/90155.html>
50. <http://ice.ge/liv/liv/index.php>
51. <https://ka.wikipedia.org> /კავკასიური ენები
52. <http://poliglos.info/old.php>
53. <https://ru.wikibooks.org>
54. <https://ru.wikipedia.org/wiki>
55. <https://ru.wikiquote.org/wiki>
56. <https://ru.wikisource.org/wiki>
57. <https://ru.wiktionary.org/wik/57>

58. <http://smarttranslator.ru>
59. <http://translate.academic.ru>
60. <https://translate.google.ge/?hl=ka&tab=wT>
61. <http://webtran.ru/translate>
62. <http://wisdomcode.info/ru/quotes/authors/51174.html>
63. http://vk.com/doc-60301572_330549702?dl=76f3a4051031da95c7

MEDEA CHIKADZE

The Possible Mission and the Distribution Area of the Concept of a *Role*

S u m m a r y

The amount of the practical knowledge about the human relations and understanding cumulated with own perspective and symbols, the criteria of peculiar evaluation and analysis in the humanitarian disciplines (anthropology, linguistics, ethnography, law, ethics, esthetics, psychology, sociology etc) increases day by day. Every successive generation finds it difficult to learn and use the ancestral experience completely. It will be more difficult in the future unless the unified theory built on the system of common symbols giving a possibility to bring the wisdom together is produced.

Obviously, if such a system is created it should be not only interdisciplinary but also international to take the responsibility of uniting and setting everything.

All of the scientists who understand the need of creating such a symbolic system pay attention to the concept of a role entered from the everyday language into the social disciplines and consider it as a carrier of interdisciplinary and international essence.

Over the years we have thoroughly studied the information about the said concept including the fact how the word “a role” is presented in all the languages of the world. In this paper we offer the readers the general results of the study accompanied by the private analysis of the examples of the Ibero-Caucasian languages.

We can summarize the results of the study as follows: the lexical unit matching the word “a role” exists in all national, old civilization, relatively primitive, eastern and western, northern and southern languages regardless of their number, area, own script or current status. This fact allows us to conclude that this phenomenon has so great importance for the social life that it was a part of the evolution of all languages.

In addition, despite the fact that in some languages this concept is expressed by the word derived independently and having the original sound while in other languages the word is a borrowing we can surely say that the most widespread phonetic unit is the one matching the base „**rol**“. These facts prove that it is justifiable to consider the word “a role” as an international word in the modern world and recognize the universal nature of its phenomenon. Both of these circumstances is certainly a big plus for a scientific term entered from the colloquial speech and the scientific concept expressed by this term to consider their combination as a deserving contender (based on other studies we have the right to say – the only rightful contender) to take the responsibility of the general interdisciplinary and international linguistic unit.

როენა ჭკადუა

**ენობრივ მოვლენათა დინამიკა სვანურ სახელურ-ზმნურ
ფუძეთა ცვლილებების მიხედვით**

ენობრივ მოვლენათა სირთულესა და დინამიკურ ხასიათს („მდინარობას“) არნ. ჩიქობავამ ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ფუნდამენტურ გამოკვლევაში „გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები“ (I, II), გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ენობრივი მოვლენის შესწავლისას გასათვალისწინებელია როგორც სტრუქტურა, ისე ფუნქცია ამ მოვლენისა (ჩიქობავა 1940: 159).

ფუნქციის (ანუ გრამატიკული შინაარსის) „სამოსს“ უწოდებს ფორმას ავ. შანიძე. „გრამატიკა სწავლობს ენის აგებულების საკითხებს: სიტყვათა შედგენილობას, მათ ფორმასა და ფუნქციას“, ხოლო ფუნქცია ირკვევა სიტყვის ფორმათა შეპირისპირებით და, ამავე დროს, „ფორმა ფუნქციისათვის არის შექმნილი და არა ფუნქცია ფორმისთვის“ (შანიძე 1980: 621).

ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის საკითხებზე მსჯელობისას, ბ. ჯორბენაძე შენიშნავს, რომ ენობრივი ფორმიდან ამოსვლით კვლევისას უნდა დადგინდეს, თუ რომელი ფუნქციით ხერხდება ამ ფორმოზომიერ სტრუქტურის აღჭურვა. ფუნქციაში მეცნიერი გულისხმობს როგორც ლექსიკურ, ისე გრამატიკულ მნიშვნელობას (ჯორბენაძე 1980: 36, 116).

მორფოლოგიური ანალიზისას სინტაქსური და სემანტიკური ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობაზე არის საუბარი წიგნში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ (გოგოლაშვილი 2011: 44).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მუდმივად მიმდინარეობს მსჯელობა ენობრივი ფორმისა და ენობრივი ფუნქციის ურთიერთმიმართების შესახებ. ა. ონიანი წიგნში „სვანური ენა“ წერს: „...მართალია, მნიშვნელობა არ არის მორფოლოგიის შესწავლის უშუალო ობიექტი, მაგრამ მორფოლოგიური ანალიზი მნიშვნელობის გათვალისწინებასაც მოითხოვს“ (ონიანი 1989: 53). ამ საკითხთა ირგვლივ მრავალი საყურადღებო თვალსაზრისი არსებობს. მათგან ჩვენ მხოლოდ ნაწილს შევხებით.

არსებული თვალსაზრისების გათვალისწინებით, წინამდებარე სტატიაში ვეცდებით, ერთი კონკრეტული სახელურ-ზმნური სტრუქტურის ფორმალური ცვლილებების საფუძველზე გავაანალიზოთ, თუ რა გავლენას ახდენს ეს ცვლილებები, ერთი მხრივ, გრამატიკულ მნიშვნელობაზე და, მეორე მხრივ, სემანტიკური ნიუანსების წარმოჩენაზე. დავაკვირდე-

ბით, თუ რამდენად იცვლება ძირისეული მორფემის თავდაპირველი მნიშვნელობა, რა დამატებით სემანტიკურ ელფერს იძენს ნაწარმოები ფორმები და რამდენად ხდება აფიქსთა ფუნქციების გადააზრიანება.

საილუსტრაციოდ ვარჩიეთ სახელურ-ზმნური **ფიცხ-ფეცხ** ფუძე, რომელიც, როგორც სახელი, ონომაპოეტურთა რიგებშია, ხოლო, როგორც ზმნა, ფუძედრეკადთა კატეგორიას განეკუთვნება.

ერთმარცვლიანი CVCC სტრუქტურის მარტივი ფუძე **ფიცხ-** სვანურში ომონიმური მნიშვნელობით დასტურდება:

1. ფიცხი, ფიცხელი (ფიცხ მარე „ფიცხი კაცი“)
2. სულ მცირე, „ერცახე, ნამცეცი“ (კ. დონდუას თარგმანი).

ჩვენთვის საინტერესო მეორე მნიშვნელობის **ფიცხ** საერთოა სახელისა და ზმნისათვის. როგორც სახელი იგი აღნიშნავს, ერთი მხრივ, რაიმე მატერიალური საგნის ნაწილს (ნამცეცი პურისა, ქვისა...), ხოლო, მეორე მხრივ, არამატერიალურ **მცირე ხმას, ჩქამს**.

- დბრი ფიცხ დემე ხბზ** ბზ. „პურის ნამცეცი არ უძევს“
ფიცხ თაშ დემე ემსად ბზ. „ნამცეცი ყველი არ დამრჩა“
ფიცხ ნრმა ათკუბრი გიმთე ბზ. „ნამცეცი არ დააგდო მიწაზე“

მცირე ხმის მნიშვნელობით **ფიცხ** ძირითადად გამოთქმებში დასტურდება:

ფიცხიშ ლიდნე ბქ. „ჩქამის გადენა“ (**ეჯეი ადი, ფიცხ ნრმა ადღანა** „უჩუმრად წადი“ („ისე წადი, ჩქამი არ გაადინო“).

ფიცხიშ ლიკედ ბქ. „ჩქამის გაღება“ (**ფიცხ დემეგ ანკიდ, ეჯეი ლაბთუაფ** **ყორქა** „უჩუმრად მიეფარა კარებში“ („ჩქამი არ აიღო, ისე მიეკარგა კარებში“).

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ **ფიცხ-**ის ძირითადი მნიშვნელობა **მცი-რედის** აღნიშვნისა, თავს იჩენს ყველა სახელურ თუ ზმნურ „მრავალფეროვან დერივაციულ ნაყარში“, ანუ ყველა სახელურ, თუ ზმნურ ლექსემაში, სადაც ის საყრდენ მასალად არის წარმოდგენილი. როგორც მეტი წილი ონომაპოეტური სიტყვებისა, საანალიზო მასალა საერთო-ქართველური წარმომავლობისაა. ზოგადად, ონომაპოეტური ლექსიკა თავისი მარტივი სტრუქტურით, არქაულობითა და რთული ფორმაწარმოებით მეტად საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით, თუმცა სვანურის ბეჭდურ ლექსიკონებში მცირე რაოდენობით არის შეტანილი. ბოლო პერიოდში (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დღის სინათლე იხილა ა. დავითიანის 1948 წელს დაწერილმა სამეცნიერო სტატიამ „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა იკე-ში 2008 წელს). ახალგაზრდა მეცნიერებმა ინტენსიურად დაიწყეს ამ საკითხებზე მუშაობა. რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა (ვრცელი მასალითურთ) მიუძღვნა ამ საკითხს მ. საღლიანმა.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ბგერწერითი ლექსიკის მკვლევარნი თავიანთ შრომებში ხშირად იმოწმებენ ამონარიდს რ. იაკობსონის 1985 წელს გამოქვეყნებულ შრომიდან: „ბგერითმა დაპირისპირებებმა შეიძლება ასახონ მიმართებები, რომლებიც დაკავშირებულია მუსიკა-

ლურ, ფერთ, ყნოსვით, შეხებით და ა. შ. აღქმებთან“ (იხ. მელიქიშვილი 1999: 78). ა. დავითიანი ზემოთ ნახსენებ თავის ადრინდელ სტატიაში დასკვნის სახით გვაწვდის ძალიან საინტერესო მოსაზრებებს, რომლებიც მეცნიერთა შემდგომ კვლევას ეხმიანება. კერძოდ, „ხმაბაძვირებისა და საგნების გარეგანი სახეობის გამომხატველი სიტყვები რეალურად დაკავშირებულია ადამიანის მიერ ობიექტური მონაცემის აღქმულის შემეცნებასთან. ...ერთ შემთხვევაში გაგონილი ხმის რომელობას გადმოსცემენ მიმზაძველობის საფუძველზე. მეორე შემთხვევაში სახოვანობა თვალთ ნახულის ასახვაა. ყური და თვალი გადამწყვეტია როგორც ერთის, ისე მეორის გამოსავლინებლად“ (დავითიანი 2008: 331). ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს ახსნა იმ ფაქტისა, თუ რატომ არის გასაანალიზებელი სტრუქტურა (**ფიცხ**), ერთი მხრივ, როგორც ბგერითი სიმბოლიკის ლექსიკის კუთვნილება (მცირე ხმა სიარულისას, მოძრაობა-გადაადგილებისას...) და, მეორე მხრივ, როგორც საგნის ფორმასა და სიმცირეზე მიმანიშნებელი. შეიძლება მეტ-ნაკლებად გამარტივებულად, მაგრამ ა. დავითიანის ნაზრევში, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ამ საკითხთა კვლევებს, კარგად ჩანს კონტურები, რომლებიც შემდგომ ღრმა მეცნიერული ანალიზის საგნად იქცა.

CVCC **ფიცხ** სტრუქტურის ამოსავალი ძირი უნდა იყოს CVC **ფიც***, რომელიც **გ** ხმოვნიანი სახეცვლილებით დასტურდება სვანურშივე **ფიც-ქუ-ა** „ფუსფუსი“, „ფუთფუფი“. -**ქუ(ა)** დაბოლოებას გამოყოფს და ქართულ -**იალ** სუფიქსს უკავშირებს მ. სალიანი (სალიანი 2015: 180). სვანურშივე მოგვეპოვება **ფიც/ფიცგ**-ის შიშინა ვარიანტი **ფიჩ** 1.რბილი რამის ნაგლეჯი, ნაფლეთი (ბამბისა, მატყლისა...); 2. ჩუმი ხმა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სისინ-შიშინათა დაპირისპირება ინტენსიურად არის გამოყენებული ქართულ ბგერწერით სისტემაში. ფუძეთა სისინა ვარიანტი სხვა მნიშვნელობების პარალელურად გამოხატავს სიპატარავეს, სიმსუბუქეს (მელიქიშვილი 1999: 93; გუდავა 1958).

ფიც, ფიჩ ფონოვარიანტების გვერდით გვხვდება **ფით** (**ც** და **ჩ** ხშულებს ჩაენაცვლება აგრეთვე ხშული **თ**) მსგავსი მნიშვნელობით:

1. ნამცეცი, ერთი ბეწო
2. ფთილა, ნაგლეჯი მატყლისა (რისამე პატარა ნაწილი).

ყოველი ახალი ფონოსემანტიკური სტრუქტურა გარკვეულ ნიუანსურ განსხვავებულობას იძენს: 1. მცირე ხმა, ჩქამი, ჩუმი ხმა (რბილად სიარულის). 2. ნამცეცი, ერთი ბეწო, ფთილა მატყლის... ნაგლეჯი (რბილი რამის) და ა. შ.

შემდეგი ცვლილება ხდება CVC სტრუქტურის აუსლაუტში, ჩნდება **ხ**, რის შედეგად სიტყვის ბოლოს წარმოიქმნება დეცისიური თანხმოვანთკომპლექსი (ხშული + ნაპრალოვანი), რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველური ენების სიტყვათა აუსლაუტში (შდრ. ქართ. ცეცლ ცეცხლ, ჩიქობავა 1942: 130). საკვლევი სტრუქტურის ფორმობრივი და სემანტიკური სახე-ცვლილება ამით არ მთავრდება. რადგანაც, ქართველური ენებისათვის „ბუნებრივია სი-

ტყვაში დენტალური რიგის (ძ ც წ) თანხმოვნებთან სონორის ჩართვა“ (ჩუხუა 2015: 247). იგივე პროცესი ვითარდება ამ შემთხვევაშიც: **ფიგბ ფინგბ, ფიზბ ფინზბ**. სონორჩართული ვარიანტები, კნინობითის სუფიქსით გაფორმებული, ძირითადად გვხვდება გამოთქმებში:

ფინგბილდ ლიგნე „დანამცეცება, დაქუცმაცება“

ფინზბილდ ლიგნე „დამსხვრევა დაფშვნა“

გარდა თანხმოვანთა ცვლილებებისა, ამ ფუძეებში ადგილი აქვს ხმოვანთა მონაცვლეობას. სხვადასხვა განზომილების ხმოვანმონაცვლეობა ერთად ასეთ სურათს წარმოგვიდგენს:

ფიგბ, ფგბ, ფეგბ, ფანგბ, ფფგბ, ფორგბ, ფანზბ... „ნამცეცი, ერთი ციცქნა, ნაფშვენი“ და ა. შ.

როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ცვლილების მიზეზს გარკვეულწილად დიალექტური განსხვავებულობაც განაპირობებს.

ზს. და ლშ. **ფიგბ**, ზს. **ფინზ**, ბქ. **ფლიზ**, ლხმ. **ფიზბ**, ბზ. **ფანზბ**, ბქ. **ფონზბ**, ლშ. **ფიზბ** „ფიზბი“, ზს. **ფანზბ**, ბქ. **ფანგბ**, ლხ. **ფანზბ** „ნამსხვრევი, ნაფშვენი“.

შემოთ წარმოდგენილი ყველა ფორმობრივი სახესხვაობა დაკავშირებულია ერთმანეთთან, თუმცა თითოეულს მისთვის დამახასიათებელი სემანტიკური ნიუანსი გააჩნია. ეს სემანტიკური გადახრა ზოგჯერ შეიძლება უმნიშვნელო იყოს, მაგრამ ზოგჯერ საკმაოდ სცილდება ამოსავალი ფუძის მნიშვნელობას.

სახელური ***ფიგ** და **ფიგბ** სტრუქტურისა და მისი ყველა ფონეტიკური ვარიანტის საერთო ამოსავალ მნიშვნელობის საფუძველს წარმოადგენს მატერიალური თუ არამატერიალური საგნიდან, მოვლენიდან რაღაც **მცირე ნაწილის** აღნიშვნა, ზოგ შემთხვევაში ეს არის მოქმედების (სიარულის, მოძრაობის) შედეგად გამოცემული ხმა, ან მცირე საგნის მოძრაობისთვის დამახასიათებელი თვისება. ზოგ შემთხვევაში კი, მყარი საგნის (იქნება ეს ქვა, თუ რბილი მატყელი ან ბამბა) მცირე ნაწილი, ნამცეცი, ნაფშვენი, ნამსხვრევი და ა. შ.

უნდა შევნიშნოთ, რომ თანხმოვანთა ცვლილება აღნიშნულ სტრუქტურებში ზოგჯერ შეპირობებულია მატერიალური საგნის ზომისა და თვისებებით და არა მხოლოდ პოზიციური ცვალებადობით. ასე მაგ., **ბამბიშ ფიგ** და **დირიშ ფიგბ**, ასე ვთქვათ, ერთმანეთთან თავისუფლად არ მონაცვლეობენ.

სახელური ფუძისაგან განსხვავებით, ძირისეული ხმოვნის ცვლილებას პირველ ეტაპზე გაცილებით მეტი მორფოლოგიური ღირებულების დატვირთვა აქვს ზმნურ სტრუქტურებში. როგორც ყველა ფუძედრეკადი ზმნა სვანურში **ფიგბ-ფეგბ** (ძირისეული **ი-ე** დაპირისპირებით) აქტივ-პასივის ოპოზიციურ წყვილს ქმნის, რომლის წევრები გრამატიკული ფუნქციით სხვადასხვა ოდენობისაა, მაგრამ ლექსიკური მნიშვნელობით იდენტურნი არიან. იუღლე-ბიან, როგორც თანხმოვნით დაწყებული ზმნები.

აქტივი:		პასივი:
აწმყო		
I	ფუიცხ-ე//ფგცხ-ე „ვანამცეცებ“	ფუეცხ-ნ-ი (ლიტ. ფუეცხ-ენ-ი)
II	ფიცხ-ე//ფგცხ-ე	ფეცხ-ნ-ი
III	ფიცხ-ე//ფგცხ-ე	ფეცხ-ნ-ი
უწყვეტ.		
I	ფიცხუჲს	ფუეცხ-ენ-დჲ-ს
II	ფიცხს	ფეცხ-ენ-დჲ-ს
III	ფიცხა	ფეცხ-ენ-და
მყოფადი		
I	ო-ფცხ-ე	ო-ფცხ-ენ-ი
II	ჲ-ფცხ-ე	ჲ-ფცხ-ენ-ი
III	ჲ-ფცხ-ე	ჲ-ფცხ-ენ-ი
წყვეტ.		
I	ო-ფგცხ	ო-ფცხ
II	ჲ-ფგცხ	ჲ-ფცხ
III	ჲ-ფიცხ	ა-ფჲცხ
თურმ.		
I	ჲ-მ-ფრცხ-ა	ჲ-მ-ფეცხ-ხუტი
II	ჲ-ჯ-ფრცხ-ა	ჲ-მ-ფეცხ-ხი
III	ოთ-ფრცხ-ა	ჲ-მ-ფეცხ-ლი

აქტივის **ფიცხ-ე** (ნეიტრალურ, Ø მაქცევრიან) ფორმიდან სათავისო, სა-სხვისო და საზედაო ქცევები, ხოლო პასივს საზედაო და სასხვისო ეწარმოება.

გარდამავალი

გარდაუვალი

ფიცხ-ე

ფეცხ-ნ-ი

ო-ფცხ-ე „იციცქნის, იწიწქნის“

ხ-ე-ფცხ-ენ-ი „ეციცქნება, წყდება“

ხ-ჲ-ფცხ-ე „აციცქნის, აწიწქნის“

ხ-ო-ფცხ-ენ-ი „უნამცეცდება“

ხ-ო-ფცხ-ე „უციცქნის, მცირედს უნაწილებს“

ქცევის ფორმებში ხმოვანპრეფიქსთა დართვა ძირისეული ხმოვნის სრულ რედუქციას იწვევს, მაგრამ ამ ქცევათა ფორმებში **ო-ე** გრამატიკული დაპირისპირება რომ კიდევ არსებობს, ამის დამადასტურებელია ლენტეხური დიალექტის მასალა (**ხ-ე-ფეცხ-ენ-ი**, **ხ-ო-ფეცხ-ენ-ი**).

თავის მხრივ, ეს ფორმები ჩვეულებრივ იუღლებიან და სემანტიკურ გადახრასაც თითქმის არ ავლენენ. მორფოლოგიური თვალსაზრისით ქცევის ფორმებში გადმოცემულია ჩვეულებრივი კუთვნილება-დანაშინულებითი მიმართება სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტებს შორის. ე. ი. იცვლება მხოლოდ მორფოლოგიური ფუნქცია. ჩვეულებრივ გამოყენებულია სვანურის ქცევის

ფორმებისათვის დამახასიათებელი ყალიბები.

მას შემდეგ რაც მარტივი ფუძეები (**ფიგბ – ფეგბ**) „შეიმოსებთან“ ფორმანტებით (-ურ, -გრ, -ორ, -ელ, -ალ) მორფოლოგიური მნიშვნელობების ცვლილებასთან ერთად დამატებითი სემანტიკური ნიუანსებიც წარმოჩინდება. აღნიშნულ აფიქსებს **გასაზმნავებელს** უწოდებს ზ. ჭუმბურიძე, თუმცა შენიშნავს, რომ „ამ ფორმანტთა პირველადი ფუნქცია სახელთა გაზმნავება არ უნდა იყოს“ (ჭუმბურიძე 1981: 152, 154). მეცნიერის აზრით ისინი წარმოშობით თემის ნიშნებს წარმოადგენდნენ, ამჟამად კი აღნიშნავენ მრავლობითობას, მრავალგზისობას და ა. შ.

ფუძედრეკავდათა კატეგორიის ზმნებში განსაკუთრებით ხშირია **-ურ, -გრ** ინფიქსების ჩართვა, რომლებიც ამ ზმნებთან ობიექტის ნაწილებად ქცევაზე მიუთითებენ (იხ. თ. შარაშენიძე).

ა-ფცხ-**გრ**-ე (ის მას) „ანამცეცებს“, „აშორებს ერთმანეთისგან“, „აშველებს მოჩხუბრებს“

ო-ფცხ-**გრ**-ე „რადაც ნაწილებს იძიძგნის თავისთვის“

ხ-ა-ფცხ-**გრ**-ე (ის მას მას) „აძიძგნის, აცლის მას“

ხ-ო-ფცხ-**გრ**-ე (ის მას მას) „უძიძგნის, უნაწილებს“.

პასივში **ი** და **ე** პრეფიქსებია გამოყენებული ვნებითობის აღსანიშნავად: **ი-ფცხ-გრ-ი** „ნაწილდება, ნამცეცდება, ნაკუწდება“. **ხ-ე-ფცხ-გრ-ი** „უნამცეცდება, უნაკუწდება“.

მრავალგზისობის გადმოსაცემად **-გრ-, -ორ-, -ურ-** ჩართულ ფორმებს ემატებათ სვანურში მრავალგზისობის აღმნიშვნელი **-წლ, ...: ა-ფინცხ-რწ-წლი, ა-ფცხგრ-წლ-ი**.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: ფორმალური ცვლილებების გარკვეულ ეტაპზე, ძირისეული ხმოვნების **ი-ე** გადაბგერება, ვეღარ იწვევს მორფოლოგიურ (აქტივ-პასივის) დაპირისპირებას: აქტივის ფორმებში ერთმანეთის პარალელურად დასტურდება როგორც **ე**, ასევე ი ხმოვნიანი ძირები (თუმცა თავდაპირველ ეტაპზე **ფიგბ-ე – ფეგბ-ნ-ი** ულლების პარადიგმაში დაცულია ეს დაპირისპირება. ერთადერთი, რაც შეიძლება მოხდეს, ესაა ამ ხმოვანთა ნაწილობრივი ან სრული რედუქცია, რაც წმინდა ფონეტიკური ფაქტორებით არის განპირობებული). ასე მაგ.:

ა-ფენცხ-ურ-ე (ეჯა ეჯას „ის მას“) „ციცქნის, ფშვნის“
„ნამცეცებად აქცევს“

ხ-ე-ფენცხ-ურ-ე (ეჯა ეჯას „ის მას“) „აციცქნის, აფშვნის“

ი-ფენცხ-ურ-ე (ეჯა ეჯას „ის მას“) „იციცქნის, იფშვნის“

ხ-ო-ფენცხ-ურ-ე (ეჯა ეჯას ეჯას „ის მას მას“) „უციცქნის, უფშვნის“

პასივის ფორმებშიც იგივე **ფენცხ** ძირი დასტურდება და ჩვეულებრივ ვნებითის ყალიბია გამოყენებული:

ი-ფენცხ-ურ-ი (ეჯა „ის“) „ნამცეცდება, იფშვნება“

ხ-ე-ფენცხ-ურ-ი (ეჯას ეჯას „ის მას“) „ეფშვნება“

იდენტური მნიშვნელობისაა **ფინცხ** ძირის შემცველი ზმნები.

აქტივი:

ა-ფინცხ-ელ-ო
ბ-წ-ფინცხ-ელ-ო
ო-ფინცხ-ელ-ო
ხ-ო-ფინცხ-ელ-ო

პასივი:

ო-ფინცხ-ალ-ო
ხ-ე-ფინცხ-ალ-ო

ამ ზმნათა აქტივსა და პასივშიც **ო** გახმოვანების ძირი დასტურდება.

ერთ-ერთი სახეცვლილება **ფიცხ** ფუძისა არის ***ფგრცხ**, რომელიც ფიქ-სირდება **-გწ/-გწ** სუფიქსიან რედუპლიცირებულ **ფგრცხ-გწ** სტრუქტურაში. მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. კანკალი, ცახცახი

2. ფაცი-ფუცი

3. დუღილის ხმა (ღვინისა...)

ფგრცხგწ ე. წ. პირველადი მასდარის რიგებს მიეკუთვნება. მისგან ჩვეულებრივ იწარმოება **ფგრცხ-წ-ო** ზმნა:

1. **ფუცხუნებს**

2. **ფაცი-ფუცობს**

3. **ცაცცახებს**

გარდამავალი ზმნის ყალიბში ჩასმული, **-ინ** ფორმანტდართული **ფგრცხ** კი ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას იძენს: **ა-ფგრცხ-ინ-ე** „აკოწიწებს“, „მცირედს აგროვებს“.

ლეზებ ვედდგარმოშ ანფგრცხინე „საჭმელი ძლივს მოახერხა („მოაკოწიწა“)“.

მეხრიშიაქედ გადან მოლაფერიშვ უამფგრცხინ „ხვალისთვის ვალი როგორმე მომიკოწიწე“.

იმავე გარდამავალი ზმნის ყალიბში ჩასმული **ფიცხ**, ***ფცხ**, **ფინცხ** **ა-ფცხ-გრ-ე**, **ა-ფცხ-გრ-წლ-ო**, **წ-ფინცხ-რ-ე** ზმნები კი საგნის დაშლას, დაქუცმაცებს, ნაწილებად დანამცეცებას აღნიშნავენ.

საერთო, რაც ზმნათა ამ ორ სისტემას აქვს, არის საგნის ნაწილის სიმცირის აღნიშვნა: ერთ შემთხვევაში მთელიდან მცირე ნაწილის ან ნაწილების მოშორება, მოციცქენა, მეორე შემთხვევაში კი, პირიქით, მცირედის შეგროვება – შეკოწიწება – თავმოყრა. ძირის ამოსავალი სემანტიკის ნაშთი ორ, ერთმანეთის საპირისპირო სისტემაში მაინც შემორჩენილია. სხვადასხვა სისტემებიდან ელემენტები ისეა ამორჩეული და გარკვეული თანმიმდევრობით შეხამებული ერთმანეთთან, რომ მიღებული ფორმოზრივი ყალიბები მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას იძენენ. მორფოლოგიური ფუნქცია არ იცვლება (მთლიანად მიჰყვება გამოყენებული ფორმოზრივი ყალიბისთვის დამახასიათებელ წესებს), მაგრამ იცვლება ლექსიკური მნიშვნელობა.

ფიცხ/ფცხ ძირი (-ერ ფორმანტ დართული) თავს იჩენს, აგრეთვე, განსხვავებული სემანტიკის ზმნებში, კერძოდ **ა-ფცხ-ერ-ო** დასტურდება შემდეგ ფრაზეოლოგიზმში: **ლაკილიშვ ჩიგვაშუ აფცხხერი** „კვილით იკლებს ყველაფერს (კაწრავს ყველაფერს)“.

ფაქტია, რომ ენა, ამ შემთხვევაში სვანური (რომელიც უმწერლობა და ამიტომ გაცილებით მეტი თავისუფლება აქვს) სხვადასხვა მორფოლოგიური ელემენტების ერთმანეთთან შეხამებით ქმნის განსხვავებული ფუნქციური დატვირთვის მქონე ახალ ფორმობრივ მთლიანობებს. მაგ.:

ა-ფცხ-გრ-ე „ნამცეცებად შლის“

ა-ფგრცხ-ინ-ე „ნამცეცებს აგროვებს“

ა-ფგცხ-ერ-ო „კაწრავს, წვრილ ხაზებს ავლებს“

ამ მაგალითებში წარმოდგენილი ელემენტებისათვის (-გრ, -ინ, -ერ) რა-იმე გარკვეული ფუნქციის მინიჭება ალბათ ძნელი იქნება. თითოეული მათგანი თავის სპეციფიკურობას მხოლოდ იმ მთლიანობაში ამჟღავნებს, რომელშიც გვევლინება. რომც მივაკვლიოთ მათ თავდაპირველ ფუნქციას, წარმოქმნილ ფორმობრივ სტრუქტურებში შეიძლება ეს ფუნქცია სულაც არ ჩანდეს.

ფიცხ-ის პარალელურად გვაქვს, აგრეთვე **ნამცეცის**, **ნაკუწის** მნიშვნელობით ნაზმნარი სახელი **ნა-ფიცხ-ჟ**, მაგრამ მას მხოლოდ მატერიალური საგნის ნაწილის აღნიშვნა ძალუძს, რაც სრულიად კანონზომიერია, რადგანაც ზმნურ წარმოებაში **ფიცხ** ძირითადად მხოლოდ მატერიალურთან არის კავშირში. **ნა-ფიცხ-ჟ** წარმოადგენს ნამყოს მიმღობას. **ნა-** თავსართი აწმყოს ფუძეს იყენებს **-ო** სუფიქსის უგულვებელყოფით. ზოგ დიალექტში (მეტწილად – ხემოსვანურში) აუსლაუტში დაირთავს **ჟ-ს**.

ფენცხ- ძირის შემცველი გასუბსტანტივებული **ფენცხ-ილ** დიალექტ. – „ბირკა“ (მინდორში გავლისას ტანსაცმელზე აკრული ბალახის თესლი) მომდინარეობს ზმნიდან **ხ-ე-ფენცხ-ო** ¹ აცოცდება, რომელიც („ამცოცებელი“) საგნის სიმცირესთან, სიპატარავესთან არის დაკავშირებული.

მორფოლოგიურად გართულებულ ზმნებს ჩვეულებრივ ეწარმოებათ მასდარი და მიმღობა. რა თქმა უნდა, ნაზმნარ სახელებში გადმოტანილია ყველა ის სემანტიკური გადახრა, რაც შესაბამის ზმნებს ახასიათებს.

ა-ფცხ-გრ-ე „აშველებს“, „აშორიშორებს“

მე-ფცხ-გრ-ე „ბამშველებელი“. **მეშიალჰმ მეფცხგრე დჰრ ანწჷანდ** „მოჩხუბართა გამშველებელი (დამშორიშორებელი არავინ გამოჩნდა)“.

ა-ფგრცხ-ინ-ე „აკოწიწებს, აგროვებს“

ნა-ფგრცხ-ინ „ნაგროვები, ნაკოწიწები“. **ეჩა ნაფირცხინიშ ლიზებს იმჟი ხიშგდე?** „იმიხი (წვალებით) ნაკოწიწების ჭამას როგორ კადრულობ?“

აფიქსურად გაუფორმებელი, სახელურ-ზმნური ფუძე **ფიცხ** თავისი ფონეტიკური ვარიანტებით (რომელთაც საერთო სემანტიკასთან ერთად ნიუანსური განსხვავებულობაც ახასიათებთ) დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც, როგორც სახელი, ატრიბუტულ გაგებასაც შეიცავს (**ფიცხ დიარ** „ნამცეცი პური“; **ფიცხ ჰერ** „ხმა კრინტი (ჩქამი ხმა)“).

განსაკუთრებით მრავალფეროვანია, ფორმობრივ-სემანტიკური თვალსაზრისით, აღნიშნული მარტივი ძირის შემცველი ზმნური ლექსემები. როგორც ფუძედრეკადები, პირველ ეტაპზე, ძირისეული ხმოვნის გადაბგერებით, აქტივ-პასივის ოპოზიციურ წყვილს ქმნიან, თანხმოვნით დაწყებული ზმნე-

ბისთვის დამახასიათებელი უღლების პარადიგმით. შემდგომ ეტაპზე, სხვადასხვა სისტემის ფორმანტთა დართვით, მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით ცვალებასთან ერთად, აღნიშნული ზმნები განსხვავებულ ლექსიკურ მნიშვნელობებს იძენენ, თუმცა ამოსავალი მარტივი ფუძის მნიშვნელობას მაინც ინარჩუნებენ.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2011 – გ. გოგოლაშვილი, მორფოლოგია – ზოგადი საკითხები. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.

გუდავა 1958 – ტ. გუდავა, ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნ. სესიის თეზისები, თბილისი.

დავითიანი 2008 – ა. დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში, იკე, XXXVI, თბილისი.

მელიქიშვილი 1999 – ი. მელიქიშვილი, ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბილისი.

ონიანი 1998 – ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

საღლიანი 2015 – მ. საღლიანი, სუფიქსაციისათვის სვანურ ფონოსემანტიკურ სტრუქტურაში, იკე, XLIII თბილისი.

შანიძე 1980 – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბილისი.

ჩიქობავა 1940 – არნ. ჩიქობავა, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები I, II, სსრკ. მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, №2, №3, თბილისი.

ჩუხუა 2015 – მ. ჩუხუა, ძირითადი ფონეტიკური პროცესები სვანურში, ქართ. ენათა სტრუქტურის საკითხები, XIII, თბილისი.

ჯორბენაძე 1980 – ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.

ჭუმბურიძე 1981 – ზ. ჭუმბურიძე, ნასახელარი ზმნები სვანურში, ა. შანიძისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი.

ROENA CHKADUA

**The Dynamics of the Lingual Phenomena According
to the Changes of the Svan Nominal-verbal Stems**

S u m m a r y

In the scientific literature the interrelation between the lingual form and the lingual function is constantly being discussed.

The analysis of the formation of a simple nominal-verbal stem **picx** showed that the change of a grammatical form leads not only to the changes according to the morphological categories (voice, version and iteration) but also produces a new lexical meaning. The most interesting fact in the compound verbs formed with the formants of different systems is that the basic meaning of a simple stem will be remained with more or less intensity.

ნინო ხახიაშვილი

ყურს- ფუძის სემანტიკისათვის

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **ყურსი** არის: „1. ძვ. მკვრივი, კოშტი რამ (დ. ჩუბინ.). 2. ზოდი (დ. ჩუბინ.). შდრ. დაყურსვა¹“ (ქეგლ VII, 1962). **დაყურსვა**¹ დახალასება, დაწმენდა (ვერცხლისა, ოქროსი). **დაყურსვა**² გაჩუმება, დადუმება. **დაყურსული**¹... დახალასებული, დაწმენდილი (ოქრო, ვერცხლი). **დაყურსული**²... გაჩუმებული, დადუმებული... (ქეგლ III, 1953). **დაყურსული**³ 1. რაც დაიყურსა, – დახუნძლული, ძალიან მოსხმული, ერთობ დატვირთული (უფრო კი იტყვიან ხეხილის შტოზე, რომელსაც იმდენი ხილი გამოსხმია, რომ იზნიქება) (ი. ჭყ.)... 2. კუთხ. (ქართლ.) გასუქებული, ხორციტ სავსე. **დაყურსდება** კუთხ. (ფშ. ქართლ.) დადუმდება, დაყრუვდება. მომეტებული ნაწილი ფრინველებისა თბილი ქვეყნების გზას გაუდგა და ტყე და მინდორი დაყურსდა (თ. რაზიკ.). **დაყურსებული** კუთხ. (ფშ.) იხ. დაყურსული². ზაფხულის მოახლოებას ყველაზე უწინ ეგ [= მზეწვია] იგებს და დაყურსებულ ჩიტებს გულს უნავარდებს (თ. რაზიკ.) (ქეგლ III, 1953).

შდრ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის (ქეგლ III, 2015) მონაცემები: **დაყურსვა**¹ კუთხ. სახელი დაყურსავს¹, დაიყურსება¹ ზმნათა მოქმედებისა, – გაჩუმება, დადუმება; განაზვა; გარინდება, გალურსვა, გაყურება. **დაყურსვა**² კუთხ. (იმერ., გურ., ლეჩხ.) სახელი დაყურსავს², დაიყურსება² ზმნათა მოქმედებისა, – უხვად მოსხმა, დახუნძვლა. **დაყურსავ**-ს¹ კუთხ. (მოწყენით) გააყურებს, დაადუმებს, გაარინდებს... **დაყურსავ**-ს² კუთხ. (იმერ., გურ., ლეჩხ.). დახუნძლავს, დატვირთავს...

დაყურსება ძვ. დარგ. სახელი დააყურსებს, დაყურსდება¹ ზმნათა მოქმედებისა, დახალასება, დაწმენდა (ოქროსი, ვერცხლისა...); **დააყურსებ**-ს ძვ. დარგ. დაახალასებს, დაწმენდს (ოქროს, ვერცხლს...). მეფე თეიმურაზმა ჯაგლავ ფავლენიშვილზე სთქვა: ჯაგლავა ფავლენიშვილსა არვინ ათხოვებს ყურსაო, მას ვერცხლი დაუმსხვრევია და ვედარ დააყურსაო („ივერია“). **დაყურსდება**¹ ძვ. დარგ. გრდღვ. ვნებ. დააყურსებს ზმნისა დახალასდება, დაიწმენდება (ოქრო, ვერცხლი...) გამდნარი ვერცხლი ან ტყვია რომ შეჯგუფდება – იტყვიან დაყურსდაო (ი. გრიშ.). **დაყურსდება**² კუთხ. გრდღვ. ვნებ. იგივეა, რაც დაიყურსება¹... **დაიყურსება**¹ კუთხ. გაილურსება; გაყურდება, გაირინდება, დადუმდება (მოწყენით). რას დაყურსულხარ ამ სიბნელეში! წადი, ითამაშე! (ო. ჭილ.). ურმის კოფოზე შემომჯდარი ბიჭი და დედაკაცი თავიანთ ფიქ-

რებში დაყურსულიყვნენ (თ. ბიბილ.). უცბად ცხენი შეჩერდა, გზაზე დაიყურსა და ვანიკოს თხოვნაზე არ იბერტყავს ყურსაც („ურაკპ.“). ფიგურ. დაყურსული ჰაერი და დრო წუთით შეისვენებს ოქროს სერებზე („ეროვნ. ბიბლ.“); **დაიყურსება**² კუთხ. (იმერ., გურ., ლეჩხ.). 1. უხვად მოისხამს, – დაიხუნძლება... 2. დაიტვირთება; წონა მოემატება, დამძიმდება... **დაყურსულ-ი**¹ ძვ. დარგ. მიმღ. ვნებ. ნამ. დახალასებული, დაწმენდილი (ოქრო, ვერცხლი...). ფიგურ. ამ ოჯახში სმენას გიტკობდათ წმინდა, დაყურსული ქართული (თ. სახ.). როგორც ქადაგის დაყურსულ ლექსში, ჩემშიც საუფლო ნათლის კვალია (ბ. ხარან.). **დაყურსულ-ი**² კუთხ. მიმღ. ვნებ. ნამ. ვინც, რაც დაიყურსა¹, – გაჩუმებული, დადუმებული (მოწყენით); გარინდებული, გაყუჩებული. ტასო სულგანაბული, დაყურსული შესცქეროდა ავადმყოფს (დ. სულ.)... მიდიოდა თავისთვის, საკუთარ ფიქრებში დაყურსული, მტვრიანი, გახუნებული და მზისგან დამწვარ (თ. ბიბილ.)... ფიგურ. ბარში ვეშვებოდით, აღარ მოსჩანდა ბეთანიის ლაყვარდები, აღარც დაყურსული ტაძარი (ნ. სამად.)... **დაყურსულ-ი**³ კუთხ. (იმერ., გურ., ლეჩხ.) მიმღ. ვნებ. ნამ. ვინც, რაც დაიყურსა², – 1. უხვად მოსხმული, დახუნძლული (ნაყოფით)... 2. დატვირთული; დამძიმებული... // გადატ. აღსავსე, გაჯერებული... (ქეგლ III, 2015)

საყურადღებოა, რომ ქართულ დიალექტებში **ყურს-** ფუმე დასტურდება „გაჩუმება, დადუმება, განაზვის“, „დაღონება, მოწყენისა“ და „ძალზედ დატვირთვა, დახუნძვლის“ სემანტიკით [რაც ასახულია კიდევ ქეგლში]: **დაყურსვა** (გურ.) ძალზე დატვირთვა; **დაყურსული** (გურ., იმერ., ლეჩხ.) ნაყოფით ძალზე დატვირთული ტოტი (ალ. ღლ.); დამძიმებული, დაწმენდილი (მ. ჩიქ.); **დაყურსვა** (ფშ., ქართლ.) დადუმება, განაზვა. **დაყურსული** (ფშ.) განაზული, გარინდული (ივ. ქეშიკ., გ. გოგატ.) (გ. გოგატ. 2006).

დაყურსდება-ა დაღონდება, მოიწყენს. რაც ბავშვი წაიყვანეს, დავყურსდი, აღარაფერი აღარ მახარეფს (მერ.). დილით ყველა სამუშაოზე გაიკრიფება ხომე და სიმარტოვითა მეც დავყურსდები ხომე (მერ.). **დაყურსება**: საქონელმაც იცის დაყურსება და ადამიანმაც (ზ. ხანდ.). **დაყურსებულ-ი**, **დაყურსულ-ი**. ნეტა ე ქათამი რათ არი დაყურსებული, ჭირი ხო არ შეხვდა? (ატ.). ობოლივითა ზიის დაყურსული, დაღონებული (ქევეში) (ქართლური ლექსიკ. 1981).

ყურს- ძირი გვხდება აგრეთვე **გა-** ზმნისწინიანი ფორმებითაც:

გაიყურსება ხმას არ გაიღებს, გაყუჩდება, გაინაზება, გაილურსება... **გაყურსვა** სახელი გაიყურსება ზმნის მოქმედებისა, – გაჩუმება, გალურსვა... **გაყურსული** ვინც, რაც გაიყურსა, – გაჩუმებული, გალურსული... **გაყურსულ-განაზული** გაყუჩებული, გატრუნული... (ქეგლ II, 2010).

მსგავსი მნიშვნელობებით **ყურს-** ძირი (ძირითადად, ზმნურ ფორმებში) მეგრულშიც დასტურდება:

„მეგრ. **ყურსუა** იხ. **ყურსუა** – 1. გაჩუმება; 2. დაწმენდა. **ვარჩხილიში ყურსუა** – ვერცხლის დაწმენდა (პ. ჭარ.). **ყურუმ-ი** იხ. **ყურუმი**, – 1. მრგვალი შავი ქვა. 2. ძალიან ღრმა ადგილი მდინარეში, – შავად რომ მოჩანს...“

ყურსილ-ი მიმღ. ვნებ. წარს. **იყურსულ(ნ)** ზმნისა – 1. გაჩუმებული, განაზული, გალურსული. 2. დახუნძლული (ნაყოფით).

ცურსუა სახელი **იყურსუ(ნ)** ზმნისა – 1. გაჩუმება, წყნარად ყოფნა; განაზბა, გალურსვა. 2. დახუნძვლა (ნაყოფით)... **იყურსუ(ნ)** (გიყურსუ განაზბა; გოყურსუ[ლე](ნ) განაზბული). გრდღუ. ვნებ. ინაზბება, ილურსება, ჩუმდება; იხუნძვლება ნაყოფით.

ცურსუმ-ი იგივეა, რაც **ცურუმ**, – ძალიან ღრმა. **ცურუმ**¹ – უღრანი; ძალიან ღრმა. მრუმე ადგილი მდინარეში; ყურყური. ცურუმს გითალუ – ძალიან ღრმად ჩადირა... **ცურუმ**² – სიპი, მკვრივი... **ცურუმი ქუა** – სიპი ქუა, მდინარის დინებით გახეხილი ქუა...

ცურშუა სახელი **ცურშუნს** ზმნისა – 1. ბევრის დაღევა. 2. დაბუდება [ფრინველისა]... **ცურჩუა** იგივეა, რაც **ცურჩუა**, **ცურშუა** – სახელი **იყურჩუ(ნ)** ზმნისა – ყურება, ყუჟვა, ბუდება... **ყურშუა** იგივეა, რაც **ცურჩუა**, – ყუჟვა, ყურვა; ყურება; (ქათმის) დაბუდება.

ყურწუა იგივეა, რაც **ცურწუა**, – სახელი **ყურწუნს**, **იყურწუ(ნ)** ზმნათა – 1. ბევრი ნაყოფის სხმა, დახუნძვლა. 2. ერთბაშად, ხარბად სმა, – ყლურწვა...

ყურჭუა სახელი **ყურჭუნს** ზმნისა – ყლურჭვა...“ (ო. ქაჯაია III, 2002).¹

3. ფეინრიხ – ზ. სარჯველაძის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში **ყურს**- ძირთან დაკავშირებით შემდეგს ვკითხულობთ:

***ყურს-**

ქართ. **ყურს-ყურ**-ს-ვ-ა „გაჩუმება“

მეგრ. **ცურს-ცურს**-უ-ა „გაჩუმება; წყნარად ყოფნა“; ი-**ცურს**-ან-ც „ჩუმდება“; გო-**ცურს**-ილ-ი „გაჩუმებული“...

ყურსვა დასტურდება ქართული ენის ქართლურსა და ფშაურ დიალექტებში.

ქართულ **ყურს**- ძირს შეესატყვისება მეგრული **ცურს**-.

მასალა 3. ფეინრიხმა შეაპირისპირა [Fährnich 1984, 44].

***ყურს-**

ქართ. **ყურს-ყურ**-ს-ვ-ა „სითხეში ჩაწობა“

მეგრ. **ცურშ-ცურშ**-უ-ა „ბევრის დაღევა“

ქართული **ყურს**- (<***ყურს**,-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ცურშ**-.

სემანტიკური სხვაობა, რაც შეინიშნება ქართულ და მეგრულ ფორმებს შორის, არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი ამ დაკავშირებისათვის.

მასალა 3. ფეინრიხმა შეაპირისპირა [Fährnich 1984,44] (3. ფეინრიხი, ზ. სარჯველაძე, 2008).

ძველ ქართულში **ყურს**- ფუძე არ დასტურდება.

დავით ჩუბინაშვილის განმარტებით: **ყურსი** (არაბ.) მკვრივი твердая масса; მეტალის ზოდი очищенное золото... (დ. ჩუბინ., 1984).

სიტყვა **ყურსი** სულხან-საბასთან არ არის გამოტანილი ცალკე ლექსიკურ ერთეულად, მაგრამ იგი დასტურდება სხვა სიტყვათა [ზოდი, შანთი, ფილი] განმარტებებში: „**ზოდი** (+ ესე A) არს ნადნობი ერთი გვამი ილეკროთაგა-

¹ სწორედ ამ სიტყვათა თამაშია ცნობილი ენათმეცნიერის, ალექსი ჭინჭარაულის კავშირი: „ამ ღვინით **დავიყურსები**, გვერდზე დამრჩება **კურსები**, ეგება მეკითხებოდნენ: „რომელი დოქის **ყურსები**?!“...

ნი ZA... არს ნადნობი ერთგვამოვნად: ვეცხლი, რკინა და მისთანანი Cb. [შდრ. უცხო შესატყვისობაში: **ზოდი** თურქ. **ყურსი** ZAaBC; სომხ. **ზოთ** CaqDE.].

ზოდის სინონიმებია: **ბენძლი** და **ყურსი**.

საბას განმარტებით: **ბენძლი** უმუშევარი **ილეკრო** ZAaB; ნ. დაბენძლა, და-ბენძლილი... **დაბენძლა** ილეკროს მიწა და ქვა რა დაადნო და ბენძლად შექმნა ZA [ილეკრო ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბამად ZA... **ილეკრო** ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა, რვალსა, თითბერსა და ყოველსავე მისთანათა ერთბამად B. **ილეკრო**, **ილეკტრიონი** და **ლიკტრიონი** [ლიკტორი Cq] ერთი არს Caq... **ილეკტრიონი** ესე იგი არს ილეკროებთა ფერი ერთბამად ბრწყინვიდეს ZAB. **ილეკტრიონი** (1,4 ეზეკ.). ესრეთ ითქმის ოქროსფერი და ცეცხლისფერი, თანნარევად ბრწყინვალედ ჩნდეს ილეკრო და ლიკტორიცა C. **ლიკტორი**, **ილეკტრო** არს ოქროსა და ვეცხლის ფერი თანნარევად...] (სულხან-საბა II, 1993). **ილეკრო**, **ილეკატრო** [ბერძნ.] ბრწყინვალე მეტალლი, რომელსაც შეადგენდნენ ძველნი 4/5 ნაწილისაგან ოქროსა და 1/5 ნაწილისაგან ვერცხლისა, **илектрѣ**, ეზეკ. 1-5 (დ. ჩუბინ., 1984).

შანთი (+ 41,10 იობ. ZAa) გაჭურვებული რკინა ZAB. ცეცხლით განჭურვებული Cab. **შანთი** ოქროსა და ვეცხლის შუშა ZA. ოქრო-ვეცხლთ შუშა და ზოდი B... შ ა ნ თ ი ეწოდებიან გა[ნ]ცეცხლებულსა რკინასა და რადც[ა] მსგავსად მის[ს]ა განჭურდეს; რომელი განისროდეს ნაბერწყალსა (წინწყალთა Cq); კვალად შ ა ნ თ ი ოქროთა და ვერცხლთა ზოდთა და ეგევითართა[თა] ეწოდების C... [უცხო შესატყვისობაში: **შანთი** თურქ. **ყურსი** E. სომხ. [დურს] E; ... **შანთი** სომხ. [შათი] E. **ფილი** (უკმ.) სანთლის კვერეული D, **სანთლის ყურსი** E. (სულხან-საბა II, 1993).

ყურსი იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონშიცა“ დამოწმებული (შდრ. ქეგლ 2015): **ყურსი** (საკუთ. მრგვალი) შედედებული ვერცხლი. „მეფე თეიმურაზმა ჯაგლაგ ფავლენიშვილზე სთქვა: ჯაგლაგა ფავლენიშვილსა არვინ ათხოვებს ყურსაო, მას ვერცხლი დაუმსხვრევია და ვედარ დააყურსაო“ („ივ.“ 1864 წ., N9-10) (გრიშაშვილი 1997).

სახელი **ყურს**-ი დასტურდება სამედიცინო ტერმინოლოგიაშიც: „ვარძლის კომპლექსში ყურადღებას იპყრობს მეექვსე სართულზე მდებარე აფთიაქი – „წამლის სახლი“... საინტერესოა ამ დროის სააფთიაქო ჭურჭლის მრავალფეროვნება... არსებობდა წამლის ფორმების ნაირსახეობაც: **აბი**, ფხვნილები, სალბუნნი (მაღამო), **ყურსი** (**ტაბლეტი**), მაჯუნნი (სხვადასხვა სახის ნარევი რთული წამლის ფორმა), თრიაყი (ანტიდოტი მოწამვლის დროს)...¹ (მ. მელიქიშვილი 2015).

ყურსი ასევე დასტურდება ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობაში, ამჯერად როგორც ტოპონიმი: „გელათს ზეით წყალწითელას მოერთვის, **ყურსეხს**, საწირის წყალი. ეს გამოსდის ნაქერალას მთას და მოდის ჩრდილოთ-

¹ შდრ.: **აბი** [არაბ. **ჰაბბ** „მარცვალი“, „თესლი“, „აბი“] პატარა ბურთულეზად გაკეთებული დაგუნდავებული წამალი საყლაპავად...; **ტაბლეტი** [ფრანგ. **tablete** ფხვიერი წამლის დაწნეხილი პატარა მრგვალი კვერი.].

აღმოსავლეთს შუა... ამას ზევით, ამავე წყალზედ, საწირეს არს ციხე. ამის გარემოს ითხრების რკინა და ლითონი მრავლად. **ყურსებს** ზევით ეყრების წყალწითელას ახალდაბის კევი...“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გელათისათვის).

დღეს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოხსენიებული **ყურსები** ფონეტიკურად სახეცვლილია: **ყურსები** > **კურსები**. სავარაუდოდ, **ყურსები** ადგილს იქ არსებული მადნეულის გამო უნდა შერქმეოდა [შდრ.: სოფ. **ზოდი**, ჭიათურის პლატოზე (ასევე, იმერეთში)]; **მადნეული**, **წედისი**, **სარკინე**, **სარკინეთი**, **ქვანეთელი**, **შავი ქვა** – თვით ჭიათურის თავდაპირველი სახელი...¹

ზემოგანხილული მასალიდან გამომდინარე, სემანტიკურად, სავარაუდოდ, **ყურს-** ფუძიდან წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულები ასე შეიძლება გაიმიჯნოს:

1. წყალში ჩაფლვა, დამძიმება, დაძირვა; ღრმა, ბნელი ადგილი (წყალში...) ...
2. დახალასება, დაწმენდა [დახალასებული, დაწმენდილი (ოქრო, ვერცხლი...)]
3. გაჩუმება, გალურსვა... >
 - ა) დაბუდება;²
 - ბ) მოწყენა, დაღონება; //დახრა...³
4. ძალზე დატვირთვა; დახუნძვლა...

დამოწმებული ლიტერატურიდან გამომდინარე, **ყურს-** ფუძიდან ნაწარმოები სახელები ომონიმურია:⁴

არსებული ტრადიციული თვალსაზრისის გათვალისწინებით, ასეთი ვარაუდის დაშვება შეიძლებოდა: ხომ არ არის ქართულში სახელი **ყურსი** („ზოდი“-ს მნიშვნელობით) აღმოსავლური წარმოშობის [შდრ.: საბა: თურქ. ყურსი, სომხ. ზოდი, ბერძნ. ილეკრო...⁵ ხოლო **ყურსვა** [გა-ყურს-ვ-ა, და-ყურს-ვ-ა] – **ყურ-** ძირიდან [ყურ-ი] წარმოქმნილი? [შდრ.: საბა: დალურსვა „ყურთ დაღმა დაღება“].

მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ სინამდვილეს: საქართველოში უხსოვარი დროიდან ეწეოდნენ ოქროს, ფოლადისა და სხვა ძვირფასი ლითონების მოპოვებასა და დამუშავებას, და აგრეთვე, თუ გავითვალისწინებთ

¹ ვრცლად ამის შესახებ იხ.: ნ. ხახიაშვილი, „ტოპონიმ **კურსების** წარმომავლობისათვის“, ეტიმოლოგიური ძიებანი XIII, 2016.

² შდრ. ქეგლ II, 2010: **გაყურსება** ხმას არ გაიღებს, გაყურდება, გაინაბება, გაილურსება... **გაყურსვა** სახელი გაიყურსება ზმნის მოქმედებისა, – გაჩუმება, გალურსვა... **გაყურსული** ვინც, რაც გაიყურსა, – გაჩუმებული, გალურსული... **გაყურსულ-განაბული** გაყურებული, გატრუნული [გაყურდება 1. გაჩუმდება, დადუმდება; გაირინდება...].

³ **დალურსავს** ძირს დახრის (თვალებს), ჩამოყრის (ყურებს).. **დალურსვა** „ყურთ დაღმა დაღება“ (საბა); ძირს დახრა (თვალებისა), ჩამოყრა (ყურებისა)... (ქეგლ III, 2015)

⁴ შდრ.: ავთანდილ სიხარულიძის ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი: **დაყურსვა** 1. დახალასება, დაწმენდა [ვერცხლისა და ოქროსი]. 2. გაჩუმება, დადუმება, განაბვა (ივ. ქეშიკ.). 3. (გურ.) ძალზედ დატვირთვა, დახუნძვლა (ალ. ღლ.)

⁵ **ზოდის** სინონიმებია: **ბენძი**, **ყურსი** და **ილეკრო**. რჩება – ქართული(?) **ბენძი**, თუმცა ვერც ბენძი მოვიძიეთ ძველ ქართულ ტექსტებში.

ნებთ მათ მოპოვება-დამუშავებასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურ პროცესებსა და მის თანმდევ მოვლენებს, სრულიად ბუნებრივი ჩანს **ყურსის** ასეთი მრავალფეროვანი სემანტიკური სახეცვლილება...¹

ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ (თ. II. ნივთიერი კულტურა წერილობითი წყაროების მიხედვით...) საქართველოს მოსახლეობის – ქართველური ტომების კულტურული მდგომარეობის მიმოხილვისას (ძვ. წ. აღრიცხვით XI-VII სს), დასკვნის სახით წერდა: „ერთი სიტყვით, უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის აუცილებლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველი ტომებისაგან არის შეთვისებული, ან არა და მათი სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი. ამით ცხადად მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით (ჯავახიშვილი I, 1979, 50).

ლიტერატურა

ვახუშტი ბაგრატიონი – ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გელათისათვის.

ბედოშვილი 2002 – გურამ ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

გოგატიშვილი 2006 – გუბაზ გოგატიშვილი, ფშაური ლექსიკა, თბილისი.

გრიშაშვილი 1997 – იოსებ გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბილისი.

მელიქიშვილი 2015 – www. medeamuseum- ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი, ვარძიის აფთიაქი, მარი მელიქიშვილი, წამლის პირველი სასახლეები საქართველოში.

სიხარულიძე 2010 – ავთანდილ სიხარულიძე, ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

სულხან-საბა I, 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I, თბილისი.

სულხან-საბა II, 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. II, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2008 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქართლური ლექს. 1981 – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე; რედაქტორი მ. ჭაბაშვილი, თბილისი.

¹ ლიოთონის წრთობა ხომ სწორედ წყალში ცხელი ლიოთონის ნაკადის ჩაშვებითა და დაყურსებით, – დაწმენდა-დახალასებით ხდებოდა... აქვე შეიძლება გავიხსენოთ ოქროს მოპოვების სვანური წესიც: ადგილობრივი მცხოვრებლები მთიდან ჩამომავალ მდინარეში დებდნენ ხოლმე ხის ნაჭერზე დამაგრებულ ცხვრის ტყავს, რომელზეც ოქროს მარცვლები ილექებოდა... სვანეთში ოქროს მოპოვების ეს წესი ჯერ კიდევ ბერძენ ისტორიკოსს, სტრაბონს აქვს აღწერილი (I ს.) და ის დღემდეა შემორჩენილი...

ქაჯაია III, 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი III, 2002).

ქეგელ 1953, 1962 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული (1950-1964), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგელ III, 2015 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, მთავარი რედაქტორი: ავთ. არაბული, თბილისი.

ღლონტი 1974 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ჯავახიშვილი I, 1979 – ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I ქართველი ერის ისტორია, თბილისი.

NINO KHAKHIASHVILI

On the Semantics of the Stem *gurs-*

S u m m a r y

According to GED and the dialectal data the lexical units derived from the stem **gurs-** can be separated semantically as follows:

1. To sink, to submerge; a dark, deep place in the water;
2. To clear (cleared gold, silver...)
3. To keep quiet;
 - a) To roost;
 - b) To get sad; to bend;
4. To overload;

From the time immemorial Georgians have extracted gold, steel and other precious metals and if we consider the mining, extraction and other technological processes the semantic variety of the stem **gurs-** (*gaqursva*, *daqursva*) is quite natural.

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

**რამდენიმე მოსაზრება მცენარეთა სახელების
ეტიმოლოგიური კვლევისათვის (წენგა და ჭანგა)**

ფიტონიმთა მოტივაციის კვლევა და ცალკეულ სახელთა ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები გასათვალისწინებელია მცენარეთა სახელების ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების დროს, ვინაიდან, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ამ სახის მასალის მოხმობისას ოდენ ფონოლოგიურ შედგენილობაზე დაყრდნობა, არცთუ იშვიათად, მცდარ დასკვნებს განაპირობებს, მაშინაც კი, როცა ყველაფერი წესრიგშია ბგერათმშეატყვისობის თვალსაზრისით. ეს იმიტომ ხდება, რომ არქექტიპთა აღდგენის მიზნით შესადარებელი ფიტონიმები თავიდანვე არასწორადაა შერჩეული, უგულვებელყოფილია მათი სემანტიკა.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი მსჯელობა: „ენობრივ მონაცემთა შედარება-რეკონსტრუქციას, როგორც ცნობილია, ორი მხარე აქვს: ფორმოზრივი და სემანტიკური. აღნიშნული თვალსაზრისით ბევრად უკეთესი ვითარებაა ფუძეთა ფონემატური და მორფოლოგიური ანალიზის საკითხში. ძირ-ფუძეთა ეს მხარე, როგორც მატერიალურად რეალიზებული და ენის ფორმალურ კანონებს დაქვემდებარებული, ანალიზისა და რეკონსტრუქციის მეტ შესაძლებლობებს იძლევა. ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესრულებული ყოველი ნაშრომი უხვად წარმოგვიდგენს შესაბამის მასალას... თუ ფუძეთა ფონემატური და მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად ხელშესახები სურათი წარმოგვიდგება, უმეტესად სრულიად არის უგულვებელყოფილი ფუძეთა სემანტიკური გენეზისის, სტრუქტურის და ურთიერთკავშირის პრობლემები“ (არაბული 2001: 241-242).

საგულისხმოა ასევე მითითება, რომელიც ტოპონიმების ეტიმოლოგიურ კვლევას ეხება: „ნებისმიერი ტოპონიმის ეტიმოლოგიის დადგენისას ორი მომენტია აუცილებლად გასათვალისწინებელი: ენობრივი (ფორმის რეალურობა) და გარეენობრივი (მოტივაციის შესაძლებლობა). თუ ერთ-ერთი არ საბუთდება, მაშინ ტოპონიმის მართებული ეტიმოლოგიის გარკვევა შეუძლებელი ხდება“ (ჯორბენაძე 1993: 160). იგივე შეიძლება ითქვას ფიტონიმთა ეტიმოლოგიურ კვლევაზეც.

ისტორიულ-შედარებითი კვლევისათვის მცენარეთა სახელების მოხმობისას უსათუოდ გასათვალისწინებელია: 1. ფიტონიმთა მნიშვნელოვანი ნაწი-

ლი უძველესი წარმოშობის არ არის, გამჭვირვალე სემანტიკისა და მეტწილად შესაძლებელია მოტივაციის დადგენა; 2. მცენარეთა სახელებში ხელშესახებია ნასესხები ლექსიკა. ამასთან, როგორც ცნობილია, ზოგ შემთხვევაში ნასესხებ სიტყვათა გამოცნობა რთულია, მით უფრო, როცა ადრეული სესხებაა; 3. ქართველურ მასალაში გასათვალისწინებელია ურთიერთნასესხობათა, ასევე, შესატყვისობათა და ნასესხობათა ერთგვარი კონტამინაცია; 4. შესატყვისი ფიტონიმების მოძიებისას შეიძლება არაერთმა ქრონოლოგიურმა ფენამ იჩინოს თავი.

მიგვაჩნია, რომ შესაბამისი არქეტიპის ძიებისას არასწორადაა შერჩეული შემდეგი ფიტონიმები: ქართ. **წენგ-ა** და ლაზ. **ჰანგ-ა**. „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონის“ მიხედვით, ქართ. **წენგ-ა...**, **წენგ-არ-ა** ლაზ. **ჰანგ-ა** არის „ბალახის (მცენარის) სახეობა... ქართულ **წენგ-** (<**წენგ-**) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **ჰანგ-**“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 663). აქვე აღდგენილია ***წენგ-** არქეტიპი და მითითებულია, რომ: „მასალა შეაპირისპირა ჰ. ფენრიხმა (Fähnrich 1987)“.

აღნიშნულ მცენარეთა იდენტიფიცირებისას აღმოჩნდება, რომ ეს ორი სრულიად განსხვავებული ბალახოვანი მცენარეა, განსხვავებულია შესაძარებელ ფიტონიმთა მოტივაცია და წარმომავლობაც, კერძოდ:

ა) ქართულში **წენგ-** ძირი დასტურდება მცენარე *ლაშქარას* (*Symphytum caucasicum*) სინონიმურ სახელებში, შდრ.: **წენგარა-** კუთხ. (მთიულ.) იგივეა, რაც *ლაშქარა* (ქეგლ 1964: 1655; მაყაშვილი 1961: 43); „**წენგარი**, **წენგარა**, **წენგარაი** მთ., მოკ. ბალახია, ლურჯ ყვავილებს ისხამს. ამ ყვავილებს ქალბატონებს ეძახიან ხევში“ (შანიძე 1984: 451); **წენგარ-ო** -- „ერთგვარი მცენარე, რომელიც ნანგრევებში ამოდის“; „**წენგა** ერთგვარი ბალახი, რომელსაც მოხარშულს საქონელს წამლად აძლევენ“; „**ჰინჰარ-წენგარი** – ჰინჰარი და წენგარი: *ჰინჰარ-წენგარი* ამოვიდეს შენ სახლ-კარში“ (კაიშაური 1967: 247, 249); „**წენგარა** (მთიულ.) – **წენგერა**, ლაშქარა (დლონტი 1986: 699).

ამ მცენარის ზოგადი აღწერილობა ასეთია: „**ლაშქარა** (ლაშქარასი) [*Symphytum caucasicum*] მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ხაობეწვიანი ღერო-ფოთლები და თავჩაქინდრული ცისფერი ყვავილები; იზრდება ბუჩქნარებში, მინდვრებსა და ნათესებში“ (ქეგლ 1955: 1498). „...ზოგი (სახეობა) ხალხ. მედიცინაში სამკურნალო მცენარეადა ცნობილი, მაგ *S. asperum*-ის (მელენის) ფესვები Bz ვიტამინს შეიცავს და სვანები მას უძველესი დროიდან იყენებენ მოტეხილობის სამკურნალოდ“¹ (ქსე 1983: 148).

ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული ფიტონიმებისათვის (**წენგა/წენგარა/წენგარი/წენგარაი/წენგერა**) ამოსავალია მცენარის **დანიშნულება** – „მის ნახარშს საღებავად იყენებენ“² და უკავშირდება სახელ **წენგო-**ს.

¹ „**მელენი** ბალახია ხეშეში, ფართო ფოთლებით, მისი ძირების ნახარშისაგან გაკეთებული ფაფით მკურნალობენ გალახულს, მისი ძირების წარევით ადებენ არტახს (არტაშანს)“ (ლიპარტელიანი 1994: 218); შდრ: მცენარის ლათინური სახელი (*Symphytum* ლათ. „შეხორცება“ – ნ. ხ.).

² მოპოვებული მასალა; სოფ. ზმ. ალვანი.

შდრ.: „წენგო ნიგვზის ლეჯა ახალი; ნიგოზი გულჩაუდებელი (საბა 1993: 371); წენგერო (აჭარ.) – ნიგვზის წენგო (დლონტი1984: 699); ჰენგერო (ზმ. იმერ.) – წენგო, ნიგვზის გარეთა მწვანე გარსი *ჰენგერო*“ (მოწინიძე 1974: 492); წენგო (თუშ.) ყავისფერი (ცოცანიძე 2012: 287); ჰენგერი წენგო (ქობალია 2010: 708).

საანალიზო ფიტონიმები წარმოქმნილი სახელებია (**წენგ-ა**, **წენგ-არ-ა**, **წენგ-არ-ი**, **წენგ-არ-ა-ი**, **წენგ-ერ-ა**), საწარმოქმნო ფუძეა **წენგ-**. ეგვე ფუძე გამოიყოფა სახელებში: **წენგ-ო**, **წენგ-ო-დ**, **წენგ-ერ-ო/ჰენგ-ერ-ო**, **ჰენგ-ერ-ი** ამასთან, უცნობია (საკვლევი) **წენგ-** ძირის ეტიმოლოგია.

ბ) როგორც აღვნიშნეთ, მითითებულ ქართულ ფიტონიმთა ლაზურ შესატყვისად „ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მოხმობილია ფიტონიმი „ჰანგა“ (=გლერტა). ის ასევე დასტურდება ზემოიმერულსა და სვანურში (**ჰანგაი**), სადაც ქართულ ნასესხობადაა მიიჩნეული (ჩანტლაძე, ნაკანი 2014: 221). ამასთან, საყურადღებოა, რომ სახელი **ჰანგა** აღნიშნავს *გლერტას* მსგავს ერთ ბალახოვან მცენარესაც (ოფიც.) და ერთ-ერთ კომპონენტად ჩანს სრულიად განსხვავებულ მცენარეთა სახელებშიც.

ნიმუშები:

1. *გლერტა, კლერტა*; *Cynodon dactylon*(L) Pers; *კაპუეტა, კანჭა, კლანჭა* – ფშ., კახ.; **ჰანგა** – ზმ. იმერ., ჰან., საბა; *ცირცხა, უნჩხა* – ლეჩხ.; *კლარტაი* – გურ.; *ჩვირ* – ინგილ.; *დოლოკეტი, ჯოლოკეტი, ლეჯიში კეტი* – მეგრ. (მაყაშვილი 1961: 21); *კლანჭა* (კეცხოველი 1963: 48); **ჰანგაი** – სვან. (ონიანი 1917: 39).

2. **ჰანგა**; მხოხავი **ჰანგა**; *Agropyron repens* (L) (კეცხოველი 1963: 48; მაყაშვილი 1961: 53).

ამ მცენარეთა ზოგადი აღწერილობა ასეთია: 1. გლერტა (გლერტისა), **კლერტა** (კლერტისა) [*Cynodon dactylon*] ბოტან. მრავალწლოვანი *სარეველა ბალახი*¹ (მარცვლოვანთა ოჯახისა), რომელსაც აქვს გრძელი და მუხლოვანი ღეროები, მძლავრი ფესურები და ქოლგის მსგავსად შეკრებილი წვრილი თავთავები (ქეგლ 1951: 1458). „...მინდვრის კულტურების, ბალის, ბოსტნის *ძნელად მოსასპობი სარეველა*“ (ქსე 1977: 176). შდრ.: „*ჰანგა* რო მოთხარო, გაიხარეფს მაინცა. *ჰანგა* სარეველა ბალახია, გლერტას ჰგავს... *ჰანგასაც* უმახით და *გლერტა ბალახსაც*.“ (მოწინიძე 1974: 493; ხაზი ჩვენია – ნ. ხ.). ნ. კეცხოველის მითითებით, „ხალხში ზოგჯერ ამ სახელებს (**კლანჭა, ჰანგა**) ხან ერთს მიაწერენ, ხან მეორეს“ (კეცხოველი 1963: 48). 2. „**ჰანგა** (ჰანგასი) [*Agropyrum*] ბოტან. საშუალო სიმაღლის, თავთავიანი და ფესურიანი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახის; აბეზარი სარეველა; გავრცელებულია მინდვრებში; ხმარობენ ცხოველების საკვებად“ (ქეგლ 1964: 1226). „...ძნელად მოსასპობი სარეველა. უფრო ფართოდ არის გავრცელებული *მხოხავი ჰანგა* (*A. repens*) გრძელფესურიანი მცენარეა ... გვალვა და ზამთარგამძლეა...“ (ქსე 1987: 381). „... დაბალი საძოვარია, ძირწითელას მსგავსი ფოთლები აქვს. არაკად არის ამის ფესვის სიმაგრე, თოხი ძლივს ჭრის ამის ფესვს“ (ონიანი 1917: 39; თარგმანი – ჩანტლაძე, ნაკანი 2014: 2210).

¹ მცენარე რომ სარეველაა ამას მისი რამდენიმე სახელიც მიანიშნებს: **კლერტა/გლერტა** (ოფიც.); **კლარტაი** (გურ.); **დოლოკეტი/ჯოლოკეტი**, (<დელომ კლერტი მეგრ. „მდელოს კლერტი“), **ლეჯიში კეტი** მეგრ. „ღორის კლერტი“. შდრ.: „**კლერტ**-ი სარეველა“ (სარჯველაძე 2004: 444). შდრ., ასევე, ანდაზა: „ვინცა ჰამა მჭადი, **ჰანგაიწი** გადი“ (ხალხ.).

ორივე სარეველას აღმნიშვნელი ჩვენთვის საინტერესო სახელის (**ჰანგას**) მოტივაცია რთული დასადგენი არ არის. ის ამ ურთიერთმსგავს ბალახოვან მცენარეთა გავრცელებასა (იოლად გამრავლება, ყველგან ფეხის მოკიდება) და ფესვის თავისებურებას („მძლავრი ფესურები“) უკავშირდება. სახელდებისას ეს ნიშან-თვისებები შედარებულია **ჰანგს**, **კლანჭს**. შდრ., ასევე, **გლერტას** [*Cynodon dactylon*] სხვა კილოური სახელები: **კანჭა**, **კაბუეტა**. ამასთან, ცნობილია, რომ სახელები: **ჰანგი** (**ჰვანგი/ჰვანკი**), **კლანჭი**, **ბრჭყალი**, **ფრჩხილი**... ხშირად სინონიმებად აღიქმება ქართულში (შდრ., ასევე, ლაზური: „**ჰანგი** (სპარს. თურქ.) ფრინველის ბრჭყალი“; **მოჰანგაფა** „მოფხოჰვა“ – თანდილავა 2013: 858, 530).

როგორც აღვნიშნეთ, „**ჰანგა**“ დასტურდება სხვა მცენარეთა სახელების ერთ-ერთ კომპონენტად და აქაც მოტივაცია მცენარის (მისი რომელიმე ნაწილის) **ჰანგთან** მსგავსებას უკავშირდება¹.

ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო ფიტონიმ „ჰანგას“ მოტივაცია ასეთია – „ჰანგისმაგვარი ფესვის მქონე მცენარე“.

შენიშვნა: წარმოდგენილ მსჯელობას „ჰანგასა“ და „კლანჭას“ მოტივაციის შესახებ, ვფიქრობთ, მეტ დამაჯერებლობას მატებს ნ. კეცხოველის მიერ მოხმობილი ხალხური გადმოცემები და მეცნიერის სათანადო კომენტარები:

„საქართველოს მინდორ-ველებში ორი ფრიად აბეზარი მცენარეა გავრცელებული: ჰანგა² და კლანჭა³. ჰანგა თუ ბარსა და მთაში გვხვდება, სამაგიეროდ კლანჭა ბარისა, ჭალისა და ვაკე ადგილების მცენარეა. ორივე მეტად აბეზარი სარეველაა, მათი მიწისქვეშა ნაწილი, ფესურა, ფრიად ძლიერია. ფესურის პატარა ნაჭერიც კი რომ დარჩეს ნაბარში, ან ნახნავში, საკმარისია იმისთვის, რომ ამოიტანოს ყლორტი და დაიწყოს განვითარება-გამრავლება.. ერ-

¹ **ჰანგა-ბალახი**, ს. მცენ. лисохвостъ, батальчик (ჭუბინაშვილი 1984: 1702). რუსული შესატყვისის მიხედვით ეს არის ერთ-ერთი სარეველა ბალახი (=მელაკუდა, *Alopecurus-მაყაშვილი 1961: 48*), რომელიც გარეგნულად ჰგავს მხოვან ჰანგას. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც ავტორი მას **ჰანგა-ბალახად** მოიხსენიებს. **2. ყუავის-ჰანგა / ყვავის ჰანგა** (საბა1993: 266, 272); არდი, **ყვავის ჰანგა, Tri folium melilotus Oficialis** (ბაგრატიონი 1986: 61); (= ყვითელი ძიძო, სამკურნალო ძიძო -მაყაშვილი 196: 78). ამ მცენარის ი. ბაგრატიონისეულ განმარტებაში ჩანს ფიტონიმ „**ყვავის ჰანგას**“ მოტივაციის საფუძველი. შდრ: „ბალახი ესე აღმოცენდების ერთსა წელსა... ძირისა ამისაგან აღმოსცენდებიან მრავალნი ღერონი ..., რომელნიცა გამოისხმენ მრავალთა შტოთა ერთიმეორისა შემდგომად კუთხიანთა და **მჭავლებიანთა**“ (ხაზი და ხაზგასმა ჩვენია-ნ.ხ.). როგორც ჩანს, მცენარის ღეროს ერთგვარი წამონაზარდი მიმსგავსებულია **ყვავის ჰანგს** („**მჭავლებიანთა**“); შდრ.: „**ჭავლი** გურ. რტო...“ (ჭუბ. 1984: 1702); „**ჭავლი** – კუთხ. (გურ. აჭარ. ზმ. იმერ.) იგივეა, რაც ღერწი...; (თუშ. ფშ.) ბანჯგვლი, ხაო, ბეწვი“ (ქეგლ 1964: 1221). საზოგადოდ, მცენარეთა ამგვარი სახელდება ნიშანდობლივია ქართულისათვის, შდრ. ფიტონიმები: **ყვავისპწკალა** (=მეკენძალა), **ყვავისფრჩხილა** (=ოფოფა, მდელოს მატკვარცანა), **3.** დასტურდება კიდევ ერთი განსხვავებული მცენარე ამავე სახელით: „**ყვავის ჰანგი**, მცენ. Гуньба“ (ჭუბინაშვილი 1984: 1702). რუსული სახელწოდების მიხედვით, ეს არის **ულუმბო** (უცხო სუნელი) *Trigonella coerulea* (მაყაშვილი 1961: 67). ვფიქრობთ, ავტორს აქ ქართული ფიტონიმი არასწორად აქვს მოხმობილი. გვაქვს, ასევე: **4. ჰანგა-ხორხალ**-ი ჰიბრიდი, მიღებული ხორბლისა და ჰანგას შეჯვარებით (ქეგლ 1964: 1225-1226);

² ჰანგა – *Agropyron repens* (L) P.R.

³ კლანჭა – *Cynodon dactylon* (L) Pers. ხალხში ზოგჯერ ამ სახელებს ხან ერთს მიაწერენ, ხან მეორეს.

თიც და მეორეც განსაკუთრებით მოუვლელ მიწას ისე მოედება ხოლმე, რომ სხვა მცენარეს საშუალებას აღარ აძლევს განვითარდეს. მარტო თოხნა და ფესურის მიწის ზევით ამოგდება არ კმარა, ნაკვეთი მოხვნისა და თოხნის შემდეგ უნდა გაიწმინდოს, ფესურები მოგროვდეს და დაიწვას. თორემ ისევ „გაცოცხლდება“. აი, ყური დაუგდეთ, ხალხმა ჭანგას ეს თვისება, სიცოცხლის უნარიანობა, როგორ გამოსახა:

„ყვავამა ჭანგა აიტანა და თავის ბუდის შენებას მოახმარა, ცხრა წელიწადს იდო ყვავის ბუდეზე. მეათე წელს ქარმა დაუბერა და ძირს ჩამოაგდო. ჭანგას ერთი კლანჭი (ფესვი) წყლის გუბეში ჩავარდა. ჭანგამ წამოიხედა და სთქვა:

„ოჰ, კინალამ არ მოკვდიო!“

ამაზე სხარტად ჭანგას ბიოლოგიის მხატვრულად თქმა ძნელი წარმოსადგენია – აღნიშნავს მეცნიერი, შემდეგ კი სხვა, არანაკლებ საინტერესო და ხალხური იუმორით დამშვენებულ გადმოცემას მოიშველიებს, სადაც ჩანს ბალახ „კლანჭას“ გავრცელების თავისებურება:

„კლანჭა ბარში შეაწუხეს, მას მიწაში არ ასვენებდნენ, მალიძალ თოხით ამოაგდებდნენ, ხან იქით გადააგორებდნენ და ხან აქეთ. ველარ გაუძლო კლანჭამ ამ უბედურებას, აიკრიფა გულა-ნაბადი და წავიდა მთისკენ, „წავალ, გადავიკარგებიო“. მიდის კლანჭა და წინ ქვრივი შემოხვდა.

– საით გაგიწევია-კლანჭაო?

– მთისკენაო.

– რათაო?

– რათაო და იმისთვისაო, რო ბიჭებმა შემაწუხეს, მიწაში არ მასვენებენ, დამიგდებენ თოხს და ხან იქით გადააგორებენ და ხან აქითაო.

– მაგას რა ჯობიანო, დაბრუნდი, ისევ ბარში წავიდეო, მეც შენთან ვიქნებიო.

დაარწმუნა კლანჭა ქვრივმა და დააბრუნა, მთისკენ მიმავალი, ბარად. “

მთაში, როგორც ავღნიშნე, კლანჭა არ არის, ან თუ არის, ფრიად ცოტა.“ (კეცხოველი 1963: 48).

საგულისხმოა, რომ სიტყვა **ჭანგი** ქართულში ნასესხობად არის მიჩნეული¹ (ჩუბინაშვილი 1984: 1702; ქეგლი 1964: 1225; ანდრონიკაშვილი 1966: 121; თანდილავა 2013: 530). მ. ანდრონიკაშვილის მიხედვით: „სპ. čang „თათი“ (ქართ. ჭანგი), čangl, ქურთ. čeng “ხელი, ფრთა“, ზაზა čāngil „მხარი“, ავღ. cäng “გვერდი“, cang “ფრთა“, cangal „ხელი“, ძვ. ირ. *čanga, ავ. p s . cingha „გაშლილი ბრჭყალებით“, ოს. cong „ხელი“ ჩონგა = „ხელზე დასახვევი, მკლავზე წამოსაცმელი“ (ანდრონიკაშვილი 1966: 121)².

¹ ჩვენი ვარაუდით, **ჭანგი** აღმ. ენების არეალიდან (სპარს. თურქ.) სამწერლობო გზით უნდა იყოს შემოსული და დამკვიდრებული, თუმცა არ გამოვრიცხავთ ზეპირი გზით სესხებასა და სესხების სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონესაც.

² შდრ.: **ჩანგალ**-ი (ქართ.), რომელიც, ასევე, სპარსული ნასესხობადაა მიჩნეული და გაზიარებული; **ჩანგა** (ინგ.) – ხელეური, მჭელეული, რაც ცალ ხელში დაიჭირება (თივა, პურეულის ღერები); **ჩანგა-ჩანგა** მუჭა-მუჭა, ხელეულ-ხელეულად“ (დიალექტოლოგია 1961: 625); **ჩანგარ**-ი (მეგრ.) „ჩანგალი; რკინისკაუჭიანი საწამებელი იარაღი“; **ჩანგარუა** (მეგრ.) „აჩანგვლა“ (ქობალია 2010: 670).

ჭანგი („კლანჭის, ბრჭყალის“ მნიშვნელობით) დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, ორიგინალურსა და თარგმნილში. იგი დღესაც ცოცხალი სიტყვაა როგორც სამწერლობო ქართულში, ასევე მის დიალექტებში (ფონეტიკური ვარიანტებით: **ჭანგი/ჭვანგი/ჭვანკი** – აჭარ., ზმ. იმერ., გურ., იმერხ.); ამავე მნიშვნელობით სახელი **ჭანგი** ჩანს ლაზურში (თანდილავა 2013: 858), სადაც ასევე დასტურდება **ჭენგელი** (ვიწ., არქ.) „ბრჭყალი“ (**ჭანგერი** „დაბრჭყალული, დაკაწრული“; (თანდილავა 2013: 858, 860). **ჭანგი** არ ჩანს სვანურში (ამ მნიშვნელობით „სვანურ ლექსიკონში“ გვაქვს: **კანჭ[ტუ]/კანჭუ/კანჭ** 1. ბრჩხილი; 2. ბრჭყალი, კლანჭი (თოფურია, ქალდანი 2000: 344), ხოლო ბ. ნიჟარაძეს თავის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში“ სვანური სიტყვა არ აქვს მითითებული, წიგნის რედაქტორს კი ჩაუწერია **კანჭ** (ნიჟარაძე 2007: 247). მეგრულში დასტურდება სახელი **ჭანგარ-ი** „შაშხანა“, „ხიშტი“ და ზმნები: **ჭანგარუა** „აჭრა, აჩეხვა, გაცამტვერება“¹ (ქობალია 2010: 706) და **ჭანგალუა** „მრავლის დახოცვა, განადგურება, მოსპობა, მოსრვა (ქაჯაია 2002: 457). „ბრჭყალის, კლანჭის, ბრჩხილის, სამსჭვალის“... მნიშვნელობით კი მეგრულში გვაქვს **ჭვალეიკი/ჭვალკოი** (ყიფშიძე 1994: 388; ჭარაია 1997: 170; ქაჯაია 2002: 463; ქობალია 2010: 708; ელიავა 1997: 375).

სიტყვა „**ჭანგს**“ ქართულსა და მის ქვესისტემებში აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: „ბრჭყალი, კლანჭი“, „ნესტარი“ (აჭ.); „ფეხზე დასამაგრებელი ნამგლისებური, კბილებიანი ლითონის მოწყობილობა ბოძზე ასასვლელად“ (სპეც.); „ვაზის უღვაში“ (ზმ. იმერ.); „**სიმყავე, ჭმახი**“ (მდრ.: **ჭანგმოკიდებუ-ლი** – რასაც ჭანგი აქვს მოკიდებული, – შეჭანგებული, შემყავებული³ (ქეგლ 1964, 1226).

ჩვენი ვარაუდით, სემანტიკური გადასვლები ასე უნდა წარმართულიყო: „სპ. **cang** „თათი“ > ქართ. **ჭანგ-ი** „ცხოველის ბრჭყალი“; „ფრინველის ბრჭყალი“ > „მლიერად ჩასობის ან მოჭიდების უნარის მქონე რამ („ნესტარი“; „ვაზის უღვაში“; „ერთგვარი სარეველა ბალახი“...; > გად. „უსიამოვნო გემო, რომელიც რაიმეს (მაგ. ღვინოს) თუ მოეკიდა, ვერ მოაშორებ – **სიმყავე, ჭმახი/წმახი**“. ამ უკანასკნელთან გაკავშირებით მოვუხმობთ სულხან-საბას განმარტებას: „უმეცარნი ღვინოსა მომმარებულსა რომელნიმე ჭანგს(ა) უწოდებენ, რომელ(ნ)იმე კანჭსა. **არც(ა) ერთია მათი სახელი**, ანუ **მომმარებული**, ანუ **ჭმახი**“ (საბა 1993: 397, 398). ეს განმარტება, ვფიქრობთ, მკაფიოდ მიანიშნებს, რომ ქართულში სიტყვა **ჭანგის** ძირითადი მნიშვნელობა არის „ბრჭყალი“ და არა „სიმყავე“. როგორც ჩანს, **ჭანგის** გადატ. მნიშვნელობა („**მომმარებული**“) იმ დროისათვის ოდენ დიალექტურ მონაცემად აღიქმებოდა.

¹ მეგრულში, ასევე, დასტურდება **ჭარგალუა** „აჭრა, აჩეხვა“; **ჭარგა** „ჭრელი, დაჭრელებული“; **ჭარგუა** „სამშენებლო ქვის დაჭრელება; აჭრელება, აფორეჯება“ (ქობალია 2010: 707).

² **ჭანგ-ი** (ზმ. იმერ.) „ვაზის მუხლთან, მტევნის ადგილას, უნაყოფო წამონაზარდი, რომელიც ძაფივით ეხვევა სარს, – ვაზის უღვაში“ (ძოწენიძე 1974: 493).

³ ამ სემანტიკას უნდა უკავშირდებოდეს ლაზურში დადასტურებული **ჭანგანა** „ცომის შიდა გამოუცხოი ნაწილი“ (თანდილავა, 858).

ამგვარად, საანალიზო ფიტონიმების (**წენგა/წენგარა** და **ჰანგა**) მოტივაცია განსხვავებულია. ამასთან, **ჰანგ-ი** ნასესხები სიტყვაა. შესაბამისად, არქტიპის აღდგენის მიზნით შესადარებელი ერთეულები (**წენგა** და **ჰანგა**) „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ არასწორადაა შერჩეული. მსგავსი შეუსაბამობა სპეციალურ ლიტერატურაში სხვაც არაერთი დასტურდება. სტატიის მიზანიც სწორედ ეს არის – ამგვარი კვლევებისას ფიტონიმთა მოტივაციის გათვალისწინების წარმოჩენა.

ლიტერატურა

არაბული 2001 – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთექმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულირანული ურთიერთობებიდან, თბილისი.

ასათიანი 1978 – ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბილისი.

ბაგრატიონი 1986 – ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

დიალექტოლოგია 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, დიალექტოლოგია, I, ახალი ქართული ენის კათედრის შრომები, 3, თბილისი.

თანდილავა 2013 – ალ. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

კაიშაური 1967 – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, 1967.

კეცხოველი 1963 – ნ. კეცხოველი, მცენარეები და სოფლის მეურნეობა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბილისი.

ლიპარტელიანი 1994 – ას. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი [ჩოლურული კილო], თბილისი

ნიჟარაძე 2007 – ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე 1971 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი.

ონიანი 1917 – А. Ониани, Сборник сванских названий деревьев и растений, Петроград.

სარჯველაძე 2004 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

საბა I, 1991; II, 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

ქეგლ I, 1951; IV, 1955; VIII, 1964.

ქსე 6, 1977; 9, 1983; 11, 1987.

ქობალია 2010 – ალ. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

დლონტი 1984 – ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ყიფშიძე 1994 – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი.

შანიძე 1984 – აკ. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი.

შარაშიძე 1938 – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბილისი.

ჩანტლაძე, ნაკანი 2014 – ი. ჩანტლაძე, ნ. ნაკანი, სვანეთის ფლორა, თბილისი.

ცოცანიძე 2012 – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი

ძოწენიძე 1974 – ქ. ძოწენიძე, ზემომიერული ლექსიკონი, თბილისი.

ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი

ჭინჭარაული 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ჯორბენაძე 1993 – ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბილისი.

NANA KHOCHOLAVA-MACHAVARIANI

Several Opinions on Etymological Research of Plant Names *çenga* and *çanga*

S u m m a r y

When researching plant names etymologically using the phonological data quite often leads to the wrong conclusion. The reason is that comparable units (phytonyms) are chosen incorrectly neglecting their motivation, e. g. while searching relevant archetype the phytonyms were improperly selected: Geo. **çeng-a**, Laz. **çang-a**, accordingly, the archetype ***ç,eng-** was restored (H. Fähnrich, Z. Sarjveladze).

While identifying those plants it turns out that they are two, completely different herbaceous plants and the motivation and origins of the phytonyms to be compared are different as well.

a) The origin of the words **çeng-a/çeng-ar-a/çeng-ar-i/çeng-ar-a-i/çeng-er-a** (Comfrey; *Symphytum caucasicum*) is related to the quality of the plant (It was used as a dye), to the word **çengo**.

b) The motivation of the relevant Laz phytonym **çanga** (Doob; *Cynodon dactylon*(L) Pers.) is a plant having a root with an ability to grasp. By itself, in Georgian the word **çangi** is considered to be a borrowing. (Chubinashvili, Andronikashvili, Tandilava). In the Georgian language and its sub-systems the word **çangi** has several meanings: a claw; a sting; a tendril; acidity. We assume that the semantic transitions were as follows: **cang** (a paw) > Geo. **çang-i** (a claw) > Something that has an ability to grasp or stab easily: a sting, a tendril; an agrestal; unpleasant taste, acidity.

Thus, the motivation of the phytonyms **çenga/çengara** and **çanga** is different. In addition, the word **çang-i** is a borrowing. Accordingly, the comparable units **çenga** and **çanga** were selected incorrectly to restore the archetype.

ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა

**ქართული სალიტერატურო ენის ნორმები
და თანამედროვე მდგომარეობა**

(უცხო სიტყვათა გადმოცემის რამდენიმე შემთხვევისათვის ქართულში)

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“-ს გამოცემიდან 40 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ, როგორც ნორმათა დადგენის ზოგადი დებულებები, ისე ცალკეულ (თუმცადა კი – სისტემურ) შემთხვევათა შესახებ მოცემული დასკვნა-რეკომენდაციები დღესაც აქტუალურია და მოქმედი.

აქედან გამომდინარე, ახალი ვითარების გათვალისწინებით გადამუშავებული ნორმების კრებულის გამოცემისას მხოლოდ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევათა (უმეტესად, ახლადშემოსულ თუ დამკვიდრებულ ფორმათა) გათვალისწინებაა საჭირო, უმეტესად.

თანამედროვე ქართული სამეტყველო ენის მონაცემების მიხედვით უკვე დადგენილ ნორმათა გადახედვა დიდი ხანია დღის წესრიგში დგას. სტატიაში ამ კუთხით განხილულია უცხო სიტყვათა გადმოცემის რამდენიმე საკითხი.

1. გერმანული ei დიფთონგის გადმოცემა ქართულში

აღნიშნული საკითხი წმინდა ორთოგრაფიული საკითხია – უნდა დადგინდეს, როგორ გადმოიცეს გერმანული ei დიფთონგი ქართულში – როგორც ეი, თუ, როგორც აი ხმოვანმიმდევრობა?

როგორც ნორმათა კრებულის ამავე სახელწოდების სტატიაშია აღნიშნული (ნორმები 1970: 33), თვით გერმანული ფონეტიკის თანახმად, თანამედროვე გერმანულ მეტყველებაში განსახილველი დიფთონგის პირველი ხმოვანი უფრო ა არის, ვიდრე – ე. ასევე გადადის ის სხვა ევროპულ ენებშიც (გარდა რუსულისა). რაც შეეხება ქართულს, აქ მერყეობა იყო თავიდან – იწერებოდა: **ლეიზნიცი/ლაიზნიცი, ცვეიგი/ცვაიგი, რეიხსტაგი/რაიხსტაგი, ჰეინე/ჰაინე** და სხვა... ეს ორგვარი დაწერილობა ორგვარი სესხების გზით აიხსნება: ერთი მხრივ, გერმანულიდან შემოდოდა ფორმები (**აი** დაწერილობით), მეორე მხრივ კი – რუსულის გზით (**ეი** ხმოვანმიმდევრობის სახით). თანამედროვე ლიტერატურული გამოთქმა ამ დიფთონგისა ქართულში გადმოიცემა **აი**-ს სახით (**აინშტაინი, რაიხსტაგი**...), რაც, სხვა მიზეზების გარდა, ქართული **ა** ხმოვნის ბუნებითაც განისაზღვრება: ქართული **ა** თავისი ბუნებით უფრო ვიწრო ხმოვანია და ხშირად ის სხვა ენების **ე**-ს შეესაბამება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ გერმანულ სიტყვა-თა გადმოცემისას (როგორც საზოგადო, ისე, საკუთარი სახელებისა) **ei** დიფთონგი ქართულში უნდა გადმოიცეს **აი**-ს სახით. აქედან გამომდინარე, სწორი ფორმებია:

აინშტაინი
რაიხსტაგი
ცაიტნოტი
ცვაიგი
ვაიმარი
ჰაინე და სხვა...

ეს წესი არ ვრცელდება იმ ფორმებზე, რომლებიც ჯერ რუსულში შესულან, დაქვემდებარებიან ამ ენის წესებს და მერე შემოსულან ქართულში. ასეთებია, მაგალითად:

ბრონშტეინი
შტეინი
ეიზენშტეინი
რუბინშტეინი და სხვა...

(აღნიშნული პირები რუსეთში დაიბადნენ და იქვე მოღვაწეობდნენ).

ჩვენი მხრივ, დავამატებდით, რომ იგივე შეიძლება ითქვას ინგლისური ენის შემთხვევაშიც. ინგლისური ენის წესებს დაექვემდებარა და მერე შემოვიდა – ამიტომ **ეი** ხმოვანმიმდევრობით დამკვიდრდა:

ეიზენჰაუერი
გლინტეინი (რომელიც ორთოგრაფიულში **გლინტეაინ** ფორმითაა შეტანილი)
 და სხვა...

2. ევროპის ენებიდან შემოსული **la** და **lu** ჯგუფებიანი სიტყვების გადმოცემა ქართულში

ბევრი ევროპული სიტყვა შეიცავს **la** და **lu** კომპლექსებს, რომლებიც ქართულში სხვადასხვანაირად გადმოიცემოდა: **იზოლაცია/იზოლიაცია**, **ლამპა/ლიამპა**, **რეგულარული/რეგულიარული** და სხვა. რით აიხსნება ეს ყოველივე?

ნორმათა კრებულში საკითხი ასეა წარმოჩენილი (ნორმები 1970: 36):

ეს ფორმები ქართულში რუსულის გზით შემოვიდა, სადაც ასევე სიჭრელე იყო დაწერილობისას. ეს სიჭრელე, თავის მხრივ, იქიდან გამომდინარეობს, რომ რუსულს აქვს რბილი და მაგარი თანხმოვნები; ეს კი ხმოვნების დაწერილობაზე აისახება. ამიტომ რუსულმა ორგანულად მიიღო **ლია** / **ლიუ** ბგერათკომპლექსები.

რაც შეეხება ქართულს, გარდა იმისა, რომ მას არა აქვს გარჩევა რბილი და მაგარი თანხმოვნებისა, მას არა აქვს, ასევე, დიფთონგების სისტემაც. აქედან გამომდინარე, შეცდომაა აღნიშნული კომპლექსების გადმოცემა **ლია/ლიუ**-ს სახით. სწორია ფორმები:

იზოლაცია
ასიმილაცია
ტრანსლაცია
პოპულარული
რეგულარული
მალარია
კანცელარია
პოლარული
აკუმულატორი...

და ასევე:
ალუმინი
ევოლუცია
პლუსი
ჰალუცინაცია
მოლუსკი...

აღნიშნული წესი სალიტერატურო ქართულში გატარებულია და დღევანდელ სასაუბრო მეტყველებაშიც დაცული რამდენიმე გამონაკლისის გათვალისწინებით: **ლა/ლუ** კომპლექსების ნაცვლად ზეპირ მეტყველებაში **ლია/ლიუ** გამოიყენება ორიოდე ფორმაში; როგორებიცაა, მაგალითად – **პლიაჟი** და **პლიუსი**.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აღნიშნული სიტყვები, დანარჩენებისგან განსხვავებით, მხოლოდ ორმარცვლიანი ფორმებია. საფიქრებელია, რომ ეს ფაქტორი (**პლ** თანხმოვანთკომპლექსთან ერთად) განაპირობებს **ი** ხმოვნის ჩართვის აუცილებლობას. შეიძლება ამ ფორმათა გამონაკლისის სახით დაშვება ქართული ენის ფონოტაქტიკის წესების მოშველიებით.

მეორე მხრივ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **პლიუს** ფორმაში ორი სრული ხმოვანი გვაქვს, ხოლო **პლიაჟ** ფორმაში კი **ია** უფრო დიფთონგის ხასიათისაა და უცხო ენათა გამოთქმის გავლენას უნდა მიეწეროს. თუმცა არც ამ შემთხვევაში შეიძლება ქართული ენის ფონოტაქტიკის ზეგავლენის უარყოფა.

ასეა თუ ისე, ზემოხსენებული ორი ფორმა (**პლიაჟი** და **პლიუსი**) აშკარად განცალკევებით დგას ამ ტიპის (**ლა-** და **ლუ-** კომპლექსიან) სხვა სახელებს შორის და მათი საკითხიც სხვა დამატებითი ფაქტორების (მათ შორის, ქართული ფონოტაქტიკის) გათვალისწინებით განსხვავებულად უნდა გადაწყდეს.

3. ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე **სიტყვათა დაწერილობა ქართულში**

საქმე ეხება ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე ფორმებში რამდენიმე ბგერის ქართულად გადმოცემის საკითხს, რა დროსაც ყურადღება ექცეოდა სამ გარემოებას:

1. რომელი ფორმა იყო სწორი ამოსავალ ენაში;
2. რომელი ფორმა არ ეწინააღმდეგებოდა ქართული ენის ნორმებს;
3. რომელი ფორმა იყო გაბატონებული სამწერლობო ენაში (ნორმები 1970: 40).

ამ პუნქტების გათვალისწინებისას უმეტესი ძალა ბოლო პუნქტს აქვს, ხოლო უმცირესი – პირველს, რასაც არნ. ჩიქობავას მიერ ნორმათა დადგენის პრინციპებიც ადასტურებს, სადაც აღნიშნულია, რომ:

„ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა. ამ შემთხვევაში მოცილე მოვლენათაგან უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში;

ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად;

გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით.“

(ნორმები 1970: 8).

ქ თუ ხ, ჰ თუ გ?

ცნობილია, რომ ბერძნული ასო-ბგერა **χ (ხი)** სალიტერატურო ენის განვითარების ძველ პერიოდში გამოითქმოდა, როგორც „ქ“. შემდგომ და ბიზანტიური ხანის ბერძნულში კი ის უკვე „ხ“ ბგერის შესატყვისია.

ქართულში ამ ასო-ბგერის შემცველი უამრავი ბერძნული სიტყვაა შემოსული. როგორც უკვე აღინიშნა, ასეთ სიტყვებში ბერძნული და (მასთან ერთად) ლათინურიც თავიანთი სალიტერატურო ენის განვითარების ძველ პერიოდში და უფრო გვიან, სასაუბრო მეტყველებაშიც, ხმარობდა „ქ“-ს და არა „ხ“-ს. ქართულშიც ეს სიტყვები „ქ“ ბგერით შემოვიდა ჯერ კიდევ უძველესი დროიდან: *მიქაელი, ანტიოქია, ქრისტე, ქორონიკონი* და სხვა... „ქ“ ბგერა დამკვიდრდა ბერძნულიდან მომდინარე სიტყვებში სასაუბრო მეტყველებაშიც: *მალაქია, ქარაგმა, სტომაქი, ბოქლომი...* (ნორმები 1970: 40).

ბუნებრივია, ვინაიდან ბერძნულიდან მომდინარე სიტყვებში **χ-ს** გადმოსაცემად ძველმა ქართულმა სალიტერატურო ენამ გამოიყენა „ქ“, შემდეგ შემოსულ სიტყვებშიც უნდა დარჩეს „ქ“. ამიტომ სწორად მიიჩნევა ფორმები და ქართულშიც სწორედ ამ სახით დამკვიდრდა:

არქაიზმი, არქეოლოგია, არქიტექტურა, სტიქია, ტექნიკა, ფსიქიკა, კლორი, კოლერა, კრესტომათია, ქრონიკა, ქრონოლოგიური...

მაგრამ ქართულ სასაუბრო მეტყველებაში ზოგიერთ ფორმაში შეინიშნება „ქ“ ბგერის „ხ“ ბგერით შეცვლის ტენდენცია. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, *ბრონხები, ხოლერა* (სასაუბრო მეტყველებაში გამოვლენილი) ტიპის შემთხვევები.

როგორც ვხედავთ, ბიზანტიური ხანის ბერძნულსა და ქართულში ერთგვარი ფონეტიკური პროცესები, მეტიც – იდენტური ფონეტიკური მოვლენა შეინიშნება. ოღონდ თუ ბიზანტიური ხანის ბერძნულში ეს არტიკულაციური გადასვლა სისტემებში (ყველა ამ ფონემის შემცველ სიტყვაში) გატარდა, ქართულში ეს მხოლოდ რამდენიმე ფორმას შეეხო. მაგრამ ამ შემთხვევაში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. **ტიპოლოგიური მსგავსება აშკარაა.**

ქართულში „ქ“-ს „ხ“-დ ქცევის პროცესი არ შეიძლება რუსულის გავლენას მივაწეროთ (რომელსაც „ქ“ ბგერა არ გააჩნია და ამიტომ ბერძნული „ქ“ მას ყოველთვის „ხ“-დ გადმოაქვს), რადგან:

1. ბერძნულიდან ნასესხებ ყველა ფორმაში ეს ცვლილება სისტემებზე არ ტარდება (არავინ ამბობს – *არხიტექტურა, არხეოლოგია, სტიხია...*);

2. **ქ / ხ** მონაცვლეობა არაა უცხო ქართული ენის ბუნებისათვის (დიალექტები ამის მაგალითებს იძლევა).

ჩნდება კითხვა, რატომ გატარდა აღნიშნული პროცესი მხოლოდ რამდენიმე ფორმაში? პასუხი ძალიან მარტივია – „ქ“ „ხ“-ში გადადის სასაუბრო (საყოფაცხოვრებო) მეტყველებაში ყველაზე ხშირადხმარებულ და გამოყენებად სიტყვებში; ანუ იქ, სადაც ფონეტიკური პროცესის განხორციელებას ხელს არ უშლის სალიტერატურო ენის ნორმები და წერილობითი ძეგლების ენა; და სადაც სიტყვათა „ცვეთის“ ხარისხი მეტია. რაც მთავარია, გადამწყვეტი აქ ფონეტიკური ფაქტორია – კერძოდ, **ნ** და **ო** ბგერების მეზობლობა **ქ** ბგერასთან – *ბრონქები, ქოლერა*.

ერთგვარი ფონეტიკური პროცესი იკვეთება ბიზანტიური ხანის ბერძნულსა და ქართულში ასევე **ჰ** ბგერის შემთხვევაშიც:

ჰ ბერძნულში ხორხისმიერი ბგერა იყო, რომლის გადმოსაცემდაც საგანგებო ნიშანი არც არსებობდა. ბიზანტიური ხანის ბერძნულში ეს ბგერა საერთოდ გაქრა (ნორმები 1970: 43).

თანამედროვე ქართულშიც **ჰ** სუსტი ბგერაა და ბევრ ფორმაში (ანუ თანდათანობით) ის იკარგება. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ **ჰ** ბგერის დაკარგვის ტენდენცია უნივერსალური ენობრივი მოვლენაა. მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ფაქტი, როდესაც ინგლისურში **ჰ** დაიკარგა სიტყვებში: *hring > ring* (ბეჭედი); *hneeca > neck* (კისერი); თუმცა, ჩვენის მხრივ, დავამატებდით, რომ აქ ჯერ კიდევ გასარკვევია **h**-ს ფონემურობის საკითხი.

ბერძნულ-ლათინური წარმომავლობის სიტყვების ნაწილი, რომელიც იწყება ძლიერი ფშვინვით ბერძნულში, ლათინურში კი – **h**-თი, ქართულში **ჰ**-თი გადმოდის: *ἀρμυσία ჰარმონია*, *ἡμέριον ჰიპოთეზა*, *habitus ჰაბიტუსი*; ნაწილი სიტყვებისა კი – **ჰ**-ს გარეშე: *ἡμέριον იპოთეზა*, *ἡμερόμιον იპოდრომი*, *ἡμερόμιον იპოსტასი*. არამართებულია ამდაგვარი წარმომავლობის სიტყვების **გ**-თი დაწყება, რასაც რუსულის გავლენით ხსნიან; მაგ.: *გიპნოზი, გერბარიუმი, გონორარი*. უნდა იყოს (და ამ სახით იხმარება კიდევ): *ჰიპნოზი ἡπνοზი*, *ჰერბარიუმი herbarium*, *ჰონორარი honorarium*. რაც შეეხება *ჰალუცინაცია*ს, იგი ლათინური სიტყვაა და გვხვდება როგორც *halutinatio*, ასევე – *alutinatio* ფორმითაც. რა თქმა უნდა, ქართულში ტრადიციულად დამკვიდრებული ვარიანტი (*ჰალუცინაცია*) უნდა ვიხმაროთ.

როგორც ვხედავთ, ბერძნულ-ლათინურიდან ნასესხებ სიტყვებში **ჰ**, როგორც წესი, შენარჩუნებულია და არ შეინიშნება მისი **გ**-ში გადასვლის შემთხვევები. ნორმების მიხედვით მართებულია (და ამავე სახით იხმარება სასაუბრო მეტყველებაშიც): *ჰალუცინაცია, ჰეგემონია, ჰიგიენა, ჰიმნი, ჰუმანიზმი...* თუმცა არის ერთი გამონაკლისი. მხედველობაში გვაქვს *ჰალსტუხი > გალსტუკი* ტიპის შემთხვევა, სადაც **ჰ**-ს **გ**-ში გადასვლა ქართულ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო (თუმცა ბოლომდე ვერ გამოვრიცხავთ რუსული ენის გავლენასაც). ამის მიზეზი კი ბოლოკიდური **ხ**-ს არსებობა უნდა ყოფილიყო, რო-

მელმაც ვერ „იგუა“ ჰ ბგერა სიტყვის თავში, ხოლო შემდგომ თვითონაც იცვალა უკვე გ-ს გავლენით (ჰალსტუხი > *გალსტუხი > გალსტუკი). ამ ფაქტისა და აღნიშნული (**გალსტუკი**) ფორმის საყოველთაო გავრცელებულობის გათვალისწინებით შეიძლება მისი გამონაკლისის სახით დაშვება სალიტერატურო ქართულშიც.

თ თუ ტ?

ნორმათა კრებულის შესაბამის სტატიაში აღნიშნულია (ნორმები 1970: 41), რომ ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე ამ ფონემების შემცველ სიტყვებში უნდა დამკვიდრდეს ის თანხმოვანი, რომელიც ამოსავალი ენის შესაბამის ფორმაშია. აქედან გამომდინარე, სწორი ფორმებია:

ერთი მხრივ:

თეოლოგი
ათეისტი
ეთერი
თემა
ლითონი
ბიბლიოთეკა
თეორია
თერმოსი...

მეორე მხრივ:

ატომი
ატროფია
კლიმატი
კატასტროფა
კატეგორია
ფოტოგრაფი(ა)
ტელეფონი
ტერმინი
ტერორი

მაგრამ უნდა გაირჩეს ორი ფორმა: **რიტმა** და **რიტმი**. ეს გარჩევა ქართულში გაბატონდა რუსული ენის გავლენით.

სხვა თანამედროვე ევროპული ენებიდან მომდინარე ფორმებში დაწერილობას ექვევა ყურადღება. **th** კომპლექსის შემთხვევაში **თ** გვექნება, ხოლო **t**-ს შემთხვევაში კი – **ტ** (ნორმები 1970: 40-43).

მაშასადამე, უნდა ვიხმართ: **ხატალიონი**, **ხეტონი**, **ეტიკეტი**, **ვიტრინა**, **კაბინეტი**, **ტრეინინგი** (// **ტრენინგი**), **მიტინგი**, „**ტაიმსი**“, **კომპიუტერი...**

და ასევე: **დოროთეა...**

ჩვენი აზრით, გამონაკლისის სახით შეიძლება დავუშვათ – **სიმპატია**, **სიმპატიური**, სადაც ქართულში ასიმილაცია არის მომხდარი (ახლანდელი ნორმების მიხედვით გვაქვს: **სიმპათია** **συμπάθεια**). აღნიშნული ფორმები თანამედროვე ქართულში (ზეპირ მეტყველებაში) უგამონაკლისოდ **ტ** ბგერით გამოიყენება.

4. ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან -ურ ბოლოსართით

-ურ ბოლოსართი ქართულში სადაურობისა და თვისების აღმნიშვნელი სიტყვების მაწარმოებელია. იგივე სუფიქსი აწარმოებს ზედსართავებს იმ შემთხვევაშიც, როცა ფუძედ უცხო სიტყვაა აღებული. ამ დროს კი გარკვეული წესების დაცვაა აუცილებელი (ნორმები 1970: 125):

1. -ურ (-ულ) ბოლოსართი ემატება სახელის კვეცილ ფუძეს:

პოლიტიკა – პოლიტიკური

ისტორია – ისტორიული

პრაქტიკა – პრაქტიკული...

2. თუ მხოლოდ ზედსართავი სახელია ნასესხები, ქართული სუფიქსი ემატება სათანადო უცხო ენის ზედსართავის ფუძეს:

აქტუალური

რეალური

სოციალური

სერიოზული

სპეციალური

კონკრეტული...

ასევე:

პნეგმატური

სომატური

პრაგმატული...

3. როცა სათანადო არსებითი სახელიც არის ნასესხები, ქართული ბოლოსართი ემატება არსებითი სახელის ფუძეს:

გიგანტი – გიგანტური

ლოგიკა – ლოგიკური

გრამატიკა – გრამატიკული...

გამონაკლისის სახით რჩება (ასე დამკვიდრდა): **მუსიკალური, თეატრალური, ფორმალური, ცენტრალური, მატერიალური** (ნორმები 1970: 125-128).

რაც შეეხება ერთი ტიპის -al (-ar) სუფიქსიან სახელებს (**ტერიტორიო-ულ-ო / ტერიტორიო-ალ-ურ-ი** ტიპისა), რომლებიც ორგვარად გადმოიცემა ქართულში – როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წესით, აქ -ალ სუფიქსი ზედმეტია; მაგრამ ხანდახან ტერმინი ინარჩუნებს ლათინურ სუფიქსს და მის შესატყვის ქართულ -ულ (-ურ) სუფიქსსაც. მაგ.: გვაქვს **რეგიონ-ულ-ო (region-al-is)** გაზეთი და **რეგიონ-ალ-ურ-ი (region-al-is)** სესია; **ტერიტორიო-ულ-ო (territori-al-is)** საზღვარი და **ტერიტორიო-ალ-ურ-ი (territori-al-is)** წყლები; **კოლონი-ურ-ი (coloni-ar-is)** ქვეყნები და **კოლონი-ალ-ურ-ი (coloni-ar-is)** პოლიტიკა. ე. ი. მოხდა ამ პარალელურ ფორმათა ფუნქციური გამიჯვნა, რაც სწორი ენობრივი ტენდენციაა.¹

¹ პარალელური ფორმების არსებობის შემთხვევებშიც სწორ ფორმებად მიიჩნევა ერთმაგი სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები. მაგ.: ქველ-ში კი არის შეტანილი როგორც **ტერიტორიული**, ასევე **ტერიტორიალური**, **ფუნდამენტური** და **ფუნდამენტალური**, მაგრამ ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში მხოლოდ **ტერიტორიული** და **ფუნდამენტური** არის სწორ ფორმებად მიჩნეული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ლათინური **-al (-ar)** სუფიქსით იწარმოება მხოლოდ არსებითი სახელი, ხოლო ორმაგი სუფიქსით (ლათინურითა და ქართულთ) – ზედსართავი. მაგ.: **კრიმინ-ალ-ი (crimin-al-is)**, სისხლის სამართლის დანაშაული და **კრიმინ-ალ-ურ-ი (crimin-al-is)** საქმე; ზოგჯერ ერთი და იმავე ლათინური ძირიდან **-ალ** და **ალ-ურ** სუფიქსებით ნაწარმოები სახელები შინაარსობრივად მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან: **კარდინ-ალ-ი (cardin-al-is)** – უმაღლესი რანგის სასულიერო პირი და **კარდინ-ალ-ურ-ი (cardin-al-is)** – რიცხვი, ცვლილებები.

გარდა ამისა, როგორც ნორმების კრებულშია აღნიშნული, გარჩეულ უნდა იქნეს სხვადასხვა შინაარსის მქონე (ამოსავალ არსებით სახელებშიც ასეთი სხვაობაა) ზედსართავი წარმოება (ნორმები 1970, 128). მაგალითად:

პედაგოგიური (პედაგოგია > *პედაგოგისა* – წვრთნა)

პედაგოგური (პედაგოგი > *პედაგოგისა* – ზრუნვა)

პედაგოგიკური (პედაგოგიკა > *პედაგოგიკისა* – მეცნიერებანი)

ასევე:

ეკონომიკური (პოლიტიკა) – **ეკონომიური** (ხარჯვა)

არასწორი წარმოების ნიმუშებადაა მიჩნეული **ტიბიური, ფაქტიური** ფორმები. სუფიქსად **-ურ** არის ნავარაუდები; აქედან გამომდინარე, **-ი** ხმოვნის გამოყენება ამ სახელებში შეცდომად მიიჩნევა. თანამედროვე სასაუბრო ქართულში კი, როგორც წესი, სწორედ ეს მცდარად მიჩნეული **ტიბიური, ფაქტიური** ფორმები იხმარება უგამონაკლისოდ (მხედველობაში არ მიიღება ის ძალდატანებითი წარმოთქმა, როდესაც პირი ცდილობს „სწორი“ ფორმა გამოიყენოს, რათა მას ქართული ენის ნორმების არცოდნა არ დაბრალებდეს). რატომ? იმიტომ, რომ რეალურად აქ **-იურ** სუფიქსი გვაქვს (შდრ.: **ცი-ური, მზი-ური** წარმოება). ეს **-იურ**, სავარაუდოდ, **-იგ-ურ** მაწარმოებლიდან მოდის. აქედან გამომდინარე, **ტიბიური, ფაქტიური**, რეალურად, სწორი წარმოებაა; ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ „ტიბური“, სავარაუდოდ „ფაქტური“ არტიკულაციურად მიუღებელი ფორმებია ქართულისათვის...

5. ზედსართავ სახელთა წარმოება ბერძნულიდან მომდინარე მა-ზე დასრულებულ არსებით სახელთაგან

მა-ზე დაბოლოებულ ბერძნულ არსებით სახელთაგან ზედსართავთა წარმოებისას გვაქვს ორგვარი ვითარება:

1. მარტივ ფუძეს ემატება **-ურ** სუფიქსი: **პროგრამა – პროგრამ-ული**.

2. ფუძეს დამატებით ერთვის **-ატ** სუფიქსი: **პრობლემა – პრობლემატური...** რომელი წარმოებაა სწორი?

ბუნებრივია, თუ ქართულში უცხოური არსებითი სახელია შემოსული, ზედსართავი სახელის წარმოებისას ამოსავლად ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძე უნდა ავიღოთ. აქედან გამომდინარე, გვაქვს:

სისტემა – სისტემური

ეპიგრამა – ეპიგრამული

პრიზმა – პრიზმული

და ა. შ.

ხოლო როდესაც ქართულში ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამისი **-მა** დაბოლოებიანი არსებითი სახელები არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი სახელი იწარმოება ამოსავალი ენის ზედსართავის ფუძისაგან (რუსულის გზის გავლით);

პნევმ-ატ-ურ-ი

პრაგმ-ატ-ულ-ი

სომ-ატ-ურ-ი

გამონაკლისის სახით შეიძლება დავუშვათ „მცდარი“ გაბატონებული ფორმები, როგორებიცაა: **პრობლემატური**, **დრამატული** (ნორმები 1970: 129).

ჩვენი აზრით, ასევე დაშვებულ უნდა იქნას ისეთი სახის პარალელური ფორმებიც, რომელთა შორისაც შინაარსობრივი სხვაობა იჩენს თავს. მაგალითად:

სისტემური (დანაშაული) – **სისტემატური** (ხასიათის გაცდენა)

სქემური (ნახაზი) – **სქემატური** (პერსონაჟი) და სხვა...

ლიტერატურა

ნორმები 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი.

NINO JORBENADZE, IAMZE GAGUA

Norms of the Georgian Literary Language and the Current Situation

(Several Occasions of Expressing Foreign Words in Georgian)

S u m m a r y

More than forty years have passed since the publication of *The Modern Georgian Literary Language Norms* but the general principles of establishing norms as well as the conclusions and recommendations on some certain (although systemic) cases are relevant and applicable even today. Therefore, it is required to consider only certain specific cases (mainly newly introduced or established forms) when preparing the revised norms for the publication.

The revision of the established norms based on the data of the modern Georgian colloquial language has been on the agenda for a long time. The paper deals with some cases of expressing foreign words in Georgian, in particular:

1. Expressing the German diphthong **ei**;
2. Expressing the European loanwords consisting of **la** and **lu**;
3. Spelling the words derived from Greek and Latin;
4. Forming the adjectives with the suffix **-ur** from the borrowings;
5. Forming the adjectives from the nouns with the German origins and the ending **ma**.

**ირინე ასათიანი, წინდებულები ზანურ (მეგრულ-ლაზურ)
ენაში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2015, 355 გვ.**

(რეცენზია)

ქართულმა ლინგვისტიკურმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი საჩუქარი მიიღო – თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამოსცა ირინე ასათიანის ნაშრომი „წინდებული ზანურ (მეგრულ-ლაზურ) ენაში“ (2015 წ.).

ნაშრომი წარმოადგენს ი. ასათიანის საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით, მაგრამ დღემდე არ დაუკარგავს აქტუალურობა, მეტიც, ის არის ზანური ენის მორფოლოგიის ერთი კონკრეტული უბნის კვლევის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში.

ნაშრომს იმთავითვე მიუქცევია მკვლევართა ყურადღება. ცნობილი კავკასიოლოგი ჟ. დიუმეზილი გასცნობია დისერტაციის ავტორეფერატს, მაღალი შეფასება მიუცია მისთვის და გამოუთქვამს სურვილი სრულად გამოცემულიყო ნაშრომი.

მონოგრაფიაში განხილულია ზანური მორფოლოგიის ურთულესი ნაწილი – წინდებული, რომელიც, ქართულისაგან განსხვავებით, მრავალი ფორმით არის წარმოდგენილი მეგრულ-ლაზურში, მოცემულია მისი სტრუქტურულ-ფონეტიკური და სემანტიკური ანალიზი.

ნაშრომი შეიცავს 355 გვერდს, შედგება შესავლის, ორი თავისა და დასკვნისაგან. ერთვის მეგრული და ლაზური წინდებულების ტაბულები, რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე, დამოწმებული ლიტერატურის სია, შემოკლებათა განმარტებანი და წინდებულთა და სიტყვა-ფორმათა საძიებელი, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

შესავალში ავტორი განიხილავს წინდებულის არსს, ბუნებას, ფუნქციას; მიმოიხილავს საკითხის შესწავლის ისტორიას, საგანგებოდ აღნიშნავს ი. ყიფშიძის, ნ. მარის, არნ. ჩიქობავას ნაშრომებს. საილუსტრაციო მასალები მოხმობილია გამოქვეყნებული ტექსტებიდან (ა. ცაგარელი, ი. ყიფშიძე, მ. ხუბუა, ს. ჟღენტი, ნ. მარი, არნ. ჩიქობავა), აგრეთვე ავტორის მიერ სამეგრელოსა და სარფში სამეცნიერო მივლინებისას საველე სამუშაოების დროს მოპოვებული მასალებიდან. საილუსტრაციო მასალა განმარტებულია ქართულად, რაც უფრო გასაგებს ხდის ნაშრომს დაინტერესებული მკითხველისთვის.

I თავში (11-182 გვ.) განხილულია მეგრულის წინდებულები. ვრცლად არის წარმოდგენილი მარტივი ზმნისწინებიდან (მათი რიცხვი 12-ია) წარმომდგარი რთულის (80 ერთეული) წარმოების საშუალებები, ფონეტიკური ვარიანტები. მსჯელობა განმტკიცებულია მრავალრიცხოვანი საილუსტრაციო მასალით.

II თავი (185-282 გვ.) ეძღვნება ლაზური წინდებულების ანალიზს, რომელიც წარმოდგენილია 8 მარტივი და მისგან მიღებული 42 რთული ფორმით. წინა თავის მსგავსად, აქაც თითოეული ზმნისწინი ცალ-ცალკეა განხილული, ერთვის მრავალფეროვანი საილუსტრაციო მასალა ლაზურ კილო-თქმათა მიხედვით. ზოგადად, ლაზური წინსართი, მეგრულისგან განსხვავებით, ფონეტიკური შედგენილობისა და მნიშვნელობის მიხედვით, შედარებით ერთფეროვანია. ამგვარი უნიფიკაცია საერთოდ დამახასიათებელია ლაზურისთვის, მაგრამ ეს გარემოება წინდებულებში არსებით განსხვავებას არ იძლევა.

საგანგებოდ არის აღნიშნული აფხაზური **ლა-** ფუძე-წინდებულის ფუნქციები და მათი მიმართება ზანურ **ლა-** ელემენტთან რთულ ზმნისწინებთან.

დასკვნით ნაწილში (283-301 გვ.), რომელიც 11 მონაკვეთისაგან შედგება, ვრცლად არის განხილული კვლევის შედეგები.

ზანური წინდებულის ი. ასათიანისეულ გამოკვლევაში წარმოდგენილია ის ფონეტიკური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ენაში, დადგენილია ყველა ზმნისწინის ძირითადი სახე, შედგენილობა, ფუნქცია.

ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ზანური წინდებულის შესწავლისას შესაძლებელია გამოვლინდეს ენის განვითარების ზოგი შინაგანი კანონზომიერება. ამ მხრივ საყურადღებო ფაქტია, რომ ლაზურ წინდებულებში არ ჩანს თურქულის გავლენის კვალი.

მიუხედავად საკითხის სპეციფიკურობისა, ნაშრომი მეტად საინტერესოდ იკითხება, დაწერილია მარტივი ენით, დაცლილია რთული ლინგვისტური ტერმინოლოგიისაგან, რაც აადვილებს მის გაგებას არა მარტო სპეციალისტისთვის, არამედ რიგითი მკითხველისთვისაც.

ნაშრომი დიდი შენაძენია არა მხოლოდ ქართველური ენების მკვლევართათვის, არამედ, ზოგადად, ნებისმიერი ლინგვისტისთვის.

მანანა ბუკია

Irine Asatiani, Prepositions in Zan (Megrelian-Laz),

TSU Press, Tbilisi, 2015, 355 pp.

(Review)

S u m m a r y

In 2015 TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics published a book entitled as *Prepositions in Zan (Megrelian-Laz)*. The paper was prepared in the 50s of the last century but it has not lost its relevance. It is one of the best samples of researching one particular area of Zan morphology.

The monograph discusses the most difficult part of Zan morphology – a preposition that in contrast to Georgian has a number of forms in Megrelian-Laz. The paper gives the structural and phonetic analysis and meanings of the prepositions.

The work consists of 355 pages and includes an introduction, two chapters and a conclusion. It also includes the tables of the Megrelian and Laz prepositions, English and Russian summaries, a list of references, definitions of abbreviations and an index of the prepositions and word-forms which is important in terms of the application.

The research by I. Asatiani presents the phonetic processes in the language, defines a main form, a structure and a function of a preposition.

The author specifically emphasizes that the research of the Zan preposition may show some internal regularity of a language development. In this respect the fact that the Turkish language trace cannot be found in the Laz prepositions is very interesting.

The work is the largest acquisition not only for the researchers of the Georgian language but also for any linguists in general.

Manana Bukia

**გიორგი გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა
(ნარკვევები),** თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2013, გვ. 316

(რეცენზია)

გ. გოგოლაშვილის ნაშრომი „ქართული სალიტერატურო ენა (ნარკვევები)“ ეძღვნება ქართული სახელმწიფო თუ სალიტერატურო ენის მეტად მნიშვნელოვან და საჭირობო პრობლემებს..

წინასიტყვაობაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხებზე, რომლებსაც შემდეგ ვრცლად და საინტერესოდ უპასუხებს. „ეს ის კითხვებია, – შენიშნავს მკვლევარი, – რომლებიც არაერთხელ დასმულა და საგულისხმო პასუხიც გასცემია“, თუმცა გ. გოგოლაშვილის მიერ გაცემული პასუხები აშკარად გამოირჩევა ორიგინალურობით როგორც საკითხის დასმის, ისე მისი გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ენა მწერლის ბალავარიანო, – წერს დიდი მწერალი მ. ჯავახიშვილი. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დარწმუნდება მკითხველი გ. გოგოლაშვილის ნაშრომის მეორე ნაწილის გაცნობისას.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება, ნაწილები – თავებისაგან. მიყვებით თითოეულ მათგანს ფეხდაფეხ: „ქართული, როგორც სახელმწიფო ენა“ – პირველი ნაწილის პირველი თავი: ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნე, პირველი ქართული სახელმწიფო, ... მეფე ფარნავაზი („ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართული-სა“), ... გიორგი მერჩულე („ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვამ ყოველი აღესრულების“), ... დაშლილი სახელმწიფო, მაგრამ ერთიანი სახელმწიფო ენა, ... მე-19 საუკუნე – სახელმწიფოებრიობის დაკარგვა. „ეს იყო პირველი შემთხვევა, – წერს ავტორი, – როცა ქართული ენა საქართველოს ტერიტორიაზე კარგავს სახელმწიფო ენის სტატუსს, ... მე-19 საუკუნის 60-იანი წლები – ფართომასშტაბური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ... საქართველოს პირველი კონსტიტუცია („საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“), ... 1921 წლის 25 თებერვალი, ... 1922 წლის კონსტიტუცია („საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა“). გ. გოგოლაშვილი ყურადღებას ამახვილებს სიტყვაზე „ითვლება“, რომლის გააზრებაც „ასეთი უნდა იყოს: დედაქალაქი იყო და იქნება თბილისი; სახელმწიფო ენა იყო და იქნება ქართული“.

1978 წელი, ... 14 აპრილი, ... 1979 წელი, 10 აპრილი – მიღებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

1995 წელი – დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუცია, ... შეიქმნა ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომელიც 2004 წლიდან აღარ ფუნქციონირებს.

გ. გოგოლაშვილი აღნიშნავს, რომ გარკვეული პრობლემები გვაქვს სახელმწიფო ენის გამოყენების თვალსაზრისით განათლების სფეროსა თუ რეკლამის ენაში (აგრეთვე სხვა სფეროებში). ყოველივე ეს ერთ ფაქტზე მიანიშნებს: „უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღდგეს სახელმწიფო ენის სახელმწიფო კომისია, რომელიც შეიმუშავებს სახელმწიფო ენობრივ პოლიტიკას“, – წერს ავტორი.

მეორე თავში (პირველი ნაწილისა) – „ქართული ენის პერიოდიზაციისათვის“ – გაანალიზებულია მკვლევართა (ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ფ. ერთელიშვილის, ბ. ჯორბენაძის, ზ. ჭუმბურიძის, რ. თვარაძის) თვალსაზრისები ქართული ენის პერიოდიზაციის საკითხებთან დაკავშირებით.

გ. გოგოლაშვილი საკითხს ახლებურად დასვამს, შესაბამისად, მსჯელობა და დასკვნაც ორიგინალურია – საინტერესო და საგულისხმო. ავტორი წერს: „1. თუ ვიმსჯელებთ **ქართულ სალიტერატურო ენაზე**, უნდა გამოვყოთ **ორი ერთეული**: ა) **ძველი ქართული სალიტერატურო ენა** და ბ) **ახალი ქართული სალიტერატურო ენა**. 2. თუ ვსაუბრობთ **ქართული ენის – საერთო-სახალხო ენის** (არამხოლოდ სალიტერატურო ენის) შესახებ, შესაძლებლად მიგვაჩნია ვიმსჯელოთ **სამ ერთეულზე**: ა) **ძველი ქართული ენა**, ბ) **საშუალო ქართული ენა**, გ) **ახალი ქართული ენა**“. უფრო მეტიც – ამ შემთხვევაში მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია საუბარი სამზე მეტ ერთეულზეც კი.

„ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ისტორია და პერსპექტივა“ – ნაშრომის ეს მონაკვეთი (პირველი ნაწილის მესამე თავი) სამი ქვეთავისაგან შედგება: „მცირე ისტორიული ექსკურსი“, „ანტონ პირველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა“, „ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება და დამკვიდრება“.

პირველ ქვეთავში („მცირე ისტორიული ექსკურსი“) საუბარია ძველი სალიტერატურო ენის შესახებ: მწიგნობრებმა კარგად იცოდნენ, რა იყო ნორმა და რა – არასამწიგნობრო ქართული, შესაბამისად, ბიბლიის ქართული თარგმანის ენა წარმოადგენდა, მკვლევრის აზრით, ნორმას სალიტერატურო ქართულისათვის.

რეფორმატორულ ცვლილებად სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით მიჩნეულია გზა ხანმეტობიდან ჰაემეტობამდე და შემდგომ – სანნარევ ქართულამდე, ხოლო „პირველი პრინციპული ხასიათისა და ფართომასშტაბიანი რეფორმა ქართული სალიტერატურო ენისა მოახდინა შოთა რუსთაველმა, – წერს ავტორი, – და ამ რეფორმის მთავარი მიმართულება ასეთია: სა-

ლიტერატურო ენა უნდა ემყარებოდეს საერთო-სახალხო ენას და მასში უნდა აისახებოდეს ცოცხალ ენაში მიმდინარე ცვლილებები“.

„ანტონ პირველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა“ (მეორე ქვეთავი) – ცხადია, ამ მონაკვეთში განხილულია ანტონისეული სამი სტილის თეორია და მკვლევართა თვალსაზრისები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გ. გოგოლაშვილი დასვამს კითხვას – „ანტონის გრამატიკა ძველი ქართულის გრამატიკაა თუ ახალი ქართულისა?“ – და უპასუხებს კიდევ ანტონის „გრამატიკაში“ ზმნის უღლების საკითხთა ავტორისეული სისტემის ანალიზის საფუძველზე. დასკვნა ასეთია: „ანტონი ძირითადად ძველი ქართული მასალის ანალიზს ახდენს და ფორმოზრივი თვალსაზრისით ძველი ქართულის თითქმის ყველა საუღლებელი ერთეულია გამოყოფილი; მაგრამ ამჟამად ახალი ქართულის ენობრივი სინამდვილის გავლენა ავტორზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზში იგრძნობა“.

მესამე ქვეთავი (როგორც ითქვას) ეძღვნება ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საკითხებს. მკვლევარი მსჯელობს იმის თაობაზე, თუ რას მიიჩნევდა ესა თუ ის მწერალი „ნორმად“ და რატომ. ამ თვალსაზრისით განხილულია ნ. ბარათაშვილის რამდენიმე პირადი წერილი, რომლებშიც აშკარად იკვეთება, თუ რა არის ნორმა პოეტისათვის და რა – არა... რაც შეეხება ილიას, მას თავისი ნორმა აქვს (რაც თვალნათლივ იგრძნობა თუნდაც ზმნის პირის ნიშანთა სისტემაში), აკაკის – თავისი, თუმცა ორივესათვის ენა სამთავან (მამული, ენა, სარწმუნოება) ერთ-ერთი მთავარი ფენომენია. ასეთივე მნიშვნელობისაა ენა იაკობ გოგებაშვილისთვის, ხოლო ილიას შეგონება („ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთეორეტიკა“) აშკარად მოწოდებად იქცა იმისა, რომ „ქართული სალიტერატურო ენის საფუძველი უნდა იყოს საერთო-სახალხო ენა“, – წერს გ. გოგოლაშვილი.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს აკაკი წერეთლის გადაწყვეტილებაზე (1860 წელი), – „სახალხო ენით“ ემსახუროს მწერლობას. ამავე მონაკვეთში (ნაშრომისა) საუბარია ვაჟა-ფშაველასა და იაკობ გოგებაშვილის ნაღვართან დაკავშირებით ახალი ქართული სალიტერატურო ენის დახვეწა-დამკვიდრების საქმეში. „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, – აღნიშნავს ავტორი, – რომ **დედაენამ** ერთიანი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში შეასრულა იგივე როლი, რაც ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში შეასრულა სახარებამ“.

რა ვითარებაა ამჟერად და რა პერსპექტივა აქვს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას? – მკვლევარი დღევანდელ ვითარებას (ამ თვალსაზრისით) „უმართავს“ უწოდებს და ასაბუთებს – რატომ.

„იაკობ გოგებაშვილი და ქართული სალიტერატურო ენა“ – ასე ასათაურებს გ. გოგოლაშვილი ნაშრომის მომდევნო პარაგრაფს (პირველი ნაწილის მეოთხე თავს). დასახელებულ მონაკვეთში გამოწვლილვითაა გაანალიზებული ი. გოგებაშვილის ღვაწლი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში. მკვლევარი საგანგებოდ მსჯელობს იაკობის მიერ ქართულ სივრცეში სამი დონის ენობრივ ერთეულთა (ქართული სალიტერატურო ენა, სვანური

და მეგრული, ქართული დიალექტები) გამოყოფისა და მათი წარმომავლობა-კვალიფიკაციის შესახებ. მეტად საგულისხმოა ერთი გარემოებაც: „ილია იაკობისთვის უდიდესი ავტორიტეტია და, რა თქმა უნდა, იზიარებს აზრს **სამი ღვთაებრივი საუნჯის** შესახებ; ოღონდ ესაა, იაკობი მას **ეროვნების ბურჯს** უწოდებს და, რაც დიდად მნიშვნელოვანია, მეოთხე ბურჯს დაუმატებს – **ეროვნულ სკოლას**“, – წერს გ. გოგოლაშვილი.

მკვლევარი განიხილავს ი. გოგებაშვილის მიერ მართლწერისათვის შემოთავაზებულ მეტად საინტერესო ტერმინებს: „მთავარი მართლწერა“, „საზოგადო მართლწერა“, „ინდივიდუალური მართლწერა“ და „პროვინციალური მართლწერა“. გაანალიზებულია აგრეთვე იაკობისეული ორი ჯგუფი ენობრივი შეცდომებისა: ა) „წვრილმანი და უნებლიე“ და ბ) „ბლომი მნიშვნელობისა“ მქონე.

ამავე მონაკვეთში ავტორი საუბრობს აკაკისა და იაკობის კამათის შესახებ **ადგიარებ/გალიარებ** ფორმებთან დაკავშირებით და გვისაბუთებს, თუ როგორ აქვს გამოკვლეული დასახელებული ფორმა (გალიარებ) იაკობ გოგებაშვილს: „(იაკობი) წარმოგვიდგენს მის ისტორიას, ჩაატარებს მორფოლოგიურ ანალიზს, გამოიკვლევს მისი გავრცელების სიხშირეს და მერე აკეთებს დასკვნას... საინტერესოა ერთი ფაქტი, – შენიშნავს გ. გოგოლაშვილი, – (იაკობს) სჯერა, რომ სიმართლე მის მხარესაა, მაგრამ მაინც მეტი ობიექტურობისა და სამართლიანობისათვის მიაჩნია, რომ ნორმის საკითხი ინდივიდუალურად არ უნდა წყდებოდეს; ენობრივ საკითხს, უფრო სწორად, ნორმის საკითხს, საგანგებო კომისია უნდა წყვეტდეს“.

ნაშრომის ამ მონაკვეთში („იაკობ გოგებაშვილი და ქართული სალიტერატურო ენა“) ჩანს, თუ რაოდენ დიდია იაკობის როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში. „ამ მხრივ XIX საუკუნის მოღვაწეთა შორის იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთი უპირველესია“, – წერს მკვლევარი.

„სამეცნიერო ლიტერატურის ენა“ – ამ წერილში (პირველი ნაწილის მეხუთე თავი) ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ აღორძინდა ქართული სამეცნიერო ენა XX საუკუნის დასაწყისში, შემდეგ კი „განელდა მისადმი ყურადღება, რამაც შეიძლება სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს“. გ. გოგოლაშვილი აღნიშნავს, რომ ამ შიშის საფუძველს ქმნის „უცხოური ტერმინოლოგიის მოჭარბება იმ შემთხვევაშიც, როცა გვაქვს შესაბამისი ქართული ტერმინები; ახალი უცხოური ტერმინების უაპელაციო გადმოტანა – ქართული ენის ბუნების გაუთვალისწინებლად; არასავალდებულოობა ქართული ენისა მეცნიერულ აზროვნებაში...“

„ათეული წლებით (შეიძლება ითქვას, საუკუნეობით) განმტკიცებული **ტრადიცია** საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის გაქართულებისა შებრუნებულ ხასიათს იღებს. ქართული ენათმეცნიერების განვითარებისა და წინსვლის ერთ-ერთი პირობა ქართული ტერმინოლოგიის ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და განვითარებაცაა“, – წერს ავტორი მომდევნო პარაგრაფში (პირ-

ველი ნაწილის მეექვსე თავში – „საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის გაქართულება დინამიკაში“).

„სისტემური ენობრივი ცვლილებები და ნორმატული რეკომენდაციები“ – ნაშრომის ეს მონაკვეთი (პირველი ნაწილის მეშვიდე თავი) შვიდი ქვეთავისაგან შედგება. „ენობრივი ნორმა – მუდმივი თუ ცვალებადი“ – ასე ასათურებს მკვლევარი პირველ წერილს და მოგვითხრობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შექმნის ისტორიას (გასული საუკუნის 30-იანი წლები). გ. გოგოლაშვილი აღნიშნავს, რომ „თითქმის საუკუნის წინანდელი ნორმა აღარ ასახავს დღევანდელ ენობრივ რეალობას“, შესაბამისად, მსჯელობს, თუ „როგორი ნორმის გადასინჯვას“ მიიჩნევს „აუცილებლად“. ეს საკითხებია: „ა) -ავ და -ამ თემისნიშნიან ორპირიან გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმათა შესახებ“; „ბ) სტატუტურ ზმნათა აწმყოს I-II პირის მეშველ-ზმნიან ფორმათა შესახებ“; „გ) ვნებითი გვარის ზმნათა II კავშირებითის პარალელურ ფორმათა შესახებ (იქნეს თუ იქნას)“; „დ) ამქვეყნად და იმ ქვეყნად“; „ე) სამხრეთ კავკასია თუ სამხრეთი კავკასია“; „ვ) მრავალსიტყვიან უცხოურ სახელწოდებათა ქართულად დაწერილობის გამო“.

ყველა წერილში წარმოდგენილია მეტად საყურადღებო საკითხები, რომელთა განხილვა და, შესაბამისად, გათვალისწინებაც, ვფიქრობთ, აუცილებელი იქნება თანამედროვე ქართული ენის ნორმებისა თუ ლექსიკონის მომზადებისას.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა ენას და მწერალს. პირველი პარაგრაფი ეძღვნება დ. კლდიაშვილს („დ. კლდიაშვილი და ქართული ენა“). წერილი დაყოფილია პატარ-პატარა მონაკვეთებად შემდეგი სათაურებით: „ვეწრდი, როგორც იწერებოდა“, „არ გავრუსდები“, „ენა – პიროვნების მახასიათებელი“, „ლექცია ქართულ ენაზე“, „შემოწვეპილი“ სახელ-გვარები“, „ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟი“.

გ. გოგოლაშვილი საინტერესოდ განიხილავს დ. კლდიაშვილის ენობრივ სამყაროს და დაასკვნის: „დიახ, იმერეთს იცნობს დავითი, იმერულს იცნობს დავითი და ხატავს დიდოსტატურად. მის ყოველ ფრაზაში, წინადადებაში ისმის იმერული სუნთქვა. ვისთვისაც ეს ნაცნობია, იოლად დაინახავს; ვისთვისაც არა – გაიცნობს... დიახ, არა მხოლოდ დიალექტიზმების გამო“. რაც შეეხება ო. ჩხეიძის ენობრივ პოზიციას (მეორე პარაგრაფი მეორე ნაწილისა – „ოთარ ჩხეიძის ენობრივი სამყარო“) – თავისი სტილისტიკური ნაირფეროვნებითა თუ თვითმყოფადობით – ეს საკითხი გ. გოგოლაშვილისათვის საწიგნე თემაა, ალბათ ძალზე საინტერესოც...

„ანა – ბედისწერა“ (მეორე ნაწილის მესამე თავი)... „ერთია ლექსში გამომწვედელი სილამაზე და სილალე ქართული ენისა და სხვა პროზაული შეგონებანი ქალბატონი ანასი. მეოცე საუკუნის ქართველ კლასიკოსთაგან მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგ იმდენი არავის უფიქრია, უსაუბრია (და, შეიძლება ითქვას, უდარდია...) ქართული ენის შესა-

ხებ, რამდენიც ქალბატონ ანას“, – აღნიშნავს მკვლევარი – და სხვა ძალზე საინტერესო ამონარიდთა შორის (ანას ჩანაწერებიდან) წარმოგვიდგენს შემდეგს: „მართლაცდა, ერთი არაბული გამოთქმისა არ იყოს, ცეცხლზე შემოდგმულ რმესავით უნდა თვალყურის დევნება არა მარტო ახალფეხადგმულს (და, საერთოდ, ნებისმიერი ასაკის ყმაწვილს!), არამედ ენასაც!“

„ვფიქრობ... გავბედავ და ვიტყვი: სიტყვები **საქართველო, ქართველი და ქართული** თავის პოეზიაში იმდენჯერ არავის უთქვამს, რამდენჯერაც მუხრან მაჭავარიანს“, – წერს გ. გოგოლაშვილი წერილში „მუხრან მაჭავარიანი და ქართული ენა“ (მეორე ნაწილის მეოთხე თავი). მკვლევარი უტყუარად შენიშნავს, რომ „უფრო პოეტური, უფრო შთამბეჭდავი და ორიგინალური განმარტება (ქართული ენისა), რაიც მუხრან მაჭავარიანმა ბრძანა („ქართული მარტო ენაა?!...“), მე არ მეგულება“... „აბსოლუტური სმენა“, „გამჭირახი თვალი“ და „უმდიდრესი ლექსიკა“, – ასე ახასიათებს დიდ მუხრანს ავტორი.

გ. ჩოხელის დამოკიდებულება ქართული სალიტერატურო ენის მიმართ – ეს საკითხია წამოწეული წინა პლანზე ნაშრომის მომდევნო წერილში (მეორე ნაწილის მეხუთე თავი – „გოდერძი ჩოხელი და ქართული ენა“). მკვლევარი წერს: „დედაენა დღეს უყურადღებობას უფრო უჩივის და ამ ფონზე ბედნიერ გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ გოდერძი ჩოხელი... XX საუკუნის ბოლო ათწლეულების მწერალთა შორის გოდერძი ჩოხელი ის მწერალია, რომელიც სრულიად შეგნებულად უდგება ენობრივ საკითხებს; ქართულ ენაზე ფიქრი მუდამ თან სდევს მის შემოქმედებას; გოდერძი ჩოხელისათვის დიდად პრინციპულია მწერლის დამოკიდებულება ენობრივი ფენომენისადმი“.

მეორე ნაწილის ბოლო მონაკვეთი – „მწერლის ენობრივი თავისუფლება და სალიტერატურო ენის ნორმა“ – ოთხი წერილისაგან შედგება.

საინტერესოდ სვამს საკითხს გ. გოგოლაშვილი ჰ- და ს- თავსართების გამოყენების შესახებ მწერლის ენასთან მიმართებით პირველ წერილში – „სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირთა გამოხატვა ზმნაში“. მკვლევარი აღნიშნავს: „რას ხედავენ მწერლები ამ ფორმებში (ჰ-ყვავის, ს-ჩანს...) ისეთს, რასაც ვერ ვამჩნევთ ენათმეცნიერები... ხომ არ დადგა დრო, ვისაუბროთ **ჰ** და **ს** პრეფიქსების რაღაც სხვა ფუნქციაზე ამ ტიპის (ე. წ. არანორმატულ) ფორმებში? ... ფაქტია, სამსჯელობო ფორმებში უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილი არის სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირი და მორფოლოგიურად მათზეა მინიშნება, თუმცა შემოდის დამატებითი ნიუანსიც. და ეს დამატებითი ნიუანსი ახალი ქართულის შენაძენი ჩანს“.

მეორე წერილში – „ბილწსიტყვაობა – უნიჭო საშუალება მკითხველზე ზემოქმედების მოხდენისა“ – გ. გოგოლაშვილი საუბრობს მწერლის „ენობრივი თავისუფლების“ შესახებ და დაასკვნის, რომ „ბილწსიტყვაობა არ არის მწერლის „ენობრივი თავისუფლების“ გამოვლენა. იგი ეთიკის და ზნეობის სფეროს კუთვნილებაა...“

საინტერესოდ სვამს საკითხს მკვლევარი სასვენი ნიშნების თავისებურად გამოყენებასთან დაკავშირებითაც მწერლის ენაში (მესამე წერილი – „სასვენი ნიშნები“): „როგორც ჩანს, ცალკეულ შემთხვევებში მწერალი სასვენი ნიშნებს გარკვეულ მხატვრულ ფუნქციას ანიჭებს; დამატებით ინფორმაციას გვაწვდის სასვენი ნიშანთა ორიგინალური გამოყენებით... შედის კი ეს მწერლის ენობრივი თავისუფლების სფეროში და აქვს კი ზღვარი ამ თავისუფლებას?“

დაბოლოს, წერილის შესახებ – „ორი გურამ დოჩანაშვილი“ (მეოთხე წერილი). პირველი გურამ დოჩანაშვილი – ავტორი მოთხრობისა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, რომანისა „სამოსელი პირველი“ და სხვა მრავალი დიდებული ნაწარმოებისა – „კარგი მოქართულეა, – აღნიშნავს გ. გოგოლაშვილი, – მისი ფრაზები, ენობრივი მიგნებები, იმპროვიზაციები თაობებმა ზეპირად იცის (მათ შორის, ცხადია, მეც)... მეორე გურამ დოჩანაშვილის (ავტორი მოგონებათა წიგნისა „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“, მოთხრობისა „კაცი, სახელად ნოე“ და სხვა) ქართულისა რა მოგახსენოთ... ენის ხელყოფის, გახელოვნურების, წახდენის (არც ამ სიტყვის თქმისა მეშინია) უფლება არავის აქვს“. მკვლევარი იმოწმებს დიდი ილიას სიტყვებს: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

ზემოთაც ითქვა და კვლავ აღვნიშნავთ, რომ გ. გოგოლაშვილი, ზოგადად, გამოირჩევა საენათმეცნიერო საკითხთა ახლებურად დასმის, გააზრებისა თუ დასაბუთების იშვიათი უნარით, რასაც კიდევ ერთხელ მოწმობს წინამდებარე ნაშრომი „ქართული სალიტერატურო ენა (ნარკვევები)“, რომელიც შესრულებულია საინტერესოდ, დახვეწილი სტილით, გემოვნებით...

მკვლევარი (ნაშრომის ერთ-ერთ მონაკვეთში) იხსენებს ანა კალანდაძის ჩანაწერს – მწერალთა საკავშირო ყრილობაზე უთქვამს ერთ გამომსვლელს, თარგმნა სისხლის გადასხმასა ჰგავს: სისხლი ერთი ჯგუფისა უნდა იყოსო. იგივე შეიძლება ითქვას მწერლის ენის შემფასებელზეც, კრიტიკოსზეც... გ. გოგოლაშვილი მწერალთან ერთად გრძნობს და განიცდის ყოველი სიტყვის ფერს, გემოს, ჟღერადობას (სასვენი ნიშნებსაც კი) – საოცრად ფაქიზია ამ მხრივ ავტორი.

ცხადია, ერთ, შედარებით მცირე მოცულობის რეცენზიაში ყველაფერი ვერ ითქვა.

თამარ ვაშაკიძე

Giorgi Gogolashvili, The Georgian Literary Language (Essays),

TSU Press, Tbilisi, 2013, 316 pp.

(Review)

S u m m a r y

The review analyses *The Georgian Literary language (Essays)* by Giorgi Gogolashvili which consists of two main parts. The first part is devoted to the most important and topical issues of the Georgian literary and state language: the periodization of the Georgian language, the history of the normalization and the problems of the prospects. The researcher also discusses the language of the scientific literature, the issues of terminology, Jakob Gogebashvili's contribution to the literary language etc.

The same part of the work deals with the systemic linguistic changes and normative recommendations while the second part is about a language and a writer. Accordingly, the attitudes of D. Kldiashvili, O. Chkheidze, A. Kalandadze, M. Machavariani, G. Chokheli towards the Georgian language are discussed. Giorgi Gogolashvili speaks about the linguistic freedom of a writer and the norms of the Georgian literary language.

The Georgian Literary Language (Essays) by Giorgi Gogolashvili is distinguished with respect to discussing the issues differently, understanding and reasoning. So, the work is very interesting and worth being considered.

Tamar Vashakidze

ლალი იორდანიშვილი, რაფიელ ერისთავის ენა,

ოსუ გამომცემლობა, თბილისი, 2015, 230 გვ.

(რეზენცია)

2015 წელს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში გამოიცა ენათმეცნიერისა და ტერმინოლოგის ლალი იორდანიშვილის საინტერესო მონოგრაფია „რაფიელ ერისთავის ენა.“ ეს ნაშრომი დამუშავდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, როგორც დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა.

სარეცენზიო ნაშრომი დასტურია იმისა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი ენათმეცნიერები მწერლის ენის დამუშავებას. მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ენის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარ კვლევას, რადგან ეს კარგად წარმოაჩენს ამა თუ იმ ეპოქის ენობრივ თავისებურებებს.

რაფიელ ერისთავის სამწერლო მოღვაწეობა ორმოცდაათიანი წლებიდან იწყება. ეს ის ეპოქაა, როდესაც ჯერ კიდევ გრძელდება ანტონ კათალიკოსის სამი სტილის თეორიის გავლენა. ვფიქრობთ, ბატონი არნოლდის არჩევანი, დამუშავებულიყო რაფიელ ერისთავის ენა, შეპირობებული იყო XIX საუკუნის 50-იან წლებში მიმდინარე მნიშვნელოვანი ძვრებით – სალიტერატურო ქართულში გზას იკვალავდა ხალხური მეტყველება. რ. ერისთავი სწორედ ამ გზისგასაყარზე აღმოჩნდა, მაგრამ მან სწორი არჩევანი გააკეთა და ხალხური ენა აირჩია თავისი შემოქმედების ძირითად წყაროდ. მიუხედავად ამისა, თუმცა, ვერც რ. ერისთავი ასცდა ანტონისეული ნორმების გავლენას.

ლალი იორდანიშვილი, ჩანს, საოცრად დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა რაფიელ ერისთავის ენის შესწავლას. მეცნიერს ზედმიწევნით, გამოწვლილვით აქვს გაანალიზებული მწერლის მთელი შემოქმედება ფონეტიკურ-გრამატიკული თუ ლექსიკოლოგიური კუთხით. განსაკუთრებით საგულისხმოდ გვეჩვენება, რომ მკვლევარს დაუმუშავებია რ. ერისთავის ავტოგრაფები, რომლებიც დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს 9 თავს, რომელშიც გაანალიზებულია რ. ერისთავის თხზულებათა ენა. შესწავლილია და მდიდარი მასალით შეჯერებული ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები. განხილულია მწერლის სტილის ზოგიერთი საკი-

თხი. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი დაკვირვება პერსონაჟთა მეტყველებაზე. მეორე ნაწილი ეთმობა მწერლის ლექსიკოლოგიურ და ტერმინოლოგიურ შრომებს.

შესავალში ლ. იორდანიშვილმა კარგად გამოკვეთა ნაშრომის შექმნის მიზანი: „ვეცადეთ, გვეჩვენებინა ის თავისებურებანი, რაც ამ მწერლის ენას ახასიათებს სალიტერატურო ქართულთან შედარებით.“

ნაშრომის პირველ ნაწილში მკვლევარი ცალკე თავების მიხედვით განიხილავს რ. ერისთავის ენის თხზულებებში დადასტურებულ ორთოგრაფიულ, ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ თავისებურებებს.

ავტორი მსჯელობს ორთოგრაფიულ თავისებურებებზე. იგი შენიშნავს, რომ „რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის დასაწყისში ჯერ კიდევ არ იყო უარყოფილი ანტონ კათალიკოსის მიერ შემოდებული სამი სტილი თავისი უაღრესად ხელოვნური ორთოგრაფიული ნორმებით.“ სამწერლობო ენაში იხმარებოდა ძველი ქართული ასოები, რომლებიც მე – 19 საუკუნეში 60-იანელებმა უარყვეს. ლ. იორდანიშვილმა რ. ერისთავის ავტოგრაფების შესწავლისას შენიშნა, რომ ავტორი ხმარობს ამ ასოებს, მაგრამ იშვიათად, მათი ხმარება უფრო ფორმალური ჩანს, მაგალითად **ვიხილე ქალთა მეფაა...**, **ეს არის ჩემი ფარ-ჭმალი**; **ძველისათვის არა მცალიან**; **აი, ჩუჭნი ქალია**. ყველაზე საგულისხმო და საინტერესოა ავტორის დაკვირვება მოძველებული ასოების ხმარების შემთხვევების შესახებ მოთხრობა „ნინოში“. ის აღნიშნავს: „ეს მოთხრობა რ. ერისთავის თხზულებათა მესამე ტომში ჟურნალ ცისკრიდან (1857 წ.) არის გადმობეჭდილი. ცნობილია, რომ ჯერ გ. ერისთავის, შემდეგ ივ. კერესელიძის „ცისკარი“ ანტონის ენობრივი ნორმების დამცველების ხელში იყო. ამიტომ რ. ერისთავის „ნინოში“ გამოყენებული ასოების საკითხი ეჭვქვეშ დგება.“

რაფიელ ერისთავის ფონეტიკურ თავისებურებებზე მსჯელობისას მკვლევარი ცალ-ცალკე განიხილავს ყველა იმ ფონეტიკურ მოვლენას, რომლებიც შეინიშნება როგორც ავტორის თხრობაში, რემარკებსა და წერილებში, ისე პერსონაჟთა მეტყველებაში.

ავტორი წამოადგენს დისიმილაციის, ბგერის განვითარების, თანხმოვანთა მონაცვლეობის, ფუძის შეკუმშვის მდიდარ საილუსტრაციო მასალას. საყურადღებოა, რომ ეს პროცესები, რომლებიც რაფიელ ერისთავის თხზულებებში მოიძია ლ. იორდანიშვილმა, არის არა მარტო აღნუსხული, არამედ მოცემულია სიღრმისეული ანალიზი, შეჯერებულია ისინი სალიტერატურო ენის, ასევე, დიალექტების მონაცემებთან. მკვლევარი უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ თვალსაზრისს, რომლებიც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი.

ფონეტიკურ პროცესებზე მსჯელობისას მრავალი საინტერესო თვალსაზრისია გამოთქმული. მათ შორის საყურადღებოა ლ. იორდანიშვილის შენიშვნა: „რ. ერისთავის თხზულებებს შემოუნახავს **დიდედა** და **დეიდა** სიტყვების ევოლუციის ერთი საფეხური – **დიდიდედა** -სა და **დედიდა** -ს სახით: ერთი **დედიდა** – გამომჩენია; **დიდი-დედამ** არა ქნა.“

ფუმეკუმშვად სახელთაგან მკვლევარი განიხილავს რ. ერისთავის ენაში ფუმეკუმშველად წარმოდგენილ სიტყვებს, როგორებიცაა: **ქამარის, ზოსტანისაგენ, კოკორები...**

ფონეტიკური პროცესების შესახებ მდიდარი საილუსტრაციო მასალის გაანალიზების საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის: „რ. ერისთავის თხზულებათა ფონეტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მასში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი თავისებურებანი. თავისებური ფონეტიკური ცვალებადობა რ. ერისთავის ნაწარმოებებში ყოველთვის ერთიანად არ დასტურდება. ამა თუ იმ ფონეტიკურ მოვლენას ერთსა და იმავე პოზიციამი ხან შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ხან კი – არა.“

მონოგრაფიის I ნაწილის IV თავში განხილულია მორფოლოგიური თავისებურებანი. აქ გვინდა შევნიშნოთ, რომ ლ. იორდანიშვილის კვლევის მეთოდები ყველგან ერთნაირია – მდიდარ საილუსტრაციო მასალას ეფუძნება თეორიულ კვლევა. სწორედ ასეა გაანალიზებული მეტყველების ნაწილებიც. მკვლევარი საგანგებოდ მსჯელობს არსებითი სახელების ყველა ბრუნვის ფორმაზე, როგორც უთანდებულოზე, ასევე თანდებულიანზე. შენიშნულია, რომ რ. ერისთავი არსებითი სახელის ბრუნებისას ჩვეულებრივი ფორმების გვერდით ხმარობს ზოგიერთი ბრუნვის თავისებურ ფორმებს. ამ მხრივ საინტერესოა ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები. **ა-**, **-ე** და **-უ** ხმოვნიანი საზოგადო სახელები. მათ სახელობით ბრუნვაში შერჩენილი აქვთ სახელობითი ბრუნვის ნიშანი (**ა** და **ო**). ამგვარი ფორმები ძირითადად ლექსებში დასტურდება და, ასევე, ხვესურ პერსონაჟთა მეტყველებაშიც. თანხმოვანფუძიან სახელებს კი ზოგჯერ სახელობითი ბრუნვის ნიშანი ეკარგება და ფუძის სახით არის წარმოდგენილი. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს მოვლენა ლექსის ზომით არის გამოწვეული.

საინტერესო ჩანს ასევე მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და მიმართულებითი ბრუნვების გამოყენების თავისებურებების განხილვა. მკვლევარი შენიშნავს, რომ რ. ერისთავის თხზულებებში დადასტურებულია ამ ბრუნვათა – **ა** მავრცობიანი ფორმების ხმარების შემთხვევები. ცნობილია, რომ „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ამ **ა**-ს მორფოლოგიური ფუნქცია დაკარგული აქვს, მისი დართვა მეტწილ შემთხვევებში სტილისტურ საჭიროებას უპასუხებს, მაგრამ მისი ხმარება ზოგჯერ მაინც აუცილებელია. ავტორი სწორედ ამ თავისებურებებზე მსჯელობს. საინტერესოა ნაშრომში მოცემული ამგვარი ფორმების კლასიფიკაცია, რომელიც ძირითადად დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ნორმათაგან არ განსხვავდება.“

ბრუნვებზე მსჯელობისას ლ. იორდანიშვილი გამოყოფს **-ივ** სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს და შენიშნავს: „სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ უძველეს დროს ქართულ ენას უნდა ჰქონოდა ერთი ბრუნვა, რომელსაც **-ივ** სუფიქსი აწარმოებდა. ეს ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთ – ერთი სახეობა მოქმედებითისა. მისი ფორმები ნაშთის სახითაა მოღწეული. ის ძველ ქართულშიც ნაშთია. რ. ერისთავის თხზულებებში **-ივ** სუფიქსი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ **ღვთივ** სიტყვაში დასტურდება, ასე მაგალითად, მაპატიე, **ღვთივკურთხეულო**.“

საინტერესო ჩანს ასევე ავტორის მიერ შენიშნული მიმართულებითი ბრუნვის გაფორმების შემთხვევები. რ. ერისთავის თხზულებებში. ის გამოყოფს **-ად/-ათ** და **-ა** ფორმანტებს და თანმიმდევრობით ახასიათებს თითოეულ მათგანს. ავტოგრაფებსა და ძველ გამოცემებში უმთავრესად **თ-ს** ხმარება ჭარბობს: **სახელათ რა ჰქვია? მწერალათ გახლავართ; შეიძინა ნახევარფასათ; უცბათ აენტო.....** შედარებითიშვიათია **-ად** დაბოლოების გამოყენება: **გვარად ერისთავის შვილია; ჰეშმარიტად ქვრივი არ მყვარებია....**

ავტორი შენიშნავს იმასაც, რომ მიმართულებითი ბრუნვა ძვ. ქართულის მსგავსად იგუებს კითხვას სად და ადგილის გარემოებას გადმოსცემს, რაც რ. ერისთავის თხზულებებშიც დასტურდება: **ჯარათ წასვლას ვეპირები; ბარათ რომ ვიყო...**

საგულისხმოა, ასევე, მკვლევრის მიერ შენიშნული **-ა** დაბოლოების გამოყენება მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად ზმნისართად ქვეულ ზედსართავებში: **კარგა დაისწავლეთ; წყნარ – წყნარა შეექცეოდა; საშინელა დაუდევარი ბრძანებულხარ; ჯარი შეიკრიბა ჯალალედინის საბრძოლველა.**

საინტერესოა ასევე ადამიანთა სახელების ბრუნების ანალიზიც. რ. ერისთავის თხზულებებში ადამიანის სახელები თავისებურებებს გვიჩვენებს. თანხმოდანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში ძველი ქართულის მსგავსად უმთავრესად ფუძის სახითაა წარმოდგენილი როგორც ლექსებში, ისე პროზაშიც: **რუსუდან** ჩაფიქრდა; **ელისაზედ** პირდაპირ უხის ქმარს; **ამირან** მოეხვია სოფრომს.

ხმოვანფუძიანი სახელები მოთხრობით ბრუნვაში ზოგჯერ **-მა** დაბოლოებითაა წარმოდგენილი, რასაც მკვლევარი ლექსებში მარცვალთა რაოდენობით ხსნის: ჰკადრა **შალვამა**; ბრძანა **ლაშამა**.

ა და **ე**ხმოვანფუძიანი საკუთარ სახელებთან წოდებითი ბრუნვის ნიშანი რედუცირებულია **ვ – დ** : **დათიკავ, ზაქარიავ, გოგიავ...**, რაც, ავტორის აზრით, აღმოსავლური კილოებისგავლენა უნდა იყოს.

ლ. იორდანიშვილი რ. ერისთავის თხზულებებში წარმოგვიდგენს მრავლობითი რიცხვის ორივე ფორმას – **ებ-იანსა** და **ნართანიანს**. ავტორი შენიშნავს, რომ ბოლოხმოვანი ხან დაცული, ზოგჯერ კი ასიმილირებულია მრავლობითის ფორმანტის **ე-სთან**: 1. კარგი **თხზულებები** არის; **იფრინდაები** გაგზავნეს..... 2. გადიამ **ჩურჩხელეები** მოგართოთ; იქნება **მურაბეებს** აკეთებს.....

ძალზე საინტერესო და საგულისხმოა ავტორის მიერ შენიშნული ნარიანი მრავლობითის ერთი შემთხვევა, როდესაც ის დაერთვის **-ობა** სუფიქსიან სახელებს, რაც სალიტერატურო ენისათვის არ არის დამახასიათებელი: სცან ჩემი **ვინაობანი**; მსმენელს მოგთხოვო...**ერთგულობანი**.

ლ. იორდანიშვილი უხვი საილუსტრაციო მასალით განიხილავს თანდებულიან ბრუნვებს და თანმიმდევრობით ახასიათებს თითოეულ დადასტურებულ თანდებულს საენათმეცნიერო ლიტერატურის დამოწმებით. მაგალითად, რ. ერისთავის თხზულებებში გვხვდება **-ზე** თანდებულის სამივე სახე: **ზედა, ზედ, ზე**, ისინი ერთნაირად არის გამოყენებული როგორც პროზაში, ისე პოეზიაში.

მკვლევარს შენიშნული აქვს, რომ **-თვის** თანდებულის გვერდით გვხვდება **-და** სუფიქსი: **ჩემდა** ნუ სტირი! **მისდამი** მჯდარა! ავტორი მიუთითებს, რომ **-და** თანდებული მხოლოდ ნაცვალსახელებთან შეინიშნება დანიშნულების გამოსახატავად. **-და**-ს ხმარება ქართულში არქაიზმს წარმოადგენს და მწერლის თხზულებებში იგი დაცულია ფშაურ კილოზე დაწერილ ლექსებში და გურულ პერსონაჟთა მეტყველებაში.

მეტყველების ნაწილებიდან ნაშრომში განხილულია ნაცვალსახელი და ზმნა. ნაცვალსახელებში მკვლევარს დადასტურებული აქვს პირველი პირის ნაცვალსახელად **მენა**, დიალექტიზმი რომელიც მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

ზმნის მორფოლოგიური ანალიზისას ლ. იორდანიშვილი განიხილავს ზნისწინებს, პირის ნიშნებს, თემის ნიშნებს, მწკრივებთან დაკავშირებულ თავისებურებებს. მკვლევარს რ. ერისთავის ენაში დადასტურებული აქვს როგორც ძველი, ისე ახალი ზმნისწინები. ეს ზმნისწინებია: **აღ-** (**ა-**), **გან-** (**გა-**), **წარ-** (**წა-**), **გარდა-** (**გადა-**).

შენიშნულია ასევე ტმესი ზმნურ ფორმებში, ზმნისწინსა და ზმნის ფუძეს შორის ჩასმული **-ცა** ნაწილაკი **-ჩა -ცა -იცინა; შე -ცა - ჰკითხა** – რასაც მკვლევარი არქაიზმად მიიჩნევს რ. ერისთავის თხზულებებში.

პირის ნიშნებიდან გამოკვლევაში ლ. იორდანიშვილი გამოყოფს **ჰს-**, **ჰ/ს** კომპლექსს ობიექტურ პრეფიქსად. იგი შენიშნავს: „რ. ერისთავის თხზულებებში ამ ნიშნის წყარო, ერთი მხრივ, არის კახური დიალექტი, რომლის გავლენა აშკარად ჩანს სხვა შემთხვევაში; მეორე მხრივ, კი – ანტონ კათალიკოსის ნორმების გავლენის ქვეშ მყოფი მწიგნობრული ენა.“ მკვლევარს მიაჩნია, რომ რ. ერისთავის თხზულებებში

ჰს-, **ჰ/ს** პრეფიქსებს მორფოლოგიური დანიშნულება არა აქვს, სწორედ ამის გამო მათ გამოყენებას სისტემური ხასიათი არ აქვს და ხშირად წარმოდგენილია იქ, სადაც არ არის საჭირო.

მკვლევარს განხილული და გაანალიზებული აქვს რ. ერისთავის თხზულებებში ზმნიზედის, ნაწილაკებისა და კავშირის თავისებურებები.

მორფოლოგიური პროცესების ანალიზთან ერთად ლ. იორდანიშვილი I ნაწილის VII თავში საინტერესოდ მსჯელობს რ. ერისთავის თხზულებების სინტაქსურ თავისებურებებზე. საინტერესოა ავტორის დაკვირვება მსაზღვრელ – მსაზღვრულის ურთიერთობაზე. ბუნებრივია, მკვლევარი გვერდს ვერ აუვლიდა ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმების საკითხებს, რომელთა ნორმებიც დღესაც კი პრობლემურია. წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალის მიხედვით, მკვლევარი ცალკე პუნქტად გამოყოფს ქვემდებარე – შემასმენლის სინტაქსურ კავშირს. **ნარიანი** ფორმით წარმოდგენილ ქვემდებარესთან ცალ-ცალკეა გამიჯნული ცოცხალი და არაცოცხალი საგნის გამოხატველი სახელები. ის აღნიშნავს: „ნარიანი ფორმით წარმოდგენილი ქვემდებარე, ცოცხალი და არაცოცხალი საგნის გამოხატველი, ითანხმებს შემასმენელს რიცხვში..“

-**ებ**-იან მრავლობითში ცოცხალი საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარე ჩვეულებრივ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში, მაგრამ მკვლევარი აღნიშნავს, რომ იშვიათად ცოცხალი საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარესა და შემასმენელს შორის არ არის შეთანხმება მრ. რიცხვში. მაგალითად, **ფრინველები უფრო და უფრო მატულობდა**. ზოგჯერ არაცოცხალი საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარე, რომელიც მრავლობით რიცხვს -**ებ** ნიშნით აწარმოებს, შემასმენელს რიცხვში ითანხმებს: **ეკლები მჩხვლეტენ გვერდებში; თამბაქოს წვერები ძირს დაიხრებიან**. მკვლევარი ამ მოვლენას არაცოცხალი ქვემდებარის გააქტიურებით ხსნის.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს, რომ კრებითი სახელით გადმოცემული ქვემდებარე ითანხმებს შემასმენელს რიცხვში, მაგალითად, **ხალხი ეხვეოდნენ**.

რიცხვში შეთანხმება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის დასტურდება, თუ ქვემდებარე ორცნებიანი კომპოზიტია, მაგალითად, **ცოლ – შვილი არა ჰსაჭიროებენ სხვის შემწეობას**.

მნიშვნელობით ერთზე მეტის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი შემასმენელს ითანხმებს მრავლობით რიცხვში: **ორი ტროყი იმერელი გადაჰფარებიან ზედა**.

ყველა განსაზღვრებითი ნაცვალსახელით გამოხატულ ქვემდებარეს შემასმენელი მრავლობითის ფორმით უკავშირდება: **სუყველამ იციან; მოგროვდნენ ყველა**.

რთული შემასმენლის სახელადი ნაწილი ეთანხმება ქვემდებარეს რიცხვში: **ყმაწვილი კაცები არიან**. შეთანხმებაა მაშინაც, როდესაც ერთ შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარეა წარმოდგენილი: **იწვნენ ბროლია და მურა**.

საინტერესო ანალიზის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის: „რ. ერისთავი რიგ საკითხებში მისდევს ძველ ქართულში არსებულ წესს, ქვემდებარე – შემასმენლის შეთანხმებისას კი იცავს არსებულ ტრადიციას, იშვიათად აქვს გადახვევებიც. ზოგ შემთხვევაში გრამატიკული და ლექსიკური ხასიათის არქაიზმები ერისთავის ენაში სტილისტური საჭიროებით აიხსნება ისტორიული ამბების გადმოცემისას იმ ეპოქის კოლორიტის დასაცავად.“

VIII თავი მთლიანად პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებებს ეძღვნება, რაც ძალზე საყურადღებოდ გვეჩვენება, რადგან პერსონაჟთა ენა მწერლის ეპოქის მატანეა და სალიტერატურო და სასაუბრო ენათა სინთეზს წარმოადგენს. ლ. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ მათ მეტყველებაში კარგად არის დაცული სათანადო დიალექტის თავისებურებანი, რაც ქართული კილოების კარგ ცოდნას ადასტურებს. მკვლევარი რ. ერისთავის ნაწარმოების პერსონაჟთა სასაუბრო ენას ორ ჯგუფად ყოფს. პერსონაჟთა ერთი ნაწილი ეკუთვნის აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო მეორე ნაწილი დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები არიან. ლ. იორდანიშვილი დაწვრილებით განიხილავს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ თუ მორფოლოგიურ მოვლენებს, ნაცვალსახელებს, ფორმაუცვლელ სიტყვებს.

რ. ერისთავისა და მისი პერსონაჟებისათვის დამახასიათებელია რუსიციზმების ჭარბად გამოყენება.

საინტერესოა, ასევე, თუ როგორ გადმოიცემოდა ეს სიტყვები ქართულში, რა ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდიდა და რით აიხსნება ამგვარი ცვლილებები. მკვლევარს შეუნიშნავს, რომ რუსიციზმები გვხვდება ავტორის რემარკებშიც და ძირითადად ისეთი სიტყვებია გამოყენებული, რომლებიც მაშინდელი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით დასაშვები იყო, მაგალითად, **სტოროჟი, ოტკა, შროტკი, ზუმაჟნიკი**... იგი აღნიშნავს: „დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ეს რუსიციზმები მიუღებელია და არღვევს ენის სიწმინდეს, მაგრამ რ. ერისთავის ენაში მისი ხმარება გამართლებული უნდა იყოს. ამას ისიც ადასტურებს, რომ **კარანდაში, სტოლი, კრესლო, სტაქანი** ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოშიც გვხვდებოდა, შემდეგში ავტორს ამოუღია და შეუცვლია ეს სიტყვები სათანადო ქართულით.“

ნაშრომში ავტორი ვრცლად განიხილავს ასევე სომეხ პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებებსაც. მათი სამეტყველო ენა ქართულია, მაგრამ სომხური ენის გავლენა აშკარად იკვეთება.

საქართველოში მცხოვრებ სომეხთა მეტყველების მეცნიერული შესწავლა საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ სამეცნიერო კვლევა ამ მიმართულებით არ ჩატარებულა. ამდენად, ლ. იორდანიშვილის ნაშრომში გამოვლენილი მთელი რიგი თავისებურებები რომლებიც ქართულად მოლაპარაკე სომეხთა მეტყველებას ახასიათებს, მეტად მნიშვნელოვანია.

IX თავში ლ. იორდანიშვილი აანალიზებს რ. ერისთავის თხზულებათა ლექსიკურ თავისებურებებს. მდიდარი მასალის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის: „ამ თხზულებათა ლექსიკის მრავალფეროვნება განპირობებულია პერსონაჟთა სიმრავლით და მათი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური თავისებურებებით. რ. ერისთავის თხზულებებში თანამედროვე ლიტერატურული ენისათვის შესაფერისი მასალის გვერდით გამოყენებულია მაშინდელი სოციალური ფენებისა და სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები.“

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კახურ ლექსიკას, რომელიც შედარებული აქვს რ. ერისთავის მშობლიურ სოფელ ქისტაურში დაცულ ლექსიკონთან. ლექსიკონში სიტყვების ერთ ნაწილს ახლავს ხელნაწერ ლექსიკონებში დამეზნეილი ერისთავისეული განმარტებები და საილუსტრაციო მასალა, რომელიც ყოველთვის ღირებული იქნება ენის ლექსიკის გასამდიდრებლად. მკვლევარს ცალკე აქვს დაჯგუფებული იდიომატური და ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომელთა უმეტესობა, როგორც იგი აღნიშნავს, აღებულია ხალხური მეტყველებიდან და ხალხის ყოფა – ცხოვრების ამსახველია.

მკვლევარი საგანგებოდ ეხება რ. ერისთავის სტილს. იგი შენიშნავს: „...ენის სტილის თვალსაზრისით განხილვა გვიჩვენებს, რომ ნაწარმოების ერთი ნაწილი – ლექსები, კომედიები, სცენები – დაწერილია ხალხური ენით. ამათგან განსხვავდება და ასევე ცალკე ჯგუფში ექცევა ზოგი მისი სტატია, პირადი წერილი, „ქართული გრამატიკის“, „ქართული ლექსიკონის“ და „მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა ლექსიკონის“

წინასიტყვაობანი. აქ ერისთავის ენა მოკლებულია ბუნებრიობას, სიმარტივეს, დამძიმებულია არქაიზმებით და მკითხველისათვის ძნელად გასაგებია.“ მკვლევარი დარბაისლური სტილის გამოყენებას შემთხვევით მოვლენად მიიჩნევს და ტრადიციის ერთგვარ გამომახილად მიაჩნია.

ცნობილია, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის რ. ერისთავს ტერმინოლოგიურ და ლექსიკოლოგიურ სფეროში. XIX საუკუნეში ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ტერმინოლოგიურ საკითხთა კვლევას. მრავალი ახალი დარგის გაჩენამ თავისთავად მოითხოვა როგორც ახალ ტერმინთა შექმნა, ისე ტერმინოლოგიური საკითხების დამუშავება. სწორედ ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი სამეცნიერო ტერმინოლოგიას, რომელსაც, რა თქმა უნდა, დიდი წანამძღვრები და ტრადიციები ჰქონდა. სამოციანელთა მოღვაწეობა ქართული ტერმინოლოგიის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ეტაპი აღმოჩნდა. რაფიელ ერისთავის ტერმინოლოგიური და ლექსიკოლოგიური მოღვაწეობა გამორჩეულად მნიშვნელოვანია. ლალი იორდანიშვილმა, თავადვე სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების თანამშრომელმა, ნაშრომში ვრცლად წარმოაჩინა რ. ერისთავის დამსახურება დარგობრივი ლექსიკის დამუშავების საქმეში.

მონოგრაფიაში მკვლევარი საგანგებოდ მსჯელობს რ. ერისთავის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე. ცნობილია მისი „არითმეტიკული ტერმინოლოგია“, რომელიც 1883 წელს დროებაში გამოქვეყნდა. მას შექმნილი აქვს ასევე „ფიზიკისა და სამუნეჯიბო ლეოლრაფიიდან ასტრონომიისა“, „საზომისა და საწყაოსი“, „ქიმიისა და ფიზიკისა“, ასევე, „სამხედრო“ ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ მწერალი დარგობრივი ლექსიკის დამუშავებისას უპირატესობას ქართულ ტერმინებს ანიჭებდა. ნაშრომში წარმოდგენილია მდიდარი მასალა ზემოთ დასახელებული ტერმინოლოგიური ლექსიკონებიდან, მაგალითად, „ფიზიკისა და სამუნეჯიბო (ასტრონომიისა)“: **остров – უსტიქა, კუნძული, თარო, თალქა, ხერთვისი; созвездие – ვარსკვლავ-კრებულო; горизонт – კინტრო; солнечный – მარიოტა; север – ნოტა; юг – ონოტო....**

საზომ და საწყაო (метрология) ტერმინებიდან : **დანგო – 3 карата; ზუზა – 1,5 драхмы; აღაჯო – миля; ეჯო – 3 мили ...**

სამხედრო და საომარი (военные и боевые) ტერმინებიდან: **პატნეხო, ფლისკინა – траншея; დენთი – порох; ასაბია, ნაჯადი – вспомогательное войско...** ავტორი იმასაც შენიშნავს, რომ რ. ერისთავს ამოსავლად აღებული აქვს ხან ქართული, ხან რუსული მასალა, ამასთან, ქართული შესატყვისების მიებისას ის საბას ლექსიკონს ეყრდნობა.

ლ. იორდანიშვილი საინტერესოდ მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ ითვალისწინებდა რ. ერისთავი საბასეულ განმარტებებს და ამ განმარტების ანალიზის შედეგად შესაფერის ტერმინს ქმნიდა: „ასე მაგალითად, საბას **ქეშაო** ასე აქვს განმარტებული: „ხაზსა და ხაზს შუა საზომი“; აქედან რ. ერისთავი параллельный -ს შესატყვისად იღებს **ქეშაო** – ს. **გუნი** – სიყვითლის სენი, – განმარტავს საბა; желтуха – **გუნი**, ადგენს რ. ერისთავი.“ ამგვარი მიდგომა ტერმინთა შექმნისას დღესაც აქტუალურია და გასათვალისწინებელი.

მონოგრაფიაში ლ. იორდანიშვილი კარგად გამოკვეთს რ. ერისთავის თვალსაზრისს ტერმინისა და ცნების შესატყვისობის შესახებ. ის აღნიშნავს, რომ მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტერმინებისა და ცნებების შესაბამისობის სიზუსტეს.

კიდევ ერთი საყურადღებო დამოკიდებულება ტერმინის მიმართ კარგად გამოჩნდა ნაშრომში, როდესაც მკვლევარი დაწვრილებით ანალიზებს რ. ერისთავის თვალსაზრისს ტერმინთა მოძიების გზების შესახებ. მას მოჰყავს ვრცელი ამონარიდი მისი სტატიიდან, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1888 წელს, იგი აღნიშნავს: საგნის ახალი სახელწოდებების შექმნის ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა ისინი ქართულ წიაღში (ლექსიკონებში, მდაბიო ხალხში, საღმრთო წერილებში) დაეძებნათ. ამავე დროს რ. ერისთავი დასაშვებად თვლიდა სათანადო ტერმინის უქონლობის დროს ესარგებლათ ახლად შეთხზული უცხოენოვანი ტერმინებით, რომლებსაც „ჩვენზე უფრო მეცნიერებაში განვითარებულნი სხვადასხვა დაწინაურებულნი განათლებით ევროპელნიც“ არ თაკილობდნენ. მწერლისათვის ამისი ნათელი დასტურია ტერმინი **ტელეფონი**, რომელიც ქართველებს შეუძლიათ თამამად მიიღონ „და ზოგი, შეიძლება, ადვილად დაასახელონ თავიანთებური სახელწოდებითაც.“ რ. ერისთავი წინააღმდეგია უცხო სიტყვების შემოტანისა, რომელთა შესატყვისი მოიპოვებოდა ქართულში: „ქართული ენა არ ყოფილა ისე ღარიბი, რომ იძულებული ყოფილიყო მიეღო უცხო ენიდგან ისეთი სახელწოდებები, რომლის სამაგიერონი თვითონ არა ჰქონდეს.“ ის წარმოადგენს რ. ერისთავის მიერ კლასიფიცირებული თათრული, ოსმალური, არაბული, სომხური, ბერძნული ტერმინების ქართულ შესატყვისებს, ანალიზებს მათ და შენიშნავს, რომ ზოგჯერ მოძიებული ქართული შესატყვისი უცხო წარმომავლობისაა, მაგალითად, **ქონდარი**, **დესპანი**, **კანკელი**, **არდაბაგი**, **ზოსტერი**, ამასთან, განმარტავს ამის მიზეზსაც, ის მიიჩნევს, რომ „ერისთავი ემყარება საბას ლექსიკონს და აქ არსებული სიტყვები ქართულად მიაჩნია, უფრო ალბათ იმიტომ, რომ საბას ამ სიტყვების უცხო წარმომავლობა მითითებული არ აქვს.“

ცნობილია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სინონიმების საკითხი ტერმინოლოგიაში. სწორედ ამიტომ ლ. იორდანიშვილს ეს პრობლემა არ გამორჩენია და ვრცლად წარმოაჩინა რ. ერისთავის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. მწერალი ენის სიმდიდრედ მიიჩნევს „ლექსის თანამოსახელე და თვისად სიტყვებს(синонимы).“

ტერმინოლოგიის საკითხთა ვრცლად და დაწვრილებით განხილვას ავტორის მეტად საყურადღებო დასკვნა მოსდევს, რომელის დღესაც კი ყურადსაღებია: „რ. ერისთავმა შექმნა, დაამუშავა და ჩვენს ხალხს მიაწოდა სხვადასხვა სახის ტერმინოლოგიები. მისი ნააზრევი და ნაღვაწარი ტერმინოლოგიის საკითხებში საინტერესოა არა მხოლოდ ისტორიული, არამედ თანამედროვეობის თვალსაზრისითაც. იგი სათანადო შეფასებასა და ყურადღებას იმსახურებს.“

მკვლევარი ნაშრომში მიმოიხილავს ასევე რ. ერისთავის შექმნილ სხვა ლექსიკონებსაც. მათი ზედმიწევნით დამუშავება და გათვალისწინება აუცილებელია დღესაც ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის შესწავლისას. ლექსიკონთაგან ლ. იორდანიშვილი გამოყოფს „ლათინურ – რუსულ – ქართულ მცენარეთა ლექსიკონს.“ მისი შედგენის პრინციპი ახალი ეტაპი იყო ქართულ ლექსიკოგრაფიაში. მეცნიერი აღნიშნავს იმასაც, თუ რა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმდროინდელმა ინტელიგენციამ ლექსიკონის გამოსვლას. ნაშრომში მიმოიხილულია ასევე ხელნაწერთა ინსტიტუტში რ. ერისთავის ფონდში დაცული „მდელოთა, ნერგთა, მხეცთა, ფრინველთა და ქვეწარმავალთა და აგრეთვე სხვათა მეტალოთა და ბუზთა“ სალექსიკონო მასალა. მკვლევარს სათანადოდ შეუსწავლია ეს მასალა. ის ანბანთრიგზეა ჩამოწერილი, მაგრამ დარგობრივად დაჯგუფებული არ არის. გარდა ამისა, მას შეუდარებია 1884 წელს გამოცემულ ლექსიკონთან. ის დაასკვნის, რომ ფონდში დაცული მასალა უნდა გამხდარიყო წყარო „მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა ლექსიკონისა.“

ლ. იორდანიშვილმა სწორად შენიშნა ლექსიკონების მნიშვნელობა. მიუხედავად ავტორის ვრცელი ანალიზისა, ვფიქრობთ, რომ ამ მასალას დღესაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

მკვლევარი ვრცლად განიხილავს მწერლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან საქმეს. როგორც ცნობილია, რ. ერისთავი იყო სულხან – საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ პირველი გამომცემი და რედაქტორი. ეს იყო ერთ-ერთი დიდი მამულიშვილური ღვაწლი ერისთავისა. ლექსიკონის წინასიტყვაობაში რ. ერისთავის წერდა: „ეს ლექსიკონი, როგორც საკმაოდ სრული და საფუძვლიანად შედგენილი, დაუფასებელია და ფრიად საჭირო ჩვენი საზოგადოებისა და ლიტერატურისათვის.“

ლ. იორდანიშვილს ეს ლექსიკონიც კარგად აქვს დამუშავებული. ის აღნიშნავს: „რიგი აუხსნელი სიტყვები რ. ერისთავს საბას მიერ მითითებულ წყაროებში დაუძებნია და კონტექსტში ამოწერილ სქოლიოში შეუტანია, ახსნა კი არ დაურთავს, ასე მაგალითად, **კუჭუპრია** საბას აუხსნელად აქვს დატოვებული“.

მკვლევარს დამუშავებული აქვს სოფელ ქისტაურში, რაფიელ ერისთავის სახლ – მუზეუმში, დაცული ხელნაწერი რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონებიც. იგი შენიშნავს, რომ ეს ლექსიკონები სათანადოდ შესწავლილი არ ყოფილა. ვფიქრობთ, რომ ეს შენიშვნა დღესაც გასათვალისწინებელია, რადგან ის დიდ დახმარებას გაუწევს ლექსიკოლოგებს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ლ. იორდანიშვილის მონოგრაფია წარმოადგენს მეცნიერის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ ნაღვაწს, რომელშიც დაულაღავი შრომაა ჩადებული. თეორიული კვლევისა და დიდი საინტელექტუალური მასალის სინთეზი კვლევის უდავოდ დიდი ღირსებაა. ეს ნაშრომი, რომელიც გასულ საუკუნეშია დაწერილი, პრობლემათა თვალსაზრისით მეტად აქტუალურია დღესაც.

მარინე ოსაძე, ნინო დათეშბიძე

Lali Iordanashvili, Raphael Eristavi's Language,

TSU Press, Tbilisi, 2015, 230 pp.

(Review)

S u m m a r y

The monograph *Raphael Eristavi's Language* by Lali Iordanashvili is a very interesting scientific work in which the phonetic, morphological, syntactic and lexical features of the writer's works are studied thoroughly.

The paper consists of two parts. The first part includes 9 chapters in which the language of R. Eristavi's works is analysed. The linguistic features of the writer's works are studied on the bases of the rich material and some stylistic issues of the writer are discussed. The researcher pays special attention to the speech of characters.

The second part of the monograph is about the terminological and lexicographic activities of the writer. L. Iordanashvili shows R. Eristavi's contribution to compiling dictionaries, finding and researching the terminology of various fields.

The paper is based on the fictions and lexicographic works published in the writer's lifetime and also the materials and the manuscript dictionaries preserved in the Institute of Manuscripts and the house museum of the writer.

Thus, the monograph *Raphael Eristavi's Language* by L. Iordanashvili is a very important study of the writer's language. The synthesis of the theoretical research and the huge illustrative material gives the work more dignity. The paper is still relevant today with respect to problems.

Marine Osadze, Nino Dateshidze



მზია მრევლიშვილი

2015 წლის 20 ნოემბერს გარდაიცვალა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების უხუცესი თანამშრომელი, ღვაწლმოსილი მეცნიერი ქალბატონი მზია მრევლიშვილი.

მზია მრევლიშვილი დაიბადა 1928 წლის 17 ივნისს ქ. თბილისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის თინათინ მრევლიშვილისა და ცნობილი მწერლისა და კრიტიკოსის არისტო ჭუმბაძის ოჯახში.

საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, 1947 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილებაზე, რომელიც დაასრულა 1952 წელს. 1952-1955 წლებში სწავლობდა უნივერსიტეტის ასპირანტურაში (ხელმძღვანელი – აკად. არნ. ჩიქობავა).

1957 წლის 30 დეკემბრიდან გარდაცვალებამდე ქალბატონი მზია მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებაში. მან მუშაობა დაიწყო ჯერ სტაჟიორად, ხოლო შემდეგ – უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1969 წლიდან მ. მრევლიშვილი დაინიშნა უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1958 წლის სექტემბერში მან დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „კომპო-

ზიტები ქართულ ენაში“. ეს ნაშრომი შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე, მასში გამოყენებულია როგორც ძველი ქართული ენის ლიტერატურული ძეგლები, ასევე თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მასალები.

მზია მრევლიშვილი იყო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი. იგი წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად და საქმის ცოდნით ასრულებდა სხვადასხვა სახის ლექსიკოგრაფიულ სამუშაოებს, მონაწილეობას იღებდა „რუსულ-ქართული“ სამტომეული ლექსიკონის II და III ტომების გამოსაცემად მომზადებაში. ის იყო ვრცელი „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ სარედაქციო ჯგუფის წევრი და რედაქტორი. მისი აქტიური მონაწილეობით თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებაში მომზადდა და გამოიცა „რუსულ-ქართული“ ერთტომეული ლექსიკონი (1983 წ., რედაქტორი – ალ. კობახიძე), ქართულ-რუსული ერთტომეული ლექსიკონი (2013 წ., მთ. რედაქტორი – ალ. კობახიძე, რედაქტორი – მ. მრევლიშვილი). ქალბატონი მზია არის ავტორი არაერთი სამეცნიერო სტატიისა, რეცენზიისა და ა. შ. მათი რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა ძალზე რთული ლექსიკოგრაფიული მუშაობა.

ამჟამად სამეცნიერო ტერმინოლოგიის და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებაში მზადდება „რუსულ-ქართული“ ლექსიკონის ახალი რედაქცია, რომელშიც დიდია ქალბატონ მზიას წვლილი. განყოფილების თანამშრომლები დღემდე აქტიურად იყენებენ და ითვისებენ მის მდიდარ გამოცდილებასა და პროფესიულ რჩევებს, მტკივნეულად განვიცდით და გვაკლია მისი ყოველთვის დროული და არსებითი შენიშვნები.

ვალმოხდელი წავიდა მზია მრევლიშვილი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის განვითარებაში. მისი ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრების, კოლეგების მეხსიერებაში.

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი**



ვიოლა კალანდაძე

2015 წლის 22 დეკემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ვიოლა კალანდაძე – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თვალსაჩინო მკვლევარი, ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ძველი მუშაკთაგანი და მისი გამწე ძალა.

ვიოლა კალანდაძე დაიბადა 1938 წლის 14 სექტემბერს ჩაქვში; 1951 წელს წარმატებით (ოქროს მედლით) დაამთავრა ქ. თბილისის 54-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1961 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი; 1961-1964 წლებში გაიარა ასპირანტურის სრული კურსი ძველი ქართული ენის სპეციალობით (ხელმძღვანელი – აკად. ა. შანიძე), ხოლო 1956 წლის 15 სექტემბრიდან ივ. გიგინეიშვილის რეკომენდაციით მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად; 1986 წლიდან ვიოლა კალანდაძე ამავე განყოფილების მეცნიერი თანამშრომელია, ხოლო 1990 წლიდან – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. ვიოლა კალანდაძე ფლობდა რუსულს, გერმანულსა და ძველ ბერძნულს; 1988 წლის 24 ივნისს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „თანდებულთა სტილისტიკური ფუნქციები თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში“.

ვიოლა კალანდაძე 30-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია (რომელთაგან უმეტესობა დაბეჭდილია). მისი სტატიები ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის აქტუალურ საკითხებს მოიცავს, კერძოდ, მკვლევრის შრომებში ანალიზის საგნადაა ქცეული ისეთი შემთხვევები, რომლებიც თანამედროვე სიტყვათხმარებაში ვარიანტული ფორმებით წარმოგვიდგება (რაც ენის მომხმარებელს გარკვეულ სირთულეთა წინაშე აყენებს). ავტორი მიზნად ისახავს, ვარიანტულ ფორმათა გამოვლენა-აღწერასა და მთელ რიგ საკითხთა გრამატიკულ თუ სემანტიკურ-სტილისტიკურ კვლევას შეუხამოს მართლწერის პრობლემებთან დაკავშირებული რეკომენდაციები. ამ თვალსაზრისითაა დამუშავებული მკვლევრის შრომები, რომლებიც ეძღვნება ზმნური ფორმაწარმოების, თანდებულთა სტილისტიკური ფუნქციებისა თუ სიტყვისა და კონტექსტის ურთიერთმიმართების საკითხებს (რომელთა საფუძველზედაც მომზადდა ნორმათა პროექტები და დამტკიცდა კიდევ სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ).

ვიოლა კალანდაძეს ეკუთვნის ლექსიკონისათვის – „სიტყვა და კონტექსტი“ – მომზადებული 40-მდე სიტყვა-სტატია (გამოქვეყნებულია განყოფილების ბეჭდვით ორგანოში „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, VII, 1985).

მკვლევარმა გამოწვლილვით შეისწავლა აგრეთვე საშუალო სკოლის (I-X კლ.) მათემატიკის სახელმძღვანელოები, რომელთა ვრცელი ენობრივ-სტილისტიკური მიმოხილვა გადაეგზავნა განათლების სამინისტროს. შესაბამისად, ბევრი სახელმძღვანელოს ახალი გამოცემა სწორედ მისი რეკომენდაციების მიხედვით ჩასწორდა, რაც ინსტიტუტს მაღლიერებით ეცნობა.

ვიოლა კალანდაძემ, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრმა, მონაწილეობა მიიღო „ქურნალისტის სტილისტიკური ცნობარისათვის“ (2002) მასალის შერჩევასა და რედაქტირებაში, ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის („ქართული ენა“) სიტყვა-სტატიათა მომზადებასა და „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ კომპიუტერულ დამუშავებაში. მკვლევარი წლების განმავლობაში მუშაობდა აგრეთვე ქართული სახელმწიფო სტანდარტებისა და სხვა მნიშვნელოვანი მასალების ენობრივ-სტილისტიკურ რედაქტირებაზე; არის რედაქტორი შ. აფრიდონიძის წიგნისა „ჩვენი ენა ქართული“ (თბილისი, 2002).

ვიოლა კალანდაძე იყო უაღრესად თავაზიანი და კეთილმოსურნე ადამიანი ყველას მიმართ. არც არის საკვირველი: შესანიშნავი მშობლები ჰყავდა მას. მამა ნესტორ კალანდაძე თავის დროზე სოფლის მეურნეობის გამოჩენილი მუშაკი იყო – შრომის გმირი, დამსახურებისათვის ორდენებით დაჯილდოებული; დედა ელენე კალანდაძე – აგრონომი (ბიოლაბორატორიის გამგე), ხოლო დიდი ანა კალანდაძე ვიოლას ღვიძლი ბიძაშვილი იყო. პატარა ვიოლას

მან უძღვნა ლექსი, რომელიც ასე იწყება: „ფუნთუშა ლოყებს დაუზნიათ ჭია-
კოკონა“...

თავად ვიოლა კალანდაძემაც შესანიშნავი ოჯახი შექმნა და აღზარდა სა-
უკეთესო შვილები.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყველა თა-
ნამშრომელი, ახლობელი და მეგობარი გულისტკივილით ეთხოვება ვიოლა
კალანდაძეს.

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თ. გაბროშვილი**
რ. გრიგოლია